

UDC(უკ) 050(479.22) ISSN 2233-3312  
ა-376


ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი საერთაშორისო  
აკადემია

ათინათი  
2016 / 4 / (22)



გამომცემლობა „ენიკურსალი“  
თბილისი 2016

## უფლის საგალობელი



უნმინდესი და უნეტარესი, ილია II

\* \* \*


მაჯისცემა ხარ ჩვენი ერის და...  
გვლოცავ და მადლს გვფენ სულის არესო,  
ღვთით კურთხეულო, ლექსით გიმღერი,  
უნმინდესო და უნეტარესო.



მეუფე თადეოზი  
(იორამ იორამაშვილი)

შენი ლოცვით

სიცოცხლეშივე მზედ ბრწყინავდი შენი სიმშვიდით...  
ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.  
როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი,  
ვძლიერდებოდი... და ვომოხბდი, ბედის ავდრებთან.



### მამა გაბრიელი

მამა გაბრიელ, შენს საფლავთან სანამ მოვიდოდი ერთი ჩვეულებრივი ქალი ვიყავი. საზოგადო მოღვაწე, დედა და ბებია. ცხოვრების გზაზე არ მეღეოდა ქორი და ჭილყვა. შენი საფლავის შეხების შემდეგ ლექსების წერის მაღლი გამომყვა. ახლა მხოლოდ შენ იცი ჩემს სულში რა ამბებია.

*გულნაზ ხარაიშვილი*



**ღვთისმშობელი ვედრება  
ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები**



ქრისტე პანტოკრატორი  
ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები



იოანე ნათლისმცემელი ვედრება  
ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები




მამა მერაბი (დეკანოსიძე)

\* \* \*

მამაო ხარ, მაღლმოსილი,  
ჩემი სულის სიმშვიდე...  
სიკეთით ხარ შემოსილი,  
შენით ავალ ცის კიდეს.  
დავნაყრდები... დავპურდები...  
ლოცვით, ტკბილი ჰანგებით,  
წავალ?... ციდან დავბრუნდები,  
შენს წინ ჩოქვით დავდგები.

*გულნაზ ხარაიშვილი*






მამა მერაბის შექმნილი სასწაულმოქმედი მაცხოვრის ხატი

## მოძღვარი


მამა ამირან ამირანაშვილს

ერის კაცობა ხომ არის მძიმე,  
ჩვენი გზა ეკლით დაფარულია,  
მიმოფანტულა გლოვია, ვარაში,  
სამშობლოს ჭირი ერის წყლულია.  
სად რა ბობოქრობს, საით რა გვიტევეს,  
ომის არის თუ მტრობის შურია,  
სიკეთეს სთესავ, მადლს გააკეთებ,  
ბოროტი გიღრენს, გწყდება გულია.  
დაუნახავ და უგულო კაცებს  
არ ედარდებათ ერის სულია,  
დღეები მიდის უაზროდ, მძიმედ,  
ცხოვრობენ როგორც სოფლის მღვდურია,  
ერში ბევრი გვყავს გულ-მამაცები,  
ვისაც მამულის წინსვლა სწყურია,  
აღუძარითათ მხნედ მათ მახვილი,  
გული მტრის ზიზღით აღუჭურვიათ;  
მაგრამ დეთის მსახურთ ვერ შეედრება  
ერის კაცების მთელი ღუნია.  
ხიდად გაიდნენ ღმერთს და კაცთ შორის,  
სიკეთის თესვა, მადლი სწყურიათ!  
მძიმე გოლგოთის დამდგარან გზაზე,  
თან სახე მშვიდი, საამური აქვთ,  
უფალს შესთხოვეს ტვირთი, უღელი,  
მძიმე ჯვრით ხელში მტკიცედ უვლიათ;  
ვერ შეედრება მათ თავდადებას  
ერის კაცების სამსახურია,  
სულიერება ქვეყნის ხსნა არის,  
ამპარტავნებამ მოსპო გულია;  
მე ბავშობიდან ღმერთის მოშიში,  
თაყვანისმცემი, მონანური ვარ,  
პირჯვრის წერაში, ღვთის კანონებში  
უფიცი, ბრიყვი, უგნური ვარ...  
არა მცოდნია წესი ცხოვრების,  
ჩემს მამა-პაპას როგორ უვლიათ.  
რაც მკარნახობდა გულის სიღრმიდან  
მხოლოდ მით ვიყავ მონუსხულია.  
თუმც, რომ შევხედავთ: ჩემი ცხოვრება-  
სუყველა ღმერთის მოცემულია,  
ბევრი შეეჭვდა ჩემს ქმედებაზე,  
წმინდანის ყოფით მათ რომ უვლიათ.



ანზორ ჯავახიძე

სულის განკურნვა მეტად ძნელია,  
მას მოფერება, სითბო სწყურია,  
ნაზია მეტად გასახარებლად  
და მოსაგლეხად უფრო რთულია.  
მე გავიარე მეტად მძიმე გზა,  
წარსულს არა ვარ მონატრულია,  
თუმცა სიკეთე-რაც კი ვაკეთე,  
სუყველა ღმერთის ბოძებულია.  
უგუნურობით და უფიცობით  
მღვდლის მიმართ ვიყავ უმადურია,  
არა ვიცოდი მათი ცხოვრების,  
რით არსებობდნენ, როგორ უვლიათ...  
დღეს ამეხილა თვალები ფართოდ,  
ღვთის მოშიშობა როგორ რთულია,  
მე უგუნურობა კი არ ვიცოდი,  
ქვეყნად ვიდოდი უმადურია.  
მე მოძღვარი მყავს სალი, მართალი,  
მთელი ცხოვრება ლაღად უვლია,  
მაგრამ შეუდგა ღმერთის სამსახურს,  
ცხოვრება დათმო, გათბა სულია;  
ჩვენ ყველამ ვიცით ეს გზა, ეს ტვირთი  
მეტად მძიმე და მეტად რთულია;  
ყველას არ ძალუძს მისი ტარება  
მისი მტვირთველი ერთეულია.  
რთულია-ვთქვი მე-სიტყვა უკმეხი.  
სუყველა მოძღვარს-ეს გზა უვლია,  
გვერდზე გადადეს ერისკაცობა,  
უფალს მიაყრდნეს მშვიდად გულია,  
ჩემს მოძღვარს მინდა გავესაუბრო,  
მისკენ მიმიწევს წრფელი სულია,



მხოლოდ მან მომცა ამ ქვეყანაზე  
რაც კი რამ მაკლდა, რაც კი მწყურია,  
ჩემო მოძღვარო, მამა ამირან,  
ნათელ სხივად ხარ ქვეყნად მოსული,  
სულით, სხეულით, შეხედულებით-

ბუნებისაგან ხარ უხვად მორთული,  
ხმა ბარიტინი, ცეკვა ქართული,  
ყველაფერია ერთად ხართული,  
დაუბერტყია კალთა ღმერთს შენზე,  
შთამბეჭდავია ეს მეტად ჩვენზე;

მე ხომ ვამაყობ შენით, მამაო,  
 არ ჩამითვალო ცუდად, ამაოდ,  
 მე ბევრს ვერ ვხედავ კაცს შენებზე შექმულს  
 ღვთის და ერისთვის შეწირულთ, ერთგულთ.  
 მამა ამირან, შენ ერთი მუაყხარ,  
 ვინც მოაბრუნა ჩემი გულია,  
 ღმერთის მოშიში მუღამ ვიყავი,  
 მაგრამ ვიყავი მეტად რთულია...  
 მე არ ვიცოდი მღვდელი, მოძღვარი,  
 გაქვავებული ქმონდა გულია,  
 თვით უწმინდესი შენ შემაყვარე,  
 ამის გამხელაც უხერხულია;  
 რომ წარმოვიდგენ შენს ნაღვან-ნაშრომს,  
 შენი წარსული როგორ რთულია,  
 სიონის ტაძარს შესწირე გული,  
 მას მიუძღვენი შენი სულია;  
 შენ ღესპანობდი, თუკი რამ იყო,  
 ჩვენი რწმენა და საგანძურია,  
 შენ მოხილვე სივრცე და გზები,  
 ჩვენს მამა-პაპას რომ გაუგლია,-  
 ბევრს მიაწვდინე ხმა მისაწვდენი  
 მართლმადიდებლურ-მშობლიურია,  
 ლაღად მოჰფინე ჩვენი საუბრე,  
 შენ არაფერი დაგიშურია!  
 მამა ამირან, შენ ერთი იყავ  
 ვისაც გაუღე ჩემი გულია,  
 აღსარებას მე არვის ვანდობდი,  
 და აი, მონდა სასწაულია!  
 ერთი შეხედვა, თვალის შევლება,  
 თითქოს გამეხსნა ძველი წყლულია,  
 წამს დავიფიცე, აი, მოვედი,  
 ჩემს ცხოვებაში სასწაულია!  
 და როს წამოვდექ აღსარებაზე  
 რომ გაგისენი ფართოდ გულია.  
 ვამპირით მე ცოდვებს ვატრქევედი,

შენ ღებულობდი, უცნაურია!  
 შენს სახეს მოვეკარ წამიერ თვალი,  
 რაღაც ვიგრძენი, გათბა გულია,  
 ჩემსა ცოდვებსა რომ განიცდიდი  
 მე თავს ვუწოდე უგუნურია.  
 აქ შევიგრძენი, რომ ცოდვილი ვარ,  
 შენ მოახდინე სასწაულია,  
 მტკიცედ დავრწმუნდი, რომ თქვენს სამსახურს  
 კაცთა მოღვმისთვის მადლი სწყურია.  
 თვალს ცრამლი მოსწყდა, ღაწვზე დაცურდა  
 სინათლის ნაღვენთსა ჰგავდა ნათელი,  
 რამდენი ტკივილი, დარდი გაქვს ნათქვამი,  
 რამდენი რამა გვაქვს, ვინ იცის, სათქმელი.  
 მე მკაცრიც გიხილე ლომივით ფრთასხმული  
 კაცურად შემართული მალა მთის წვევზე,  
 ლომბიერიც გნახე, გულჩვილი ბავშვივით,  
 გუფერებოდი და კაცურად გოცნიდი მკერდზე,  
 სულიერ შეილებს საზრდო გაგვიჩინე,  
 მოგვეც თბილი ბინა, ჩავვისვი გულში,  
 ერთურთიც შეგვაყვარე, ფიცით შეგვკარი და  
 ძმურად დაგვაყენე დრო და ჟამს რთულში.  
 შენს მრევლს გვენატრები,  
 გულწრფელად გვიყვარხარ,  
 რაღაც სითბო იღვრება სულში,  
 წირვაზე მოსულნი საუბრით ვინუსხებით,  
 თბილი ნეტარება იღვრება გულში.  
 შენ მაგალითი ხარ კაცური ცხოვრების,  
 ვამაყობ, სითბო მიდღეს სულში,  
 ვფიქრობ-ვაკვირდები ახლანდელ ჩემს ყოფას,  
 არარაობა ვყოფილვარ თურმე გუშინ.  
 ერთი ამოსუნთქვით რაც მსურდა, გითხარი,  
 ბევრი რამ დავიტოვე ჩემთვის გულში,  
 მე შენ შემასწავლე გულწრფელი საუბარი,  
 ჭეშმარიტება შემოიჭრა ჩემ სულში.





**გულნაზ ხარაიშვილი**

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი  
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი საერთაშორისო  
აკადემიის პრეზიდენტი

\* \* \*

ახალი წელი დაგვებედოს ღვთით ხვავრიელი...  
მალე ვიხილოთ საქართველო თავისუფალი  
და გადავლახოთ მხოლოდ ერთი ბარიერი და,  
რომ დავიბრუნოთ ჩვენი მიწა მტრის ნამუსრალი...

# პოეზია



**მეუფე თადეოზი**  
(მირიან იორამაშვილი)

## წმიდა იოანე ნათლისმცემლისადმი

შენმა მოსვლამ, საკვირველო,  
გაახარა კაცთა გული,  
ანგელოზად იყავ დიდად,  
წმინდად გამოცხადებული.  
წინამორბედს, მახარობელს,  
მოგელოდა მთლად ქვეყანა...  
უფლის მოსვლას ახარებდი  
და რაღაა მეტი განა?!

## მსღლით ნაკურთხო მოძღვარო

ტკბილო მამაო გაბრიელ,  
მადლი მოემადლა ღმერთმა...  
მადლით ნაკურთხო მოძღვარო,  
მოსულო რწმენის კვერთხად...  
სიმტკიცის ჯაჭვი გაცვივა,  
სულით ძლიერო სულო...  
სიკეთე შენი ღვაწლია  
და სიყვარულით სრულობ...  
გაკურთხოს ქვეყნის გამჩენმა,  
ზეცის კურთხევით მძლავრით...  
დაგვლოცე, შენი მარჯვენით,  
სოფლის მწირნი და მეზავრნი.

## რად უყვარდათ საქართველო?!

უკვდავებით შემოსილა,  
ვინც მამული ასახელა...  
ბევრზე ბევრი გმირი გეყავდა  
ჩვენი თვალის ასახელად.  
შეწირულან ზვარაკებად,  
სიყვარულის დასახსნელად.  
რად უყვარდათ საქართველო –  
არ ძნელია ასახსნელად.  
...დღეს გმირული სული ჩაკლეს,  
იპოვების ძალზე ძნელად,  
სანთლის შუქით მზეში ავალთ  
დიდთა სულთა საპოვნელად...

## შემოდგომა

რა კარგია შემოდგომა,  
დახუნძლული ხეები,  
როს მთვარიან ღამით ტკბილად  
მღერენ მეურმეები.  
მარგალიტის ნაძი დილით,  
ცა მჭვირვალი, საამო,  
ვარსკვლავებით მოჭედილი  
მთვარიანი საღამო.  
ნაცოფსავსე ჟამი ტკბილი,

წელთა დროთა ზეობა...  
ლხინი, ლხინი და ქორწილი,  
ნათლობა და ძეობა.  
ტკბილქართული საუბარი,  
მეტად ენაშხეობა,  
რა კარგია, რა კარგია  
ეს ნეტარი დღეები...  
რას მღერინან, შემოდგომავე,  
შენი მეურმეები?

### ჭრიჭინა

რა ციცაბო გზებია,  
 სული კბილით გვიჭირავს,  
 შენ კი კოსმონავტი ხარ,  
 მხიარულო ჭრიჭინავ.  
 ავტობუსი კეცავს გზებს,  
 თვალებს იფშენეტს პირიმზე  
 და იცინის ზეცაზე  
 თვალბრიალა თბილი მზე.  
 უნილაგი ფუნჯები  
 მთებს ათასფრად ხატავენ,  
 კლდეზე გადმოკიდული  
 ქუხს არაგვის სათავე.  
 ჰა, ზეიადი სურათი –  
 წყალგამყოფი ქედისა,  
 ნიავს მოაქვს ჩურჩული  
 აქ ადგილის დედისა.  
 შორს ქაჯეთის ციხე ჩანს  
 ცაში გამოკიდული,  
 აღტაცების ძახილი  
 და ფერები მდიდრული.  
 ზოგი ვმღერით, ზოგს კიდევ  
 სული კბილით გვიჭირავს,  
 შენ კი ისევ ქილი კობ,  
 მხიარულო ჭრიჭინავ.

\*\*\*

იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე  
 მაცხოვრის დარიგებით,  
 იყავით მაღლით მდიდრები  
 და ცოდვით ღარიბები.  
 როგორც ცხოვრობდნენ ქართველნი,  
 ნამდვილი ხალიბები...  
 დაუჯ აბნიათ შაჰები  
 და მათთან ხალიფებიც...  
 საზარო იმპერიები  
 კაცთ მოდგმის სხვარიგები...  
 ჩვენ შეწირულთა მოდგმა ვართ,  
 მაცხოვრის ტარიგები...  
 არ უწერია ქართველ ერს  
 გაქრობა... გადაშენება...  
 ჩვენ ხომ ღვთისმშობლის  
 წილხვედრ ვართ,  
 მთელი სამყაროს მშენება...

### სიზმარში დანერილი

ყველა სალოცავს დიდება!  
 ყველა სალოცავს ქება!  
 მაღლი – წყაროდ რომ დინდება  
 და არასოდეს შრება...  
 სულ მასთან ყოფნა გწყურია...  
 სულ მასთან ყოფნა გინდა...  
 სიცოცხლე საამური –  
 თუ სინდისი გაქვს წმინდა.

### ბავშვი

ბავშვი სარკეა, უტყუარი, ლამაზი სარკე  
 და მოქმედება შენი მასში აირეკლება,  
 იგი უნაზეს, სურნელოვან, ტკბილ სიტყვებს აკმევს  
 საგაზაფხულო ფერად პეპლებად.  
 ბავშვი ექოა, უცნაურად თავისებური,  
 ის იმეორებს შენს მოძახილს, მაგრამ ანაზებს,  
 მასში სითბოა, დიდი სითბო მაღლისებური,  
 ტკბილი, მშობლიურ იავნანისებრ.  
 ის ფრთაშესხმული არის ხალისი,  
 გზიბლავს ცელქობით ეზოს რომ იკლებს,  
 დიდხანს მოწყენა ბავშვმა არ იცის  
 და, როგორც წყარო, სულში ლიკლიკებს.

### იები

დედის ჩანვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო  
 გ. ლეონიძე

ნუთუ იმგვარად უტირიათ აქ მართლა დედებს  
 რომ ამოსულა ია ამდენი?  
 ო, პატარებო, მოსაკრეფად ნუ გაიმეტებთ!  
 ეს უწმიდესი ცრემლებია წყაროდ ნადენი.





რუსუდან ფაილოძე

### ჩემს მამაო ზურაბს!

(ლექსი მიძღვნილი სანდრო ეულის ჭურაზე ახლად დამთავრებულ წმ. იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში წინამძღვრად კურთხევასთან დაკავშირებით)

თერთმეტი წელი უკვე შესრულდა მამაო ზურაბ!  
რაც თქვენ თბილისის ეკლესიებს რომ ემსახურეთ!  
წმინდა კვირიკემ და ივლიტამ გზა გაგიკაფად –  
შემდეგ კი, ბეთლემს გულანთებით რომ ემსახურეთ!



სადაც იღვაწეთ ეკლესიის კეთილ მსახურად  
მრავალ მლოცველთა სიყვარული დაიმსახურეთ,  
რომ არ არჩევდით „ჩემს და „სხვის მრევლს  
ერთმანეთისგან  
და საბასუხოდ მათი სითბო დაიმსახურეთ!

ზემო ბეთლემი! თქვენი ყრმობის გზის გამკაფაფი,  
სტიქაროსნობდით ყმაწვილობის ჟამთა დროიდან,  
იქ ჩაეყარა საფუძველი რწმენას ღვთისადმი  
და ფორმირებაც მოხდა თქვენი იმავე ტაძრიდან!

ხართ საღრმთო საქმის მცოდნე, კარგი მოძღვარი!  
ამას ყველა ვგრძნობთ, ყველა ხედავს, დასამალია?  
თქვენ გზას უკაფაფეთ ქადაგებით თქვენსა  
სამრევლოს  
ღმრთისადმი რწმენით რომ განაწყეთ დიდი ხანია!

როს დადგა ჟამი ზემო ბეთლემს განშორებისა,  
დაემშვიდობეთ ძვირფას ტაძარს თვალცრემლიანი..  
უფალმა მძიმე ჯვარის ზიდვა დაგდოთ პატივად,  
რომ ყოფილიყავთ წინამძღვარი ახალი ტაძრის!



შემოიკრიბეთ ახალ ტაძრად დღეს თქვენი მრევლი,  
წიწილებივით გაფანტული სხვადასხვა ტაძარს!  
თქვენი სურვილის აღსრულება სწორედ ეს იყო,  
რომ ვყოფილიყავთ ყველა ერთად ახალსა ტაძარს!

ჩემი დიდი ხნის ნატვრა-ოცნებაც აღსრულდა  
და სასურველი ტაძრის მშენებლობაც დასრულდა!  
აგვისტოს პირველს მეუფე პეტრემ იგი აკურთხა  
და ჩემი ტანჯვა-განცდებიც ამით დასრულდა!

“ჰოი, ღვთისმეტყველო იოანე, მეოხ გვყავ ჩვენ!  
შენ დაიფარე უფლის სახლის აღმშენებელნი!  
და შენს სახელობე აღმართული ფუძეც დალოცე!  
დალოცე ამა ტაძრისა წინამძღვარ-აღმსარებელნიც!”

01.08.16

**სულიერა ძამა ავთოა ეს მითხრა:**

შენ ჩემო დაო! ვიცი მუხებს ეთამაშები,  
მაგრამ იცოდე, ყველაფერი შენით არ მოდის,  
უზენაესის წყალობით და ზეშთგონებით  
და სულიწმინდის მადლი შენზე, მათგან გადმოდის!  
20.01.16.

**მიბაძვალს!**

რომ მიბაძვით ეკლესიას, ხარ უგულოდ შეფარული  
და მიბაძვით შენ გგონია იოლია ღვთის სიყვარული?  
თუ მოყვასის გაჭირვებას ხვდები ასე მხიარული,  
ნეტავ ვის რგებს ტაძრად შენი, მოჩვენებით სიარული?  
20.01.16

**ნება რად ხდება?**


დიდი ხანია მე შევეყურებ ქართველის სახეს—  
ძლიერ მწუხარეთ, გაწამებულთ და ნაღვლით საფსეთ,  
ნეტავ რად ხდება? ერთი მუჭა თავში მჯდომარე—  
რატომ ბატონობს სულით ძლიერ ჩემს ქართველ ერზე!  
20.01.16

**მძიმე ჟამი**

გაცეხული მე შევეყურებ ჩემს სისხლსა და ხორცს,  
რა უცხო საფით გამიზბიან, თითქოს ვერ მხედვენ!  
სხვა რას გაიგებს ჩემს განცდას და დიდ გაჭირვებას  
ვხედავ, ჩემს მიმართ უსულ-გულოდ რომ არსებობენ

მაგრამ ცხოვრება ჭიდილია, უნდა იბრძოლო!  
რომ წუთისოფელს წამით თვალი არ მოულოლო!  
ასევე ვხედავ ირგვლივ მყოფებს უგრძნობ-უგულოთ!  
**ქართველებს** მძიმე ჟამი უდგას ჩემო მამულო!

15.09.16





მაყვალა გონაშვილი

### იქნებ გაგვასხენდეს

მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ მამა,  
 ვარსკვლავები – დები, ძმები, აღარავის ახსოვს,  
 სიყვარული, თავგანწირვა, დანდობა და რწმენა,  
 არც მეტი და არც ნაკლები,  
 ერთ კუბონად თვსობს.

პოლიტიკა, აი, ჩვენი თეატრი და კინო,  
 პოლიტიკა, აი, ჩვენი მარნილი და პური,  
 მთავარია ჩვენი აზრი, სხვა სუყველა ცრუობს  
 და ბრძენკაცის რჩევასაც კი არ დაფუგდოთ ყური.

მერე რა, თუ ამ ქვეყანას ჩალაც არ ახურავს,  
 მერე რა, თუ სითბო უნდა კერაჩამქრალ სახლებს,  
 გამოაკლდა ჩემს თაობას არაერთი ბიჭი,  
 მიემატა დღეს მუშტარი ჯინურებს და დანლებს.

აირია ერთმანეთში რწმენა, ცოდვა, მადლი,  
 აგორდა და აიზვირთა ცა, მიწა და წყალი,  
 რა დაწყველილ დროში ვცხოვრობთ,  
 ერთი დღით და ღამით.

ზოგს წარსული დაეკარგა და ზოგს მომავალი.  
 მესიზმრება, ზღვა ბობოქრობს,  
 ნაგზე რჩება ეშმა...

იცინის და დაუნდობლად  
 ფენებს აჭრის მტრედებს.

იქნებ ბინდი გადავყაროთ, იქნებ გავიღვიძოთ,  
 მზე რომ დედა არის ჩვენი, იქნებ გაგვასხენდეს.

### ლვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში  
 ბავით მლიმარით? თვალებით მშვიდით?  
 თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,  
 ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,  
 თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,  
 როგორ ვთრთოდი და როგორ ვტროდი  
 და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს  
 ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.  
 ვნება – ზმანება, შვილი – სიმორე,  
 სისხლის ცრემლებით გამოტირება.

რწმენა – სიმაღლე, გოლგოთა – ჯვარცმა...  
 მამაუფალმა ასე იხება.

ჰო, აღასრულა, რაც გარდუწყვიტეს,  
 რაც დაუწერა განგებამ ბედად,  
 თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,  
 მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.

და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,  
 მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.  
 ზეცის ბილიკზე დამზრალ შრომანებს  
 ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.  
 სხივი, რომელიც გინათებთ ვზაწვრილს,  
 ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,  
 ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,  
 ქარი კი არა, დედის გულია.

თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,  
 დღეები სევდით თუ დაიბინდა,  
 გთარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,  
 მამაუფალი და სულიწმინდა.

## შენს საუფლოში

გადამიარეს გულზე წვიმებმა,  
სიმარტოვეში ჭკნება აპრილიც,  
რად მახსენდები ასეთი ელდით?  
სიზმრის ახდენას რატომ დამპირდი?  
ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,  
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,  
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში  
სულ სხვანაირი ქარები ქრია.  
სულ სხვანაირად თენდება დილა,  
სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს,  
იმ ნისლებივით ჩამოვიღვრები,  
ღმერთი შენს ხილვას თუკი მაღირსებს.  
იმ ტკივილისთვის, იმ სიშორისთვის,  
იმ სიგიჟისთვის გიხდი მადლობას,  
მოდ, გააღე გალიის კარი  
და გამახსენე ახალგაზრდობა.  
იცი, რა ტანჯვა გამოვიარე?!  
მთელი წელია ვცხოვრობ უღიქსოდ,  
მოდ, მომხვიე მხრებზე ხელები  
და გამაცოცხლე, სულზე უტკბესო,  
წუთივით წაგა წუთისოფელი,  
მალე ვიქცევით უსულო ქვებად,  
შენ შემოგვეგლოს ჩემი სიცოცხლე,  
რომელიც ახლა სხვის ჭერქვეშ ქრება.

## გამოცდა

ვინა გქერწავდა ასეთი ჟინით,  
უფლის ნება თუ ეშმაკის ხელი,  
მაინც ვისი ხარ, ცისა თუ მიწის  
ასე თავხედი და მიმზიდველი?  
ცის ხარ თუ მიწის, ჩემიანი ხარ,  
მაგრამ მე შენი არც როს ვიქნები,  
კოშკი ვარ, თეთრი კირით ნაგები  
და ზეცას სწვდება ჩემი ფიქრები.  
გუმბათებიდან მზის მადლი ჟონავს,  
ჩემი სხეული ყველაფერს იტევს,  
ძველ ხელნაწერებს, მკერდზე წარწერებს,  
ღევნილ ღამურებს და უფლის ჩიტებს,  
თუ მართლაც მხოლოდ კოშკი ვარ ცივი,  
დავშტერებივარ ქვის ძველ იატაკს,  
თუ ვარ პერანგი შვიდგან შეკრული,  
ეს ლექსი მე რად ამეკვიატა?  
იქნებ მცდის ეშმა, წვიმების მერე  
ხომ არ გამიხნდა ტანზე ბზარები,  
რომ შემხვედროდი დიდი ხნის წინათ,  
შენთვის სიკვდილს არ დავიზარებდი.  
რალა ღროს, შენი ასერიგ ცქერა,  
რალა ღროს ჩემი ფეხის არევა  
და ვხურავ სარკმელს, წმინდა სენაკში  
არ იწრიალონ უცხო ქარებმა.





ერეკლე სალიანი

### ნმინლანინო

ფარავნის წყალს ნისლის ჯარი  
 ფარავს... წმინდა ქალწული  
 მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი -  
 ვაზის ცრემლით ასხმული.  
 გვერდზე გადგნენ თეთრი მთები,  
 სანთლად იწვის მაშვრალი,  
 მიწის ძახილს გრძნობენ მთებიც,  
 თმები, ქარში გამშრალი.  
 დრო - თვით სევაგი მყივარი და  
 ბრუნავს, როგორც ფანტელი,  
 თავზე ადგას მყივარი და  
 სულიწმინდის ნათელი.  
 მივა მცხეთას, ავა წობენს,  
 უფლის მადლის ტარებით,  
 ჩვენს სიმშვიდეს დარაჯობენ  
 სადაც ზეცის კარები.  
 ტალანებში სისხლი მსხვერპლის  
 დულს ვით გესლი მამონის,  
 არა ქმნათო თქვენში კერაი,  
 არც უფსკერო ბომონი.  
 ფარავნის წყალს ნისლის ჯარი  
 ფარავს... წმინდა ქალწული  
 მოდის, უძღვის წინ ხისჯვარი -  
 ვაზის ცრემლით ასხმული.

\*\*\*

დამზრალ ხეებს არხევს ზენა ქარი,  
 ზენა ქარი - შეძახილი დოსტის,  
 დასასრული დასაწყისი არის,  
 დასაწყისი ხელმეორედ მოსვლის.  
 ახლა შინ ვარ, ეკლის გზაზე ვფიქრობ,  
 ლექსებს გულში ხანჯალივით ვიყრი,  
 შენთვის მაინც უცხო ხილი იყო  
 გოლგოთაზე ოცნება და ფიქრი.  
 დრო მარადისს მაინც ველარ წაშლის,  
 ქარიშხლისგან ბევრს დასხმია რეტი,  
 შენ არ გამღვრევს ახლაც დენტის ზღვაში  
 ჩაძირული დედამიწის ბედი.  
 შენი ფიქრი ჩემს ფიქრს აღარ ერთვის,  
 ჩემში მხოლოდ მოჩვენებად ჰყვავი,  
 შენ ვერ შესძელ დაგემჩნია ჩემთვის  
 სამუდამოდ წარუშლელი კვალი.  
 დღეს მართლის თქმას მე გულწრფელად ვბედავ,  
 ვერ გაათბე ჩემი სულის მღვიმე,  
 შენ ხარ ჩემთვის შორეული მეტად,  
 აუხდენელ სურვილივით მძიმე.  
 ბედთან ვდაობ, მჯერა, რომ მგლის მუხლი  
 გამაყოლებს სადღაც ქარს და ნიავს,  
 ზოგიერთნი მიელტვიან დუმილს,  
 ზოგიერთნი კი - გროშების ჩხრიალს.  
 ზოგი თვალს გვჭრის ნასესხები შუქით,  
 ზოგთა ფეხქვეშ ია-ვარდებს ჰფენენ!  
 ვინ რა იცის, მოუსყიდველ სულში  
 კვლავ რამდენი აფათურებს ხელებს.  
 მე კი შინ ვარ, ეკლის გზაზე ვფიქრობ,  
 ლექსებს გულში ხანჯალივით ვიყრი,  
 შენთვის მაინც უცხო ხილი იყო  
 გოლგოთაზე ოცნება და ფიქრი.  
 დამზრალ ხეებს არხევს ზენა ქარი,  
 ზენა ქარი შეძახილი დოსტის,  
 დასასრული დასაწყისი არის,  
 დასაწყისი ხელმეორედ მოსვლის.

## ჩემო სისხლო და ხორცი

ჩემო სისხლო და ხორცი  
და აღმაფრენავ სულის,  
შენ დაგყოლია ღორთქი  
მთის ბალახების სუნი,  
ო, როგორ მავსებს ღხენით,  
ჩემს მიწაზე რომ ვდგევარ,  
მთელი გრძნობით რომ ვმღერი,  
რომ ლამაზ განცდის ტყვე ვარ.  
რა ვქნა, თუ აღარ დაცხრა.  
სული და სივრცეს ითხოვს.  
ლექსში საკუთარ ხმასაც  
ვეხმიანები თითქოს.  
გადამივლია ცხრა მთა  
და ახლა შენსკენ მავალს,  
კვლავ მსურს საკუთარ თავთან  
განუწყვეტელი დავა.  
თუმცა ღრთობა მკაცრი  
ბადაგ ში შხამსაც ურევს,  
ბოლომდე თუ არ დაცლი,  
ვერც თავს შეიცნობ თურმე;  
თუ ვერ გააღწევ ვიწრობს,  
თუ ვერ აუქმევ ყოველს,  
ვერც სისხლის კივილს იგრძნობ,  
ვეღარც სიმშვიდეს პოვებ.  
სიტყვა სინათლედ ღვარე,  
დადნი სამსხვერპლო სანთლად,  
შენშიც გაახელს თვალებს  
სიცოცხლის მძაფრი განცდა.  
სიკვდილსაც მარტომ სძლიე  
მხარკვერიანის ფრთებით,  
ამა ქვეყნისა ძლიერით  
არ მოუხარო ქელი.  
გასწი, თბილ სიტყვას გვეღრი,  
ხურვის დაუჯენ ძვირად,  
წვიმის პატარა წვეთშიც  
სამყაროს ტკივილს სძინავს.

მწუხრის ღელაის ფიქრებს,  
ხუ უმხელ უბირ მოცმეს,  
მიზანს ან უნდა მისწვდე,  
ან უნდა მისთვის მოკვდე,  
დიდი ხანია გელი  
და ასე გწამდეს ჯერაც,  
სისხლში მოთხვრილი ხელის  
ქვეყნად არავის სჯერა,  
ჩანგის სიმებზეც უკრავ,  
გრდემლზეც ჩამოჰკრავ უროს,  
შენ სოფლის ცრუ და მუხთალ  
ბუნებას ვერა ჰგუობ.  
სწყალობ უშიშარ მხედარს  
ყოველგან – შინა თუ გარეთ,  
ვერხვის ფოთლიდან ხედავ  
თიბათვის სავსე მთვარეს.  
მოაქვს უთვალავ ფერთა  
სუნთქვა და ნისლებ რბოლავ,  
შენ, ჩემო სულის ერთავ,  
მაინც ლექსში გაქვს ბოლო.  
ხომ ვერა განძზე ვერ გცვლი,  
შენთან მსურს, არსად წავალ,  
ლექსით დაიწყო ჩემთვის  
საკუთარ თავთან დავა.  
კვლავ დააფრენენ მთები  
მრავალ არწივის მართვეთ,  
შენი კარნახით ვწერდი,  
შენი კარნახით დაგწერ.  
რა ვქნა? თუ აღარ დაცხრა  
სული და სივრცეს ითხოვს,  
ლექსში საკუთარ ხმასაც  
ვეხმიანები თითქოს.  
მოდი, მე ისევ გელი  
და ასე გწამდე სჯერაც,  
სისხლში მოსვრილი ხელის  
ქვეყნად არავის სჯერა.



# ჯგუფი ზღვარი



გიორგი ზუხბაია.

## ინსერუქცია №2

1. მე ვიცნობ მხოლოდ ჩემს თავს და ტერენტი გრანელს...
2. ქვის ყვავილი...
3. მე ვარ სულელი და ბრძენი-ერთდროულად...
4. ის დაპატარავდა და აღმოჩნდა თეთრი ქალაქის ზედაპირზე... ის ხედავდა, თუ როგორ ეშვებოდა, სადღაც, ზემოდან, უზარმაზარი კალამის წვერი...
5. მელნის ჩიტი...
6. ბამბუკის ფარანი ეკიდა თეატრში, რომელსაც აბრეშუმის კედლები ჰქონდა. ამ თეატრის სახელია „მიუწვდომელი“...
7. არაფინ და მე ვიჯექით მაგიდასთან, ვსვავდით ღვინოს და ვლაპარაკობდით სიტყვებით, რომელთა სიდიდე იყო ცათამბრჯენების ტოლი...
8. ის დაიბადა აბრილის თვეში და მას შემდეგ გულმა ფორმა შეიცვალა. გული, ახლა, ჰგავს ჯვარს...
9. წარმოიდგინე, ყვავილები რომ ადამიანებივით ცხოვრობდნენ. მაშინ ეს ყვავილი იქნებოდა ჯარიკაცი, რომელსაც პირველივე ბრძოლაში მოკლავდნენ...
10. სიტყვები „მე მიყვარს ტოლია სიტყვებისა“ „მე მოგვალი“
11. ცხოვრობდა ერთი მხატვარი, რომელიც თითოთ გხატავდა ჰაერის ტილოზე...
12. მე ვალიარებ მხოლოდ ტერენტი გრანელს და ვიფიქვებ ჩემს თავს...
13. მე ვკეცავ ჩემს მეს, როგორც ქალაქს, და ვაკეთებ ქრისტეს ჩემი თავისგან... ეს ასეთი თამაშია... უფრო სწორად, ეს არის ხელობა სახელად ორიგამა...
14. თავმდაბლობა თავისებური ბოროტებაა...
15. არ წარმოიდგინოთ ადამიანი, რომელიც არ არსებობს. დაე არ არსებობდეს! ბედნიერება ხომ არარსებობაა...
16. სათამაშომ, სახელად-კრაუსი, დაწერა წიგნი...
17. მელნის მზე...
18. არ არსებობს სირცხვილი, არსებობს წესები. ერთადერთი სირცხვილი, რომელიც არსებობს, ეს არის სირცხვილი, რომელსაც ადამიანი განიცდის სიკვდილის შემდეგ, იმის გამო, რომ ის ღირსეულად ვერ მოკვდა (საერთოდაც რომ სიცოცხლე არაღირსეული ჰქონდა).

19. მე ვიყავი ღვინო. ის იყო ფორთოხლის წვენი. ჩვენ ვიყავით ჩამოსხმულნი მინის ჭიქებში. იმ დილით ჩვენ გვსვამდნენ ადამიანები, რომელნიც არტურ რემოს „მთვრალ ხომალდზე საუბრობდნენ...
20. მელნის ადამიანი...
21. მე ვცნობ მხოლოდ ჩემს თავს! რადგან მე ყველაფერი ვიცი. მე ვიცი, რომ ეს არის ერთადერთი, რაც ჩემს ძალებს არ აღემატება... „მე ვცნობ მხოლოდ ჩემს თავს –ეს სიტყვები ნიშნავს იმას, რომ მე ყველას აღვემატები. ეს სიტყვები ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მე სულელი დაფრჩი, გენიალური სულელი...
22. თვალები რომ ვიყო, აუცილებლად დავინახავდი ღმერთს...
23. შესაძლებელია, რომ მე ვარ ტერენტი გრანელი... (ესაა ცოდნა არაფრისა, ცოდნა ყველაფრისა)...
24. მელნის ცრემლები...
25. მე ვხედავდი ტილოებს, რომლებზეც ნახატები თავისით იხატებოდნენ, და-მარმარილოს ლოდებს, რომელნიც თავისით ქანდაკდებოდნენ, და ქალღმერთებს, რომლებზეც თავისით იწერებოდნენ ლექსები, და-ადამიანებს, რომელთაც არ ჰქონდათ დარდის მიზეზი და უმიზეზოდ დარდობდნენ... რადგან „უმიზეზობა არის დასაბამი...
26. „შექმნა, ეს სიტყვა იგივეა, რაც „თვითმკვლელობა...“
27. მე ვიცნობდი ადამიანს, რომელიც თვალებით ლაპარაკობდა. ის ახელდა და ხუჭავდა თვალებს და თვალებიდან, სიტყვები გამოდიოდა...
28. სად არის სული? სული არის იქ, რასაც შევძენთ ფორმას, რასაც შევქმნით. ჩვენში კი მხოლოდ მინიშნებაა სულზე და სხვა არაფერი...
29. საოცარია, მე ვწერ...
30. მე ვიცნობდი ადამიანს, რომელიც არასოდეს იძინებდა. ის ამბობდა, რომ არ უყვარდა მდგომარეობა, როცა არ ფიქრობდა, ხოლო როცა ძინავთ, არ ფიქრობენ... მან ერთხელ მითხრა: „აღბათ მე არც არასოდეს მოგვევლები, რადგან მკვდრები არ ფიქრობენ . ... ერთხელ მან მითხრა, რომ ის უკვდავი იყო...
31. მე უარყოფთ მხოლოდ ჩემს თავს. ეს არ ენება ჩემს ლექსებს. მე უარყოფთ მხოლოდ ჩემს თავს, რადგან მე მე არ ვარ, მე ჩემი ლექსები ვარ...
32. სხვებს სხვა თუ ერთი?... პოეზიაა ქრისტეც, რუსთველიც, გრანელიც...
33. მე არავინ და არაფერი ვარ, პოეზიის გარდა...





კახა ბაციკაძე

### ფიქრების წიგნი

ჩუმად ჩამოდგა სივრცეში ღამე,  
 მოდის ფიქრების მწუხარე რიგი,  
 უშენოდ ყოფნა ჰგავს იმგვარ რამეს,  
 ფრენდე და ზეცა არ იყოს ირგვლივ.  
 გული იმსხვრევა, გული ბროლია,  
 დრო ნისლებივით პირქუშად მიდის;  
 შენ ხარ ლურჯო ზღვა, მე ვარ თოლია,  
 და მხოლოდ ზღვასთან ვიქნები მშვიდი.  
 ისევ ჩავეყვები გრძნობათა ხევებს;  
 ღამენათევი ვინ შემიტაროს?  
 მერე აკრეფენ ღამის ნამსხვრევებს,  
 რომ არ გაეჭრას ფეხი სამყაროს.  
 თმებს რომ გაგიშლის-ლექსის ქარია,  
 შენ მე მამბრუნებ ჩემს შორ წარსულში,  
 სადაც მოისმის „ავე მარია. ...  
 ისევ ჩამოდგა სივრცეში ღამე,  
 ისევ იშლება ფიქრების წიგნი;  
 უშენოდ ყოფნა ჰგავს იმგვარ რამეს,  
 ფრენდე და ზეცა არ იყოს ირგვლივ...

### გულიდან

მე დაჭრილი ვარ, და მდის გულიდან,  
 დაუსრულებლად, შენზე ლექსები;  
 ამ პოეტური სიყვარულიდან  
 ალბათ ვერასდროს ვერ დაგეხსნები.  
 და ხარ ოცნება, და ვარ პოეტი,  
 თვით მზის სხივივით, მზერას, სჭირდები;  
 გრძნობის ძალამ რომ სულ არ დამნაცროს  
 ტრფობას ლექსებით შევეჭიდები.  
 მე დაჭრილი ვარ, და მდის გულიდან,  
 დაუსრულებლად, შენზე ლექსები....







სერგი ლომიძე

## მზე-პოეზია

მზე იწვის ნელა, ის კვდება მთებში,  
მზე კვდება, სულში სინათლე ჩადის,  
იგი გადადის აღარაფერში,  
და მაინც-მზეა მიწიდან ცამდის.  
რალა თქმა უნდა, მოვა აღდგომა,  
და არგანდგომა სივრცეთა ბილიკს  
ისე უხდება, ვით ლურჯი ლოცვა  
ან-ნაბიჯები ზაფხულის წვიმის.  
მზე კვდება, კვდება, არ გეყურებათ?!  
გული კვდება და არ არს საშველი!  
თუმცა საშველი არის სასრული,  
და კვლავ საწყისი, კვლავ განსაცდელი!..  
ხომ შეიძლება-მზე არის ღმერთი,  
ხომ არის იგი კაცი ჯვარცმული;  
ცამდე ასულა მთის მწვანე ფერდი,  
როგორც გოლოგოთა და დასასრული.  
ხომ შეიძლება უნდოდეს არცრა,

და იყოს როგორც მხოლოდ იდეა,  
ხომ აიტანა ცხოვრება-ჯვარცმა,  
ცა, ხომ თქვა მასზე: ღმერთი-ქრისტეა...  
ისმინეთ, მთებო, ცის ლურჯი ლოცვა;  
სინათლის ფერებს ჩვენ ვმღერით მერე;  
დაუნატია კოსმიურ მოცარტს  
ყველა სიკვდილის სიმშვენეიერე...  
ხომ შეიძლება მინდოდეს არცრა,  
ხომ შეიძლება რომ სისხლით ვწერდე,  
ჩემი ცრემლები სტრიქონში გავცრა,  
ვიცოცხლო მხოლოდ სიკვდილის შემდეგ;  
ხომ შეიძლება შეშლილი ვიყო,  
ჩემს უაზრო გზებს თვით გამართლებდე,  
რომც სიყვარული არსად არ იყოს,  
მზე მაინც მუდამ სიყვარულს მზერდეს,  
ხომ შეიძლება, რომ პოეზია  
ღმერთის სახელად გადიქცეს შემდეგ....

### უანძილობა

...მანძილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს,  
 მანც ხომ დაიტევს უდაბნოს (და ფიფქებს)...  
 მერე ჩემს ცხოვრებას ვილაცა გადაწერს...  
 მთავარი სხვა არის,-გული არ ჩამიქრეს!  
 მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის ხმაურში  
 როგორ იღუპება მძივები ვარსკვლავთა,  
 ვიცი,-გადავეფი დიდ აურზაურში,  
 საუკუნენი კი არქივებს ჩაბარდა...

ალბათ დამივიწყებ. მე დამივიწყებენ.  
 ჩემი უკვდავება დავიწყებაშია.  
 ხომ ზოგი სიცოცხლე ტყვიათ წყებაშია...  
 და მე მიხარია რომ დამივიწყებენ.  
 გავქრები, როგორაც ვარსკვლავნი ქრებიან,  
 მერე ლეგენდები შენს გულზე დაწერენ,  
 რომ უღიადესნი არ იკარგებიან,  
 რადგან უსიტყვოდაც სტოვებენ ნაწერებს.

ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ სხვა სიტყვებს,  
 ვით უთქმელ თაჯ-მაჰალს ან მთვარის სონატას,  
 მაშინ, შეიძლება, ეს ხალხი გაგიგებს,  
 მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს,  
 სადაც ზღვის ტალღები ევერესტს ასკდება,  
 სადაც სიყვარული ღმერთებად ფასდება!...  
 მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუძნერ იმ ველებს,  
 სად სეტყვამ წაშალა ტალღები ყანათა.  
 მე ვუძნერ მონასრტებს, რომელთაც აბერებს  
 ის, რომ ადამის შეილთ სიბნელე წარმართავს.  
 მე ვუძნერ დაცემას საკუთარ ბედისაც,  
 (ზეცის ფერფლს შეერთვის გემები ღრუბელთა),  
 მაგრამ ვგრძნობ,-მეფე ვარ, ახლაც რომ მეღივსა  
 ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ!

არა ღირს განსჯანი მოგება-წაგების...  
 გზა ჩემი ჯვარია, ცამ ასე ინება...  
 ემაგ შენს მზერიდან ვარსკვლავთა თაღები  
 თუკი ინებებენ ცრემლების დინებას,  
 მაშინ არ ვინანებ, მაგრამ... ზღაპარია...  
 ყოველ შემთხვევაში,-ცდა ჩემს დავიწყებას...

მაგრამ პოეზიას მანც აბარია  
 მთვარისფრად ელვარე სულის გასივრცება.  
 იქ, ზეცის გუმბათში ,განცდა მზისებრია,  
 და ანგელოზები გასწვევენ ამქრობას...  
 გული ჯვარცმულია, სული ბისეია...  
 მე მანც შეგძელი მანძილთა გაქრობა!...





ნანა ნოზაძე

### არ დაიმცირებს

არ დაიმცირებს, თავის თავს ხალხში,  
ბევრჯერ ჭკვიან კაცს თურამის თქმა სურს,  
გაბრუნდება და როს მივა სახლში,  
ღმერთს შეავედრებს, ბრყვესა და თუქსურს.

### არ ღაბერღები

მინდა ვიხილო ჩემი სამშობლო,  
აყვავებული ლაღი,  
გაბრწყინებული, და მშვენიერი  
როგორც ედემის ბაღი,  
და ამ ბაღნარში ცხოვრობდეს ჩვენი,  
შვილთაშვილები ბევრი.  
და საქართველოს შემონატროდეს  
მსოფლიოს ყველა ერი,  
თუკი ვიხილავ ამ ჩემს სამშობლოს  
აღორძინებულს ჩქარა,  
არ დავბერღები! არ დავბერღები!  
არ დავბერღები არა!



### ბავშვი აღსაზრდეთ

ენის ღობეა, ბაგე და კბილი,  
სახლის პატრონი გასაღებია,  
ბავშვი აღზარდეთ თოთო და ჩვილი...  
მე მათ აღზარდაში დამღამებია.  
შეგვებებივარ დილის პირიმწესს,  
მიფუსფუსია დღითა და ღამით,  
და თვალი როცა მიმიღუღია,  
დამისვენია სულ ერთ წამით,  
ასეთი არის აღზრდის მეთოდი,  
დეღამ არ იცის რა არის ძილი.  
თუგინდა ბოლოს რომ გაიხაროთ,  
ბავშვი აღზარდეთ, თოთო და ჩვილი.

## გულისტქმა

ვერა გავიგე ამ ხალხის,  
რითა ვარ სხვაზე ნაკლები,  
ვერაფის გაფაგებინე,  
ამ ჩემი გულის ნადები,  
ახლა ლექსა ვწერ გრძნობებით,  
ლექსი გულისტქმას გამიგებს,  
გაიფურჩქნება ის ჩემში,  
ჩემს გულში ბედეს დაიდებს.  
ჩემს ლექსს პოეტი მიხვდება,  
ზოგიც დამცინებს მაგანი  
თუ ერთი ლექსით შემოვრჩი  
აი, ესაა მთავარი.

## ნიავი

შეგიმჩნევიათ? ღამეში,  
ხეების დიდი აჩრდილი.  
ხის ქვეშ მოხუცი მთვლემარე,  
ძინავს ჯაფისგან დაღლილი.  
ის ზეცის ბინადარია  
მდარაჯობს დღითა და ღამით,  
ძინავს მას, განა მკვდარია?  
წასთვლიმა ერთი წამით.  
ოდეს მეც ცათა სიავარ.  
მაგრამ სულ თქვენთან ვიქნები,  
წავალ იქ, მეც დიდ სოფელში,  
კვლავ თქვენში გარდავიქმნები.

## ჩემი სამშობლო



სამოთხეა, საქართველოს ბუნება,  
ფერთა გაბა, ურთხმელი და გვირილა...  
ჩემი მხარის სიო მესალბუნება,  
მეფერება ჩემი შლეგი ყვირილა.

### ბავშვობის ნღები

წარსულის დღეებო,  
მიყვარხართ ძალიან,  
თუკი მახსენდებით,  
რა ჩემი ბრალია.  
ბავშვობა ყოველთვის  
გრძნობებით მთვრალია.  
ჩემი იმერეთი სამოთხის თვალაია.

### მამულო

შენ ჩემო მამულო, მთიანო, ქვიანო,  
მზიანო, ცვრიანო, მუდამ მტრიანო,  
და... მადლიანო.



### ნეტავ ერთი დამანახა

ნეტავ ერთი დამანახა,  
რა თუნჯი აქვს ბუნებას.  
ასე ნაზად რომ დახატა,  
ტყეც რომ შებუღებულა.

შემკულია ნაირფერით,  
წიფელი და მუხნარი.  
შემოდგომით ლამაზია,  
ლიჩიცა და მუხრანიც.



### სკინდორი

შენს ქვიან ბილიკებს,  
სიზმარში გნახულობ...  
რა სითბო გქონია,  
რა სითბო რამხელა  
ჩემი მეგობრობის,  
ბავშობის ზაფხულო.  
მომენატრე და გაფხედე  
გამხელა,  
ფიქრებით მოვიარე  
ტყეები მინდორი,  
მუდამ ლამაზია  
სოფელი სკინდორი.

## ჩემი ცოცხები



თაიგულში ჩავაქსოვე,  
ჩემი ქორთვა სამი ტოტი...  
საქართველოს გაუნარდე,  
ნიჭიერთა ნატურმოტი,  
ხეთა ტოტმა გამოისხა  
ექვსი კოხტა ნორჩი ყლორტი.

ცამ პირბადე ჩამოიხსნა,  
და მონათლა ყველა ტოტი.  
დაანათლა სიყვარული,  
ერისა და მოყვასისი,  
ობლის ჰქონდეს სიბრალური,  
არ აიღონ ოქროც სხვისი.

## მოთბინება

თუ გინდათ ჰქონდეს სიმშვიდე  
უნდა აკეთო სიკეთე,  
ღმერთმა თუ გინდა გიშველოს  
სხვის კენაც გადაიხედე,  
პირი წყალით არ აივსო,  
პირსაც მონადე სარქველი,  
თუ გინდა რომ იმანსო,  
მტერს პირში უთხარ სათქმელი.

ციცო

ვუძღვნი ჩემს გარდაცვლილ  
დის სწორ რბალს ცისანა კაპანაძეს



წლები გარბიან შეუჩერებლად  
და არ ნელდება ფიქრები შენზე  
მსურს ჩემი ლოცვა შენს სულს რომ მისწვდეს  
მინდობილ გვეყვებართ შენ უფალ ღმერთზე.  
ჩემო ციციო გვიყვარხარ ძლიერ  
იმაზე მეტად შენ რომ გვონია,  
გივონებთ ხშირად და გვენატრებით  
რა მოთმინების ძალა გექონია.  
სულ აღარ გვინდება შენს სახლში მისვლა,  
რაც შენ წახვედი, ცრემლი გაგვიშრა,  
არ გვეგებები ზღურბლზე სიცილით  
და სინარულის განცდა გაგვიქრა.  
მჯერა, ზეცაში, სამოთხეში ხარ,  
ბინა დაიდე ანგელოზებთან,  
შენ ჩვენთანაც ხარ, ჩვენს გულში ცოცხლობ,  
სადაც ჩვენ ვზივართ, იქ შენც ხარ ყველგან.  
ჩვენ აქ გლოცულობთ დაიკო შენთვის,  
ღმერთს ვევედრებით ყოველდღიურად,  
რომ შენი სული იქ იყოს მშვიდად,  
სასუფეველში მარადიულად.









ლეილა ვადაჭკორია

\*\*\*

ბევრი რამ კარგიც ყოფილა  
ზოგს არაუშავს, რაც არი  
ცუდიც ვიპოვე, ღმერთმანი  
სულ გადავქექე ნაცარი.  
უაზრობასაც წავაწყდი  
ვგრიხე და ვგრიხე ბაწარი,  
არც რწყილი არც ჭიანწველა  
ტყუილად შემჩნა წანწალი.  
წარსულს ვინ შეცვლის, რას ვიზამ  
კარგიც და ცუდიც სკივრშია,  
ღმერთო, შემინდე ცოდვილი  
გულზე თუ ტვირთი მკილია.

\*\*\*

ხანდახან გიტარაც ტირის  
ამინდიც ტირის ხანდახან,  
შენი ტირილის მიზეზს კი  
უაზროდ ვდიე კვალდაკვალ.  
ვაზის ცრემლების გავიგე  
ღრუბლის ცრემლებად დენაცა,  
შენი ცრემლების არ მესმის,  
არ მესმის, რა ვქნა გენაცვა.  
აღბათ კარგად გაქვს დაცლილი  
რას მერჩი მაინც არ ვიცი,  
ისიც მეყოფა ამ ქვეყნად  
რამდენ ნაღდ ცრემლებს განვიცდი.

\*\*\*

ჩვენ ერთი სახლის ვართ ბინადარი  
ერთი სასახლის კარიბჭის მცველი,  
ვარსებობთ ერთად ორი არსება  
მე ვხატავ, შენ კი არიებს მღერი.  
მე ჭირში შენი გვერდით დგომა მჭირს,  
შენა ხარ ჩემი ღმერთის დამცველი,  
და ასე ერთად სიმშვიდის კედელს,  
ვაშენებთ ჩვენი ორი მარჯვენით.  
ქარს აუშლია ახლა აფრები  
და ტალღებს დიდი რწმენით ვეწვევით,  
არც ქარისხალის შიში არ გვზარავს  
ერთ ნავში ვზივართ უფლის შეწვევით

\*\*\*

ღმერთი სულ გადამავიწყდა  
მომსწრეს ამდენი სიავის,  
მამულო ღია ჭრილობით  
მოუშუშებელ იარით.  
ვართ მოლოდინით ყოფაში  
რომ სამართალი დადგება,  
არც ცეცხლი და არც მახვილი  
მშვიდობიანად ღამდება.  
მშვიდად ბიბინებს ჯეჯილი  
ვაზი ყვავილობს ჯვარისა  
სიკეთე აღარ მიკვირს და  
სიყვარულს ვძერწავ ჯვარისგან

\*\*\*

მოსაღამოვდა სველი ტერფები  
ტოვებენ ნაპირს,  
აქა იქ კრთიან სილუეტები  
ღამის ჩრდილებად,  
ტალღები ისევ გადაუვლის  
კენჭებს გულგრილად,  
თითქოს ნახატი გადაჯღაბნა  
ბავშვის თითებმა.





ნიკო ბალაშვილი

### თეთრი ქარავანი

თეთრ ქარავანს დავედევნე,  
 თეთრი ბიჭი თეთრონით,  
 განა ბევრი საქმე მაქვს და  
 ღროის მოკვლით ვერთობი?  
 მინდა ვნახო თეთრ ქარავანს,  
 ვინ მართავს ჩვენს მხარეში,  
 რეჟისორის კუთხით ვუმზერ  
 ამ ყველაფერს თვალეში...  
 თეთრ ქარავანს, თეთრი რაშით,  
 სულ ბოლომდე გავყვები,  
 საქორწილო ეტლი მიჰქრის...  
 ხორხოცობენ მაყრები.  
 გაძლიერდი ჩემი ქვეყნის  
 ამერო და იმერო,  
 დღენი გგქონდეს ყველას, ყველას,  
 მუდამ საბედნიერო!!!



### სულ თქვენზე ვფიქრობ

ვერ მოვისვენე ვიწრიალე,  
 მერე ავენთე,  
 შენი ხმა ტკბილი, ჩემს  
 ბავშვობას შემორჩენია,  
 გართმული ვარ ვარკეთილის  
 ლამაზ უბანში,  
 ტკივილსაც ვიტან,  
 მე სხვა გზა ხომ  
 არც დამჩენია.

კვლავ მახოდებენ გარდასული  
 ფიქრის გორები,  
 წუნკალ სხეულსაც ცივ კედლებში  
 ჩასძინებია,  
 რად მახრალებენ რომ პოეზიით  
 ვარ გათანგული.  
 საინტერესო, მგონი,  
 არც რა დამიწერია...  
 უბრალოდ ვცხოვრობ,  
 ხან ვხალისობ,  
 ხან ვიღიმები,  
 აღარ ვხარხარებ, რადგან  
 კბილები ჩამომცვენია,  
 ღროს ვუმკლავდები, გოლიათურ  
 დევების ხელში,  
 საწყალ კაცს მეტი  
 რა დამჩენია.

წლები გადიან, გულს მიკორტნის  
 ხშირად იარა, ხან მზეს შევხარო,  
 პორიზონტზე, ხელეებს რომ  
 მითბობს,  
 ოქროს გული მაქვს,  
 ვუფრთხილდები,  
 წყენას ვარიდებ,  
 თქვენ შემოგვევლეთ,  
 მიყვარხართ და სულ  
 თქვენზე ვფიქრობ!!!



მანანა ზაზიკაშვილი

### დრო მიდის

აღარ გამიზბის საჭმლისკენ თვალი,  
არც საჭორაოდ არ ვიღლი ყურებს,  
დრო მიდის ნელა, აღარც მე ვჩქარობ,  
ახალი წლის და თქვენი შემყურე...

### გილოცავ დაბადების დღეს!!!

ნონა კობლატაძეს

ლამაზად მორთულ-მოკაზმულს,  
სახეზე ღიმილმოფენილს,  
მშრომელს, თავმდაბალს, უზადოს,  
გურიის მხრიდან მოტრენილს,  
თვრამეტ დეკემბერს გაჩენილს...  
შენ დაგელოცოს გამჩენი!!!  
თბილისში ჩამოსახლკარდი,

აქაც გიქებენ მარჯვენას,  
იხარე, იბედნიერე,  
თვალმახარამ და გამრჯემა!!!  
დაბადების დღეს გილოცავ,  
მრავალჯერ გადაგეხადოს,  
ქმარ-შვილთან, შენს ახლობლებთან,  
სახეგაბადრულს გეხაროს!!!

### ნუთუ

ნუთუ ცხოვრებამ ისე უნდა  
მომიღოს ბოლო,  
რომ ვერ გავიგო, მე ამ  
ქვეყნის თავი და ბოლო,  
ნუთუ ამჟამად ყველაფერი  
ახლა რაც არის,  
ათასწლეულის შემდეგ  
უნდა გახდეს ნაცარი.  
ნუთუ სამყარო ასე  
ძნელი სამართავია,  
თუ აღარ არის  
ქვეყანაზე სამართალია.

### მიყვარხარ ჩემო ქვეყანა

ყველგან ლამაზი მხარე გაქვს,  
აჭარაა თუ ლაზეთი,  
მიყვარხარ ჩემო ქვეყანა,  
როგორცა ხარ ასეთი.  
ორბების საბურღებით და  
დაუნოგავად ნასეტყვი,  
ჩემს შვილთაშვილებს, მეჩემისში,  
ნეტავი ჩემზე რას ეტყვი?!





გურამ ჭავჭავანიძე  
Гурам Чавчанидзе

### ქართულ გენს

აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე,  
აღარც ერეკლე, აღარც ილია,  
ქართულო გენო, იმძლავრე, თორემ  
ლამის იმედი სულ დაილია!

### აშოძისი

ნეტავი სულაც არ მეოცნება,  
დარდი გულიდან აღარ გადამდის,  
როგორ გაცუდლა ყველა ოცნება,  
ნიკოტსიიდან დარბუბანდამდის!  
ვაგლახ, ვერა და ვერ ვიდავითეთ,  
ვინ იცის, კიდევ რა მოგვენატროს,  
იქნებ ენგურსაც ვერ გადავიდეთ,  
ვერ დავაქუხოთ ლილე ვერასდროს.

ასე უველიათ, განა, წინაპრებს?  
ცას შეჰღალადებს სული ათასთა,  
ვინ იცის, იქნებ იმათ ვინატრებთ,  
რომელთა ღვაწლი არც კი დაფასდა.  
როგორ მინდოდა, რომ დამეფიცა,  
სისხლი, რომელიც გულზე გადამდის,  
სამშობლო, ლამის მითად რომ იქცა,  
ნიკოტსიიდან დარბუბანდამდის!

### დიდი მგოსნის გახსენება

ეძებდი, თანაც ჰკვირობდი:  
„ვერ ვნახე, დაკარგულიყო,“  
გულამოსკენილი სტიროდი:  
„სადა ხარ, ჩემო სულიყო?“  
საქართველოში სულ იყო  
ძებნა სხვა საქართველოსი,  
მაგრამ, ვაი, რომ სულიყო  
არც დღეს ჩანს საქართველოში.  
სხვა საქართველო კი არა,  
რაც იყო ისიც დაგვარგეთ.  
მიტომ მაქვს გულში იარა,  
ქვეყანა რომ ვერ განვკარგეთ.

„ღრუბლებში ამაღლებულა,  
როგორც ოცნება კაცისა“,  
მაგრამ ვერ გალაღებულა,  
არც მიწისაა, არც ცისა.  
შენი დაფი და ნაღარა,  
თუმიცა კვლავ უხმობს გმირებსა,  
მაგრამ რომ სჩანან აღარა,  
მიტომაც ულხინთ ვირებსა.  
მიტომ ვართ დღესაც უმიუხტო,  
დღესაც გვდის ცრემლი ცხარეო,  
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმიუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო“ .

### ქართველ ჯადოებებს

ჯალათებო, ლათში ნუ სვრით ლამაზ ქართულ გვარ-სახელებს,  
თორემ მალე მოვა დრო და მოგეზღვებათ მისხლით.  
სადა ჰქონდათ დიდგორელებს, მარტყოფელებს, არაგველებს  
ნაძირალა ქართველთათვის დასაღვრელი სისხლი?

\* \* \*

ნუთუ ძნელია იმის დანახვა,  
იმის გაგება, რაც ჩვენ თავს ხდება?  
ქართველო ხალხო, ბრმა ხომ არა ხარ,  
ყრუ ხომ არა ხარ, რა გეძარტება?

რამ „დაგაჩმორა“, რამ დაგაკნინა,  
ალარც ძალა გაქვს, ალარც მორალი,  
ეგ სისხლი მაინც რამ გაგიყინა,  
„ნადიდგორალი, ნაშამქორალი?!“

\* \* \*

ჩვენით გვჭირს, რაც გვჭირს, ხალხო ქართველო,  
ვერ გავარჩიეთ მტყუნ-მართალი,  
მიტომ ცოდვილობს დღეს საქართველო,  
ცხინვალ-აფხაზეთიამონათალი.

\* \* \*

ბედოვლათობა თუ გავაგრძელებთ,  
შავი თუ თეთრად მოგვეჩვენება,  
მარტო ენები თუ წავაგრძელებთ,  
ასე არასდროს არ გვეშველება!

### თავისუფლება

დიდებულია თავისუფლება,  
მაგრამ ყველაფრის არ გვაქვს უფლება,  
თუ ვუღალატეთ საკუთარ რწმენას,  
რჯულსა და ადათს, მამულს და ენას,  
თუკი დავკარგეთ ღირსების გრძნობა,  
კაცურკაცობა, გატანა, ძმობა,  
სულ უცხოეთით თუ ვართ გართული,  
თუ აღარ შეგვჩნა სული ქართული,  
ვერც ვიდავითეთ, ვერც ვითამარეთ,  
ძველი დიდებაც დავასამარეთ,  
განა ეს არის თავისუფლება?  
არა, ამისი არ გვაქვს უფლება!

თავისუფლება ის არის, განა,  
რომ გაიყიდა მთელი ქვეყანა?  
რომ ავკაცების არის ზეობა,  
ყვავის სიბილწე და უზნეობა.  
თუ „ბედნიერი ერი“ ვართ ისევ,  
ყველა სიკეთე თუ გავასხვისეთ,  
ყველა სიწმინდე თუ დალაქდება,  
ასე ქვეყანა არ დალაგდება.  
და უგმირებოდ რომ „არ გამოვა“,  
განა ეს ძნელი მისახვედრია?  
თავისუფლება თვითონ არ მოვა,  
თავისუფლება გმირთა ხვედრია!

### არდაჩოქიდ საქართველოს!


ჯერაც ქართულ მზეს და ზეცას, მთას და მდელს,  
იმ ნაღდ ქართველს, ვინც ერისთვის დაიხარჯოს,  
უღალატო, უჯალათო საქართველოს,  
არდაჩოქიდ საქართველოს გაუმარჯოს!





უშანგი მოსიაშვილი

# არაგველებს



ბიჭებო, არაგველებო,  
 მთიდან მოხვედით ბარადა,  
 მტერს დაულეწეთ ფარ-ხმალი,  
 დიდგორს, შამქორს და მარაბდას...  
 ასმა ათასმა გაწყვიტეთ!  
 მინდა, თქვენზე ვთქვა ბალადა,  
 თქვენ შეაკალით მტერს თავი,  
 მტერი დაიბნა თავადა.  
 მხოლოდ სიმრავლით გაჯობათ  
 მომხდურმა ქართველ რაინდებს,  
 თორემ ვერ დაიკვეხნიდნენ,  
 რადგანაც აღარ დაინდეთ.  
 თქვენ ვაჟკაცობამ კრწანისში  
 ქართველთ გაუთქვა სახელი,  
 მაგრამ მშობლიურ არაგვში  
 ვერც ერთი ველარ ახვედით.  
 თქვენმა სულებმა სამშობლოს  
 მთლად მოაფინა ნათელი,

თქვენ სადიდებელს მარადჯამს  
 ყოველთვის შესვამს ქართველი.  
 ბიჭებო, არაგველებო,  
 დღესაც გვინარებთ გულსაო  
 ჩვენ დანთებული სანთელით  
 თქვენ გაგინათებთ სულსაო.  
 ბევრ ცოცხლებს დიდად სჯობინართ,  
 ბევრი გვაქვს თქვენზე სათქმელი,  
 არ დაგივიწყებთ სამშობლო  
 სანამ იქნება ქართველი.  
 ნეტავ რა დედამ დაგზარდათ,  
 ვინ დაგილოცათ გზა-კვალი,  
 ვინ გადაგავლოთ არტახი,  
 ვინ დაგიწიათ აკვანი.  
 ვაი, იმ დედების ყოფას  
 ვისი შვილიც რომ გპირია,  
 მაგრამ ის დიდი გპირები  
 სოფელში ველარ ივლიან.

### რაცომ აჩქარდა წუთისოფელი

რაცომ აჩქარდა წუთისოფელი,  
 დღეები სწრაფად გადის,  
 ბევრი უჯიშო და უგუნური  
 მაღალ კვარცხლობეკზე ადის.  
 მიხედ-მოხედვას რომ ვერ მოასწრებ,  
 კვირეები ისე გადის,  
 ბავშვიც ესწრაფის წუთისოფელსა,  
 ცხრა თვისა უკვე დადის.  
 ეტყობა, მიწაც ჩქარა ტრიალებს,  
 კაცი მთვარეზე ადის,  
 უნდა რომ უფრო დიდხანს იცოცხლოს  
 ამას იმიტომ სჩადის.  
 ეტყობა, ღმერთსაც გაწყინეთ რამე,  
 რომ ჩვენთან აღარ დადის,  
 თუ დააკვირდით საქართველოდან,  
 ყველა მეორე გადის.  
 თუ არ მოვედით მალე ჭკუაზე  
 და არ ვიწამეთ ღმერთი.  
 ალბათ, დარჩება ამ ქვეყანაში  
 გიჟი და თანაც ერთი?!

### საქართველოს გასაქირი


უბედური ხარ შენ, საქართველო,  
 რომ არ გელირსა კარგი ცხოვრება.  
 უცხო მტრისა თუ მოყვრის ჭიდილში –  
 არეული გაქვს მუდამ გონება.  
 არ ვიცი, ასე რად გტანჯავს ღმერთი,  
 შენ ხომ ამ ქვეყნად ხარ ერთადერთი,  
 შენებრ ლამაზი და სათაყვანო  
 მე არ მინახავს სხვაგან არც ერთი.  
 მუდამ ჭიდილი და კინკლაობა  
 ჩხუბში იმარჯვებს ყოველთვის ერთი,  
 იქნებ შევიკრათ და გავმთლიანდეთ  
 და ჩაერიოს ამაში ღმერთი.  
 ასეთი ქცევით თითოკაცობით  
 ჩვენ ჩვენ ქვეყანას დავასხით რეტი,  
 ქვეყანას ვანგრევთ, კი არ ვაშენებთ  
 რა გავაკეთეთ ამაზე მეტი?

### სიზმრად ვნახე საქართველო

სიზმრად ვნახე საქართველო,  
 ცრემლის ზღვაში ბანაობდა,  
 მის ტალღებზე ურჩხულივით  
 დიდი გემი ქანაობდა.

მახლობლად კი იქვე გვერდით –  
 რუსის ჯარი ნებივრობდა.  
 ეს შენიშნა დიდმა მეფემ –  
 დავით აღმაშენებელმა,

ახოვანმა, გონიერმა  
 ქართველთ დამამშვენებელმა.  
 ყველა კინწისკვრით ისროლა,  
 საზღვრების იქით გადარეკა.



და შეშინდა რუსის ჯარი,  
 რომ შეიგრძნო ქართველთ ძალა,  
 არც არასდროს მოუნდებათ  
 ოკუპანტებს აქეთ გავლა.

1609 წელს ჯერ სხერთის ჭალასთან კასპის რაიონში და შემდეგ ტაშისკართანაც გაანადგურა სააკაძემ ოსმალთა 60 ათასიანი ჯარი ქართველთა 10 ათასიანი ჯარით.

## ცაშისკარი



გიორგი აბა რა დაგვაფიწყებს  
სხერთის ჭალასთან შენ ნამოქმედარს,  
შენ ვაჟკაცობით შზე დაუბნელე  
სამტროდ შემოსულ უამრავ მხედარს.  
გზა გაუმროდე, სხვა მხარეს ვლიდნენ  
და შენს მხედრობას მალ-მალ სთელიდნენ  
მალე შეგროვდა ქართული ჯარი  
ეს უკვე მტრისთვის სიკვდილის დარი.  
შენ ვაჟკაცური გამბედაობით,  
შწორად განჭვრიტე ბრძოლის რაობა.  
მტერი შეშინდა, შედრეკა უდრეკი  
რა ნახა შენი გამბედაობა.  
ტაშისკარს შედგა, ეყო მხნეობა,  
რომ აიცილოს ჯარმა ტყვეობა,  
მთლად გაამაგრეს ტყე და ველები  
არ დაგვიტოვეს მისასვლელეები.  
შენ არ აჩქარდი, თავს არ დაესხი  
და საიდუმლოც არაფის გაეცი.

მტერმა იფიქრა, რომ მზად არ იყავ  
ბრძოლის ველიდან რომ ჯარს გაიყვან.  
ოსმან თაშას ამ ფიქრებმა,  
გული ცოტა გაუმაგრა,  
მაგრამ მისი ჯარისათვის  
ამ ამბავმა არ ივარგა.  
სააკაძის სწორმა გეგმამ  
გასჭრა ისე ვით მის ხმაღმა,  
ორმაღთ ჯარში იგრიალა  
ქართველთ ჯარმა ვით გრიგალმა.  
დაბნეული და შეპკრთალი  
განადგურდა ოსმაღთ ჯარი.  
ტაშისკარის მიღამოებს,  
ეტყობოდა სისხლის კვალი.  
ბრძოლის შემდეგ მათ მებრძოლებს  
ყველას მძიმე დაღი აჩნდათ,  
სამშობლოში ამბის მთქმელი  
მათ არაფინ აღარ დარჩათ.







მზეგული ტყეშელაშვილი

### განუცლელი აძნელა

როს დამათოვს თმებში უხვად,  
არ მინდა, რომ ვიყო უქმად,  
არ დავიკრებ გულზე ხელებს,  
მოვესწრები ამას მეტრეც.  
გულს მიხარებს სამი ყლორტი:  
ერთი მამრის, ორი მდედრის,

და მისიის შესრულება –  
დედამთილის და სიდედრის.  
ისიც მინდა გამოვცადო:  
ნეტავ, რას გრძნობს ბებო, ამ დროს  
როცა მისი შვილიშვილი  
ბებოასთან ყოფნას ნატრობს!

### როცა გნახავ!

დედით და მამით ავნეველს,  
ღმერთმა გაშოროს სიავე...  
გუარავდეს წმინდა გიორგი,  
სულ კეთილ გზაზე იარე.  
სამაჩაბლო გენატრება,  
ვერ ელევო ცხინვალს, ავნევს,  
როცა გნახავ, მოგიყვები,  
ლტოლვილების ახალ ამბებს.

რომ იცოდე, ჩემო კარგო,  
სიზმრად გნახე და... მეამა,  
ზუსტად იქვე, სადაც ფრონეს  
უერთდება „მტილიანა“.  
მინდა მალე დაგინახო,  
შეგვეწიოს უნდა ღმერთი,  
ფრონეს გაღმა მამული გაქვს  
და გამოღმა – დედულეთი!

### ჩემი რაში

გასრიალდა ძველი წელი,  
დრო რა სწრაფად გავიდა,  
ჰოდა, დარდიც გავაყოლე,  
განსენებაც არ მინდა!  
და, ახლის მოლოდინში,  
გამოვსულვართ ყველა კარში,  
აბა, ცხენი რის ცხენია,  
თუ დაგტოვა შუა გზაში!  
ჩემი რაში, ბედაური,  
ნახედნია – არა კვიცი,  
შემისვამს და გამაქროლებს  
სამოთხისკენ, მჯერა, ვიცი!

### იმ სახლის

შემოდარცვია ხეებს ფოთლები,  
ქარი გაჰკივის სულ ბოლო ხმაზე...  
სახეს არ გიჩენს კაშნე ზღვისფერი,  
როგორც აჭარელ „ქალას“ პირბადე.  
მერე... დაათოვს ჭალას ლელიანს,  
ამოივსება თოვლით შარავნა,  
მოგენატრება... და მერე როგორ!  
შენთვის ძვირფასი სახლის დანახვა.  
ზამთარს აჯობებს კვლავ გაზაფხული,  
ფერი იმძლავრებს ისევ სიმწვანის,  
რაც უნდა გული მოგიღბოს სითბომ,  
არ მოგასვენებს დარდი „იმ სახლის“!





შალვა ილურიძე

70 წლისაღმე მიძღვნილ საიუბილეო საღამო ზე ყვარელში  
მღეკეძბერს 2016 წელს “ილია ჭავჭავაძის” სახლ მუზეუმში...

### ქსანზე ღარჩინილი ჩემი ოჯახი

როგორ არ მინდა მერცხლის გარეშე  
ღევილს მესტუმროს ღღეს გაზაფხული,  
ის ხომ მაცნეა მაისის თვისა,  
მე უმეგობროდ ვარ დაზაფხული...  
მერცხლის მოფრენამ ღღეს მაგრძობინა,  
სტუმართ მასპინძლის ქართული წესი.  
გამითბა პაპას ბებერი ძვლები,  
თვალშიც მომეცა მზის სხივის კეესი..  
ვიცი ამ წელსაც აღარ მოვკვდები,  
ღევილობაში, უზომოდ მიჰქრის.  
მერვე წელია სახლ-კარი ჩემი,  
ტყვე გახდა ბოლში, დარღის და ფიქრის..  
მაგრამ მერცხალი მშვიდობის მაცნე,  
მოფრინდება და მოსძებნის ბუღეს.

ახმიანდება ჩემი სახლ-კარი,  
მშვიდობის მაცნე რომ გახსნის ზღუღეს..  
ჩემი მერცხალი ბუხარს დაანთებს,  
ჩემს ბანს, ჩემს მარანს, ეცვლება ფერი.  
ღასჩეკავს ბარტყებს, დააფრთიანებს,  
აღიღინდება ნანისლი ჭერი..  
ამით ხომ მაინც ბედნიერი ვარ,  
ჩემს სახლ-კარს რომ ჰყავს კარგი პატრონი?!  
მერცხალს არ უყვარს მოსისხლე მტერი,  
არც ოკუპანტი და არც ბატონი..  
და მეც არ მინდა მერცხლის გარეშე,  
ღღეს თბილ გაზაფხულს, გაფუგო გემო,  
ჩემო სამშობლოვ, მკერღში დაჭრილო,  
შენ მეღარღები ტკივილო ჩემო!!!



### ერის ორი ზნე „კარგი“

ერო! – ძლიერო!  
 ჩემო სისხლო და უკვდავო ჯიშო.  
 არ გადაშენდე!  
 ფესვი უფლისა არ მოიკვეთო  
 ამასა ვშიშობ..  
 ძლიერად ვშიშობ!  
 რადგან ამდენი მტრობა და შუღლი  
 ოდითგან მოგსდგავს.  
 უკუზრნებელი და მწარე სენი

დღესაც დალატობს ჩვენს ჯიშს და მოდემას!!  
 ერო! – ძლიერო!  
 ისწავლონ ჩვენგან, სხვა ტომის ხალხმა,  
 ამ დიდი სიბრძნის  
 მოვალეობა!  
 “შოთა” რუსთაველის!  
 “ილია” მართლის და  
 “ვაჟას” სტუმართ მოყვარეობა!!!

### “ცული”

ჩვენს ერში, ერთი ნიჭიერი  
 უფლის განგებით თუ გაგვეჩა.  
 ისე დავესლავთ, მოვჭრით, მოვკორტნით,  
 ერთხელ თვალსაც არ დავახამხამებთ..  
 ჩვენს სისხლს, ჩვენს ჯიგარს,  
 ღვთის ნაბოძებ სულს აუკაფავთ.  
 სადაც ჩვენ ვდგავართ

იმას ჩვენს გვერდით არ გავახარებთ..  
 სიკეთით სავსეს, ეროვნულ გვირგვინს  
 შეურყვნით მწარედ.  
 თუ კი დრო დაგვჩა,  
 მის მოცილებას ამ სამზეოდან  
 არ დავახანებთ!!!

### სადღეგრძელო დიდ გმირებს

ჩემი სამშობლო კი არა,  
 შენი სამშობლო კი არა.  
 იმის სამშობლო დავლოცოთ  
 ვინც ბეწვის ხიდზე იარა  
 ვინც სისხლით მორწყა ველები,  
 საზღვრები შუბით, ხმალითა.  
 ოშკი, ხახული ააგო  
 თავის უღრეკი მკლავითა..  
 ვინც ემსახურა სამშობლოს,  
 გონებითა და მკლავითა,  
 თეთრ რაშზე ამხედრებული  
 დარუბანდამდე გავიდა..  
 იცით?! – ვის უყვარს სამშობლო,  
 ჩვენში ყველაზე მეტადა?!

ვინც ვერ გაიღო მამული  
 მტრისათვის გასამეტადა..  
 ვინაც თავის ერს მოარგო,  
 მხრებზე ჩოხა და ნაბადი.  
 გლეხი დალოცა და მერე  
 აზნაური და თავადი..  
 გამვრცობი სარწმუნოების და  
 სვეტიცხოვლის ამგები.  
 მოჭირნახულე ერის და...  
 დიდ ბრძოლებში არ წამგები..  
 ჩემი სამშობლო კი არა,  
 შენი სამშობლო კი არა,  
 იმის სამშობლო დავლოცოთ  
 ვინც ბეწვის ხიდზე იარა!!!

## ირაკლი მათიკაშვილის


*ჩემი დიდი მასწავლებელი, დიდი ლოტბარი და  
ქართლ-კახურ სიმღერების დიდი ოსტატი  
მომღერალი*

ყვარლის მთებიდან ისმის გალობა,  
ჰანგს ვეფერები ტაო აშლილი.  
ჭონას ღიღინებს უკვდავი კაცი,  
ჩუქურთმებს გვიხვევს მათიკაშვილი..  
არ მიკვირს! – არა, ამ ტკბილი კაცის,  
ეს ხომ ილიას ფესვიდან მოდის?!  
ფოლკლორის სისხლში ამოვლებული  
მკერდში გული აქვს, ბავჯაღლო ლოდის..  
რამდენ ქართველი კაცის გულ-მკერდში,  
ჩაუთესია პაპის სიმღერა.

ყველა უცხონოს მას წინაპარი,  
ვინაც ჩაკრულო ტკბილად უმღერა..  
ვინაც ასწავლა რთული ზანგულა,  
ყელში მოხვეულს ტკბილად რომ გალობს,  
ალილოს ვუსმენ “უფლის” სიმღერას,  
ეს ჩემი გულიც ილხენს და ხარობს..  
ქართული სულის მატარებელი,  
ადრეც ლოტბარო ღმერთივით მწამდი.  
ას წელს მინდა რომ ტკბილად გვიმღერო,  
ასი წლის შემდეგ, “უფალოთან” წადი!!!

*70-წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოზე –  
ყვარელში 8 დეკემბერს 2016 წელს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.*





### ვერებს

წმინდაო “ღმერთო”,  
 წმინდაო ძლიერო,  
 წმინდაო უკვდავო  
 შენით ვარ მდიდარი.  
 გადაპირჩინე!  
 ჩემი სამშობლო!  
 ერი ძირძველი  
 მთვარის და მზის დარი..  
 ოცდამეერთე საუკუნეში  
 თავს დასტრიალებს მწარე დროება,  
 შენ ამიყვანე წმინდაო “ღმერთო”,  
 ენა, მამული, სარწმუნოება..  
 ბევრჯერ ნაომარს, სისხლში გაბანილს,  
 ვერ მოუშუშდა ძველი იარა,  
 ღვთის მშობლის ნაკურთხს, სიწმინდის მიწას,  
 შვილი უყიდის მტერი კი არა..  
 რომ ახსენდება იმ დიდ ქართველთა,  
 შრომა და ბრძოლა, მუხლ-მკლავ ხართული.  
 ბებერს, თვალს კურცხლი დაეკიდება,  
 შეუთამაშებს გული ქართული..  
 ხმლითა და ხანჯლით მოხაზა მთები,  
 სამკვიდრო მისი გაითავისა.

ფოლადით მოწნა, კარიბჭე მცხეთის,  
 ქართლოსიანთა წმინდა გვარისა..  
 დედულ-მამული უწოდა კაცმა,  
 დაჯკოცნა მთები, წყალიც, მიწაცა,  
 ბევრჯერ მოუხდა წუთით დათმობა  
 ბევრჯერ კი მტერმა სულ მიიტაცა..  
 მაგრამ არ დასთმო ვერ შეეგუა,  
 სხვისა რჯულა და ლოცვა, ზიარსა,  
 ენა მამული სარწმუნოება,  
 ელანდებოდა ღამით მძინარსა..  
 ახლა კი ღმერთო საით მიგდივართ  
 დღეს რანი ვართ და სხვალ ვინ ვიქნებით,  
 ან რომელ მიწის, ან რომელი ცის..  
 საით მიდინარ ჩემო სამშობლო,  
 ეგ საიდუმლო იქნებ გაგვინდო.  
 “უფალო ღმერთო” სულთ დამძიმებულთ,  
 ჩვენი ცოდვები იქნებ შეგვინდოთ..  
 მეორედ მოსვლას თუ მოვესწარი,  
 გულში ჩაგიკრაგ შენ ერთად-ერთო,  
 ჩემი სამშობლო, ერი ძირძველი,  
 გადაპირჩინე, “წმინდაო ღმერთო”...





ლამზირა შვეილაძე

\*\*\*

მე, ვერ მაშინებს თოვლის მოსვლა,  
ვერც ცივი საკნის ბნელი სარდაფი.  
მე, ის მაშინებს მარტო ვარ როცა  
და მეშინია შენი დაკარგვის.

### ღმერთის სჭირღებოლი აღამიანი

იესო, ჯვარზე აცვეს რწმენისთვის,  
ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა.  
იესო, დღესაც ლოცულობს ჩვენთვის,  
რომ გამოვფხიზლდეთ კაცობრიობა.  
აღამიანო, არ გახდე გულქვა,  
არ დამორჩილდე ეშმაკთა ზრახვებს.  
ყური დაუგდე სამყაროს სუნთქვას,  
თორემ ეშმაკი ბურუსში გაგხვევს.  
მუდამ გვახსოვდეს იესოს ჯვარ-ცმა,  
ჯიგარს რად სწავადა მარადი ცეცხლი.

აღამიანო, დაფიქრდი ბოლოს,  
რად გადაყარა იუდამ, ვერცხლი.  
იესომ, ღმერთის ღრმა სიყვარულით,  
შესძლო სიცრუის კერპის დამსხვრევა.  
თუ-კი მას ძალუძს დაგვტოოს გულში,  
ჩვენც შევძლოთ მისი გულში დატევა.  
იყო უკუნი, ბნელი, წყვილიაღი  
ქარი სამყაროს ზღუდეს ლეწავდა.  
ღმერთს სჭირღებოლი აღამიანი,  
თორემ სხვა რამეს გამოძიქწავდა.

### ძვირფასო ღელა

გული, ამევსო ყინვით და თოვლით,  
ღელვილი თითქოს ვერ ვდგამ ნაბიჯებს.  
საფლავთან ახლოს ვცახცახებ თრთოლვით,  
ეს, სიახლოვე უფრო მაგიჟებს...  
ვკანკალებ მცივა, ცივი ქარია,  
საფლავს დავემხე გულაჩქარებით.  
ჩემს წინ გულცივი იანვარია,  
ჩუმაღ ვქვითინებ გულ-გამწარებით.  
და მახსენდება შენი ფუსფუსი,  
ყინვით გათოშის როგორ გათბობდი.  
შენი, ნუგეშით შენი, იმედით  
და სიყვარულით რარვი მაგსებდი.

ახლა კი დავალ ყინვით დამზრალი,  
შენს იმედთან თვალებს დავეძებ.  
რა ვქნა, უშენოდ ველარ გავძელი,  
გაფაციცებით ყველგან დავეძებ.  
დავეხეტები გზა-აბნეული,  
ვითარც პატარა ობოლი ბავშვი.  
ახლა კი ვნანობ ძლიერ განვიცდი,  
რად არ ჩაგყევი საფლავში მაშინ.  
ვიცი, მე და შენ ძვირფასო ღელა,  
სულ ერთი ბეწო მიწა გვაშორებს.  
შემოგახედა ჩემს გულში ნეტა,  
მერე, საფლავში რა გაგაჩერებს.

### ზამთრით ღაღღიღი

თვალეებს მოაწყდა ნოემბრის სევდა  
 და ანუტული დგას ფანჯარასთან.  
 დათაღხულია ნისლეებით ზეცა,  
 ქარი, სიცვიით კანკალებს კართან.  
 ნისლებს სიცოცხლე უჭირავთ კბილით,  
 იცრემლებიან ღღეები სველი.  
 ხეებს ფოთლები დასცვივდა ყინვით,  
 გათო შილ ღაწვებს მისველებს ცრემლი.  
 არ ვიცი როდის გამოიდარებს,  
 გადაუღებლად ბარდნის და ბარდნის.

თოვლის მზერა მიჭრელებს თვალეებს,  
 სხეულში მკაცრი ზამთარი დადის.  
 თეთრი ქედები დგას თავდახრილი,  
 ქარი, ჩემს ფიქრებს დააწრიალებს.  
 გაზაფხულს ელის სული შიშველი,  
 ნეტავი?.. ხო მარ დააგვიანებს?  
 სივრცეს გავცქერი ნერვებ მოშლილი.  
 ყინვით დამზრალი წვანან კორდები.  
 ბაქანზე ვდგევარ ზამთრით დაღლილი,  
 გაზაფხულსა და მზეს ველოდები.

### ღიღით მზის მკვავზე ჩამოეძინა

რად, აწრიალდა ბებოს ფიქრები,  
 წლების სიმძიმე თავს, რომ უხრიან.  
 ბებოს თავისი ძველი ნივთები,  
 საგულდაგულად სკივრში უწყევია.  
 სველი თვალეებით ათვალიერებს,  
 ხელს უცახცახებს პაპის სურათი.  
 ბებოს უღიმის, თითქოს ამშვიდებს,  
 პაპის ხატება, პაპა სულმნათი.  
 ამოქაქდნენ მოგონებები,  
 ბებო, ხან ტირის, ხანაც იცინის.  
 ხშირად შეპყურებს საათის ისრებს,  
 და სევდით ზომავს დროის სიმცირეს.  
 გვიან შემნიშნა მის, წინ ვიდექი,  
 მისმა ფიქრებმა მეც, რომ შემიპყრო.

ბებოს სიცოცხლეს ვეფერებოდნი,  
 ვგრძნობდი, რომ ბებო, აქ აღარ იყო.  
 ტკბილ მოგონებებს უთევდა ღამეს  
 და მთვარის შუქი მკერდზე ეფინა.  
 დალოცა მზე და დალოცა მთვარე,  
 ღიღით მზის მკვავზე ჩამოეძინა.  
 ბებო წავიდა ტკბილი სიკვდილით,  
 სახეს ეფინა შუქი ციური.  
 ის იყო მეზავრი ამ წუთისოფლის,  
 ჩვეულებრივზე უფრო ღვთიური.  
 ახლა მეც მისებრ ვუცქერი საათს,  
 სკივრიდან ვაწყობ სიკეთის მარცვლებს.  
 დღეს მე ვუყვები შვილი-შვილს თრთოლვით,  
 ბებოს თვალეებში წაკითხულ ანდერძს.

### ჩემი სტუმარი

მე, ჩათლული ვარ უამრავ დარღში,  
 ბედო, შორიდან მცდილი მზვერავდი.  
 გახვეული ვარ ცხოვრების ალში,  
 ცეცხლის ენები მსწვდება ყელამდი.  
 ბედის სიმუხთლემ ძლიერ დამღალა,  
 ცივ, ქარაშოტებს მით ვეღარ ვუძლებ.

ქვიშის წამზომი ჩამოიცალა,  
 ვიდრე მეგონა იმაზე უცებ.  
 არვის ვადარებ, არც ვარ უბარი,  
 გულსატკივარი რად ვერ გამიგე  
 დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი  
 და სტუმარს უნდა გავუქმანებინდღე...





გურამ გედევანაშვილი  
(გურა ანგურა)

### სამყარო სოფელი, ვნებიან ტუჩებით

წვიმსა და ტბორებით ივსება ქუჩები,  
წვეთები ბადებენ წრეთა გართულებას,  
სამყარო სოფელი, ვნებიან ტუჩებით  
ნისლებს ოცნებებით დაუწვევა.  
მოხდება დიადი ამბორით თრობანი,  
მიწა ზეციერი ჯვანლით აღივსება,  
დაწყდება ვნებები, ულავი გრძნობანი,  
მზესთან, სიმწვანესთან, ნარინჯებთან.  
შემოვლენ დროები და ფიქრის სვეტები,  
ნათელი მზეებით დაცხრება სამყარო,  
სამყარო, წყვდიადთან მარადის შემხები,  
შემტევიც..., მონურად მორჩელიც.

### ქალაქი, ნისლში შენაცეები

შემორკალული ღრუბელთ ტივებით,  
მიუსაფარი ცისკრის ზარით,  
ქალაქი, ნისლში შენაცეები,  
დროს გაეკიდა ღამის კარბიჭით.  
ბურუსიანი მიდამოს ფონზე  
ამოიკვეთა ქალაქის ხიბლი...  
მზე დაეკიდა გორიდან-გორზე,  
შემოძარცული ჩრდილთა ქარიშხლით.

### რახელ სტირიხარ, ჩემო

რახელ სტირიხარ, ჩემო დაიკო,  
ხმა უცნაური სივრციდან მოდის,  
ეს ხმა, ნაცნობი ღამის სიზმრიდან  
შენ მომიტანე ცისკრის გალობით.  
თუთრწვერა კაცი ჩნდება ლანდივით,  
სევდის მაგვარი და ღრუბლიანი,  
თოვლი ზეციდან ჩამობარდნილი  
და შემოდგომა მეტად გვიანი.  
დამძიმებული დარდით და ურვით  
და,... ძმის ამბავზე ფიქრობს და ფიქრობს,  
ადამის ძეთა ელტვის და უფრთხის  
და ცრემლი დასდის კაკლებს სიმსხო.

### სევდიანი წვიმები დაინყო

სევდიანი წვიმები დაიწყო,  
ბურუსიანი, სუსხიანი ამინდებით,  
დაიკო, შეინახე, ძამიკო...!  
დამიჯექ და მოჰყევი დადინჯებით.  
ფიქრიან გორაკების ბორიალებს,  
გზათა მიმოხვეულ ლაბირინთებს,  
უდაბნოს ქარიშხლიან როიალებს,  
კლაფირით კლაფიშები დამითითე.  
ობოლი ზამბახები მომინახე,  
თუთრი, ყვითელი და ხობისფერი,  
ღელეს შუქჩრდილები მოიხარნენ,  
უცებ, უცნაური მოცისკრებით.  
ფიქრიან გორაკების ბორიალებს,  
ღღეთა მოღუშულად დამწუხრებას,  
ზეცა დაადინჯებს მგლოვარე  
და მზის გაბრწყინებად აუხდება.



### დადიოდნენ ღამაზი გოგონები თბილისში

დადიოდნენ ღამაზი გოგონები თბილისში,  
დადიოდნენ ამაყად, დადიოდნენ,  
.....აბა, რა.....  
იმ, ფრესკული ღიმილით...  
იმ, კილხური თილისმით,  
რაიც ჟამთა დინებამ  
ღროში გამოატარა.

### ძალი ყუფს

ყუფს ძალი საუკუნეთ მოძახილივით,  
ლეკვები ბულრაობენ დედის ძუძუებთან,  
ჩემი ტანჯვისათვის, შენი ტანჯვისათვის,  
ის რაც სიწყნარეში გვიბრუნდება,  
ფიქრით რთულ აზრებში გართული.  
ჩვენ ვიცით მიპარვა და მერე როგორი,  
დაუნდობლობა გვიღურჯებს სახეებს,  
ჩვენა ვართ, სხვა არა, მკვლევების მომგონი,  
რადგანაც გულები ყველასი გახვედნენ.  
რადგანაც გულები სატანას ვათხოვეთ.

### ჩვენი სურვილი სივრცეს აცყვია

ოჰ, ეს ზამთარი მძიმედ წავიდა,  
უბედურებით, ზარით, გოდებით,  
კიდევ, ასეთი...? არა, არ გვინდა,  
ზღაპრით და ფანტელით ჩუმი თოვებით.  
არავის გადუსვებს სათუთი ხელი,  
მხურვალე თავებს არ მიეფერნენ,  
ცივი სამარე, ზეცა შავბნელი  
თვალებს არ ეტყვის აწი არაფერს.  
ჩვენი სურვილი სივრცეს ატყვია,  
ჩვენი სულები ამძაფრებს ყინვას,  
პურის მაგივრად ინებეთ ტყვია,  
ძმობა?... ბოდიში, ის შორს გაფრინდა.  
ფანტელი ათოვს ჟამს, საუკუნეს,  
ღრო მიდის? არა ჩვენ მივჯივრითობთ,  
მიუახლოვდით ნაპრალთ უკუნებს,  
სადაც გვეტყვიან როს სად, ვინ იყო.





ნაირა ნიჟარაძე

### ვენახი

ყვავილებით მოქარგულში,  
ამ მთის ძირას მალე,  
ახალ ვენახს გავაშენებთ,  
ოჯალეშს და ჩხავერს.  
დიდ ქვევრებში შევინახავთ,  
აქაფებულ მაჭარს,  
არცერთ მტკვანს არ მიფართმევთ,  
ზარმაცსა და ლაჩარს.

### საუბარი მეცხვარესთან

– ურიცხვი ცხვარი გყოლია,  
და თან მიგყვება ბროლია.  
– ცხენიც შენია ფეხმარდი?  
– მე ვარ მამაცი მხედარი.  
– ყველანი როგორ მიჯერებს,  
ვერაფინ ვერ შეგვაჩერებს.  
მიქუნქულობენ, იციან,  
ჩემია, განა სხვისია.  
მათ ესმით ჩემი ძახილი,  
მთაშია მათი სადილი.

– არ გეშინია ქარისა?  
– გამძლეობა მაქვს ხარისა.  
შიში რა არის, არ ვიცი,  
და ცხვრების ბედსაც განვიცდი.  
– წვიმაში როგორ დადინარ?  
ჩქარ მდინარეზეც გადინარ?  
– წვიმაში მშველის ნაბადი,  
ნაბადში წყალი არ ჩადის.  
– არ გეშინია ძველისა?  
არც ლამისა და ელვისა?

– ხშირად აქ წყალზე ჩამომყავს,  
მგელი თუ სადმე გამოხტა,  
ცხვარს ვერ მომტაცებს ტიალი,  
აშინებს თოფის გრიალი.  
– მაშ, კვლავ მშვიდობით იარე,  
ეს მთები შემოიარე.  
ღმერთმა გიმრავლოს ეს ცხვრები,  
ვიცი, არასდროს შერცხვები...

### მამიკო

„მამიკო“, – გითხრა გოგონამ,  
მომეჩვენაო – მეგონა.  
გული გამითბო, მამლერა,  
ჩამაფიქრა და მალეღვა.  
ვისაც მამა ჰყავს – კარგია,

ზოგჯერ „მამიკო“ არც კია,  
დამცველი, მარჯვე, ძლიერი,  
მზრუნველი, გულისხმიერი.  
ძნელია იყო „მამიკო“,  
და მარტოდმყოფი არ იყო,  
იყო ნამდვილი მშობელი,

ერთგული, განუყოფელი.  
ნეტავ ობოლი არ ვიყო,  
ბედმა არსაით გამრიცხოს,  
ყველას დავლოცავ ამიტომ,  
შვილებს ჰყოლოდეს „მამიკო“!

### სანახელში

–საწნახელში ჩაყარეს,  
ძალზე ბევრი ყურძენი,  
ფენით უნდა დაჭყლიტო,  
ბიჭო, თუ გაუძელი!

### ღუკა რთველში

ყურძენს კრეფენ, მოსდებიან,  
ვენახს ეზოს ქალები,  
–ყურძენს დამაკრეფინებენ?  
–ბებოს მივეხმარები.

### შემოდგომა

–რომელი დრო უფრო გიყვარს?  
–ჩურჩხელების გროვა,  
მანდარინის ცვენა,  
უხვი შემოდგომა.

### სიმღერა

იყო სინათლე,  
 მთები დიდრონი,  
 ბაბუაწვერით საესე მინდორი,  
 და შენ არ იცი,  
 ზეცის ნამივით,  
 ჩემო ძვირფასო,  
 როგორ მინდოდი.  
 ფეხით ვილოდი,  
 ჩემს წინ ჩნდებოდა,  
 მთის ბილიკები  
 თეთრად ხვეული,  
 რატომ ვიყავი ციციანათელა  
 მანათობელი, ასე ეული?!  
 არ გაგიკვირდეს,  
 სწრაფად ვიარე.  
 ყაყაჩოებით საესე მინდორი,  
 და შენ არ იცი,  
 სიოს მღერაში,  
 ნატვრით, ოცნებით,  
 როგორ მინდოდი!..

### კუმნადი

-დაიწურა კუმნადი,  
 მაჭარი რა ტკბილია,  
 ბებო ამ წვეწვს აღუღებს,  
 ფელამუში ტკბილია.

### ჩურჩხელები

ამოავლო ბადაგ ში,  
 ჩურჩხელები დაჰკიდა,  
 ქანაობენ ნიაფზე,  
 ჩამოწყვეტა არ მინდა.

### ვაზი

ვაზი გვიხეირე, ღმერთო,  
 აღმტაცებელი გონების,  
 გამხარებელი ტოლების,  
 მომმატებელი ქონების.  
 ოჯახის შემამკობელი,  
 მომლხენი და მათრობელი,  
 ყველგან ჯანსაღად მყოფელი,  
 ქალაქია თუ სოფელი,  
 ვაზი გამიზარდე, ღმერთო,  
 აგვიფსე ლერწი ყურძნებით,  
 დამშვიდდეს ტოლი უძღები,  
 სჭირდება ხელი უღლოელი.  
 ვაზი ძვირფასი რამ არის.  
 დარდის, სხეულის წამალი,  
 შარბათით, საესე მარცვალი,  
 არისო თაფლის ნაცვალი,  
 ვაზი გვიხეირე, ღმერთო,  
 რომ გულში სიცოცხლე გვენთოს,  
 წკრილა ღვინო დავწუროთ,  
 მამულო ჩემო, ქართულო!

### დავიცავ

მე დავიცავ ვენახს,  
 მტერმა არ გათელოს,  
 ჩემს მეგობრებს სოფლად  
 თავისუფლად ევლოს!

### ბუღეშური

დამწიფდება, ჩაშაქრდება,  
 ოქრო-ბუღეშური,  
 სწორედ მის გულს გაახარებს  
 ვინც ამ ვენახს უვლის.





**Нана Месхи**  
ნანა მესხი

### Так и есть

За веками годы,  
За годами день,  
За погодой ветер  
И за солнцем тень,  
И за солью сладость,  
И за горечь сладость,  
И за ночью утро,  
И за целью власть,  
Все что в мире этом  
Надо нам принять,  
Благодарность нашу  
Ввысь, молбой  
послать,  
И воздастся детям  
Большая благодать,  
За любовь за эту  
Можно все отдать.

### Пожелай

Пожелай добра мне и любви  
Чистым сердцем, чистой душой,  
Чтоб узнала я как счастливы все мы,  
Чтоб на сердце было празднично и свободно  
Пожелай что б сильной быть всегда.  
Когда больно на душе и плохо,  
В час когда вдруг предали тебя,  
В миг, когда уходит жизнь с порога  
Словом, сердцем ты пошли посыл,  
Для меня и знай что это важно  
Что почувствую я это что есть сил,  
Что отвечу я молитвой с благодатью  
Пожелай мне дней красивых, лет  
Чистым сердцем, полною душой,  
И изменится все к лучшему поверь,  
Для меня и для тебя немного....

### Если вдруг

Если вдруг пригласит меня старость,  
Как желанную гостью свою,  
Попросить я смогу малость,  
Так как просят, молят судьбу  
Ведь прожить много лет славно,  
Это дар, свыше силы земной  
А Господь потеряет радость,  
Если мы проклянемся судьбой.  
Той судьбой что дается свыше,  
Нам ее поменять нет сил,  
Помалюсь за себя я тише,  
А за Вас, что есть нынче сил,  
Я воздам благодарность Богу!  
И пошлю я молитву Ему,  
Чтоб любить мы всем сердцем умели.  
Всех кто дорог и миру сему.

5. 03. 15

### Весна

Скоро почки набухнут ветвей,  
Скоро радость придет к нам,  
Зацветет белезной вишня,  
Солнцем встретит рассвет твой стан,  
Мы пойдем по дороге длинной,  
Там в дали зеленеют поля,  
И подаришь венок мне ромашек,  
С удивленьем взгляну на тебе  
Будет ласковым ветер виться,  
Распуская волос прядь,  
И захочется снова родиться,  
И бежать с тобой вместе в даль...  
Где не будет зимы вовсе,  
Где весна открывает дверь.  
Это будет как сон может  
Это Явь будет, просто поверь.

16.03.15

### Колыбельная

Закрывай ты глазки,  
Поутру проснись,  
Так приходят сказки  
Так проходит жизнь.  
Все тебе проститься  
Все будет хорошо,  
Ангелы приснятся  
Будет так тепло.

Скоро подрастешь ты,  
Силы наберешь,  
И пойдешь по жизни  
И многое поймешь  
Спи спокойно детка,  
Все будет хорошо  
Ангелы приснятся  
Будет всем тепло.

5. 03. 15





ზვიად ფეიქრიშვილი

### მეგობარი

ჩემი სამყარო ეძებს მეგობარს  
გამიხსნას სულის კუნჭული,  
ნაპოვნი უკვე არ დამეთმობა  
თუნდ თავს დამესხას ურჩხული  
გავუძკლავდები ძლიერ შეტევას,  
გრძნობა თუ დამძრა უქმური,  
მანც მექნება სულის კვეთება,  
რომ დავამარცხო უგნური  
ჩემი არსება ეძებს სიმშვიდეს,  
რომელიც შენ გაქვს უცილოდ  
ამიტომ თეთრად დამეს ვათენებ  
კარგო, და ვრჩები უძილოდ.

### არსება

ქარმა გაყინა შენი არსება,  
ასე ინება თითქოს განგებამ,  
ვიღაც ურჩმა და ვიღაც თავდება  
გილოტიონა დასცა ნამსხვრევად  
უქმურ კისკისით, სასჯლის ბოძები  
რომელსაც აღარ ჰქონდა ფოთლები,  
დიდი ხანია სისხლით გამხმარი,  
ნასულდგმულები წარსულ ცოდვებით  
დღეს ჯოჯოხეთის კურიერებმა  
ვინც თავს იქებენ პატიოსნებით,  
სუსხას აქციეს შენი არსება  
და ჩამოართვეს ხელად ლოცვები.

### ღელას

ცრემლი სევდის, ცრემლი სინარულისა,  
მოძახილი სულ სხვა, ღედის გულისა,  
შეიცნობა განსხვავებულ ჰანგებით,  
ღედისათვის მუდამ ერთნი დავრჩებით  
ეს ის ადამიანია მარადგზის,  
ვინც საკუთარ ჯვანს არასდროს გვამადლის,  
გულში რჩება, არასოდეს ორთქლდება,  
მაგრამ ქვეყნად აღარ განმეორდება  
სხვაც თავიდან არ ბრუნდება მიწაზე,  
მაგრამ ასე სულით-ხორციით გიწამებს?  
სიცოცხლეში, მითხარ, როგორც მშობელი  
ყოველგვარი გაჭირვების მომთმენი

### ძიება

უცხო მთელ ღამეს ეძებდა უფალს,  
პირჯვრის წერით და სინდისის ქენჯნით,  
კაცს აღარ ეყო მიწაზე სუნთქვა,  
როცა ვერ ნახა ამქვეყნად ღმერთი  
ახლა უძირო ცას ჰკიდა თვალი,  
იქნებ ვინარო, თუკი მხსნელს შევხვდი,  
მაგრამ წამები მიჰქროდა ძალით,  
რადაც შავ-ბნელი, დამორგუნველ სეტყვით  
და წვიმის სუნით ბოლავდა მიწა,  
თითქოს ღრუბელი დააწვა ძირში,  
სწორედ ასეთი ღრო იდგა იმ წამს,  
უკვე ეძებდა უცნობი სიკვდილს.

### ხილვა

აქეთ ცეცხლის ზღვა, იქით სამოღბე,  
მოსჩანს რიჟრაჟზე ერთად  
არა, არასდროს! არა, აროდეს!  
არ თქვა სიცრუე ღმერთთან!  
როდესაც სანთლებს უხვად დაითვლი  
წამების მსახველ ჯვრებთან,  
შენს გულში ლოცვის დგება ხალისი  
და ვით ჭიკჭიკი მერცხლის  
ხმა შენი უმალ გადაიქცევა  
წმინდა გალობის ფეთქვად





ზეინაბ ასისტიშვილი

### პოეზიები

მე პოეტობა, გენში მაქ ხალხო!  
 მათგან ვისწავლე, სიტყვა მართალი,  
 მათ კალმით ლექსი ვერ ჩაგვიწერეს,  
 მათი აზრები აი, აქ არი.  
 როდესაც ვიყავ ბავშვი პატარა.  
 მათი სიტყვები მესმოდა ყურში,  
 მეც შევიყვარე მართალი სიტყვა.  
 მეც ეს სიტყვები დავწერე გუშინ.  
 მინდა რომ გითხრათ სიტყვა მართალი,  
 ეს არის ჩემი ლექსის იდია,  
 თუ კი პოეტად მეც მაღიარებთ,  
 გულიდან გაქრეს შავი ბინდია,  
 მხოლოდ სიმართლე, მინდა რომ გითხრათ,  
 ტყუილით, ბედმა დაგლაღათ ყველა.  
 რაც გიწვალათ თქვენ და სამშობლოს.  
 დაგვიწყებოდეთ ტანჯვა და წყენა.  
 მინდა უფალმა დაგლოცოთ ყველა.  
 არასდროს გქონდეთ წყენა,  
 მინდა ხარობდეს, სამშობლი ჩემი;  
 მე თქვენ სინარულს, სიყვარულს ველი.  
 ვილოცებ თქვენთვის, სამშობლოსათვის,  
 მეც ბედნიერი ვიქნები, მაშინ;  
 როდესაც ჩემი ხალხის ღიმილი,  
 ბედნიერება მომხვდება თვალში.

### ბედი

თუ ორნი ჩნდებით,  
 მაშინ ცხოვრება,  
 მართლაც კარგია.  
 თუ არა იტყვი,  
 რატომ მოვედი?  
 რა დამკარგვია?  
 ერთი ბედია  
 რომელიც შენი ტყუპისცალია,  
 მასთან გაჩნდები,  
 ცხოვრებაც ხომ საოცარია  
 ბედი გიღიმის  
 ყოველ წუთს და  
 ცისმარე დღესა,  
 მზე დაგნათის,  
 სჯობინარ ბევრსა,  
 თუ მარტო ჩნდები,  
 არ იბადება, შენთვისა ბედი,  
 კარგიც რომ იყო  
 გაუხარელი, ვარდიცა ჭკნები.  
 გულიც აჩუქო,  
 გიყვარდეს ყველა.  
 შენ ვერავისგან  
 მიიღო ლხენა.  
 შენთვის არავის,  
 არაფერი გამეტებია,  
 თბილი სიტყვა და  
 გაღიმებაც მთლად ზედმეტია,  
 აკეთე კარგი,  
 მაინც არა აქვს,  
 არაფერს ფასი.  
 გული გაგიტყდა,  
 რა ეძებო, ნეტავი სხვაში.  
 უსინარულოდ, უსიყვარულოდ,  
 ფიფქივით ღნები,  
 უსინარულოდ მოსულხარ და  
 ასევე კვდები.

### იცოცხლე დიდხანს (გიორგი ბეჟიტაშვილს)

ო-სეთი სითბო, ვიგრძენი თქვენგან,  
ც-აში ღრუბელსაც უმაღვე დაშლის.  
ო-ჰ რა კარგია, ასეთი შვილი,  
ც-ის კაბადონსაც ხალიჩად გაშლის.  
ბ-ალხის სიყვარულს გეძახის გული.  
ღ-ხინი რომ ჰქონდეს ყველას ოჯახში,  
ე-საა შენი გულის ძახილი.  
ღ-ედისგან სითბო, ამას გეძახის,  
ო-ხარე დიდხანს, იხარე მუდამ,  
ღ-ედისგან ლოცვას, ჰქონოდეს ძალა.  
ბ-ალხის იმედი და სიყვარული,  
ა-რ მოგეშალოს არასდროს არა!  
ნ-იაფი მუდამ გიმღერდეს ნანას.  
ს-იკეთისათვის გული და ძალა...

### მიხარია მე სიცოცხლე (გიორგი ბეჟიტაშვილს)

მიხარია მე სიცოცხლე,  
რადგანა ხარ ჩვენი გენის,  
საქართველოს შვილი რომ ხაროთ,  
ჩემი გული მიტომ მღერის.  
თქვენისთანა ბევრი ჰყავდეს.  
საქართველოს შვილი.  
თქვენმა დედამ გაიხაროს!  
მას შევარქვათ გამირი.

თქვენს სახეზე იხატება,  
სიკეთე და წრფელი გული,  
იქნებ გულმა დარდიც ნახა,  
დღეიდან სულ სიხარული.  
თქვენს ოჯახში გაიზარდონ,  
მომავალები მზავალი,  
მოკრძალებით გლოცავს გული,  
გზები მშვიდად სავალი.

### მე ვარ მდიდარი

არა მაქვს ოქრო,  
მე არ მაქვს ფული,  
ავარეკები სხვადასხვა მხარეს...  
მე ვარ მდიდარი,  
რადგან მაქვს გული

ყველას სიყვარულს რომ დაატარებს.  
ამიტომ ვარ ბედნიერი და...  
გული სიკეთით მთლად არის სავსე...  
შური არა მაქვს, ის არ მაწუხებს  
და ვერ მომიჭერს გულზე მარწუხებს.



ლამარა ასისტისვილი-ჯამასპისვილი

\*\*\*

ცაცხვების ჩრდილში ჩამეძინა შენზედ ლოცვაში,  
სიზმარში ვნახე, როგორ ყვაოდა შენი ბაღნარი,  
გნახე ბაღნარში დარდიანი მიმოდოდი,  
გულს მერჭვებოდა კარგო ლახვარი...  
თვალთაგან კიდევ, მეღვრებოდა ცრემლი ღვარ-ღვარით...  
-როს გავიღვიძე, მივხვდი თურმე ეს სიზმარია,  
და არასოდეს ცხადში მარტო შენ არ იქნები...,  
სანამდის ვცოცხლობ, სანამ დავალ დედამიწაზე,  
შენ არასოდეს მიგატოვებ, შენთან ვიქნები!....

### ჩემს შვილიშვილებს

ს-იო მიაღერებს, ქუჩაში მიმავალს,  
ო-ცნების ბურანში მახვევს....,  
ფ-იქრები მეძალეა, თავს არ მანებებენ,  
ი-მედის სხივებით სავსეს.  
კ-ოცონად დავანთებ, მე თქვენს სიყვარულს,  
ო-რარივ მახარებთ, მავსებთ...

\*\*\*

სარკეში ჩავიხედე, და ახლა შევამჩნიე,  
წლებს თურმე, თავისი გაუტანია.  
შუბლზე, ნაოჭების კვალი დამტყობია,  
აქამდე რად ვერ ვგრძნობდი, ამდენი ხანია.  
- ხან თურმე, დიდი დარდიც ვერაფერს  
დაგაკლებს,  
- ხან თურმე, დიდი სევდაც ვერაფერს  
გიზამს,  
- ხან კი, პატარა ბრიყვული ნათქვამი,  
გაგანადგურებს, უეცრად მოგკლავს...  
ნეტავი რად არ გვინდა, ერთმანეთის ყოფნა,  
ნეტავი, რად არ ვუფრთხილდებით სხვას...,  
რატომ არ გვინდა, შევუნდოთ ერთმანეთს,  
ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, რატომ ვკლავთ მას...

### ქართულ დედებს

შენ დაგილოცავ, ქართველ დედობას,  
ბევრი შვილების აღმზრდელი დედავ!  
ასე ლამაზად გაბრწყინებულებს  
როდესაც გხედავთ.  
... წინ დამიდგება ქართველი ქალი,  
წინ დამიდგება, ქართველი დედა...  
- იყოს მშვიდობა, ქვეყნად მშვიდობა,  
ბედნიერება რომ ვიხეიძოთ,  
ასი წლის მერე, მენახეთ ისე,  
დღეს რომ მოსულხართ, აქ სახეიძოთ.  
ზემათ იქცეს, თქვენთვის ყველა დღე,  
ყველა საათი და ყველა წამი.  
და თქვენს თვალებზე, დედის თვალებზე,  
არ დაგვენახოს, არასდროს ნამი...  
- იდიდეთ დედავ! იმრავლეთ დედავ!  
კვლავაც გერწიოთ, ჩვილის აკვნები.  
ცაზე რამდენი ვარსკვლავიც არის,  
იმაზე მეტი, არა ნაკლები...  
დამილოცინხართ, გპირო დედებო!  
გილოცავთ ამ დღეს, მრავალჟამიერ,  
თქვენი გმირობა, კიდევ გვესმინოს,  
მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ!...



### ის შენ გეძებდა (გურამის თხა)

კარზე მომადგა პატარა თხა, კიკინ-კიკინით,  
 კარი გაშიღე, მომეფერე და მაჭამე რამე,  
 მითხარა კიკინით,  
 იმ წამს წამოვბტი, რომ პატარას მოვეფერებოდი...  
 მან კი შემომხედა და შეჩერდა..... შეწყდა კიკინიც...  
 -გაოცებული მიყურებდა და იდგა ასე...  
 ის შენ გეძებდა, შენ გეძახდა, და რომ არ დახვდი,  
 .... დაღონებული უკან უკან წავიდა ის თხა.  
 მხოლოდ შორიდან მიყურებდა საწყალ თვალებით...  
 ის შენ გეძებდა, კიკინ კიკინით....

### ნუ გაიკვირვებთ!

დარდიანი ვარ, გული მკვდარი მაქვს.  
 გულს სიხარული არ ეკარება...  
 ძალით ვიციანი, ხალისი არ მაქვს...  
 ჯერ ხომ ბავშვი ვარ, ჯერ ხომ დედა ვარ.  
 ნუ გაიღვირვებთ, მე თუ ვმღეროვარ.  
 იცოდეთ, ჩემს გულს არ ემღერება.  
 მაგრამ, ჩემს შვილებს დედა სჭირდებათ,  
 აი ამიტომ, ძალით ვმღეროვარ.  
 ერთ წუთს ვსტირივარ, სხვა წუთს ვიციანი,  
 ჩემი ცხოვრება ცვალებადია.  
 ჩემი შვილები უნდა გაეზარდო.  
 გულზე მათ მეტი არვინ მახია.  
 რომ პატარებმა არ იგრძნონ დარდი,  
 რომ პატარებმა არ იგრძნონ დაღლა,  
 აი ამიტომ ვიციანი ზოგჯერ,  
 ზომაზე მალლა, ზომაზე მალლა.  
 ნუ გაიკვირვებთ, თუ ავტირდები,  
 თუ გავიცინე, ნუ გაიკვირვებთ.  
 ჩემი ცხოვრება ცვალებადია.  
 ასე მივლია, ასე ვივლი მე....

\*\*\*

(ჩემს შვილიშვილებს)

მე თქვენ მიყვარხართ, და თქვენთვის ვცოცხლობ,  
 მე ვიკვებები თქვენს სიცლით.  
 მე ვსუნთქავ ჟანგბადს, სუფთას და ძლიერს,  
 თქვენ რომ ხარობთდა თქვენ რომ იცინით.

### ღამაზია საქართველო

ღამაზია საქართველოს ყველა მხარე,  
 ღამაზია საქართველოს ყველა კუთხე,  
 ვინც ადიდოს საქართველო, შეიყვარე!  
 ვინც აძაგოს საქართველო შეაკურთხე.  
 საქართველოვ! შენს მიწაზე გაზრდილი ვარ,  
 შენი ეშხით, მე მრავალჯერ მიმღერია.  
 შენზედ ფიქრში თმებზე თოვლიც დამთოვია,  
 საქართველოვ! შენზედ ლექსი იმდენია...  
 საქართველოვ! შენზედ ლექსი იმდენია,  
 რომ ვერ დასთვლის კაცის თვალი,  
 საქართველოვ! ბევრჯერ ცრემლიც დამდენია,  
 შენს წამებას რომ ვუცქერით სწორი თვალით.  
 შენს სიხარულს, სიხარულით ვეგებები,  
 შენს დიდებას, უმღეროვან ალუბლები.  
 საქართველოვ! შენთვის მუდამ კარგის მსურველს,  
 დავლოცავ და, გულით მივესალბუნები.

\*\*\*

ელავს ცა და, მეშინია ქუხილისა...  
 ღამის შიშით მე გამისკდეს გული.  
 ეჰ, ნეტავი, მარტო წვიმა მოვიდეს და,...  
 ნეტავ, ბავშვებს, არ დაუფრთხეთ ძილი...  
 ელავს ცა და მეშინია ქუხილისა.....

\*\*\*

(ჩემს შვილიშვილებს)

ზამთარს გისურვებთ თოვლიანს,  
 სახლი კი გქონდეთ თბილი.  
 იხარეთ, იბედნიერეთ,  
 ლუკმაც გქონოდეთ ტკბილი.  
 კბილები რომ არ გეტკინოთ,  
 ცოტა მიირთვიოთ თხილი.





ანზორ ჯაფარიძე

### ბომბორა და თისო

ჯერ არც თისო მინახავს,  
არც ბომბორა, ყურშა,  
როცა ვნახავ ვემზადები,  
საყვედური ვუთხრა.

სად იყავით, რატომ თვითონ  
არა მნახეთ მალე,  
მოფერება მინდოდა და  
თქვენ კი დამემალეთ.

თისო, ყურშა, ახლა მაინც,  
ალარ დამემალეთ  
მოდით ერთად ვითამაშოთ,  
ერთად გავინაროთ.

ჯერ მე პაწია გოგო ვარ,  
არც კი ვიცი კარგად,  
როგორ უნდა მოგეფეროთ,  
რომ არ დაგჩხეთ დარდად.

### კახეთს

დღეს მივდივარ მე კახეთში,  
რა ხანია ვაპირებდი,  
მომენატრა ჩემი ზვრები,  
ჩემი წმინდა ადგილები;  
ალაზნის ველი გაშლილი;  
მისი ლამაზი ჭალები;  
უკიდევანო ზვრები ჩანს,  
დედის მკერდსა ჰგავს ყანები.  
აქეთ გომბორი დაგვეყურებს-  
კავკასიონი-იქითა,  
ულამაზესი ხედები-  
ირგვლივ რომ მიმოიხედავ.  
გახედავ მიმდორ-გარემოს  
ეკლესიების ჯარია,  
ალბათ ამდენი სხვა მხარეს  
სიმრავლე არსად არია;

მარტო იყალთო გვეყოფა-  
სამოცს ხომ ერთი აკლია,  
წინაპრები გავინსენოთ,  
უკვდავევით დიდი მადლია.  
ბევრი შევბილწა ურჯულომ,  
უფალი ღმერთის სახლია.  
დღესაც კი ბევრი მკრეხელობს,  
არ იცის მისი ყადრია.  
კახური სიღარბაისლე,  
სიტყვა პასუხი მადლია,  
კახეთის ხვაფი, ბარაქა,  
მას ღმერთის მადლი ატყვია.  
ირგვლივ გაოცებს ყოველი,  
ალაზნის ველი ჩადრია...  
დედოფალივით მორთული-  
დედა ღვთისმშობლის მადლია!

24. 10. 10.

### უცლით გასეირნება

დედამ, ბებომ, გამიყვანა  
ჩემი ეტლით გარეთ,  
თან ჩურჩულით ანიშნებენ  
მიჩრდილავენ თვალებს.  
აქეთ ქარი უბერავს და იქით მზეა ფიცხი,  
მოვარდით ბავშვი ჩქარა, არ შეწუხდეს სიცხით.  
უცბათ ვხედავ საიდანღაც, მოგორავენ „ეტლები,“

გოგონები და ბიჭები წრეს მარტყავენ, მე ვტკეპები,  
ყველას უნდა დამინახოს, როგორი ვარ ქალი,  
უცებ ქული მომეხდება დაუბერავს ქარი.  
სახიდან მზე გამოკრთება, პაწაწინა ქალის,  
დამყურებენ, დამყურებენ, რა ლამაზი არის.  
მეც ნაზად, გაფიარანტები, ვნაბავ ლამაზ თვალებს,  
დედიკო თავზე დამყურებს, ამბობს გენაცვალე.

## ვაი უმადურებს ერის!


*შობა დღეს სამების დიდ ტაძარში ბიძინას  
სახელი ერთხელაც არ ახსენეს*

„ცაში ატყორცნილა  
შენი გუმბათები,  
ოქროს სახურავი გშეენის.  
სამშობლოს ამშვენებს შენი სიდიადე,  
უფლის მობრძანებას ველით.  
რა სიდიადეა თვით ღმერთის ქმნილება,  
უფალო, საოცრება გველის, –  
რამ შექმნა, ვით შექმნა, მოხატა,  
თითქოს ყველა შტრიხი მღერის.  
დგახარ მონუსხული ქმნილების წინაშე,  
აქ ხომ ყველა სვეტი გელის,  
ირგვლივ ხატები ხარ, მადლი გფარავს მათი,  
იცი, უფლის ძალა გშეელის.  
რა ბრწყინვალეაა, ვინ შექმნა, რამ შექმნა,  
დიდოსტატს შევეუქმეთ ხელი,  
ჩუმად დგას შემქმნელი,  
თითქოს მზე ეჩრდილვის,  
უმაღურთაგან არათერს ელის!  
დღეს შობა თენდება, დიადი,  
ნათელი,  
აღილოს აღტაცებით ვმღერით;  
რუდუნებით ვითვლით სახელებს მსახურთა,  
ელიტას მსახურებს ღმერთის.  
ჩამოვთვლით მღვდელ-მთავრებს  
ამ მხარის, იმ მხარის,  
ხალხი ბრბოდ ქცეული ვმღერით,  
ოსტატი კი არ ჩანს,  
არც ჩვენ გვახსენდება,  
ეს ხომ ცოდვა არის ერის!  
მოსულან გვაძევი პოლიტიკოსები,

მეფენი, მბრძანებლები ერის!  
ის კი არ ჩანს,  
არც ჩვენ გვახსენდება,  
ეს ხომ ცოდვა არის ერის!  
აგერ კამერები დიდ გვაძევი აჩვენებს,  
გაბადრული სახეები შევნით,  
შემქმნელი არა ჩანს,  
ჩვენი სირცხვილია,  
ეს ხომ სიბრყველა ჩვენი!  
ვდგავარ მოლოდინით,  
ახლა იტყვიან-თქო,  
გულის თანცქალით ველით.  
ალბათ ჯერ აღრეა, მომენტს  
არჩევენ-თქო,  
რომ აქონ ოსტატის ხელი!  
რეკავენ ზარები,  
დარბაზი გუგუნებს,  
თითქოს ხმანი გვესმის ზენის,  
რას შევები, ჩემო ერო,  
თვალნი გავახილოთ,  
ეს ხომ გმობაა არის ღმერთის.  
დარბაზი შენიზნულთ,  
არც კი გვახსენდება  
ეს ხომ სირცხვილია ერის!  
შემქმნელი არსად ჩანს,  
არც სახელს ამბობენ,  
არ გაგახაროთ მტერი!  
რატომა ვდუმდებით,  
რატომ ხმას არ ვიღებთ,  
ეს ხომ სირცხვილია ერის!

07. 01. 2012.





გერონტი მესხი  
(სამაჩაბლოს ბუღბუღი)

(შვიდი წლის დაწყებული იყო პირქუში მეოცე საუკუნე, ილია რომ გამოგვაცალა ხელიდან. შვიდი წელი აკლდა მის გასრულებას, ზვიადი რომ მოგვიკლეს...)

### სამშობლოს

უკეთ ვითა სთქვან სიტყვებმან ჩემმან,  
რაიც გიწოდა ქართულმა გენმა.  
ჩემი გონიც ხარ და მაჯის ცემაც,  
ნატვრაც ხარ, დარდიც და სულის გვემაც.  
სამშობლოვ, მშობლის სწორო და ზემოვ,  
საფიცარო და ღვთაებავ ჩემო!  
სიცოცხლეს შენით უტკებება გემო,  
ნეტარებასაც შენს გამო ვჩემობ.  
მრავალგზის ბოღმას და ღვარძლს გსვრის მტერი,  
მადლობა უფალს, ქარს მიაქვს მტვერი.  
ნათდება... ბრწყინავს „სამების“ წვეერი...  
დგას შენი ჯერი!..  
... მოწს ვილაც მღერის...

### გახატებული მოსულა

ლამის ნაშობ განთიადებს სიო ძუძუს აწოვებს,  
არემარე გარინდულა უკეთესის ლოდინში.  
ნადავლს ეძებს ტყეში ხვადი... ორთქლი ასდით სამოვრებს,  
ნებევრობენ ენბელები მარტის გაშლილ ლოგინში.  
თოლიები ზღვაზე მნათობს უმზადებენ სარეცელს,  
მზე კი ცაზე მოგორავს და ეფერება მიდამოს.  
ჯეჯილს სურს, რომ ზამთრის კითხვებს პასუხები გაეცეს,  
ხვალ კი ტალღად აქოჩრილმა ურჩ ნიავთან იდავოს.  
სიცოცხლისგან მობუხული შენც ბელურას მაგონებ,  
ნაზამთრალზე გაიშოლები, გადაიგდებ კაემანს.  
გაცრეცილი ნისლებიდან გამოპარულ მთა-გორებს  
სიყვარული აუფერინდათ და შენს ფერხით დაეშვა...

### ზარი

ცამ შეისრუტა მორუხო ნისლი  
და უძალ ბინდმა  
შთანთქა თვითონაც.  
სადლაც გრუხუნებს-  
სატანა ისვრის,  
თოფიც ეშმაკმა გამოიგონა.  
აღამის ჯიშმა  
გასწირა ღმერთი-  
ღვთის ძე, რომელიც მათთვის აენთო.  
არც ჩვენ დაგზოგეთ,  
და არა ერთი,  
ვისაც ქრისტესთან ჰქონდა საერთო.  
ეშამ დასჭეჭა  
“ბერდენ კის” ლულით  
და წიწამურთან დგამენ ობელისკს.  
ზეცად გაფრინდა  
მბრწყინავი სული,  
მოკამკაშე და ჩაუქრობელი.  
ძველ ხიბულაშიც გაფარდა ტყვია  
ხმაურით...  
თითქოს, მაინც ფაქიზად...  
მოკვდა ღმერთკაცი...  
და ერთიც კია:  
ამ ხმამ ვერაფერს გამოათხიზლა.  
შორიდან რეკავს  
სამრეკლოს ზარი,  
რეკავს და თითქოს,  
მკრთალდება ბნელი...  
...შენც საზიდი გაქვს კუთვნილი  
ჯვარი,  
შენც  
საკუთარი  
გოლგოთა  
გელის...

2002 წ.

### მინაწერი მოგვიანებით:

2007 წელი, შვიდი წელი ახალი საუკუნიდან:  
მუხანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს დიდი ქართველი პატრიოტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი გურამ შარაძე 2093 წელი, შვიდი წელი საუკუნის ბოლომდე:  
... ვინ იქნება შემდეგი???

### მამულს

მყინვარზე მიდგას თოვლის კარავი  
 და შენს კენ ვაფრქვევ მზერას ვნებიანს.  
 შემყვარებიხარ, ჯერ რომ არაფინ  
 ქვეყნად არავის არ ჰყვარებია.  
 სამარადისო დიდება შენი  
 ამ მწვერვალს სცდება და ცამდე აღის.  
 საუკუნეებს ავსებს და შეენის  
 ძლიერი მოდგმა, სწორი ლომ-ხვადის.

სხვა სანატრელი მე არა მინდა,  
 შევთხოვო უფალს, შემომქმედს ყოვლის:  
 გნახო მთლიანი და უფრო წმინდა,  
 ვიდრე მყინვარზე მბრწყინავი თოვლი.  
 მშვენიერებაჲ! მტრის აღარ მიკვირს,  
 შურს რომ ავლენდა შმაგი და ავი.  
 მსურს, ვგავდე შენთვის შეწირულ იმ გმირს,  
 სამსხვერპლოზე რომ მოგართვა თავი...

### ღამაზი ქაღი

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისთვის,  
 წამში გასცემს მისი მზერა ფარული.  
 სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის,  
 მზითეფია, სკივრში გადაძალული.  
 ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა  
 და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე,  
 სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა,  
 ფიქრიც, მზერაც მის მხარეს რომ გაგექცეს.  
 და თუ სუნთქვაც ავიჩქარა მშვენივამ,

ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი,  
 ყველა ქალი შენად მოგეჩვენება,  
 შეგაშფოთებს შიში მათი და კარგვის.  
 სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე-ცას,  
 გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს შურიანს.  
 ...თვალს, თუ კვლავ სხვა ღამაზისკენ  
 გაგექცა,  
 ნუ დასძრახავ,  
 წყალი თვალსაც სწყურია!..

\*\*\*

ქალის ხიბლში ერთის ნაცვლად სამი მზეა...  
 ვნებამ ღრმადე ყველა გვერდზე გასწია...  
 ქალი მხოლოდ სიყვარულის სამიზნეა,  
 ქალის მხრებზე ამური თვლემს პაწია...  
 ცას ასკდება დიდი გრძობის მატიანე,  
 და კვალს სტოვებს მასზე ერთი გადავლით...  
 სიყვარულით ისე უნდა გატიალდე,

მკლავს შემორჩეს ამურიული ნადავლი...  
 ...მერე რა რომ ქალის ხიბლში სამი მზეა...  
 მზე ხომ, ხშირად, ერთიც ჭარბობს  
 ბევრისთვის...  
 ქალი მხოლოდ სიყვარულის სამიზნეა,  
 ვაი, იმ კაცს, ვინც მიზანში ვერ ისვრის...





ლიანა ჯბანაშვილი-თათანაშვილისა

### ვერხვის ფოთლები

სწრაფად რატომ ქრი ძლიერო ქარო,  
ვერხვის ფოთლებში გავიფანტები  
და სიყვარულის ჩუხჩუხა წყარომ  
გადამაბნეი წმინდა წვეთები.  
მე სიყვარულის ნამქერში ვიშვი,  
სათუთად ზრდილი მქონდა ფესვები,  
მუდამ მიცავდა ვერხვების ჩრდილი  
ვერას მაკლებდა წვიმის წვეთები.  
სწრაფად რატომ ქრი ძლიერო ქარო,  
რად შეარხე ვერხვის ფოთლები,  
მე სიყვარულის უშრეტი წყარო  
ვერხვის ფოთლებში გავიფანტები.  
გავიფანტები, როგორც ფიქრები,  
დაფიკარგები, როგორც ოცნება,  
ველარ დამიცავს ვერხვების ჩრდილი  
დაფრჩხები მხოლოდ ნაზ მოგონებად.  
და აი, ჩადგა ქარი ძლიერი,  
ვერხვმა დაკეცა ნაზად ტოტები,  
წმინდად მეპკურა ან კარა წყარო  
ისევ დამიცავს ვერხვის ფოთლები.

### ვილოცოთ ღმერთი

ერთნაირად ვინ მოაწყო მთა-ბარი?  
ერთნაირად ვერც ვერავენ დახატა,  
ერთნაირი თუ გინახავთ ზღაპარი  
ან სიზმარი ერთნაირად ამხდარა?  
ერთნაირი სიყვარული ვინ ნახა,  
ერთნაირი სატანჯველიც არ არის  
ღმერთმა ყველა ჩვენი სევდით დაგვებადა,  
ყველას ჩვენი სამრეკლო გვაქვს ზარის,  
ყველას ჩვენი ტრფობის წამი გვაჩუქა  
და ოცნება დღის არის თუ ღამის.  
ერთნაირი არც ქალები დაგვებადა  
არც კაცები გვისაჩუქრა გზნების,  
ერთნაირად მოგვცა მხოლოდ სიცოცხლე,  
მაგრამ აქაც სხვადასხვაგვარ ბედის.  
ერთნაირად გვისაჩუქრა სიკვდილიც,  
აქაც ყველას ჩვენი ხვედრი გველის.  
ერთნაირად ვინ გააწყო მთა-ბარი,  
ერთადერთმა გამგებელმა ბედის,  
ვიყოთ მისი სიყვარულში დამტკებარი  
და ვილოცოთ ერთადერთი ღმერთი.

\*\*\*

შენ ხომ თასი ხარ შარბათით სავსე,  
დამათრობელი, როგორც ცთუნება,  
შენ ხალისი ხარ ამღერებელი,  
როგორც ქართული ზეცის ბუნება.  
შენ ჩემი გულის ყველა წერტილის  
ხარ მესაკუთრე, სინარბით სავსე.  
და მეც მოგაწვდი შარბათს ბანგიანს,  
ყანწს ღმერთის ხელას ზეცამდე ავწევ.

### ქართლის დედას

მე, შენს ბებერ გალაფანს,  
 დაბერებულ კედლებს,  
 ჩრდილშეპარულ მიწას,  
 მზე დაწეულ სხვენებს,  
 დაფულოცავ -  
 შვილთა დაურწვეველ აკვნებს,  
 „ნანინანას“,  
 ჰანგებს გულში ნალიდინებს.  
 დაფულოცავ -  
 ქართულს, „მუმლი მუხას“ ჰანგებს

და მოძავლის შუქით  
 ამღერებულ ქალებს.  
 მხრებით ზიდონ დიდი  
 მზე მშობელი მიწის,  
 არ შეუდრკნენ დაღლას,  
 არ შეუდგნენ ჩივილს.  
 ნუ ენახოს ჩვენს მტერს  
 გაძარცვეული სული.  
 ამინებდეთ მუდამ  
 ქართლის დედის გული.

### ანდერძი

მე დამასვენეთ იმ ჩემს მამულში,  
 სადაც კრიალებს წყარო ანკარა,  
 სადაც ხელს იწვდის ქალი ლამაზი  
 გადაისახავს პირჯვარს აშკარა.  
 სადაც ბუბუნებს კვირტები ხეთა,  
 სადაც ღუღუნებს მტრედების გუნდი,  
 სადაც მთავრდება გზა საცალფეხო,  
 ერთად დადგება სწორი და მრუდი.  
 მე დამასვენეთ იმ ჩემს მამულში,  
 სადაც წინაპართ საფლავებია,

სადაც მიყვარდა მუხლის მოდრეკა,  
 სადაც ზამბახი ამყვავებია.  
 ამყვავებია სადაც ვარდები,  
 გადააენტილა კორღზე იები,  
 თუკი ცოდვები რამე მქონია  
 იქ დაჩოქილი ვინანიებდი.  
 მე დამასვენეთ იმ ჩემს მამულში  
 სადაც კრიალებს წყარო ანკარა,  
 სადაც ხელს იწვდის ქალი ლამაზი  
 გადაისახავს პირჯვარს აშკარა.

\*\*\*

ხან ღრუბელი ხარ მრისხანე,  
 ხან მზის ნატიფი ეშხი,  
 ხანაც ფიფქივით წმინდა ხარ,  
 ხან ხარ მბზინავი წვეთი.  
 ხან ღრუბელი ხარ მრისხანე  
 ხან გავარდები მეხად,  
 ხან ამობრწყინდები მზესავით  
 ცისარტყელაზე წვეხარ.

გადაიდარე ღრუბელო,  
 მზევე ნუ აცხუნებ ცხარედ,  
 თოვლის ფიფქებს ნუ დაადნობ  
 ნუ გადახრუკავ მზვარეს.  
 ხან ღრუბელი ხარ მრისხანე,  
 ხან გავარდები მეხად,  
 ამობრწყინდები მზესავით  
 ცისარტყელაზე წვეხარ.





მანანა ბრაჭული

### ველოება

სხვა საქართველო, სხვა ქართველი მახილვე ღმერთო,  
ასი ათასი ქეთევანი, ერთი ილია,  
ქართლის ცხოვრებას მედროვეებს ნუ მიაბარებ,  
უფლისციხელი ავიწყდებათ ვისი შვილია.

### ქარის ვიოდინოები

ქვეყნიური ფერიდან ყველა ფერი თავდება,  
რასაც სიზმრად დაართავს მთვარე ქარის თითებზე...  
წრთული ელეგები თითქოს ჰგავდა სიცოცხლეს-  
ქარის ვიოდინოებს, ქარის ვიოდინოებს...  
ჩამორღვეულ ღრუბლებთან იმსხვრევიან ბროლები,  
ვრცელი პარაბოლები კრთიან კეროვანებად.  
შროშანების მდელიოზე მოჰყვებიან მარიაშ  
მეწამული ღრუბლები და თეთრი ხმოვანები.  
უცხო იდეალები მზის სამოსელს ქარგავენ,  
მდუმარება ირხევა და სინათლის მრუდები,  
თვლემს მოწყენილ ნისლებში ლურჯი უდაბურება,  
როგორც უბედურება ცეცხლოვან ქარაგმებში....  
დავიწყების მდინარე შლის პროფილის გრაცას  
ხოვნის თვალებს ლაჟვარდის მდუმარება აცვია...  
ატანილი შენამდე ტკივილი და ვედრება,  
სინანულს შეედრება თბილი ცრემლის წვიმებში.  
ფიქრი თავისუფალი-არსებობის სინათლე-  
ყველა ბრძოლის სიმართლედ დამჩნა დაუთმობელი  
სიცოცხლემდე სიკვდილის გზები გამოვიარე  
ქარის ვიოდინოთა მისტიური მოტივით.  
მთვარე მშვიდად მიჰყვება ვარსკვლავების ბილიკებს,  
ბავშვად გადაქცეული დროსაც გააქილიკებს...  
ქვეყნიური ფერიდან ყველა ფერი თავდება,  
რასაც სიზმრად დაართავს მთვარე ქარის თითებზე.

### არ მინდა

არ მინდა რომ დარჩე ლექსად  
მხოლოდ წიგნში, მხოლოდ ქვაში.  
ჩემთვის რწმენავე, ჩემთვის ღმერთო,  
ჩემთვის გაუცვლელი სხვაში.  
საანდერძევე, შვილებთან და  
შვილიშვილთან საზიაროვე,  
ათასების მერეც ქრისტემ  
საქართველოდ გაზიაროს,  
უხდებოდე, გიხდებოდეს  
კაცს მიწა და მიწას კაცი,  
ძვირი იყოს სხვა მიწისგან  
ქართველისთვის შენი ფასი,  
უხდებოდე დედამიწას,  
წიგნშიც იყო, იყო ქვაშიც,  
მარადიულ საქართველოდ  
„მრავალქამიერის“ ხმაში!

### „ვან, სოფელი“

მისადგურე სევდის ბაღი,  
მიშრიალე ხმელი ღოღო,  
როგორც შენ მე დამალონე,  
ისე უნდა დაგალონო.  
გულისგულში ვისთვის ვმდერი,  
შენ რად უნდა გაგაგონო,  
მოვა ჩემი გიჟი ქარი,  
მერე ნახე ზღაპრის ბოლო!



### ხელები

ზოგის ხელები ხის ფესვებს ჰგვანან,  
ზოგის-ხის ფოთლებს, ზოგის-სხივს მზისას.  
მე მენატრება ხელები მკრთალი,  
სუნი რომ ასდის ნელთბილი რძისა...  
რას ემგვანება ხელები შენი დე,  
დამხუჭველი ამ თვალებისა?!

### მამილები

აპრილს მერე შეიცვალა,  
უარესობს ამინდები.  
უფრო ხშირად მაგონდება-  
მენატრება მამილები.  
მიდის ჩემი შემოდგომაც  
უამინდოდ, ამინდებით,  
ზამთრის კართან დამხვდებიან  
ჩემი ტკბილი მამილები.

### ქარი

ქარი ჯვრის თავზე მოვარდისფრო ღრუბელს აქუჩებს,  
ჩამოთურცლავს და სიმღერებად მთა-ბარს აჩუქებს.  
ერთი ხმა მხარზე მათრინდება თეთრი ჩიტივით-  
„აქ სამოთხეა!“-ჩამჭიკჭიკებს რეჩიტატივით...  
ნელი ადაჯჯო, ხან ალეგრო, ხანაც ფალცეტი,  
ქართულად მღერის ჩემს ძარღვებში ქარი-ქარცეტი!

### შემოღამება

ღვინისფერ დაისში შემრეშდა საღამო.  
ქალაქში ჩაჩუქდა ჩქამი და კინტი.  
ჭადრებმა უბეში ჩაისვეს ბელურა,  
ბუმბულაჩეხილი ნაცარა ჩიტი.  
მთაწმინდის მთვარეში იისფრად გათოვდა  
„მადალი ლანდების“ უკვდავი მითი  
და შეკრთა ჭადრების უბეში მთვლემარე  
„ბელურა-ყველაზე ქართული ჩიტი.“

### თოვდა თოვდი-ღარღი სივრცეს

თოვდა თოვლი და დღე იყო თვალებქარცი,  
მიარღვევდა ნაომარი მეფე ქარცივს.  
ცხენთ თქერაში იქარვებდა ჯავრს და ნანქერს  
ქარს ატანდა მოღალატის დორბლს და ნარქენს.  
დაეებჯდა ბედისწერა თოვლზე არხილს,  
მზეს ეძინა, დღე ლესავდა სამტრო მახვილს...  
მთათ ქარებმა მიაძახეს, მთათა-გზაშორთ-  
ნათესავი დავითის და ქრისტე ღმერთის,  
ვით მოიკლა ქართლის მეფე-დიდი აშოტ!  
გასულიყო საუკუნე ათერთმეტი.  
ჭირს ეძრაველა, გამხდარიყო ასჯერ მეტი...

ისევ თოვდა და დღე იდგა ისევ ქარცი...  
ერთი მერცხლის გაზაფხული ზამთარს არ ცვლის...  
ორიზმორიზთ ვათენინეთ გზებზე ქაცვი,  
გავიმეტეთ, ქრისტესავით ჯვარზე ვაცვით  
და შეერთო აშოტის სისხლს დროის მცვეთი,  
ხიბულაში დათხეული სისხლის წვეთი...  
ზამთარს ავად დამეზავრებულ ქართლის ბედის  
ქარებია პატრონი და ცრემლის მწმენდი.  
აფრიალებს ათასმერამდენე სირცხვილს...  
თოვლი თოვს და სევდა თოვს და დარღი სივრცის...

### ერთ დღეს

წითს დასავლეთი, ქარი დასძრავს ამაღამ ჯარებს.  
შეაზრიალებს წარათებზე ნაგველარ ჭარებს.  
მოვა ავდარი და დარების რომ აკრეტს ვალებს,  
ცეცხლით ატირებს მთათა გულში გახელილ თვალებს...  
ერთ დღეს შენც მოხვალ მზის საწურად დროის მარანში  
და არ მექნება არც ერთი დღე ყოფნის მარაგში!





მანანა მიქიაძე

\*\*\*

ისევ მოვედი,  
არ მინდოდა რომ შექვეყნებოდა,  
ისევ მოვედი,  
მომენატრეთ, მოვედი და  
მოგინახულეთ.  
ისევ მოვედი, ვერ მივხსურე  
წარსულის კარი.  
ისევ მოვედი მოგანათეთ,  
ღუმილით თვალთ.

ნუ გაიკვირვებთ მეგობრები.  
რომ მოვედი,  
ეს ყოფილა ყველაზე ძნელი,  
თუ მე გეწვიეთ გარდასული,  
თქვენც წამიერად  
დამითმეთ გული.

### ძაძებით მოსიღ ღელებს

ღრო მიდის ღრო არ ჩერდება  
და არც ბრუნდება უკან.  
წამები წიკ-წიკით მირბიან,  
წუთები მიჭქრიან სადღაც...  
ზარები რეკავენ, ზარები...  
მოგონებების ზარები,  
ღედები ისევ მოსთქვამენ,  
ომში დარჩენილ შვილებზე,  
დარდით ავსილი გულებით,  
ფიქრობენ წამებულ ბიჭებზე,  
„ღრო მკურნალია“ ვამბობთ,  
გონებას ვატყუებთ ვითომ...  
ვინ იცის რამდენი ღედა,  
კიდევ დასტირის სურათებს,  
ძაძებ-შემოსილ მშობლებს  
ვინ შეუმშრალებს ცრემლებს.  
ნუგეშს ვინ ეტყვის...  
„გეყოფათ!. დაგიბრუნდებათ ბიჭები“.  
თქვენთვისაც ამობრწყინდება  
ღილის მზე ამოქოჩრილი.  
ომიდან დაბრუნებულან,

ჯავრს გადაგიყრით გმირებო.  
ძაძებს დაიფხრეწთ ღედებო,  
ცეცხლს მიეცემა შავფერი.  
თქვენს დაბრუნებას ბიჭებო,  
დააგუგუნებს ზარები.  
ზარები დაიგუგუნებს,  
წარსულის სიმწრის ზარები...  
ვინ იცის? მართლაც დაბრუნდეთ  
ნუგეშად თქმული სიტყვებით.  
სადა ხართ, ამდენ ხანს სადა ხართ,  
რად იგვიანებთ ბიჭებო,  
ლოდინი ძნელი ყოფილა,  
სახლში გელიან იცოდეთ!  
თქვენს შემდეგ დაბადებულან,  
სოსო, გიორგი, ლევანი,  
დაიზრდებიან გმირებად,  
მომავლიდანაც ჩვილები.  
ოცნებებს ფრთები შეესხმის,  
ალარ იქნება ომები,  
მსოფლიოს უღრუბლო ზეცას  
მშვიდობა გააცისკროვნებს.

### ჯიხვთა ცირილი

ცვარიან ბილიკს გზად დავადექი  
დიაცი მავძებნ, ჯიხვს შავებზევი.  
მხოლოდ დედალ მსურს  
ჯავრი დამახრჩობს  
რომ არ ვეძიო,  
რომ ვერ ვიპოვო.  
მან გაიტაცა ჩემი ვაჟაი,  
გზაზე გადუხტა,  
ტანთ გადიტანა,  
კლდეზე გადაყოლა,  
სიყვარულ დამიღუპა.  
მავკლავ ღმერთმანი  
მავძებნ უტყუარად.  
მამალს ვიპოვნი  
დედალს დავუკაწრავ  
ცრემლს ვაღვრევენებ  
სატრფოს უყოლობით  
რაიდ გადაყოლა ჩემი ვაჟიკაი.  
ცხოსაც ხომ უნდოდა წყვილად ყოფნა,  
რაითა დამაგდო ცალად?  
მივეყვები ბილიკს კლდისაკენ მავალს,  
ფეხს არ დამიცდების,  
ყურს არ დამაკლდების,  
ხელი არ მიმტყუნებს,  
გული არ შემებრალვის,  
სისხლს არ დავუჩრჩენ  
მკერდს გადაფუფხურეწ.  
დე, დაიბლავლოს მამალმა დედლისთვის.  
დე, ცრემლი ღვაროს ჯიხვმა  
ჯიხვისთვის.

მივეყვები ბილიკს  
ცვარიან სავალს  
ლოდებსზე ვახტები  
თან წინ ვიყურები  
ეგება გამოჩნდეს ჯიხვთა მისადგომი

იქნება დამიხვდნენ ერთად ორივენი.  
ლოდებსზე მსტომარს უცებ ჩამომესმა  
კლდიდან ტირილი, ჯიხვთა ქვითინი.  
ნისლში განვეული მწვერვალის კალთები  
თვალს არ ებუების, ხილვას ეურჩების.  
მივადექი საწადელს,  
წავადექი ორთავეს.  
ტირინ რაისთვის?!  
ჰგოდავენ რაისთვის?!  
მამალი ბლავის,  
დედალი ცრემლს ღვრის  
წაქცეულ ქალაის ვაჟაი ეფერების.  
ღრიალს გამოსცემს  
ხმას ვერ იოკებს.  
„რაი მოუვიდათ?  
რაი შეემთხვათ?“  
სისხლის ტბორევა ისე აიცურა  
დაცემულ ქალაი გვერდით გადაგორა.  
გულზე მიეხუტა, მკერდზე მიენაბა.  
ცრემლები დაფარა, თოლით ანუგეშა.  
„ცხოს დაუსწრია, ცხვებიც დაუმწარებია“.  
თავდაღუნულმა ფიქრმა გამიელვა.  
სიკვდილ-სიცოცხლის ზღრუბლმა  
მალე გამოგვთიშა  
კლდეზე ლოდი დასხლტა  
ქარათებში ჩაიხერგა.  
ნისლი შეიფანტა  
ჯიხვი აიპართა  
ბლავილი გამოსცა.  
გული ჩამეთუთქა.  
ჩემი ვაჟიკაიც უმალ წარმომიდგა  
მკვდარ სატრფოს ხილვით  
სული მიმძიმოდა  
რქად შემართულ ჯიხვს  
ცრემლი გაშრობოდა.





სალომე ქარანია

\*\*\*

გარდაიცვალა, ფერი იცვალა,  
შენთან მოვიდა და შეიცვალა,  
განშორდა ხორცს, ღმერთო მე გთხოვ  
წარიყვან სული მის შენთანა შორს!  
იქ სადაც მზე, ანათებს მთებს  
ნათელი სუფევს არემარეს,  
იქ სადაც ყველა სრულყოფილ იქმნიან  
და ანგელოზად გარდაქმნას ილტვიან.  
იქ სადაც სუფევს წრფელი სიყვარული,  
ყველას სიკეთით ავსებულ აქვს გული.  
ეჰ, ნეტა ღმერთო დაბრუნდეს ის დრო,  
როცა სული მის ავსებდა მის ხორცს!  
გლოვა, ტირილი, ყვირილი, სევდა  
ხედავ რა ხდება აქ ღმერთო ჩვენთან?  
ჟუჟუნა წვიმა იქცა ნიაღვრად  
ქარიშხალს სისინით ღიმილი მიაქვს თან.  
მზეს ტირილისგან თვლები უსველდება,  
მალე ჩაქრება, სიცხლეს გაწყდება  
მის სხივით ყველას დილა უთენდება  
ცხრათვალაც თვისი სულითვე ნათდება.  
ხორცი მოკვდება, სული დარჩება,  
ძალითა შენით ღმერთო ამაღლდება.  
განშორდა ხორცს, ღმერთ მე გთხოვ  
წარიყვან სული მის შენთანა შორს.  
გარდაიცვალა, ფერი იცვალა  
მოვიდა შენთან და შეიცვალა...





გულნაზ ხარაიშვილი

### ღმერთო

ფიქრის ხეივანში შევიარე,  
ქარი რაღაცას დაობდა,  
ღმერთო, იმედებს მაზიარე,  
სანამ სული არ დაობლდა.

### ვერ გაუძელი

ვერ გაუძელი ამდენ სიცრუეს,  
ეკალბარდებში ტრიალს.  
მე მივაგენი სულში ერთ ყურეს,  
სულ ოქროსფერს და მზიანს.  
სულის სიმშვიდე მთებში ყოფილა,  
ტყეში, მთებში და მინდვრად.  
სულ ნაწილ-ნაწილ ღროც დაყოფილა,  
მე მეტი ან რა მინდა.

### წმინდა შარტი

თბილ შარტს ვატარებ,  
სიწმინდით ნაქსოვს,  
ჩემი გულია ნდობის მაღარო.  
გარჯით და ჯაფით, დარდის ცეცხლს ვაქრობ,  
მტერი მინდა, რომ ბრძოლით დავღალო.

### მთელი ცხოვრება

მთელი ცხოვრება, ვდუმდი მუნჯივით,  
ვდუმდი და ვდუმდი, ვით უტყვი მთები,  
ახლა დავდივარ ლექსის ხურჯინით,  
და ლექსის ცეცხლთან ხშირ-ხშირას ვთბები,  
ძალიან ბევრჯერ დარდი მათოვდა,  
იყო ტკივილის მიეთ-მოეთი.  
ლექსი მშველიდა, ლექსი მათობდა,  
ლექსის წყალობით დღემდე მოვედი.

### არავის ჰგავდით

(სერგი ლომაძეს და კახა ბაციკაძეს)

არავის ჰგავდით, არც წარსულებს,  
არც ირგვლივმყოფებს.  
დაგთამაშებდნენ ზეციური „ათინათები“,  
და თუ პოეტებს კვლავ ცენზებით  
ისევ დაყოფენ...  
მაშინ მოვითხოვ:  
შეგაფასონ ათიანებით!

### გაგაუკვდავებ

(ბეჟან ხარაიშვილს)

გაგაუკვდავებ, სანამ ვიცოცხლებ,  
შენს ლექსს არ დავთმობ არაფრის ფასად...  
პოეტი არის თვითონ სიცოცხლე,  
პოეტი ბრწყინავს ვარს კვლავის მსგავსად.

### ღარღის ბილიკი

ღაყობის წლებით  
ქარი სისინობს,  
ერთმანეთს ლანძღავთ  
ბილწი სიტყვებით,  
მე ამ ყოფაში როგორ  
ვიცინო,  
ბევრი მომრავლდა  
ერში ბრიყვები.

### გულის ხმაური

გულის ხმაურს ვერ ვიოკებ ლექსით,  
გადავწყვიტე, ზღვის ტალღების შებმა.  
თბილ ქვეყნიდან მერცხლის ხმები მესმის,  
მწვანე კაბა შეიკერეს მთებმა.

### ქარი

ქარს რაში უნდა გული,  
არ ენდო თავდავიწყებით...  
მას უნდა შენი ფული,  
და მალე დაავიწყდები.

### მზედ მხელავდი

მზედ მხელავდი, ახლა ღრუბლებს მადარებ,  
და ღრუბლებიც, მგონი ფერით მჯობია,  
მეტკინება? სულაც აღარ გადარდებს,  
მივხვდი ჩემი გულის მოკვლა გდომია.  
გაგეცალე, სულ უჩუმრად, უთქმელად  
დაგილოცავ გზას და მაგ შენს არჩევანს.  
ერთი სიტყვაც არ შემომრჩა საქებრად,  
გემოვნებას?... არ სცოდნია არჩევა.

ბრმა ყოფილხარ და მე რაში მჭირდება,  
ცის მნათობმა სითბო შემომამეგლა,  
ჩემს დილის მზეს, ერთგულებას ვაბრდება,  
მომეგლინა ჩემი სულის საშველად.  
მზის მკლავებზე ბევრჯერ ჩამოვისვენებ,  
რა დროულად გადაიხეტა შინდება.  
ამ წუთშიაც მხოლოდ ლექსით გიხსენებ,  
უფლის მადლით, მტერს მე არ ვუშინდება.

### გაგებუთე

მაისის თვეს მაწყენინე, გაგებუტე  
მერე სხვა თვეც მიემატა უნდო ქარებს.  
ჩემთვის ვარ და... საქმეებში დავბუტბუტებ,  
შენს მოკითხვას აღარავის არ ვაბარებ.

### ცყის ყვავილი

ცყის ყვავილს ზამთარში ძალიან ციოდა,  
არ იმჩნევს არაფერს, ნეტავი გაჩვენათ.  
უხმო დარდებით, ცრემლები ცვიოდა,  
არ სურდა საბრალოს ქარბუქში დარჩენა.

\* \* \*

გაზაფხულის თვეში დავიბადე, ხუთ მაისს,  
მოვიმარჯვე ბადე და შევძახე დაისს-კალმასი  
უნდა დავიჭირო, ასხლეტილ კლდიდან,  
ღმერთო, აღარ გამიჭიროვო, ჩემში ხომ დღემდე წვიმდა.  
მზემ დაანათა არემარეს,  
ღრუბლებმა ინებეს აორთქლება,  
სინათლე მიღებს კარებს,  
ნეტავი რა მოხდება?



25 ნოემბერი

ღამის თორმეტი საათი შესრულდა, პირველი  
დაიწყო, ჩემი ნანიკო ცხრამეტი წლის გახდა....

### ჩემო სიცოცხლე



ცხრამეტის თუხარ, არა მგონია,  
ნანიკო ისევ ციცქნა ხარ ჩემთვის....  
შენი სინაზე ცის კრის ფონია,  
შენ გვერდს გამშვენებს შენი ძამოკო.  
ჩემო სიცოცხლე, იბედნიერე,  
წინ სავალ გზაზე ფრთხილად იარე,  
ზოგჯერ ბებოსაც შეეხმიანე,  
ზოგჯერ გულისთქმაც გამიზიარე,  
ბედნიერებას მინდა მომასწრო,  
მინდა გამაცნო შენი რჩეული,  
ბევრჯერ დროსაც კი უნდა გაასწრო,  
შენ წარმატებებს ხარ მიჩვეული....

### ვლარლობ

განცხრომას, რესტორნებს,  
ხვალის დღედ მიიხნევთ,  
გწუხდები, ასეთებს ხშირ-ხშირად  
ვაწყდები,  
შავ ზანგებს სხეულთან გთხოვ  
ნულარ მიიჩვევთ,  
ქართველო ქალებო,  
უცხო სუ წაყვებით.

### მე

მე ჩემი სამყარო მიზიდავს,  
ქათქათა ღრუბლებიც ჩემია.  
ბედი ბედის კვერს მიზიდავს,  
ცხოვრება დარდი და ცრემლია.  
არ მინდა მახუქოთ სასახლე,  
იმედი დამირგოთ ეზოში...  
მე მინდა ჩემშივე დავსახლდე,  
გზოგრობდე ლექსების სოროში.  
ჩემს ფიქრთან არავის მოვუშვებ,  
თუ გინდა ლექსისთვის მაწამონ.  
ამას მე არასდროს დაგუშვებ,  
რაცა ვარ, ასეთი მიწამონ.

### ღამის მოღვმა

ღამის მოღვმა, მე რას გამიგებს,  
ზეცის შეილი ვარ, მთვარი ნათლული...  
დედამიწაზე მახე დამიგეს,  
მათგან გული მაქვს დანით დათლილი,  
ეგონათ მოგვედი, ხარობდნენ უკვე,  
და სინარულით ზეცას ეწიენ,  
დიდ გზას მივდევდი, თოვლიან უკვლევს  
მდიეს ვერაფრით ვერ დამეწიენ.

### აბლაუბდა

აბლაუბდა გზებზე დაეხეტები,  
და საჩუქარს გამზადებენ ავღრები...  
ჩემს ფიქრებთან არსად აღარ ეტევი,  
მალე ცაში წახვალ... გადაბარგდები.

### ხან ნისლია და...

ხან ნისლია და ხან სხივი ბრწყინავს,  
აგყვავებია გულს ბროწეული,  
გაფრთხილდი, მაინც ერიდე წვიმას,  
სუსტი ტოტი გაქვს ჩამოწეული.

**იამაყებს შენით საქართველო**  
(ზურა გონგლიაშვილს)

წარმატება საზღვარს იქით გაცდა,  
ჭადრაკია ვიცი შენი ჰობი.  
სვლებს აკეთებ სულ არავის ნაცადს.  
რადგან ნიჭი არაგვივით მორბის.  
იამაყებს შენით საქართველო,  
გილიმიან ციდან მზე და მთვარე,  
ჩემი გულის შემოგდომის რთველო,  
გამარჯვებით ბევრჯერ გამახარე.

**ნამუსის დღიური**

რად გხიბლავთ ბუნივით,  
უაზროთ ბზუილი,  
სხვის ბალის ტოტებზე,  
ჩიტვით სკინკილი...  
მომეცით, შეგვიფოსოთ  
ნამუსის დღიური,  
არ მინდა გეწვიოთ  
ცოცხლებსაც სიკვდილი.

**რად იწუნებენ**

შენს გემოვნებას რად იწუნებენ,  
ძალიან გიყვარს შენი რჩეული,  
რას დადიან და დაწუწუნობენ,  
თბილი სიტყვების გადაჩვეულნი.

**სჯობია**

სჯობია არსად არ გალიარო,  
დუმილი ჩემი სულის ჰობია...  
ღრუბლები უნდა გავაღიაო,  
მე ასე ვფიქრობ, ასე სჯობია.

**ჯანაინა დედოფალი გქვია**  
(ელენე გონგლიაშვილს)

გაზაფხულის სურნელებას აფრქვევ,  
სილამაზის დედოფალი გქვია.  
ჩემი გულის ამოსუნთქვას გარქმევ,  
ვარდ-ბაღნარო, შრო მანო და ია.  
ელენე ხარ ლამაზი და მშვიდი,  
სიყვარული გქონდეს მხოლოდ წიგნის  
თუ გამოხვალ პროფესორზე დიდი...  
მაშინ გვირგვინს თმებში ჩაგიწინდი.

**ღარდის ღელე**

ღარდის ღელეს ვგავარ მუდამ,  
ღელევე, ნეტავ არ აღიდდე,  
ჯვით დამაქვს ცოტა ხურდა  
და არც ვფიქრობ რომ გავმდიდრდე.  
თუ რამე მაქვს სხვისთვის მინდა,  
ლუკმაც მინდა სხვას გაფუცო,  
გულს სიკეთე გადმომდინდა,  
ღარდის ღელეს რაღა ვუყუო?!

**მიტხარი**

სიზმრად დამესიზმრე გვედრები,  
გული გაყინული შემომითბე...  
ნეტავ, რატომ აღარ გედარდები.  
შენ მე, იმედები გამითიბე.

**ცბიერი**

ცბიერი ყანას კი მომკის მაგრამ,  
ხორბალს ვერ დაქბავს.  
ლაფში ამოსვრის, მოყვასის ნაგრამს,  
ნერგსაც მტრებთან დარგავს.





გელა სხირტლაძე

### გულა

გელა ბაბუა ხარ გენაცვალე,  
 ცაში ჭერს აყრიდი სიხარულით,  
 თასი უსათუოდ გამოცალე,  
 ყველა დაპატეე სიყვარულით.  
 დედი დამილოცე შვილთაშვილი,  
 შენი შვილიშვილი გენაცვალე,  
 მერე ძმა დალოცე მამიშვილი...  
 მე კი ეგ ადგილი გამიცვალე.  
 ვახომ გააკეთა კაკანათი,  
 თაკოს ბედიც უნდა გადიბარდნოს,  
 თეომ გაგახარა პატარათი,  
 ჩემო, ტკივილო და გულის დარდო.

### ფერწასულია

ფერწასულია დღე ამ სიშორით,  
 შემოვინისლე, კვლავ ღრუბლის ფთილით,  
 ჩემს გზას თან დასდევს, ნისლი და თქორი,  
 ცაში მყავს თბილი, კეთილი შვილი.  
 ვიბრძოლებ ბოლო ამოსუნთქვამდე,  
 განსასჯელია, ირგვლივ ყოველი...  
 შვილის გარეშე როგორ ვსუნთქავდე  
 ვცოცხლობ იმით, რომ ისევ მოველი.

### დედის გული

დედის გული სამარესაც გაათბობს,  
 მისი სითბო ვულკანივით იფრქვევა.  
 თუკი ბედით მხრებზე თოვლი დაათოვს,  
 გაცეცხლდება, ვეფხვად გადაიქცევა,  
 გადაბოტნის მიწას შვილის ცხედრიდან,  
 ხან ფიქრებით, ხანაც თავის ხელებით,  
 სისხლი მოდის რძის მაგივრად მკერდიდან.  
 ზღვად გროვდება დედის მწარე ცრემლები...

### შვილო

შვილო, შეგეძინა შვილიშვილი,  
 ბიჭი დაიბადა შენი ფერის,  
 ჩემთვის საოცნებო შვილთაშვილი  
 გული თავისთავად ჩუმად მღერის.

### დაგეძებ შვილო

დაგეძებ შვილო, მოფერება ხომ არ გაკლია?  
 რაც შენ დაჰკარგე, ფიქრი გახდა დარდის სონეტა,  
 და თუ სიცოცხლე შენს გარეშე, შვილო, ნაკლია,  
 მაშინ სჯობია ისევ ისე დაფრჩე პოეტად.

ამ ლამაზ დღეებს მაშინ ჰქონდა შნო და ლაზათი,  
 როცა ჭრელ-ჭრელი სამოსელი ტანზე შემოსა.  
 ახლა გული მაქვს სევდიანი ფიქრიც ნაზამთრი,  
 მე გამახარებს ჩემი შვილის ხმა თუ მომესმა.




### მაცარა იოსანე ღობჯანიძეს

უკვე ვაჟუკცინარ დიდი ბიჭი,  
დელა სიტუქიზით გეფერება,  
ჩქარა დამანახე შენი კიჭი,  
ყველას შენი გაზრდა გვეჩქარება.


### დღეს

დღეს ლექსი აღარ მეწერინება,  
არ მკითხვოთ რატომ?  
შვილთა შვილი მყავს  
მათბობს....



10 დღის იოსანე ღობჯანიძე გილოცავთ ახალ წელს

# თარგმანები



პოემა

მარ ბაჯიევი

ლაშქრობაში ნასვლა  
და გამარჯვება თექეს-ხანზე

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ  
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5 ტომსა და  
ჟურნალი „ათინათის“ №№ 18, 19, 20, 21 ნომრებში



მაყვალა გონაშვილი

ორ თვემ განვლო იმ ამბიდან,  
 რაც ალტაის იყო კრება,  
 ერ-მანასის ჯარებს ხალხი  
 სულ დღითი დღე ემატება.  
 ჯიგიტები მამულისთვის  
 სიცოცხლეზე ფსონსა დებენ  
 და მამები ვაჟიშვილებს  
 საბრძოლველად ამზადებენ.  
 პირზე ღიმილს აცილებენ,  
 ვის უნახავს ცრემლი კაცთა,  
 მეომრებით სავსე ველი  
 სიმძიმისგან დაბარბაცდა.  
 დაიფარავს მამაც მხედრებს  
 გულმხურვალე ლოცვა ქალთა  
 მზის სხივებით შუბების ტყე  
 კოცონივით აბრიალდა.  
 ერთ დროში ქვეშ შეკრებილან  
 ყირგიზები, ყაზახები,  
 ელოდებათ წინ გრძელი გზა,  
 საბრძოლველად უცემთ გული.  
 ნამითაც არ დაისვენონ,  
 ასეთია განანესი,  
 თურქესტანის მმართველია  
 გოლიათი ხან – თექესი.  
 ემზადება საბრძოლველად  
 და ავედრებს მხედრებს უფალს,  
 არ დალაშქრონ ბურუტებმა  
 უჩ-ტურფანი, მართლაც ტურფა.  
 და ჯარები ყარა-სუუს  
 გალავანთან გააჩერა,  
 უჩ-ტურფანის დედაქალაქს  
 უნდა დაცვა, გადარჩენა.  
 და მოვიდნენ ერ-მანასთან  
 ყარატოკო, აჯიბაი,

მაჯიკი და ტაზბაიმატ,  
 ჩალიკი და კუტუბაი.  
 აიდარკან, არფიცხელი  
 და მრჩეველი მართლაც კარგი.  
 ასე უთხრეს, გმირთა-გმირო,  
 რომ არ იყოს დანაკარგი.  
 ნუ დავიპყრობთ ყარა-სუუს,  
 ავუქციოთ გვერდი ქალაქს  
 – გულში შიში შეგპარვიათ, –  
 მოერია ბრაზი მანასს.  
 – რაო, უკან დავიხიოთ?  
 მტერი ჩვენზე გავახაროთ?  
 დავიმალოთ მაჩვებივით,  
 მიწა ცხვირით გადავთხაროთ?  
 არ გავწირეთ თუკი თავი,  
 რას გვიშველის მხოლოდ ლოცვა,  
 ხან – თექესი დაგვეწვევა,  
 ერთიანად ამოგვხოცავს.  
 შევერკინოთ უნდა მომხვდურს,  
 მამულს უნდა ვემსახუროთ,  
 ჩვენი მხარე – თურქესტანი,  
 ჩვენი მიწა დავიბრუნოთ!  
 და ბაკაიმ უთხრა მანასს  
 დაე, იყოს შენი ნება,  
 მაგრამ ხერხი ღონესა სჯობს,  
 ჩვენცა გვემართებს მოხერხება.  
 მე ქალაქის ალყაფთან  
 მცირე რაზმით მივალ ნელა  
 გახელდება თექეს-ხანი  
 უკან გამოგვედევნება.  
 გაიფიქრებს, რომ ერ-მანასს  
 ჰყოლიაო რაზმი მცირე,  
 თქვენ წინ დახვდით, გზა მოჭერით  
 და ალყაში მოიქციეთ.

ალასუუს ალაცაფან  
 უთვალავი რაჯარია?  
 ყველა მხედარს შვენი ხმალი  
 ფარ-შუბი და აბჯარია.  
 და ბაკაი ფიქრობს ახლა  
 დაინყება განგაშიო,  
 ჯარი გამომედევენება  
 შევიტყუებთ ხაფანგშიო.  
 ალაცაფის კარებამდე  
 რალაც ოცი ნაბიჯია.  
 დგანან, როგორც ქვის სვეტები,  
 მეომრები არ იძვრიან.  
 თითქოს ყველა ქვად ქცეულა,  
 ან სალათას ძილით სძინავთ,  
 მიხვდა ხანის ეშმაკობას,  
 ერ-ბაკაის გაეცინა.  
 მანასს უთხრა: – „ალაცაფთან  
 ჩვენ ველოდით მამაც მხედრებს  
 ხმლებითა და ფარ-შუბებით,  
 ტიკინები დაგვახვედრეს.“  
 გაიხარა ერ-მანასმა,  
 ესეც ჩვენი იღბალიო,  
 ვით გვაშინებს თექესხანი  
 კიდევ ერთხელ მითხარიო.  
 და ბაკაის ნაამბობზე  
 იცინეს და იხარხარეს  
 ჯარი დასძრეს ქალაქისკენ  
 დიდხანს აღარ დაახანეს.  
 გამარჯვების ნიშნად დოლებს  
 დასცხეს მაგრად, აგუგუნეს,  
 ფიტულების კოცონები  
 დაანთეს და აგურგულეს.  
 ისე შეხვდა მანასს ხალხი,  
 თითქოს იყოს ცხვრების ფარა,  
 და კლიტენი ქალაქისა  
 უბრძოლველად ჩაიბარა.  
 და თექესმა გაიფიქრა: –  
 დავრჩი დარდის ამარაო,  
 ძერას თუკი ფრთებს მოაჭრი  
 როგორ შეკრას კამარაო.  
 რას იზავდა თექესხანი  
 აღარ ჰქონდა მეტი ჩარა,  
 ხმალი გულში ჩაიცა და  
 სული უფალს მიაბარა.  
 დაინახა ერ-მანასმა  
 შადრევანი, ფანჩატური,  
 დგას სასახლე – თექესხანის  
 ფირუზისფრად მოხატული.  
 მხედრებს უხმო, ასე უთხრა,  
 შიშით გვხვდება ქალაქიო,

არ დაინყოთ ძარცვა-გლეჯა  
 მე არ მინდა ალაფიო.  
 თუ გავიგე, რომ იქურდეთ,  
 არ შეგარჩენთ მხრებზე თავსო,  
 თუნდაც ნემსი მოიპაროთ,  
 არ ელოდეთ შენდობასო.  
 ხალხს მიმართა: - თექესხანის  
 მე სიკვდილი მემნარაო,  
 ნეტავ ჩემთან შერიგება,  
 ჩემთან ძმობა ეცადაო.  
 დაივინყეთ, ყალმუხებო,  
 ანი, ყველა სანუხარი,  
 მამაცი და გულმონყალე  
 თავად აირჩიეთ ხანი.  
 ძმად შევეკრათ უნდა ერთურთს,  
 სულ სხვა არის ჩვენი მტერი,  
 ჩვენ ერთი გვაქვს ბედისწერა  
 უფლის ერთი განაჩენი.  
 გაიხარეს ყალმუხებმა  
 დაივინყეს დარდი, შიში,  
 ქვეყნის ხანად აირჩიეს  
 თექესის ძმა თეიში.

**მანასის სიყვარული  
 ყიზ-საიკალისადმი**

ურ-ტურფანში იყო ერთი  
 ყალმუხელი აღსაკალი,  
 ჰყავდა შვილი მზის სადარი  
 მშვენიერი საიკალი.  
 ჩაჩქანის ქვეშ თმების ჩანჩქერს  
 ჭაბუკივით ჩაიხვევდა,  
 ჭეშმარიტი ჯიგიტივით  
 მორკალულ ხმალს აელვებდა.  
 იყო მამის ნუგეში და  
 გმირ ყარაჩას ალი-კვალი.  
 ხალხს ჭაბუკი ეგონა და  
 რა იცოდნენ, იყო ქალი...  
 როს თექესმა გაიმეტა  
 თავი თვისი მოსაკლავად,  
 და თეიში აირჩიეს  
 ურ-ტურფანის მმართველ-ხანად.  
 საიკალმა უთხრა მამას  
 მე ვიქცევი ქვეყნის ფარად,  
 მე ან მანასს შევაკვდები,  
 ან ამ მინას დავიფარავ.  
 მონობაში ან მოლხენა,  
 ან სიცოცხლე რისთვის მინდა,  
 ვფიცავ ზენას მე ბურუტებს  
 გავაძევებ ტურფანიდან.

და ღრეობდნენ ტურფა-ტურფანს  
 ხმები ცამდე ადიოდა.  
 იყო დოლი, ცხენთა რბოლა  
 ფლოქვებს ცეცხლი ასდიოდა.  
 მოიქანცნენ ლომგულეები  
 შეჯიბრება – ალამანით  
 ვის ერგება გამარჯვება?  
 ვინ იქნება ფალავანი?  
 ვინც რაშიდან გადმოაგდებს,  
 მეტოქეს და მოერევა,  
 მას ერგება გამარჯვება  
 დიდება და ცხენთა რემა.  
 ეს ვინ არის? წითელ ულაყს  
 ნეტავი ვინ მოაგელვებს  
 ვინ მოუხმობს მეტოქეებს  
 შუბს მზის შუქზე ვინ აელვებს?  
 საიკალი? საიკალი?  
 სახიფათო ყმანვილია,  
 მასთან ბრძოლის გამბედავი  
 სოფლად ნუთუ დაილია?  
 და მხედარმა მეტოქეებს  
 აუარა, ჩაუარა,  
 ბევრ ფალავანს მის მზერაზე  
 შიშის ზარმა დაუარა.  
 შეეზნენ თუ არ შეეზნენ?  
 გული უცემთ გამალებით,  
 თავს ჩაჩქანი გადაიძრო,  
 ჩამოღვარა დალალები.  
 თითქოს ქალის მშვენებისგან  
 ცაზე მზეც კი დაიბინდა,  
 და გაყურდა მოედანი,  
 გაქვავდა და გაირინდა  
 გადიარა ოხვრის ტალღამ,  
 ცამ და მთებმა მისცეს ბანი,  
 რაო, ქალი ყოფილაო  
 მამაცი და ფალავანი?  
 შეიკრიბნენ ერ-საიშთან  
 ჯიგიტები, შეკრეს რკალი,  
 ყველას უნდა დაამარცხოს  
 მშვენიერი საიკალი.  
 საიკალმა უთხრა ვაჟებს: –  
 „არ მსურს თქვენთან შერკინება,  
 მანასს უნდა შევებრძოლო  
 ასეთია ღმერთის ნება.  
 უნდა ყველას შეგახსენოთ,  
 მონობისთვის როდი ვიშვი,  
 თუმც ქალი ვარ, დიახ ქალი,  
 უცხო არის ჩემთვის შიში.  
 სულ ამაოდ დააყენეთ  
 ცხენთა დოლით ირგვლივ მტვერი,

გინდა გმირი იყოს, ჩემთვის,  
 მტერი, მუდამ არის მტერი.  
 ჰე, მანასო, ჩემო სწორო,  
 ჩემი მინის დამპყრობელო,  
 შენთან მინდა შერკინება  
 უნდა ბრძოლით გაგახელო.  
 ან შეგაკვდე მაგ მახვილზე,  
 ან მამული ვასახელო.  
 თუ მოგიგე, დაგამარცხე,  
 შენი ცხენი მე რად მინდა?  
 მე რად მინდა შავრა ცხენი?  
 თუმცა ჯიშით არის წმინდა...  
 თუმცა ცეცხლის მფრქვეველია,  
 თუმცა მინას უშენს ტორებს,  
 შემომფიცე, რომ უჩ-ტურფანს  
 სამუდამოდ მიატოვებ.  
 თუ წავაგე და მშვიდობა  
 სოფლად მე ვერ დავამყარე,  
 თუ გსურს, მომკალ ანდა მონად  
 ცხენიანად წამიყვანე.“  
 „რას მიქვია, ქალთან ბრძოლა?“  
 გაებადრა სახე მანასს,  
 „კარგად ვიცნობ, მშვენიერო,  
 ამ ცხოვრების ანა-ბანას.  
 ქალთან ვიცი მე თამაში,  
 მეტი აღარ გამაცინო,  
 თუ მოგიგე? მაგ ლოყაზე  
 უნდა ერთხელ მაკოცინო.“  
 საიკალი ჰგავდა ყვავილს  
 მოშრიალეს ედემს ვარდად,  
 მანასს თითქოს შუბი დაჰკრეს,  
 ქალზე გული შეუვარდა.  
 აი, ქალი, ჩემი დარი,  
 ჩემი ჯუფთი, ჩემი სწორი,  
 დიდგულა და უკარება,  
 მე ასეთი მინდა ცოლი.  
 რას მიქვია ორთაბრძოლა,  
 ქალი არის, განა კაცი,  
 შუბი უნდა ფარზე ვტყორცნო,  
 არ დააჩნდეს განაკანრი.  
 ქალი არის საალერსოდ  
 ავსებული, მონეული,  
 გავაგორო უნდა ველზე,  
 როგორც მნიფე ბრონეული.  
 დაავინყდა ლომგულ მანასს  
 ორთაბრძოლის ყველა მითი,  
 როცა ქალი დაგატყვევებს  
 კაცი ხდები მიამიტი.  
 ყიზ-საიკალს გულით სურდა  
 ყირგიზების ამონყვეტა,

შუბი სტყორცნა მანასს მკერდში,  
სასიკვდილოდ გაიმეტა.  
შუბს უფარა ფარი გმირმა,  
შუბის წვერი მიზანს ასცდა,  
და მხედარი გულზვიადი,  
შეტორტმანდა, შებარბაცდა.  
ერ-მანასი მიხვდა უცებ  
ყიზ-საიკლის მზაკვრულ სურვილს,  
თუმც არ უნდა ქალთან ბრძოლა,  
ტკბილი არის მაინც სული.  
დაუბუჟდა მარჯვენა და  
იარიდან წვეთავს სისხლი,  
გაგულისდა გმირთა-გმირი,  
გადაეკრა თვალზე ნისლი.  
ნეტავი რის მიჯნურობა,  
რისი ტოლი, რისი ქალი?  
შუბი სტყორცნა, მიწას დასცა  
პირ-ყირმიზა საიკალი.  
გააშიშვლა უცებ ხმალი,  
ცხენს სადავე დაუმოკლა,  
გაირინდნენ მეომრები,  
არ დაინდობს, დასტურ, მოკლავს.  
თითქოს იყო მზის ასული  
გაეშალა ქალს დალალი,  
თვალეზს რისხვით აკვესებდა,  
გაუთეთრდა ბაგე-ლალი.  
რაო, ქალო, ნიავექარო?  
გულს რად გიღრღნის დარდის მახრა?  
მშვენიერო ყიზ-საიკალ,  
ჰა, სიკვდილი მოგეახლა.  
ეს ღრუბლები კი არა და  
გულზე განევს დარდის გორა,  
დაიხარა უცებ ვაჟი  
და ქალს ყელზე ეამბორა.  
მერე უცებ რაშს მოახტა,  
გადუჭირა შოლტი მერანს,  
რაც ყიზ-საიკლს დაემართა  
მას ვერ აღწერს კაცის ენა.  
„ნეტა, მართლა მოგეკალი,

რად მომკვეცე, ბიჭო, ფრთები?  
გულში რატომ დამიტოვე,  
მე ჭრილობა უკურნები?“  
გაიფიქრა საიკალმა: –  
„შენ გეკუთვნის ჩემი გული,  
არ მცოდნია, თურმე დღემდე,  
თუ რა არის სიყვარული.  
ტანზე კაბა კი არა და  
მწუხარების ფლასი მმოსავს,  
მე გაჩუქებ თეთრ ღამეებს  
და ცრემლების კრიალოსანს.

...  
მშვიდობით და გამარჯვებით  
როს ტოვებდა ჯარი ქალაქს  
ცხენზე მჯდარმა კოკჩეხანმა  
გაუცინა, უთხრა მანასს: –  
„როგორ დარდობს, გოლიათო,  
შეხე, შენი საიკალი,  
ცოლად რად არ მოიყვანე?  
გული რატომ მოუკალი?“  
„ჩემო კოკჩე, კარგად იცი,  
საარაკო მელის ომი,  
მსურს დავბრუნდე გამარჯვებით  
გავახარო გულისსწორი.  
ყირგიზების სასახელოდ  
უნდა დავამარცხო მტერი,  
მერე მივალ, ყიზ-საიკალს  
საუკუნოდ შევეყრები.

...  
მთელი ცხოვრება ელოდა  
საიკალი მამაც მხედარს,  
მაგრამ ნატვრის ასრულება,  
თურმე, არ ენერა ბედად...  
მოლოდინით სწეულ გულეზს,  
რა დრომ უნდა უაქიმოს?  
შეყვარებული სულები  
ერთ-ურთს შეხვდნენ საიქიოს.

(გაგრძელება იქნება)



**Ratiani Lali**

*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



**WEG DES RUHMES  
(Fortsetzung)**

Meine Freunde und ich sind auf dem Gebiet der Literatur seit langem tätig, deswegen soll man darüber nicht staunen, dass wir außer den Gedichten und Erzählungen auch die Poeme und die Theaterstücke aufgeschrieben haben, Jetzt erinnere ich mich an unsere Theaterstücke: "Richter der Menschheit, "Garten des dunkelblauen Lichtes", die dem Leben der Dichterin und der Idealisten dem Leben der gefolterten Frau-Schamanauri Nazi gewidmet sind. Obwohl wir diese Werke ziemlich schnell geschrieben haben, ist daran die größte Arbeit geleistet. Und stellen Sie sich vor, daß unsere Dichtung zehnmahl mehr Arbeit verlangt hatte. Die vier Mitglieder-Hauptbesassung der Vereinigung "Zgwari" haben "weiße Trilogie," und außerdem auch andere Dichtungen/Arbeiten geschaffen. Ich spreche darüber, nur um zu berichten, daß besser als ich niemand weiß, was für eine titanische Arbeit das Schaffen der Dichtungen verlangt.

Von den Dichtungen Gulnazi Charaischwili sind nur zwei "Heiße Tränen" und "Mord in eigenem Haus" bekannt. Der erste Poem hatte sie dem tragisch Verstorbenem jungen Mann Charebawa Bathu gewidmet. Aber der zweite Dichtung hatte sie nach der Bitte der Frauen Chaburdsania Thinathin und Lomidse Eliko geschrieben. Frau Gulnazi hatte diese Dichtung dem Sohn von Eliko gewidmet, der auch tragisch umgekommen war. Kurz gesagt, viele verließen sich auf diese beiden ausgezeichneten Jugendlichen -Bathu und Merab, die von dem Schicksal verlassen waren. Als ein Mensch mit weichen und zartem Herzen hatte Frau Gulnazihre Namen durch ihre Dichtungen verewigt, unsterblich gemacht.



Die Dichtungen sind gereimt und nach der Art dem Akrostichus aufgeführt worden. Ich halte mich für einen professionellen und phanatichen Dichter schon seit mehr als zwanzig Jahren und ich kann gut verstehen, mit welchen Schwierigkeiten das Schaffen derartiger Dichtungen verbunden sind. Die Phanatiker der Poesie sind in der Lage gegenseitige Arbeiten entsprechend hoch einzuschätzen.

Die beiden Dichtungen sind im Buch unter dem Tittel „Innmiten der Seele“ eingetragen worden. Das ist eben die Arbeit, die ich einiges Mal erwähnt habe.

Die Begabung und die Arbeitssamkeit sind doch die notwendigsten Eigenschaften, wie auch die Zielstrebigkeit für den Dichter.(Das Lebensziel verändert sich, aber manchmal-ein guter literarischer Wettbewerber will noch mehr und mehr erreichen. Ab und zu hat man anfangs zwei, drei Zweckeaufeinmal zu erfüllen. Hier möchte ich eines der Ziele-Fortschritte, sagen wir, das Schaffen zahlreicher Meisterwerkebezeichnen, das viellleicht für alle Dichter allgemein sein sollte, was schwer zu erreichen ist), aber der Fleiß selbst ruft bei den Menschen die Helligkeit und das Wachsen der Arbeitssamkeit und der Zielstrebigkeit anderseits hervor. Die Begabung, die Genialität sind doch etwas Wunderliches und Unvergleichbares.

Es gibt noch was- Qual, Lebensmarter und-folter, Lebenskreuzung formiert, modelliert zuletzt in der Person das Genius, wodurch sich der Mensch mit Gott verbinden wird.(wie viele Weisen sagten, wir sollten uns Gott ähnlich sein, sehen .)

Obwohl es das Qual einigermaßen fetischisiert ist(und darüber bis dahin auch Dostoevski und die Anderen nicht einmal prädigten), soll der Künstler doch bestimmte und entsprechende Lebensbedingungen haben, um die Meisterwerke schaffen zu können.

Solche Bedingungen zu haben, das ist eine Seltsamkeit für unser Land.

Und doch—die Künstler arbeiten, geben alle Kräfte bis zum Ende aus und zu Folge der schwierigsten und unerträglichsten Arbeit erreichen sie doch ihr Ziel.

Die von mir aufgezählte jene zwei Dichtungen—das ist ein wahrer Tätigkeitssieg von Charaischwili Gulnazi. Und, dass es in beiden Dichtungen auch prosaische Stelle gibt, ist es ein mutiger Experiment von ihrer Seite her und ich begrüße es persönlich. Ich begrüße solch eine Dichterin, die vom ersten Blick an wenig experimentiert. In der Tat gibt es in ihrer Poesie ziemlich viele tapfere Unerwartungen. Zum Beispiel, der zweite Poem beginnt direkt mit der Prosa, derer erster Teil eine vollständige Prosa ist. Vom Anfang an habe ich mir daran gedacht, daß dieses Teil die Einführung war. Aber nachdem ich diese Arbeit gut studiert hatte, ahnte ich, daß die Anfangs-Prosa, ein unzertrennlicher Teil des ganzen Poems, seines Hauptkörpers war. Solche Prosa verwandelt sich allmählich völlig zwanglos, natürlicherweise ins vierzehnsilbige akrostichische Gedicht und zieht sich weit bis zum Ende auf solche Weise.

Im Poem "Heiße Tränen", den man für einen besten Poem von Charaischwili Gulnazi halten könnte, ist es umgekehrt..Nach einer kurzen Einführung fängt ein vierzehnsilbiges akrostichisches Gedicht an. Dort wird zum Schluß auf eine Stelle nicht so lange Prosa hinzugefügt werden, aber dann endet sich alles wieder mit dem Gedicht, weil es von der Logik des Geschöpfs verlangt wurde.

"Heiße Tränen"ist nach dem Umfang kein großer, aber lyrischer Poem. In der Wirklichkeit sieht das ganz anders aus. Es ist inhaltlich das größte Mysterium, das Hellsehen, in dem anfangs epohalische Bilder unseres Landes wiedergegeben sind, aber in diesem Hintergrund das zweite Hellsehen beginnt.

In der Auffassung taucht das vom Elend und Trauer heimgesuchte, gespaltete Land, das verlorene Abchasien mit ihren Kindern ohne Durchschlagskraft, Haß und gegenseitige Gegensätzlichkeit auf.

Kurz und poetisch ist unsere Geschichte der letzten Jahrzehnte, wie auch die Geschichte die durch das Versterben des Sohnes tragisch gewordene Familie, die im tragischen Hintergrund des Landes, wiedergegeben worden ist.

Verwunderlich ist auch das zweite Mysterium.-Hellsehen.(das zweite Teil des vollen Misteriums), als der Dichter den ins Vogel, in die Lerche verwandelte Geist der verstorbenen Menschen hellsieht. Das Vogel spricht die menschliche Sprache und es ist ebenso gut, heilig, wie es bei ihm als Mensch gewesen war. Das Mensch-Vogel bittet die Dichterin, sie möge seine Eltern besuchen und sie trösten.

Das ist vielleicht die beste und täuschende Stelle im ganzen Poem.

Meinem Freund, Dichter Suchbaja Giorgi gehört ein wunderliches Gedicht mit einem wunderlichen Tittel „Unerreichbar“, das eine assoziative Erinnerung ist.

Ebenso unerreichbar und bis zum Ende unfassbar ist solch eine Episode des Poems von Charaischwili Gulnazi, wo sie uns über das Mensch-Vogel erzählt...

Wie soll man erraten, ahnen, wer ein größer Künstler ist?

Vorallerdings soll man es mit dem Herzen spüren. Unser eigenes Gefühl soll uns die Wahrheit sagen, wenn wir uns mit der Tätigkeit eines Künstlers vertraut machen.

Entweder hat der Mensch, kurz gesagt, das Herz oder nicht. Zum Unglück sind die herzen-und geistlosen Menschen summiert in der Tat mehr, als die gefühlsvollen Menschen. Dijenige sind auch nicht wenig, in deren Brust die sensitiven Herzen schlagen, die ein wahres Vorgefühl haben, um die Meistwerke zu erkennen, sie wahrzunehmen.



Es ist ebenso kompliziert, diese zwei Worte -poetisches Gefühl –genau zu bestimmen, wie auch am schwierigsten ist, die präzise Definierung selbst der Poesie zu geben.

Bei der Einschätzung der beliebigen Kunstarten ist poetisches Gefühl eben ein Ausgangspunkt, weil was es gut ist, ist es auch poetisch, konkret gesagt -was es gut und gehoben ist, soll es poetisch sein. Die Schönheit ist selbst die Poetizität.

Es sehen „Heiße Tränen“ und seine wunderliche Episode poetisch aus, wenn es die Seele der verstorbenen Menschen versucht, seine eigene Eltern aus jenseits der Welt zu trösten.

Man kann andererseits nichts ohne Analogie in der Welt herausfinden. Man sagt, daß alles Neue meistens gut wiederholtes, vergessenes Alte ist.

Der von Gulnazi Charaischwili dargestellte solche wunderliche Episode wird auch meiner Meinung nach auch ohne Analogie nicht sein, insofern die Welt- und auch unsere heimische Literatur so weit und breit ist. Aber alle Meister oder Großmeister, alle Fachleute oder Superfachleute besitzen ihren Stil, ihre Handschrift. Aus den bestimmten Materialien sondern alle das Meisterwerk eigenartig aus. Die Meister sind doch selbst Diener ihrer Kunst. Große Kunst ist eben große Religion und alle Diener-Künstler dienen ihr eigentümlich.

Gulnazi Charaischwili hat auch ihre eigene, nur für sie charakteristische Handschrift. Jenes von ihr ausgedachte unvergessliche Mysterium-Hellsehen geht bis zum Herzen der Leser durch verschiedene Wege, ganz anders, als das von den anderen Meistern gezeigte ähnliche Mysterien. Welches ist unter ihnen am besten, das ist schon ein anderes Thema. Ich würde so sagen, daß alle eigentümlich schön sind. Nochmals bin ich davon überzeugt, daß wahre Kunst keine Welt des Wettbewerbs ist (im Unterschied zum Sport, wo eben das Wettbewerb, eben gegenseitige Wettkämpfe, mit jemandem im Wettbewerb stehen - eine eigentümliche, sagen wir, Sportkunst bildet.)

Es ist bewunderswert, daß es der Wettbewerb in der Kunst auch immer noch von der Zeit der eben dieser als Vater der Kunst, der Poesie genannte Homeros gab, obwohl es die Poesie früher in der Merzahl geschaffen wurde. Kurz davor lebte auch, der unbekannt Autor von „Gilgameschian“. Die erste Variante dieses genialen Poems existierte natürlich sowohl vor „Argonawtik“ von Orpheos, als auch vor „Iliada“ und „Odisea“ von Homeros.

Homeros war der Epos-Meister, der erste Meister seiner Zeit. Die Epopöe war seine wahrhaftige Naturkraft.

Über die Epik wurde es also schon genug gesprochen.

Als unbesiegbarer, (Ewigsieger) Champion der Lyrik ist in der antischen Welt Pindaros (derselbe Pindare) eingetragen worden. Niemand weiß über die präzise Zahl seiner Siege. Jawohl, grenzlos sind die Siege dieses Dichters, aber die Gerüchte über das Verloren und Unentschieden sind doch nur etwas nicht Ernstes, das nichts gemeinsames zum poetischen Wettbewerb hatte. Pindare gewann den Sieg, trug den Sieg aber in der Wirklichkeit immer davon.

Der Wettbewerb ging dann und dann mit der Kunstgeschichte parallel. Das hatte sich gut in der Zeit der französischen Symbolismus gezeigt.

Und bei uns in Georgien auch.

Oft kann man heute auch davon hören wer aller Beste unter den georgischen Schriftstellern Ilja-Akaki und Wadschja ist, wer liegt doch an der Spitze?

Der Autor von „Gandegili“, „Thornike Eristawi“, „Aluda Khethelauri“ sind wirklich drei gute, unvergleichbare Dinge.

Heute ist besonders aktuell die Frage, die es um Barathaschwili-Galaktioni-Graneli handelt.

Dem König der Poesie und der Kunst Schota Rustaweli wird bis heute keiner in wahren Gegenzichtigkeit gegenübergestellt werden.

Der großartige Epik- Lyriker Guramischwili steht aber ganz einzeln.

Was es Paolo und Tizian angeht, die die Führung übernahmen und die Angehörige der Gruppe unter dem Tittel 'Kanzelebi' waren, werden mehr Barathaschwili, Galaktion und Graneli gegenübergestellt werden.

Auf diese Weise haben wir uns ganz kurz an die Könige der vergangenen Jahre erinnert.

Bei uns ist es ganz aktuell, die Künste gegenüberzustellen. Die handelnden Künstler versuchen ihren Vorrang zu behaupten. Dazu gehört der hellste Vertreter Bazikadse Kacha, der bis heute seinen Eifer und seine Eitelkeit nicht unterdrücken kann.

Absolut unterschiedliche Situation haben wir im Falle der Hauptheldin meines dokumentaren Buches, Romans- Chaharaischwili Gulnazi. Sie ist ein bescheidener und friedensdienlicher Mensch, der niemandem seinen Vorrang zeigt. Das heißt ganz und gar nicht, dass sie über ihre eigene Großartigkeit nicht weißt: jeder große Mensch fühlt sich seine Großartigkeit (früher habe ich mir gedacht, da es nicht so war. Ich meinte, daß z. B. Barataschwili von seinem eigenen Preis, seiner Höhe nichts wußte. Ich hatte mir aber ganz bitter geirrt!). Manchen gelingt es aber das zu verheimlichen.

Was es aber Kacha angeht, ist er noch zu jung.

Frau Gulnazi hat eine große Lebenserfahrung.. Im Verkehr mit den Menschen, meistens mit den Künstlern ist sie mehr eine starke Politiker, als wir alle Mitglieder der schöpferischen Gruppe "Zgwari". sind. Und zwar, je die Zeit vergeht, desto mehr und mehr wir von Frau Gulnazi und ihr ähnlichen Menschen mitbekommen.

In der letzten Zeit habe ich mir und auch den anderen Mitgliedern der Gruppe "Zgwari" verboten, an den politischen Gegenüberstellung teilzunehmen. Man glaubt mir wegen meines Alters ziemlich gut. Kacha, der früher zahlreiche poetische Wettbewerbe gewonnen hatte, (Erinnern wir uns daran, daß Ustiaschwili, Aphakidse und viele andere begabte Menschen, Dichter das lange behalten werden, daß Bazikadse Kacha Meister der poetischen Wettbewerbe ist). Er kann heute auch aber seltener die übertreibend stolzen Künstler (Dichter, Musiker) balanzieren und er versucht sich daran anzupassen, dass die Bescheidenheit eine der vorrangigsten Tugenden eben der Menschen, insofern

in der Kunst ist.

Die Philosophie ist aber was anders. Sie ist keine reine Kunst In ihr treibt noch mehr die Wissenschaft über. Im jenigen Streit, Gegenüberstellung kann die Wahrheit festgestellt werden..

Wahre Kunst ist doch eine andere Welt.

Und was verbirgt sich aber unter der Unbekämpflichkeit?

Zum Beispiel, Pindare war wirklich genial, aber ich halte ihn ehrlich gesagt, für ersten Lyriker aller Zeiten und Völker gar nicht. Außerdem war die wahre Lyrik zu jener Zeit noch im Stadium der Formierung gewesen.

Führen wir ein Beispiel des großen Champions und unbekämpflichen Profis Roki Marchiano ein. Es hat sich Brein Nilsen, ein großartiger junger Mann, aber Halbchampion, Europäier aufgetaucht, der Hauptrecord/der so unerreichbar für Einigen war) von Marchiano wiederholt hatte. Viele stellen den Tittel des Ringkämpfers Nilsen Brein bis heute unter dem Verdacht. (Ich kann mich auch an seinen verdächtigen Sieg gut erinnern.)

Der Schachspieler Pol Morp, der Ringkämpfer Rei Juri und viele, viele andere –es sind die Leute, die ihre eigene Unbekämpflichkeit zum Opfer gestellt hatten.

Muchamed Ali, der erste Beste Ringkämpfer aller Zeiten wurde für immer erkrankt. ( Er litt an der unheilbaren Krankheit). Obwohl er nicht unbekämpfbar war, hielt man ihn doch für solchen. Unter den Menschen seines Berufs war er mehr populär, er erfreute sich großer Beliebtheit





გურამ ჭავჭავანიძე  
Гурам Чавчанидзе

**Александр Пушкин**

\* \* \*

За старые грехи наказанный судьбой,  
Я страдаю восемь дней, с лекарствами в желудке,  
С Меркурием в крови, с раскаяньем в рассудке –  
Я страдаю – Эскулап ручается собой.

**აღუქსნღრუ ჰუშკინი**

\* \* \*

ძველი ცოდვების გამო ლამის ამტკივდეს კუჭი,  
აღარც წამლები მშველის, არც სინანულის განცდა,  
აფსუსს, მერკურიც სისხლში ტყუილ-უბრალოდ გაცდა  
და ესკულაპის გარჯაც, ვგონებ, გამოდგეს ფუჭი.

29.08.16

**აღუქსნღრუ ბლოკი**

\* \* \*

ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი,  
ის უაზრო მზერაც ბნელში გიქრება,  
რომც იცხოვრო კიდევ წელი მრავალი,  
ყველაფერი ისევ ისე იქნება.

მერე წახვალ, სადაც ყველა წავიდა,  
სადაც გელის წყვილი და წკვარამი,  
ყველაფერი დაიწყება თავიდან:  
ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი.

29.08.16

**Александр Блок**

\* \* \*

Ночь, улица, Фонарь, аптека,  
Бессмысленный и тусклый свет.  
Живи еще хоть четверть века —  
Все будет так, исхода нет.

Умрешь — начнешь опять сначала,  
И повторится все, как встарь:  
Ночь, ледяная рябь канала,  
Аптека, улица, фонарь.

**Фёдор Тютчев**

\* \* \*

Я встретил вас – и все былое  
В отжившем сердце ожило;  
Я вспомнил время золотое —  
И сердцу стало так тепло...

.....  
Тут не одно воспоминанье,  
Тут жизнь заговорила вновь,—  
И то же в вас очарованье  
И та ж в душе моей любовь!..

**თღღრღრუ ციუტჩღვი**

\* \* \*

შეგხვდით და უმალ ოქრო წარსული  
ხსოვნაში თითქოს კვლავ აცისკარდა,  
თითქოს, გაცოცხლდა დაჭრილი გული,  
სულში ჩადღვრილმა სითბომ იმატა.

.....  
ეს გახსენება არ არის მხოლოდ,  
ეს სიცოცხლეა და სინარული,  
არც თქვენი ხიბლი ჩანს რიგში ბოლო,  
არც ჩემი ტრფობა და სიყვარული.

22.02.16



## საბავშვო გახყოფილება



„მეზღაპრე“ ლალი კახიძე



### სოფლის ნობათი „ზღაპარი“

იყო და არა იყო რა იყო სოფლად ჭრიჭინობელა, რომელიც ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. სოფელი ხარობდა, თავის უხვი მოსავლით ქალაქიც მაგრად იდგა ფეხზე, ძლიერად გრძნობდა თავს ქალაქელები სოფლის იმედად. როგორც ადამიანს ჭირდება ჟანგბადი, ასევე ქალაქის ჟანგბადია სოფელი.

სოფელში უამრავი პროდუქტია. ბოსტნეული, ხილი, ფრინველი, ხორცეული, მარცვლეული, რძის პროდუქტი, ყველაფერი საუკეთესო. ჭრიჭინობელაც ხარობს სოფლის დოვლათით. აგერ შაქრო პაპას ოჯახიც გახარებულია. ყველანაირი მოსავალია მის ეზო-კარში.

სოფელში არის დიდი ბაზარი სადაც ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიან ქალაქელები მანქანებით. დატვირთულები მიდიან მიაქვთ სოფლის ნობათი, საუკეთესო პროდუქტი, ჯანმრთელი, საღი. საოცრება ხდება ბაზარზე. დახლები საფსე ხილით ან რა ლამაზ კალათებში უწყვიანთ, რა სისუფთავეა თვალს უხარია. აგერ ბოსტნეული თითქოს მხატვრის შესრულებულტილოზია გადმოცემული. დაკლული, გასუფთავებული ფრინველი რა საოცრად იყურება. თითქოს უმაღაც შეგიძლია მიერთმევა. ხორცეული როგორ ლამაზად ჩამოუკიდიათ თეთრ დოლბანდებში გადაუხვევიათ, მტვრისაგან, რომ დაეცვათ. უნიკალური სისუფთავეა. მყიდველიც ბლომად არის ამიტომ. ვინ არ შეიძენს ასეთ პირობებში. მართლაც განსხვავებულია სოფლის ნობათი.



ბაზარში ახალი პერსონა გამოჩნდა. გაპრანჭული მელია, წითელი კუდით-თუ შეიძლება ორი დედალი მომეცით.

- ინებეთ მელაკუდა.

გახარებული მელია ტყის გზას დაადგა თავის ორი დედლით რომელიც სოფელში შეიძინა. თან ფიქრობდა - „ასე არ ვლობია, გასუფთავებული, გაკრიალებული დედლები, მხოლოდ კბილი გამოკარ და მზად არის.“

ჭრიჭინობელა აკონტროლებს ყველაფერს, კარგი პოლიციელივით, იცავს სოფლის ნობათს. აგერ ნიკო პაპას მწვანელი შეაქვს ბაზარზე თავის ტაჭკით. მწვანელი, გასუფთავებულ გარეცხილი გაკრიალებული. წამებში დადება და იყიდება ყველაფერი. ბარაქა სოფელს, ქალაქს პროდუქტი ჯანმრთელი, ყველას სინარული და ბედნიერება.

თქვენ კი ტკბილი ძილი ჩემო პატარებო.

## ახალი წელი

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და არა იყო რა, იყო დიდი მოლოდინი სოფელსა და ქალაქს „ახალი წლისა“ ხარობს ცა და დედამიწა. ყველას უყვარს ეს ღვთისაგან ბოძებული დიდი დღესასწაული „ახალი წელი“ ყველა ქვეყანა ზეიმობს ამ დღესასწაულს. ჩვენი ქვეყანა და ხალხი განსაკუთრებულია. სოფელში, ქალაქში არის დიდი მზადება: კეთდება განსაკუთრებული სადილები. გოჭის და საცივის გარეშე, ხომ შეუძლებელია? გოზინაყი ერთ-ერთი ატრიბუტია ქართული სუფრის. ბავშვები თოვლის პაპას მოლოდინში თვალეზადმოკარკულულები მიშტერებიან კარებს. ყველა ოჯახში საზეიმოდ მორთული ნაძვის ხეები ლაპლაპებენ. ემზადებიან მეკვლეები. კარგი თევზით და ლოცვით შეაღონ ოჯახის კარებები. ამ ყველაფერს უყურებს „ბოროტი ჯადოქარი“ ტირის სინარულისგან: „მე უნდა გამოვსწორდე, მოვიხსნა ბოროტებები. ნახეთ ხალხი როგორ ხარობს?“

მიხვდა ბოროტი ჯადოქარი თუ რამხელა რამ არის სიკეთე. ღმერთს ბოდიში მოუხადა, პატიება სთხოვა და პირობა დადო რომ აწი პატიოსანი გზით იცხოვრებდა. არაფის არაფერს დაუშავებდა. ამ ლოცვაში და თხოვნაში იყო ჯადოქარი, რომ უცებ ცა გაიხსნა და ზევიდან ჩამოვარდა უზარმაზარი ყუთი. შიგ ეწყო თოვლის ბაბუის სამოსი, უამრავი საჩუქრები. გამოეწყო თოვლის ბაბუის სამოსში, აიღო საჩუქრები ხურჯინებში გადაანაწილა და როგორც კი გახდა 12 საათი დაიწყო ოჯახებში სიარული.

- მოვედი თოვლის პაპა რათა სინარული მოგიტანოთ, სიყვარული და ჩემო პატარებო უამრავი საჩუქრები თქვენ. გაიხარეთ, იდეგერძელეთ.

დილაშდუ ასე დადიოდა კარდაკარ, არც კი დადლილა, როგორი გახარებული იყო, რომ შეიცვალა, წესიერ ადამიანად იქცა. ხედავდა ოჯახებში რა ბედნიერია ხალხი. მასაც მოუნდა ეს ბედნიერება რატომაც არა? -ღმერთი დიდი უფალი ყველას აძლევს შანს გამოსწორებისას. მთავარია შენ ადამიანო მიხვდე, მოინდომო, მოინანიო.

ასეც მოხდა ჯადოქრის ცხოვრება „ახალმა წელმა“ მთლიანად შეცვალა. გახდა ტკბილი, თბილი დეიდა თამარი. დასახლდა ერთ-ერთ სოფელში. ყოველ „ახალ წელს“ ის იყო სოფლის თოვლის ბაბუა, რომელიც უხვად არიგებდა საჩუქრებს სიყვარულს, სითბოს. ყველა ოჯახს ბედნიერება სინარული არ მოაკლოს დიდმა უფალმა. ამინ!

ძილი ნებისა.



## ბრონეული

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და არა იყო რა. იყო ჩვენგან შორს მდიდარი ქვეყანა, სადაც გარეუბანში ცხოვრობდა ძალიან მდიდარი, ლამაზი ახალგაზრდა მამაკაცი სახელად სონერი, სიცოცხლით სავსე. ის ფერმერი იყო. მისდევდა მეცხოველეობას, ყავდა როგორც შინაური ასევე გარეული ცხოველები, ფრინველები. გამოყავდა ათასნაირი უცხო ჯიშები რაც მთავარია სონერს თავის საქმე ძალიან უყვარდა. ყავდა: ხარ-კამეჩი, სხვადასხვა ჯიშის ძროხები, ცხენები, ცხვრები.

მინდორში მწვანე ხასხასა ბალახზე მოფენილან სირაქლეები რომლებიც მშვიდად აუჩქარებლად სეირნობენ. ფერმა მდებარეობდა შუაგულ ტყეში. ჰაერი დიდებული, ყვავილნარი ათასნაირი ფერებში. ფერლობზე, მწვანე მდელოზე ფარშევანგებს ვეირები გაუშლიათ თავიანთი კუდებით და მოხატულა თითქოს მხატვრის ფუნჯით, ათასნაირი ფერითა შერწყმით სასწაული დეკორაციები. ეს სილამაზე შენი თვალთ უნდა იხილო, რომ დატკბე უსასრულო ბედნიერებით.

ამით არ მთავრდება ეს სასწაულები. კიდევ ერთი სასწაული: გარშემო ფერმას ამშვენებდა ბროწეულის ხეები. სისხლივით წითელი ბროწეულები, ზოგი სიმწიფით გადახლეჩილი, მარგალიტის მძივებზე ჩალაგებული კაკლები პირდაპირ გეძახდა „მოდით დამაგემოვნეთ“ დიდ სიამოვნებას მიიღებო. ჩიტების ჭიკჭიკი, ბუღბუღოთა სტვენა-ნეტარებაშია ჩვენი გმირი სონერი თან ჩასძინებია, ეტყობა გადაიღალა.

სიზმარი ნახა-ულამაზესი ზებრა თავს წამოდგომია და დახმარებას სთხოვდა. უცებ თვლები გაახილა და რას ხედავს? ზუსტად ის ზებრა, რომელიც სიზმარში ნახა ღვას მის წინ თავჩალუნული.

- სტუმარი ღვთისაა, შენ რა გქვია?

- მე ზეინაბი მქვია.

- რამ შეგაწუხა ზეინაბ? რითი შემძლია დაგეხმარო? თუ რამ შემძლია, შენს გვერდზე მიგულე.

ზეინაბი მოუყვა გულწრფელად სონერს თუ როგორ გადაეკიდა ჯადოქარი. მოსვენებას არ აძლევდა. „ჩემს შვილს გაყევი ცოლადო.“ ზეინაბმა უარი უთხრა ჯადოქარს. ჯადოქარი გაბრაზდა, მშვენიერი ზეინაბი ზებრად გადააქცია. სონერმა ყველაფერი მოისმინა ძალიან შეწუხდა, გოგონას დახმარებას დაჰპირდა ზებრას ფერმაში საუკეთესო ოთახი გამოუყო. ბედნიერი იყო ზებრა, როგორც სხვა ცხოველები ზებრას ყველა დიდ პატივს სცემდა, ის იყო ლამაზი, თავმდაბალი, ყველას ეფერებოდა. საღამოს კი ძილისპირულს უმღეროდა ფრინველ-ცხოველს.

ერთ დღეს სონერი ესტუმრა ზებრას. მას ფანჯრები გახსნილი ქონდა. ბროწეულის ტოტები თითქმის ფანჯრიდან ოთახში განლართულიყო თავის ბროწეულებით. სონერმა მოწყვიტა ყველაზე დიდი მწიფე გადახლეჩილი ბროწეული. კაკლები ხელისგულზე დაიყარა და თავის ხელით აჭამა ულამაზეს ზებრას.

მოხდა სასწაული ზებრა უმშვენიერეს ქალწულად გადაიქცა. „ბროწეულმა ჯადოს ძალა დააკარგვინა. ბროწეული არის ბარაქის, სიძლიერის, სიყვარულის ნაყოფი.



სონერი გადაეხვია ზეინაბს და ცოლობა სთხოვა. ზეინაბიც მაშინვე დასთანხმდა სონერს. სონერმა ზეინაბს ხელი ჩაჰკიდა და მის მშობლებს მიჰგვარა. მათ სინარულს საზღვარი არ ჰქონდა. იყო ტირილი, სიცილი. მშობლებს ძალიან მოეწონათ სონერი, დათანხმდნენ მათ ქორწინებას.


დიდებული ქორწილი გაიმართა. ხალხი ხარობდა. ორმოცი დღე გაგრძელდა, მუსიკა არ ჩერდებოდა. ბავშვები ხარობდნენ, მღეროდნენ იყო ცეკვა თამაში, დიდი დროსტარება.

ყველა ოჯახმა თავის კარ-მიდამოში დარგო ბროწეულები. ამ ქალაქში მოაშენეს ბროწეულის ბაღები. ქალაქს დაარქვეს „ბროწეულა“. ამ ქალაქში მტრობა, შური, ბოროტება არ არსებობდა. ყველას ერთმანეთი უყვარდა. მხოლოდ სიკეთეს უსურვებდნენ ერთმანეთს. ყველა ბედნიერი და მდიდარი იყო. ყველას სახეზე ღიმილი და სინარული იყო. ეს ხომ დიდი ბედნიერებაა?

მოვაშენოთ ბროწეულის ბაღები, ჩვენც ვთესოთ ჩვენს ქვეყანაში სიკეთე და სიყვარული.



### ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა



დათო ყანდაშვილი

## სულიერ ფასეულობათა ანბანი




გაგრძელება

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის მე-5 ტომში

და კიდევ ერთი რამ – ხდება თუ არა საბოლოო ჯამში გრძნობისა და ცოდნის აბსოლუტური შერწყმა ანუ გადაკვეთა ერთ ნერტილში? დიას, ეს ხდება აბსოლუტური სრულყოფილების შემთხვევაში და ეს ახალ სინთეზურ ცნებას აყალიბებს. ეს არის ჰარმონიულობა ე. ი.

ჭეშმარიტება + სიყვარული = ჰარმონიულობა.



უკუსვლის შემთხვევაში კი, ჭეშმარიტება სიმცდარედ გადაიქცევა, ხოლო სიყვარული კი – შიშად. ეს იმპროვიზირებული თვითრეალიზაციის შემთხვევაში ხდება, როდესაც ცოცხალი არსების სურვილები და მათი ასრულების მცდელობები, რბილად რომ ვთქვათ, არ ემთხვევა სამყაროსა და კოსმოსის სურვილებს, მათ ინტერესებს და მათი ასრულების მცდელობებს, „ოქროს სპირალის“ მიმართულებასა და ტრაექტორიას. მარტივად რომ ვთქვათ, ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ჩემი სხეულის ნებისმიერმა ნაწილმა, მაგალითად, თითმა გადანყვიტოს ცენტრალური ნერვული სისტემის მმართველ ორგანოს, ტვინს აღარ დაემორჩილოს და თავისი შეხედულებების შესაბამისად იმოქმედოს.

თვითრეალიზაციის პროცესს ამ წიგნის მეორე და მესამე თავებში განვიხილავ დანვრილებით. ამჯერად კი, მოდით, ამ მოკლე მონახაზით შემოვიფარგლოთ.

სიყვარულისა და ჭეშმარიტების გადასახედიდან თუ შევხედავთ, კაცობრიობის მიერ ერთხმად და უცილობლად აღიარებული ფასეულობების ძირეული გადაფასება ხდება. აი, ახლა გეტყვით თუ რაში გამოიხატება ეს. შეცოდება ოფიციალურად და გამართულად ხმამაღლა აღიარებული ძვირფასი განძია კაცობრიობის დღევანდელი გაგებისა და შეხედულების გადასახედიდან. მე კი ამას ასე გავშლიდი. თუ რაიმე ან ვინმე მეცოდება, ვთვლი, რომ ის რაღაც ან ვიღაც უსამართლობის ანუ დაუმსახურებლად განხორციელებულის ან დამსახურებულის არ განხორციელებულობის მსხვერპლი გახდა. მაგრამ ვინაიდან ყოველივეს ჭეშმარიტების კანონები და ამ კანონების ცოდნით „შეიარაღებული“ უფალი ღმერთი, უშუალოდ თუ ვინმეს ან რაიმეს საშუალებით, თავად განაგებს, უსამართლობის არსებობაზე ფიქრი, ლაპარაკი და ქმედებაში არსებობა უბრალოდ სისულელემდე დადის, ანუ უსამართლობა რეალურად არ არსებობს. მე კი, სხეულის ინტერესების გატარების მცდელობით გატაცებული, საკუთარ შეხედულებებს ჭეშმარიტებად ვასაღებ და საკუთარი გრძნობებით დაბრმავებული ყველაფერს, რაც არ მომეწონება უსამართლობას ვარქმევ. მე, რომელმაც ისიც კი არ ვიცი როგორ მოვაგვარო ურთიერთობები ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანებთან, რომ მათთან თუნდაც მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით სიტბო, სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევდეს, ჩემს თავს იმ არსების გაკრიტიკების უფლებას ვაძლევ, რომელმაც ადამიანს არსებობის დასაბამიდან უპატრონა და წარმართა, რომელიც ყოველთვის ადამიანის არსებობის ჟამისა – წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც ასულდგმულებს და არჩენს უკლებლივ ყველა ადამიანს და ყველა ცოცხალ არსებას, რომლებიც მის კომპეტენციაში შედიან. თითქოს რა უბრალო რამ არის ეს შეცოდება და სადამდე კი მივყავართ. თვითონ სიტყვაც გელაპარაკებათ თუ მოუსმენთ, შემეცოდ(ვ)ა, მე ამას კომენტარს აღარ გავუკეთებ.



მაშ ასე, შეცოდების შეგრძნების შესაბამისი რაოდენობის მცდარი ცოდნა ძვეს ცოცხალ არსებაში. ჭეშმარიტი ცოდნის მომატების შემდეგ შეცოდების შეგრძნებაც მცირდება. ეს უკვე დიდი უპირატესობაა და თუ ცოცხალი არსება ამ უპირატესობის მატერიალიზაციის მცდელობით დაკავდება, სხვა ცოცხალ არსებათა სხეულების გამანდაგურებელი გახდება ყოველგვარი შინაგანი დისკომფორტის შეგრძნების გარეშე არც სხეულის განადგურებამდე, არც მისი განადგურების დროს და არც ამ განადგურების შემდეგ. ნუ შეგაძრწუნებთ ეს. ეს ემართება ცოცხალ არსებას, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის მიღებისთვის მზად არ არის. თუ ის თვითკმარი არ არის, ანუ არ კმარობს იმას, რაც ეძლევა, სავალალო დღეში ვარდება. იყავით კმაყოფილი იმით, რაც გაქვთ, იკმარეთ ის, რაც გეძლევათ და თუ თქვენ ჭეშმარიტი ცოდნის მიღების სურვილი გაგაჩნიათ, მერწმუნეთ, მიიღებთ მას. მისი მიღების შემდეგ კი მოერიეთ საკუთარ მნიშვნელოვნების გრძნობას, დაიოკეთ თქვენი სურვილები, უარი თქვით იმპროვიზაციულ თვითრეალიზაციაზე და შემოიფარგლეთ იმის რეალიზაციით, რასაც გარემო გთხოვთ, ეს ღმერთის მიერ თქვენთვის მოცემული უფლებაცაა და ღმერთის მიერვე თქვენზე დაკისრებული მოვალეობაც. თუ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ გირჩევთ ჭეშმარიტების ძიებაში კირკიტს თავი დაანებოთ. თუ თქვენ საკუთარ ტვინში თუ გულში უსამართლობის გრძნობას ატარებთ, თქვენ მზად არა ხართ უფრო სრულყოფილი გახდეთ, ვიდრე ხართ. როგორც კი თქვენს თავს უფლებას მისცემთ ღმერთს თავი გაუტოლოთ, ველარაფერი გიხსნით გარდა სიკვდილისა, რათა გათავისუფლდეთ საკუთარ თავში მოძალეებული არაეთიკური, ეგოისტური, ანგარებითი სურვილებისაგან. თქვენ თქვენი მიზნების მისაღწევად ჩადენილი ქმედებებისას ხომ უკვე ვეღარც გრძნობთ, როგორ სტკენთ სხვა თქვენნაირ არსებებს, ვის ხარჯზეც ეს თქვენი მატერიალური სურვილები გინდათ დაიკმაყოფილოთ. თუ მოინდომებთ საკუთარ თავში ჩაღრმავებას და აღიარებთ იმას, რომ თქვენ ჯერ კიდევ ძალიან შორს ხართ სრულყოფილებისაგან და გააღვიძებთ სრულყოფისკენ სწრაფვის სურვილს, სურვილს – გახდეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე ხართ, მთელი ეს კომპარი დამთავრდება, რასაც თქვენ გარშემო ატრიალებთ. თქვენი სურვილი, თქვენი ძალაუფლების ქვეშ ამყოფოთ სხვები, არასწორია, რამეთუ ეს ამ სხვების კეთილი ნების იგნორირების ხარჯზე გასურთ. და თუ თქვენ მართლა უფრო მაღალი დონის (ჭეშმარიტი ცოდნის რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით) არსებად მიგაჩნიათ თავი, ვიდრე თქვენი გარშემო მყოფი არსებები არიან, მაშინ აბა სცადეთ და ისე მიაღწიეთ მათი მხრიდან თქვენს აღიარებას, რომ ამისათვის არანაირი აშკარა და შენიღბული ძალადობა არ გამოიყენოთ, ეცადეთ მართლა გახდეთ ისეთი იდეალურები, რისკენაც მართლა მიისწრაფვიან ცოცხალი არსებები. თქვენ არ ხართ ლოგიკას მოკლებული ადამიანი, თუნდაც იმიტომ რომ ამ ნაწერს კითხულობთ და მაშინ მარტივი ლოგიკის მიხედვით უნდა დამეთანხმოთ, რომ თქვენ მეტისმეტად აჩქარდით, როდესაც თავი ღმერთს გაუტოლეთ და თქვენს მიერ დაგეგმილ ყველანაირ მეცადინეობას სჯობს ახლავე, აქვე თავი დაანებოთ და ეცადოთ იმის უფლება მოიპოვოთ პირადად მამა ღმერთის მიერ იქნათ მის მსახურად აღიარებული. შემდგომში არავინ უწყის ვინ სადამდე მიაღწევს ამ მსახურების პროცესში, მაგრამ მე გეტყვით იმას, რომ მამა ღმერთის მხრიდან, თქვენ იდეალებთან, ჭეშმარიტებასთან, სიყვარულთან და ჰარმონიულობასთან მეტნაკლები მიახლოების აღიარება, ერთადერთი გარანტიაა სრულყოფილებასთან მეტნაკლებად რეალური მიახლოებისა.

მაგრამ ეს ყოველივე მორალის კითხვას რომ არ დაემსგავსოს, კოსმიური კანონების კოდექსის ძირითად ნაწილებად დაყოფას ვცდი, რომლებიც უზენაესია თვით კოდექსის, კანონების შემქმნელის ჩათვლითაც კი. ჩემი შეხედულებით, ისინი სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს.

I კანონების დარღვეული ნაწილით ცხოვრების დროს მოქმედი კანონმდებლობის მოქმედების შემთხვევა, რომლის გარეგნულ რეალურ გამოხატულებასაც მთელ მატერიალურ სამყაროში გამოვლენილი ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც ცდილობს მოქმედი კონსტანტური კანონების იმპროვიზაციულად ალტერნატიული კანონებით შეცვლას. ამას ძირითადად მოაზროვნე ცოცხალი არსებები ახდენენ (რომელთა ერთ-ერთ სახეობასაც ადამიანი წარმოადგენს) საკუთარი აზრებით ანუ შეხედულებებით ვნების, დაზიანების მოტანის საშუალებებით, საკუთარი აზრებისა და შეხედულებების უპირატესობის დასამტკიცებლად არსებულ მოქმედ ბუნებრივ კანონებთან და აზრებთან შედარებით. ეს ალბათ ერთადერთი საშუალებაა ევოლუციის სწორ

მიმართულებაზე დაბრუნებისთვის იმ ცოცხალ არსებათათვის ანუ ინდივიდუალურ სულთათვის, რომელთაც საკუთარი შეხედულების უპირატესობის შეგრძნების „ჭია“ შეუფუდათ.

II კოსმიური კანონების დოგმირებული ნაწილის დაცვა და არ დარღვევის მცდელობით ცხოვრება. ეს ყველა ცოცხალ არსებას შეიძლება ეხებოდეს, ადამიანისა ანუ მოაზროვნე ცოცხალი არსებების ჩათვლით. იმ განსხვავებით, რომ არამოაზროვნე ცოცხალი არსებები ანუ ჭამის, უსაფრთხოების ძიებასა და გამრავლების სურვილს მიჯაჭვული ცოცხალი არსებები ინსტიქტებით, უპირობო რეფლექსებით ინსტიქტურად იცავენ კოსმიურ კანონებს, ხოლო მოაზროვნენი, ანუ ამ სამი ჩამოთვლილის იქით გასული არსებები, საკუთარი შეხედულებების მიერ შექმნილი სპეკულაციური აზრების კოსმიურ კანონებთან შეთავსებას და მათზე დაქვემდებარებას ცდილობენ პირობითი რეფლექსების მოცილების საშუალებით. ერთი საკუთარ თავში მყარად ჩაბუდებული ჩვევა ცოცხალს მოაზროვნე ცოცხალმა არსებამ, პირობითი რეფლექსები აუცილებლად განიცდის ცვლილებას. პირობითი რეფლექსების სრულად მოხსნის შემთხვევაში, მოაზროვნე ცოცხალი არსება სრულად გათავისუფლდება საკუთარი აზრებისა და შეხედულებების მიერ დათესილი ვნებისაგან ანუ ზიანის მოტანისაგან გარემოსთვის (ანუ საკუთარი თავისთვის).

III კოსმიური კანონების იმ ნაწილის შესწავლა და იმ ნაწილით ცხოვრება, რამაც ჩამოუყალიბა ცოცხალ არსებას ანუ ინდივიდუალურ სულს უპირობო რეფლექსები. ეს ეხება ძირითადად მოაზროვნე ინდივიდუალურ სულებს, რომლებიც ევოლუციის გზის ჭეშმარიტად სწორი მიმართულების გაყოლას შეძლებენ, აგრეთვე არამოაზროვნე ინდივიდუალური სულების ევოლუციის გზის რაობას, სადაც ევოლუცია ანუ სრულყოფა საკუთარი ნების გამოვლინებითა და დაფიქსირებით კი არ ხდება, არამედ მოვლენების ბუნებრივი სვლის საშუალებით, რომელსაც თავად კანონშემომქმედი და კანონდამსრულებელი უძღვებიან. მოაზროვნეთა შემთხვევაში კი აზრით ვნება საკუთარი თავის შემეცნების („მე“-ს შეცნობის) პროცესით იცვლება და ეს იქამდე გრძელდება, ვიდრე ეთიკური დონე ჰარმონიულობის პარამეტრს არ დააკმაყოფილებს.

ყოველივე ამის შემდეგ ცოცხალი არსება უფლებამოსილია შინ სულიერ სამყაროში დაბრუნდეს და იქ განაგრძოს თავისი ცხოვრება, მაგრამ თუ მისი მხრიდან იქნება სურვილი ჭეშმარიტების ცოდნის გაღრმავებისა, მაშინ ეს პროცესი ხელახლა განმეორდება. სხვათაშორის ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები სრული 100%-ით არის დაცული. სამყაროს კანონები ყველაფერს ზედმინევენით მოიცავს. სულიერ სამყაროში ვერავინ შევა, თუ ეთიკური დონე ჰარმონიული არ არის, ხოლო ჭეშმარიტი ცოდნა ვერ გაიზრდება, თუ ცოცხალი არსება მატერიალურ ან სულიერ სამყაროში არ რეალიზდება საკუთარი შეხედულებების ცოცხალ გარემოში შესაფასებლად. ნებისმიერი სურვილი თვითრეალიზაციის მცდელობას წარმოადგენს. თუ ყველაფერი მაკმაყოფილებს, სურვილიც არ გამიჩნდება და სულიერ სამყაროში თუ გამიჩნდა რაიმე სურვილი ე. ი. მინდა განსხვავებული სხვა რამ, ვიდრე სულიერი სამყაროს განმგებლისა და სულიერი სამყაროს კანონების შესაბამისად მეძლევა. თუ ეს სურვილი ვერ დავიკმაყოფილე (თუ ის სულიერი სამყაროსთვის მიუღებელია), ჩნდება შინაგანი პროტესტის, დაპირისპირების, უსამართლობის შეგრძნება და აი, ამ სურვილის განსახორციელებლად, ამავე სურვილის შესაბამის გარემოში ხდება ინდივიდუალური სულის წარგზავნა. ვინაიდან გარემო პირობებს ყოველთვის სჭირდება ამ გარემოსთან ადაპტირებადი გარე სხეული, ცოცხალ არსებას ეძლევა მატერიალური სხეული, რომელშიც ის ცხოვრობს, ვიდრე სხეული არ განადგურდება. ეს რაღაცით კოსმოსურ კამუფლიაჟს, სპეცტანსაცმელს მაგონებს. ინდივიდუალური სული ჩაკრალური ცენტრების საშუალებით მართავს მას. მაგრამ ეს უნიკალური მოწყობილობაა, რომელსაც გარკვეულ საზღვრებამდე ზრდა, განვითარება, რეგენერაცია შეუძლია. ინდივიდუალური სული ლაპარაკობს, დადის, წევს და ა. შ.. მხოლოდ სხეულის, მატერიალური სხეულის საშუალებით ხდება ეს ყოველივე და 99,9%-ის შემთხვევაში სხეული აღიქმება „მე“-დ, ანუ საკუთარ თავად და მისი ინტერესები ხდება წამყვანი, რომლებიც შედეგად პირობით რეფლექსებს ქმნიან, ხოლო მიზეზი მოვლინებისა, სხეულის შექმნისა, სულის ინტერესები, ანუ ე. წ. უპირობო რეფლექსები, მეორე პლანზე გადადის და ძალიან, ძალიან ხშირ შემთხვევაში კი, საბოლოოდ იკარგება.



## პროზა



რევაზ მიშველაძე

### ომეპრახოდი

ნოემბერი იმ წელს ცივი დღეებით დაიწყო.

თორმეტს გადამორებული იყო, სუფრა რომ აიშალა.

ჩემი კურსელის – თამილა კაკაურიძის დაბადების დღეზე ვიყავი. რაც პედინსტიტუტი დავამთავრეთ, თამილას წელიწადში ერთხელ ვხვდები, სწორედ მის დღეობაზე.

კურსიდან სამ-ოთხ გოგოს გვეძახის, მეტს – არა, დანარჩენ ადგილებს წვეულებაზე მისი კლასელები და მისი ნათესავები ავსებენ.

გაუთხოვარი გოგო ვიყავი მაშინ და, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულიც ცხოვრებაზე.

რამ გამაბრაზა? იმ წელს ოცდათერთმეტი შემისრულდა. ცოტა არ იყოს, კრიტიკული ასაკია გოგოსთვის და ვფიქრობდი, რაღა მე ვრჩები, ეს ოხერი და მუდრეგი; იმნაირი გოგოები დათხოვდნენ, ტრაბახით არ გეტყვი და ჩემი ფეხის ფრჩხილადაც რომ არ ღირდნენ. რაღა მე დამეხურა ბედი-მეთქი.

ბარე ორი მიპრანავდა თვალს, მარა ცოლის ნამდვილად მთხოვნელი და ოჯახის შემქმნელი რო ჰქვია, არც ერთი არ იყო.

იმ ღამესაც, სუფრაზე, მითხრა ერთმა-ორმა ბიჭმა გაგაცილებთო, მარა მე თვითონ ვუთხარი უარი, თუმცა არ მეშინოდა-მეთქი ნინოშვილის ქუჩაზე შუალამისას მარტო სიარული, რო გითხრა, არ ვიქნები მართალი.

გამოგყვება შეზარხოშებული გამცილებელი. ჯერ ერთი, გეტლიკინება გაუთავებლად, თავიდანვე შენ მომწონდიო, მატყუებს მისი ჭკუით. მერე შიგადაშიგ მხარზე ხელს გადაგდებს, ვითომც არაფერიო, ბოლოს, სახლთან რომ მიგიყვანს, მკლავზე წაგეპოტინება. არ მინდოდა, არა. რომელ გოგოს არ სიამოვნებს მოფერება, მარა მე სხვა ვიყავი. ყველაფერი ნამდვილი და უტყუარი მიყვარდა. არ ვიყავი ეპიზოდების გოგო და მომკალი თუ გინდა.

თეთრ ხიდს რომ გადმოვცდი, მარცხნივ ჩავუხვიე და წულიკიდის ქუჩას დავადექი. მე ვთქვი, წულუკიდის ქუჩა უფრო განათებული იქნება და სოხუმის პროსპექტამდე ჩავყვები-მეთქი. იქიდან ბევრი არაფერია ჩემს სახლამდე მესამე ბიბლიოთეკასთან ვცხოვრობ.

სანამ ციხემდე მივიდოდი, მეორე სკოლასთან არმისულს, კაცის ხმა მომესმა.

ქალიშვილო, ქალიშვილო, გაფიცებ ვინც გეფიცება, გაჩერდი ერთ წუთს!

ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო მეთქი, ვერ გეტყვი. მარცხენა მხარეს პლაშინი მოხუცი ჯოხს მოაკაკუნებდა, ხოლო ხმა იმდენად ახლო, ყურისძირში ჟღერდა, რომ აშკარა იყო, უცნობი მე მეძახდა.

ვიღაც სულელი მეღლაბუცებოდა, საღერღელი აშლია ამ შუალამისას-მეთქი და ნაბიჯიც არ შევეუნეღე.

შენ გეუბნები, გოგონა, თუ გულით არ გეძახდე, მკვდარ დედას ვფიცავარ!

რა გინდა?! – შევჩერდი და მოვიხედე, მხოლოდ იმიტომ შევჩერდი, რომ კაცის ხმაში გულწრფელი ინტონაცია დავიჭირე. ქალის გუმანი მოგეხსენება.

მოინი ერთ წუთს, თუ ღმერთი გნამს, ვკვდები კაცი!

შევხედე. პირველ სართულზე (ბელეტაჟს რომ ეძახიან) რკინის გისოსებიდან გამოუყვია თავი.

მერე რომელი ექიმი მე მნახე-მეთქი და გზის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ უხილავმა ძალამ შემაჩერა, იქნებ მართლა უჭირს-მეთქი კაცს.

რა არი, იცო? ხვალ დილაზე ვერ გავატან, ასეა ჩემი საქმე. კუჭის წყლულმა შემომიგია, თვალში სინათლე აღარა მაქვს ტკივილისგან, თუ მიზამთ სიკეთეს და მაგერ, აღმაშენებლის მოედანზე რო სადღელამისო აფთიაქია, იქიდან „ომეპრაზოლს“ მომიტან, ჩემს მეტი მლოცველი არ დაჭირდება შენს ქმარ-შვილს.

სად მყავს ქმარ-შვილი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ იმას რისთვის ვეტყოდი, რა მისი საქმე იყო.

აღმაშენებელზე? – ყოყმანით ვკითხე. ჩემი ზღვარგადასული ქველმოქმედება დიდი-დიდი ორმოცი წუთით დამაგვიანებდა. ოცდათერთმეტი წელი კი მოგეხსენება ის ასაკია, როცა მშობლები დაგვიანების მიმართ დიდ სიმკაცრეს აღარ ამჟღავნებენ.

შენ თვითონ რატო არ მიდიხარ. კუჭი გტკივა, დაბორკილი ხომ არა ხარ-მეთქი, ფანჯარასთან მივედი და დოინჯ შემოკრულმა ქვემოდან ავხედე.

აშკარაა, ბოლომდე არ ვენდობი.

ჭერზე ეული ნათურა ჰკიდია. კედლები წიგნის თაროებს ლამის დაუფარავს. სწორედ იმ წიგნის თაროებმა მიმანიშნეს, რომ ჩემი ავადმყოფი ვინმე თაღლითი და დაღლარა კაცი არ იყო.

გასათხოვარი გოგოს თვალი ხომ ერთი მიმოტარებით იხატავს ყველაფერს: ზოლებიან კვართზე ჰალსტუხი უკეთია, ჰალსტუხის ფერი სიბნელეში ვერ გავარჩიე. ორმოციოდე წლის გამხდარი, უღვაშგაპარსული კაცია. ტკივილისაგან აკანკალებული, მაგრამ ხავერდოვანი ხმა აქვს.

არ დამიჯერებ, რასაც ახლა გეტყვი, შენი სახელი?

ლამარა.

სამი წუთის შემოსული ვარ, ლამარა, სახლში ტკივილი რომ გაუსაძლისი გახდა და ორ-ორმა ტაბლეტმა „ტალციდმა“ თუ „მაალოქსმა“ ვერ გამიყურა, ჩავიცვი და „ომეპრაზოლის“ საყიდლად, სადაც შენ გაგზავნი ახლა, აღმაშენებლის მოედნისკენ გავეშურე. სიმჟავე მაქვს მაღალი და „ომეპრაზოლია“ ჩემი წამალი. აშენდა მაგის გამომგონებელი. რავა არ მექნება სიმჟავე, სად რას ნევიჭამ, რომელ იაფიან კაფეში თუ სალობოში, მე თვითონ არ ვიცი. ორმოცი წლის კაცს რო ცოლ-შვილი არ გეყოლება და ოჯახის სიმყუდროვე არ გეცოდინება, უარესის ღირსი ვარ. მივდივარ და ტკივილი კბილებს მაკანკანებინებს, ცივ ოფლს მასხამს, უცებ, ეს მისდღემში არ მომსვლია, ფეხებზე თითქოს დოლაბები გამომაბესო, ნაბიჯის გადადგმა მიჭირს, სუნთქვა დამიმძიმდა, გული სადაცაა გამიჩერდება, არ მოვკვდე ქუჩაში უპატრონო-მეთქი და ხიდიყურამდე არ მისული გამოვტრიალდი. გამოვტრიალდი და ვდგავარ ფანჯარასთან. კარის მეზობლები თბილისში წავიდნენ წინა ორშაბათს, ქვედა მეზობელი არ მეღაპარაკება, რა დავუშავე არ ვიცი, უბედურნახევარი ჰყავს გამჩენს. ა, შენ ხარ ახლა ჩემი იმედი, თუ შენთვის ძნელი არაა უცნობი კაცის ამ უცნაური სურვილის შესრულება, მომიტანე წამალი. თუ არა და ამაზეც მადლობელი ვარ, რო გაჩერდი და დამელაპარაკე. სხვას მოვძებნი ვინცხას, გამოჩნდება ალბათ ვინმე ღვთისნიერი, თვარა და ჯანდაბა ჩემს თავს, რაც მომივა მომივიდეს, ნახვალ?

რა ღირს რა ჰქვია მაგ წამალს? – ანგაროშმიუცემლად ვკითხე, თუმცა აღმაშენებლის მოედნისკენ გაბრუნება ჯერ საბოლოოდ არ გადამენწყვიტა.

ოთხი ლარი „ომეპრაზოლი“. ინდურიც არი, მარა ჩვენი ჯობია.

დამინერე ქალაღზე. რა უბედური სახელი აქვს.

შებრუნდა და ოთხად გაკეცილი ქალაღდი გადმომიგდო.

თეთრ ხიდს გაღმა, აბანოსთან სინათლის შუქზე გავშალე. ხუთლარიანს შემოხვეულ ქალაღდზე გაკრული ხელით ეწერა „ომეპრაზოლი“.

ლამაზი ხელწერა აქვს. ასე წერაში განაფულები წერენ. ბრჭყალებიც არ დავინწყებია.

მომაქვს „ომეპრაზოლი“ და უცნაურ სიმსუბუქეს ვგრძნობ მუხლებში, კი არ მოვრბივარ – მოვფრინავ. კაცი გადავარჩინე, სიცოცხლე ვიხსენი და კარგად მოვიქეცი, უარი რომ არ ვუთხარი. ადამიანის მთავარი მოვალეობა ხომ გაჭირვებაში ჩავარდნილის შველაა და რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემს არსებაში მშველელი აღმოვაჩინე.

მოვედი. გისოსებთან არავინ ჩანს. სახელი მაინც მეკითხა. ოთახში ნათურა ბუუტავს. რა ვქნა, ამ შუალამისას „იმანო! იმანო!“ ხომ არ ვიყვირებ, მეზობლებს ხომ არ შევეყრი.

კიბე ავირბინე. დავაკაკუნე. თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორედ მის კარზე დავაკაკუნე.

შემოდი, ლამარა, – გატეხილი, მწუხარე ხმაა. იცი რას ჰქვია მწუხარე ხმა?

შევედი. წევს ადამიანისფერი აღარ ადევს.

„ომეპრაზოლი“ და ჭიქით წყალი მივანოდე.

დაღია. ოხრავს.

ცუდად ვარ, თვალში სინათლე მეღევა. შენ ახლა ბუნდოვნად გხედავ. დაჯექი ცოტა ხანს... მე ვფიქრობ, ეს მარტო წყლულის მიზეზით არ უნდა იყოს, მომწამლა რაღაცამ... ახლა, თუ თხუთმეტ წუთში არ გადამიარა სასწრაფოს უნდა დავუძახოთ.

ჩამოჯექი ტაბურეტზე. კედლის საათი კოდალასავით აკაკუნებს. დრო მომაბეზრებლად ნელა გაღის.

ავადმყოფი კიდეე უფრო დამძიმდა, შუბლი დაეცვარა.

სკამზე გადაფენილი პირსახოცი ავიღე და სახეზე დავუსვი. მაღლიერი თვალეზით შემომხედა.

სასწრაფოს დავუძახოთ-მეთქი, ღმერთო, ოღონდ ამას არაფერი მოუვიდეს.

მართალი ხარ... კუჭი უნდა ამოვირეცხო. მაპატიე, რომ ჩემს უბედურ ცხოვრებაში გაგრე, ლამარა. მე მობილური არ მაქვს (ჩემდა ჭირად მეც სახლში დამრჩა მობილური), სატელეფონო ჯიხური კიდე სუპერმარკეტის გვერდზეა... იქაც ხანდახან ჩამოგლეჯიღია ყურმილი.

რად უნდა-მეთქი სასწრაფო კუჭის ამორეცხვას, ისე კატეგორიულად ვთქვი, რომ მევე შემეშინდა ჩემი გაბედულების.

გაზზე ლიტრანახევარი წყალი შევათბე, შიგ ოთხი კოვზი სოდა ჩავურიე და ჩაის ჭიქით ვასვი.

ბოლო ჭიქა რომ დაღია, წამოხტა და ტუალეტისკენ გაიქცა. იქაც შევეყვი და შუბლი დავუჭირე.

კუჭის ამორეცხვამაც არ უშველა.

გელიმება შენ და გატყობ, თითქმის არ გჯერა, რასაც გიყვები.

წაწლავეზის გამაორეცხვა გახდა საჭირო.

ვერ გეტყვი, თვითონ არ მეხმარებოდა-მეთქი.

პლასტმასის მილაკს თვითონ მოუძებნა ადგილი. მე კი მღელვარებისგან თუ გამოუცდელობისგან (პირველად ვუკეთებდი ავადმყოფს კლიზმას და ისიც უცნობს) ისიც ვერ მოვიფიქრე, რომ თბილი წყლით სავსე რეზინის ავზი მაღლა ამენია, თვითონ მანიშნა ხელით აწიეო.

...საათს დავხედე. ოთხი სრულდებოდა.

შინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა.

სანამ ჩაეძინებოდა, სახელი ვკითხე.

ირაკლი მქვიაო.

დიღამდე ხელში მეჭირა მისი თბილი, ოფლშემშრალი ხელი.

ეს იყო სულ.

მესამე წელია ირაკლი ჩემი ქმარია.

გადასარევი, ბუთქუნა, ერთი წლის სასწაული გოგო გყავს – ფიფქია.

არავინ მითხრას, ბედისწერა არ არსებობსო.

აგვისტო, 2009.

## ჩვენი ჰოვნა ძნელი არ არის

ჩემი პატრონი ავტობუსის ბოლო სავარძელზე მოკალათდა, საბელი მოკლებზე დაიჭირა და მითხრა:

ბუკა, დაჯექი.

ფეხებს შორის იატაკზე მოვთავსდი.

საათზე მეტ ხანს ვიყანყალეთ.

ცნობისმოყვარე მგზავრთა მომაბეზრებელ შეკითხვებს („ხომ არ იკბინება?“ „რა ჯიშისაა?“ „რამდენი წლის არის?“), თავი რომ დავაღწიეთ, ჩემმა პატრონმა ჯაჭვი შემხსნა, უკანა კარიდან ჩამიშვა და მომაცოლა:

ბუკა, მიხედე შენს თავს.

ჯერ იყო და ხუმრობა მეგონა, მაგრამ ავტობუსი რომ დაიძრა და ქალაქის განაპირას სიბნელემორეულ კორპუსებს მარტო შევრჩი, მივხვდი, საბოლოოდ გამწირეს.

ავტობუსს არ გამოვკიდებივარ, სულერთია, მაინც ვერ დავენეოდი.

ჩემი პატრონისგან მასთან ერთად მეოთხე სართულზე სამწლიანი ცხოვრების შედეგად ყელსაბამი და ხელების ნაცნობი სუნილა შემრჩა.

„სად წავიდე?“

„ღამე სად გავათიო?“

„რა ვჭამო?“

ყურებში ეს სამი კითხვა მიწეხდა და ქვაფენილიან ვინრო ქუჩას აღმა მივუყვებო.

არა ვარ არა, ნაწყენი ჩემს პატრონზე, მართალია, ჭირვეული ძალღი არ ვიყავი და პრობლემებს არ ვუქმნიდი, მაგრამ იქნებ უბრალოდ მოვებზრდი, ან ვერ მომიარა, დღეს ყველას თავისი თავი უჭირს. დღეში ერთხელ ხომ მაინც უნდა გავეყვანე ქუჩაში, სასეირნოდ კი არა, ჩემი ძალღური მოთხოვნილებების მოსაწესრიგებლად, იქნებ ველარ იცლის ჩემთვის... ახლა საზრუნავი გაუჩნდა, იქნებ დიდი ხნით მივლინებაში გზავნიან და ნაცნობებმა უარი უთხრეს „დატოვებაზე“... ერთი სიტყვით არ ვემდური, არა. იმისიც დიდი მაღლობელი ვარ, რომ ეს სამი წელი მასთან მამყოფა, გამომზარდა და ადამიანური სითბო მაგრძნობინა.

მაგრამ ანი რალა ვქნა, რა გზას ვენიო?

სამიოდე ბოძს რომ გავცდი, ალვის ხესთან ღია ჭიშკარს ვკიდე თვალი და წამით შევჩერდი, იქაურობა მივყნოს-მოვყნოსე. მიყნოს-მოყნოსვა ეგრე არ უნდაო და სიბნელიდან რუხი ნაგაზი გამოვარდა.

არ დაუყვავავს, ეგრევე მომვარდა.

დრუნჩი დრუნჩზე გვაქვს მიდებული და თვალებით ვზომავთ ერთმანეთს. ჩემი ტანისაა. ლაშებიდან სიბრაზის დორბლი გადმოსდის. ერთი სული აქვს მეცეს და დამკბინოს, მაგრამ ვერ ბედავს. ჩემი მცირე გამოცდილებით ვიცი, ამ დროს თუ უკან დაიხევ, კუდს ამოიძუებ და გაიქცევი, წასულია შენი საქმე.

კარგა ხნის შემდეგ თითქოსდა დავზავდით. ერთმანეთს მოვშორდით, ჩანს, შებმა ვერ გარისკა და არც მე მქონდა რკინება-ბლლაძუნის სურვილი. ვინ იცის, იქნებ ჩემმა ყელსაბამმაც შეაფიქრიანა. ეტყობა პატრონიანია და შარში არ გავეხვიოო. ასე იყო თუ ისე, ორთაბრძოლა არ შედგა. მაგრძნობინა კი, რომ აქ, ამ სიახლოვეს აღარ დაგინახო, წადი შენს გზაზეო.

ქუჩის ბოლოს გზა მარცხნივ უხვევდა. გზის გაღმა სასაფლაო იწყებოდა. სასაფლაო, რატომღაც ჩემთვის გაცილებით უსაფრთხო ადგილად მივიჩნიე, საფლავს და საფლავს შუა გასასვლელთან, რკინის გისოსებს შორის ორმო მოვძებნე და ის ღამე იქ გავათენე.

უჟამური დილაა. ცივა.

ჯერ ადამიანები არ აფუსფუსებულან. ბუხრის თავებიდან კვამლი არ მოდის.

სასაფლაოს მეორე მხრიდან მოვუარე და ასფალტიან ქუჩაზე დავეშვი.

ერთი მხრივ სახარბიელოა, აბა რა, თავისუფალი ხარ, ოთხ კედელში აღარ ხარ გამოკეტილი, სხვის სურვილზე დამოკიდებული, როდის დაეშვები კიბეებზე და რომელ სკვერში შეუხვ-შემოუხვევ, მაგრამ შენთვის ყოფნის ეს შეგრძნება უკვე გამიქარწყალა მიუსაფრობის, უპატრონობის საშნელმა სიმართლემ. უკან დევის ნაბიჯით მომდევეს შიმშილით სიკვდილის დაუნდობელი აჩრდილი.

თურმე, ამ ქალაქში, ქალაქში კი არა მთელს დუნიაზე, ყველა ადგილი დაკავებულია. შენ არავის სჭირდება, ყველასთვის ზედმეტი ხარ.

გაჩერდები მაღაზიასთან, იქნებ რომელიმე ღვთიან-მადლიანმა პურის ყუა გამოიმეტოს შენთვის...

როგორ თუ აქ გაჩერდიო, გამოგენტებიან ძალები, აქ ჩვენც ვკმარვართო, თავი ჩვენც ძლივს გაგვაქვსო, არ დაგინახოთ ამ ტერიტორიაზე, თორემ მოგაჭამთ კანჭებსო... გამოგეკიდებიან და ქუჩის ბოლომდე გარბენინებენ.

ერთი პირობა ვიფიქრე, ვეტყვი: რამ გაგამგელათ ასე, დამაყენეთ მეც თქვენთან, მეც ხომ თქვენი ჯიში ვარო, მაგრამ როგორც კი შენსკენ პირს იზამენ, მაშინვე იგრძნობ, ამათთან მოლაპარაკება ზედმეტია. ჩხუბს და გაჯიუტებასაც აზრი არა აქვს, დაგესევინ! მოგერევიან და მაინც თავისას გაიტანენ.

გახვალ სხვა ქუჩაზე, ჯერ შორიდან ზვერაგ. იქნებ გაგიღიმოს ბედმა და უძალლო ოჯახი იპოვო. თავი შეაცოდო, კუდი გაიქნიო, მოელაქუცო. შესახედავად არა მიშავს. მთელ ტანზე თეთრად, ყვითლად და წაბლისფრად ვარ დაფოთლილი, თავზე, დრუნჩს ზემოთ დიდი თეთრი ხალ-ნიშანი მაქვს, ესეც არ იყოს, ადამიანური წარსულის ნიშნად ყელსაბამი მიკეთია, ესეც ხომ რალაცას ნიშნავს.

შეჩერებას და სახლის მითვალთვარებ-მოთვალთვარებას ვინლა გაცლის, იმ სახლში ძაღლის ჭაჭანებაც რომ არ იყოს, მეზობლის ძაღლი გამოგენტება. ეს ვინ ოხერია, საიდან შემოეხეტა, უეჭველია, ჩვენი მყუდრო ცხოვრების დარღვევა განუზრახავსო, შემოგზავნილია ვილაცაა, ჰკა მაგასო! ჰკა მაგასო! და თავდაუზოგავად შემოგააფრდება.

სხვა ძაღლები თავიანთი ეზოებიდან ბანს აძლევენ. არის ერთი ალიაქოთი, კბილთა ღრჭენა, ყეფა-გნიასი.

შენ კარგა შორს ხარ იმ ტერიტორიას გაცილებული და ძაღლები მაინც ჰყეფენ. ისე, ყოველ შემთხვევისთვის... სხვების გასაგონადაც. აქაოდა, არავინ გაბედოს აქ მოახლოვებაო. არ გეჭირდება არავინ. ვკმარივართ ჩვენ ამ ტერიტორიაზე სიგრძითაც და სიგანითაცო.

სალამოსკენ ერთ მიწურს გადავანყდი. სერმაისურიანი კაცი იჯდა კონინდარში დაბლა ყველაზე. „ნწუ, ნწუ“, დამიძახა. შეეჩერდი. ხელში არაფერი უჭირავს, რა უნდა, რისთვის მეძახის?

ახლობელი ძაღლიც არ ჩანს და აქ მომიყვანა ჩემმა ფეხმა-მეთქი. ვინ იცის, იქნებ ეს არის ჩემი ბედი.

„ნწუ, ნწუ“, „ნწუ!“

მომიახლოვდა, ყურებს შუა ხელი დამისვა.

ნეტარებისგან თვალები მივლულე,

ყელსაბამი შემხსნა და წადიო, მითხრა.

რაკილა წასვლას არ ვაპირებდი, ჩემივე ყელსაბამი ისე გამეტებით მომიქნია და მდრუზა ნელზე, რომ ტკივილისგან თვალები დამინაპერნკალდა.

გავიქეცი. რალას ვიზამდი.

დაიჯერებ? ერთი კვირა ვიხეტიალე უპატრონოდ ქალაქში და ვერსად თუნდაც პანანინა ყურადღება, თავის მისადები ქვასასთუმალი და ობოლყურე ვერ აღმოვაჩინე. ლუკმაც არავინ მომიგდო. ავად დამამახსოვრდა დასაგლეჯად გამონთებული ჩემი მოძმეების ყეფა-წკავწკავი და მათი პატრონების მიერ გამეტებულად ნასროლი ჭოლოკი.

...ღმერთმა მაინც არ გამწირა მისი გაჩენილი.

ლისის ტბის ქვემოთ, უპატრონო ფერდობის გასწვრივ ნაგავსაყრელია.

სწორედ იქ, ნაგავსაყრელთან ვბინადრობთ მე და ჩემი თვისტომნი.

გაგვაქვს თავი.

ბედს არ ვემდურით-მეთქი, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ სული კბილით აღარ გვიჭირავს.

შიმშილის ალქაჯი დაბმული გვყავს.

რაც მთავარია, აქ ერთმანეთს აღარ ვერჩით.

შეიძლება, გულზე არ გვეხატებოდეს ერთმანეთი, მაგრამ „შენ აქ რა გინდა და შენ საიდან გაჩნდის“ კბილთარეჯა ამ ტერიტორიისგან შორს არის.

ყოფილო პატრონებო!

თუ ოდესმე სინდისმა შეგანუხოთ ჩვენს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის, ან, უბრალოდ, მოგენატროთ, ჩვენი მოძებნა ძნელი საქმე არ არის!

აქ ვართ, ლისის ტბის ფერდობზე.

სექტემბერი, 2009

## ეძებთ მანკავს

ბოკერიას სახელობის სკვერში თუჯის ძველ სკამზე ვიჯექი და, რომ იტყვიან, თვალს წყალს ვალევინებდი.

პირდაპირ, ჭადრის ტოტიდან ყვავი ჩამომჩერებოდა.

თვალს დაჟინებით რომ გავუსწორებდი, უკმაყოფილოდ დაიჩხავლებდა, ნერვიულად შეტრიალდ-შემოტრიალდებოდა, ისე დამაცქერდებოდა, გეგონებოდათ ჩემს იქეთ გზა არ ჰქონდა და რომ არა ჩემი დარაჯობის მკაცრი მოვალეობა, სიამოვნებით გამეცლებოდა.

მალე სხვა ყვავი მოფრინდა და გვერდით მოუსკუპდა.

„ჩემს ყვავს“ მისკენ არც გაუხედავს. ერთიც დაიჩხავლა და გაფრინდა.

თავის ასაკთან შედარებით მჩატედ, მსუბუქად მიფრინავდა.

ასაკს ხაზი იმიტომ გავუსვი, რომ ჩემს ახალ მოყურადესთან შედარებით ტანად დიდი იყო და თუ არ ვცდები, ნისკარტიც უფრო გრძელი ჰქონდა.

ახლა ამ ახალმა დამიწყო თვალიერება.

თუ გამოგიცდიათ, ნაცნობი გარემოსგან, ნაცნობი სურათებისგან გადალლა?

ღმერთო, როგორ გავატარე ამ პატარა ქალაქში ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე. როგორ არ ბეზრდებათ ჩემს მეზობლებს ერთი და იგივე: გულის გამანვრილებელი, გრძელი წვიმა, ყვითელი ფოთლებით დაფარული შუკა, ნაცრისფერ სერზე ძველთაძველი ოხვამეს ნანგრევები და აბეზარი ყვავები.

კიდევ კარგი, ხვალ დილით ავიკრავ ბარგს და დავბრუნდები მაცდურ, მოლალატე, კალეიდოსკოპივით ნიადაგ მბრუნავ და მაინც ანდამატიან თბილისში.

ორი კვირაა, რაც ვასო ინჯიასთან არჩევნები წავაგე.

„გავბრიყვდი და შევჯექე ვირსა, გადმომავდო, მბრიგა ძირსაო“ ანდაზა რომ ამბობს, ზუსტად ისე მომივიდა.

შენაო, პოპულარული ხარო, ხალხს უყვარხარო, შემაგულიანეს, ვასო ინჯია კოჭებამდე ვერ მოგწვდებო! შენისთანა ხალხი უნდა იყოს პარლამენტში, რომ ქვეყანას ეშველოს, არ თქვა უარი, ჩვენ გვერდით დაგიდგებითო.

ვის ეჭიდებო, მეუბნებოდნენ მეორენი, ვასოს მმართველ პარტიაში აქვს თავი შერგული. იმ ქკუაზეა ხელისუფლება, რომ შენ, მაქსიმე კვირტია გაგიყვანოს მაჟორიტარადო. მართალია ხომ არ გგონია, რომ ნამდვილი არჩევნები ჩატარდებო.

რა ვქნა ახლა, თავს ხომ არ მოვიკლავ.

სპეციალურად ვერ მივალ და თუ შემთხვევით სადმე გადავეყარე, მივულოცავ ჩემს მეტოქეს „გამარჯვებას“.

ოჰ! ნატვრის ასრულება ჰქვია ამას, აბა რა არი, ათ დღეზე მეტი იქნება გეძებ და არ გნახე. თბილისშიაო, მითხრეს, ახლა უნდა მოგილოცო საფუძვლიანად. ჩემზე მეტად არავის არ გაეხარდებოდა, თქვენი დეპუტატობა.

თქვენნაირი საქმის კაცი გვინდა, თორემ ლაილის მოუკვდა პატრონი.

გითხრა სიმართლე, თავიდან მე მაქსიმეს მხარეს ვიყავი, მაქსიმე ცუდი კაცი კი არაა, მაგრამ, რომ დავფიქრდი, რას გაუკეთებს მაქსიმე თვითონ გალლეტილი ამ ისედაც გალლეტილ რაიონს.

ერთი სიტყვით, გილოცავ, ბატონო ვასო და ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროს დეპუტატობა!

სიტყვა არ დამაძვრევინა, ძველი ძმაკაცივით გადამეხვია, მერე გვერდით მომიჯდა და ბედნიერი სახით მომაჩერდა.



მინდოდა მეტყვა, რომ ვასო ინჯია არ ვიყავი, მაგრამ რალაც ეშმაკი შემეჩნდა, ილაპარაკოს, ჭია გაახაროს, ვინ იცის, რისი თქმა უნდა-მეთქი.

სულ მაინტერესებდა, მაინც როგორ გავიმარჯვე. ისე... როგორც მითხრეს, მაქსიმესაც ბევრი მომხრე ჰყავდა.

ეს ინტრიგული კითხვა ჩავუგდეყოველ შემთხვევისთვის.

სასწაული, მთლად სასწაული ყოფილა ეს არჩევნები. მე კუთხის საარჩევნო უბნის წევრი ვიყავი და თუ ტრაბახში არ ჩამომართმევ, მეც მიმიძღვის პატარა წვლილი შენს გამარჯვებაში. მარა, პატარა, სულ პატარა, მეტი არაფერი.

მე მეგონა, რალაც ვიცოდი არჩევნების და სულ არ მცოდნია არაფერი.

რასაა ეს ხალხი რომ ჩირთიფირთობს. აბა საარჩევნო აგიტაციამო, აბა ამომრჩევლის გადმობირებაო, აბა ფქვილის და შაქრის დარიგებაო, აბა ფულიო... ეს სირთულე ყოფილა ყველაფერი.

თქვენი წარმომადგენელი რომ იყო – მანკავა, იმან ზეპირად იცოდა, რა უნდა გვექნა. ისე მოაწყო საქმე, წყალი არ გაუვიდოდა თქვენს არჩევანს.

დაგვიძახა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, აბა, როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნების მოგებაო, გვკითხა, ჩვენ ვუთხარით, რაც ვიცოდით, როგორც ვაკეთებდით ადრე.

ადრე როგორ აკეთებდით-მეთქი, მიამიტი კაცის სახით ვკითხე.

ა, როგორც კეთებოდა საერთოდ. „კარუსელი“ თუ რალაცას ეძახიან. რომ შემოდის ერთი და წინასწარ შემოხაზულ ბიულეტენს რომ შემოიტანს, მერე იქ რომ სუფთა ბიულეტენს მისცემენ, იმას რო გარეთ გამოიტანს და სხვას მისცემს.

ამას გარდა-მეთქი, მე ვუთხარი, ჩვენ არჩევნების დამთავრების მერე პატარა ჩოჩქოლს ავტეხავდით, სინათლეს განგებ გავთიშავდით და გამზადებულ ბიულეტენებს ვყრიდით-მეთქი „იაშიკში“.

კიდო ის ვუთხარი ა, ყველამ რო იცის, ომების შეცვლა საბოლოო ოქმები რო შეიცვლება და „10“ მომხრეს „0“ რომ მიენერება და 100 რო გამოდის მომხრე!

კი, მაგრამ დამკვირვებლები ხომ არიან. ჩვენს დამკვირვებლებს რომ თავი გავანებოთ, უცხოელი დამკვირვებლები?

კარგი რა, ბატონო ვასო, – გაიცინა – დამკვირვებლების ამბავი გაქვს?

დამკვირვებელი რას მიხვდება „კარუსელს“, დამკვირვებელი შემოვა, გაივლ-გამოვივლის, შეხედავს რომ ხალხი ხმის მიცემითაა გართული და თავს აქნევს: „ოკეი“, „ოკეიო“, იძახის, გაიხურავს კარს და წავა სხვა უბნისკენ, მერე, სადილობისას, გრძელ პურ-მარილზე წაიყვანენ და ესაა სულ დამკვირვებელი.

იმას გეუბნებოდი, ბატონო ვასო, იმ თქვენმა მანკავამ, სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ესო, რაც თქვენ მითხართო, განვლილი ეტაპია ყველაფერიო. რისი ფული, რისი ფქვილი და რისი შაქარიო...

თხუთმეტი კაცი ვიჯექით იქ, ადგა, გაიარ-გამოიარა. მე მგონი, სანდო უნდა იყოთ ყველაო, გვითხრა.

ვისაც თავის თავში ეჭვი ეპარება, ადგეს და წავიდეს ახლავეო. მერე გვიან იქნებაო. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიაო, აქ თამაში არ შეიძლებაო. რასაკვირველია, თქვენ თქვენს ანაზღაურებას მიიღებთ, მაგრამ თუ ვინმე „ჩაშვებას“ შეეცდება, ჯერ ერთი, ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, ჩვენ მტკიცებულებას არ ვტოვებთ და მეორეც, თუ თავისი თავი არ ეცოდება, მე მგონია ცოლ-შვილს მაინც შეიცოდებსო.

ამოიღო ჩანთიდან ახალი საარჩევნო სიები და ახალთახალი პირადობის მონმობები.

ა, წაიღეთ ეს და ამ სიით ჩაატარეთ არჩევნებო. პირადობის მონმობები არ დაარიგოთ, არჩევნები რომ დამთავრდება, ხმების დათვლის დროს, მერე ამის მიხედვით უნდა ჩავყაროთ ბიულეტენებო.

წავიდ-წამოვედით ყველა. შეკითხვაც არავის დაუსვამს, რა იყო ის შესაკითხი.

გულში ვფიქრობდი, ჩემთვის, ვინ მოიფიქრა-მეთქი ეს. ნობელის პრემია ეკუთვნის ამის მომფიქრებელს, აბა რა. ა, ერთი რო თავისი პირადობის მონმობით მისცემს ხმას, ამოიღებენ იმ ბიულეტენს და აგერ არაა მეორე პირადობის მონმობა? არაფერი არ იცვლება, არც ხელმოწერა და არაფერი. ყველაფერი რჩება ძველი. ის შემოსახაზავი ქალაქი იცვლება მხოლოდ, შენ რო

გგონია, მაქსიმე კვირტიას მივეცი ხმაო, სინამდვილეში ვასო ინჯიასთვის მიგიცია, ასე არის ეს. ახლა, საარჩევნო სიები?

გადაგვაყრევინეს სამი თვის განმავლობაში დღედაღამ კარგაკარ სიარულით შედგენილი სიები და მოგვცეს ახალი სიები.

თმა ყალყზე დამიდგა იმ სიებს რომ ჩავხედე, ვინ არ იყო შიგ. ოცდაათი წლის მკვდრები, ლუკმა-პურისთვის საზღვარგარეთ გაქცეულები... სამჯერ მეტი გვარი ეწერა ახალ სიებში, ძველ სიებთან შედარებით.

ერთი სიტყვით, ყველაფერი წინასწარ იყო გადანყვეტილი და მეცინებოდა, რომ მეუბნებოდნენ: გუშინ მაქსიმე კვირტია აბუდათში წინასაარჩევნო შეხვედრაზე გამოსულა და მაგარი, ცეცხლიანი სიტყვა უთქვამსო.

სიბრაზის ბურთი ყელში მომანვა.

ახლა ამ საცოდავ კაცს რომ ჩხუბი დავუწყო სისულელეზე სისულელეა.

ასე უმწოდ თავი არასდროს მიგვრძვინია.

წამოვდექი, ბოდიში, მაგვიანდება-მეთქი ჩინარებისკენ გავაბიჯე.

მომსდევს.

ბატონო ვასო, ის თქვენი კაცი მანწკავა ველარსად ვიპოვეთ. ცამ ჩაყლაპა თუ მინამ, აღარ ვიცი. ტელეფონები რომ დაგვირიგა, ის ტელეფონიც ტყვილი ყოფილა. ვილაცა ხარგელისგან უქირავებია ტელეფონი. ორასი ლარი მიუცია, ორი კვირით მათხოვეო. ის ხარგელია იძახის: მე არ ვიცი, ვინ იყო, მითხრა, მივლინებით ვარ ჩამოსულიო.

ჩემგან რა გნებავთ? – ცოტა არ იყოს, მკაცრად ვკითხე.

რა და... ფულს ვინ გადაგვიხდის, იმისი არ იყოს. კაცმა რო თქვას, ჩვენ, თხუთმეტმა კაცმა, ჩვენი საქმე გავაკეთეთ. პატარა სარისკო საქმე არ იყო ამის გაკეთება. ჩამოვწყდით იმ მანწკავას ძებნით.

გამეცინა.

მიაკითხეთ ვასო ინჯიას და ის გაგარკვევს ყველაფერში. აგინაზლაურებენ თქვენს პატიოსან შრომას.

აბა, თქვენ ვინ ხართ, პატივცემულო?!

მე მაქსიმე კვირტია ვარ, ჩემო კარგო, კარგად იყავი.

გასასვლელთან მოვიხედე. კეპი შუბლის ზემოთ აენია, დონინჯი შემოეყარა და რალაცას ბუტბუტებდა.

ჭადარს ავხედე.

ჩემი მოთვალთვალე შავნაცრისფერი ყვავი გაფრენილიყო.

დიდებული ანდაზა ამეკვიტა: „ყვავი ძვალს ჯერ კისერს დააზომებს და მერე ჩაყლაპავსო“.

ყვავმა თავისი ყვავური საქმე ხუთი თითივით იცის.


ფუჭად, უბრალოდ, ოდენ ფრთების საქნევად არ გაფრინდებოდა.

შინისკენ მიმავალს ზურგში ზამთრისპირის ხშირი, კოლხური წვიმა მცემდა.

3 ნოემბერი, 2009



რეზო ემელიანე ადამია



**მზე**  
**ჯაყარა წიგნი დიდ მოვლენებზე**

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის V ნომერში)

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო  
გამოსავალია უბედურების დროს“  
(მაკციუსი).

თავბრუდამხვევად შეძრული ადამიანი წარმოუდგენლად წუთი-წუთზე (სულიერად და ფიზიკურად) ილეოდა... ოჯახის პატარა ფერდაკარგული, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ბიჭი, ხშირ-ხშირად იმეორებდა, ძველ-კოლხურ წარმართულ თუ მზის თაყვანიმცემლობის მრავალი ათასი წლის წინანდელი კოსმოსის, კერძოდ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სადიდებელ ლექსად ნათქვამს:

„ბჟა დიდა რე ჩქიმი,  
თუთა მუმა ჩქიმი,  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი  
და დო ჯიმა ჩქიმი“  
(მზე დედაა ჩემი,  
მთვარე – მამაჩემი,  
მოციმციმე ვარსკვლავები  
და და ძმაა ჩემი.)

– ეჭვი, თურმე როდის ინერებოდა ლექსები კოლხეთ-იბერიაში.

მერმე, ფიქრებით უკვე სამყაროს სივრცეებში მყოფი და ნაღვლიანი ბავშვი დიდ ბაბუას ჩახუტა და ეკითხება: – აწი რა მოხდება, ბაბუ? – ცუდი არაფერი, შურიგე, ბჟას რომ შემოვევლე, ამოვა მალე და...

როგორც მოგვახსენებენ, სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედურების შემთხვევაში. ბრძენნი ძლიერნი არიან ნებისმიერ დროს და მათგან ვინც იყო გადარჩენილი, მხოლოდ უტეხი სიმამაცისკენ მოუწოდებდა ხალხს.

ყოველგვარი დუმილი საამო და საცნაურია, მაგრამ მზის უჩვეულო გატრუნვა და დედამინის უძრაობა კოსმოსისაგან განგაშმეყრილი საშინელება ყოფილა... ამ სამ საათში პლანეტის მეორე მხარის მიდამოები, სადაც მზე უძრავად აცხუნებდა, მოულოდნელობისგან უკიდურესი ნერვიული სტრესები მოედო ირგვლივით. წყალში, ხმელეთზე, თვალგახელილი და გაოგნებულნი მისჩერებოდნენ ცის კაბადონს და მზის ჩამაფიქრებელ უძრავ, მშვენებააყრილ ჩრდილებს. დიდი სხივლეთიური მანათობლის მაღალი ტემპერატურით და ჩრდილთ-ყოველთა უძრაობით, ფსიქოლოგიური შეკუმშვით, ნერვიული უძრაობით და საერთო ნაკლოვანებით იხუთებოდა იქაურობა. ჰაერსაც დაეკარგა ჟანგბადი, წონა და სიცოცხლისუნარიანობა.

„თუ ცუდს ველოდები, დრო გარბის, თუ კარგს – მიცოცავს“ (ვოლტერი).

თანამედროვეობის გამაოგნებელი ცივილიზაცია თანდათანობით ძალას და ფერს კარგავდა. ობსერვატორიების მეცნიერები ურთიერთთან გამუდმებულ კავშირში იყვნენ და კოსმოსური უცხო ნალექვის მძაფრ მოლოდინში ვარსკვლავთა სამზერ აპარატ-ხელსაწყობებს არ შორდებოდნენ და პლანეტების უჩვეულო ყოველნამიერ გადაადგილება-განწყობილება-მოვლენებს აფიქსირებდნენ... ჟამი დაბინდული არნახულად და გაუგონრად გაიწელა. თითქოს უკან იწყო სვლა. მოძრავი საგნებ-აპარატებიდან ყველაზე უფრო საათებს გაუჭირდათ. დროის ათვლას კი აწარმოებდნენ, მაგრამ მთავარი, წუთები თუ წამები უაზრობად იქცა. უკიდურესად აირია მათი სივრცობრივი განსაზღვრის ფუნქცია და მზის სისტემისეული საათ-წუთ-წამობრივი გათვლა. საათი გახლავთ გარემოს, სივრცის, დროის მაჯისცემის დათვლა. ის მხოლოდ ადამიანმა კი არ გამოიგონა, არამედ განგების სიკეთემ გამოიყვანა სამყაროს უსასრულობის სივრციდან – მზის სისტემის კვლავ დაუდგენელი დროის პირობითი ამთვლელი აუცილებელი და მართალი მექანიზმი... სამყაროს უკიდევანო სივრცეში, დროთა სხვადასხვა განზომილებებია. ასევე მის მიუწვდომელ უშორეს უსასრულობაში, სიცოცხლის ურთიერთისაგან განსხვავებული ფორმები და სახეებია, რომ-

ლის იდუმალ საოცრებას ადამიანის გონება ანუ ცივილიზაციები ჯერჯერობით ვერ წვდება... დედამიწაზე არსებული სულიერი ფორმა განსხვავდება ალბათ, რომელიმე გალაქტიკის გულმფეთქავ პლანეტაზე მოფენილ არსებათა სულით, გონებით და სხეულის სხვა შემადგენლობისაგან. შესაძლებელია სრულიად განსხვავებული შემადგენლობის ჰაერით სუნთქავდეს იმ პლანეტაზე მცხოვრებნი ანუ მიუწვდომელი მაგნიტური უცხო ველებითი ხაზ-შუქდინებით იკვებებოდნენ. წარმოიდგინეთ, ბოროტება იქ მინიმუმამდე იქნება დაწეული. კოსმოსი ხომ უზარმაზარი შემოქმედია, რომელსაც განაგებს უსასრულობის ძალა ყოველთა განუზომლობისა...

დაფრთხნენ და დაიბნენ შუქ-ჩრდილები – მოიშალა მათი უზენაესისგან დაკანონებული მიმდევრობითი მოძრაობა-მოქმედებები. სადაცაა, ღამესა და დღეს შორის განსხვავება უკიდურეს ნაშლამდე მივიდა, სინათლის წყარო, ფორმა და არსი წარმოუდგენელ გაუცხოებას მიუახლოვდა. გაურკვეველი სივრცის ვარსკვლავითური დაუდგენელი უცხო თავბრუდამხვევი განზომილება ეუფლებოდა ქვეყანას.

„შიში, როდესაც საშიშია, ყველას ერევა“ (იბსენი).

მზის გასხივების ზეაღმტაცი განუსაზღვრელობა უკიდურესად, ღმილის მომგვრელია, სამაგიეროს მიგება ამ ყოველმხრივ უძლიერეს მიუწვდომლობასთან. ჩვენს პლანეტაზე მოვლენილი რელიგიურ აღმსარებლობებზე შეწირვები და პირადი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანები, ოდითგანვე გარდაუვალი ყოფილა. საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებით წარმართობამ შეიწირა ადამიანთა მოდგმის ულამაზესი ნაწილი და გაანადგურა თავისი რელიგიური, უაზრო და არანორმალური ფანატიკური რწმენიდან გამომდინარე. ნაწილობრივ ქრისტიანობაც ვერ გაექცა რთულ ზნეკოსმოსურ უკიდურესობებს და უფლის წმიდათანმიდა ამბიონზე პირადი მსხვერპლმიტანები აუცილებელი გახდა. საუბედუროდ, ჰუმანური სარწმუნოების უერთგულეს მიმდევართ, წარმართები სიკვდილით სჯიდნენ. ამ შემთხვევაშიც ვერ გაექცნენ ღრმადმორწმუნეები გაუთვალისწინებელ დიდ მსხვერპლს. უფრო რელიგიურ ნიადაგზე ხოცავდნენ სიყვარულის სიკეთის და ურთიერთმეგობრობის ქრისტიანებს. ძალიან ხშირად, სარწმუნოებრივი დაპირისპირებები სამკვდრო-სასიცოცხლო ომებით მთავრდებოდა და რატომ და რაზედ? მრავალ რელიგიათა ღმერთებო, ასე ძნელია თქვენი შერიგება-მორიგება?! თუ ვერ უმკლავდებით კოსმოსურ გამოსხივებებს?..

უძველეს აღმსარებლობებში მსხვერპლად მიგება ძალაუწებურადაც იმართებოდა ჯანსაღი აზროვნების უქონლობით და ჭეშმარიტებასთან გონებრივი მიუწვდომლობიდან გამომდინარე. ამ დროს მზე პლანეტებს და თანამგზავრებს უმცირეს მოლეკულამდე იმდენად ზედამხედველობს, რომ უსასრულო ენერგიაც შესწევს, როგორც მოესურვება ისე წარმართოს თავისი სისტემა უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. მაგრამ მზე უკიდურესად პოტენციის მანათობელი ენერგიით სავსე, ზნეკეთილი წეს-მეუფეა ყოველთა მათ მიმართ, რომ მისხალითაც არ უხვევს და ცვლის სამყაროთა გამგებლის მაგნიტურ სხივძალოვან მრავალგანზომილებიან ზეფილოსოფიურ აზროვნებას და უსასრულობის უსაზღვრო სამყაროსეული კანონის უმძლავრესი, უკეთილშობილესი ფუნქციონერია საკვირველი და, უთუოდ, ქვეყნიერების უხილავი მფლობელის ყოველთა მომწესრიგებელი ზეძალაა, ალბათ პლანეტაზე არსებული ნებისმიერი აზროვნებისთვისაც მიუწვდომელი. ის რომელიმე პლანეტის ვარდისფერი, უტეხი ლოდით მყარი აბსტრაქციაა სასწაული მომრეგულირებელ-მაორგანიზებელი. ხელოვანთაგან ვასილი კანდინსკი, ხუან მირო, ტერენტი გრანელი და მათი მაგვარნი, ეჭვგარეშეა, მიახლოებით მაინც ფლობდნენ და აზროვნებდნენ თითქმის ამ შეუცნობელ არსებულზე...

როგორც მოგახსენეთ, დროის ფენომენი გალაქტიკებში და უთვალავ მზეთა სისტემებში მრავალნაირი და ბოლომდე შეუსწავლელია. ჯერჯერობით გარკვევით არავინ იცის, ისინი როგორი თვისებების, ზომა-განზომილებების, ტევადობის და ფუნქციებისაა. ჩვენ მცირედით, მზის სისტემის მიახლოებითი მინიშნებებით ვკმაყოფილდებით, ზეციურობის უდიადესი დროის იდუმალ გარკვეულ დინებაში რომ ვართ მოქცეულნი... გალაქტიკების და სამყაროს ჩვენთვის უცნობი, მაგრამ მიახლოებით მაინც შესწავლილ-მონიშნული შვიდი განზომილების მცნება თითქოსდა მოუახლოვდა მშობლიურ პლანეტას, ბოლომდე მაინც ვერა და არ გამოიკვეთა. პლანეტარიუმის ამ მომავლის – საოცრების დედამიწაზე მოსვლისას შესაძლებელია უდიდესი მეცნიერული სიახლეები წარმოიშვას: უთუოდ რომ გაუგონარი შედეგი მოჰყვება ყველაფერს მომავლის ცივილიზაციაში. ალბათ დრო უნდა საკმაოდ დიდი, როგორც ათი მცნების ადამიანებთან მოსვლას დასჭირდა...

მზე ცის სიღრმე-სიგრძე-სიგანის განზომილებაზე არ ჩანდა. დედამიწა ფერშეცვლილი, დაუეჭილივით, გაბუტული ეკიდა კოსმოსურ სივრცეში და ნალვლიანად დუმდა რალაც დაუდგენე-

ლის, გაურკვეველი, ჯერგაუგონარის, არქაული ფიქრთიქითა აზრთ სიშორიდან მოახლოებული მძაფრი მოვლენების შეგრძნებით. ქვეყნიური ძველი თვითნაბადი ზნე-კანონები შეწყდა, ახალი კი არ იქმნებოდა. ზეცის სიშორიდან შემოქმედთათვის წარმოსახვითი ფანტაზია და მუზათაგზავნი-ლებაც არ ჩანდა. ფერთა სპექტრის გარეშე გამოუცნობი მუქი ფერები უმიზნოდ მომრავლდა და იმქვეყნიური თუ ქვესკნელური მძაღე სუნი აჰყვა და შორეული გაურკვეველი გაბმული კვილის-მაგვარი ხმა მოდიოდა საიდანღაც...

უაზროდ გათიშული მინა-პლანეტა, საცოდავად ყველასგან მიტოვებული, განმარტოებით უძრავად ეკიდა სუნთქვაშეკრულ უკიდვანო დაბინდულ, ოკეანეს მიმსგავსებულ სივრცეში...

დედამინა სიცოცხლის, სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების საშოა. ბევრად უფრო ძლიერი სიკეთე ეგზავნება მზისგან და ხშირად ანეიტრალებს სიბნელის კვალს, მაგრამ მთავარი მიწიერი საშო მაინც მძლავრობს – მარადიულად.

უხაროდათ ეშმაკს და სიკვდილს – უსახო ბოროტ თანატოლებს...

სულიერთა და უსულოთა მრავალმხრივი და ყოველგვარი ურთიერთქმედება სიკეთე ჩაკვდა, ვილაცებმა და სრულმა ჯოჯოხეთის გაურკვეველობამ, ბნელის ტალღოვანმა შავბნელმა გზავნი-ლებმა ღმერთი მეორედ მკვრივჰაეროვან ღრუბლისფერ ჯვარს აცვეს და უსაზღვროდ წარმოუდ-გენელი დამთრგუნველი დემონური ენერგიები გაბატონდნენ. უსასრულო ქვეყნიერების დიადური ძალა – სინათლე, უმოქმედოდ მიმალულიყო. აღმოსავლეთის ცის დასალიერი მუქლურჯ ჰაერის ზანტად ჩამდინარე სვლით, უჭირისუფლო და უპატრონო სამარეს დაემსგავსა სამყაროეული სევ-დით გარემოცულს. შენ, წყაროვ, მზეო! შემოგეველეთ ტან-ფესვებიანად, გამოჩნდი და დაგვენა-ხეო, ყოველთა დიდო იმედო-მფლობელო პატრონო, – ამდაგვარ შეძახილ ხმებს ნებისმიერი მცე-ნარეები და უძრავი საგნებიც გამოთქვამდნენ უთუოდ... ყველაზე უფრო მაინც მოაზროვნე არსე-ბათ უჭირდათ და განწირულები სულს ლაფავდნენ.

„განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ერთად იყრის თავს“. (იოანე დამასკელი)

პლანეტების კოსმოსურმა მოძრაობა-სვლათა წყვეტამ და უმზეობამ წარმოუდგენლად არივ-დარია ისედაც დაძაბული ქვეყანა, ბოროტება და სიკეთე მძაფრად ენაცვლებოდა ურთიერთს, სიკვდილის უზარმაზარი შხამიანი სამარისფერი ჟანგმოდებული მანქანა თავისი მორყეული ბორ-ბლებით დარიხინებდა ზევით-ქვევით, ციდან მინამდე. ყოველივე და ყველაფერი წაგრძელებულ-ნიკაპა, წვრილთვალემა, მოკაუჭებულცხვირა და მორიელისფერქებაყრილი ეშმაკის შავ სასწორ-ზე იყო შეგდებული.

„გაჭირვება ყველა მეცნიერებაზე მეტს ქმნის“ – ეზოპე.

მინა, კაცთა და ყოველ არსებათათვის დაუთმობელი და განუყოფელი, დღეს პირველად კარგავდა თავის ბოროტების და სიკეთის ნორმალურ საწყისებს, რომელიც მისდა ჩაურევლად ბა-ტონობდა; მაჯამფეთქავი უკვდავცოცხალი მინა-პლანეტა კეთილი, უტყვი, ამდაგვარი მდგომარე-ობებით შეძრული, თავისივე გატანჯულ სფეროს ნაღვლიან ცრემლში ცურავდა. სამზეოში, გამო-ულეველ სიყვარულსა და სიკეთესთან ერთად, რადგანაც ბოროტება მძლავრობდა, ამ ურთულეს დროის მონაკვეთში ავთვისებიანი უკეთურობა მკვეთრ-სამოქმედოდ გამჟღავნდა.

დედამინა ჩვენი მზის სისტემაში იდუმალხილული-ანდამატური სიცოცხლით და სულით სავსე პლანეტაა, ირმის ნახტომსა და უახლოეს გალაქტიკებშიც მისებური უმშვენიერესი ციური სხეული არ მოიხილვება ჩემეული ვარაუდ-ინტუიციით. მარად ცოცხალი – მსუნთქავი გულმფეთ-ქავი შემოქმედებითი ბინადარია პლანეტარიუმის დასახლების უსასრულობისა. უთუოდ უფლის რომელიღაც უმთავრესი სხეულ-უჯრედია მინა... სამყაროს მმართველის, მოცისფრო-მომწვანო, ვერცხლისფერებში გახვეული, კოსმოგენური საპატიო უახლოესი და უფლის სისხლისფერი, კოს-მოსური სითხით სავსე თასია. აურაცხელი საფლავები, რომელნიც მის სხეულშია შერწყმულ-გა-ერთიანებული, ყოველივე იმავ თვისებისანი არიან, რაც საკმაოდ მოკლედ ჩამოვთვალე. უხსოვარ დროიდან გარდაცვლილი ადამიანები, წმიდანების და გენიოსების ჩათვლით, ცხოველები და თევ-ზები, ფრინველები თუ მცენარეები, უნაკლო დედამინაა ამჟამად და მარადის... – უხსოვარი დროინდელი მცნებაა მართალი: „მინა იყავ – მინად იქეც“ და იცოცხლებ მარადიულად...

„გეშინოდეს სიკვდილის არა საფრთხის დროს, არამედ მაშინაც, როდესაც არაფერი გვემუქ-რება. დე, ადამიანი ყოველთვის დარჩეს ადამიანად“. (პასკალი)

სულისა და გონების შემარყვევლ, ჯოჯოხეთურ ჩვენი პლანეტისეულ ამ უკიდურეს შემ-თხვევებში მინდა სოფლის ცხოვრების ავშინაარსიანი მიწიერი ცხოველური მოვლენები გამოვყო

და მოგიტხროთ. ერთ-ერთი ჩვეულებრივი ოჯახის უფროსი ძმა, მამისეული მამულის მთლიანად დაუფლების მიზნით გონგახელებული, სრულიად მართალ უმცროს ძმას გამეტებით დევნიდა. ამ თემაზე ნაჩხუბებისას დაუნდობლად მარჯვენა ფეხი წვივთან მოსტეხა კიდეც. იმავე საკითხზე უკვემერამდენედ წალაპარაკებისას მწარედ დაემუქრა და განუცხადა, მთელ ეზოში მხოლოდ მე და ჩემმა ოჯახმა უნდა ვიცხოვროთო. ამ დროს უმცროსმა უშფოთველად მიუგო: – ორივეს გვეყოფა ეს დალოცვილი მამაპაპეული მიწაო და პირადად კი, მშობლიურ სოფელს და კუთხეს, ღვთიური სიყვარულიდან გამომდინარე, არასოდეს მივატოვებო. ამით გაცოფებულმა და სახეშემლილმა უფროსმა ჯოხი ესროლა და მარჯვენა ქუსლი მძიმედ დაუზიანა. ხოლო დედამინის და სოფლის ამ უმძიმეს დღეს, დამფრთხალი და გაფითრებული სიტყვიერად ინანიებდა თავის უზნეო, უკეთურ მოქმედებებს, მაგრამ თურმე მხოლოდ რამდენიმე საათით.

„სიკეთე სიამოვნებაა, ბოროტება კი – ტანჯვა“ – შექსპირი.

უფლისა და მზის უსაზღვრო სიკეთემ ვერ უშველა მას, ეტყობა სრულიად განსხვავებული ქვედალა (კოსმოსური ჟანგი) მართავდა ამ კაცს. მზისგან მიღებულმა სითბომ და უსაზღვრო მადლმა ვერ გაუხსნა ღვთიური სიკეთის სულ-გონიერება. ხოლო საქვეყნო დაღუპვისაგან შეძრწუნებულს რატომღაც უბრუნდება მონანიებისა და კეთილგონიერების აზრ-თვისება და თავს ხრის უფლისმიერი ჭეშმარიტების წინაშე, მაგრამ ღვთის ნებით თუ... როგორც ინათა პლანეტის სხივსავსე სიცოცხლემ და იგი უმალ უბრუნდება თავის ავკაცობის საშინელ ზნეს. ძალაუნებურად ისმება კითხვა: – რატომ?! სიკვდილის მოახლოების შიშმა ასე შეცვალა? ნუთუ უკუგამდინარე გახდა მისი ბოროტთვისებიანი სიცოცხლის მოსვლა?.. რომელიმე ვარსკვლავისგან უარყოფით ელემენტებს ხომ არ ითვისებდა ავკაცობისკენ მიდრეკილი მისი სული და სხეული? ან...

ამა სოფლის უმძიმეს შემთხვევებს რა გამოლევს და მინდა რამდენიმე დრამა-ტრაგედია მოვიგონო, რომლებიც მზისა და დედამინის განგებ ჩაურევლად რომ ხდება, უთუოდ მონიშნული ვარსკვლავის ავ სხივთა მეოხებით.

დაოჯახებულმა, ცოლ-შვილიანმა ვაჟმა საკუთარი მშობელი კეთილი მოხუცი დედა აღმზრდელი, გვერდით ცალკე მშვიდად მოსახლე, უძველესი მამაპაპეული სახლ-კარიდან გააძევა და თვითონ დაეუფლა მისას ყველაფერს. შემდგომ შუახნის ეს კაცი, ავთვისებიანი სენით – ტანჯვით კვდება. მთის განაპირა სოფელში მამამ მხეცურად უზნეო – დამნაშავე შვილი თოფის გასროლით მოკლა. მერმე, მკვლელი მამა სულიერად ავადმყოფი ხდება. ერთ-ერთ თემში მთვრალი გაღეშილი, უხასიათო და უგონო შვილი უდანაშაულო მამას ფიზიკურად წაეჩხუბა და შემოაკვდა მშობელი. შემდეგ სამუდამოდ განეშორა ის სოფელს. ვინ მოთვლის, მხოლოდ სოფელში კი არა, ქალაქშიც რამდენი სიავე და უზნეობა უპირისპირდება დღესაცღვთიურ სიკეთეს და ამრიგად მიაბიჯებდა მრავალი ბოროტებით სავსე ქვეყანა და ებრძოდა უფლისმიერ წმიდა ორანს, სიკეთესიყვარულს. „ადამიანის სულიერი გარდაქმნა შეუძლებელია, თუმცა მისი გაუმჯობესება მოსალოდნელია“. დღეს კი მზის არგამოჩენამ მათგან (ბოროტთაგან) უმეტესობა იმსხვერპლა, რატომღაც მეტწილად უღვთო ზნეობის ადამიანებს უფრო ანადგურებდა ზეციური მკაცრი მოვლენები. მეორედმოსვლააო, ღვთისმორწმუნე ქალები იძახდნენ. „რა ცუდია, ადამიანები ერთმანეთის ტკივილები რომ არიან“, „ურთიერთსიყვარული კი ხანგრძლივი ბედნიერებაა“.

„არც ისე ჩქარა მოვა სასამართლოს დრო, რომელიც ცუდ საქმეებს გაასამართლებს, ამიტომაც ადამიანების შვილების გულებს ბოროტების ჩადენის არ ეშინიათ“ (ეკლესიასტი).

მზის მეოხებით სიცოცხლე როს აღმოცენდების ქვეყნიერების წყარო ანკარაა მარადიული...

ღმერთმა დაგვიფაროს და სამყაროს, წარმოდგენითაც კი, დაუხატავი სურათი კატასტროფის შემდგომ, მხოლოდ ერთადერთი პლანეტაც რომ შემორჩეს – მზე, სიცოცხლეს ჩამქრალი არ დაერქმევა...

მომავალში უმაღლესი სიდიადის რელიგიური აღმსარებლობებიც რომ აღმოცენდეს და სასწაულებრივად გაძლიერდეს, ვერასოდეს ვერცერთი სწავლება და ცივილიზაცია ვერ უარყოფს მზის ღვთიური ენერჯის ჭეშმარიტ უკიდევანობას. წარსულის სხვადასხვა საუკუნეებში მობრძანებული რელიგიები, მზის თაყვანისმცემლობის გაუქმების შემდეგ თავად მზესაც შეეხნენ უდიერად, რითაც მხოლოდ თავიანთ თავს მიაყენეს ზიანი...

„მზე რომ არ არსებობდეს, სხვა მნათობთა სხივოსნობის მიუხედავად წყვილია მოიცავდა სამყაროს“ (ჰერაკლიტი).

ჟამი დადგა აღუწერელი ამაღლებისა და ბედნიერების, სამზეოდან მზე სრული სვლით

ამობრწყინდა და რეალური სამოთხე გაიშალა მთელს დედამიწაზე. უცნაურზე სასწაული იყო, ყვავილების ცქრილა ხმა რომ გაისმა საამოდ, ტანჯვამიყენებული ქვეყნის, უზარმაზარ სხივთგუნდებად გაივსო ცის კაბადონი. არაქვეყნიური უხმო მოგუდულ-შორეული გუგუნის წმიდანური ხმა ისმოდა საკვირველ- აღმაშფოთებელი. სისტემის საერთო შვებით ამოსუნთქვამ ზეცის უსასრულობამდე გააღწია. ახალაღთქმისეულ სიკეთე-სიხარულად ახმაურდა სოფელი თუ ქალაქი, მთა და ბარი, გადარჩენილებიდან დიდი და პატარა ტაშს უკრავენ და ერთმანეთს ეხვევიან. აღდგენილმა სიცოცხლემ უბედურებისგან დაღუპული, ჭირისუფალთ კინალამ გადაავიწყა... ცაში ატყორცნილი ფრინველების ჟრიაძული, მზის დისკს თითქოსდა გაეთამაშნენ. არწივები ძალიან მაღლა, შორს, გალაღებულ ირაოს აკეთებენ და შეჰკვივლეს შორსმწვდომად. თევზები წყლის ზედაპირზე ამოიჭრნენ და მრავალფერანთებულ სხივებად სხმარტალებდნენ. ბუნებით აუცილებელი გამრავლება დაიწყო ცხოველთა სამყარომ. ხის ფოთლებმა, მცენარეებმა და ბალახმა, მზის სიცოცხლემიღებულებმა, ჩვეულებრივი ზრდა იწყეს დროული...

როგორი ზნეობრივად მართებული იქნებოდა, ყოველდღე მზის ამოსვლას ღიმილით ანუ ტაშით რომ ვხვდებოდეთ (ამდაგვარი მცნება იაპონელი ხალხისგან მოდის). ფერმწერლებმა, კომპოზიტორებმა, პოეტებმა და ფილოსოფოსებმა უთუოდ უნდა შეთხზან მრავალი ჰიმნი მზის მარად შეუფასებელ აისზე...

უფერული, მიწადქცეული, დაშლილი ძვლისფერი საფლავთ გულები ჩვეული სიმშვიდით დადუმდნენ და იმქვეყნიურობას ისევ მიეზარნენ. შემდგომ მზე, დრო და ატმოსფერო თანმიმდევრულ ფუნქციებად გარდასახავდნენ მათ, მიწაზე ახალი ინდივიდუმი სიცოცხლის წარმოსაქმნელად. ყოველ საფლავს ახლავს თავისი ცოცხალი ბიოგრაფია, მითი, ლეგენდა და თქმულების დაუსრულებელი წიგნი. საფლავები მარად უხილავი პლანეტებივით ძალიან შორეული და იდუმალია...

ბრწყინვალე და სანატრელი აისის მერმე საამოდ ამოქმედდა სამყაროს ვარსკვლავეთური სისტემის უზარმაზარი შუქთ გუნდები და მათი გიგანტური მექანიზმის ხმათა შორეული შეგრძნება იყო, იქ, სადღაც... უთუოდ გრგვინავდა დაძაბული სივრცე, ჩვენთან კი მკრთალი ხმის იდუმალება ისახებოდა: დედამიწა განთავისუფლდა საშინელი ყოველთა ნერვებგამანადგურებელი უძრაობისგან და პლანეტისეული კეთილი სიცოცხლის წარმოუდგენელი ფურირმისეული ატმოსფერული ნახტომი გააკეთა. განახლებული პლანეტა სხეულის შვებითი მოძრაობის კოსმოსური, ღრმად მუსიკალური სტვენა და ჰაერის ტალღათა გრძელხაზოვანი შიშინი გაისმა მზის სისტემის სივრცეში, ალტაცების ტაში დაუკრეს ვარსკვლავებმა და გაიხარეს უმცირეს მეტეორამდე. ამდაგვარმა ცათა-ვარსკვლავეთურმა ზეიმმა გალაქტიკის უკიდურეს ნერტილამდე გააღწია; შესაძლებელია, მათ იქით უშორეს შიშისმომგვრელ საზღვრებშიც შეაღწია. ყოველივე ეს დიდი ახალგანმცდელობა გახლდათ სამყაროს უსაზღვრო სიხარულის და აურაცხელი პლანეტარიუმის მართლწესრიგის კანონ-სურათით... ღვთის ნებით შეირხა მზის სისტემა და ყველგან მოძრავმა შუქთა ტალღებმა იმატა, თანმიმდევრულად ისევ მერამდენედ ზეციური ქუხილი გაისმა გაუგონარი, ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა, არც შორეული – სამყაროსეული, სულ სხვა, გაურკვეველ უხვ ბგერათა შემადგენლობის ხმა იყო; არა დემონური, უფრო უსასრულობის მძიმე და რთული მელოდია. თანხმობილი მზის შუქთა, სიბნელის, სივრცის და მაგნიტურ-ლაზერული ხაზების ანუ უხილაობის გაუცნობიერებელი განზომილებათა შეკუმშვა-გამართი დაპირისპირების ძრაობა ხომ არ იყო აზრთმიუწვდომელი?!

ამ ლექსში გალაქტიკის მოვლენა-აინშტაინის პირადი გრძნობები და კოსმოსური ხედვებია გამოხატული:

„ვუყუროთ ვარსკვლავთ, მათგან ვისწავლოთ,  
ოსტატს პატივი როგორ მივაგოთ.  
ყველა მარადი დუმილით ადგას  
ნიუტონისგან დაგეგმილ ამ გზას.“

სასწაულთმომტანი მეცნიერისგან უნდა ვირწმუნოთ ვარსკვლავთ აქტივობა ნებისმიერ ჩვენგანზე. რა თქმა უნდა, არსებობს მეტ-ნაკლები სხეულის მიზიდულობის პიროვნებები, როგორც სხვადასხვა მეტალთა ურთიერთმოქმედება მაგნიტთან...



სერგი ლომაძე

## ჩოუცი და უკვდავება ორი დეკემბერი ჩემი დაბადების დღეს

წლევიანდელი (2016) ორი დეკემბერი დიდი პოეტის-ბეჟან ხარაიშვილის მოგონების დღედ იქცა მწერალთა სახლში. „პოეზიის მიმინო,” იმ დღეს, კიდევ ერთხელ წამოფრინდა მოგონებათა ლურჯი მთიდან. ის დღე შექმნა ბეჟანის ნათელმოსილმა სულმა, ასევე-ორმა ბრწყინვალე ქალბატონმა-გულნაზ ხარაიშვილმა და ლუარა სორდიამ.



რეზო მიშველაძე, ლუარა სორდია და გულნაზ ხარაიშვილი

ბედნიერი ვარ, რომ ზუსტად ჩემი დაბადების დღეს ვიყავი მწერალთა სახლში და ჩვენი აკადემიის მიერ ჩატარებულ დიდ ღონისძიებას ვესწრებოდი (კახასთან ერთად), სარკეთა დარბაზში. ეს ღონისძიება ამოშენდა ლუარა სორდიას წიგნზე-„ქართული პოეზიის მიმინო,” რომელიც სწორედ ბეჟანს ეძღვნება. პრეზიდენტობაში ქალბატონებს-გულნაზსა და ლუარას, ბატონმა რეზომ დაუშვენა მხარი, რომელიც ცოტა გვიან მოვიდა და საღამო მაშინ დაიწყო.

შემოქმედებით საღამოს ქალბატონი გულნაზი უძღვებოდა და, როგორც შტილია ზღვაზე, ანუ-წყნარი ამინდი, ისეთი სიჩუმე იყო დარბაზში, დიდი ყურადღებით უსმენდნენ დამსწრენი გამოსვლებს, ხოლო შტორმი, აფეთქება დარბაზისა (როგორც ზღვისა), ხდება აპლოდისმენტების დროს. მართლაც რომ წყნარი და მღელვარე ზღვასავით იწვა საღამო ადრე წასული პოეტისა, რომლის სახელიც ლეგენდად აქცია მისმა უფროსმა დამ. შეფ, კარგ დედამიშვილს მართლაც რომ ვერაფერი შეედრება, მაგრამ დღეს, ბევრ სხვა ტრადიციასთან, ღირებულებასთან ერთად, ლამის ესეც დაგვარგეთ ქართველებმა, და სასიხარულოა, რომ ჯერ კიდევ არის ცოცხალი მაგალითები დიადი დედამიშვილობისა, მეგობრობისა და ასე შემდეგ.

როგორც დამ-ქალბატონმა გულნაზიმ, ხოლო როგორც მეგობარმა-ლევან ბაბუხადიამ, ყველაფერი იღონეს ადრენასული კაცი-ფენომენის უკვდავსაყოფად, უკვდავსაყოფად იმ კაცისა, რომლისგანაც იწყება დიდება ხარაიშვილთა გვარისა.

გამომსვლელთაგან პირველი ბატონი რეზო იყო, ხოლო შემდეგ უკვე საკმაოდ ვრცელია ჩამონათვალი, რომელშიაც მეც და კახაც აღმოვჩნდით. სანამ ჩვენ გამოვიდოდით სიტყვით, იქამდე პატარა ინციდენტი მოხდა, რომლის მოგვარებაც მე და ჩემმა ძმამ (ძმაკაცმა) აგრესიული მეთოდებით გადავწყვიტეთ, რაც, ახლა რომ ვაკვირდები, მეტად არასწორი იქნებოდა და საღამოს და-



ასამარებდა. კიდევ კარგი, ქალბატონმა გულნაზიმ და ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ შეგვაჩერეს (რალა თქმა უნდა, ორი აკადემიის ორ პრეზიდენტს ჩვენი კი არა, ნამდვილი ლომების დაშოშმინებაც არ გაუჭირდება), შემდეგ გულნაზ ხარაიშვილმა ძალიან ტაქტიკურად, დიპლომატიურად განმუხტა სიტუაცია, ასე, რომ, ჩემი და კახა აგრესიული ჩარევა აღარ გახდა საჭირო. ასე გადარჩა სალამო (ამ დროს ჩვენს გვერდით აღმოჩნდა ერთ-ერთი სტამბის ხელმძღვანელიც, ადამიანი, რომელსაც დიდ პატივს ვცემთ) ბესო ხარაიშვილი. მიუხედავად ამისა, შემდეგ, სიტყვით ჩემს გამოსვლას მაინც ეტყობოდა ბრაზი, მღელვარება, და ქალბატონ გულნაზს რომ იქვე, სცენაზევე ფულით რომ არ დავესაჩუქრებინე, როგორც იუბილარი, ალბათ ორ სიტყვასაც ვეღარ გადავაბამდი ერთმანეთს (ნუთუ მართლა ჯოჯოხეთსაც ანათებს ფული?!). რაც შეეხება კახას, მისი ენერჯიული, ანთებული, რევოლუციური გამოსვლა, მისი მძაფრი და პოეტური სიტყვა, ალბათ მთავარი მშვენება იყო ღონისძიებისა. როგორც ჩანს, იმ დღეს მან უფრო შეძლო თავის ხელში აყვანა, და წარმატებაც მოიმკო. მსგავსი გამოსვლა, იმდღევანდელ ღონისძიებაზე, ალბათ მხოლოდ ერეკლე სალლიანს ჰქონდა, რომელმაც გაიხსენა სტუდენტური დღეები, ის, რომ სვანეთში ერთ-ერთ მოქმედ ეკლესიაში, სადაც ინახება თამარ მეფის თასი, არავის არ აჩვენებენ სვანები. როდესაც ბეჟანი სტუდენტურ ჯგუფთან იქ ჩავიდა ამ თასში ღვინო ჩაუსხეს და დააღვინეს. ბეჟანი მუხლისჩოქად დამდგარა წმინდა გიორგის ხატის წინ და უთქვამს: მე ისეთი ბედნიერება მეწვია დღეს, ახლა თუ მოვკვდები, არაფერს არ ვინაღვლებო. ამიტომაც, რომ ბეჟანის ერთ ლექსში ვკითხულობთ: თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა-ო. ირაკლი სალლიანმა იმ დღეს სხვა ბევრი მოგონებებიც თქვა, რომელებიც განსჯის საგნად იქცევიან მომავალში. ბევრთაგან უნდა გამოირჩეს ტიტე მოსიას სიტყვაც, როგორც პროფესიონალი მეცნიერისა. სწორედ იგი და ლუარა წარმოადგენენ ფილოლოგიურ ხაზს სოხუმის უნივერსიტეტში (იქ, სადაც ისტორიულ-პედაგოგიურ ხაზს, ერთ დროს ამირან ლომაძე (მამაჩემი) და გულნაზ ხუხუა წარმართავდნენ. ქალბატონი გულნაზ ხუხუა, მგონი, დღესაც იქ მუშაობს).



ბარბარე ხარაიშვილი, გვანცა ხარაიშვილი, ხატია ხატიაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, (პატარა) გვანცა ხარაიშვილი

ბევრის გამორჩევა შეიძლება იმ დღიდან, მაგრამ №36 საჯარო სკოლა მაინც განსაკუთრებით უნდა გამოვყო. ბევრჯერ დამინერია, რომ ამ სასწავლებლის დირექტორს ჰყავს უპირველესი პედაგოგი, ბრილიანტი ქართული პედაგოგიკისა, ციური ხუჭუას სახით, და სანამ ქალბატონი ციური აღნიშნულ სკოლაშია, სხვა სკოლებს ძალიან გაუჭირდებათ ამ სასწავლებლის მეტოქეობა (თვით № 167 საჯარო სკოლასაც კი, რომელმაც პირველმა დაინყო ჩვენს აკადემიასთან ინტენსიური თამამშრომლობა). ციური ხუჭუას მოწაფეებმა ისევ განგვაცვიფრეს. კიდევ კარგი, რომ დარბაზში იყო ტატო ხარატიშვილი-უამრავი ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდი, რომელმაც საოცრად წაიკითხა ბეჟანის ლექსი, თორემ ვიფიქრებდი, რომ ქალბატონი ციურის მოწაფეები ერთადერთნი არიან მთელს გალაქტიკაში....

არ შეიძლება არ ჩამოვთვალო მოსწავლეების სახელები: ნინი ლეკაშვილი, თათია ვარსიმაშვილი, მარიამ სარდარიანი, ნიკოლოზ მახარობლიძე, ქეთევან ცხვარაძე (IV საჯარო სკოლა), თეკლა ცხვარაძე (IV საჯარო სკოლა), ლიკა ნიკლაური, ციკოლია დანიელი, ნუცა ყოჩიშვილი, ქრსიტინე გაფრინდაშვილი, სანდრო გოგილაშვილი, ანი გოგიბერიძე, ალექო კულიევი, გიორგი ბეიტრიშვილი, ანი კობახიძე, ირაკლი ჯოჯუა, ედუარდ პანიატოვსკი.

მოკლედ, ბევრი, ბევრი რამის თქმა შეიძლება სალამოს შესახებ, მაგრამ ახლა დროა თვით ნიგნზეც და მის ავტორზეც ვისაუბრო.

ქალბატონმა გულნაზიმ სალამოს დაწყებისას მომანოდა მშვენივრად გადმოცემული საშუალო სიდიდის წიგნი, მომწვანო ფერისა. ლიტაზე ბეჟანის სურათია-მაღალი, სიმპატიური ახალგაზრდაა, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი, პერსპექტიული..... რას იფიქრებ, რომ ოცდაათ წელს იცოცხლებს მხოლოდ! (იგი მოკლეს ზვიადისა და საქართველოს მტრებმა, მერე კი უამრავწლიანი ჯოჯოხეთი დაატეხეს თავს ჩვენს სამშობლოს, მოსესა და მისი მიმდევრების მიერ გადალახულ უდაბნოსავით). წიგნის უკან ლიტაზეც სურათია,-სე, მგონი, უნივერსიტეტის ტერიტორიაზეა გადაღებული, ბეჟან ხარატიშვილი და ლევან ბაბუხაძია აღუბეჭდავს ფოტოაპარატს, ალბათ, კურსელებთან ერთად. ვიგრძენი სევდა-სიხარული მარადისობაში გაყინული წამისა. იქვე, უკანა ლიტაზე, მოჩანს ბეჟანის ხელნაწერი, – შესანიშნავი, ოღონდაც სევდიანი ლექსია. ამბობენ, გრძნობდაო, რომ ადრე დაიღუპებოდა, და ეგ ლექსი მეუღლეს მიუძღვნა, რომელიც ძალიან უყვარდაო. უცნაურია და აუხსნელი, რომ ადრენასულ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა გრძნობდა, სიცოცხლეში, თავის ნაადრევ დასასრულს. ეგებ ამითაც აიხსნას მათი სიხარულისა და სევდის განსაკუთრებული სიმკვეთრე-სიდიადე, მათი რჩეული პოეტურობა.

წიგნის ავტორი, ლუარა სორდია, რომელიც ლიდერია ქალ ფილოლოგთა შორის, ღრმად ჩანვდენია ბეჟანის სულს, მის პიროვნებას, მის პოეტურ ხელოვნებას. წიგნში არის შტრიხები პოეტის ცხოვრებისა, ხოლო მისი ხელოვნება მაღალ დონეზეა გაანალიზებული. გაჭირდება უკეთესი წიგნის დაწერა ბეჟან ხარატიშვილის შესახებ. უსაზღვროა ლუარას ერუდიცია-განათლება, მას თითქოს ყველაფერი წაუკითხავს, თითქოს ყველაფერი იცის, და აი, ასეთი „ბაგაჟით,“ ცოდნის ასეთი მარაგით ანალიზებს ადრენასული, მარადახალგაზრდად დარჩენილი პოეტის ხელოვნებას, ამ ხელოვნების თავისებურ, რთულ კოლიზიებს, შეუღწევ ლაბირინთებს. ამკარაა, რომ ჩვენს ლუარას, ჩვენს საამაყო ადამიანს, მართლაც ყველაფერი წაუკითხავს, მათ შორის-ჩემი ნაწერებიც. ეს კარგად ჩანს წიგნში, რამაც ძალიან გამახარა. მე ბეჟანისა და გულნაზის შესახებ არაერთხელ დამინერია. ლუარა სორდიამ ჩემს შრომებზე უკეთესი შრომები დადო ორივე ამ ლეგენდა-პიროვნებასთან დაკავშირებით. მას შეუქმნია, აგრეთვე მონუმენტური პორტრეტები გალაქტიონის, გრანელის, ასევე-რეზო მიშველაძის, ვაჟა ეგრისელისა და სხვათა შესახებ. დიდად მაინტერესებს, როგორ გამოძერწავდა ლუარას კალამი, ვთქვათ ნიკო ფიროსმანი, ჯუმბერ ლეჟავას, მეუფე თადეოზის, კახა ბაციკაძის პორტრეტებს (თუ-ქანდაკეებს) მონუმენტურად. თუმცა ჯუმბერ ლეჟავას შესახებ, მისი შეხედულებანი, დიდწილად ცნობილია...

ორ დეკემბერს ქალბატონ ლუარას გადაეცა პრემია ბეჟან ხარატიშვილის სახელობისა. აქვე ვაღიარებ, რომ ტიტე მოსია და ლუარა სორდია, როგორც ფილოლოგები, როგორც უაღრესად გამოცდილი კადრები, ჩემზე ბევრად მაღლა დგანან, მაგრამ ამის აღიარება ჩემთვის ადვილია, რამეთუ რაგინდ ყველაფერზე ვინვდენდე ხელს, სინამდვილეში მე მაინც მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი პოეტი ვარ, და განსაკუთრებით, სწორედ პოეზიაში მაინტერესებს ლიდერის სტატუსი. პოეზია ხელოვნებაა, ხოლო ფილოლოგია მეცნიერება, რომელიც ლიტერატურას შეისწავლის, მათ შორის პოეზია-პოეტიკასაც. მოკლედ, თუმცა არის გადაკვეთები, მკვეთრი გადაკ-

ვეთებიც, ხელოვნება და მეცნიერება მაინც სხვადასხვა სფეროებია. და მერე რა, რომ ვთქვათ, პოეზია, ასევე-ფილოლოგია, ცდილობს ამ ორი სფეროს, საერთოდაც, ყველაფრის გაერთიანებას, სამყაროს გაერთიანებას.

როგორც ფილოლოგები, ფილოსოფოსები, ტიტე მოსია და ლუარა სორდია განსაკუთრებულ პიროვნებად მიმაჩნია. ამათგან მეორემ უკვე უძღვნა ნიგნი ხარაიშვილთა გვარის ვარსკვლავს (ლეგენდას), ხოლო ამათგან პირველის ნიგნსაც დიდი ინტერესითწავიკითხავდი იგივე თემაზე. ასევე დამაინტერესებდა, იგივე თემაზე, ვთქვათ, დიდებული ნიკო ხერკილაძის თვალთახედვა.

პოეტი მრავალმხრივია და ყოვლის მცოდნე. პოეტი სრულყოფილია. იგი ყველა სახის ლექსში უნდა იყოს ოსტატი და ლირიკის გარდა, ეპიკასაც უნდა ქმნიდეს. პოეზიის გარდა სხვა სფეროებშიც უნდა ერკვეოდეს (თუმცა აქვს უფლება ცხოვრებაში არგარკვევისა). პოეტი უნდა ფლობდეს თავისებურ სულიერ ძალა-ენერგიას, ყოვლისშთანმთქმელს, ყოვლისმომცველს. და თუმცა პოეზია ახალგაზრდათა ხელოვნებაა, სიკვდილ-სიცოცხლის, შავ-თეთრის (და ფერადის) თავისებური, თავისთავადი ხელოვნება, პოეტი მაინც დაუსრულებლად უნდა ვითარდებოდეს, რათა გადასცეს მეთაე ხაზს, მეთაე დონეს. პოეზია სიკვდილისათვის მზადების ხელოვნებაა, ისევე, როგორც იგია ხელოვნება მარადიული სიცოცხლისათვის, განღმერთებისათვის მზადებისა.

მაგრამ ბეჟანი ახალგაზრდა დაილუპა და ბევრი ნაწერი მას არ დარჩა. მისი პოეზია, ასევე-მისი პოეტური პროზა (ვთქვათ-„უსახელო მკვდრები“) ქართული ხელოვნების ოქროს ფონდშია შესატანი, თუმცა ბეჟანს არ დასცალდა, მთელის ძალით, ეპოსში მუშაობა. იგი ლირიკოსად შემოგვრჩა.

ეპიკა ყოვლისმომცველია, და მასში უფრო ჩანს ლირიკა, ვიდრე პირიქით: ლირიკაში-ეპიკა.

მაგრამ გამოცდილ თვალს, პროფესიონალი პოეტისა, საერთოდ, პროფესიონალი მწერლისა, ასევე-პროფესიონალი მკითხველისაც, ლირიკაშიც შეუძლია შეიცნოს სული ეპიკური.

და მე ვხედავ ბეჟანის ლირიკაში მის ეპიკას, მის ეპოსურ, გრანდიოზულ სულს.

ლირიკა-ლექსია

ეპიკა-პოემა (ლირიკული პოემაც კი ეპიკის ნაწილია მაინც).

ჰოდა, ბეჟანის სული მხოლოდ ლექსი არაა, იგი პოემაც არის, დიდი, უსასრულო პოემა უკვდავების შესახებ.

თბილისი. 2016 წელი, დეკემბერი.

P.S. ხარაიშვილთა გვარისა და მისი მონათესავე ხაზების (გვარების) წარმატებები გრძელდება. საღამოს ესწრებოდნენ ქალბატონი გულნაზის შვილიშვილები-გვანცა თამუნა, ნანა. ასევე ბეჟანის და გულნაზ ხარაიშვილის სხვა ნათესავეები, ახლობლები. გვანცა სწორედ ჩემი და კახას გვერდით აღმოჩნდა დარბაზში. ესაა ბრწყინვალე ახალგაზრდა პოეტი, რომელზედაც ადრეც დამინერია რამდენჯერმე. იგი დიდებულიად აგრძელებს ბეჟანისა და გულნაზის მიერ გაკვალულ გზას (გვანცას ჩემს მონაფედაც ვთვლი, ბევრ სხვა ნიჭიერ პიროვნებასთან ერთად). ამ გოგონამ უკვე ბევრ წარმატებას მიაღწია, თუმცა მისი შემოქმედების მწვერვალი-ლექსების ნიგნი „პოეზიის ასი წელიწადი“ ჯერაც არაა დასრულებული. ქალბატონ გულნაზის, აქვე, ღიად ვთხოვ, რომ გვანცა ხარაიშვილის აღნიშნული ნიგნის დასრულების ამბავი, და მისი გამოცემაც, პირად კონტროლზე აიყვანოს, რამეთუ როგორც ჩანს, მისი ჩარევა ყველაფერში საჭიროა....



ლამარა გერგედავა

**წრეხენცყცია დუარა სორდისა ნიგნისა:  
„ბეჟან ხარაიშვილი- ქართული ჰოეზიის მიმინო“**



თავდაპირველად, ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი თავისი უმცროსი ძმის, ბეჟან ხარაიშვილის, პოეზიას ქართველ მკითხველს მოკრძალებით სთავაზობდა. შემდეგ აკინძა, ნიგნად აქცია და შესანიშნავი კრებული, „ხვედრი პოეტო“, გამოსცა, ამით საბურველი ჩამოაცალა წარსულს, ცხოვრებიდან ნაადრევად წასულ ნიჭიერ პოეტს მეორე სიცოცხლე მიანიჭა და ჩვენ, ყველანი, ძარღვიანი ქართული სიტყვის ხიბლს გვაზიარა. ცნობილი ქართველი მწერლისა და მთარგმნელის, ნიკა აგიაშვილის, ერთ-ერთი ნიგნის სათაური მინდა გავიხსენო: „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომელშიც ნაადრევად გარდაცვლილ ხელოვანთა, „მზეგადასულთა“ შესახებაა საუბარი...მარადიულ ჭაბუკად შემორჩება ქართულ პოეზიას ბეჟან ხარაიშვილიც...ამაში წვლილი ცნობილ ქართველ მეცნიერს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სრულ პროფესორს, ქალბატონ ლუარა სორდისა მიუძღვის. მან, მთელი ცხოვრება ქართული სიტყვის, ქართული სულის, ქართული გენის პოპულარიზაციასა და მის კვლევას მიუძღვნა. და ახლაც, ცნობილმა გალაკტიონოლოგმა, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძისა და ტერენტი გრანელის პოეტურ შედეგებზე დაწერილი არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა, პირველმა მიუძღვნა ნიგნი „ჭაბუკობაშივე გარდაცვლილ პოეტს“.

...და ჩვენ თვალწინაა ნიჭიერების, ზეობის, სიკეთის გამოვლენისა და შთამომავლობის წინაშე ვალმოხდის ორი თვალსაჩინო მაგალითი, პოეტისა და მეცნიერისა.

ქალბატონი ლუარა კალამი, როგორც უკვე ვთქვით, არაერთ მიშენელოვან საკითხს შეეხო, მისი ნაფიქრალის ზიარება სულის ზეიმია, ნიგნი: „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“, მკითხველს ორმაგ ღირებულებას სძენს, რადგან ეცნობა პოეზიას, რომელიც სულიერ საზრდოს ან-

ვდის, მასზე დაწერილ ნაშრომს კი, ლიტერატურული წარმოსახვებით, მსოფლიო სივრცეში გაჰყავს. უსაზღვრო ცოდნა იღვრება წიგნის სტრიქონებიდან და საბოლოოდ აღიარებ, რომ ყველაფერი, რასაც კითხულობ, მრავალმხრივი ინტელექტის მაგალითი და სახელმძღვანელოა ყველანაირი ლიტერატურული გემოვნების მკითხველისათვის. პოეტის ცხოვრების სევდიანი გზის მიმოხილვის შემდეგ, მისივე ლექსების ფონზე, უბრალოდ აგვიხსნა, დაგვმოძღვრა, რომ „ხელოვნება, პოეზია, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დანესებული საზღვრების განწვეაა, ზეკაცობა, ღმერთკაცობა, სულის, სიცოცხლის გაღება მაღალი იდეალებისათვის, უდიდესი მსხვერპლი“

...მიუყვები სტრიქონებს და თვალნათლივ გრძნობ, რომ ბეჟან ხარაიშვილი ქართულ პოეზიაში დაკვიდრებული ცნობილი შემოქმედების პატრიოტული ღირსების სულის ნაწილია, როგორც ქალბატონი ლუარა წერს: „პოეტის ინდივიდუალობა ვლინდება სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, ქვეტექსტებით“. მეცნიერი ფილოსოფიურ ასპექტში მიმოიხილავს სიკვდილის თემას, რადგან, როგორც ის გვამცნობს: „ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს, მიღმური სამყაროს, საიდუმლოებების ძიებით, უკვდავებაზე ფიქრით გამოირჩევა“. მართლაც, როდესაც მის ლექსებს კითხულობ, ასე გგონია, თავისი დიდი პოეტური წინაპრის, გიორგი ლეონიძის, სულს ეხმიანება:

**ჩამოჭნებიან ეს ყვავილები,  
ეს ჯამ-ჯიხვებიც დაიცლებიან,  
დაეცემიან მთაში ირმები,  
გულს სურვილები გაეცლებიან,  
ალაზნის ველებს დასცვივათ ოქრო,  
დადნება, რაც მთებს დაჰვერცხლებიათ,  
ვინ იჯადოქროს?  
უკვდავების დღეს  
მხოლოდ ლექსები დაესწრებიან!**

ქალბატონი ლუარას მზერას არ გამოპარვია „ვაჟა-ფშაველას რემინისცენციები ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში“. პოეტს როგორც ქართული კლასიკური პოეზიის გამგრძელებლად წარმოგვიჩინს...

მრავალნახნაგოვანი ასპექტით დანახულ და დამუშავებულ უნიჭიერეს ნაშრომში ვკითხულობთ: „ბეჟან ხარაიშვილი მხატვრული სიტყვის ოსტატია, მის საქვეყნო იდეებს ყოველთვის მორგებული აქვს მიგნებული, შესაფერისი სამოსელი“.

ბეჟან ხარაიშვილის წიგნი „ხვედრი პოეტა“, რომლის პროექტის ავტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი გახლავთ და ქალბატონი ლუარა სორდიას ნაშრომი: „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მხატვრული სიტყვით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ამ ორი წიგნის უერთმანეთოდ წარმოდგენა უკვე შეუძლებელია.

2016 წლის 2 დეკემბერი



ნაილი ხარაიშვილი



### სიცოცხლე გაცრეციდი სიზმრის ფერებად ეძღვნება ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნას

ბავშვობის წლებშიც უსხლტებოდი ყოფას მიწირეს. ბუდეს აგნებდი, აგებულს მკვიდრად, მომღერალ ჩიტის. ღვთაებრივი ოცნებებით შეშლილ ღამეში, ნებვირობდი ძირულას მკერდის ლურჯ სარეცელზე. სიცოცხლის ზღვარის წაშლა გენადა, განთიადისთვის გაქრობა მიჯნის. პირად სიმდიდრედ იმკვიდრებდი, შენახულ სიბრძნეს სანთელას ციხის, რადგან იცოდი ამ ქონების ფასიც და რიდიც. გამორჩეული ნაბრძმედი სიტყვით, თვალეზბატულა, ჭკვიანი ბიჭი, ანთებულ სანთელს მოჰგავდი ფიქრით. ზღვა გაოცებდა, ხელოვანთა ლურჯი ოცნება, რაც სილამაზით გაუმაძღარი, საიდუმლოს მოცულ ბინდებით, ქალურ ბუნების უხმო ალერსით, სულს

უფსკრულებს აძლევდა შვებას.

დრო, ტრიალებდა... ფეხდაფეხ სდევდი, გადაბურულ ქაოსის კვამლში. ზღაპრულ ლექსებს, სათესლე მარცვლებს, მაღლიან ხნულებს ანდობდი მხოლოდ, რათა გეპოვნა ღვთის ნათლის კვალი, რომ ბრძენ რითმათა აღმოცენებით გადაგეხადა, მამულის ვალი. შენი ლექსები, ვითარ თავთუხი. ზოგჯერ ნამჯაშიც გადახლართული, იმედით უყურებდა ადამიანებს, ეხმარებოდა ჟამის განსჯაშიც. ხშირად, კვილი გაფხიზლებდა ქართული მიწის. გიკვირდა, ამ დროს, მდინარენი კალაპოტებს რომ ნებდებოდნენ და მოძრაობდნენ ბაგისმიერ სუნთქვადი რიტმით. სევდიან ღამეს ბრძენი სტროფები ჟამზე სწრაფი და ცაზე მაღალნიც, ჩამოჰბანდნენ მწუხარიან თვალებს.

შენს ცხოვრებას, დაწყობილს წლებად, გულში ჩადებულ ზრახვებს, დაფარულს, აპრილის მტვერით, ხედავდა დიდად, და კარის მიღმა ატუზული, დიდება იდგა! – უდაბნოსავით მონყურებული, შეუმჩნეველი თმენით გიცდიდა.

უკვდავებაში ნალეკილი ლექსთქარავანი, სიყვარულის სულისკვეთება, უმანკოების წმინდა მარცვალი, თუნდაც გასრისონ! – აღმოცენდება! და გაელეება კარი აღსავლის!



მირანდა ხვედელიძე



### ჩემი სიცოცხლის და ცხოვრების ელექსირი

დღეს 23 ნოემბერია – “წმინდა გიორგის ბრწყინვალე დღესასწაული“. დღევანდელი დღის მაღლი ფარავდეს და დაიცვას ყველა გიორგი და სრულიად საქართველო. დაიცვას და დაიფაროს ყველა ვისაც ჯამრთელობა უჭირს, საერთოდ ყველა გაჭირვებული და უძლურებაში მყოფ ადამიანს შეენიოს მისი ძალა და მაღლი.

მირანდა, ჩემო საყვარელო, ძვირფასო და ჩემი ცხოვრების აზრო, მოდი, ეხლა მე და შენ საუბრის თემა შევცვალოთ, აღარ მინდა შენი ისედაც დამძიმებული სული კიდევ უფრო მეტად შევანუხო. ნურავის გაუკვირდება ამ წერილის ასეთი სათაური-დიახ, ნამდვილად შენ იყავი „ჩემი სიცოცხლის და ცხოვრების ელექსირი-უკვდავების ნამალი“. ეხლაც ვგრძნობ თუ რო-

გორ მეხმარება შენი სული ყოველთვის.

საკმარისია შენს სურათს შევხედო და მე თითქოს დიდი ლოდი მცილდება მხრებიდან. სულ რამოდენიმე დღის წინ, საავადმყოფოს კედლებში გამომწყვდეულმა, ვახსენე უფალი დიდი და ვსთხოვე, რომ დამხმარებოდა შენთან გამომგზავრებაში, მაგრამ არა, შენი თვალები სურათიდან თითქოს მეკამათებოდა... არა, ჯერ არა, მე შენ მანდ მჭირდები, დარჩი მანდ ჩემს სანუგეშოდ, მოეფერე ყველა ჩემს მეგობარს, ახლობელს, ჩემს დაიკოებს, ჩემს გაუბედურებულ დედიკოს. შენ კიდევ ბევრის გაკრთება გევალება და უნდა შეასრულო შენს მიერ აღებული ყველა ვალდებულება, შეასრულო უნაკლოდ და ისე, როგორც ეს შენ შეგეფერება, გამანებივრე ისევ შენი კალმით, დამინერე კიდევ უამრავი ლექსი, როგორც არუნდა იყვეს ის, ლამაზი და კარგი.



რამდენიმე წუტის მზერის შემდეგ თითქოს სურათიდან გამირიმე და მითხარი-მე ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები, მაგრამ მანდ დარჩი სადაც ხარ, ჩემმა მამა ღმერთმა იცის, თუ როდის უნდა მოგკიდოს ხელი და აქ ჩემტან ცათა სასუფეველში ამოგაფრინოს. ნუ ტირი, ცრემლიანი თვალებით ნუ მიყურებ, გამიღიმე და სიცილით მესაუბრე.

ჩემო მირანდა, ვცდილობ, რომ როგორმე ცრემლის გარეშე გიყურო და გესაუბრო, მაგრამ და-

ლიან, ძალიან მიჭირს, ვერ ვერევი ჩემს თავს. ჩემო პატარა ანგელოზო, გპირდები, რომ არ მოგაკლებ ლამაზ ლექსებს, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის რითმაში გამართული ლექსი, რა ვქნა, მე ხომ პოეტი არ ვარ და არც არასოდეს დავიბრალებ ამ ღირსეულ წოდებას. მე ჩემს დარდს, სიხარულს და სიყვარულს ვცდილობ ლექსად გადმოვცე.

ჩემო საყვარელო მირანდა, ვიცი მანდ, ზეცაში უამრავი ლამაზი და კეთილი ანგელოზი გახვევია თავს, უამრავი ღირსეული პიროვნება გაიცანი და ეხლა მათ გარემოცვაში იმყოფები. დარწმუნებული ვარ ბეჟანი (ხარაიშვილი) ბაბუა უამრავი ლამაზი ლექსებით განებივრებს მანდ, გელა ბიძიამაც ჩაგიხუტა გულში და გეფერება, რომელიც უკვე თვითონაც ბაბუა (პაპა) გახდა. ცათა ბინადართ გთხოვთ ილოცოთ მაგედან სრულიად საქართველოს გამთლიანებისათვის და ყველა თქვენი საყვარელი პიროვნებისათვის.

ვუყურებ შენს სურათს ეხლა ჩემო სიცოცხლე და თითქოს ვგრძნობ შენს ფუმფულა ხელებს, როგორ მეფერება და მიკრავს გულში, ვგრძნობ შენს შენელებულ სუნთქვას და ფაქიზ სულს. თითქოს გულიდან ამომძახე... „ ჩემო ბებიკო“.

მ-ინდა იცოდე ჩემო ბებიკო,  
 ი-ქ ლურჯ ზეცაში მე ფრთა გავშაღე,  
 რ-ა დავაშავე მე ბედდთან ნეტავ,  
 ა-მომავალი მზე რომ წავშაღე,  
 ნ-ეტავ გესმოდეს ჩემი სიმღერა,  
 ღ-ა ჩემი ლოცვა გფარავდეს მუდამ,  
 ა-რ დამივინყებთ ვიცი არასდროს,  
 ნ-მინდა ცხოვრება მე მანდედ მსურდა,  
 ი-ცით?.. მიყვარხართ ყველა ძალიან...  
 კ-ვლავ კენესის ალბად დუდუკი ტკბილი,  
 ღ-ამაზად მინდა გამოვიპრანჭო,  
 ა-ვმღერდე ისევ, დაგიფრთხოთ ძილი,

უ-სასრულო და უღრუბლო ციდან.  
 რ-ოგორც ვმღეროდი აქაც ვმღერივარ,  
 ი-სევ თქვენთან ვარ ჩემო ბიჭებო,  
 ს-ასწაულს ვახდენ, ბედის მტერი ვარ,  
 ხ-ომ ისევ გახსოვთ ჩემი სიმღერა,  
 ს-ად არის დო;ო, დუდუკი თუნდაც,  
 ო-ჰ, როგორ მინდა , რომ მოგეფეროთ,  
 ვ-იყო თქვენთან და თუნდ ვიყო ცუდად,  
 ნ-აზად გიმღეროთ, გაგანებივროთ,  
 ა-მომავალ მზეს შევხედოთ ერთად,  
 ს-ადაც არუნდა ნახვიდეთ, გნამდეთ...  
 ისევ თქვენთან ვარ! მე თქვენთან ერთად!

შენი საყვარელი, ბედკრული ბებო



შენი სული ქსოვრელებთან ტრიალებს, ჩემო მირანდა, იქნებ ხმის ტემპრით ეხმარები ზეციდან





ბახვა სამხარაძე



**ჩვენი გოგია**  
(ფუძლენი გოგია გველესიანის ხსოვნას)

სოფელში გვყავდა მეზობელი სახელად გოგია. თერთმეტი წლის ყოფილა მეზობლის ეზოში ღობიდან გადამძვრალა, ქარის მიერ ჩამოყრილი კაკლები აუკრეფავს, უბე აუვსია და ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყო, მისკენ მიმავალი კაკლის პატრონი შეუნიშნავს.

კაკლის პატრონს სოფელში, მკაცრი და დაუნდობელი მოხუცის სახელი ჰქონია გავარდნილი. მისი შიში განსაკუთრებით ბავშვებს ჰქონდათ, მის ეზოსთან მიახლოებასაც კი ერიდებოდნენ.

მოხუცის დანახვაზე, გოგიას უბიდან კაკლები მიწაზე დაუყრია, ღობისკენ გაქცეულა, ახტომის მცდელობისას ღობის სარის მოტეხილი ნაწილი ხელში შერჩენია და თვითონ უკან მოხუცის ეზოში ჩავარდნილა.

გოგიას მოახლოებული მოხუცის შიშით გული შეჰღონებია და სიკვდილისგან ძლივს გადურჩენიათ. მოგვიანებით მეტყველება დაბრუნებია, მაგრამ შიშით გამონვეულ ელდას პატარა გოგია მთელი ცხოვრება ინვალიდად დაუტოვებია. გოგია სკოლას ველარ დაბრუნებია, მაგრამ უფროსი დების დახმარებით, საფუძვლიანი ცოდნა სახლის პირობებში მიუღია.

ზრდასრული გოგია მეცნიერებითაც დაინტერესებულა, უნიკალური ნიჭის ფენომენალური მეხსიერებისა და მონდომების წყალობით, მრავალმხრივ განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბებულა.

გოგია იყო ღრმად მორწმუნე. კარგად ჩახედული ქრისტიანულ-მართმადიდებლურ რელიგიის კომფესიის სიღრმეებში. მიუხედავად იმდროინდელი ტოტალური ათეისტური ცხოვრების წესისა, გოგიას გადაკითხული ჰქონდა და საკმაოდ კარგად ერკვეოდა ძველ და ახალ აღთქმათა სულიერების სიღრმეებში. ასევე კარგად ერკვეოდა მოციქულთა და ასირელ ბერთა მიერ ქართველთა მართმადიდებლურ ქრისტიანობაზე მოქცევისა და ქრისტიანული სულიერების აღორძინების ღვანლის შესახებ.

გოგია თავისუფლად შეეძლო გამოეთვალა წარსული და მომავალი სადღესასწაულო რელიგიური და მიცვალებულთა მოსახსენიებელ დღეთა თარიღები.

თანასოფლელებისათვის ის ცოცხალ რელიგიურ კალენდარსაც წარმოადგენდა.

გოგიამ იცოდა სოფლისა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრების ადგილმდებარეობა და ეროვნულ-ისტორიული ღირებულებები.

იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე და თაყვანისმცემელი. ზეპირად იცოდა გამოჩენილ ქართველ პოეტთა და მწერალთა ლექსები და თხზულებები. თვითონ სთხზავდა და ზეპირად იმახსოვრებდა თანასოფლელებზე შეთხზულ ლექსებსა და კაფიებს. კარგად იყო დაუფლებული მატემატიკას.

საკმარისი იყო მცირე ხნით ცაში ახედვა, რომ ზუსტი პასუხი გაეცა ნებისმიერი სირთულის მათემატიკური ამოცანისთვის.

გეოგრაფია მისი უპირველესი ჰობი იყო. შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერი მეტ-ნაკლებად ცნობილ ადგილმდებარეობის მყისიერი მონახვა რუქაზე და კომპუტენტური აზრის გამოთქმა მასზე.

ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა საგნებთან, ბუნებასთან და ადამიანებთან.

ადამიანებში ავტორიტეტებს არ ცნობდა, მისთვის ყველა ადამიანი ერთნაირი იყო.

ცხოველებს ადამიანებივით ეპყრობოდა. ისინიც ცირკში განრთვნილებივით ასრულებდნენ მის მოთხოვნებს.

სოფლის ყველაზე ავი ძაღლებიც კი მის დანახვაზე ყეფას სწყევტდნენ, წკმუტუნითა და კუდის ქიცინით ფეხებში უვარდებოდნენ და მოფერებას ითხოვდნენ მისგან.

გამორჩეულად უყვარდა ბავშვები. დაუზარელად პასუხობდა მათ ცნობისმოყვარეობით გაჩენილ ყველა კითხვას. აცნობდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და განვითარებაში მოღვაწე წმინდა მამების ბიოგრაფიას, მათ მონამებრივ ღვაწლს ქართული ეკლესიის აღორძინებაში.

უნერგავდა სამშობლოსა და ეკლესიის სიყვარულს, ბავშვებსაც არასდროს სწყინდებოდათ მასთან ურთიერთობა და ახლოს ყოფნა.

სიყვარული და განსაკუთრებული რიდი ჰქონდა დედის მიმართ. მის სურვილებსა და დავალებას დაუყოვნებლივ ასრულებდა. დედის კურთხევის გარეშე წყალსაც არ მიირთმევდა.

ღვინო უყვარდა, მაგრამ ზომიერად. იცოდა კარგი ღვინის ყადრი და თუ მოენონებოდა ქებას არ დაიშურებდა.

ბოლო წლებში მარტო დარჩა ცხონებული, მისი შემწე და პატრონი სოფელი შეიქმნა.

მე და ჩემი მეუღლე სოფელში ჩასვლისთანავე მოვიკითხავდით, სახლში ვპატრონობდით და მასპინძლობას ვუწევდით. მისი არისტოკრატიული მანერები, რბილი, სასიამოვნო ხმის ტემბრით წარმოთქმული სადღეგრძელოები და დინჯი აზრიანი საუბრის მოსმენა დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა.

მთელ სოფელს უყვარდა და მასაც უყვარდა მთელი სოფელი.

ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა ისე, რომ სოფელი ერთი დღითაც არ დაუტოვებია.

ვალმოხდილი, უპრეტენზიოდ გავიდა ამ სოფლიდან ცხონებული.

მთელმა სოფელმა დაიტირა და გლოვით გააცილა სამუდამო სასუფეველში.

წავიდა ბედის უკუღმართობით დაჩაგრული ადამიანური ცოდვებისაგან განწმენდილი და დასუფთავებული, ჩვენ სოფელში ციდან მოვლენილი, გაცხადებული ანგელოზი, სოფლის განუმეორებელი კოლორიტი, ჩვენი გოგია და თან წაიღო ჩემი და ჩემი თანასოფლელების წარსულის ტკბილი-მწარე მოგონებები.

უფალო აცხოვნე და შეინყალე ჩვენი გოგიას ნათელი სული!

**შიო მღვიმეს მონასტერი  
2015 წლის შობის მარხვა.**

## არშემღვარი ბრძოლა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის, ქალაქ ფსკოვის სადესანტო-საპარაშუტო დივიზიაში შემავალ, პოლკ „N: 32515-ში, სადაც მე ვმსახურობდი, საბრძოლო განგაში გამოცხადდა.

პოლკის მთელი შემადგენლობა სასწრაფოდ გადაგვიყვანეს ქალაქის გარეუბანში არსებულ სამხედრო აეროდრომზე. ჩამოგვირიგეს პარაშუტები, გაგვანანილეს თვითმფრინავებში და ავფრინდით ჰაერში. რამოდენიმე საათის ფრენის შემდეგ, მოვახდინეთ პარაშუტით დაშვება.

მინაზე დაშვებისთანავე, შეგვკრიბეს და განგვიცხადეს: ვიმყოფებით უნგრეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე!

ჩვენი ამოცანაა გათენებისთანავე შევიდეთ ქალაქში და იქ მეტრძოლ საბჭოთა მეომრებთან ერთად ჩავებათ საბრძოლო მოქმედებაში. გაგვაფრთხილეს, რომ ბრძოლა გვექნება დაუნდობელ მონინალმდეგებთან. სეპარატისტები და მათი მხარდამჭერები კაპიტალისტური სამყაროს ძალები, სასტიკად უსწორდებოდნენ და ცოცხლად ატყვევებდნენ და სწავდნენ მათთვის მიუღებელ ადამიანებს, უნგრეთის პატრიოტებს. სიკვდილით სჯიდნენ უნგრეთში მოღვაწე საბჭოთა ოფიცრებს და მათი ოჯახის წევრებს. აუპატიურებდნენ მათ ცოლებს და ქალიშვილებს, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. ანადგურებდნენ საბჭოთა და უნგრელი ხალხის ძმობისა და მეგობრობის გამომხატველ სიმბოლოებსა და ხელოვნების ნიმუშებს. გვინერგავდნენ რომ ჩვენ ვასრულებდით ინტერნაციონალურ მისიას, მოძმე უნგრელი ხალხის წინაშე. ვეხმარებოდით მათ ამ ძნელბედობის ჟამს, რესპუბლიკის გადარჩენის საქმეში. განსაკუთრებით უსვავდნენ ხაზს, რომ უმაღლესმა სარდლობამ ჩვენს „ნითელდროშოვან პოლკს“ გამოუცხადა ნდობა ამ საპატიო მისიის შესასრულებლად და ჩვენ ვალდებულები ვართ გავამართლოთ ეს ნდობა. მთელი ოფიცერთა შემადგენლობა, განსაკუთრებით პოლიტ ხელმძღვანელობა, რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით ცდილობდნენ წარმოედგინათ იქ მიმდინარე მოვლენები, რათა დავერწმუნებინეთ მოწოდებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში გაელვიძებინათ ზიზღი „მტრის“ მიმართ.

ასეთმა იდეოლოგიურმა დამუშავებამ სასურველი შედეგი გამოიღო.

მთელი საბრძოლო შემადგენლობა მოუთმენლად ველოდებოდით გათენებას. ერთი სული გვეკონდა როდის შევიდოდით ქალაქში და ჩავებმებოდით ბრძოლაში, რომ თავი გამოგვეჩინა სეპარატისტებსა და მათი დამხმარე „ბნელი“ ძალების გასანეიტრალებლად. იქ მომსახურე საბჭოთა მოქალაქეების გადასარჩენათ. ასეთი განწყობით დამუხტულები, ბრძოლისთვის სრულ მზადყოფნაში წუთი წუთზე ველოდებოდით ბრძანებას ქალაქში შესასვლელად და ოპერაციის დასაწყებათ, რომ მოულოდნელად ბრძანება გაიცა პოლკი საბრძოლო მდგომარეობიდან გადასულიყო სარეზერვო მდგომარეობაში, და დალოდებოდა მორიგ ბრძანებას. პოლკის საბრძოლო შემადგენლობა რომლებსაც უნდოდათ თავი გამოეჩინათ საბჭოთა მოქალაქეების და უნგრელი პატრიოტების გადარჩენაში საპნის ბუშტივით გასკდა. ჯარში ბრძანებას კანონის ძალა აქვს. საომარი მოქმედებების დროს კი კანონზე მალლა დგება და პოლკის პირადი შემადგენლობაც ვალდებული იყო ბრძანებას უსიტყვოდ დამორჩილებოდა. თუმცა განუელი აგიტ-დამუშავების შედეგად ჟინით აყტიკინებული ჯარისკაცები და ოფიცრები უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ. ამკარად გამობატავდნენ უკმაყოფილებას. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ჩვენი პოლკის მეთაურ გენერალ პეტროვს, პარაშუტით მიწაზე დაშვებისას ფეხი სერიოზულად დაუზიანებია და სანიტარულ ნაწილში მოუთავსებიათ. ჩვენი პოლკის შესაცვლელად მოსკოვიდან გამოუწვევიათ პოლკი, რომელიც მანამდე ჩვენს რეზერვად იყო განწესებული და დისლოკაციის ადგილზე საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა. აღნიშნული პოლკის მეომრებმა, უნგრეთში მყოფ საბჭოთა საოკუპაციო ჯართან ერთად. ბუდაპეშტის ქუჩებში სისხლის გუბებები დააყენეს. დაუნდობლად გაუსწორდნენ დამარცხებულ უნგრელ პატრიოტებს და მათ უცხოელ მხარდამჭერებს. ტანკებითა და ჯავშანტექნიკით ანადგურებდნენ ბუდაპეშტის ქუჩებში გამოსულ პატრიოტებსა და მათ მხარდამჭერ მოქალაქეებს. ათასობით პატრიოტი იქნა დახვრეტილი, ათიათასობით ციხეში გამოამწყვდიეს. პატრიოტთა თანაგრძნობისთვის, რომელთაც წამოყენებული ჰქონდათ ორი ძირითადი მოთხოვნა: 1) უნგრეთი გამიჯნულიყო ვარშავის ხელშეკრულებას, 2) საბჭოთა ჯარს უპირობოდ დაეტოვებინათ უნგრეთის ტერიტორია. მაშინდელი უნგრეთის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი „იმრე რადი“ სიკვდილით იქნა დასჯილი.

საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფი და რეალურ სიტუაციაში გაურკვეველი, მაშინ მეც სულით და გულით ვუთანაგრძნობდი და კეთილი შურით მშურდა იმ ჯარისკაცების, ვისაც ბრძოლა მოუწია იმ სასტიკ ოპერაციაში და „პირნათლად“ მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. მტკივნეულად განვიცდიდი, რომ მე ამის საშუალება არ მომეცა.

ამის საშუალება რომ მომცემოდა, მეც ალბათ იგივეს მოვიმოქმედებდი, რაც ჩვენი შემცვლელი პოლკის მებრძოლებმა ჩაიდინეს. იმ შეგრძნებით, რომ ბრძოლა მქონდა არა სამშობლოს პატრიოტებთან არამედ სეპარატისტებსა და მათ მხარდამჭერ ჩემი სამშობლოს მტრებთან.

ამ გადმოსახედიდან ვგრძნობ, რომ უფალმა არ გამწირა, არ დაუშვა იმ ძმათა მკვლელ ომში ჩემი მონაწილეობა.

ასე დასრულდა ჩემი საომარი ეპოპეა უნგრეთის 1956 წლის ცნობილი აჯანყების დროს.

მადლობა და ათასგზის მადლობა უფალს, რომ ამარიდა და გადამარჩინა მომაკვდინებელი ცოდვით დამძიმებას!



გვანცა ხარაიშვილი



შემოდგომის დღიური

გზა ვინროა და ნიაღვრებისგან დაჩეხილი. გუშინ მითხრეს, რომ აქ ზაფხულიც ისეთივე ცივი იცის, როგორც შემოდგომა. მთელი დღეები წვრილად წვიმს, სალამოობით კი ძლიერად წამოუშენს ხოლმე. დაბაში ორი ათასამდე ოჯახიც კი არ ცხოვრობს. ჩაკეტილი და ამინდივით მოლუშული ხალხია. მაღაზიის მოლარე ხურდას სიმინდის მარცვლებივით ყრის დახლზე და დამშვიდობებისას სასიამოვნო დღეს არავის უსურვებს. ვხვდები, აქ რომ უცხო ს შემთხვევით გაუვლიმო, მას ნამდვილად გიჟი ვეგონები. იქნებ, ვარ კიდევ, ან იქნებ, ვიყავი.

პირველი შეხვედრა სკოლის ბიბლიოთეკაში მოეწყო. ოდნავ ამაღლებულ სცენაზე ხუთი სკამი დადგეს და მე შუაში დამაჯინეს. ჩემგან მარჯვნივ ორი გამომცემელი, მარცხნივ კი მთარგმნელი და თარჯიმანი დასხდნენ. აუდიტორიას ასიოდე ახალგაზრდა და ორიოდე შუა ხნის ქალი შეადგენდა. ისინი კითხვის დასმისას უცნაურ, ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემდნენ, ყელის ძარღვები კი ისე ებერებოდათ, ვენების ლურჯ ხაზებს შორიდანაც ვარჩევდი. საათ ნახევარში ყველას მთქნარება აუტყდა და სალამო დაიხურა. გამცილებელმა მყუდროფარდებიან სასტუმროს კართად დამტოვა. ორი წუთი გაუნძრევლად ვიდექი პარმალთან. მერე სანვიმარზე დარჩენილი უკანასკნელი წვეთები ჩამოვიფერთხე და შიგნით შევედი.

ძილში საბანი გადამეხადა და ფეხებში გამჯდარი სიცივე მაღვიძებს. გათენებულა. სამგზავრო ჩანთაში თბილი მოსაცმლის ძებნისას ხელში ის კონვერტი მხვდება, რომლის გამოც ამ ტურნეს დავთანხმდი. წერილი მოკლეა და თითქოს, არაფრისმთქმელი. სიტყვები ბოლო აზნაცამდე მაღავენ ღია მარცვლებში შეკუჭულ საზარელ სიმართლეს, რომელიც ამავედროულად, საოცარიცაა. წერილს ხელს კოლეჯის მოსწავლე გოგონა აწერს, რომელმაც ბოლო კურსზე თვითმკვლელობა რამდენჯერმე სცადა. ამ წინადადებაში სიტყვა „სცადა“, „თვითმკვლელობაზე“ მეტად მაშინებს. მაშინებს ამ პატარა, სულელი გოგოს ამბავიც, რომელიც სუიციდის მცდელობებისა და თვეების რეაბილიტაციის შემდეგ რეალურ ცხოვრებას ლეას წიგნების საშუალებით დაუბრუნდა. მაღლიერი გოგონა მწერს, რომ ბოლო რომანმა მასში განსაკუთრებული გარდატეხა მოახდინა და მთხვეს დავთანხმდე ტურნეს, რომლის საშუალებითაც ლეას უფრო მეტი მკითხველი გაიცნობს. მას გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ჩემი საშუალებით ლეა სხვა ადამიანების ცხოვრებასაც შეცვლის.

საუზმეზე მეძახიან. ფანჯარასთან მდგომ მაგიდას ვირჩევ. ჩაის, ყველიან ბუტერბროდებს და მოცვის ღვეზელებს აუჩქარებლად შევექცევი. ბოლო საჯარო შეხვედრაც და ერთი კვირით შემდეგ ქალაქში გადავბარგდები.

– რას ფიქრობდა ის ბავშვებზე, შვილის ყოლა აზრად არასდროს მოგსვლიათ?

ლეას არ უნდოდა ბავშვები. ეცოდებოდა დედის შიშებსა და ტკივილებში გამომწყვდეული არსება, რომლისგანაც დაბადებიდანვე ყველა რაღაც განსაკუთრებულს მოელის. მაინც, ორი ზომით დიდ კაბებს ყიდულობდა ყოველთვის. უკორსეტო, განიერ, ფრიალა კაბებს. ზოგჯერ მუცელზე ხელებს დაინყობდა და გაირინდებოდა. ერთხელ ვახშმობისას გამომიტყდა, ველაპარაკები ხოლმეო. დაბადება არ უნდა, ასე უკეთ არისო. მე არაფერს ვამბობდი.

ქალაქ ს.-ში საუცხოოდ დამხვდნენ. ჯერ ავტოგრაფები დავარიგე, შემდეგ კი უახლოეს სასტუმროში დავბინავდი. დღეს, წიგნებთან ერთად, ჩვენი ფოტოების გამოფენაც ეწყობა. ლეა ყველა ფოტოზე იღიმის. სახის ეს ნათება ეკუთვნის არავის – არც ფოტოგრაფს, არც მე, არც რომელიმე ფეხით მოსიარულეს პარკში. დამთვალეიერებლები ჩერდებიან საოჯახო ალბომის ექსპონატებთან და ყველა დეტალს გულმოდგინედ აკვირდებიან. როგორ ზის, რა აცვია, სახეზე რამდენი ნაოჭი აქვს, რა ფირმის ჩანთა აქვს მხარზე გადაკიდებული, სად დგას, რომელი წელია. მე ყველა კითხვას ვპასუხობ და ამ პასუხებთან ერთად ლეა ჩემიდან საგამოფენო სივრცეში გადმოდის, ცარიელ კუთხეებს ავსებს. მე ნელ-ნელა ვპატარავდები, ვჩიავდები.

– რა იყო მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი?

ამ ფოტოზე ახალ სანერ მაგიდასთან ზის. ყოველ შებრუნებაზე თმა სკამის საზურგეზე ეწინკნება, მაგრამ ვერ გრძნობს. გამომცემლობამ პირველი რომანი უკან დაუბრუნა. განადგურებულია. წინა დღეს საქორწინო ბეჭდის დაგირავება მოგვინია, ქირას ვერ ვიხდიდით. ლეას არ სწყენია. უბრალოდ, მთელი საღამო ჩაის სვავდა და ლიმნის ნაჭრებს წუნნიდა. ამბობდა ხოლმე, ეს ბეჭედი თითში შემეზარდა, არ მიყვარსო, თუმცა მე ვამჩნევდი, რომ მოსწონდა დილაობით მისი ყურება. ჯერ ხელზე დაიხედავდა, მერე ფანჯრის იქეთ გადაშლილ უღიმღამო ხედს აკვირდებოდა. მიყვარდა ღამეები, რომლებსაც არ ათენებდა. ამ დროს გულზე მადებდა თავს, ხელებს ზურგს უკან იწყობდა და ფეხებს-ფეხებზე მალაგებდა. მე ვუყვებოდი გამოგონილ ზღაპრებს ჩვენზე, რადგან წერა არასდროს მეხერხებოდა. მას მაინც ვუყვარდი. ასეთი არამწერლური, ასეთი არაპოეტური.

დაზამთრდა. სახლიდან ასე შორს პირველად მივდივარ. გზა დამღლელი, ცივი და ერთფეროვანია. ლეას ბოლო რომანი გაორმაგებული ტირაჟით დაიბეჭდა. იმატა თაყვანისმცემლების წერილებმაც. როგორღაც, მათ ყოველთვის იციან სად ვარ და მუდამ მწვდებიან თავიანთი თეთრი, გამჭვირვალე ხელებით.

ლიტერატურულ საღამოს კულტურის ცენტრი მასპინძლობს. ქალაქის გამოჩენილი კრიტიკოსები თავდაჯარებით არჩევენ რომანების სიუჟეტებს, სააშკარაოზე გამოაქვთ პერსონაჟების დამალული მოტივები, აშიშვლებენ ავტორის ფარულ ვნებებს, გამოთქვავენ ვარაუდებს მისი პოლიტიკური ან სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ჩემი პიროვნება აქ არავის აინტერესებს. ყველაფერი ლეას ირგვლივ ტრიალებს და ყველაფერი ლეასია ისევე, როგორც ჩემს ცხოვრებაში.


– როგორი იყო მისი უკანასკნელი დღეები, რაზე ფიქრობდა, რამეზე თუ გესაუბრებოდათ?

ლეა ბოლოს სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ვნახე. ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო სევდიანი და ბევრად უფრო ლამაზი იყო. მე მისი ბოლო რომანის კითხვას ვამთავრებდი, ის კი ფანჯრიდან ხეებზე შერჩენილ ფოთლებს ითვლიდა და რვეულში რაღაცებს ინიშნავდა. ვკითხე რას აკეთებ მეთქი და შემოდგომის დღიურს ვანარმოებო.

– შენ რა იცი შემოდგომას რა უნდა? – სიცილით ვკითხე ლეას.

– ვიცი, – მიპასუხა და წერა განაგრძო.

ორი კვირის შემდეგ გავიგე, რომ მართლა იცოდა.



## ბას საუბრებზე ჟურნალ „ათინათზე“



სერგი ლომაძე



### ჟურნალი „ათინათი“ უკვე ხუთი წლისა!..

ორი ათას ათ წელს გულნაზ ხარაიშვილმა დაასრულა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის ფორმირება, და მის გაძლიერებაზე დაიწყო ფიქრი. იმავე წელს გაუჩნდა, მას, აკადემიისათვის ჟურნალ „ათინათის“ შექმნის იდეა. ორი ათას თერთმეტში გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი, როგორც პირველი რეალური გამარჯვება. ორი ათას თორმეტიდან კი დაიწყო აკადემიისა და ჟურნალის საერთო აღზევება.

წელს, ჩვიდმეტ ოქტომბერს, აღვნიშნეთ ხუთი წლის იუბილე ჩვენი ჟურნალისა, ხოლო ამ იუბილემ, საბოლოოდ, დღესასწაულის სახე მიიღო. მას ესწრებოდა მწერალთა კავშირის ექვსი თანათავმჯდომარიდან სამი – რევაზ (რეზო) მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, სოსო სიგუა, პრეზიდენტში იყო ბატონი რეზოს ძმაც, ასევე –

ნიკო ხერკელაძე, გელა ლარიაშვილი, ტიტე მოსია, კახა ბაციკაძე და მე. რაც შეეხება ჩვენს ძვირფას გულნაზს, იგი წამყვანი გახლდათ საღამო-იუბილისა, იგი იყო ღირსი იმდღევანდელი ზემისა.




ლონისძიებს სხვადასხვა ასაკის ადამიანები ესწრებოდნენ, ასე რომ, აქ ყველა თაობა იყო წარმოდგენილი, ცოცხალი კლასიკოსებიდან დაწყებული, სკოლის მოწაფეებით დასრულებული. გამახარა ერთმა ამბავმა: როცა მე და კახა საჯარო ბილიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შევედით, ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ტაშით შეგვეგება. მე მგონი, ისინი პოეტ ლამზირა შეყი-

ლაძის მიერ იყვნენ წაქეზებულნი – თბილად შეხვდით „ზღვარის“ წევრებსო, რადგანაც ასეთი რამეები, ძირითადად – სწორედ ლამზირას ინიციატივით, ადრეც მომხდარა. კახა ღირსია ამისა. მას ორი ათას ცამეტი – ორი ათას თოთხმეტი წლებიდან მოყოლებული, ძალიან ხშირად ვუწოდებ ხელოვნების ჩემპიონს (ორიათასთოთხმეტში დაასრულა მისი ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება), ხოლო მე რაც შემეხება, კაცნი ვართ და აპლოდისმენტებზე უარი არც მე მითქვამს.

სალამოც მევე გავხსენი. მოკლედ მიმოვიხილე ჟურნალი, შემდეგ კი ქალბატონ გულნაზს გადავეცი სიტყვაც და წამყვანის პოსტიც.

ერთ-ერთმა ორატორმა, იმ დღეს, მშვენიერი ფორმულა ჩამოაყალიბა: ჟურნალი „ათინათი“, ეს არის თვითმწიგუნაზ ხარაიშვილი, ხოლო გულნაზ ხარაიშვილი, ეს თვითონ „ათინათიაო“. ჭეშმარიტად ასეა. ვიტყოდი მეტს – მთელი ჩვენი აკადემია და ქალბატონი გულნაზი ზუსტად ასევე შეიძლება გავუიგივოთ ერთმანეთს. ეს ცუდიცაა და კარგიც. კარგი იმიტომ, რომ ჩვენი ლიდერის სიძლიერეზე მიუთითებს, ცუდი კი იმიტომ,



რომ ოდესმე, ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როცა გახდება საჭირო მისი შემცვლელის მოძებნა, არავინ მეგულება, ვინც მისდარად გაუძღვება აკადემიას და ჟურნალს, თვით მის ნათესავეებშიაც კი არ ვიცი, (იმ მშვენიერ, ენერგიულ ახალგაზრდებს ვგულისხმობ, ხშირად რომ უდგანან გვერდში), გასწევს თუ არა ვინმე გულნაზობას, ღირსეულად უმეთაურებს თუ არა მისი საქმის გაგრძელების პროცესს.

რალა თქმა უნდა, ქალბატონ გულნაზს არ გასჭირვებია სალამოს წამყვანის ტვირთის ზიდვა. მან პირველივე ჯერზე სიტყვა გადასცა ბატონ რეზოს. შემდეგ ბევრი სხვაც გამოიყვანა მსმენელთა წინაშე, მათ შორის: ყველასგან აღიარებული მაყვალა გონაშვილი, სოსო სიგუა, ნიკო ხერკელაძე, დავით ტიგინაშვილი (რომელმაც თავისებურ სტილში წაიკითხა ვრცელი ლექსი), ტატო ხარატიშვილი (რომელსაც ჩვენმა აკადემიამ რეკომენდაცია გაუწია მწერალთა კავშირის წევრად მიღებაზე, ხოლო თუ ეს მოხდა, ტატო იქნება ყველაზე ახალგაზრდა კავშირელი) და სხვანი. სპეცი-ალურად უნდა აღვნიშნო, რომ შემოდგომის იმ დღეს კავშირში გაანევირინეს უპირველესი ფილოლოგი ქალი – ლუარა სორდია, ფრიად გახმაურებული წიგნების ავტორი; აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დღესვე საზოგადოების წინაშე პირველად წარადგინა თავისი ახალი (რიგით მესამე წიგნი) უნიჭიერესმა მათა მახარაშვილმა; გვერდს ვერ ავუვლი მარინა კოლხიდაშვილსაც, რომელმაც მუსიკალურად გააფორმა იუბილე, ასევე – მარინა სხირტლაძეს, რომელიც მარადყამს გვერდით უდგას ჩვენს აკადემიას... სალამო კი ბელა ალანას გამოსვლითა და კოლხიდაშვილის სიმღერით დასრულდა...

იუბილეს ყველაზე უფრო გამორჩეული ეპიზოდები, მაინც, რეზო მიშველაძის, კახა ბაციკაძისა და პედაგოგ ციური ხუჭუას მონაქების გამოსვლა იყო.

ბატონმა რეზომ ვრცლად მიმოიხილა საჭირობოროტო საკითხთა წყება, ხოლო ჩვენს ჟურნალს მაღალი შეფასება მისცა (მისი ეს შეფასება შემდეგ სხვებმაც დასტურყვეს. იგი დადებითად გამოეხმაურა ჩემს გამოსვლასაც ხელოვანთა ორი ძირითადი სახით წარმოდგენის – პროფესიონალი და მოყვარული ხელოვანების საკითხშიც (არის მესამეც – ნახევრადპროფესიონალი, იგივე ნახევრადმოყვარული). ბატონი რეზო დამეთანხმა და მოიწონა ჩემს მიერ დამკვიდრებული ეს ტენდეციები. კი ბატონო, პროფესიონალი ხელოვანნი ადრეც იყვნენ, როგორ არა, მაგრამ სწორედ დღეს გახდა ეს დაყოფანი (პროფესიონალებად და მოყვარულებად) აქტუალური, დღეს, როცა ყველა წერს, ყველა რალაცის გაკეთებას ცდილობს ხელოვნების სფეროში. ადამიანი თავისუფალია, მის შემოქმედებით აქტივობას ვერ აკრძალავ, ამიტომაც, ზოგი რამ რომ არ გაუფასურდეს, ცალკე ვამკვიდრებ პროფესიონალი ხელოვანის ცნებას, როგორც უმაღლესს. ჩემმა აღნიშნულმა

პოზიციათა თავიდან დიდი სკანდალი გამოიწვია, თუმცა დღეს უკვე ბევრი მეთანხმება. კახა ბაციკაძეს სწორედ პროფესიონალური ხელოვნების ჩემპიონი ვუნოდე რამდენჯერმე. კახა ქარიზმატული პიროვნებაა. ამიტომაც დავანწყვილე მისი გამოსვლა დიდი რეზოს გამოსვლასთან ერთად. რევაზ მიშველაძემ გმოცდილება და სიბრძნე შემოგვთავაზა, კახა ბაციკაძემ კი – ახალგაზარდული გზნება და ცეცხლი. კაცამ, თავისი გამოსვლის ბოლოს, დარბაზს მოუწოდა, რომ ფეხზე ადგომითა და მხურვალე აპლოდისმენტებით მიელოცათ ქალბატონ გულნაზისათვის თავისი საყვარელი ჟურნალის იუბილე, ჩვენი ჟურნალის იუბილე... მთელი დარბაზი მყის წამოიშალა ფეხზე, აფეთქდა აპლოდისმენტები...

რაც შეეხება ციური ხუჭუას, მე მას რამდენჯერმე ვუნოდე სუპერპედაგოგი. ვიცი, რომ მისი



სკოლა, მისივე დირექტორი, ამაყობს ამ ადამიანით. ასეთი ენერგიული, აქტიური პედაგოგი მეორე არ მოიპოვება. მისმა მოწაფეებმა რამდენჯერმე გააფორმეს ჩვენი აკადემიის საღამოები და ყოველთვის წარმატებანი იზეიმეს. პარალელს ვავლებ ხოლმე ლამარა გერგედავასთან, რომელიც ერთ დროს ასეთივე დაუვინყრ ზეიმებს გვჩუქნიდა თავისი მოწაფეების მეშვეობით...

სალამოზე დავაყენე პოეტური და პროზაული ეპიკა-ლირიკის საკითხიც. ლირიკაში ჩანს ეპიკა, თუმცა ეპიკაში უფრო ჩანს ლირიკა, ეპიკა იტევს ყველაფერს, მათ შორის – ლირიკასაც. პოეტური ეპიკა ყველაზე რთული ჟანრია. ჩემი ლირიკულ-ეპიკური (ეპიკურ-ლირიკული) პოემებიეპიკურნი უფრო არიან. ეპოსი ქარბობს მათში, თვით იმ ქმნილებაშიაც კი, როელსაც ვუნოდე „პოემა არარსებულ ადამიანზე“, და თითქოს ლირიკული ხაზით გავმართე. არა. იქაც ეპიკაა გადამწყვეტი. როგორც ჩანს, პოემაში, საერთოდ, ეპოსის სული მძლავრობს. პოემა ეპოსია. თუმცა, ვაჟა-ფშაველას შემდეგ გაჭირდა პოეტურ-პროზაული ეპოსები, იმძლავრა ლირიკის ჟღერადობამ, მაინც – დიდ ჟანრს მერეც ბევრი შეეჭიდა, ზოგმა კი წარმატებებიც მოიპოვა...

შუადღის ოთხ საათზე დაწყებული ჩვენი საღამო, საჯარო ბიბლიოთეკისა, ღამით დასრულდა, რესტორან „ანცში“ დიდი პურობით (სუფრასთან გვერდიგვერ ვისხედით ქალბატონი გულნაზი, კახა ბაციკაძე, მე და პოეტი ილო შულღიაშვილი) რამოდენიმე ათეული ადამიანი აღნიშნავდით დღეობას იმ ჟურნალისა, რომელშიაც უზარმზარი მუშაობა ჩავდეთ. ამ დროს მახსენდება ხოლმე ისინიც, ვინც ჩვენს გვერდით იყო, იბრძოდა, შრომობდა, ახლა კი აღარ არიან. აი, ლანდი მეუფე თადეოზისა, გვიყურებს მომღიმარი და თან თვალცრელიანი, გვლოცავს იმქვეყნიდან, ზეციდან; აი, ჩვენი დიდი ჯუმბერ ლეჟავა; აი, აკადემიკოსი ნუნუკა გურალია; აი, სულ ახლახან გარდაცვლილი ცისნამი უტარაშვილი (თვითონ პოეტი და დიდებული პოეტ-მეცნიერის ნათესავი)... სხვანი კიდევ, რომელი ერთი ჩამოვთვალო... ეჰ, რა ცუდია, რომ ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, ჩვენს ბრძოლებში, წინსვლებში მონაწილეობას ვეღარ იღებენ, მაგრამ განა მართლა აღარ არიან? ვინ იცის, იქნებ ის არის ჭეშმარიტი, ის მხარე, სადაც ამდენი ჭეშმარიტი ადამიანი წავიდა, და იქნებ ეს ყოველივე, სადაც ჩვენ ვართ, სიზმარია, ვინ იცის? ან განა ღირს დარჩენა აქ, სადაც თითქმის აღარაფერი დარჩა წმინდა, ხოლო ყოველი წმინდა სული, ყოველი სინმინდე არის იქ, იმ შეუცნობენ სიშორეში?

პოეტური ფილოსოფია უფრო შორსაც მიდის.

მაგრამ იგივე ხედვა იმასაც ამბობს, რომ საბოლოოდ არც აქ დამარცხდება სიკეთე, ამ რეალობაში, მითუმეტეს, რომ არსებობს ჩვენი გულნაზი, ჩვენი აკადემია და ჩვენი ჟურნალი – „ათინათი“, რომელიც უკვე ხუთი წლისაა!..





P.S. რაღა თქმა უნდა, ერთ სტატიაში ყველას და ყველაფერს ვერ ჩაატევ. ბევრი პიროვნება დამრჩა დაუსახელებლი, თუნდაც – პერიფერიებიდან ჩამოსულნი, რომელთაც დიდი გზა გამოიარეს და პატივი დაგვდეს თავიანთი სტუმრობით (მაგალითად: სალამოს შემდეგ პირადად გავესაუბრე ხაშურის დელეგაციას)...

სალამოზე ვნახე თამაზ ცაბუტაშვილის მეუღლეც. მისი ქმარი, შესანიშნავი პოეტი, ციხეშია. პოეტი ყველგან და ყოველთვის პოეტად რჩება, მაგრამ ძალიან ცუდია, ცუდი, როცა მას თავისუფლებას უზღუდავენ. ჩვენს ძმას – თამაზს ვუსურვებ მალე განთავისუფლებას, ჯანმრთელობას სრულს აღდგენას, და ბედნიერებას თავის ცოლ-შვილთან ერთად...

სალამოს შემდეგ მთხოვეს დამესახელებინა საუკეთესო ქართველი პოეტები. დავასახელე: შოთა, ვაჟა, ნიკო ბარათაშვილი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ასევე – ერის მოძღვარი პოეტები – ილია და აკაკი. შეიძლებოდა სხვათა დასახელებაც. საქართველო მდიდარია დიდი პოეტებით. ეს ჩვენი ერის უდიდესი მიღწევაა.



თბილისი. 2016 წელი. შემოდგომა.

համարակցության պահույն

սպանելու պահույն, կենդանական ոտը  
պահանջներն ու բնականորեն լինում,  
16-րդ դարից Քյոլնից այնտեղ, Վերջին  
այնտեղից լսելիս շուտով զրոգանում  
էրևալ ու գործում:

16-րդ դարից ընդհանրապես ընդհանրապես «Վեր-  
ջին» 5-րդ պահույն, ուստի գրեթե ոչ  
ոչինչ չի մնացել:

Ինչպե՞ս ընդհանրապես ընդհանրապես?  
«Վերջին»-ը ու, որ «Վերջին» սպանելու  
համարակցություն:

Ինչպե՞ս ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես  
բնականորեն ընդհանրապես ընդհանրապես, որ  
սպանելու ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես  
կենդանական ու ընդհանրապես ընդհանրապես

Քյոլնից ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես  
17-րդ դարի ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես  
16-րդ դարից ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես  
«Վերջին», «Վերջին», «Վերջին ընդհանրապես» ընդհանրապես  
ընդհանրապես ընդհանրապես:

Սակայն, որ «Վերջին» ընդհանրապես ընդհանրապես  
կենդանական ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես  
ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես

ընդհանրապես, ընդհանրապես «Վերջին»-ը:

Սակայն ընդհանրապես  
կենդանական ընդհանրապես ընդհանրապես  
ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես

ლიქვიდის უწყისი და უწყისი ლიქვიდის  
 დონეზე შექმნილია მათი განსაკუთრებული უწყისი  
 შექმნილია უწყისი, დიდი ქიმიური უწყისი  
 ბიზნესის ბიზნესის უწყისი უწყისი უწყისი  
 ლიქვიდის, ლიქვიდის უწყისი, ლიქვიდის უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი

მისი უწყისი, მისი უწყისი და უწყისი  
 უწყისი. მისი უწყისი უწყისი, უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი  
 უწყისი უწყისი უწყისი უწყისი უწყისი

უწყისი უწყისი



Մյուս կողմից «ստորագրող» կայան հրովես

Ամբողջով մյուս կողմից ուղիղ զորություն,  
հրատարակող զարմանք ստորագրող! կայան հրովես,  
հայ տղանքն ամբողջով կախվել ստորագրողի  
և լորի շնորհակալություն, լորի միտքով, լորևս լորևս  
դու ներկայից արժեքներ ամբողջով ստորագրող կախվել.  
կարծումս զորություն արժեքներ, արժեքներ լորևս,  
միտքով կախվել արժեքներ լորևս լորևս մյուս կողմից  
«ստորագրող» մյուս կողմից «ստորագրող» լորևս կայան  
արժեքներ կախվել զորություն. ոգի արժեքներ կարծումս  
լորևս կախվել արժեքներ.

Ել լորևս լորևս միտքով ուղիղ զորություն!!!

Համարի լորևս կախվել կարծումս զորություն լորևս  
միտքով լորևս կախվել կարծումս լորևս կախվել  
կարծումս լորևս կախվել լորևս կախվել

Մանեն զորություն.

Ամբողջով մյուս կողմից մյուս կողմից լորևս կախվել լորևս կախվել  
կարծումս լորևս կախվել

### ՇՊԵՐԱՆՆԵՐ

Ելան էլլու Վ ԿՈՒ ԲՈՒՐ ԲՈՒ ՈՒՄԿՈՒՆԵՐՈՒ,  
 ԵՂԻՍ, ԵՂԻՍ ԵՂԻՍԻՅ ԶԹՈՒՆԵՐԻ ԲԱՅԱՄԵՆԻ ԲՈՒՄԿՈՒՆԵՐՈՒ  
 ԴԵՐՈՒ, ԴԵՐՈՒՆԵՐՈՒՆԵՐՈՒ. ԵՂԻՍԵՐԻ «ՍՈՒՆԵՐ» ԶԵՆՆԵՐԻ ԵՂԻՍ  
 ԵՂԻՍ. ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍ  
 ԵՂԻՍԻ ԵՂԻՍԻ. ԵՂԻՍԻ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻ  
 «ՍՈՒՆԵՐ» ԵՂ ԵՂԻՍ ԵՂԻՍ ԵՂԻՍԻ. ԵՂԻՍԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻ, ԵՂԻՍ  
 ԵՂԻՍԻՅԻ ԵՂԻՍԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ. ԵՂԻՍԵՐԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ  
 ԵՂԻՍԵՐԻՆ, ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՆ; ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂ  
 ԵՂԻՍ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ՈՒՄԿՈՒՆԵՐ, ԵՂԻՍԵՐԻՅԻ, ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ «ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ» ԵՂԻՍԵՐԻՅԻՆ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ «ԵՂԻՍԵՐԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ». ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂԻՍ ԵՂԻՍ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ: ԵՂԻՍԵՐԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ, ԵՂԻՍ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ  
 ԵՂԻՍ. ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻՅԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ.

«ՍՈՒՆԵՐ» ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ (ԵՂԻՍԵՐԻՅԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ, ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ (ԵՂԻՍԵՐԻՅԻ)  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ) ԵՂԻՍ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ, ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ.  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂ ԵՂԻՍ ԵՂ ԵՂԻՍ. ՍՈՒՆԵՐԻ ԵՂԻՍ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ. ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ. ԵՂԻՍ  
 ԵՂԻՍԵՐԻՅԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ «ՍՈՒՆԵՐ» ԵՂ ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ ԵՂ ԵՂԻՍԵՐԻՅԻՅԻ!

ԵՂԻՍԵՐԻ ԵՂԻՍԵՐԻՅԻ

# ცარილები



ტიტე მოსია



## რევან სირაძე რუსთაველის ესთეტიკაზე

რუსთაველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს და „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებას არაერთი ნაშრომი და სპეციალური გამოკვლევანი მიეძღვნა, რომელთა შორის გამოვყოფთ: შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის, ა. ბარამიძის, მ. გოგიბერიძის, გ. ნადირაძის, ელ. ხინთიბიძის, გ. ჯიბლაძის, აკ. განერელიას, გ. იმედაშვილის, შ. ხიდაშელის, შ. ლლონტის, ს. ცაიშვილის, მ. დუდუჩავას, ნ. ნათაძის, მ. გიგინეიშვილის, ზ. გამსახურდიას და სხვათა გამოკვლევებს.

რუსთაველის ესთეტიკას წლების განმავლობაში წარმატებით იკვლევდა რევან სირაძე, რომელიც დასახელებულ მეცნიერთა ნაშრომების გათვალისწინების საფუძველზე წარმოაჩინდა ახალ მომენტებსაც. ამთავითვე ვიტყვი, რომ მისი კვლევის შედეგები ერთობ ახლებურია და სულ სხვა კუთხით გვახედებს რუსთაველის ესთეტიკის სამყაროში. ეს ნათლად გამოჩნდა რ. სირაძის პირველივე მონოგრაფიაში – „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები“,<sup>1</sup> სადაც შეტანილია ნარკვევი – „ასახვის რუსთაველური მეთოდი და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა.

ვიდრე უშუალოდ ამ პრობლემაზე იმსჯელებდეს, რ. სირაძე მკითხველს შეახსენებს წინარუსთაველურ ქართულ ლიტერატურაში გავრცელებულ მკვეთრად გამოხატულ ლიტერატურულ ტრადიციას, რომლის თანახმად ლიტერატურამ უნდა ასახოს მხოლოდ კონკრეტულ-ისტორიული და ქართული სინამდვილიდან აღებული მოვლენები („ჭეშმარიტად აღწერის“ მეთოდი). გამონაგონზე დამყარებული ნაწარმოები „ზღაპრობად“ და „ნატყუარად“ ითვლებოდა. ეს მეთოდი შეიცვალა საერო მწერლობის აღმოცენების შემდეგ.

რ. სირაძის შენიშვნით, მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით ძირითადი სიახლე, რომელიც საერო მწერლობის წარმოშობიდან დაინერგა, სწორედ ის იყო, რომ ამიერიდან ლიტერატურა დაემყარა გამონაგონის მხატვრულ სიმართლეს, სადაც მოვლენები „ნამდვილი“ იყო არა კონკრეტულ-ისტორიულობით (როგორც აგოგრაფიაშია), არამედ შესაძლებლობის თვალსაზრისით.<sup>2</sup> აქვე მკვლევარი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ XII-XIII სს. საერო მწერლობის წარმოშობის შემდეგაც ძველთაგანვე შემუშავებული ლიტერატურული ტრადიცია – ნაწარმოებში ასახულიყო კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები – კვლავ დომინირებდა აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში. ეს კი გამოწვეული იყო სპარსოფილური ტენდენციების წინააღმდეგ მიმართული რეაქციით.<sup>3</sup> ეროვნულ-ისტორიული თემატიკის დამკვიდრების მიზნით, არჩილის „მართლის თქმის“ პრინციპი დაუპირისპირდა XVII საუკუნეში ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში მოძალეებულ სპარსული მწერლობის ნიმუშებს, რომელიც აგებული იყო გამონაგონ ამბებზე და პერსონაჟებზე.

აქედან გამომდინარე, „მართლის თქმის“ პრინციპის მიმდევარ-ნი „ზღაპრობად“ და „ნატყუარად“ თვლიდნენ „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილ ამბავსაც (ალ. ბარამიძე). რ. სირაძე საინტერესოდ შენიშნავს: თავის მხრივ, „გამონაგონსა“ და „ნატყუარს“ უწოდებენ „სპარსულ ამბავს“, რამდენადაც სპარსულ ლიტერატურაში გამონაგონ სიუჟეტებს ხედავდნენ. ასე რომ, „სპარსული ამბავი“ ლიტერატურული მნიშვნელობით ესმით. მაშასადამე, ტერმინით „სპარსული“ მხოლოდ სადაურობა

<sup>1</sup> რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.

<sup>2</sup> რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 191.

<sup>3</sup> იქვე.

კი არ აღინიშნებოდა, არამედ ნაწარმოების შინაარსის მხატვრულ-ლიტერატურული ხასიათი განიზომებოდა.<sup>4</sup> ამასთან დაკავშირებით, მეცნიერს საყურადღებო გარემოებად ესახება ის ფაქტი, რომ ტერმინი „სპარსული“ ასეთივე ზოგადი (არა მხოლოდ სადაურობის აღმნიშვნელი) შინაარსით იხმარებოდა რუსთაველის ეპოქის ქართულ მწერლობაში, რის-თვისაც პირველად კ. კეკელიძეს უწარმოებია დაკვირვება. დიდი მეცნიერის თანახმად, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში სიტყვა „სპარსული“ მაჩვენებელია არა ადგილისა, არამედ ისტორიკოსის უარყოფითი დამოკიდებულებისა გარკვე-ული წესისადმი.<sup>5</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე რ. სირაძე პირველად მივიდა საინტერესო დასკვნამდე „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სტროფზე დაკვირვებისას:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგომანები.  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,  
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს დაღმან და ლამაზმან ნები.“

მეცნიერი ნათლად გვარკვევს და გვარწმუნებს იმაში, რომ ამ სტროფში ნახმარი სიტყვა „სპარსული“ სადაურობაზე არ მიგ-ვითითებს. ე. ი. აქ ის კი არაა აღნიშნული, რომ პოემის ამბავი წარმოშობითაა სპარსული, არამედ ის, რომ პოემის ამბავი „სპარსულია“ თავისი ლიტერატურული ხასიათით, რამდენადაც იგი გამონაგონია. ასეთი ხასიათის ფაბულები სწორედ სპარსული ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის იყო დამახასიათებელი.<sup>6</sup> ამის შემდეგ გასარკვევი ხდებოდა შესიტყვება „ქართულად ნათარგმანები“. მის არსს რ. სირაძე ასე გვიხსნის: „თარგმანება“ ძველ-ქართულად ნიშნავს არა მხოლოდ თარგმნას დღევანდელი გაგებით, არამედ კომენტარს, ახსნა-განმარტებას, გააზრებას. ამ შინაარსით იხმარება იგი რუსთაველამდე: „თარგმანებად და-ვითნისად“ (ეფრემ მცირე), რუსთაველის დროს:

„თარგმანებად ეკლესიასტესი“, ასევე, რუსთაველს შემდეგაც: „თარგმანი ვეფხისტყაოსნისა“ (ვახტანგ VI).<sup>7</sup>

გამომდინარე აქედან, რ. სირაძემ პირველი ტაეპის შინაარსში შემდეგნაირად გაგვარკვია: „პოემის ამბავი „სპარსულია“ (რამდენადაც იგი გამონაგონია), მაგრამ იგი „ქართულადაა ნათარგმანები“ – გაგებულია, გააზრებულია ქართველთა თვალსაზრისით“.<sup>8</sup> ავტორის დასკვნები იმდენად დამაჯერებელია, რომ მასში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

რ. სირაძე განაგრძობს: „რუსთაველი აღნიშნავს, რომ „სპარსული“, ოღონდ „ქართულად ნათარგმანები“ ამბავი კი არ შე-უთხზავს, არამედ უკვე გავრცელებული „პოვა“ და მან მხოლოდ „ლექსად გარდათქვა“. აქ მკვლევარი მოუხმობს ალ. ბარამიძის დასკვნას: „რუსთაველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხერხი – სიუჟეტური შენიღბვის ხერხი, სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოურების თუ გაუცნაურების ხერხი“.<sup>9</sup> „ამ ხერხის გამოყენებით, – დასძენს რ. სირაძე, – რუსთაველმა სპარსული გამონაგონი ამბავი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად არ გამოაცხადა. რამდენადაც საყურადღებოა, რომ არა თუ ასეთი ამბების შეთხზვა, არამედ მისი გალექსვაც კი მაშინ, როგორც ჩანს, „საჭოჭმანებ საქმედ“ ითვლებოდა, თუნდაც ეს ამბავი საყოველთაოდ აღიარებული ყოფილიყო.“<sup>10</sup>

1978 წელს რევაზ სირაძემ გამოაქვეყნა უაღრესად მნიშვნელო-ვანი მონოგრაფია – „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, რომელიც არასოდეს დაკარგავს ღირსება-ღირებულებას. ამ ნაშრომში, ბუნებრივია, კუთვნილ ადგილს იკავებს რუსთაველის ესთეტიკა. მკვლევარი დასაწყისშივე

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 25.

<sup>6</sup> რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ. 192.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ. 192.

<sup>9</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ. 1975, გვ. 68.

<sup>10</sup> რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ. 194.



მიგვიითიებს რუსთაველის ესთეტიკის ორმხრივ გაგებაზე (რუსთაველის ესთეტიკური შეხედულება და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო), ქრესტომათიული და პრობლემური ცოდნის გამოჯვანაზე. აქცენტს აკეთებს ადრიდანვე დამკვიდრებულ ტრადიციაზე, რომლის მიხედვით რუსთაველის ესთეტიკის ამა თუ იმ მხარის შეფასება პოეტის მსოფლმხედველობას უკავშირდებოდა. თუმცა, იქვე შენიშნავს: „თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგია ითხოვს, გათვალისწინებულ იქნას, რომ პოეტის რელიგიურ-მსოფლმხედველობითი ტენდენციები მთლიანად არ ემთხვევა და შეიძლება უპირისპირდებოდეს კიდევაც მისსავე ესთეტიკურ იდეალებს“.<sup>11</sup>

რევაზ სირაძე მოკლედ წარმოგვიდგენს რუსთაველის ესთეტიკის შესწავლის ისტორიის ზოგად სურათს. უპირველესად ყურადღება მიქცეულია ალორძინების პერიოდის მოსაზრებებზე (არჩილი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი), რომლის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ გამოცხადებულია მხატვრული სრულყოფილების ნიმუშად, ქართული პოეზიის განვითარების ნიშანსვეტად. ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს ვახტანგ მეექვსის „თარგმანს“, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ გააზრებულია ალეგორიულ პოემად, ორპლანიან თხზულებად – სასულიერო და საერო ძეგლად. ვახტანგის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობა მისტიკურ ალეგორიზმს ემყარება და ღვთის სიყვარულს გულისხმობს. ვახტანგი ამგვარი გაგებით ცდილობდა პოემის დაცვას საერო თხზულებების უარყოფელთაგან, რომლებიც ნაწარმოებთა შინაარსს აფასებდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად იყო მათში მოცემული სასულიერო შინაარსი.<sup>12</sup>

აქვე ასახელებს რევაზ სირაძე ვახტანგ მეექვსის თვალსაზრისის მოწინააღმდეგეებს ანტონ პირველის და ტიმოთე გაბაშვილის სახით. „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკის გაგების თვალსაზრისით, მკვლევარი არსებით სიახლეს ვერ ხედავს თეიმურაზ ბატონიშვილის „განმარტებაშიც“, თუმცა სხვა მხრივ იგი საყურადღებო რუსთაველოლოგიურ ნაშრომად ესახება. რევაზ სირაძის თქმით, მე-19 საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკის შესახებ სპეციალური ნაშრომი არ შექმნილა. მისი აზრით, ქართველ „სამოციანელთა“ დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროსადმი უპირატესად იყო არა მეცნიერულ-აკადემიური, არამედ ეროვნულ-პუბლიცისტური. უწინარესად პოემა აინტერესებდათ არა ესთეტიკური, არამედ ეროვნული თვალსაზრისით.

რევაზ სირაძე ასახელებს იმ მეცნიერებს, რომლებმაც მეოცე საუკუნეში შექმნეს სპეციალური გამოკვლევანი რუსთაველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროზე. მათზე დაყრდნობით გამოყოფს რუსთაველს ესთეტიკურ შეხედულებებს და ეხება ზოგიერთ ახალ მომენტსაც. მეცნიერი დაკვირვების ობიექტად აქცევს რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებებს, რომელთაგან გამოყოფს შემდეგ საკითხებს:

- პოეტური შთაგონების წყარო;
- პოეტური შემოქმედების ელემენტები;
- პოეტური შემოქმედების საგანი;
- მიჯნურის ესთეტიკური იდეალი;
- შაირობის განმარტება;
- შაირობის ჟანრობრივი კლასიფიკაცია.

რუსთაველის პოეტური შთაგონების წყაროსთან დაკავშირებით რევაზ სირაძე წერს: „რუსთაველისათვის, ისევე როგორც საზოგადოდ ანტიკური ხანის, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხანის შემოქმედთათვის, პოეტური შთაგონების პირველსათავეა ღვთაება. ამ მხრივ, რუსთაველი ტრადიციულ გაგებას მიჰყვება“.<sup>13</sup> მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს იმას, თუ რუსთაველი კონკრეტულად როგორ წარმოადგენს შემოქმედებისას ღვთაებრივ შთაგონებას. მიიჩნევს, რომ რუსთაველისათვის შემოქმედებით პრო-ცესში ღვთაებრივი შთაგონება ნიშნავს სიყვარულის გრძნობით გამსჭვალვას,

<sup>11</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 208.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>13</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 211.

ამასთანავე, ღვთაებრივი შთაგონება გულისხმობსო შემოქმედის ეთიკურ კათარზის... შემოქმედებითი შთაგონება ღვთაებასთან აახლოებს ადამიანს.<sup>14</sup>

ღვთაებრივი სიყვარული ამქვეყნად ვლინდება. ღვთაებრივი იდეალური სიყვარულის ამქვეყნიურ გამოვლენას პოეტი თამარის სახეში ხედავს. ამიტომ თამარი კონკრეტული შთამაგონებელია იმ ამაღლებული სიყვარულისა, რომელიც განსახიერებულა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახეებში.<sup>15</sup> რევაზ სირაძის მიხედვით, ღვთაებრივ სიყვარულს თან მოაქვს მშვენიერება... აქვეა გაშლილი მისი ესთეტიკური ასპექტიც. რუსთაველს სიყვარულის ღვთაებრივი გამოცხადება ეძლევა თამარის სახეში „მისი (თამარის) სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“. რუსთაველისათვის შემოქმედებითი პროცესი ითხოვს „მიჯნურთა სურვილით“ გამსჭვალვას. ამ უნარის გარეშე პიროვნება მოკლებულია მხატვრულ შემოქმედებით უნარს. ასეთია პოეტური შთაგონების რუსთაველური გაგება.<sup>16</sup> ამის შემდეგ რევაზ სირაძე მსჯელობს პოემის პროლოგში მოცემულ პოეტური შემოქმედების ელემენტებზე: ენა, გული (იგივე გრძნობა), ხელოვანება (ანუ ოსტატობა), გონება (ღვთაებისაგან მონიჭებული გონება). ამ ელემენტების გამოყენების საფუძველზე რუსთაველი მიზნად ისახავს პოეტური გამოთქმის სილამაზის მიღწევას.

რევაზ სირაძე მკითხველის ყურადღებას მიაქცევს რუსთაველის პოეტური შემოქმედების საგანს, მიჯნურის ესთეტიკურ იდეალს. ავტორი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში რუს-თაველის მიერ ჩამოყალიბებული თეორიულ შეხედულებებზე სიყვარულს გარშემო, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური მიჯნურის სახე: რუსთაველი ჩამოთვლის იდეალური მიჯნურის თვისებებს, ხაზგასმულია იდეალური მიჯნურისათვის მორალური სიმტკიცის აუცილებლობა, სადაც ერთმანეთს უკავშირდება სიყვარული, სიკეთე და მშვენიერება.<sup>17</sup>

ამის შემდეგ მკვლევარი ეხება რუსთაველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, შაირობის განმარტებას. ეს განმარტება ემყარება რუსთაველისეულ გაგებას ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრებისა. მისი აზრით, რუსთაველი ერთმანეთს არ უპი-რისპირებს ამქვეყნიურ ადამიანურ სიბრძნესა და საღვთო სიბრძნეს. პოეტისთვის საღვთო და საერო სიბრძნე ღვთაებრივია. რევაზ სირაძის თანახმად, როდესაც რუსთაველი ამბობს, შაირობა სიბრძნის დარგიაო, აქ მოცემული გვაქვს შაირობის გვარ-სახე-ობრივი განმარტება. შაირობისთვის მაღლამდგომი გვარია „სიბრძნე“. რუსთაველს „შაირობა“ (საერო პოეზია) შეაქვს საერთოდ „სიბრძნის“ გვარში. ეს არ ნიშნავს, რომ „შაირობა“ – საერო პოეზია საღვთო არაა. რუსთაველმა საერო პოეზიის მნიშვნელობა იმით აამაღლა, რომ „საღვთოდ“ გამოაცხადა. მართალია, შაირობა „საღვთოდ გასაგონია“, მაგრამ მასვე ამქვეყნიური დანიშნულება აქვს.<sup>18</sup>

შაირობის რუსთაველურ განმარტებაზე საუბრის დასრულებასთანავე რევაზ სირაძე მსჯელობს შაირობის ჟანრობრივი კლასიფიკაციის საკითხებზე. „ჟანრობრივი კლასიფიკაცია“ პირობითად იწოდება. მეცნიერის თქმით, რუსთაველი პროლოგის, მე-13-17 სტროფებში მხოლოდ სხვადასხვა სახით პოეტურ ნაწარმოებებსაც გამოჰყოფს. ასე რომ, თუ შეიძლება ითქვას, ჟანრობრივ კლასიფიკაციასთან ერთად, სხვადასხვა ტიპის შემოქმედთა კლასიფიკაციაც ხდება.<sup>19</sup>

რ. სირაძე საუბრობს რუსთაველის მიერ გამოყოფილ პოეტურ ნაწარმოებთა და მელექსეთა ოთხ სახეზე. „მდაბალი მელექსეობის“ ერთ-ერთ პირველ სახეს გამოყოფს (თითო-ოროლა ნაწარმოების თხზვა და თავის გატოლება ჭეშმარიტ მელექსეებთან). შემდეგ გამოყოფილია „ლექსი ცოტად“, რომლის ავტორებს „არ ძალუძთ სრულქმნა სიტყვათა“ (საუბარია ლირიკოს პოეტებზე). მესამე – ეს არის მდაბალი ლირსების ნაწარმოებად ჩათვლილი ლექსები (სანადიმო, სააშუკო, სალალობო, სამღერელი), თუმცა, „ნათლად თქმაში“ ხედავს მათ ლირსებას, მეოთხე სახეში იგულისხმება ეპიკური ძეგლები („გრძლად თქმა“) და ეპიკოსი პოეტები.

<sup>14</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 211.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 212.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 216.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 217-218.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 218-219.

ამის შემდეგ რევაზ სირაძე სპეციალურად განიხილავს პოეზიის რაობის რუსთველურ გაგებას. საუბარია „სიბრძნის დარგის“ არსის გარკვევაზე. ავტორი თავიდანვე მიანიშნებს მკითხველს, გამოთქმაში: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ – მოცემულია არა ზოგადი დახასიათება შაირობისა, არამედ კონკრეტული, გვარ-სახეობრივი განმარტება პოეზიისა. მეცნიერი კრიტიკულად განიხილავს დასახელებულ ტაეპთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოსაზრებას (ს. იორდანიშვილი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ინგოროყვა, გ. ნადირაძე, მ. გოგიბერიძე).

საკითხის ისტორიის განხილვამ წარმოაჩინა უარყოფითი თვალსაზრისი: „რუსთველის ტაეპში („შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“) „შაირობა“ არ უდრის საერთოდ ხელოვნებას და არც მის ერთ მხარეს, თუნდაც „მის სინთეზურ ბუნებას“... „ხელოვნება“ („ხელოვნება“) რუსთველთან არ იხმარება დღევანდელი მნიშვნელობით, ისევე როგორც მთელს შუა საუკუნეებში, თვით რენესანსული აზროვნების წარმომადგენლებთან“.<sup>20</sup> რევაზ სირაძე თვლის, რომ პროლოგში მოცემული მსჯელობა, უპირველესად, თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების სფეროს განეკუთვნება და მხოლოდ ამის შემდეგ განეკუთვნება ესთეტიკურს. რუსთველის ნააზრევისათვის (ისევე, როგორც მთელი ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნებისათვის) საფუძველს წარმოადგენდა მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ. იგი გავრცელებული იყო დასავლურ და აღმოსავლურ აზროვნებაში, საღვთო სიბრძნე თეოლოგიის სფეროს განეკუთვნება; სიბრძნის მეორე სახე კი ადამიანური სიბრძნეა, რომელიც აერთიანებს ხელოვნებას, მეცნიერებას, ფილოსოფიას თუ ტექნიკას. მთავარი პრობლემა იყო ამ სიბრძნეთა ურთიერთობის გარკვევა.<sup>21</sup>

რუსთველის ნააზრევში მკვლევარი ხედავს სრულიად თავისებურ პოზიციას ორგვარი სიბრძნის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. იგი სვამს კითხვებს: როგორაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“ სიბრძნეთა ურთიერთმიმართების საკითხი; რა დამოკიდებულებაშია ეს საკითხი რუსთველის თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებთან.

რევაზ სირაძე წერს: „რუსთველისათვის ყოველგვარი სიბრძნის წყარო უმაღლესი სიბრძნეა... აბსოლუტური ერთი... ყოველგვარი ადამიანური სიბრძნე უმაღლესი სიბრძნის გამოვლი-ნებაა... ზოგადად ასეთ პოზიციამდე მისვლა არეოპაგიტულ მოძღვრებაზე დაყრდნობით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა... „ვეფხისტყაოსანში ერთმანეთს უპირისპირდება არა ღვთაებრივი და ადამიანური სიბრძნე, არამედ სიბრძნე საერთოდ და უმეცრება“.<sup>22</sup>

ორგვარ სიბრძნეზე მსჯელობისას მეცნიერი აღნიშნავს რუსთველისათვის „სიბრძნის“ განუყოფლობას. „ამიტომაც, რომ შაირობაც – საერო პოეზია რუსთველმა „საღმრთოდ“ გამოაცხადა („საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“), თუ „სიბრძნე“ საერთოდ საღმრთოა და „შაირობა სიბრძნის დარგია“, შაირობაც, საერო პოეზიაც, ცხადია, საღმრთო უნდა ყოფილიყო, რასაც აღნიშნავს კიდევ რუსთველი, საერო მწერლობის დიდი მნიშვნელობის შეგნებას რუსთველი იმით ამტკიცებს, რომ საერო მწერლობაც საღმრთოდ გამოაცხადა“.<sup>23</sup>

რევაზ სირაძემ რუსთველის ესთეტიკაზე საუბარი განაგრძო 1982 წელს გამოცემულ წიგნში – „სახისმეტყველება“. რუსთველის ესთეტიკის ორმხრივი გაგებიდან პირველზე – რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი – უკვე გვქონდა საუბარი, რასაც აქაც იმეორებს ავტორი: პოეტური შთაგონების წყარო; პოეზიის საგანი; რა სჭირდება პოეზიას; პოეზიის რაობა; პოეზიის სახეები.

„სახისმეტყველებაში“ მეცნიერი ვრცლად მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროზე. საინტერესოდ ყვება რევაზ სირაძე რუსთველის განუმეორებელი პოემის სათაურზე, როგორც მის გამამთლიანებელ სიუჟეტურ ხაზზე. ვეფხისტყაოსანი არ არისო პოემის უბრალო სახელდება, ვინაიდან მასში, ვითარცა მხატვრულ სახეში, არეკლილია მთელი ნაწარმოების შინაარსი. ასე რომ, რუსთველს სათაურიდანვე შეჰყავს მკითხველი მხატვრულ სამყაროში: „ვეფხისტყაოსანი პირდაპირ

<sup>20</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 226-227.

<sup>21</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 228.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 229-230.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 232.

გულისხმობს ტარიელს, ხოლო სიმბოლოურად ნესტანს, ამ მხატვრულ სახეში პოემის ორი ყველაზე მთავარი პერსონაჟი გამოხატული“.<sup>24</sup>

მკვლევარი მსჯელობს ვეფხვის ტყავზე, როგორც ტარიელისათვის დაკარგული ნესტანის სიმბოლოზე; ვეფხვის სიჭრელზე (ყვითელი, შავი ზოლებით). როგორც მწუხარებისა და დაუოკებელი სიყვარულის სიმბოლოზე, პოემის სათაურშივე გახმოვანებულ მთავარ მოტივზე და მთავარ პერსონაჟებზე. საგულისხმოდ შენიშნავს ავტორი: ვეფხისტყაოსნობა ტარიელის ტრაგედიაა, ამიტომ შეიძლება ითქვას, ტარიელის მიზანია, არ იყოს ვეფხისტყაოსანი. ნესტანის გამოსხნისთანავე აზრი დაკარგა ტარიელის ვეფხისტყაოსნობამ, მაგრამ პოეტმა აქ კი არ დაასრულა ამბის თხრობა, არამედ დააგვირგვინა იგი მათივე დაქორწინებით და ბედნიერებით.<sup>25</sup>

აქვე რევაზ სირაძე საუბარს განაგრძობს პოემის ფაბულაზე. დასაწყისშივე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ფაბულას და სიუჟეტს ხშირად შინაარსობრივად აიგივებენ, რაც მას არასწორად მიაჩნია: „ჩვენ ხშირად ფაბულის მაგივრად სიუჟეტს ვხმარობთ, რაც არასწორია. სიუჟეტში მხატვრული სინამდვილეა, ფაბულა ჯერ კიდევ არაა მხატვრული რაობა, მხატვრულად ხორცშესხმული ფაბულა სიუჟეტია. ხანაც ფაბულის მაგივრად შინაარსს ხმარობენ. ესეც შეცდომაა. შინაარსი სხვაა და ფაბულა სხვა.“<sup>26</sup> ავტორს საანალიზო წიგნში მთლიანად გადმოტანილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულასთან დაკავშირებით მისივე ნარკვევი პირველივე მონოგრაფიიდან („ძველ ქართულ თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ. 190-195), რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და აქ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

რევაზ სირაძე გვაცნობს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ შინაარსის მისეულ აღქმას. სამყაროს შექმნის რუსთველური სურათის ხატვისას აქცენტირებულია პოემის დასაწყისი სიტყვა „რომელმან“. მასში დანახულია არეოპაგიტიული ესთეტიკის გავლენის კვალი: „რომელმან“ ღმერთს ისე აღნიშნავს, რომ არაფერს ამბობს მასზე. ეს არის „რალაც“, გაურკვეველობა, ყოველგვარ განმარტებებზე მალლამდგომი. ფაქტიურად ეს ღმერთის ცოდნაც არაა, ეს არის „რალაცის“ შინაგანი შეგრძნება, იდუმალეობით გამსჭვალვა. ამნაირი გაგება არეოპაგიტიკიდან მოდის საერთოდ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერიელის) ესთეტიკა რუსთაველზე გავლენას ახდენდა. აქაც ჩანს მისი გავლენა“.<sup>27</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის დასაწყის ტაეპში „რომელმან“-ს მოსდევს სიტყვა „შექმნა“. რევაზ სირაძის დაკვირვებით, აქ ღმერთის მოქმედება ადამიანის მსგავსადაა დახასიათებული, იგი პიროვნებადაა მიჩნეული, რაც ბიბლიურ გაგებას მოიცავს. რენესანსსაც ადამიანურად მოქმედი ღმერთი იზიდავდა და ასე დაესესხა იგი ბიბლიას.

რევაზ სირაძის გაგებით, რუსთველისეული „სამყარო“ („რომელმან შექმნა სამყარო“) უმაღლეს ზეციურ სფეროს, ყველაზე მაღალ ცას ნიშნავს, ხოლო „არსნი“ პირველ არსებანია, ანუ იდეებია. ეს გულისხმობს, რაც კი რამ არსებობს, ყველაფრის შესაბამისად თავდაპირველად შეიქმნა მათი ზოგადი სახეები. „ქვეყანა“ კი ის სფეროა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, მთელი სამყაროს შექმნის მიზანი ადამიანია. ეს რენესანსული აზრია, რადგან რუსთაველისთვის ადამიანია ცენტრი სამყაროსი.<sup>28</sup>

მეცნიერს მიაჩნია, რომ სამყაროს შექმნის საფეხურებრივი წარმოდგენიდან (უმაღლესი ზეცა, მერე „ზეგარდმო არსნი“ და ბოლოს ქვეყანა) რუსთაველი პლატონს უახლოვდება. ასე არაა ბიბლიაში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სამყაროს გაჩენის წარმოდგენისას რუსთაველი ბიბლიას ემყარება, მაგრამ ბიბლიითაც არ იფარგლება.<sup>29</sup>

პოემის პროლოგზე საუბრის დასრულებისთანავე რევაზ სირაძე გადადის საკუთრივ თხზულების სიუჟეტზე, მოქმედებათა განვითარების ესთეტიკური საფუძვლის ჩვენებაზე. პირველად ჩერდება პოემის პირველ („ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“) და მეორე (როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“) თავზე, რომელიც გარეგნულად ერთფეროვნად ესახება, მაგრამ მასში ხე-

<sup>24</sup> რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 188.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 189.

<sup>26</sup> რ. სირაძე, სახისმეტყველება, გვ. 190.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>28</sup> რ. სირაძე, სახისმეტყველება, გვ. 195-196.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 196.

დავს დიდ შინაგან მრავალფეროვნებას. აქ, მისი აზრით, ვლინდება ერთი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური კანონზომიერება, რომელიც მთელი პოემისთვისაა დამახასიათებელი. ეს არის ერთფეროვნების დაძლევა, განწყობილებათა ცვალებადობით მოქმედებათა აღწერის დაკავშირება სიუჟეტის განვითარებასთან: „ხოლო როცა ამბები გმირის განწყობილებათა კვალობაზე წარიმართება, ამ პერსონაჟში ხედავენ ლიტერატურულ ხასიათს. ლიტერატურული ხასიათები კი სწორედ რენესანსმა დაამკვიდრა და ეს უკვე ჩანს „ვეფხისტყაოსანში“.<sup>30</sup>

მეცნიერი მიუთითებს, რომ ერთფეროვნების დაძლევა ხორციელდება ლექსთწყობაშიც (მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა), სტროფების შიგნითაც (ლექსთწყობის მომსახურე „და“ – კავშირის შინაარსისგან დაცლილი). ასე ჩაგვახედო მკვლევარმა „ვეფხისტყაოსანში“ ერთფეროვნების დაძლევის ესთეტიკურ კანონში.

რევაზ სირაძე იკვლევს „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზს, რაც გამოვლენილია პოემის მხატვრულ სამყაროშიც და მის ესთეტიკაშიც (აღმოსავლურ მეტაფორათა ნაკადი და მისი ფსიქოლოგიური შინაარსი; ადამიანის რენესანსული იდეალი).

რევაზ სირაძე რუსთაველის ესთეტიკაზე საუბარს განაგრძობს ნარკვევში – „რა არის არსებითი ქართული რენესანსული ესთეტიკისათვის“ (ნიგნში – „სახისმეტყველება“). გამოყოფს სამ უმთავრეს და არსებით: აზროვნების ესთეტიზაცია, ყოვლისმომცველი მონუმენტალიზმი და პიროვნების მძაფრი მგრძობელობა. აზროვნების ესთეტიზაცია ნიშნავს, რომ ყველაფერს ესთეტიკის თვალთშეხედვს. ღმერთსაც კი უპირველესად ესთეტიკური თვალთახედვით აფასებენ. ღმერთი იქცა ამქვეყნიური მშვენიერების მომფენად.<sup>31</sup>

რევაზ სირაძის მიხედვით, ფილოსოფიური იდეებიც რუსთა-ველთან სილამაზეს ამკვიდრებს, პოეტის მსოფლმხედველობა ესთეტიკური სისტემაა. მასში შეიძლება შედიოდეს რელიგიური იდეებიც, ეთიკურიც, პოლიტიკურიც, ფილოსოფიურიც, მაგრამ საბოლოოდ ესენი ქმნიან ესთეტიკურ მთლიანობას. აზროვნების ესთეტიზაციამ მოიტანა ახლებური, რენესანსული მონუმენტალიზმი. გმირთა ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალები ზეაღმატებულია.<sup>32</sup>

რენესანსული მონუმენტალიზმის გამოვლენად მეცნიერს მიაჩნია ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სამოქმედო გარემო არაა შეზღუდული არც სივრცით და არც დროით. იგი საუბრობს ასევე რენესანსის ერთ-ერთ არსებით სიახლეზე – პიროვნულ-ინდივიდუალურ ემოციაზე. ემოციური სანყისის გაძლიერებას რომანტიკული ელფერი შეაქვს გმირთა სახეებში. ესაა რენესანსული რომანტიზმი. რევაზ სირაძე მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის დამახასიათებელ დიდ მგრძობელობაზე, რომელთაც არ უმძიმთ გარე ჭირთან გამკლავება. თუმცა, შინაგანი სევდა-ნალღველის დაძლევა უჭირთ. მკვლევარი „ვეფხისტყაოსნიდან“ მოტანილი შესაბამისი მაგალითებითა და არგუმენტებით წარმოგვიდგენს პოემაში აზროვნების ესთეტიზაციას, მონუმენტალიზმს და პიროვნულ ემოციებს, რაშიც ვლინდება რენესანსული ესთეტიკის სიდიადე.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 199-200.

<sup>31</sup> რ. სირაძე, სახისმეტყველება, გვ. 206-207.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 207-208.



ლუარა სორდია

## დღევანდელი იყოს საქართველო უკუნისამდე



მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში, ჩემი მამულია, არაგვს, ცა რომ მტრედისფერობს, შემოდგომით, რუსთავო, ოქროს სანმისი ადრე მოიპარეს, ნახდა საქართველო, სანაპიროზე, ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა, ფერეიდნელის ნათქვამი, ხდის ხეობიდან, მე მივდიოდი საქართველოს გამობრულ გულში, გამოთხოვება, ლუბუმმა კი არა, გერგეტის ტაძართან, ხევსურეთი, ხატობაში, ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი, გაატიჟობთ ყველას, ფულისთვის კი არა, მომიახლოვდი, გაზაფხული, ყაყაჩოს ნითელ და თხელ ფურცლებზე, სიზმარი, შეცივებით მთაში ღელეებს.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში მრავალი საქრესტომატიით შედეგრი იქცევა ყურადღებას. მისი პატრიოტული ლირიკის ნიმუშები ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილია. აქ შევხვდებით ქება-ქების ინტონაციებს, ჭეშმარიტი მამულიშვილის პირველ სიყვარულს — სამშობლოს, სატრფოს სახით მოაზრებულს, სამშობლოსთვის თავშენიერვის იდეას, ეროვნული ფენომენის სრულყოფილ წვდომას, ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის, მისი აქტუალური პრობლემების გონივრულ განჭვრეტას, მომავლის ორიენტირების ძიებას, სისხლისა და მინის ყვილს, ნეგატიური მოვლენების გაბედულ მხილებას, ეროვნულ ნოსტალგიას.

ძალზე ხშირად, პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ვლინდება სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, ქვეტექსტებით.

ბეჟან ხარაიშვილის, „გულის ძარღვები მამულის სუნთქვას ინერენ“ (სხვაობა) მუხის, ხმელი ნიფლის, ჭადრების სახეში ნაგულისხმევი სამშობლოს ფესვების ფეთქვას შეიგრძნობს, ერის სულს და გულისძგერას აფიქსირებს მისი უტყუარი ხედვა.

მშობლიური შემოგარენის ჭადრები, მტკვრის მკერდზე გაელვებული თბილისი იყო პოეტისთვის ოცნების ნატვრისთვალი, უდიდესი განძი და მისი შემყურე ნატრობდა არა მატერიალურ სარგებელ-ღირებულებას, არამედ თავისი ქვეყნის მარადიულობას შესთხოვდა უფალს: „მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში და შეათამაშა მკერდზე ნატვრისთვალი – თბილისი. და მე ვინატრე, მე, პატრონმა ამხელა განძის, ფული კი არა, ოქრო კი არა, სახლი კი არა, დახლი კი არა, დღევანდელი იყოს საქართველო უკუნისამდე“ (მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში).

ასე ლაკონურად, მიგნებული სახეებით განგვაცდევინა ლექსის ავტორმა თავისი უპირველესი სიყვარულის სიდიადე.

აკაკი წერეთელს ნატვრის თვალი ქართული კერის ძირში ეგულეობდა, წინაპართა მიერ შემონახული (ნატვრის თვალი).

ქართულ პოეზიაში მრავალი პატრიოტული შედეგრია (გრ. ორბელიანის „სადღევანდელი“, აკაკის „განთიადი“, ვაჟას, „ჩემის კაცობის გვირგვინო ... გალაკტიონის „მშობლიურო ჩემო მინავ“, ტერენტი გრანელის „სამშობლო“, ლადო ასათიანის „სალალობო“, ანა კალანდაძის „ქარი გიმღერის ნანასა“, მუხრან მაჭავარიანის „იარონ“, შოთა ნიშნიანიძის „მე ვარ მისანი ხარი ნიქარა“, მურმან ლებანიძის „ყველას, ყველას“, მირზა გელოვანის „შაენაბადა“...).

უთუოდ ამ მაგალითებს უსწორებს მხარს ბეჟან ხარაიშვილს ლექსი „ჩემი მამულია“. ლექსში მამულის სიყვარულის ცეცხლს აღვივებს განუმეორებელი, სულის მკურნავი ბუნება – „შხვართა-ლა ღელეები“, ფოთლის ცრემლი, ტყეთა იღუმალი ლოცვები, „ოცფერი“ ცისარტყელა, მზის მადლმოცხებული ყანები, ქართველ გოგონებზე მორცხვი გზისპირეთის შროშანები, მთის ფერდობზე ცის ნამივით მოფენილი ცხვრის ფარა, მდინარეთა კალმახი და ორაგული, და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ქართველთა პოეტური გულების ზღვაური, „მოქართულე აული“ და გულშიჩამწვდომი დასკვნა: „სადაც ვაიღმერთს და უკუმომსვლელს წაღმა ვერასოდეს გაუვლია – ჩემი მამულია!“

პოეტს აბრუებდა, აბარბაცებდა არა ლუდ-არყის სუნი, არამედ მამულის სიყვარული, საქართველოს ეშხი: „...მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების ნიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვთ ლუდ-არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით, გიჟო ქალწულო, მარქვი!“ (არაგვს).

სამშობლოს სისხლხორცეული განცდა ასე გამოიხატა სხვა ლექსშიც: „... ჭაჭის არაყმა გამაბრუნა ერთი დანახვით, თუ საქართველოს სურნელებამ შემაბარბაცა“ (ჯარისკაცები დედისეულ ამანათს ხსნიან).

მაღალგანვითარებული გრძნობის ადამიანები ამტკიცებენ, რომ სულს, მოძღვრებას, აზრს სუნი აქვს.

პავლე მოციქული საუბრობს სიცოცხლის და სიკვდილის სურნელზე, ქრისტეს მოძღვრების კეთილსურნელებაზე.

სუნის, ფერის, გემოს შეგრძნებებს ასოებს უკავშირებდნენ სიმბოლისტები.

ბეჟან ხარაიშვილი სიყვარულს ეფიცება მთებს, ტყეს: „ამ მთებს ვენაცვალე, ამ ტყეს ვენაცვალე, მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი“.

სხვაგან ასე იფიცება „... ვფიცავ იმერულ ტყემლის ჭალარას“.

ლექსში სამშობლოს სახედ მოაზრებულია „ჩამუხლული მუხა“, რომელსაც „ზეცის ასულები“ უმღერიათ: „ერთი გაიხედე, ქარი რა დღეშია, როგორ გადალოკა არემარე, ეს შენ გიმღერიათ ზეცის ასულები, მუხავ, ჩამუხლულო, გაიხარე!“.

არც შინდების რტოს ყვავილობა იხსენება შემთხვევით, არც მზე და გათენება, რაც გულს სამარეშიც აამღერებს: „რტომან შინდებისმან იყვავილა და მზე ჩანჩქერების თარზე დნება, გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება, ჩვენში ასე იცის მზის ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება!“ (ცა რომ მტრედისფერობს).

ბეჟან ხარაიშვილი ახლებურად, განსხვავებული სახეებით ხედავდა მთვარიან სოფლის ჭალას, კლდის ქვებიდან გადმომდინარე ჩანჩქერს, ვარსკვლავიან ზეცას: „მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე სიმინდებში მთვარის ჩანამგალება, კლდის ქვებიდან გადმომქუხარ ჩანჩქერის თვალით შესმა და წყურვილის წვალება... მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ გაშლილ ცაზე გადანინკვლა ვარსკვლავთა“ (შემოდგომით).

პოეტი სამშობლოს ძნელბედობის, ათას მომხვედრთან, ათას ურჯულოსთან ბრძოლების, გრიგალებთან შებმის მონაწილეა, კოცნის ქარ-წვიმიდან „გამობლუჯულ ყვავილებს, „შუბლნათურიან გორაკებს“, „ახალ პირიმზეს“, ფერფლიდან ამოსულ ჭადრის ხეს: „ფერფლზე ამოსულ იმ ჭადრის ხეს ვექართულები, ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს მტკვრის ნაპირებზე და სტრიქონებიც მერცხლებივით ცაში შეხლილან“.

თითქოს თამარის ხელი ესათუთება შუბლზე, რათა მეხვიით ჭექედეს მისი სიტყვა, რათა შეწყდეს წარსულზე ოხვრა. ფერფლზე ამოსულ მუხასავით ეთაყვანება ხარის სახეში მოაზრებულ, სამშობლოს, მწვერვალებისკენ მიმსწრაფ ფიქრებს: „ხარო, იბლავლე, პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ, ფიქრო, გამიძებ — სადაც მიცდის მწვერვალი შორი“ (რუსთავო).

ბეჟან ხარაიშვილის თვალთახედვის არეში ექცევა არგონავტების მიერ ადრე მოპარული ოქროს სანმისი, იგივე გრაალი, რომელიც გაიგივებულია კოსმიურ სიბრძნესთან, სულიწმინდასთან, მარიამ ღვთისმშობელთან (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მამა).

ლობეზე ჭიშკარი ჩამოხსნილია.

კარი, როგორც საზღვრის შეუვალობის, ამასთან, ღმერთის სიმბოლოა („მე ვარ კარი ცხოვართა“ – იოანე, 10,7).

სანმისის დაკარგვა საქართველოს მომავალზე ფიქრებსაც ასევედიანებს, რადგან მზის შვილის – აიეტის სამეფოში მომრავლებულან ღვთის გლახები, გაქართველებულან, გადიდებულებულან ჭრელსისხლიანები: „...ოქროს სანმისი ადრე მოიპარეს (კაი ბატონო, გეტყვი იმერულად), ამდენი ღვთის გლახა და ჭრელსისხლიანი ვინ გააქართველა, ვინ გაადიდებულა?“

პოეტს სულს უშფოთებს ნასახლარებზე ცეცხლმოკიდებული ჩვენებური ატმის ხეები, უიმედობას ამძაფრებს გზაჯვარედინის ისრები, ამკრძალავი ნიშნები, რჩება მხოლოდ სასწაულის მოლოდინი (ოქროს სანმისი ადრე მოიპარეს).

ქვეყნის მრავალ ნეგატიურ პრობლემას უღრმავდება პოეტი, რომელთა შორის უმთავრესია სულიერების დაკარგვა, ხორცის, ნივთის გაფეტიშება, გადაგვარება, „სისხლის გათეთრება“, რწმენის, ტრადიციების უარყოფა: „ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე? ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება, მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად თუ საქართველოს სისხლი უთეთრდება. ... თბილისი თვალს ხუჭავს, მტკვარს გულში იხანჯლავს, დიაცი ძაღლებთან სეირნობს... და ბო-

ლოს: ნახდა საქართველო,—ამბობს ქალიშვილი და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს“ (ნახდა საქართველო).

ზნეობრივი დაცემა, ხორციტ ვაჭრობა, სანაპიროზე ამორალურ ადამიანთა ფუჭი ფაციფუცი, უქმად გატარებული დრო აღაშფოთებს მაღალმორალურ ტრადიციათა ერთგულ ქალაქს, ამიტომაც „თვალეებს ხუჭავს თბილისი ღამით და ხანჯალივით მტკვარს იცემს მკერდში“ (სანაპიროზე).

ქართულ ყურძენს მომწამვლელი ძახველი შენაცვლებია, რასაც სიკვდილი მოაქვს და პოეტი კითხულობს: „გათათრებული ქართველის სისხლზე ხომ არ ამოდიხარ, ძახველო. (ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა).

უცხო მინა, უცხო სული, უცხო სისხლი იყო მუდამ ქართველი კაცის უპირველესი სატკივარი, რასაც ვერ ანელებდა მატერიალური კეთილდღეობა.

„უცხოობაში რაა სიამე?“ კითხულობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი. უბედურებად ითვლებოდა უცხო მინაზე სიკვდილი (ნიკო ლორთქიფანიძის „გული“), „უცხო ფარდები, უცხო მდგმურები“, გაუცხოება სტანჯავდა გალაკტიონს, მშობელი მინის ყვილი არ ასვენებდა ანდრია კაიშაურს (მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყვილი“). უცხოეთის ნისლით იტანჯებოდა კონსტანტინე გამსახურდიას კონსტანტინე სავარსამიძე („დიონისის ღიმილი“).

სხვისი მინა ფეხისგულს უთუთქავს ფერეიდანში გადასახლებულ ქართველს. ვერ შეგუებია უცხო სისხლს, ეროვნული ნოსტალგია კი არ ამღერებს, დარდი ღმუის მისი გულიდან და ჭიამაიას ევედრება, აპოვნინოს სამშობლო, რომელიც ერთადერთია და „არ გაიცვლების სხვაზედა“: „ჭია-ჭია მაპოვნინე საქართველო, თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს, სხვისმა მინამ ამომთუთქა ფეხისგული, დარდი ღმუის ჩემნაირთა განა ვმღერი! – ჭია-ჭია მაპოვნინე საქართველო! მზე მინა და მზე გარეთა სად ვიხილო, დავიშლები დარდებად და ერთგულებად, თბილისმა რომ ერთხელ გულში ჩამიხუტოს“ (ფერეიდნელის ნათქვამი).

მამულის ნასახლარების, დაცლილი სოფლების სევდა ჟონავს პოეტის ლექსებიდან და ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობია მთაში, რადგან მედროვე ხელისუფლება მთაში ნორმალური ცხოვრების პირობებს კი არ უქმნიდა იქაურ მოსახლეობას, არამედ ბარში ჩამოსახლებისკენ მოუწოდებდა და ასე ცარიელდებოდა ზღაპრული საკურორტო ზონები: „ხდის ხეობიდან ცისფერ ზურგჩანთით ჩამომაქვს ჩემი პატარა სევდა, რომ ამოვახრჩო თერგში უჩუმრად დაცლილ სოფლების სიცარიელე“ (ხდის ხეობიდან).

„თოვლით აევსო გული ნასახლარს, ბუხარი ცხვირში დუმილს იხრჩოლებს“ – ასე ხატოვნად აღწერდა პოეტი დაცარიელებული მთის მდგომარეობას (შეციებით მთაში ღელეებს), როგორც ადრე ანა კალანდაძე, რომელმაც გულისტკივილით ათქმევინა გაუკაცურებული მთის სოფლის შვილს, უადამიანო სივრცეში „...რა გვიჭირს? არც ისე მარტო ვართ: დათვი... ქე გვაკითხავს ხანდახან“...

ბეჟან ხარაიშვილის გაუნელებელი დარდი იყო მესხეთ-ჯავახეთში ქართველთა მცირერიცხოვნება, დაკარგული ტაო-კლარჯეთი, დიდი თურქობა, მთად ამართული საზღვარი ქართულ ტერიტორიებთან: „... და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის, მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე, ჯიშთან ძვლებზე მკბენდეს სიცივე... და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო, გადამავინყე დიდი თურქობა, გადმიშვი მთაო!“ (მე მივდიოდი საქართველოს გამობრულ გულში).

პოეტის მიერ „საქართველოს“ გულზე საუბარი გვახსენებს უდიდესი პატრიოტის — გიორგი ლეონიძის სიტყვებს: „ახლოს მოინი, სამშობლოს გულს“.

ბეჟან ხარაიშვილის შთაგონება ახალ-ახალ იმპულსებს იღებდა მთაში. პოეტს უვლია დიდი ვაჟას, ანა კალანდაძის ნავალ გზებზე, ფოლკლორულ ექსპედიციებზე სვანეთში, ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში.

ლექსში „არაგვს“ — არაგვი მოხსენებელია, როგორც „ფშავ-ხევსურთა გიჟი ქალწული“: „შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშენის მტკვართან ნაწლობა, ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა, თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა, სვეტიცხოველთან, ჯვართან“.

ლაშარგორის კაი ყმათა უსიტყვო საუბარი ესმის, იახსარზე საქართველოსთვის ჯვარცმული ჭაღარა ვეფხვის – დიდი ვაჟას ნაკვალევს ხედავს: „მითხარ, ლაშარქორს რაი ითქმების, კაი ყმათაგან, განა ენებით... იახსარს ფერდობს თუ კვლავ მიყვება ჭაღარა ვეფხვი სვენებ—სვენებით საქართველოზე ჯვარცმით!“



არაგვის ტალღა თითქოს ბუნების წიგნს ფურცლავს ხელით, პოეტი არა ლუდ—არყის სუნით, არამედ საქართველოს ეშხით ბარბაცებს: „მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვთ ლუდ-არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით, გიჟო ქალწულო, მარქვი!“ (არაგვს).

ჟინვალის წყალსაცავში დატყვევებული არაგვი, წყალქვეშ აღმოჩენილი საფლავები, თათრებისგან კი არა, მამულისგან ტყვედქცეული არაგვი და ლაშარის დუმილია პოეტის უკმაყოფილების მიზეზი ლექსში „ლუხუმმა კი არა“.

პოეტისათვის ხახმატი „მინის მზექალია“ და სიყვარულით ეთხოვება ხევის მყავე წყლის შხეფებს, ბენინას ნისქვილს, „არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას“, მთას და ხევსურ ქალს: „მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს, მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?“ (გამოთხოვება).

გერგეტის ტაძართან ცივი წყაროს ხმა ესმის, როგორც „ყაზბეგის ასულის“ – მყინვარის გულის კენტი სიმღერა, რაც სითამამეს ჰმატებს და სიმაღლეებს მიჰყვება „დაუდულარი ლექსების მაჭრით“ (გერგეტის ტაძართან).

ლექსში „ხევსურეთი“ ხევსური მოიაზრება, როგორც ეროვნული სულის, მამა-პაპის სისხლის მატარებელი ქართველი, ხმელი ნიფლის, ორწყალის ფონზე, სიკვდილის დასამარცხებლად შემართული: „ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური, ორივე წყალში ორჯერ ჩახედა, – შენ მამა-პაპის სისხლი მოგაქვის, – შემოდუდუნეს წყლებმა მკვახედა, ორწყალზე შედგა შემთვრალი ხევსური... ქარი ხმელ ნიფლის ტოტებს არხედა – ერთი მეც უნდა მაგკლა, სიკვდილო... თქვა და ჩანისლულ ხეებს გახედა“.

ხატობაში დაკლული უმანკო კრავის სისხლს რომ უყურებს, „საქართველოს სისხლიანი ავი წარსული წვეთ—წვეთ, თანდათან ჟონავს“ პოეტის თვალებიდან (ხატობაში).

მთავარია არა საკლავების დახოცვა და სისხლის დაღვრა უფლის სახელზე, არამედ ჭეშმარიტი რწმენა.

გვახსენდება ბიბლია: „შენი მინის პირველმონეული ნაყოფები მიიტანე უფლის, შენი ღვთის სახლში, ნუ მოხარშავ ციკანს დედამისის რძეში“ (დაბადება, 34,26) (93).

ესაიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „რას ვაქნევ თქვენს უზომო საკლავებს, ამბობს უფალი, გამძლარი ვარ თქვენი აღსავლენი კერძებით და კურატების ქონით. აღარ მსურს მოზრების, კრავებისა და ვაცების სისხლი!“

„... ხელები სისხლითა გაქვთ სავსე!“

„განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა“ (ესაია, I, 11,15,16).

ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულ პოეტს არ ავიწყდება გაკიცხოს ქართული ბედოვლათობა, რაც მასპინძლის ფუნქციის დავიწყებაში, სტუმრის უზომო გალაღებაში, მისთვის ყველაფრის უფლების მიცემაში გამოიხატება, ამას კი, საბოლოოდ, ძირძველ მოსახლეთა უფლებების შელახვა, უცხოთა მეტისმეტი მოძალევა მოსდევს: „ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი, ჩემს მაგიერ ჭურს რომ მიხდი მარანში, შეხვედრისას გზას რომ მითმო პირველად, მე ვტყუივარ, შენ კი არა ამამი“ (ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი).

ეს იყო ქართული მწერლობის რჩეულთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაზედაც გულწრფელად ნუხდა შოთა ნიშნიანიძე: „სტუმარს არათუ პატივი ვეცით, აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს, მაგრამ დედის რძე, ბუნების წესით, შვილებს ეკუთვნით მხოლოდ და მხოლოდ“ (სტუმარს არათუ პატივი ვეცით).

ეს გაუმართლებელი გულარხეინობა, მასპინძლის როლზე უარისთქმა, უცხოთა მოძალევა და მათი მოვლინება ქვეყნის ნამდვილი მეპატრონეებრივით შეუნიშნავი არ რჩებოდა გრიგოლ რობაქიძეს, ის თბილისს ბაბილონს უწოდებდა, („გველის პერანგი“) შოთა ნიშნიანიძეც ბაბილონის გოდლად ნათლავდა სამშობლოს. უფრო მეტი, ვულკანზე დგომას ადარებდა და ღმერთს შესთხოვდა: „ღმერთო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის, ვულკანზე შემდგარი საქართველო!“

ბეჟან ხარაიშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართული ეროვნული ფენომენის თავისებურება, რაც მტრის შემორიგების, მიტევების, პატიების გრძნობაში, ტოლერანტობაში გამოიხატება, ამიტომ ერის ამ თვისებათა განმასახურებელი, შეუნიშნავი უცხოელ დამპყრობლებს ჩვენს მიმართ გამოვლენილ ცოდვა-დანაშაულს, ეპატიუება რუსს, სპარსს, თურქს, ივნიყებს წარსულის მუხანათობებს და ასე მიმართავს ჩვენდამი არაკეთილმოსურნეობით გამორჩეულთ: „თასი ავა-

ვსოთ და ვთქვათ დიდება ქართული კერის... მე შენ გთხოვ, სპარსო, შემოხვალ როცა, მწარე სახელი შაჰ—აბასის არ გამახსენო და საქართველოს მინა-წყალი არ დამილოცო ურუსთაველოდ, უგიორგოდ და უარსენოდ... როგორც ვიყავ მასპინძელი, ისეთად ვრჩები“ (გპატიჟობთ ყველას).

პოეტს ძილს უფრთხობდა თურქეთისაგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთი, ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო, ვარძიასთან საშვის მოთხოვნა, მესხეთ-ჯავახეთში ქართველთა სიმცირე და ღმერთს ევედრებოდა სისხლიანი წარსულის დავინყებას, ჩვენი კანონიერი საზღვრების აღდგენას: „... გამაღვიწყე დიდი თურქობა, გადმიშვი, მთაო“ (მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში).

ჩვენი სავალალო წარსულის, ფეოდალური შუღლის, ქვეყნის უნიათო მესვეურთა წყალობით ჯერ სპარსეთში, მერე თურქეთში გადახვენილი გიორგი სააკაძის აჩრდილი არ ასვენებდა პოეტს.

სამშობლოს ინტერესებისთვის შვილის – პაატას შემწირველი დიდი მხედართმთავრის საქმეები აზრთა სხვადასხვაობას ინვეცს, მარადიული განსჯის, განქიქების თუ ბედის უკუღმართობის მსხვერპლად აღქმულია დღემდე.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები სად გვებადება?“

გრიგოლ რობაქიძე პოზიტიურ ჭრილში ახსენებდა გიორგი სააკაძეს და მრავალგზის ამახვილებდა ყურადღებას სიმბოლურ აქტზე — ამ ტრაგიკული პიროვნების მიერ ქართულ მიწაში გადატეხილ ხმაზე და ამ ხმლის გამთელებას უკავშირებდა ერის უკეთეს მომავალს.

კონსტანტინე გამსახურდია „კონდოტიერს“ უწოდებდა დიდ მოურავს. ასეთ ჭრილში გაიაზრებდა ამ პიროვნებას როსტომ ჩხეიძე.

ვასილ ბარნოვი, ანა ანტონოვსკაია, იოსებ სააკაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ნიკო ხერკელაძე მონივნებით საუბრობენ გიორგის დიდ მხედართმთავრულ გენიაზე, პატრიოტიზმზე და ეპოქის უკუღმართობით, ბაგრატიონთა უმადურობა-უსუსურობით ხსნიან როგორც ქვეყნის, ისე დიდი მოურავის ტრაგედიას.

გიორგი სააკაძის მიერ ალაჰის მსახურებას ფულის, განძის, ხარკის, ხათრის მოტივებით როდი ხსნის ბეჟან ხარაიშვილი, პირიქით, მრავალტანჯულ მამულიშვილად მიიჩნევს სამშობლოდან გადახვენილს და დიდი დიპლომატიის, ზღაპრული მამაცობის წყალობით სამშობლოსთვის შვილის – პაატას შეწირვის ხარჯზე სპარსეთის დამმარცხებელს მონივნებით ახსენებს: „... ენატრებოდა მცხეთა და მარტყოფი, გულმა ვერ გაუძლო მარტყოფნას, თმათა სითეთრე თმის წვერით ივარცხნა და მამულს შესწირა საკლავი კი არა, სხვა მკლავი კი არა, პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე“ (ფულისთვის კი არა).

სულისშემძვრელი, ქვეყნის მარადაქტუალურ პრობლემებზე მლალადებელი ლექსია ბეჟან ხარაიშვილის „მომიახლოვდი“.

სამწუხაროდ, საქართველოს არასოდეს ჰკლებია ქართველებით, ქართული მიწებით, ქართული საგანძურით, რწმენით მომაჭრე უკეთურნი, ყველაფერს რომ იმეტებდნენ პირადი კეთილდღეობის საფასურში.

მე-19 საუკუნის პოეტის – გრიგოლ ორბელიანის წერილებში გულისტკივილით არის გაცხადებული ქართველ თავადაზნაურთა ბედოვლათობა, რომლებიც ძირძველ ქართულ მიწებს დაუნანებლად ჰყიდნენ ყოველ გამვლელ-გამოვლელზე პირადი ანგარებით.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „იყიდება საქართველო“ უკვე ახალ დროში ამხელდა ქვეყნის ღალატის ტოლფას ქმედებას...

ეს პრობლემა, სამწუხაროდ, აქტუალური იყო საბჭოთა პერიოდში, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, როცა მოხდა ქართული სახელმწიფოს საზღვრების მოშლა, ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება და სოჭი-რუსეთის, საინგილო-აზერბაიჯანის, ტაშირის ოლქი სომხეთის, ტერიტორიაზე აღმოჩნდა ტაო-კლარჯეთს კი ადრიდანვე, მე-16 მე-17 საუკუნეებიდან თვალი დაადგა თურქეთმა. მამულიშვილური გრძნობის პოეტი ბეჟან ხარაიშვილი ვერ ურიგდებოდა ამ საბედისწერო პროცესებს და თავისი სახელი დაარქვა მოვლენებს: „მომიახლოვდი, როგორც არასდროს, მომიახლოვდი – ვყიდი ვარძიას, – ვყიდი ხერთვისს, – ვყიდი არხოტს და ვყიდი ხოშარას!“

გაყიდვა ნაგულისხმევია არა მარტო პირდაპირი გაგებით, არამედ იგულისხმება ეროვნული ფენომენისადმი ორგულება, ფერისცვალება.

ლექსის ლირიკული გმირი უპირისპირდება ამ თვითმკვლევლობის ტოლფას მოვლენას: „მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი, ისრაელი და მთელი კამბოჯა, მე საკუთარი დარდი გამბოჭავს, მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს, შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ, მე ამიტირდა მუხრანი, ანა“.

შემთხვევითი როდია ეროვნული იდეალების მედროშეების – მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის ხსენება ლექსში.

და ბოლოს: „მე რომ გავყიდო, იყიდი განა? მე რომ გავგიჟდე, მომკლავდი განა? მე თვალეზ-დათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი, მხრებჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი იმ პირველადქმნილ საოცრებაზე“ მომიახლოვდი).

როგორი იყო სამშობლოს მომავალზე პოეტის აზრი?

გრიგოლ რობაქიძე ქვეყნის ბედს არწივისა და ხობხის, მდევარისა – დევნილის ჭრილში გაი-აზრებდა (მცველნი გრაალისა).

გალაკტიონ ტაბიძე აჯამებდა ქვეყნისთვის თავსდამტყდარ უბედურებებს და ალვის ხის, მუხების, ბალის გადარჩენით მიგვანიშნებდა ერის მარადიულობაზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ გამუდმებულმა თავდაცვითმა ომებმა ქართველის სული შიშით, განსაცდელის მოლოდინით დადალა და მას მშვიდობის დროსაც ფათერაკები ელანდებოდა (ასპინძა).

გალაკტიონი აფრთხილებდა ერს: „შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანდა იქნება მე-რე... უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“ (მშვიდობის წიგნი).

გონიერი ადამიანები მიღწეულის გამო თვითკმაყოფილებას როდი ეძლეოდნენ, ძილ-ღვიძლში თუ სიკვდილის წინ გამუდმებით ფხიზლობდნენ, მაღალი, საქვეყნო იდეალებით სუნთქავდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი“ ძლევამოსილი, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული საქართველოს შემქმნელ დავით მეფეს სიკვდილის წინაც არ ასვენებდა საქვეყნო საფიქრალ-საზრუნავი და ძლევამოსილი სამშობლოს მესვეურს ტაოს კარს მომდგარ თურქთა ლაშქარი ელანდებოდა. ეს იყო მომავალში გენიოსური გადახედვა, გაფრთხილება, რომ მიღწეულით ტკობა, მოღუწება-მიძინება კი არა, გამუდმებული საფხიზლე-შემართებაა წარმატების გარანტი.

საფლავის მიწაზე, მარჯვენის მოჭრაზე რომ ფიქრობდა, ბეჟან ხარაიშვილს გზაზე ჩამორიგებული ხეები „მწვანე შუქნიშნად“ ესახებოდა, წინ მამულს, მის გასავლელ გზებს ჭვრეტდა: „...რა დროს სიკვდილია, კიდეც ერთგან გაჭრიან მიწას... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ... მწვანე შუქნიშნად ინთებიან, გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, წინ მამულია! (გაზაფხული).

საოცარი ლექსია ყყაყაჩოს წითელ ფურცლებზე დასმული შავი წერტილების სახეში ამოკითხული ქართველი კაცის სიცოცხლის განსაცდელები და მარადიულობა, აქაც არსებობის გარანტიაა ტყვია, ანუ გამუდმებული ბრძოლა, სიფრთხილე, როგორც ყოფილი, ისე მოსალოდნელი ფათერაკებიდან გამომდინარე: „ყყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე შავად ნაფერი შავი წერტილი, არა არის რა, თუ არა ტყვიით ქართველი კაცის სისხლში დასმული მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!“

ბრძოლებმა გადაარჩინა საქართველო და მისი არსებობის საფუძველი მომავალშიც ბრძოლები უნდა იყოს, არა ტყვიით, არამედ გონით, განჭვრეტით, სიბრძნით, ასეთია პოეტის დასკვნა ჩვენი ყოფნა—არყოფნის მარადიულ კითხვაზე.

ბეჟან ხარაიშვილი მორწმუნე პოეტი იყო, ზედმინეწვით იცნობდა ბიბლიას, იყო კარგი ანალიტიკოსი, ხედავდა, რომ მისი ხალხი აცდა ღვთიურ გზას, რის გამოც დაიმსახურა სასჯელი: „საქართველო უმძიმეს გასაჭირშია, მაგრამ უფრო დიდი უბედურება მოგველის, თუ დროზე არ გამოვფხიზლდებით და არ დავადგებით ჭეშმარიტ ღვთიურ გზას, რადგან ჩვენ ვართ უძველესი მართლმადიდებელი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნილხვედრი და თავის წიაღში ქრისტეს კვართის შემნახველი ერი, რაც ბევრ რამეს გვავალებს ღვთის წინაშე. ხოლო დღეს რაც ჩვენ თავზე ხდება, ეს არის სასჯელი იმ ცოდვის გამო, რაც ჩვენ ხალხში დაგროვილა!“

პოეტი მოუწოდებს მკითხველებს, მოუსმინონ ეზრა წინასწარმეტყველის სიტყვებს და ჩაუფიქრდნენ მის აზრს: „აჰა, შემოვიტან, ამბობს უფალი, დედამინაზე უბედურებებს, მახვილს, სიკვდილს, შიმშილს და განადგურებას, რადგან წაბილნა უკეთურებამ მთელი დედამინა და ზღვარს გადასცდა მისი მავნე საქმეები. ამიტომ, ამბობს უფალი, არ გაუფრუმდები მათ უღვთო საქმეებს, რასაც მკრეხელურად სჩადიან, აღარც მათ უკეთურობებს მოვითმენ. აჰა! უდანაშაულო და მარ-

თალი ხალხი მეძახის მე და მართალთა სულელები მეძახიან გამუდმებით. შურს ვიძიებ მათზე და უდანაშაულოთა მთელ სისხლს მოვკითხავ. ვაი წუთისოფელს და მისთა მკვიდრთა, რადგან მოახლოვდა მათი შემმუსვრელი მახვილი, სამტროდ აღდგება ტომი ტომის წინააღმდეგ და ხმალი იქნება მათ ხელში... აღარ შეიბრალებს კაცი თავის ახლობელს, მახვილი საიერიშოდ შეიქნება“.

ძვირფასო თანამემამულევე!, ასე მიმართავდა ბეჟან ხარაიშვილი თანამემამულეებს 1974 წელს, რითაც აშკარა ხდება, რომ იგი ჯერ კიდევ 30 წლის წინ გრძნობდა სამშობლოს მომავალ კატაკლიზმებს.

სამწუხაროდ, ბეჟან ხარაიშვილის პოეზიის ბევრი ნიმუში დაკარგულია, გაუჩინარებულია მისი ეროვნულ-რელიგიური, ფილოსოფიური პრობლემებისადმი მიძღვნილი რომანი „სად მარხია ძაღლის თავი“, რომელიც, მის მცნობთა აზრით, ახალი სიტყვა იქნებოდა ქართულ პროზაში, მაგრამ შემორჩენილი ლირიკა გვარწმუნებს მათი ავტორის განსაკუთრებულ ნიჭიერებაში, რითაც ის ჩვენი ლიტერატურის დიდ კლასიკოსთა რჩეულში იმკვიდრებს ადგილს მოკრძალებულად.

წინამურის ტრაგედიის მსხვერპლის – დიდი ილია ჭავჭავაძის მაღალმორალურ, მამულიშვილურ ფიქრებს ჰქონდა სამუდამო ადგილი ბეჟან ხარაიშვილის გულში, რადგან ის იყო ერის მამის ტრიადის – „ენა, მამული, სარწმუნეობა“ – ერთგული მსახური: „ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ და ბინდს გამოუკრთა მთანმინდის სანთელი, ანძა, რომელიც ეკრანზე აჩვენებდა სასწაულს კი არა, ყველაფერ იმას, რასაც ფიქრობდა კაცი წინამურთან, ცხრაასხუთი რომ ესროლეს გულში“ (ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ).



**Ratiani Lali**

*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*

#### SATZGEFÜGE MIT DEM MODALSATZ (Adverbialsatz der Art und Weise)



Der Modalsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion der Adverbialbestimmung der Art und Weise, verdeutlicht wie, auf welche Weise, unter welchen begleitenden Umständen das Geschehen des Hauptsatzes verläuft, beschreibt das Mittel, mit dem dieses Geschehen verwirklicht wird und veranschaulicht den Zustand des Subjekts im Hauptsatz. Die Modalsätze antworten auf die Fragen: **wie? auf welche Weise? auf welche Art?** z.B.

Romulus hatte den Platz abgesteckt und die Mauer vorgezeichnet, in dem er den Pflug rundherum führte. (R. Carstensen). – Auf welche Weise/Art hatte er den Platz abgesteckt und die Mauer vorgezeichnet?

Ihrer Stellung nach sind die Modalsätze überwiegend Nachsätze, seltener – Vorder- und manchmal auch Zwischensätze. z.B

Aber Bärlach runzelte die Stirn und bedauerte, indem er Frau Schönler nachdrücklich ansah. (Fr. Dürrenmatt).

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz unterscheidet man konjunktionale und relative Modalsätze. Die Konjunktionalsätze werden durch die Konjunktionen: **dass, indem, wobei, wie, als, (an)statt dass, ohne dass** eingeleitet. In konjunktionaler Verwendung tritt auch **kaum dass** auf. Es gibt zwei Arten von konjunktionalen Modalsätzen – positive und negative. Zu den positiven konjunktionalen Modalsätzen gehören: die **dass-, indem-, wie-, als-, kaum dass-, wobei-**Sätze, zu den negativen – **ohne dass – und (an)statt dass-**Sätze;

Jede von den genannten Konjunktionen erfüllt eine bestimmte Funktion. Gemäß dieser Funktion realisieren die Modalsätze im Rahmen der Grundbedeutung – die Art und Weise des Geschehensverlaufs

– auch einige Teilbedeutungen<sup>33</sup> z.B. die Konjunktionen: **dass**, **indem** verdeutlichen wie, auf welche Weise sich der Vorgang im Hauptsatz abwickelt. Dabei geben sie das Mittel an, mit dem ein bestimmter Erfolg erzielt wird. Der Hauptsatz mit einem **dass**-Nebensatz enthält oft die Korrelate: **damit**, **dadurch**. z.B.

Sie erheiterte den Alten **damit**, dass sie ihn an einen Jugendstreich erinnerte. (R. Klappenbach).

Was den **indem**-Nebensatz betrifft, so wird hier kein Korrelat gebraucht.z.B.

Er versuchte sich Einlass, indem er laut an die Tür klopfte. (R. Klappenbach).

Da die **dass/indem**-Nebensätze das Mittel angeben, mit dem ein bestimmter Erfolg erzielt wird, werden sie auch Instrumental-Modalsätze genannt.

Die Konjunktionen **wie** und **als** werden zum Vergleich des Geschehens/Zustands im Hauptsatz mit dem Geschehen/Zustand im Nebensatz verwendet. Verglichen werden auch ihre durch ein Adjektiv oder ein Adverb ausgedrückten Qualitäten. Die Konjunktion **wie** dient dem Vergleich des Verhältnisses der Gleichheit. Im Hauptsatz stehen die Korrelate: **so**, **genau so**. z.B.

Sein reges Interesse für sie blieb **genau so** scharf, wie es von Anfang an gewesen war.

Durch die Konjunktion **als** erfolgt der Vergleich des Verhältnisses der Ungleichheit. Wenn bei Bezeichnung der Ungleichheit die Nichtentsprechung der Geschehnisse im Haupt- und im Nebensatz zu unterstreichen ist, wird im Hauptsatz das Korrelat **anders** gebraucht.z.B.Gegenüber den Gästen benimmt er sich anders, als er sich üblich verhält.

Wenn aber die Nichtentsprechung der Qualitätsangaben hervorzuheben ist, so wird das Adjektiv/Adverb im Hauptsatz im Komparativ gebraucht.z.B.

Die Natur war hier viel **schöner**, als ich mir es vorgestellt konnte.

Die **wie**- und **als**-Nebensätze werden auf Grund ihrer vergleichenden Funktion auch Komparativ-Modalsätze genannt. Die Konjunktion **kaum dass** wird in der Bedeutung "fast ohne dass, so dass fast ... nicht" gebraucht. Sie unterstreicht, dass das Geschehen mit knapper Mühe verwirklicht wird.z.B.

Ich habe alle Namen vergessen, kaum dass ich mich noch an die Landschaft erinnere. (Duden).

Durch die Konjunktion **ohne dass** und **(an)statt dass** wird das Fehlen der mitwirkenden Gegebenheit ausgedrückt. Die **ohne dass**-Modalsätze weisen darauf hin, dass im Hauptsatz der Sachverhalt fehlt, das Geschehen oder den Zustand begleitet, etwas nicht eintritt, dass jemand etwas unterlässt, nicht tut.z.B.

Ohne dass der Hebel angerührt wurde, flammten die Scheinwerfer auf. (Duden).

Die Sätze dieser Art nennt man Modalsätze des fehlenden Begleitungsstandes.Die Konjunktion **(an)statt dass** verdeutlicht, dass die passende Handlungsweise fehlt und statt deren eine unpassende ausgeführt wird.z.B.

Anstatt dass er sich weiterbildet, verbummelt er seine Zeit. (R. Klappenbach).

Dementsprechend werden die **(an)statt**-Sätze als Modalsätze mit der unangemessenen Verhaltensweise anstelle der angemessenen verwendet. Die relativen Modalsätze werden durch das Relativadverb **wobei** eingeleitet.z.B.

"Das ist nicht meine Sache" sagte der Chirurg, wobei er dem anderen mit dem Ellbogen in die Seite stieß. (H. Mann)

Der übliche Modus der Modalsätze ist der Indikativ. Die Zeitformen des Konjunktivs II kommen meistens in den **ohne dass** und **(an)statt dass**-Nebensätzen vor und werden in ihrer absoluten zeitlichen Bedeutung gebraucht – das Präteritum Konjunktiv drückt die Gegenwart, das Plusquamperfekt – die Vergangenheit aus. Sie werden verwendet um die Nicht-Wirklichkeit des Nebensatzgeschehens zu unterstreichen.z.B.

Alle sagten: "Die Königin ist vergiftet", ohne dass sie erklären könnten, woher sie es hatten. (H. Mann).

Da der Gebrauch des Konjunktivs fakultativ ist, ist die Anwendung des Indikativs nicht ausgeschlossen.z.B.

Alle ihre Zukunftshoffnungen waren gefährdet, denn das Feuer brannte weiter, ohne dass man es eindämmen konnte. (R. Carstensen).

In den Satzgefügen mit den Modalsätzen können durch die Subjekte des Haupt- und des

---

<sup>33</sup> die Teilbedeutung = eine von mehreren Bedeutungen.

Nebensatzes entweder identische oder unterschiedliche Personen genannt werden. Die Identität der Subjekte ist meist in den Satzgefügen mit den **indem/wobei**-Modalsätzen festzustellen. z.B.

**Sie** spart viel Geld, indem **sie** den größten Teil der Arbeit selbst macht.

In den Satzgefügen mit den **wie/als**-Nebensätzen können die Subjekte sowohl eine, als auch unterschiedliche Personen nennen. z.B.

**Er** arbeitet am Ende des Schuljahres genau so fleißig, wie **er** im Jahresablauf gearbeitet hat. **Er** arbeitet am Ende des Schuljahres genau so fleißig, wie **seine Schulkameraden** im Jahresablauf gearbeitet haben.

In den **ohne dass** – Modalsätzen bezeichnen die Subjekte im Haupt- und im Nebensatz gewöhnlich verschiedene Personen. z.B.

.Am nächsten Morgen trat Tony in die Allee hinaus, und wartete fünf Minuten, ohne dass Julchen gekommen wäre. (Th. Mann).

Seltener werden die Subjekte des Haupt- und des Nebensatzes durch eine und dieselbe Person dargestellt. z.B.

**Sie** hat sich sehr angestrengt, ohne dass **sie** als Belohnung etwas bekommen hätte.

In den Satzgefügen mit **(an)statt dass** – Modalsätzen treten im Haupt- und im Nebensatz meistens identische Subjekte auf. z.B.

(An)statt dass er sich ein wenig erholt, fährt der junge Finanzmann ins Ausland wichtige Geschäfte erledigen.

Die Modalsätze können durch bestimmte synonymische Strukturen ersetzt werden. Als solche gelten: – **Partizipialgruppen mit dem Partizip 1**. z.B.

Unser Hund trifft mich immer vor der Tür, **wobei er mit dem Schwanz wedelt**. = Unser Hund trifft mich **mit dem Schwanz wedelnd** immer vor der Tür.

Die Umwandlung des Modalsatzes in die Wortgruppe mit dem Partizip 1 ist meistens bei den Nebensätzen möglich, die durch **indem/wobei**-Konjunktionen eingeleitet werden. Diese Transformationsart lässt sich sowohl bei transitiven, als auch bei intransitiven Verben feststellen. Die Identität der Subjekte im Haupt- und im Nebensatz ist obligatorisch. z.B.

Mein Vater hört mir nur mit halbem Ohr zu, indem er in der Zeitung etwas Interessantes **liest**. = In der Zeitung etwas Interessantes **lesend**, hört mir mein Vater nur/mit halbem Ohr zu.

Die Wortgruppe mit dem Partizip 1 weist auf einen aktiven Vorgang hin. Auch die ganze Aussage mit dieser Gruppe gewinnt an Aktivität. – **Partizipialgruppen mit dem Partizip 2**. z.B.

Die alte Frau liegt in ihrem ungeheizten Zimmer, **wobei sie die Decke bis über den Kopf gezogen hat**. = Die Decke **bis über den Kopf gezogen** liegt die alte Frau in ihrem ungeheizten Zimmer.

Die Transformation des Modalsatzes in die Wortgruppe mit dem Partizip 2 ist in den Satzgefügen mit den **indem/wobei**-Modalsätzen ausführbar. Bei der Umformung dieser Art nimmt die Aussage einen passiven Charakter an. Das steht damit zusammen, dass die Wortfügungen mit dem Partizip 2 immer auf die Passivität des Verhaltens hinweisen.

Die Umwandlung des **indem/wobei**-Nebensatzes in die Partizipialgruppe mit dem Partizip 2 ist nur bei den transitiven Verben und der Identität der Subjekte im Haupt- und im Nebensatz möglich.

Obligatorisch ist im zu transformierenden Satz auch das Vorhandensein des direkten Objekts, bei dem im transformierten Satz die Wortgruppe mit dem Partizip 2 als Adverbialbestimmung der Art und Weise auftritt. z.B.

Er marschierte in der Kolonne der Demonstranten, wobei er **die Nationalflagge hochgezogen hat**. = Er marschierte **die Nationalflagge hochgezogen** in der Kolonne der Demonstranten.

Selten werden die **ohne dass**-Modalsätze der Umwandlung dieser Art unterworfen, wobei der Partizipialgruppe die Negation **nicht** zugefügt wird. z.B.

Er ging an mir vorbei, ohne dass er mich ansah. = Mich nicht ansehend, ging er an mir vorbei.

– **Der absolute Akkusativ**. z.B.

Der Kleine läuft in die Schule, **wobei er die Bücher unter dem Arm hält**. = Der Kleine läuft in die Schule die Bücher unter dem Arm.

Dieser Umwandlung unterliegen die **indem/wobei**-Nebensätze. Im zu transformierenden Nebensatz

treten überwiegend die Verben des Habens, Besitzens, die im transformierten Satz weggelassen werden.  
z.B

Sie weinte bitter, **indem** sie das Gesicht in den Händen hielt. = Sie weinte bitter das Gesicht in den Händen.

– **Präpositionalgruppen mit den Präpositionen mit, durch.** Der Gebrauch einer von diesen Präpositionen steht damit zusammen, was im Nebensatz zu unterstreichen ist – wenn im Nebensatz der durch das Substantiv dargestellte Gegenstand – das Objekt betont wird, so wird es in dem **umgeformten** Satz mit der Präposition **mit** gebraucht.z.B.

Das Kind kehrte von der Wanderung zurück, **wobei** es einen Blumenkranz auf dem Kopf trug. = Das Kind kehrte von der Wanderung **mit einem Blumenkranz auf dem Kopf** zurück.

Bei der Umformung dieser Art wird das Prädikat-Verb im Nebensatz weggelassen. Wenn aber im Nebensatz der durch das Verb ausgedrückte Vorgang hervorgehoben wird, so bleibt das Verb in substantivierter Form erhalten und tritt mit der Präposition **durch** auf.

Er wird überall bekannt, **indem** er diese kühne Tat ausgeführt hat. = Er wird durch die Ausführung dieser kühnen Tat überall bekannt.

Die negativen **ohne dass**-Modalsätze werden durch die Infinitivgruppe mit **ohne ... zu** ersetzt. z.B

Der Junge beendete sein Studium im Ausland, **ohne dass** er von seinen Eltern finanzielle Unterstützung hatte. = Der Junge beendete sein Studium im Ausland, **ohne** finanzielle Unterstützung von seinen Eltern **zu haben**.

Analogisch werden die **anstatt dass**-Nebensätze durch die Infinitivgruppe mit **statt ... zu** ersetzt. z.B.

**Anstatt dass** der Augenzeuge alles wahrheitsgetreu beschreibt, führt er die Polizei auf die falsche Spur. = **Statt** alles wahrheitsgetreu **zu beschreiben**, führt er die Polizei auf die falsche Spur.

Diese Transformationsart ist nur bei identischen Subjekten im Haupt- und im Nebensatz möglich.

Die strukturell-semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion der Adverbialbestimmung der Art und Weise durch einen Nebensatz bedingt, können als strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

**I**

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ Korrelat	+ dass/indem-NS
<i>(Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung)</i>	<i>(Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes, Indikativ)</i>	<i>(Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung)</i>	<i>(damit dadurch)</i>	<i>(Art und Weise des Geschehens, Benennung des Mittels)</i>

Unser Volk erreicht den besseren Lebensstandard, **indem** es zielstrebig und gewissenhaft arbeitet.

**II**

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ Korrelat	+ wie-NS
<i>(Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung)</i>	<i>(Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes Indikativ)</i>	<i>(Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung)</i>	<i>(so, genau so)</i>	<i>(Art und Weise Vergleich von gleichwertigen Vorgängen, Zuständen, Qualitäten)</i>

Wir verbringen diesen Sommer **genau so, wie** wir es uns im Voraus vorgestellt haben.

III

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ Korrelat	+ als-NS
<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes Indikativ</i>	<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>anders</i>	<i>Art und Weise Vergleich von nichtgleich- wertigen Vorgängen</i>

Die Sache verhält sich **anders, als** du es gehnt hat.

IV

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ Korrelat	+ als-NS
<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes - Indikativ</i>	<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Adj. Adv.- Komparativ</i>	<i>Art und Weise Vergleich von nichtgleich- wertigen Qualitäten</i>

Er behandelte diesen armen Menschen **verächtlicher, als** er jemanden irgendwann behandelt hatte.

V

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ ohne dass-NS
<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes Indikativ/ Konjunktiv</i>	<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>fehlender Begleitungs- umstand</i>

Heimlich betrachtete ich meinen Partner, **ohne dass** er es bemerkte.

VI

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+ (an)statt dass-NS
<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes Indikativ/ Konjunktiv</i>	<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Ersatz der Verhaltensweise</i>

Er beschloss sich darin selbst auszukennen, **(an)statt dass** er sich mit seinem Problem an jemanden wandte.

VII

HS-Subjekt	+ Prädikat	+ (Objekt)	+wobei -NS
<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes</i>	<i>Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung</i>	<i>Art und Weise des Geschehens</i>



**Das Kind stand da mit gesenktem Kopf, wobei es nicht den leisesten Laut sich hören lässt.**

**Modalsatz  
Fragen zur Selbstkontrolle**

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Modalsatz? 2. Was bezeichnet der Modalsatz? 3. Auf welche Fragen antworten die Modalsätze? 4. Welche Arten von Modalsätzen unterscheidet man nach ihrer Stellung? 5. In welche Gruppen werden die Modalsätze nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz eingeteilt? 6. Durch welche Konjunktionen werden positive/negative Modalsätze eingeleitet? 7. In welcher Funktion treten die Konjunktionen: **dass**, **indem** auf? 8. Welche Korrelate enthält der Hauptsatz vor dem **dass**-, **indem**-Nebensatz? 9. Was ist der Unterschied zwischen den **wie**- und **als**-Nebensätzen? 10. Welche Korrelate werden im Hauptsatz vor dem **wie**-Modalsatz gebraucht? 11. Durch welches Korrelat wird das Verhältnis der Ungleichheit der Geschehnisse im Haupt- und im Nebensatz hervorgehoben? u.v.a.

**Modalsatz  
Übungen**

**1. Stellen Sie die Fragen zu den Nebensätzen.**

1. Sie plauderten gemütlich miteinander, ohne dass sie in der vornehmen und unbeweglichen Gestalt einen Toten erkannt hätten. (Fr. Dürrenmatt). 2. Vielmehr übergab der arme Antonie ihre Befehle, wobei er glaubte es seien seine eigenen. (H. Mann). 3. Ohne dass der Hebel angerührt wurde, flammten die Scheinwerfer auf. (Duden). 4. Er stand da und umklammerte die Waffe, kaum dass er fühlte den kalten Schweiß über seinen Nacken fließen. (Fr. Dürrenmatt). 5. Hierauf stellte er die Fragen über den Garten und über die Lebensverhältnisse des Gärtners, wobei er weiterraß. (H. Mann). 6. Er hat mich besucht, ohne dass ich ihn eingeladen hätte. (Duden). 7. Romulus erwies sich als überlegendärer Feldherr, indem er die Feinde in einen Hinterhalt lockte. (R. Carstensen).

**2. Welche von den angeführten Sätzen sind Modalsätze?**

1. Da lief der Räuber so schnell, wie er konnte, zu seinem Hauptmann zurück. (Brüder Grimm). 2. Der Ältere schüttelte den Kopf, indem er den Knaben mitleidig betrachtete. (H. Mann). 3. Nun kam es aber, dass die von der Religion geschlagen wurden. (H. Mann). 4. Diese Antwort wurde von Boisen sachlich, unpersönlich, wie das in einer Armee zu geschehen pflegt, gegeben. (W. Bredel). 5. Remus scheute sich nicht, dem Bruder das allzudeutlich vor Augen zu führen, indem er über die angefangene Mauer hinübersprang. (R. Carstensen). 6. Sie möchte sagen, dass sie auch Kohldampf hat, schon seit Tagen. (H. Fallada). 7. Er arbeitete sehr eifrig, ohne dass er erwünschte Resultate gehabt hätte. (Wahrig).

**3. Bilden Sie aus jedem zweiten Satz einen positiven Modalsatz. Gebrauchen Sie möglicherfall das passende Korrelat.**

1. Der Kranke nimmt die Arznei am Tage dreimal an. Der Arzt hat ihm sie so verordnet. 2. Man vertieft die Kenntnisse. Man arbeitet intensiv an sich selbst. 3. Das Grundstück kostet mehr. Man hat es zu niedrig bewertet. 4. Das Werk hat positive Resultate erreicht. Es nutzt dabei die Technik der Neuzeit aus. 5. In Geldsachen ist er sparsam. Sein Vater war seinerzeit auch so sparsam. 6. Sie traf den Sohn mit ausgestreckten Armen. Dabei liefen ihr die Tränen der Freude über die Wangen. 7. Hier kommt alles anders. Man hat es uns nicht so geschildert.

**4. Verbinden Sie die Sätze zu dem Satzgefüge mit einem negativen Modalsatz.**

**Beachten Sie dabei den Gebrauch des Modus.**

1. Die Alte weinte bitter. Sie konnte ihre seelischen Regungen nicht verbergen. 2. Er konnte sich enthalten. Er schrie aber vor glühender Begeisterung aus vollem Halse. 3. Sie kann sich mit etwas beschäftigen. Sie sitzt aber den ganzen Tag am Fenster schweigend. 4. Er schenkte mir die neue Ausgabe von Goethes Schriften. Ich habe ihn darum nicht gebeten. 5. Das Kind hat die ersten Schritte gemacht. Die Mutter hat ihm dabei nicht geholfen. 6. Sie konnte sich ordentlich ausschlafen. Aber sie ist schon um sechs auf den

Beinen. 7. Sie kann ihre Freizeit umsonst vergeuden. Sie hilft aber unentgeltlich den Erzieherinnen im Waisenhaus.

**5. Ergänzen Sie den angegebenen Hauptsatz durch einen positiven Modalsatz.**

1. Sein Gesundheitszustand ist heute viel besser, als ... .. 2. Ich gratuliere meinen Eltern zu Weihnachten, wobei ... .. 3. Er ist zu Jung, kaum dass ... .. 4. Sie wickelte das Päckchen schnell aus, indem ... .. 5. Er benahm sich so, wie ... .. 6. Seine Leistungen zeichneten sich dadurch, dass ... .. 7. Der Arzt untersuchte den Patienten, wobei ... ..

**6. Ergänzen Sie den angegebenen Hauptsatz durch einen negativen Modalsatz.**

1. Er betrachtete die Zwillinge aufmerksam, ohne dass ... .. 2. Der Junge faulenzte die ganzen Tage, (an)statt dass ... .. 3. Seit einem Jahr wohnt er nicht mehr bei den Eltern, ohne dass ... .. 4. (An)statt dass ... , überwinden ihn innere Hemmungen. 5. Er setzte den Kampf fort, ohne dass ... .. 6. Er sollte lieber arbeiten, (an)satt dass ..... 7. Ich habe ihn gekränkt, ohne dass ... ..

**7. Vervollständigen Sie die angegebenen Nebensätze durch passende Hauptsätze.**

1. ... .., als sie in den Wochentagen ist. 2. ... .., indem er kein einziges Mal steckte. 3. ... .., dass an den Fenstern außergewöhnlich schöne Gardinen hingen. 4. ... .., (an)statt dass man anstandshalber ruhig applaudiert. 5. ... .., ohne dass sie ihre Glaubwürdigkeit geprüft hatte. 6. ... .., dass man ihn wieder erkennen konnte. 7. ... .., wie man ihm verspricht.

**8. Ersetzen Sie die Nebensätze durch die Wortgruppen mit dem Partizip 1.**

Muster: Er spricht mit den Kollegen über seinen tiefen Eindruck von dem Gemälde, wobei er es weiter betrachtet. = Er spricht mit den Kollegen über seinen tiefen Eindruck von dem Gemälde es weiter betrachtend.

1. Der junge Mann geht jeden Tag in den Park spazieren, indem er ein hübsches Mädchen an dem Arm führt. 2. Den ganzen Vormittag bleibt der Chefarzt in seinem Zimmer sitzen, wobei er sich seinen Entschluss genau überlegt. 3. Unsere Opponenten äußern die gegenseitige Meinung, wobei sie ihre Gerechtigkeit behaupten. 4. Der Lehrer lässt den Schüler einen ziemlich schweren Text übersetzen, wobei er ihm ab und zu hilft. 5. Die Kollegen hörten ihm aufmerksam zu, wobei sie miteinander flüchtige Blicke wechselten. 6. Der Reporten führte mit dem Minister ein Interview, indem er an ihn Fragen über Fragen stellte. 7. Der Rechtsanwalt verteidigt den Angeklagten, indem er seine Unschuld unter Eid bezeugt.

**9. Ersetzen Sie die Nebensätze durch die Wortgruppen mit dem Partizip 2.**

Muster: Die Frau deckte ein frisches Tischtuch auf, wobei sie kleine Falten mit der Hand geglättet hat. = Kleine Falten mit der Hand geglättet deckte die Frau ein frisches Tischtuch auf.

1. Die Seilbahn wird in Betrieb gesetzt, wobei sie noch einmal gründlich geprüft worden ist. 2. Sie sitzt ganz still am Fenster, wobei sie die Ellbogen auf das Fensterbrett gestützt hat. 3. Er vermeidet den Zusammenstoß mit dem entgegenkommenden Wagen, wobei er nach rechts abgebogen ist. 4. Er übersetzt einen kurzen Text, wobei er jedes Wort im Wörterbuch geprüft hat. 5. Der Ankläger fordert für den Angeklagten zehn Jahre Haft, indem er alle untrüglichen Beweise beigebracht hat. 6. Er findet seine Ruhe wieder, wobei er seine Frau durch seine Großzügigkeit beschämt hat. 7. Der Untersuchungsrichter fragte den Verbrecher über das Delikte genau ab, indem er ihn neugierig betrachtet hatte. 8. Er atmet erleichtert auf, wobei er seine Pflicht erfüllt hat.

**10. Transformieren Sie die negativen ohne dass und anstatt dass-Modalsätze in die Infinitivgruppen mit ohne ... zu, statt... zu.**

1. Der Lehrer gab sich mit den leistungsschwachen Schülern große Mühe, ohne dass er irgendwelche Resultate hatte. 2. Sie glaubt immer geschmackvoll gekleidet zu sein, ohne dass sie eine große Sicherheit in den Fragen des Geschmacks hätte. 3. Oft wollen die Menschen ihre Rechte haben, anstatt dass sie auch ihre Pflichten erfüllen. 4. Durch sein benehmen beleidigt er seine junge Begleiterin, ohne dass er selbst irgendwelche seelische Schmerzen spürte. 5. Der Diplomand verbraucht die kostbare Zeit, anstatt dass er seine Diplomarbeit anfertigt. 6. Anstatt dass er seinem alten Großvater bei der Arbeit hilft, spielt er mit den

Kindern im Hof. 7. Man kann mit ihm über dieses schreckliche Ereignis nicht sprechen, ohne dass man ihm einen seelischen Schmerz zufügt.

**11. Ersetzen Sie in den angegebenen Sätzen den absoluten Akkusativ durch den passenden Modalsatz.**

Muster: Onkel Nikolaus kommt zu den Kindern einen Sack mit Weihnachtsschenken auf dem Rücken. = Onkel Nikolaus kommt zu den Kindern, wobei er einen Sack mit Weihnachtsgeschenken auf dem Rücken trägt.

1. Die Geige und den Bogen in der Hand betrat der Junge schüchtern die Bühne. 2. Keinen Cent in der Tasche bummelte er durch die Straßen und sah sich schöne Schaufenster an. 3. Unser neuer Chef sitzt an seinem Arbeitstisch den Kopf gedankenvoll in den Händen. 4. Einen heiteren Ausdruck auf dem Gesicht schreitet der Kleine stolz neben seinem Vater. 5. Das Gesicht in den Händen stand ein liebes Mädchen weinend vor dem Haus. 6. Er läuft mir entgegen die Hände voller Geldscheine. 7. Der Polizist führe eine alte Frau über die Straße den Arm behutsam über ihrn Schultern.

**12. Transformieren Sie die Modalsätze in die entsprechenden Präpositionalgruppen. Beachten Sie den richtigen Gebrauch der Präpositionen "mit" und "durch"**

Muster: Er hat uns sehr geholfen, wobei er uns einen weisen Rat gegeben hat. = Er hat uns **mit** seinem weisen Rat sehr geholfen.

Wir erreichen das erwünschte Resultat, wobei wir all unsere Kräfte konzentriert haben. = **Durch** die Konzentration all unserer Kräfte erreichen wir das erwünschte Resultat.

1. Er sitzt im Sessel regungslos, wobei er das Arzneimittel gegen den schwachen Herzschlag unter der Zunge hält. 2. Ich habe das Projekt bis zu Ende geführt, wobei ich mir die große Mühe genommen habe. 3. Er glaubt die Aufmerksamkeit der Vorübergehenden auf sich zu ziehen, wobei er immer lauter singt. 4. Er nimmt dieses Projekt in Angriff, in dem er einen kühnen Gedanken im Kopf festhält. 5. Diese Frau ist mit allem versorgt, indem sie Tag und Nacht mühsam arbeitet. 6. Diese Musik klingt imposanter, wobei sie in eine andere Tonart umgesetzt wird. 7. Die Hilfsorganisation bringt die Bevölkerung in die Sicherheit, wobei sie sie mit Nahrungsmittel versorgt hat.

**13. Übersetzen Sie ins Deutsche.**

1. ძირეული ცვლილებების ჩატარების ნაცვლად, მთავრობა ყველაფერს ძველებურად ტოვებს. 2. ჩვენი მეგობარი სავადმყოფოში მოვიწახულებთ, ისე რომ მისი ექიმისთვის უფლება არ გვითხოვია. 3. ის-ის იყო მატარებელი შემოვიდა, რომ ჩვენც სადგურში მივედით. 4. ის წყვეტს მუშაობას, ნაცვლად იმისა, რომ ბოლომდე მიიყვანოს ის. 5. მან მთელი დღე ლოგინში გაატარა, თანაც გულში გამუდმებით საშინელ ჩხვლეტებს გრძნობდა. 6. რექტორატი მაღალ შეფასებას აძლევს ამ სტუდენტს, თანაც უზრუნველყოფს მას სახელობითი სტიპენდიით. 7. ახალი მოსწავლე ბევრად იმაზე ბეჯითია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

**14. Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die Sätze.**

1. Anstatt dass er sich vorwärts bewegt, tritt er einen Schritt zurück. (G. Kellermann). 2. Du bist nicht so lahm, als du hinkst. (Brüder Grimm). 3. Er hat, wie er selbst sagte, sein ganzes Geld verbaut. (G. Kellermann). 4. Anstatt dass er dem alten Glauben weiter anhing, hatte er sich zu dem Prophet Mohammed bekannt (G. Kellermann). 5. Ich habe meinen Mann auf dem Altar des Vaterlands geopfert, wie es auch alle Kriegswitwen gemacht haben. (L. Frank). 6. "Ich komme diesmal aus Paris" erwiderte er, ohne dass er sich umblickte. (G. Kellermann). 7. Er fragte, indem er stehenblieb und Xaver zublinzelte. (G. Kellermann).

**ლალი რატინი**

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები ვითარების გარემოებით  
დამოკიდებულ წინადადებებში  
რეზიუმე**

ქვეყნობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ ვითარების დამოკიდებული წინადადებების დანვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და მათი განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი მიზეზის დამოკიდებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სინელების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა

ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

**Lali Ratiani**

**Structural – semantic Models in the adverbial subordinate Clause  
Summary**

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural – semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a adverbial subordinate clause, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on subordinate clause taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.



**ქეთევან ცაბაძე**



**პროფესიული განათლების ფინანსების ორგანიზების  
საქციტიკა თანამედროვე ეტაპზე**

მიმდინარე ეტაპზე, საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ პროფესიული განათლების ფინანსები მიეკუთვნება არაკომერციულ სფეროს. ამასთან, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შესაძლოა ჰქონდეთ საკუთრების ნებისმიერი ფორმა (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო) და ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია არაკომერციული ორგანიზაციებისთვის. ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს დანესებულება.

სახელმწიფო და მუნიციპალური საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებს ძირითადად წარმოადგენენ საბიუჯეტო სახსრები და კომერციული ჯგუფების სტუდენტების სწავლის გადასახადი. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ორგანიზაციები ბუღალტრულად აწარმოებენ ორ პარალელურ ბალანსს: საბიუჯეტო აღრიცხვით და ბუღალტრული აღრიცხვის ჩვეულებრივი სქემით, რომელიც მიღებულია მეურნე სუბიექტებისთვის. როგორც წესი, საბიუჯეტო დაფინანსების წილი უფრო დაბალია, ვიდრე კომერციულის. არასახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია, პირველ რიგში, საგანმანათლებლო მომსახურების განვითარების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსულობები, ხოლო აკრედიტირებულებისთვის შესაძლებელია დამატებითი წყაროს არსებობა საბიუჯეტო დაფინანსების სახით.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსებზე საერთო ფაქტორების (მეურნეობრიობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დარგობრივი ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებები) გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს:

ა. ობიექტური ხასიათის ფაქტორები. მათ შეიძლება მიეკუთვნოს სოციალური ფაქტორები, მოცემული რეგიონის ან ქალაქის დემოგრაფიული პირობები, კლიენტთა (შემსწავლელთა) გადახდისუნარიანობის დონე, მაკროეკონომიკური ფაქტორები;

ბ. სუბიექტური ხასიათის ფაქტორები, ანუ შესაძლო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა საშუალებით შეიძლება საბოლოო ჯამში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ მაჩვენებელზე ზემოქმედება. მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროში სუბიექტური ფაქტორები შესაძლოა იყოს:

- პროფესიული მომზადების რეალიზებადი პროგრამები და მიმართულებები;
- საგანმანათლებლო პროცესის კომპიუტერიზაციის, ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებები;
- ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები (მაგალითად, ბრძანება სწავლის გადასახადის დადგენის შესახებ, ხელშეკრულებები იურიდიულ პირებთან სტუდენტების მიერ პრაქტიკების გავლის თაობაზე და სხვა);

- სასწავლო პროცესის გრაფიკების და სასწავლო გეგმების ოპტიმიზაცია და ა. შ.

ეს და სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ ფინანსების მართვას და ორგანიზაციას პროფესიული საქმიანობის მოცემულ სფეროში. ფინანსური ურთიერთობების ძირითად მონაწილეებს, პირველ რიგში, სტუდენტები, საგანმანათლებლო ორგანიზაციის პერსონალი (მასწავლებლები, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, დამხმარე პერსონალი და სხვა) და საგადასახადო ორგანოები წარმოადგენენ. საგანმანათლებლო საქმიანობის დაფინანსებისთვის სახსრების უკმარისობა საგანმანათლებლო ორგანიზაციებს აიძულებს შევიდნენ ფინანსურ ურთიერთობებში ბაზრის სხვა სუბიექტებთან, კერძოდ, სადაზღვევო კომპანიებთან (საგანმანათლებლო დაზღვევა), ბანკებთან (კრედიტების აღება), ინვესტორებთან (საგანმანათლებლო სერტიფიკატები, თამასუქები, ობლიგაციები), ასევე მოძებნონ დაფინანსების სხვა ლეგალური წყაროები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციის ხარჯები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

1. პროფესიული განათლების დანესებულების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მათ შორის:

- შტატის მასწავლებლების, შემთავსებელ-მასწავლებლების;
- ადმინისტრაციის მუშაკების;
- სასწავლო-დამხმარე პერსონალის;
- დანამატები შრომის ანაზღაურებაზე.

2. გადასახადები, მოსაკრებლები, გადარიცხვები მიზნობრივ ფონდებში, მათ შორის ბიუჯეტში.

3. აღჭურვილობის შენახვის და გამოყენების ხარჯები:

- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების და მიმდინარე რემონტის, სწავლების ტექნიკური საშუალებების შენახვის ხარჯები;

- გამამრავლებელი ტექნიკის რემონტის და შენახვის ხარჯები;

- სასწავლო ავეჯის რემონტის და შენახვის ხარჯები;

- ელექტროენერჯის გადახდის ხარჯები;

- სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა აღჭურვილობის შენახვის ხარჯები;

- ინტელექტუალური აქტივების ღირებულების ამორტიზაცია.

4. ხარჯები შენობების, სასწავლო და დამხმარე ფართების შენახვაზე:

- იჯარის გადასახადი;

- შენობების სასწავლო და დამხმარე ფართების მიმდინარე რემონტის ხარჯები;

- რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები;

- სასწავლო და დამხმარე ფართების დალაგების ხარჯები;

- კომუნალური მომსახურების, განათების ხარჯები;

- დაცვის და სახანძრო სიგნალიზაციის ხარჯები.

5. მიზნობრივი ხარჯები:

- სასწავლო ლიტერატურის შეძენის ხარჯები;
- დამხმარე მეთოდური მასალების, დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადების და გამოცემის ხარჯები;
- საკანცელარიო ხარჯები, დოკუმენტების ბლანკების შეძენა;
- სამივლინებო ხარჯები;
- ხარჯები ელექტროკავშირისთვის;
- გარკვეული სახის მეცადინეობების ჩასატარებლად სპეციალური ფართების იჯარის ხარჯები.

6. ერთჯერადი ხარჯები:

- სასწავლო აღჭურვილობის, მათ შორის სპეციალური ლაბორატორიული აღჭურვილობის, სადემონსტრაციო სტენდების ერთჯერადად შეძენის და განვითარების ხარჯები;
- სასწავლო ავეჯის ერთჯერადად შეძენის ხარჯები;
- სასწავლო ფართებისთვის დამხმარე აღჭურვილობების შეძენის ხარჯები;
- საკუთარი შენობების რემონტისთვის კაპიტალური ხარჯები.

7. დამატებითი ხარჯები:

- საკუთარი ან იჯარით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენახვის ხარჯები;
- დამატებითი სამივლინებო ხარჯები (მეცადინეობების სხვა ქალაქში ჩატარებისთვის);
- კონფერენციების, სამეცნიერო თათბირების ჩატარების ხარჯები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის ატესტაციის, ლიცენზირების, განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების და მივლინების ხარჯები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსების მართვასთან დაკავშირებით ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულების და ფასის, როგორც მთავარი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების მართვა. მოკლედ დავახასიათოთ ამ პრობლემის არსი.

აღნიშნული მაჩვენებლების მართვა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად სტადიებს (ეტაპებს):

- ფინანსური ანალიზი (განმსაზღვრელი ფაქტორების, თვითღირებულების და ფასის სტრუქტურის, ხარჯების მუხლების ცვლილების დინამიკის და ა. შ. ანალიზი);
- ფინანსური დაგეგმვა (პირველ რიგში შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენა, საგანმანათლებლო მომსახურების კალკულაცია, შემოსულობების და გადახდების გრაფიკი და ა. შ.);
- მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზაცია და მათი შედეგების ანალიზი.

თვითღირებულების და ფასის ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილებისთვის, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან. მათთვის აღნიშნული ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძირითადი საშუალება კლიენტისთვის (სწავლის მსურველისთვის) კონკურენტულ ბრძოლაში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (შემსწავლელთა შესაძლო ბევრი ოდენობის მოზიდვის მიზნით) შეიძლება გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა. და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს შემსწავლელთა მკვეთრი გადინება სხვა დაწესებულებებში მათი გადასვლის გამო. როგორც შედეგი – ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგრადობის შესაძლო დაკარგვას.

ზოგადად, საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური სტრატეგიის და იმავდროულად საფასო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სწავლების ფასის ოპტიმიზაცია ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლების მაღალი ხარისხი მინიმალური

დანახარჯებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებიდან წმინდა მოგების მიღების გარეშე.


ფასის და თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, შეიძლება აღვნიშნოთ მათი დიდი მრავალფეროვნება და დაჯგუფების და კლასიფიკაციის სირთულე, აგრეთვე რაოდენობრივი კავშირის დადგენის სირთულე საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულებაში ხარჯის მუხლსა და ცალკეულ ფაქტორს შორის.

როგორც ერთ-ერთი უმთავრესი, შეიძლება მიეთითოს სპეციალობის ფაქტორი. მაგალითად, საავიაციო-კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობებისთვის საჭიროა ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება ძვირადღირებულ მაღალი სიზუსტის სასწავლო აღჭურვილობაზე. კომპიუტერული სპეციალობებისთვის საჭიროა პერსონალური კომპიუტერების დიდი ოდენობა, ქსელებში ხანგრძლივი მუშაობა. მთელ რიგ ტექნოლოგიურ სპეციალობებზე საჭიროა სასწავლო-გამოსაცდელი პოლიგონების არსებობა და ა. შ.

ფინანსური დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა აქვს კალკულირების მეთოდის შერჩევას და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას. ნორმატიული მეთოდის პარალელურად, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბიუჯეტო საგანმანათლებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვებიც, თვითღირებულების მაჩვენებელზე დამოკიდებულებით. მაგალითად, სწავლების თვითღირებულების მაჩვენებლისთვის სპეციალობის მიხედვით მთლიანობაში სწავლების მთელი პერიოდისთვის შესაძლოა ერთდროულად გამოყენებულ იქნეს ნორმატიული და დეტალირების მეთოდები.



## ისტორია



### ნიკო ხერკელაძე



### ვარდობისთვე წაკისში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ № 2(16), №3(17)-ში  
და ანთოლოგიის მე-5 ტომში)

*„ხმალი ცეცხლში იწრთობოდა,  
სააკაძე – განსაცდელში.“*

ბავშვობაში გაგონილი პაპა  
გორა ხერკელაძისაგან

1612 წელი. ვარდობისთვე. საქართველოში გაზაფხულის სილამაზე აბიბინებულ მდელოებზე ქრელ პეპლებად ნარნარებდა.

ნოსტეს ცაზე სანვიმრად იყრებოდნენ შავი ღრუბლები. წაკისში შადიმანისაგან აღზევებული უსამართლობა სანადირო სამზადისს შესდგომია, მაშველი თავკაცებიც გვერდით უსხედან; ფარსადან ციციშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი და დანარჩენ მონადირეთა რაზმი, მოძულენი სააკაძისა. მზად არიან, იციან, რისთვისაც შეიკრიბნენ. მთავარი – განაჩენი – გამოტანილია. მეფის დასტურიც ხომ აქვთ. ძვირი კი დაუჯდათ სასიკვდილო თანხმობის მიღება, მაგრამ არა უშავს ის ექვსი თვე დიდად ინერვიულებს, მაგრამ არაფერია, ამ ღამის მერე ხომ მაინც თავისუფლად ამოისუნქავენ. ნერვიულობდნენ. განა მარტო თვითონ, მთელი ჯალაბობით, დიდიან-პატარიანად.

მეფის შემდეგ გიორგი სააკაძის პირველკაცობას კიდევ მოითმენდნენ, –საჭიროდ გამოსადეგი კაცი იყო, მტერთათვის სამაგიეროს გადამხდელი, მათი მიწა-მამულებიც ხომ დაცული იქნებოდა, მის მიერ ამ მხრივ დათმენა მართებდათ კიდევ, სააკაძის გამჭრიახი გონება მომხდურთა საპარპაშოდ არ დატოვებდა ქართლს –

მაგრამ ასე უკითხავად, თავის დედას, დედოფალსაც რომ არ მოუსმინა ლუარსაბმა და ჯვარი დაინერა მდაბიო სააკაძის დაზე? – გაგონილა, ვეჟო, თავადთა ასე აბუჩად აგდება?

სხედან მეფის საზაფხულო რეზიდენციაში მოღალატე თავადები და სანადიროდ მოწვეულ სააკაძეს ელოდებიან.

დარბაზში ბააკა ხერხეულიძე შემოვიდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უმალ ავად ენიშნა ხერხეულიძეს მათი საუბრის შეწყვეტა, ნეტავი რაზე ჰქონდათ თათბირი, ან ჩემმა შესვლამ დარბაზში რად დაადუმაო დიდებულები.

გიორგი სააკაძე ისევ აგვიანებდა. ფრთხილობდნენ შეთქმულნი, ზომიერად საუბრობდნენ, უშუალოდ ხუმრობდნენ. სასმელს ბევრს არ ეძალეობდნენ, მცირედს იხმევდნენ, საჭმელს მიირთმევდნენ, „სანადიროდ მზად იყვნენ“. მერიქიფე ჩვეული სიღინჯით ავსებდა შესმულ თასებს.

შეთქმულნი შეფიქრიანებულნი ჩანან. ვაითუ არ მოვიდეს? მაშინ ხომ ჩაეშლებათ ასეთი „გულმოდგინე“ სამზადისი. თუ მართლაც მოხდა ისე და სააკაძემ მათი განაზრახი შეიტყო, მერე რა მოხდება, არავინ უწყის! როგორც ჩანს, მერიქიფემ იაზრა მათი შენიღბული ნადიმობა, ეჭვიც თანდათან გაუძლიერდა, ყურადღებაც ერთი ათად გაამახვილა, მით უმეტეს, მერიქიფეობა აძლევდა ამის საშუალებას. სურვილი გაუჩნდებოდა, გაეგო, მართლა სანადიროდაა ეს ხალხი შეყრილი თუ სხვა რამეა მოსალოდნელი. მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ვერ ეტყოდა საიდუმლოს ბააკა ხერხეულიძეს, ამდენი წარჩინებული პირისთვის ცილისნამება სახუმარო საქმე არაა.... შეიძლება ითქვას, რომ შეთქმულთათვის მერიქიფეც ნდობით აღჭურვილი პირია, მაგრამ შინაგანი ზნეობრივი სისავსით კი ხერხეულიძის მსგავსი. ნერვიულობა მატულობს, სასმელიც მოქმედებს. რომელიღაც შეთქმულთაგანს დასცდა საჩითირო სიტყვა



„ამალამ უნდა მოიკლას!“ მერიქიფემ იაზრა და იმნამსვე ფიქრი გადაიტანა გიორგი სააკაძეზე, რომელიც აგვიანებდა; უკვე ღრმად დაეჭვებული, აღარც მოსცილებია შეთქმულთა სიახლოვეს. მაინც ეწადა, კიდევ ღრმად დარწმუნებულიყო მათ სივერაგეში. შემდეგ შეეცდებოდა, მოედებნა შესაფერისი მომენტი და ეს ამბავი ემცნო ბააკა ხერხეულიძისათვის, რომელიც გიორგი სააკაძესთან დაახლოებული პირი იყო. მაგრამ არ ჩქარობს, ფრთხილობს, იფიქრა, რახან გიორგი სააკაძე აგვიანებს, იქნებ უკვე შეიტყო, თუ რა წადილი აქვთ შემზადებული მისთვის შადიმანის ბანაკსო. რაზე აიტკივოს აუტკივარი თავი და მოვლენებს წინ გაასწროს?

მალე გარედან გუშაგების სიხარულის ხმამ დარბაზშიც შემოაღწია. გამოხატეს თავიანთი განწყობა შეთქმულებმა. აი, მაშინ კი უბიძგა სინდისმა მერიქიფეს, საიდუმლო ბააკა ხერხეულიძისათვის გაენდო.

შუალამე გადასული იყო, რომ მოურავიც გამოჩნდა. გაიხარეს დიდი სიხარულით ცბიერმა შეთქმულებმა. გიორგი სააკაძემ, დალოცა „მონადირეთა“ თავკაცი შადიმანი და მისი რაზმი, თასი შესვა, დალლა მოიმიზეზა და თავის სადგომს მიაშურა, არავითარ ეჭვს არ გაუვლია მის გუმანში.

დაბრძანდა ყველა თავის ადგილას, დადგა მძიმე წუთები. მერიქიფემ ღვინით ფიალების შევსებისას ბააკა ხერხეულიძეს საიდუმლოდ უთხრა, „გიორგი სააკაძის მოსაკლავადაა ეს ხალხი შეყრილიო“.

ხერხეულიძემ ჩვეული სიდინჯით დატოვა სუფრა და სააკაძეს სარკმლიდან გაბზარული ხმით გადასძახა, თავს უშველე, გიორგი, შენს გასაწირად ეშურებიანო. სააკაძე ხმლით ხელში ელვისებურად მოახტა უბელო ცხენს და ნოსტესკენ გაფრინდა.

საქართველოს სააკაძე ცოცხალი შერჩა.

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,  
კარგი შვილები რად გვებადება.  
შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს  
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?  
ცრემლები მახრჩობს, ველარას ვამბობ,  
კარგის დაღუპვა რად გვენატრება.  
ჩვენივე შვილის, ჩვენივე ძმისა.  
ველარას ვამბობ, ვთრთი, მეხათრება,  
ჩემო სამშობლოვ, ჩემო ქვეყანავ,  
არ გვეკადრება, არ გვეკადრება!“

ვაჟა-ფშაველა

## ბააკა ხერხეულიძე

ბააკა ხერხეულიძე, ეს მამაცობით განთქმული გვარისა და ზნეობის კაცი, სრულიად გულდამშვიდებული იყო, მან არაფერი იცოდა ვერაგული გადაწყვეტილებისა.

მერიქიფის მიერ საიდუმლოს გამჟღავნებისთანავე ერთი მძაფრი განცდა დაეუფლა: ოღონდ სააკაძე გადარჩენილიყო ცოცხალი, თავი რამენაირად გაეღწია, დაეღწია და ეშველა! ბენჯზე ეკიდა გიორგის სიცოცხლე. ხმლის აღებალა მოასწრო, პერანგისამარა გაიჭრა გარეთ, უბელო ცხენს მოახტა და მისმა გულმაც ამოისუნთქა. იმ საბედისწერო ჟამს, მხოლოდ ეს იყო მთავარი – ხმალი და ცხენი. დანარჩენს სიცოცხლის შენარჩუნების შანსს დრო და სისწრაფე განაპირობებდა. მოსვლისთანავე მოხადეს უნაგირი სააკაძის ცხენს, როგორც წესია. უნდა აღინიშნოს, შადიმანი და მისი თანამზრახველები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი გეგმის წარმატებაში, – რომ სააკაძე ველარ გაუსხლტებოდათ ხელიდან, – ისინიც – მოხსნიდნენ თავიანთ ცხენებს უნაგირებს, რომ თავისუფლად ყოფილიყვნენ და „ნადირობის წინ“ ქერი ეჭამათ. ცხენების

შესაკაზმი დრო იმ მძიმე წუთებში დიდ შეღავათს იძლეოდა სააკაძისათვის, კარგა მანძილზე გაუსწრებდა მდევარს.

გიორგისთვის მძიმე საბედისწერო ჟამს სრულიად მოულოდ-ნელად სასიკეთოდ შეატრიალეს სასიკვდილო გადაწყვეტილება მერიქიფემ და ბააკა ხერხეულიძემ. მართალია. შეთქმულებთან ერთად ბააკაც იმყოფებოდა, მაგრამ მან. ავი განზრახვისა არაფერი იცოდა. ხერხეულიძე გიორგი სააკაძის თანამოაზრეა, მისი მრწამსის სულითა და გულით გამზიარებელი, ხომ შეეძლოთ შადიმანის თანამზრახველთ სულაც არ მიენვიათ „სანადიროდ“ და ასე აეცილებინათ ამ სავალალოდ შეთანხმებული საქმისაგან, მაგრამ ეს იყო ლოგიკური ტაქტიკური ჩანაფიქრი შადიმანის ბანაკისა, – ხერხეულიძეც უნდა ყოფილიყო მათ გუნდში, სააკაძის თვალის ასახვევად და ნდობის მოსაპოვებლად, რომ რაც შეიძლება დამაჯერებელი ყოფილიყო მისთვის მეფესთან ერთად ნადირობა-გასეირნება ბუნების წიაღში. თუკი სააკაძის ერთ-ერთი თანამოაზრე სანდო კაცი იქ იმყოფება, რაღა უნდა იყოს საეჭვო? სააკაძე ის კაცი არ იყო, არ ეკითხა, თუ ვინ იქნებოდნენ „ნადირობის“ მონაწილენი, რახან გაიგებდა, ხერხეულიძეც არისო, მთლად გაეფანტებოდა ეჭვი.

არის ერთი გარემოება: ტაშისკარის ომის შემდეგ თავადები გიორგი სააკაძის მიმართ ერთპიროვნული შურით განიმსჭვალნენ, – ეს თვითონაც არ გამოჰპარვია.

სააკაძე შადიმანისა და მის მომხრეების სანადიროდ მიწვევას არაფრით დათანხმდებოდა, არ ენდობოდა და იმიტომ, თანაც საკმაოდ ღრმა ბზარი იყო გაჩენილი მათს შორის. ეს თავადებმაც იცოდნენ და გიორგიმ შადიმანისაგან უკვე გადაბირებული ლუარსაბ მეფისაგან მიიღო წერილი თუ შენათვალი, „ნადირობად შემოვეწყოთ წავკისის სანახებსო“.

უპირველესად, ჯერ მეფეს ენდო გიორგი, მერე უკვე სიძეს ფიცდადებულს, იმდენად ენდო, ეჭვი არაფერში შეჰპარვია, ერთ მხლებელთან ერთად გამოცხადდა მიწვევაზე. ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გვიან, თითქმის შუალამისას მივიდა თავშეყრის ადგილას, ფეხათრევით, უხალისოდ. საეჭვო არაფერია, მაგრამ ჩანს, მაინცდამაინც აღარ ახარებს იქ ყოფნა, სადაც არიან შადიმანი, ფარსადან ციციშვილი და ბერუკა ჯავახიშვილი, მათთან დიდი ხნით ჯდომა-მუსაიფი.

მოსასვენებლად შემზადებული სააკაძე ერთბაშად გამოარკვია ბააკა ხერხეულიძის გადაძახილმა, თავს უშველო. ხმის ინტონაციაში იგრძნობოდა შიში სააკაძის სიკვდილისა და სინანული მისი ამგვარი გამეტებისა. მოვლენების შეუცნობლობის ჟრუანტელმა გიორგის მთელს სხეულში დაუარა.

ხერხეულიძეს გაახსენდა სხერტისა და ტაშისკარის ბრძოლები, სადაც სააკაძემ ოფლითა და სისხლისღვრით დაუმტკიცა სამშობლოს თავგანწირული სიყვარული. მან მთელი გულით იგრძნო, რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო იგი საქართველოს საკეთილდღეოდ და თავად იმდენად ერთგული ბუნებისა და სუფთა სინდისის პატრონია, აღნიშნულ ურთულეს ვითარებაში სააკაძის გაფრთხილება გადაწყვიტა. მან დიდი რისკის ფასად თავის სიცოცხლეს სააკაძის სიცოცხლე არჩია – ერთგულების, მაღალი ზნეობის მშვენიერი მაგალითი!

ბააკა მშვენივრად იცნობდა შადიმან ბარათაშვილს, – რით სუნთქავდა, რა აინტერესებდა;... იცოდა ლუარსაბ მეფის დამოკიდებულება სააკაძისადმი მისი დის ცოლად შერთვის შემდგომ; ცხადია, ეცოდინებოდა თავადთა განწყობილება, მათ მიერ აგორებული და გავრცელებული ქორები, მაგრამ არ იცოდა საღალატოდ მათი მომზადების ამბავი იმ წუთამდეც კი, სანამ მერიქიფე საიდუმლოს გაუმჟღავნებდა. საკმარისი გახდა, ინფორმაციის მიღება, ის უმალ სააკაძისკენ გავარდა საფრთხის შესატყობინებლად. მისი გულიც და გონებაც ერთ აზრს ემსახურებოდა – როგორმე გადაერჩინა საქართველოზე მზრუნველი ადამიანის სიცოცხლე, თუნდაც საკუთარი სიკვდილის ფასად! აკი გაიმეტეს კიდეც – არ მოკლეს, მაგრამ, ცხვირი და პირი დააჭრეს, დაასახიჩრეს, შური იძიეს.

ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ერთ ტაფაში მოვაქციოთ! თავადთა თუ აზნაურთა გარკვეული ნაწილი სხვაგვარად ფიქრობდა, მათ ქრისტიანობა და ქვეყნისათვის სამსახური ავალუბდათ, მდგარიყვნენ სააკაძის გვერდით, მაგრამ რახან ხმა არ ან ვერ ამოიღეს, ერთ მთლიან სახედ აღიქმებიან.

როგორც კი დადგა საბედისწერო ჟამი სააკაძის ყოფნა-არყოფნისა, მხოლოდ ბააკა ხერხეულიძემ გამოამჟღავნა საკუთარი სულის ხმა, განცდა იმისა, რა სტიკიოდა მის ქვეყანას და ვინ ეიმედებოდა სალბუნის დამდებად. ბააკამ არად ჩააგდო შეთქმულთა რისხვა, რომელიც გავლენას იქონიებდა მის მომავალ ცხოვრებაზე, მისი ძმების ცხოვრებაზე (სულ ცხრანი იყვნენ), მეფე და დიდებულები ხომ აღარ გაიკარებდნენ სიახლოვეს. მათ შეეძლოთ ეთქვათ, ხერხეულიძე მოლაღატა, მეფის საიდუმლო გათქვაო, მაგრამ ბააკა სპეციაკი სულით მაღალი იდეალებისათვის იყო გაჩენილი და მიუხედავად ყველაფრისა, ვერ შეეგუებოდა ზნედაცემულთა აზრსა და მოქმედებას.

გიორგი სააკაძე მისთვის იდეალი და მისაბაძი მაგალითიც იყო, აგრეთვე სარკეც, რომელშიც ბააკა თავისივე სულის ანარეკლს ხედავდა, რაც ცხადად გამოვლინდა და დამტკიცდა კიდევ 1625 წლის მარაბდის ომში, ისტორიამ შემოინახა, როგორი თავგანწირვით იბრძოლეს ძმებმა ხერხეულიძეებმა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ერთ-ერთ უმცროს ძმას, მედროშე ხერხეულიძეს, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში დროშა, გულის უბეში ჰქონდა შენახული! მათი სულები ერთიანი ჯაჭვის რგოლების სიმტკიცით იყო გადაბმული... საერთოდ ძმები ხერხეულიძეების ნათელი სულის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ და ვთხოვოთ, მათთვის ჩვეული თანადგომით გზა გამოუნათონ გიორგის წლების ბურუსიდან სიმართლის გამოსამზეფურებლად.

\* \* \*

სიკვდილის ხაფანგიდან გამსხლტარი სააკაძე ცოლ-შვილის გადასარჩენად გონდამეხილი მიჰქრის ნოსტეში მოკლე გზით – ბნელში, ღრანტეებში. დრო, ახლა მხოლოდ დროა მისი გადამრჩენი, მანუგეშებელი, გული ერთიანად შეკუმშული და მონურული აქვს, გონება – გაქვავებული, აზრი – გაჩერებული, მხოლოდ ერთი სიტყვა – „რატომ? რისთვის?“ – კრაზანასავით დასტრიალებს მის ფიქრს და გულს უკორტინს: „რახან ასე უღმერთოდ დამაყენეს სიკვდილის გზაზე, აღარ დამინდობენ და განა მარტო მე? ვიცი, იზამენ, ცოლ-შვილსაც არ შემარჩენენ, ახლა უკვე კარგად დავინახე ჩვენი ჭირ-ვარამით დაღლილი ქვეყანა; მისი ბედ-იღბლის სადარდებლად არ მომაცალეს, არ გაიმეტეს, ჩემი მონაგარით მშვიდად მეჭამა ჩემი წილი ლუკმა-პური“.

ცხენს ჩაფრენილმა, ერთიან არსებად ქცეულებმა გაიშარაგზეს ადამიანის ფეხდაუდგამი ადგილები. მთელი ძალით მიარღვევს სიბნელეს ოხშივარადენილი კაც-ბედაური, ზრიალი გააქვს მის დაჭედილ ფლოქვებს ქვებზე, სააკაძის გასაჭირის გამზიარებელი ოფლდადენილი ბედაური გიორგის სიცოცხლის გადასარჩენად, ავის მაუნყებლად მისწრაფოდა ნოსტესკენ.

მდევართა გნიასმა ღამის სიმყუდროვეს ძილი დაუფრთხო. რა მონდომებით ჰქონიათ გადწყვეტილი სააკაძის სიკვდილი შადიმანისეულებს, რა ენერგია და ფიქრი დახარჯულა ამ მზაკვრული გეგმის შესრულებისათვის.

ერთი კაცის მოსაკლავად მთელი საომარი ჯარი შეჰყარეს, დაიმედებულებმა, მაინც სისხლდაუდინარი გაუსხლტათ სააკაძე ხელიდან, ახლა კი ღმერთდავინყებულნი მისდევენ, მართონი გაუმართავთ სანახაობრივი ალტყინებით, ვინ უფრო მალე დაუბნელებს სააკაძეს მზეს, მის მოკვლაში „სახელსაც“ ხომ მოიპოვებს ან მოიპოვებენ თავისიანთა გარემოცვაში და თავიანთ შთამომავალთათვის საამაყოდ, დასაკვეხნადაც დიდხანს გაჰყვებათ „ღირსეული“ მოპყრობა სააკაძის მიმართ, ხომ უნდა დაუმტკიცონ დიდ შადიმანს „ერთგულება“, მამ როგორ?

შმაგად გადაქცეული მისდევს ბერუკა ჯავახიშვილი სამსხვერპლოს, თითქოს სააკაძეს თუ ვერ მოსპობენ, მისი ოცნებაც დაიმსხვრევა! მამ ტყუილად ხომ არ გაისარჯა, ამოდენა ცოდვით წაიწყმიდა სული, ცოტა ხომ არ არის, უდანაშაულო კაცს უმძიმესი ბრალი დასდო. რისთვის? – აკი უნდა ღირდეს კიდევაცა.

მინა-წყალზე დაქიმითებული თავადები შეუსრულებდნენ დადებულ პირობას ბერუკას, სააკაძის მოვლილი მამულები ელანდებოდა ორგულს და არც თავსა და აღარც ცხენს აღარ ზოგავდა.

სიკვდილს გაქცეულმა სააკაძემ მიახწრო ნოსტეს, საგანგაშოდ აუწყა ვითარება და სასწრაფოდ სახლ-კარის დატოვება უბრძანა ცოლ-შვილს. ვაი-ვიშით შეიმოსნენ, როგორადაც მოასწრეს და მთელმა ჯალაბმა სააკაძისამ ტყეს შეაფარა თავი.

განვლო მცირე ხანმა და შადიმანის ავკაცობა ნიაღვარივით მისაკდა სააკადის ციხე-დარბაზს.

ავარდნილმა ცეცხლის ენებმა ავად გაანათა შემოგარენი, ნოსტეს მაცხოვრებლები გულამომჯდარი ქვითინით უყურებდნენ სააკადის მეხდაცემულ სამკვიდროს. სამშვიდობოს თავგატანილი გიორგი სააკადის დაზაფრული ოჯახი ტყიდან დასცქეროდა შადიმანისა და მის ხელისშემწყობთა სივერაგეს.

(გაგრძელება იქნება)



ნუგზარ ნადარაია



უკუსვრით აღმშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა მამულის აღმშენებლობისთვის უნდა გვრაზმავდეს და გვაერთიანებდეს, "რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა", ამინ! დღევანდელი საქართველო კი დავით აღმშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისდროინდელი საქართველოს მხოლოდ ნეგატივია...

"მეც ქართველი ვარ და ეს მანვალებს"...

დავით აღმშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა მამულის აღმშენებლობისთვის უნდა გვრაზმავდეს და გვაერთიანებდეს, "რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა", ამინ! დღევანდელი საქართველო კი დავით აღმშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისდროინდელი საქართველოს მხოლოდ ნეგატივია...

ისინი იბრძოდნენ, აერთიანებდნენ, ამთლიანებდნენ მამულის, იბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს, პატრიოტიზმის მიმბაძველი ძალის მქონე პირადი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ და რწმენით შემოიკრებდნენ მოყვასთ.

ჩვენ ვშლით.!

ისინი ცოდვებს სახალხოდ ინანიებდნენ.

ჩვენ მოუნანიებელი ცოდვებით ვცხოვრობთ.! ისტორიული სინდისის ქენჯნას არ განვიცდით, თაობებს შორის აღმშენებლობის მემკვიდრეობითობის პასუხისმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ!

ვერ ვიდავითეთ, ვერ ვივარგეთ.

სამწუხაროდ, უფრო მეტს ვმსჯელობთ თუ გაუთავებლად ვდავობთ, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ.

არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვიცლით, სათანადოდ ვერ ვუღრმავდებით პრობლემას. ხშირად, უბრალოდ, ვერ ვითავისებთ საფრთხეს.

საქართველოში დღესაც ბოლომდე ვერ გაგვიგია, რა აწერინებდა დიდ დავითს სინანულის საგალობლებს, რატომ ითხოვდა ღვთისგან შენდობას.

ჩვენ, "ცოტნიედელებს", ე. ი. აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის, გვსურს მივბაძოთ ცოტნე დადიანს - ეროვნულ, ზნეობრივ, გამაერთიანებელ გმირს და მისი სახე მესია მეფეთ მეფეს, დიდი დავითის სულმნათ სულს შევეუნყვილოთ.

დამეთანხმებით, საიმედო მისწრაფება და ნიშანია სიქველისა და სათნოების უკვდავებისა. სასიხარულოა, რომ ეს სულიერი ჯილდო ჯერ კიდევ არ წაშლილა ქართველში. მისასაღმებელია, რომ მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით "დიდგორობისა" და "ცოტნეობის" საეკლესიო-საერო დღესასწაულები ყოველწლიურად "იმერ-ამერში" ერთსა და იმავე დღეს - 12 აგვისტოს საზეიმოდ აღინიშნება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სადღეისოდ მაინც ბოლომდე გაურკვეველია, საით იყურება ქართველი კაცის თვალი, სად ხედავს იგი თავის სახალხო გმირებს - წარსულში, აწმყოში თუ მომავალში.

არადა, როგორც ქეშმარიტად სახალხო პოეტს ლადო ასათიანს უთქვამს ჩვენდა გასაგონად და შესასრულებლად: "რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვლე. ეს აწვა-ლებდა ცოტნე დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მანვალებს"...

ეს ფრთიანი გადაძახილი, დამეთანხმებით, მხოლოდ მამულის სიყვარულით შეიძლება ითქვას...



საქართველოს გადარჩენისა და გამთლიანების ხატი

ასეთივე ქრისტესმიერი სიყვარულით, მთელი პასუხისმგებლობით მიიწვია განვაცხადო, რომ ინტერნეტისა და ზოგიერთი სეპარატისტული გამოცემის საშუალებით სამეგრელოს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ-ეკონომიკური "დამოუკიდებლობის" აღდგენის აქტის პროპაგანდა საქართველოს მთლიანობის რღვევას ემსახურება და არა მისი ძირძველი მხარეების თვითმყოფადობის, ისტორიისა და კულტურის, ძირძველი ქართველური ენების შენარჩუნება-განვითარებას.

საქართველოს სამეფოებად თუ ცალკეულ დამოუკიდებელ სამთავროებად დაყოფის სამწუხარო, ისტორიული ტრაგიზმით აღსავსე განვლილი ეპოქა ჩვენი ერის ცხოვრებაში, საბედნიეროდ, შეფასებულია გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიერ ჩადენილ ლალატად და ერის, დედაეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად.

აღნიშნული მცდელობები იყო XIX-XX საუკუნეებში, და, სამწუხაროდ, თავი იჩინა XXI საუკუნეშიც.

საბედნიეროდ, ბრძენი კოლხი მოსახლეობა არასოდეს აპყობია ქვეყნის ამ დამაქცეველ პროვოკაციას. გვჯერა და გვნამს, რომ ასე იქნება ამჯერადაც, რადგან წარსულისკენ უკუსვლა დაშლას ნიშნავს, ხოლო ჩვენი ერთიანობა ქვეყნის აღორძინება ანმყოსა და მომავალშია.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია თავისი 2013 წლის 22 თებერვლის გეგმიური საჯარო სესიის გადწყვეტილებით, რომელსაც აკადემია "აიას" (პრეზიდენტი - მამანტი ძაძამია), აკადემია "ქალდეას" (პრეზიდენტი - ვაჟა ეგრისელი), ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის (პრეზიდენტი - გულნაზ ხარაიშვილი) წევრებიც ესწრებოდნენ და ერთსულოვან პროტესტს შეუერთდნენ, ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს და ემიჯნება ზემოდ აღნიშნულ პოლიტიკურ-ეკონომიკური ავანტიურის გამოხატვის ფაქტს და სადღეისოდ მას მიიჩნევს საქართველოს დაშლის (დაქცევის) სუბიექტურ-მტრულ მცდელობად, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მკვდრადშობილია.

საქართველო, მისი ძირძველი მხარეები, მათ შორის, უწინარესად, კოლხეთის მოსახლეობა ამ პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგება და ამდენად, ხალხში მას განვითარების არეალი, დასაყრდენი არა აქვს. ამას ნათლად მიანიშნებდნენ ერის საფიცარი სულმნათი მამების შეგონებები და

გვაფრთხილებდნენ ამ მეტად ფაქიზი და ყოველ დროში ნაღმის საფრთხის შემცველი პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე.

დიდი ილია ჭავჭავაძე, როდესაც 1885 წელს დეკანოზ მიხეილ მეუნარგიასა და მისი ვაჟის იონას მიწვევით ზუგდიდში ჩაბრძანებულა და სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის (1813-1853) უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჩაუბარებია (იგი ანდერძით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა), სოფელ ცაისში მოწყობილ ტრაპეზზე განუცხადებია: "სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე - დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქართველს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და განზილებისა: მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინედ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც" (ავტორისეული ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში).

საქვეყნოდაა ცნობილი დიდი აკაკი წერეთლის პოზიცია ამ მეტად ფაქიზ და მტკივნეულ თემაზე. საქართველოს ბულბულად შერაცხილი მგოსანი 1899 წელს ბრძანებდა: "ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ: უნდა ვილაპარაკო მეგრელობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის. უნდა გაგეგონათ დიდებულ ლხინში მეგრელების მჭევრმეტყველება და განმტკიცებული განმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო". "ჩემიან-შენიანობაზე ხელი უნდა ავიღოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დაეუხდეთ". "კარგად უნდა დავიმახსოვროთ მეგრელები ერთსულ-ერთგულ ქართველებია და მეგრულიც ძირითადად ძველი ქართულია" (აკაკი წერეთელი, რჩეული, გვ. 264-268).

"კოლხეთი ქართული ცივილიზაციის "აისია" (კლიმენტი შელია), "უკოლხეთოდ საქართველო უწარსულოა" (ვაჟა ეგრისელი). "სამეგრელოზე აუგი ვინ თქვა, სირცხვილი მას, ვინც გინდა და ვისი გორისა იყოს ის" (გულნაზი ხარაიშვილი). ჩემი საგვარეულო ფესვები ლაზეთშია, ისტორიული კოლხეთიდან მომდინარეობს და მასაზრდოებს მსოფლიოს დღეგრძელთა შორის. დიდება და მადლობა ჭანურ-ლაზურ, კოლხურ ე.ი. ქართულ გენს!... (ჯუმბერ ლეჟავა).

სულმნათი მიხეილ ჯავახიშვილი გვმოდღვრავს: "შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წვერი და მსახური შენს მშობელ საქართველოში. შენი სამშობლოს მტერი - შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი - შენი პირადი მეგობარი. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი - შენს მამულს ეკუთვნის, შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი, მიეცი მამულს წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს. გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით, ზარმაცობა, ცუდლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაღუპავს".

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას მთელი სამწერლო შემოქმედება ზემოაღნიშნული ნააზრების კონკრეტული გამოხატულებაა.


საქართველოს პირველი პრეზიდენტის, სულმნათ ზვიად გამსახურდიას საქართველოს მთლიანობისთვის ზვარაკად შეწირული სული დღესაც მოგვინოდებს სიფრთხილე-სიფხიზლისკენ; გასული საუკუნის 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროსაც, როცა გარეშე გონიერმა მტრებმა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა უგუნურმა შინაურმაც ქვეყნის იმერ-ამერად დაყოფა მოინადინეს, - დასავლეთი საქართველო პოლიტიკურმა გაერთიანებამ "მრგვალმა მაგიდამ" მართოს, "ხოლო აღმოსავლეთი საქართველო - "საქართველოს მოქალაქეთა კავშირმაო", ზვიად გამსახურდიამ კატეგორიული უარით კიდევ ერთხელ ააცდინა მამულს დაშლის რეალური საფრთხე, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა...

ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მაღალმა ღმერთმა გვისმინოს და ღვთისმშობელ მარიამის ნილხვედრი საქართველოს შვილებს მიანიჭოს ჭეშმარიტების შეცნობის მადლი, გაგვაერთიანოს, გაგვაძლიეროს, გაგვამრავლოს და გაგვახაროს. ამინ!



## ეკონომიკა



არჩილ ჭელიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ვალერი მოსიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი



### ბაზელის კომიტეტის – კაპიტალის საკმარისობის შეფასების ახალი სისტემის ანალიზი

**ბაზელის შეთანხმება.** საერთაშორისო საფინანსო ორგანოებში (საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი) 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბანკო კაპიტალის შეფასების მეთოდოლოგიის საკითხი განსჯის საგანი გახდა. მიზანი კაპიტალის საკმარისობის საერთო კრიტერიუმების შემუშავებაში მდგომარეობდა, რომელიც ყველა ბანკებისათვის, მათი ქვეყნიური კუთვნილების დამოუკიდებლად იქნებოდა მისაღები. 1988 წლის ივლისში საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის **ბაზელის კომიტეტის** ეგიდის ქვეშ შემუშავებული იქნა კაპიტალის გაანგარიშებისა და კაპიტალის სტანდარტების საერთაშორისო უნიფიკაციის შესახებ შეთანხმება, რომელმაც პრაქტიკაში ბანკის კაპიტალის **საკმარისობის ნორმატივი** შემოიტანა და რომელიც ჩვეულებრივად **კუკის კოეფიციენტის** სახით არის ცნობილი. შეთანხმება ძალაში 1993 წლიდან შევიდა და იგი მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ საბაზო ორიენტირის სახით დღესაც გამოყენებაშია. ნორმატივის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი მხოლოდ საერთაშორისო ბანკებზე, ანუ ისეთ ბანკებზე ვრცელდება, რომელთაც უცხოეთში ფილიალები, შვილობილი ან ერთობლივი ბანკები გააჩნიათ.

**კუკის კოეფიციენტი** (კკ) მინიმალურ თანაფარდობას ადგენს ბანკის კაპიტალსა და მის საბალანსო და გარესაბალანსო აქტივებს შორის, რომლებიც რისკის ხარისხის მიხედვით არის შენონილი. შესაბამისი ნორმების თანახმად, რომლებიც შეიძლება ცალკეული ქვეყნების მიხედვით განსხვავდებოდეს, მაგრამ ამასთან გარკვეული ლოგიკა უნდა იყოს დაცული. კოეფიციენტი, რომელიც 8%-ის დონეზეა დადგენილი, მასში (საყრდენი, ანუ ძირითადი კაპიტალი როგორც მინიმუმი ნახევარის ტოლი უნდა იყოს უნდა მოდიოდეს). კუკის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$კკ = \frac{\text{ბანკის საყრდენი და დამატებითი კაპიტალი}}{\text{საბალანსო და გარესაბალანსო აქტივები}} = 8\%$$

ბანკის საკუთარი კაპიტალი მოიცავს ორ ელემენტს: საყრდენი (ძირითადი) და დამატებით კაპიტალს. მათი საკმარისობის გასაანგარიშებლად აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების შენონვა (და არა ბალანსის საერთო ჯამის გამოყენება) იქნა მიღებული. ასეთი მიდგომა გარესაბალანსო ოპერაციების მართვის უზრუნველყოფას და სუსტ რისკიან აქტივებში დაბანდებების სტიმულირებას ახორციელებს. ბაზელის შეთანხმებამ თავისი არსით, საკრედიტო და ქვეყნიური რისკების შეფასების სტანდარტიზირება მოახდინა. რაც შეეხება რისკებს, რომლებიც საპროცენტო განაკვეთებთან და საბაზრო რისკთან არის დაკავშირებული, ისინი აღნიშნული მეთოდის ჩარჩოებში 1977 წლამდე რეგულირებას არ ექვემდებარებოდა.

1977 წელს ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშებასთან დაკავშირებით, საბაზრო რისკების გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციები იქნა შემუშავებული. საკრედიტო რისკის განსაზღვრისათვის ყველა აქტივების შენონვა ხორციელდება რისკის დადგენილ კოეფიციენტის შესაბამისად. ყველაზე დიდ სიძნელეს იწვევს გარესაბალანსო ანგარიშებზე აღსარიცხი ოპერაციების შეფასების საკითხი. აღნიშნული დაკავშირებულია თითოეულ ქვეყანაში მათი ნაირსახეობით (განსახვავებით) და ზოგჯერ უმნიშვნელო მოცულობითაც.

თითოეულ ქვეყანას რისკების ინტერპრეტაციაში და ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების გამოყენებაში გარკვეული თავისუფლება გააჩნია. ამასთან ერთად აღნიშნული რეკომენდაციების თანახმად, სპეციალური საკონვერსიო კოეფიციენტის გამოყენებით ყველა გარესაბალანსო ვალდებულებების ექვივალენტურ საკრედიტო რისკში კონვერსია არის საჭირო (აუცილებელი). მიღებული შედეგები შემდგომ შეიწონება, ისევე როგორც ეს საბალანსო ოპერაციების შემთხვევაში გათვალისწინებული, რაც მრავალ ბანკს ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის მეშვეობით აქტივების რისკიანი სახეობების ბალანსის გარეთ გატანის პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობას არ აძლევს. სწორედ ასეთი სახით მიიღწევა ბანკის ყველა აქტივების მიხედვით ერთობლივი რისკის ერთგვაროვანი შეფასების განხორციელება.

კაპიტალის შეფასების ბაზელის სისტემამ დიდი გავრცელება მიიღო. ასე მაგალითად, ევროკავშირის ჩარჩოებში მოქმედებს გადახდისუნარიანობის ერთიანი კოეფიციენტი, რომელიც კუკის კოეფიციენტის ანალოგიურია, იგი საკრედიტო-ინსტიტუტების მთლიან სისტემაზე ვრცელდება, და არა მხოლოდ მსხვილი საერთაშორისო ბანკებზე.

ბაზელის შეთანხმების შესაბამისად ბანკის კაპიტალი კაპიტალი 1 და კაპიტალი 2 დონეებად დაიყოფა.

**კაპიტალი 1** (ძირითადი) დონე მოიცავს: ჩვეულებრივ აქციებს, გაუნაწილებელ მოგებას (რომელიც დივიდენდების დაგროვებას არ ითვალისწინებს), უვადო პრივილეგირებული აქციები, აგრეთვე კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების აქციების არასაკონტროლო პაკეტი მინუს არახელშეუხებელი (არამატერიალური) ძირითადი კაპიტალი. ბანკებისათვის ნებადართულია ბალანსში ის ხელშეუხებელი ძირითადი კაპიტალიც ასახონ, რომელიც ბანკის ან არასაბანკო ფირმის ნაღდ ფულზე შექმნის შემთხვევაში წარმოიშობა. ახალი საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებენ, რომ ბანკის ძირითადი კაპიტალის მინიმალურად საჭირო მოცულობის განსაზღვრისას ერთობლივი კაპიტალის მოცულობიდან გამოქვითული უნდა იქნას მისი ხელშეუხებელი კაპიტალი.

**კაპიტალი 2** (დამატებითი) დონე მოიცავს: რეზერვებს აქტიური ოპერაციების მიხედვით, საერთო დანაკარგებზე და სესხების მიხედვით ზარალის დაფარვაზე, ვადიან პრივილეგირებულ აქციებს, სუბორდინირებულ ვალს.

ახალი საერთაშორისო კაპიტალური სტანდარტები უშვებენ, რომ ხუთი წლის დაფარვის სანყისი საშუალო ვადიანი სუბორდინირებული უვადო ვალდებულებები საჭირო დამატებითი კაპიტალის წყაროდ ითვლებოდეს. მაგრამ დამატებითი კაპიტალის არც ერთი ფორმა არ შეიძლება ძირითადი კაპიტალის 50%-ზე მეტს შეადგენდეს. 1992 წლის შემდეგ კრედიტებისა და არენდისაგან ზარალის დაფარვაზე დასაშვები რეზერვები ასევე დამატებითი კაპიტალის ნაწილად ითვლებოდეს იმ პირობებისას, რომ საერთო (არა განსაკუთრებულ) რეზერვებს წარმოადგენენ და ისინი ბანკების რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1,25%-ზე მეტს არ შეადგენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალი 2-ის დონის კომპონენტები ბაზელის შეთანხმების ხელმომწერი მხარეების მიერ დამოუკიდებლად რეგულირდება, ამასთან კაპიტალი 2-ის დონე არ შეიძლება კაპიტალი 1-ის დონის 100%-ზე მეტი იყოს. კაპიტალი 2-ის დონეში შემავალი რეზერვები სესხების დაუბრუნებლობის შემთხვევაზე 1992 წლიდან რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისაგან 1,25%-ით არის შეზღუდული, ხოლო მეორადი ვალების დაფარვის ვადის დადგომის შესაბამისად ამორტიზაციას ქვემდებარე საშუალოვადიანი პრივილეგირებული აქციების ჯამური სიდიდე, არ შეიძლება კაპიტალი 1-ის დონის 50%-ზე მეტი იყოს. კაპიტალი 2-ის დონის სხვა კომპონენტებს შეზღუდვები არ გააჩნიათ, ხოლო დადგენილი ნორმატივების გარეთ არსებული ყველა თანხები დასაშვებია, მაგრამ კაპიტალის სახით არ ჩაითვლება.

კაპიტალისადმი ახალი შეთანხმებული მოთხოვნები, რომლებიც ძალაში 1992 წლის 31 დეკემბერს შევიდა, იყო შემდეგი:

1. კაპიტალი 1-ის დონის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და გარესაბალანსო ოპერაციების ჯამთან უნდა იყოს არანაკლები 4%-ისა (გარდამავალ პერიოდში 3,65%);

2. ერთობლივი კაპიტალის (ანუ კაპიტალი 1 და 2-ის დონეების ჯამი) თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და გარესაბალანსო ოპერაციების ჯამთან უნდა იყოს არანაკლები 8%-ისა (გარდამავალ პერიოდში 7,25%).



ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრისადმი შემოთავაზებული მიდგომა ფლობდა შემდეგ ძირითად ღირსებებს:

- ბანკის „რეალური“ კაპიტალის მახასიათებელი იყო;
- ბანკის სტრატეგიის გადასინჯვისა და მინიმალური კაპიტალის პირობებში კრედიტების ზედმეტად გაზრდისაგან თავშეკავებას უწყობდა ხელს, ამასთან უპირატესობა ეძლეოდა არა საკრედიტო პორტფელის მოცულობას, არამედ მის ხარისხს;
- ბანკის საქმიანობის არარისკიანი წილის გადიდებას უწყობდა ხელს;
- ბანკების საქმიანობის რეგლამენტაციის შემცირებასთან მიმართებაში ნახალისდებოდა, ვინაიდან სწორედ მასში ვლინდება თვითრეგულირების ძირითადი ელემენტები;
- გარესაბალანსო ვალდებულებების მიხედვით რისკების აღრიცხვის შესაძლებლობას იძლეოდა.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის გაანგარიშების შემოთავაზებულ მეთოდს ღირსებებთან ერთად რიგი არსებითი ნაკლოვანებებიც გააჩნდა, კერძოდ:

- დონენის მიხედვით კაპიტალის ელემენტების განსაზღვრაში საკმარისი სიზუსტის არარსებობა, რამაც ცალკეული ბანკების მხრიდან კაპიტალისადმი მოთხოვნილებების შერბილება გამოიწვია;
- აქტივების რისკის ხარისხის მიხედვით არასაკმარისი დაწვრილებით დიფერენციაცია;
- რეზერვებისადმი ოპერაციების ცალკეული სახეობების მიხედვით მოთხოვნების შემცირება;
- კაპიტალის საკმარისობის შეფასებისას მხოლოდ საკრედიტო რისკზე ორიენტაცია;
- კაპიტალის მოცულობის საბაზრო და პროცენტული რისკებისაგან დამოკიდებულების არ არსებობა, რომელთაც ბანკის საქმიანობაზე ძალიან მნიშვნელოვანი ზეგავლენა გააჩნია.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის პროცენტული და საბაზრო რისკების გათვალისწინებით გაანგარიშების მიზნით 1997 წლის ივლისში კაპიტალის დონისადმი მოთხოვნების შესახებ შეთანხმებასთან მიმართებაში შესწორებები იყო მიღებული. აღნიშნული შესწორებების შესაბამისად, საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილ ვადებში ბანკებს უნდა განესაზღვრათ საბაზრო რისკები და საკრედიტო რისკებთან დამატებით საბაზრო რისკების გათვალისწინებითაც კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის კორექტირება მოეხდინათ. საბაზრო რისკი – არის საბაზრო ფასების დონის ცვლილებით გამოწვეული საბალანსო და გარესაბალანსო პოზიციების მიხედვით ზარალის წარმოშობის რისკი.

მოცემული მოთხოვნა ვრცელდებოდა შემდეგი სახის რისკებზე:

- სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ რისკებს, რომლებიც პროცენტულ განაკვეთებზე და სავაჭრო ოპერაციების პორტფელში წილობრივ ინსტრუმენტებზეა დაფუძნებული;
- სავალუტო და სავაჭრო რისკი (ყიდვა-გაყიდვა ძვირფასი ლითონების) ბანკის ყველა ოპერაციების მიხედვით.

ამრიგად, 1988 წლისათვის შემუშავებული კაპიტალის სტანდარტის შესახებ და შემდგომში 1997 წელს შევსებული ერთიანი შეთანხმება, რომელიც **ბაზელი I**-ის სახით არის ცნობილი, კაპიტალის შევსებას ითვალისწინებდა კაპიტალისა და რისკის მიხედვით შენონილი აქტივების სიდიდეების შედარებიდან გამომდინარე.

აღნიშნული შეთანხმების მიზეზი იყო ეროვნული საბანკო სისტემების სტაბილურობის განმტკიცება და ბანკებისათვის ერთიანი „თამაშის წესების“ შექმნა, რის საფუძველზეც:

- განხორციელდა კაპიტალის წილის ზრდის უზრუნველყოფა (1988 წლიდან 1996 წლამდე, ანუ რვა წლის განმავლობაში საშუალოდ 1,2-ჯერ);
- კაპიტალის გაზრდა მიღწეული იყო. მისი გაზრდით ეკონომიკური ზრდის პერიოდში და რისკიანი აქტივების სიდიდის შემცირებით (ვარდნის პერიოდებში);
- კაპიტალის სტანდარტის დადგენამ ბანკების სტიმულირება მაღალრისკიანი დაბანდებებისაკენ ვერ მოახდინა;
- ბანკებმა ხელშეკრულებით დაკისრებული შეზღუდვებიდან თავის არიდების მიზნით სხვადასხვა სახის კაპიტალური არბიტრაჟის გამოყენება დაიწყეს.

საბანკო რეგულირებაში თანამედროვე ტენდენციებმა (მოქნილობა, სიზუსტის ამაღლება, რეგულირების დეფორმალიზაცია) კაპიტალის შეფასების სტანდარტების ცვლილების საჭიროება განაპირობებს, რაც 2000 წელს იქნა გაკეთებული, როდესაც **ბაზელის კომიტეტმა კაპიტალის საკმარისობის შეფასების ახალი სისტემა მოიწონა (ბაზელი II)**. აღნიშნული სისტემა საბანკო საქმის სფეროში ახალი სტანდარტების დაცვის მიზნით იყო შემუშავებული. იგი კაპიტალის შეფასების სადმი სხვადასხვა მიდგომებს (სტანდარტიზირებულ, საგარეო და შიდა რეიტინგებს – IRB) მოიცავდა და საკრედიტო ორგანიზაციების რისკების დონის უფრო სრულად და ზუსტად გათვალისწინების საჭიროებაზე ახდანდა მარეგულირებელი ორგანოების ყურადღების აქცენტირებას (მიმდინარეობს ახალი საზედამხედველო პრინციპების – ბაზელი III-ის შემუშავება, რასაც ჩვენ ქვემოთ უფრო კონკრეტულად განვიხილავთ.

შეფასების ახალი სისტემა (ბაზელი II) მეთოდოლოგიური და საზედამხედველო თვალსაზრისით, მისი შემუშავების ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, კაპიტალის საკმარისობის შეფასების მოქმედი პრაქტიკის რეფორმირების ორიენტირია და იგი განპირობებულია იმით, რომ:

- თანამედროვე პირობებში მზარდი საბანკო ბიზნესის სირთულე და კომპლექსურობა საზედამხედველო ორგანოებიდან კაპიტალის საკმარისობის შეფასების სისტემის შესაბამის კორექტირებას საჭიროებს;

- აღნიშნულ პირობებში მოქმედების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კაპიტალის შეფასებისათვის გამოსაყენებელი მოდელების რაოდენობის გაფართოება;

- ახალი მოდელების დანერგვა მათ თეორიულ და პრაქტიკულ დასაბუთებაზეა დამოკიდებული.

საერთაშორისო სტანდარტებით ბანკის სანესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდე 1999 წლის 1 იანვრიდან 5 მლნ ევროს ექვივალენტურ თანხაში დადგინდა, რის საფუძველზეც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №297-ის საფუძველზე საბანკო საქმიანობის ლიცენზირების მაძიებელი კომერციული ბანკებისათვის და უცხოური კომერციული ბანკების ფილიალებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 12 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც მიახლოებით 5 მლნ ევროს ტოლია.

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშება თანამედროვე პირობებში ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. განისაზღვრება კაპიტალის აბსოლუტური სიდიდე;

2. გაიანგარიშება საბალანსო ანგარიშებზე არსებული აქტივების მიხედვით საკრედიტო რისკის სიდიდე, (აქტივები შეიწონება რისკის ხარისხის მიხედვით);

3. განისაზღვრება საკრედიტო რისკის სიდიდე საკრედიტო ხასიათის პირობითი ვალდებულებების მიხედვით;

4. გაიანგარიშება საკრედიტო რისკის სიდიდე ვადიანი გარიგებების მიხედვით;

5. გაიანგარიშება საბაზრო რისკის სიდიდე.

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი ( $H_1$ ) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$H_1 = K : [K_{რი} (A_i - r_{სი}) + b_{მთ} + მთ.შ.წ. + კრ.გბ + კრ.ვდ + რვ.გრ - სრ] \times 100\%$$

სადაც: K – არის კაპიტალის ჯამი;

$K_{რი}$  – არის რისკის კოეფიციენტი i-აქტივის;

$A_i$  – ბანკის i-აქტივი;

$r_{სი}$  – რეზერვის სიდიდე სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე;

$b_{მთ}$  – ბანკის მთხოვნები კონტრაგენტისადმი გარიგებების უკუ (ვადიანი) გამოსყიდვასთან მიმართებაში;

მთ.შ.წ. – მოთხოვნილებების რისკის დონის მიხედვით შეწონილი თანხა

კრ.გბ – საკრედიტო რისკის სიდიდე, რომლების გარესაბალანსო

ანგარიშებზეა ასახული;

კრ.ვდ – საკრედიტო რისკის სიდიდე ვადიანი გარიგებების მიხედვით

რვ.გრ – რეზერვი ვადიანი გარიგებების მიხედვით;

სრ – საბაზრო რისკების სიდიდე

ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდე გაიანგარიშება როგორც ძირითადი და დამატებითი კაპიტალის ჯამი ძირითადი კაპიტალი განისაზღვრება როგორც ჯამი: სანესდებო კაპიტალის ჩვეულებრივი აქციების ფორმით; არაკუმულაციური პრივილეგირებული აქტიებისა და პრივილეგირებული აქტიები; სანესდებო კაპიტალის მთლიანი თანხის; საემისიო შემოსავლის; სარეზერვო ფონდის, დაგროვების ფონდის ნაწილი და სხვა ფონდების, რომლებიც გასული და მიმდინარე პერიოდის მოგებიდან არის შექმნილი. კორექტირებების შემდეგ მიღებული თანხა შეადგენს ძირითად კაპიტალს ან კაპიტალს I დონის.

დამატებითი კაპიტალი (კაპიტალი II დონის) მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ქონების ღირებულების ნაზარდი გადაფასების ხარჯზე;
- მიმდინარე წელს ფორმირებული ფონდების ნაწილი, რომელიც აუდიტორების მიერ არ არის დადასტურებული;
- მოგება მიმდინარე წლის, რომელიც აუდიტორების მიერ არ არის დადასტურებული;
- სუბორდინირებული კრედიტი (დეპოზიტი) – ნარჩენი ღირებულებით;
- სანესდებო კაპიტალის ნაწილი, რომელიც ქონების ღირებულების ნაზარდის კაპიტალიზაციის ხარჯზეა ფორმირებული გადაფასებისას;
- პრივილეგირებული აქციების (კუმულაციურების ჩართვით) ნაწილი;
- წინა წლების მოგება, რომლების აუდიტორების მიერ არ არის დადასტურებული.

კაპიტალი II-ის დონის თანხა მცირდება დამატებითი კაპიტალის წყაროებზე, რომელთა ფორმირებისათვის არასათანადო აქტივებია გამოყენებული.

ასეთი სახით გაანგარიშებული ძირითადი და დამატებითი კაპიტალის თანხები ჯამდება. ამასთან, დამატებითი კაპიტალის აბსოლუტური სიდიდე გაანგარიშებაში მიიღება თანხით, რომელიც ძირითად კაპიტალს არ აჭარბებს. თუ ძირითადი კაპიტალის სიდიდეს ნულოვანი ან უარყოფითი სიდიდე გააჩნია, მაშინ დამატებითი კაპიტალის წყაროები კაპიტალის გაანგარიშებაში არ ჩაირთვება.

საკუთარი კაპიტალის ერთობლივი თანხა საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშების მიზნით რიგ მაჩვენებლებზე კორექტირდება.

აქტივების რისკის მიხედვით შეწონილი თანხის ჯამის გაანგარიშებისას, ისინი დაბანდების რისკის ხარისხისა და ღირებულების ნაწილის შესაძლო დაკარგვის მიხედვით ხუთ ჯგუფად დაიყოფა. აქტივების შეწონვა ხორციელდება შესაბამის საბალანსო ანგარიშზე (ანგარიშებზე) ან მის ნაწილზე, შემცირებული მოცემული აქტივის მიხედვით შექმნილი რეზერვის თანხით შემცირებული, სახსრების ნაშთების გადამრავლებით რისკის კოეფიციენტზე, და გაყოფილი 100%-ზე. აქტივები, რომელთა მიხედვით საბაზრო რისკია გაანგარიშებული, რისკის კოეფიციენტის არ შეიწონება.

რისკის ხარისხის შეწონილი აქტივების მიღებული თანხა გაიზრდება საკრედიტო ხასიათის პირობითი ვალდებულებების მიხედვით საკრედიტო რისკის სიდიდეზე და ვადიანი გარიგებებისა და საბაზრო რისკის სიდიდის მიხედვით საკრედიტო რისკის სიდიდეზე.

საკრედიტო რისკის სიდიდის საკრედიტო ხასიათის პირობით ვალდებულებების მიხედვით გაანგარიშებისათვის თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამის კოეფიციენტებზე გადამრავლების გზით საკრედიტო ექვივალენტებამდე დაიყვანება. ამასთან, ფინანსური ინსტრუმენტები დაჯგუფებულია რისკის ხარისხის მიხედვით: მაღალი რისკიანი – 1; საშუალო რისკიანი – 0,5; დაბალი რისკიანი – 0,2; რისკის გარეშე – 0; რისკიანი აქტივები მიღებულ თანხაზე გაიზრდება.

მიმდინარე საკრედიტო რისკი თავისთავად ორმხრივ საკომპენსაციო შეთანხმებებში ჩართული გარიგებების მიხედვით ჩანაცვლების ღირებულების თანხას წარმოადგენს.

პოტენციალური საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც ორმხრივი კომპენსაციური შეთანხმებებით იურიდიულად გაფორმებული გარიგებების მიხედვით რისკების ჯამი.

საბაზრო რისკის თანხა გაიანგარიშება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ ჩამოყალიბებული დებულების შესაბამისად ფორმულით:

$$\text{საბაზრო რისკი} = 12,5 \times \left( \frac{\text{პროცენტული რისკი}}{\text{რისკი}} + \frac{\text{საფონდო რისკი}}{\text{რისკი}} + \frac{\text{სავალუტო რისკი}}{\text{რისკი}} \right)$$

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის (H<sub>1</sub>) მინიმალურად დასაშვები რიცხოვრივი მნიშვნელობა დგინდება საკუთარი კაპიტალის მნიშვნელობაზე დამოკიდებულებაში და იგი 5 მლნ. ევროს ექვივალენტური ბანკებისათვის 10-14%-ის ფარგლებშია დასაშვები.

საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ბანკის კაპიტალის საკმარისობის განგარიშების მეთოდის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებთან მაქსიმალურად არის მიახლოებული კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის მიხედვით. ამასთან ერთად, 2000 წელს ბაზელის კომიტეტის მიერ ახალი მიდგომები იქნა შემოთავაზებული კაპიტალის ადექვატურობის შეფასებისა და ბანკების მიერ პრუდენციული ნორმების დაცვაზე კონტროლის გაუმჯობესების პრობლემებთან მიმართებაში და დღეს კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის გაანგარიშება მოიცავს შემდეგ პარამეტრებს:

$$K = \frac{\text{საკრედიტო კაპიტალი}}{\text{საკრედიტო რისკი} + \text{საოპერაციო რისკი} + \text{საბაზრო რისკი}} \geq 8\%.$$

6%
1,6%
0,4%

ამრიგად, გაანგარიშების ახალ მიდგომაში კაპიტალის საკმარისობის შეფასებისას გაანგარიშების ძირითადი პრინციპი შენარჩუნებულია, თუმცა ერთდროულად საზედამხედველო ორგანოების როლის გაძლიერებაზე და საბაზრო მექანიზმის ბანკების კაპიტალუსი ბაზის ფორმირების პროცესზე უფრო დიდი მნიშვნელობა მიკუთვნებული.

რაც შეეხება ახალი ზედამხედველობის პრინციპების (ბაზელი III) შემუშავების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საბანკო სექტორისათვის 2010 წელი ხასიათდებოდა რეალური ეკონომიკის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზეგავლენიდან ეტაპობრივი გამოსვლით, კაპიტალური დაბანდების გლობალური დისბალანსის ტენდენციების განახლებით, ევროპაში სახელმწიფო საგარეო ვალის კრიზისის რისკის გაზრდითა და ფინანსური კრიზისის შედეგების გათვალისწინებით ახალი ზედამხედველობის პრინციპების (ბაზელი III) შემუშავებით.<sup>34</sup> ბაზელის კომიტეტის მიერ 2010 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნებული **ბაზელი III-ის დოკუმენტი**<sup>35</sup> სწორედ ფინანსური კრიზისის შედეგებთან ბრძოლის გაანალიზებიდან გამომდინარე, რეგულირების არსებული საერთაშორისო ჩარჩოსა და რისკების მართვის პრაქტიკის რამდენიმე ფუნდამენტალურ ნაკლოვანებებზე მეტყველებს და იგი მსგავსი ხარვეზების აღმოფხვრისკენაა მიმართული. ბოლო გლობალური ფინანსური კრიზისისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანება, რომელთა გადაჭრის მცდელობას ბაზელი III წარმოადგენს, შემდეგში მდგომარეობს:<sup>36</sup>

- ლიკვიდობის სუსტი მენეჯმენტი და არასაკმარისი ბუფერები;
- საბანკო სისტემაში ლევერიჯის ჭარბი ზრდისა და სესხის დამტკიცების გამარტივებული პირობების კომბინაცია;
- არასაკმარისი დონისა და ხარისხის საბანკო კაპიტალი;
- მნიშვნელოვანი ხარვეზები კომერციულ მართვასთან, რისკების მენეჯმენტთან და ბაზრის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

**ბაზელი III** არის **ბაზელი II-ის** უბრალო გაგრძელება ან მისი ჩანაცვლება კი არა, არამედ ბაზელი II-ისა და ბაზელი I-ის **შემავსებელი ელემენტი, იგი ბანკებისა და საბანკო სექტორის გაძლიერებისკენაა მიმართული**, იმისათვის, რომ ისინი უკეთესად იყვნენ მომზადებული შემდგომი კრიზისებისათვის მათი წყაროსა და მახასიათებლების მიუხედავად. იგი ამარტივებს და აძლიერებს კაპიტალის კოეფიციენტს და რეგულირების ჩარჩოში გვთავაზობს მაკროპრუდენციულ კომპონენტებს. მრავალრიცხოვანი სიახლეებიდან შესაძლებელია შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოყოფა:

<sup>34</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში – საერთაშორისო გარემო და საზედამხედველო რეფორმის ტენდენციები, 2010 წ. გვ. 60-68

<sup>35</sup> BIS (2010) “Basel III: A global regulatory framework for more resilient banks and banking systems”, Basel committee on banking supervision Bank for International Settlements.

<sup>36</sup> ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა – საბანკო ზედამხედველობის ახალი ჩარჩო – 2011 წ. 27 იანვარი.

- კაპიტალის ხარისხის ზრდა, რომ შესაძლებელი იყოს მისი მეშვეობით ზარალის დაფარვა როგორც ფინანსური ისტიტუტის საქმიანობის უწყვეტობის, ასევე მისი გაკოტრების პირობებში;

- რისკების მართვის სფეროს გაფართოება, კერძოდ, კაპიტალის ბაზრებთან დაკავშირებული რისკების მოცვა;

- მინიმალური კაპიტალის კოეფიციენტის გაზრდა, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივი აქციების მინიმუმ 4,5 პროცენტიდან და კონსერვაციის ბუფერის მინიმუმ 2,5 პროცენტიან მაჩვენებელს (როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, კაპიტალი 1-ის დონის თანაფარდობა რისკის მიხედვით შენონილი აქტივებისა და გარესაბალანსო ოპერაციების ჯამთან 4%-ის ტოლი და გარდამავალ პერიოდში 3,65% იყო დამტკიცებული);

- საერთაშორისო ჰარმონიზირებული ლევერიჯის კოეფიციენტის შემოღება (3 პროცენტი), რომელიც რისკებზე დაფუძნებით შევსებულ კაპიტალთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქარბი საბალანსო და გარესაბალანსო ლევერიჯის არიდებაში;

- ლიკვიდობის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება და მოკლევადიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა და გრძელვადიანი წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტების შემოღება;

- ზედამხედველობის პროცესისა და საჯარო გამჭვირვალობის, შეფასების პრაქტიკის, სტრეს-ტესტირების, ლიკვიდობის რისკის მართვის, კორპორაციული მართვისა და საკომპენსაციო პრაქტიკის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებასთან ერთად სტანდარტების ზრდა;

- კაპიტალის ბუფერის, მათ შორის, კაპიტალის კონსერვაციისა და ბიზნეს ციკლის სანინაალმდეგო ბუფერების განვითარება, რომელთა აკუმულირება-აღმავლობის ფაზაში, ხოლო გამოყენება კი სტრესულ პერიოდში იქნება შესაძლებელი.

აღნიშნულ ახალ ჩარჩოს „დიდი ოცეულის“ ქვეყნებში 2013 წლიდან ამოქმედდა და იგი ეტაპობრივად დაინერგება 2019 წლამდე. მიუხედავად გარდამავალი დებულებისა, ბაზელი III-ის დანერგვა საკმაოდ რთულ ამოცანად მიიჩნევა. პუბლიკაციების<sup>37</sup> თანახმად, ბაზელი III მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ევროპის საბანკო სექტორზე: „2013 წლისათვის ინდუსტრიას დასჭირდება დაახლოებით 1,1 ტრილიონი ევროს ოდენობის დამატებითი პირველადი კაპიტალი, 1,3 ტრილიონი ევროს ოდენობის მოკლევადიანი ლიკვიდობის უზრუნველყოფა და 2,3 ტრილიონი ევროს ოდენობის გრძელვადიანი დაფინანსება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვადასხვა შესაძლო შემარბილებელ ღონისძიებებს“. მსგავს გავლენას იქონიებს ბაზელი III შეერთებული შტატების საბანკო სექტორზეც ამავე პუბლიკაციის შეფასებით: „დამატებითი კაპიტალის საჭიროება დღეს ევროპასა და შეერთებულ შტატებში არსებული პირველადი კაპიტალის 60 პროცენტს უტოლდება, ხოლო დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება კი – დღეისათვის არსებული მთლიანი მოკლევადიანი ლიკვიდობის 50%-ს“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბაზელი III-ის დანერგვამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსოფლიოს საბანკო სექტორში დღეს არსებულ ბიზნეს მოდელზე.

ჩამოთვლილ საკითხთა უმრავლესობა აქტუალურია **საქართველოს საბანკო სისტემისათვისაც. ბაზელი III ითვალისწინებს რისკების ძლიერი მენეჯმენტისა და ზედამხედველობის პრაქტიკის გაძლიერებას.** მნიშვნელოვანია აგრეთვე რეზერვების შექმნის ძლიერი მეთოდოლოგიის შემუშავება მოსალოდნელ და არა რეალიზებულ ზარალზე დაფუძნებით. **შესაბამისად, საშუალოვადიან ამოცანას რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის კიდევ უფრო დახვეწა, განვითარება და დღეს არსებული ზედამხედველობის პრაქტიკის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად მიახლოება წარმოადგენს.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ბანკის რესურსების ფორმირების პრობლემას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი მდგომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლით, სახელმწიფოს მხრიდან საბანკო

<sup>37</sup> ნოემბერი, 2010 წ. – ბაზელი III და საბანკო საქმე ევროპაში. მისი გავლენა, ბანკების შესაძლო რეაქცია და დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები.

საქმეზე მონოპოლიის ლიკვიდაციით, ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებით საბანკო რესურსების თავისებურებებმაც არსებითი ცვლილებები განიცადეს.

2. საკრედიტო რესურსების ბაზართან ერთად ფასიანი ქაღალდების ბაზარზე იწყებს ფუნქციონირებას, სადაც ბანკები უკვე საკუთარი რესურსების გამყიდველებად ან სახელმწიფო კორპორაციული ფასიანი ქაღალდების მყიდველებად გამოდიან. სადაზღვევო, ფინანსური და სხვა საკრედიტო დაწესებულებების არსებობა კი – ააქტიურებს საკრედიტო რესურსების ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლას და ამწვავებს ბანკების მიერ დროებით თავისუფალ ფულადი სახსრების აკუმულირების პრობლემას.

3. საწესდებო კაპიტალი (ფონდი) – ბანკის არსებობის ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის განხორციელების საფუძველია და იგი ბანკის, როგორც იურიდიული პირის ჩამოყალიბების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. საბანკო კაპიტალის ძირითადი ფუნქციებია: დაცვითი (ბუფერული) ფუნქცია, ოპერაციული (ფინანსური რესურსების ბაზარში შეღწევადობის) ფუნქცია, მარეგულირებელი (ლიკვიდურობის პრობლემებიდან დაცვის ფუნქცია).

4. კომერციული ბანკების რესურსები, ანუ საბანკო რესურსები თავისთავად ყველა სახსრების ერთობლიობას წარმოადგენენ, რომლებიც ბანკების განკარგულებაში იმყოფება და ისინი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოიყენება. კომერციული ბანკის რესურსების ძირითად წყაროს შეადგენენ: მოზიდული სახსრები (ბანკის ყველა რესურსების 70-80%), ხოლო საკუთარი სახსრების წილზე 20-დან 30%-მდე მოდის, რაც მთლიანობაში საბანკო სისტემაში ჩამოყალიბებულ სტრუქტურას შეესაბამება.

5. ბანკის კაპიტალის საკმარისობის პრინციპია: საკუთარი კაპიტალის სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს რისკების მიხედვით სენონილი აქტივების ჯამის სიდიდეს. ნაშრომში შემოთავაზებულია შემდეგი კოეფიციენტების გაანგარიშების ფორმულები: კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი, საბაზრო რისკის სიდიდე, ანგარიშებზე სახსრების მუდმივი ნაშთების, ფულადი სახსრების შენახვის საშუალო ვადის და სახსრების ანგარიშებზე დალექვის დონის კოეფიციენტები.

6. საკმაოდ დეტალურად არის განხილული საერთაშორისო საფინანსო ორგანოებში საბანკო კაპიტალის შეფასების და კაპიტალის საკმარისობის საერთო კრიტერიუმების შემუშავებაში ბაზელის კომიტეტის ეგიდით ჩამოყალიბებული ზედამხედველობის პრინციპები: ბაზელი I, ბაზელი II და ბაზელი III, რაც საბოლოო ჯამში საერთაშორისო საბანკო სექტორისათვის რეალური ეკონომიკის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზეგავლენიდან ეტაპობრივად გამოსვლის, კაპიტალური დაბანდების გლობალური დისბალანსის ტენდენციებისა და ფინანსური კრიზისის შედეგების შემცირების გაანალიზებიდან გამომდინარეობს და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისაკენ არის მიმართული.

7. დადასტურებულია, რომ ბაზელი III – არის წინა შესაბამისი დადგენილებების (ბაზელი I და II) არა ჩამნაცვლებელი, არამედ შემავსებელი ელემენტების მომცველი გადაწყვეტილება, იგი ბანკებისა და საბანკო სექტორის გაძლიერებისაკენ არის მიმართული. იგი ამარტივებს და აძლიერებს ბანკის კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის მნიშვნელობას და მისი დანერგვა საკმაოდ რთულ ამოცანად არის მიჩნეული, ვინაიდან იგი მსოფლიოში დიდი მოცულობის დამატებითი პირველადი კაპიტალის მოკლევადიანი ლიკვიდობისა და გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფას საჭიროებს (საუბარია ტრილიონობით ევროზე), რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საბანკო სექტორში დღეს არსებული ბიზნესის მოდელზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014.
2. ცაავა გ. – საბანკო საქმე: ლექციების კურსი (სახელმძღვანელო). – თბილისი, გ-ბა „აფხ. მეცნ. აკადემია“, 2005 – 663 გვ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში – საერთაშორისო გარემო და საზედამხედველო რეფორმის ტენდენციები, 2010.
4. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა – საბანკო ზედამხედველობის ახალი ჩარჩო – 2011 წ. 27 იანვარი.

5. [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)
6. BIS (2010) “Basel III: A global regulatory framework for more resilient banks and banking systems”, Basel committee on banking supervision Bank for International Settlements.
7. <http://sabanko.com/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98/wigni/>



**ჯუმბერ ხარაიშვილი**



**საკრედიტო და საბანკო რისკების კლასიფიკაციის და  
ლუთინიციის ძირითადი ასპექტები**

მიმდინარე ეტაპზე საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი (კომერციული ბანკი) წარმოადგენს რისკიან პირობებში დასაქმებულ განსაკუთრებულ უნივერსალურ ინსტიტუციურ საკრედიტო საწარმოს, რომელიც ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ლიმიტების, ნორმატივებისა და წესების დაცვით და მოგების მიღების მიზნით ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. ბანკი – დანესებულებაა, სადაც შეიძლება კრედიტის მიღება, თუ კი შეძლებთ დასაბუთებას, რომ წარმატებული მენარმე ხართ და ფინანსურად არ გიჭირთ. ტერმინი „რისკი“ ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობაში ხშირად გამოიყენება და ყველაზე უფრო ფართე გაგებით რისკი – არის შესაძლო შედეგში განუსაზღვრელობა და მას განუსაზღვრელობის კომერციულ რისკსაც უწოდებენ, რომლის შემადგენელი ნაწილია ფინანსური რისკები და იგი ფულადი სახსრების დანაკარგების ან მათი სრულად მიუღებლობის ალბათობასთანაა დაკავშირებული.

რისკის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს მიღებული შედეგის დაგეგმილი მონაცემებისაგან გადახრის შესაძლებლობაში, ამასთან, გადახრა შეიძლება არა მარტო დანაკარგებთან, არამედ დამატებითი მოგების მიღებასთანაც იყოს დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, საუბარია არა მარტო დანაკარგების რისკის შესახებ, არამედ დამატებითი მოგების, ანუ მეტი შემოსავლის – სარგებლის მიღების რისკის შესახებაც.

ამრიგად, რისკი – არის ნებისმიერი საწარმოს, მათ შორის ბანკის საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც მისი დასრულების განუსაზღვრელობის და წარუმატებლობის (ან წარმატებული შედეგის) შემთხვევაში შესაძლო არაკეთილსასურველ (ანუ პირიქით, კეთილსასურველ შედეგებს) გამოხატავს. ეკონომიკური სუბიექტების განკარგულებაში არსებული რესურსები, შეიძლება მათი დაბანდების სფეროებისა და რაოდენობრივი პროპორციების მიხედვით სხვადასხვაგვარად იქნას გამოყენებული და მოგებაც შეიძლება განსხვავებულიც იყოს. ეფექტური ეკონომიკური ზრდის ამოცანა რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ანუ ყველა შესაძლო ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევას საჭიროებს და ასეთი გადაწყვეტილებების მიღება სწორედ რისკის გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს. აღნიშნული რისკი ობიექტურად არსებობს დამოუკიდებლად იმისგან, შევიცნობთ ჩვენ მას თუ არა და რომ თანამედროვე საბაზრო გარემო უბრალოდ რისკის გარეშე წამოუდგენელია (2, გვ. 121).

საბაზრო პირობებში კომერციული ბანკების მუშაობის ერთ-ერთ პრინციპს მეტი მოგების მიღებისკენ სწრაფვა წარმოადგენს, ამიტომ, თუმცა როგორც წესი, ნებისმიერი მენარმე რისკის ხარისხის მინიმუმამდე დაყვანას ცდილობს და რამოდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტილებებიდან ირჩევს იმას, რომლის დროსაც რისკის დონე მინიმალური იქნება და აქედან გამომდინარე, მისთვის რისკის დონისა და საქმიანი აქტიურობის, შემოსავლიანობის ხარისხის ოპტიმალური თანაფარდობის მოძიება არის აუცილებელი.

თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები მრავალი სახის რისკების ზემოქმედებას განიცდიან, ამიტომ საბანკო საქმიანობაში არსებული რისკების სიმრავლის შესახებ სრული წარ-

მოდგენის გათვითცნობიერება და მათი კლასიფიცირება არის საჭირო (3, გვ. 59). ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენს რისკების რიგი ერთმანეთთან დაუკავშირებელი კრიტერიუმების (კლასიფიცირების ფასეტური სისტემა) მიხედვით კლასიფიკაცირება, როგორებიცაა: წარმოშობის დროის, ხარისხის დონის, გაანგარიშების მეთოდის, ბანკის ტიპის, ზემოქმედების სფეროს, საქმიანობის სფეროს, წარმოშობის ძირითადი ფაქტორების, კლიენტების შემადგენლობის, ოპერაციების აღრიცხვის ხასიათის, რეგულირების შესაძლებლობების მიხედვით.

საბანკო რისკების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და მათი მოკლე მიმოხილვა მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. 1).

1. წარმოშობის დროის მიხედვით რისკები დაიყოფა რეტროსპექტიულებად, მიმდინარეებად და პერსპექტიულებად.

**საბანკო რისკების კლასიფიცირების ძირითადი კრიტერიუმების ზოგადი სქემა**

ცხრილი 1.

	კლასიფიცირების სისტემა	საბანკო რისკების დაყოფის კრიტერიუმები	მოკლე მიმოხილვა
1	წარმოშობის დროის მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>რეტროსპექტიული,</li> <li>მიმდინარე,</li> <li>პერსპექტიული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>რეტროსპექტიული რისკების, მათი ხასიათისა და შემცირების ხერხების ანალიზი მიმდინარე და პერსპექტიული რისკების უფრო ზუსტად პროგნოზირების საშუალებას იძლევა;</li> <li>მიმდინარე რისკი დამახასიათებელია ოპერაციებისათვის: გარანტიების გაცემასთან, გადასაყვანი თამასუქების აქცეპტთან დაკავშირებით და ა.შ.;</li> <li>პერსპექტიული რისკი გარკვეული დროის შემდეგ თვით გარანტიის გადახდის, თამასუქის გადახდის, კრედიტის დაფარვის ალბათობაში გამოიხატება.</li> </ul>
2	ხარისხის (დონის) მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>დაბალი,</li> <li>ზომიერი,</li> <li>მაღალი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საბანკო რისკის ხარისხი ხასიათდება ბანკის მიერ მოცემული ოპერაციის მიხედვით სახსრების დაკარგვამდე მიმყვანი გარემოების ალბათობით და იგი პროცენტებში ან კოეფიციენტებში გამოიხატება;</li> <li>ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ კანონმდებლობით არის დადგენილი ბანკების აქტივების დაჯგუფება რისკის ხარისხზე და ღირებულების ნაწილის შესაძლო დანაკარგების მიხედვით დამოკიდებულებაში, თუმცა კონკრეტული ოპერაციების მიხედვით მოცემული ბანკისათვის მათი დამოუკიდებლად განსაზღვრაც არის შესაძლებელი;</li> <li>ერთი და იგივე ოპერაცია შეიძლება რისკის სხვადასხვა დონესთან იყოს დაკავშირებული, მაგალითად, ახალი საწარმოს მშენებლობის ქვეშ გაცემული ბანკის გრძელვადიან სესხებს რისკის მაღალი დონე გააჩნიათ, მაგრამ აღნიშნული თანხის სახელმწიფო ორგანოებში დაზღვევისას რისკის ხარისხი მცირდება.</li> </ul>
3	გაანგარიშების მეთოდის მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>კომპლექსური,</li> <li>კერძო.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კომპლექსური რისკი მოიცავს ბანკის რისკის სიდიდის შეფასებას და პროგნოზირებას და საბანკო ლიკვიდობის ეკონომიკური ნორმატივების დაცვას;</li> <li>კერძო რისკი დაფუძნებულია რისკის კოეფიცი-</li> </ul>



			ენტების სკალის შექმნაზე და ცალკე საბანკო ოპერაციებისა და ჯგუფის მიხედვით რისკის შენონვაზე.
4	ბანკის ტიპის მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>• სპეციალიზირებული,</li> <li>• დარგობრივი,</li> <li>• უნივერსალური.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სპეციალიზირებული ბანკები მაღალი რისკის მატარებლებია მათ მიერ შესრულებადი სპეციფიკური ოპერაციების მიხედვით;</li> <li>• დარგობრივი ბანკებისათვის მნიშვნელოვანია საშუალო დარგობრივი რისკის გაანგარიშება;</li> <li>• უნივერსალური ბანკები იძულებულები არიან თავიანთ საქმიანობაში ყველა სახის რისკები გაითვალისწინონ.</li> </ul>
5	ზემოქმედების სფეროს მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგარეო,</li> <li>• შიდა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შიდა რისკები თავისთავად დაიყოფა: რისკები ძირითად საქმიანობაში – საკრედიტო, პრევენციული, სავალუტო, ფაქტორინგული და ლიზინგური ოპერაციებიდან, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან; რისკები დამხმარე საქმიანობაში – დანაკარგები დეპოზიტების ფორმირებასთან, საბანკო ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებით, გარესაბაღანსო ოპერაციების მიხედვით, ბაზარზე ბანკის მიერ პოზიციების დაკარგვის, ბანკის რეპუტაციის დაკარგვის, მისი კლიენტების შემადგენლობის, საბანკო რეიტინგის შემცირების და ა.შ. მეორეს მხრივ, შიდა რისკები ასევე შეიძლება დაიყოს: დაკავშირებულები ბანკის აქტივებთან, პასივებთან, აქტივებისა და პასივების მართვის ხარისხთან, ფინანსური მომსახურების რეალიზაციის რისკთან;</li> <li>• საგარეოებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც ბანკის ან კონკრეტული კლიენტის საქმიანობასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული (საუბარია პოლიტიკურების, სოციალურების, ეკონომიკურების, გეოგრაფიულების და სხვა სიტუაციების შესახებ). რისკების საგარეო სახეობებს მიეკუთვნება: სადაზღვევო რისკები, სტიქიური უბედურების რისკები, სამართლებრივი რისკები, კონკურენტული რისკები. ეკონომიკურ საგარეო რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ რისკები, რომლებიც გამონვეულია სავალუტო კურსების, ინფლაციის არამდგრადობით, ბანკის კლიენტების გადახდის უუნარობასთან ან გაკოტრებასთან, კლიენტების ბოროტმოქმედებასთან ან მათ მიერ სავალუტო სახსრების მოპარვასთან, გაყალბებული ჩეკების განაღდებასთან დაკავშირებით და ა.შ.</li> </ul>
6	მოქმედების სფეროს მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყნიური რისკი,</li> <li>• ბანკის ფინანსური საიმედოობის რისკი,</li> <li>• საბანკო ცალკეული ოპერაციების რისკი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბანკის ფინანსური საიმედოობის რისკებია: ბანკის კაპიტალის არასაკამრისობის, ლიკვიდურობის დაუბალანირების, სავალდებულო რეზერვების არასაკამრისობის რისკები;</li> <li>• საბანკო ოპერაციის ცალკეული სახეობის რისკებია არგადახდის, არანაზღაურების, ინკასირების, საბანკო გარანტიების, იურიდიული, კრედიტის არარენტაბელობის რისკები და ა.შ.</li> </ul>
7	წარმოშობის დი-	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკური,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკურებს მიეკუთვნებიან რისკები, რომ-</li> </ul>

	რიტადი ფაქტორების მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>პოლიტიკური.</li> </ul>	<p>ლებიც განპირობებულია პოლიტიკური გარემოების ცვლილებით (საზღვრების გადაკეცვა, საომარი მოქმედებები, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლით და სხვა);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>პოლიტიკურებს მიეკუთვნებიან რისკები, რომლებიც თვით ბანკის ეკონომიკაში ან ქვეყნის ეკონომიკაში არაკეთილსასურველ ცვლილებებთან არის დაკავშირებული (ლიკვიდურობის დაუზღავანებლობის, ბაზრის კონიუნქტურის, მართვის დონის შეცვლის) რისკები.</li> </ul>
8	კლიენტების შემადგენლობის მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>დაკავშირებული საბანკო მარკეტინგულ მომსახურებასთან,</li> <li>დაკავშირებული საზოგადოებასთან გაფორმებულ კონტაქტებთან.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მცირე, საშუალო და მსხვილი კლიენტების მრავალფეროვანი მოთხოვნა თვით რისკის ხარისხის განმსაზღვრელიცაა;</li> <li>საბანკო რისკი ასევე ბევრადაა დამოკიდებული ბანკის კლიენტების სხვადასხვა დარგებისადმი კუთვნილებასთან, რაც დარგობრივი რისკის სახით ვრცელდება და იგი თვით დარგის ეკონომიკურ და ფინანსურ დინამიკასთან არის დაკავშირებული.</li> </ul>
9	ოპერაციების აღრიცხვის ხასიათის მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>საბალანსო აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით,</li> <li>გარესაბალანსო აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტიური ოპერაციების მიხედვით რისკებს მიეკუთვნება: პროცენტული და პორტფელური რისკები, ინფლაციის, საკრედიტო, ტრანსპორტული, ლიზინგური, ფაქტორინგული და სხვა რისკები;</li> <li>პასიური ოპერაციების მიხედვით რისკებს მიეკუთვნება: მოგების ხარჯზე სანესდებო კაპიტალის გადიდებასთან დაკავშირებულები, სხვა იურიდიული პირებიდან მიღებული კრედიტების, დეპოზიტური ოპერაციების რისკები და სხვა.</li> </ul>
10	რეგულირების შესაძლებლობის მიხედვით:	<ul style="list-style-type: none"> <li>ლია,</li> <li>დახურული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ლია რისკებთან მიმართებაში ბანკს რისკის მოცემული სახეობის ლოკალიზების შესაძლებლობა არ გააჩნია;</li> <li>დახურული რისკის შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა არსებობს.</li> </ul>

2. ხარისხის (დონის) მიხედვით საბანკო რისკები შეიძლება დაიყოს დაბლი, ზომიერი და სრულუბად.

3. გაანგარიშების მეთოდის მიხედვით რისკები შეიძლება კომპლექსური და კერძო იყოს.

4. ბანკის ტიპის მიხედვით კომერციული ბანკების რისკები დაიყოფა სპეციალიზირებულუბად, დარგობრივუბად და უნივერსალურუბად.

5. ზემოქმედების სფეროს მიხედვით რისკები დაიყოფა საგარეო და შიდა რისკუბად.

6. მოქმედების სფეროს მიხედვით საბანკო რისკები ასევე შეიძლება შემდეგი სახით იქნას კლასიფიცირებულ: ქვეყნიური რისკი, ცალკეული ბანკის ფინანსური საიმედოობის რისკი (რისკები ბანკის კაპიტალის არასაკმარისობის, ლიკვიდობის დაუზღავანებულობის, სავალდებულო რეზერვების უკმარისობის); ცალკეული სახეობის საბანკო ოპერაციის რისკი (რისკები არგადახდის, არაანაზღაურების, ინკასირების, საბანკო გარანტიის, იურიდიული რისკის, კრედიტის არარენტაბელობის რისკის და ა.შ.).

7. წარმოშობის ძირითადი ფაქტორების მიხედვით საბანკო რისკები დაიყოფა ეკონომიკურუბად და პოლიტიკურუბად. პირველს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც განპირობებულია ბანკის საქმიანობაზე არაკეთილსასურველად ზემომქმედი პოლიტიკური გარემოების ცვლილებით (საზღვრების გადაკეცვა, საომარი მოქმედებები, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლით და სხვ.). მეორეს მიეკუთვნებიან რისკები, რომლებიც განპირობებულია თვით ბანკის ეკონომიკაში ან ქვეყნის ეკონომიკაში ცვლილებებით.

ნომიკაში არაკეთილსასურველი ცვლილებებით (ლიკვიდობის დაუბლანსებლობის რისკი, ბაზრის კონიუნქტურის, მართვის დონის შეცვლა).

8. კლიენტების შემადგენლობის მიხედვით რისკები დაკავშირებულია საბანკო მომსახურების მარკეტინგთან და კონტაქტებით საზოგადოებასთან.

9. ოპერაციების აღრიცხვის ხასიათის მიხედვით საბანკო რისკები დაიყოფა: რისკები საბალანსო ოპერაციების მიხედვით და რისკები გარესაბალანსო ოპერაციების მიხედვით. ორივე მათგანი თავისთავად დაიყოფა: აქტიური ოპერაციების რისკებად და პასიური ოპერაციების რისკებად. აქტიური ოპერაციების მიხედვით რისკებს მიეკუთვნება: პროცენტული რისკები და პორტფელური რისკები, ინფლაციის, საკრედიტო, სატრანსპორტო, ლიზინგური, ფაქტორინგული რისკები და სხვა. პასიური ოპერაციების მიხედვით რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია: მოგების ხარჯზე სანესდებო კაპიტალის გადიდებასთან, სხვა იურიდიული პირებისაგან მიღებული კრედიტებისაგან, დეპოზიტურ ოპერაციებთან და სხვა იურიდიული პირებისაგან მიღებული კრედიტებისაგან, დეპოზიტურ ოპერაციებთან და სხვა. ამასთან, საბალანსო ოპერაციების მიხედვით წარმოშობილი რისკები, ხშირად გარესაბალანსო ოპერაციებზეც ვრცელდება, მაგალითად, კლიენტის გაკოტრებისას.

ბანკის საბალანსო რისკებს მიეკუთვნება რისკები: საკრედიტო, პროცენტული, ლიკვიდობის, კაპიტალის სტრუქტურის (კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის დაუცველობა, კაპიტალის სტრუქტურის არარაციონალური ორგანიზაცია), ამასთან ეს უკანასკნელი რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც დამატებითი კაპიტალი (რეზერვები საკრედიტო რისკების გადაფარვაზე, რეზერვები ფასიანი ქაღალდების გაუფასურებაზე) ბანკის ძირითად კაპიტალის მოცულობას აჭარბებს.

გარესაბალანსო რისკები ნიშნავს, რომ ბანკის მიერ გაცემული გარანტიების, ფასიან ქაღალდებთან დადებული გარიგებების, საკრედიტო ვალდებულებების, გაფორმებული სავალუტო გარიგებების მიხედვით თავისდროული და შესაბამისი პასუხის გაცემის შეუძლებლობის ფაქტის ნინაშე აღმოჩნდა.

10. რეგულირების შესაძლებლობის მიხედვით გამოყოფენ: ღია რისკებს (ბანკს მოცემული რისკის სახეობის ლოკალიზირების შესაძლებლობები არ გააჩნია) და დახურულ რისკებს.

დასასრულს, მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი იმის შესახებ, რომ:

- ყველაზე უფრო ფართო გაგებით რისკი – არის განუსაზღვრელობა შესაძლო შედეგში და მისი განუსაზღვრელობა კი – კომერციული რისკია. კომერციული რისკების შემადგენელი ნაწილია – ფინანსური რისკები, რომლებიც რაიმე სახით ფულადი სახსრების დანაკარგებთან ან მათი მიუღებლობის ალბათობასთანაა დაკავშირებული;

- რისკის არსი მდგომარეობს დაგეგმილისაგან მიღებული შედეგის გადახრის შესაძლებლობაში, ამასთან გადახრა შეიძლება არა მარტო დანაკარგებთან, არამედ დამატებითი მოგების, შემოსავლის – სარგებლის რისკის მიღებასთანაც იყოს დაკავშირებული. ამრიგად, რისკი – არის ნებისმიერი მწარმოებლის, მათ შორის ბანკის საქმიანობის სიტუატიური მახასიათებელი, რომელიც მისი შედეგის განუსაზღვრელობას და წარუმატებლობის შემთხვევაში (ან წარმატების შემთხვევაში) შესაძლო არასასურველ (ან, პირიქით, სასურველ) შედეგებს გამოხატავს. ამრიგად, რისკი – არის დანაკარგების გამომწვევი ალბათობითი გარემოების ღირებულებითი გამოხატულება;

- ნაშრომში შემოთავაზებული საბანკო რისკების კლასიფიცირების კრიტერიუმები გამოირჩევა კომპლექსურობით. კლასიფიკაციის შემოთავაზებული კრიტერიუმები არა მარტო ყველა სახეობის საბანკო რისკების ჩართვის საშუალებას, არამედ თავისთავად განსაზღვრულ სისტემასაც წარმოადგენენ, რომელიც კომერციულ და სამეწარმეო სფეროებში რისკების ერთიანი სიდიდის განსაზღვრისას საბანკო რისკების ცალკეული ნაირსახეობების ობიექტურად და სრულად გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ. – საბანკო საქმე: ლექციების კურსი (დამხმარე სახელმძღვანელო). – თბილისი, გამომცემლობა: აფხ. მეცნ. აკადემია, 2005.—663 გვ.
2. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი (სახელმძღვანელო). – თბილისი, გამ-ბა აფხ. მეცნ. აკადემია. 2007. – 567 გვ.
3. Лаврушин О.И., Мамонова И. Д., Валенцова Н. И. – Банковское дело: учебник. – Москва: КНОРУС, 2009. – 768 с.



ონერ ძაძუა



მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის „წარმონიული“ შეთანხმების თეორიული საკითხები


მიუხედავად ტექნოლოგიური წინსვლისა, საქართველის ეკონომიკური ცხოვრება ძალიან ნააგავს 70-იანი წლების ევროპული კაპიტალისტური სამყაროს მდგომარეობას (გაუარესებულ ვარიანტში). ამიტომ ალან ბლანდერის, ჰოლის და მიშკინის და სხვა მეცნიერთა ნაშრომები დღემდე რელევანტურია. თუ დაფიქრდებით კითხვაზე არის თუ არა მეტი კოორდინაცია საჭირო მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებს შორის, თავდაპირველად თითქოსდა ერთადერთი ჭეშამარიტი პასუხი არის: დიახ. როგორ შეიძლება ეს ცუდი იყოს? მაგრამ რეალობაში, შესაძლოა ძალზედ მჭირდრო კოორდინაცია სულაც არ იყოს იმდენად

ეფექტური, რამენადაც ერთი შეხედვით ჩანს. მაგალითად, შესაძლოა ცენტრალური ბანკი და მთავრობა თანხმდებოდნენ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ კოორდინაცია ვერ ხერხდებოდა რომელიმე მხარის სიჯიუტის ან თავნებობის გამო. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კოორდინაციის გაუმჯობესება გადაწყვეტდა პრობლემებს იმ მხრივ, რომ უფრო დალაგებული და აზრიანი პოლიტიკის გამტარებელს დაეჭირა დომინანტური როლი და პრობლემა მარტივად მოგვარდებოდა. მაგრამ რეალობაში ეს ასე მარტივი არ არის. რატომ უნდა იყოს ორ ისეთ პოლიტიკის გამტარებელს შორის, როგორებიც სახელმწიფოს ფინანსთა სამსახური და ეროვნული ბანკია კოორდინაციის ნაკლებობა? ლაპრაკი არ არის იმაზე, რომ ორივე მხარე გააზრებულად და რაციონალურად მოქმედებს და კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. არსებობს სამი შესაძლო მიზეზი ან რამდენიმე მათგანის კომბინაცია, რატომაც შეიძლება მივიღოთ კოორდინაციის არასასურველი დონე:

1. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება, ჰქონდეთ განსხვავებული მიზნები. მაგალითად, განსხვავებული ხედვა იმაზე, თუ რა არის უკეთესი საზოგადოების კეთილდღეობისათვის;
2. პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული შეხედულება იმ ეფექტებზე, რომლებსაც გამოიღებს გატარებული ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკა;
3. პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა პროგნოზი ეკონომიკის მდგომარეობაზე ჩაურევლობის პოლიტიკის შემთხვევაში. ასეთი განსხვავება შეიძლება მომდინარეობდეს როგორც განსხვავებული ეკონომიკური თეორიებიდან, ასევე განსხვავებული პროგნოზებიდან ეგზოგენური ცვლადების მნიშვნელობების შესახებ.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რომ ვიცოდეთ რომელ პოლიტიკის გამტარებელს აქვს უფრო ზუსტი ინფორმაცია, ადვილად გადავწყვეტდით კოორდინაციის პრობლემებს იმ მხარის პრიორიტეტებზე მუშაობით, რომელსაც უფრო აკურატული პროგნოზი აქვს, მაგრამ რეალობაში

იშვიათად შეიძლება მსგავსი ტიპის ცოდნა გვექონდეს და დარწმუნებული ვიყოთ ამა თუ იმ პოლიტიკისა და პროგნოზის სისწორეში. შესაბამისად არ შეიძლება გავწეროთ რამე კონსტიტუციური წესი, რომლის მიხედვითაც ან ერთი ან მეორე მხარე ყოველთვის მართალი იქნება და, შესაბამისად, საუკეთესო გადანყვეტილებად ამ შემთხვევაში გვევლინება ორივე პოლიტიკის გამტარებლისთვის გარკვეული ძალაუფლების დელეგირება, რათა მათ შეეძლოთ ერთმანეთის მოქმედებების გაბათილება.




იმის სადემონსტრაციოდ თუ რატომ შეიძლება მივიღოთ კოორდინაციის დაბალი დონე, სიმარტივისთვის, ვთქვათ, არსებობს ორი მიზეზი და ორი ინსტრუმენტი ამ მიზნის მისაღწევად.

ქვემოთ მოყვანილ სურათზე, გვაქვს ორი პოლიტიკა, ფისკალური და მონეტარული:

სურათი 1. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა იდეალური კოორდინაციისას.<sup>38</sup>

$Y-Y^*$  არის სხვაობა, მიმდინარე და პოტენციურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის. ეს პუნქტი ასევე სიმარტივისთვის ასახავს უმუშევრობის და ინფლაციის დონეებსაც, ხოლო  $I/Y - (I/Y)^*$  არის ინვესტიციების წილი მშპ-ში. პუნქტი A წარმოადგენს საპროგნოზო წერტილს, რომელსაც ეკონომიკა დაიჭერს, თუკი არცერთი მხრიდან ჩარევა არ მოხდება. ვექტორები  $m$  და  $f$  წარმოადგენენ, ექსპანსიური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შედეგებს შესაბამისად. ორივე პოლიტიკა ზრდის  $y$ -ს მაგრამ ასევე ინფლაციას, ხოლო უმუშევრობის დონე კი მცირდება. მონეტარული ექსპანსია ზრდის ინვესტიციებს, მაგრამ ფისკალური პირიქით ამცირებს

მას. ვექტორი  $\vec{AO}$  ასახავს სრულად კოორდინირებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მიერ მიღწეულ გლობალურ ოპტიმუმს. გზები  $\vec{AB}$   $\vec{BO}$  ასახავს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გეგმებს ცალ-ცალკე, რის ხარჯზეც ხდება ოპტიმუმის მიღწევა. ახლა კი განვიხილოთ, თუ რა შეიძლება იყოს შედეგი, როდესაც ყველაფერი იდეალურად არ არის.



სურათი 2. მონეტარულ იდა ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული მიზნების შემთხვევაში.<sup>39</sup>


სურათზე დაშვებულია, რომ პოლიტიკის გამტარებლები თანხმდებიან ეგზოგენური ცვლადების რაოდენობრივი გამომხატულებების სისწორეზე და ეკონომიკურ პროგნოზზე, მაგრამ მათ განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკური ხედვა და მიზნები აქვთ. ფისკალური პოლიტიკა ცდილობს ეკონომიკა მოახვედროს F-წერტილში, მაშინ როდესაც ცენტრალური ბანკის პოლიტიკა მიმართულია M-წერტილისაკენ. ამ წერტილში ეკონომიკური აქტივობის დონე ოპტიმალურზე დაბალია, თუკი მთავრობას ექნებოდა საშუალება, ორივე ინსტრუმენტი თავის მიზნებისთვის გამოეყენებინა.

$\vec{ABF}$  იქნებოდა გზა რომლითაც იგი ამ მიზანს მიაღწევდა. ცენტრალური ბანკის დომინანტური პო-

<sup>38</sup> მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა იდეალური კოორდინაციისას.  
<sup>39</sup> მონეტარულ იდა ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული მიზნების შემთხვევაში.

ლიტიკა კი  $ADM$  ვექტორზე გამოიხატებოდა. მონეტარული პოლიტიკა ნაკლებ ექსპანსიური იქნებოდა, ხოლო ფისკალური კი ნაკლებ შემზღუდველი. საინტერესოა, რა ხდება, როდესაც არცერთ მხარეს სრული კონტროლი არ აქვს, ისევე როგორც ჩვენს რეალობაში. შედეგი ძნელი განსასაზღვრია. ერთი შესაძლო შედეგია, რომ ფისკალური პოლიტიკა თავის ოპტიმალურ  $AB$  ვექტორს დაადგებოდა, ხოლო მონეტარული კი  $DM$ -ს. ეს, რაღა თქმა უნდა, არაკოორდინირებული პოლიტიკის შედეგამდე –  $C$  წერტილამდე მიგვიყვანს, მაგრამ რამდენად ცუდია ასეთი შედეგი?  $C$  წერტილი არის გარკვეული კომპრომისი  $F$  და  $M$  წერტილებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, მთავრობისა და ეროვნული ბანკის დასახულ მიზნებს წარამოდგენს. თუ კი  $O$  წინა შემთხვევაში ოპტიმუმს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ძნელი განსასაზღვრია ცნებაა, მაშინ წერტილი  $C$  არც თუ უარესი შედეგია ვიდრე მთავრობის ან ეროვნული ბანკის დომინანტური „კოორდინირებული“ პოლიტიკა იქნებოდა. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ  $O$ -წერტილის მიღწევა მხარეების მხრიდან უკეთესი იქნებოდა, თავისთავად გასაგებია, მაგრამ ეს არ ასახავს რეალობას, რომელშიც ინტერესთა სხვადასხვაობა იჩენს თავს იმის თაობაზე, თუ რა არის სოციალური კეთილდღეობა. როგორ შეიძლება მივაღწიოთ კონსენსუსს პოლიტიკური კომპრომისის გარეშე? არაფერი გვაძლევს იმის წინასწარმეტყველების საშუალებას, რომ ასეთი კომპრომისი ეკონომიკას  $C$ -წერტილზე უფრო უკეთეს მდგომარეობამდე მიიყვანს. ფაქტობრივად გვინევს იმის აღიარება, რომ იდეალური შედეგის მიღწევა რეალური პირობებში შეუძლებელია. ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკის გამტარებლები ჭეშმარიტად ოპტიმალურ გეგმაზე შეჯერდნენ და სრული კოორდინაციის პირობებში მაოხდინონ მისი განხორციელება, მაგრამ შეიძლება პოლიტიკის გამტარებლები სულაც არასწორ მიზნებზე შეჩერდნენ და თუნდაც იდეალურად კოორდინირებულმა პოლიტიკამ, არასასურველ სოციალურ ფონამდე მიგვიყვანოს.

მორიგი მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც შეიძლება კოორდინაციას ხელს უშლიდეს არის ეკონომიკური ხედვის სხვადასხვაობა. შეიძლება მთავრობა და სებ-ი თანხმდებოდნენ პროგნოზებზე და



მიზნებზე, მაგრამ განსხვავებული ხედვა ქონდეთ იმაზე, თუ როგორ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში მათ მიერ გატარებული პოლიტიკები. მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ მიწოდების ზრდაზე ორიენტირებული მთავრობა თვლის, რომ გადასახადების შემცირებით მიაღწევს ექსპანსიურ ეფექტს და ინვესტიციებს არ დააზარალებს, ხოლო მონეტარისტული მიდგომის მქონე ცენტრალური ბანკი, თვლის რომ დეფიციტი კერძო ინვესტიციებს საგრძნობლად შეამცირებს.

სურათი 3. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული ეკონომიკური ხედვის პირობებში<sup>40</sup>

სურათი 3. ასახავს გრაფიკულად თუ რა შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევაში. კერძოდ მთავრობას სჯერა, რომ ორივე ინსტრუმენტის ექსპანსიური პოლიტიკისკენ მიმართვა, გამოიხატება  $m$  და  $l$  ვექტორებში (ფულის ზრდა, საგადასახადო პოლიტიკა) და შესაბამისად ოპტიმალური გზა იქნება  $ADO$ , რომელიც მიიღწევა ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის  $DO$  და საგადასახადო პოლიტიკის  $AD$ -ს შეჯამებით, მაგრამ ცენტრალური ბანკის თვალთახედვით გატარებული პოლიტიკის მულტიპლიკატორები, არის  $m$  და  $l$  ვექტორები და გზა ოპტიმუ-

<sup>40</sup> მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული ეკონომიკური ხედვის პირობებში

მისკენ მიიღწევა **ABO** ვექტორით, სადაც ფისკალური პოლიტიკა ნაკლებ შემოჭველია, ხოლო ფულად საკრედიტო პოლიტიკა – ნაკლებად ექსპანსიური, ვიდრე მთავრობის ნავარაუდევ **ADO**. ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ სად აღმოჩნდება ეკონომიკა ასეთ სიტუაციაში. ბევრი რამე შეიძლება მოხდეს, მაგალითად, თუ მთავრობის გეგმა საჯაროდ გაცხადებული სტრატეგიაა და სწორია, ოპტიმალურ წერტილში მოვხვდებით, მაგრამ თუ ცენტრალური ბანკის მოდელია სწორი, მაშინ ეკონომიკა F წერტილში აღმოჩნდება. ანალოგიურად, თუკი ადმინისტრაცია ცენტრალური ბანკის გეგმას მიყვება და იგი გამართლდება, ოპტიმუმს მივაღწევთ, მაგრამ თუ იგი მცდარია ეკონომიკა M წერტილში აღმოჩნდება. ასევე განვიხილოთ, თუ ორივე პოლიტიკის გამტარებელი საკუთარ ოპტიმალურ სტრატეგიას მიყვება, მაშინ ეკონომიკა C წერტილში აღმოჩნდება თუ ცენტრალური ბანკის ხედვაა სწორი, ხოლო G-ში – თუ ადმინისტრაციის ეკონომიკური მოდელი უფრო სწორია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოორდინაცია ეფექტური იქნება თუკი O სა M-ს ან O-სა F-ს (რომლებიც შესაბამისად ცენტრალური ბანკის დომინანტური პოლიტიკა და ადმინისტრაციის დომინანტური პოლიტიკის ნაჯვარები) შორის მიღწეული წონასწორობები უკეთესია C და G წერტილებზე.

სხვადასხვა პროგნოზის არსებობის შემთხვევაში, კვლავ სურათი 3. შეგვიძლია გამოვიყენოთ, ოღონდ ამ შემთხვევაში როდესაც ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა თანხმდება ორივეზე – ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და ეკონომიკურ მოდელზე (რაც, უნდა ვაღიაროთ, ნაკლებ სავარაუდო სიტუაციაა) – აღარ საჭიროებს მეტ ანალიზს. რადგან თარგეითრებულ მიზნებს შორის სხვაობა და ეკონომიკის მდგომარეობა, რომელიც მიიღწეოდა პოლიტიკის უცვლელობის შემთხვევაში, არის რეალურად ინტერესის საგანი, განსხვავებული თარგეითრების მაგალითის ფორმალური ანალიზი ამ სიტუაციას პირდაპირ უდგება. საჭიროა მხოლოდ სურათ 3-ს შევხედოთ პირიქით და ვნახოთ **ABF** და **ADM**, როგორც ორი ვექტორი, რომელიც სხვადასხვა წერტილში იღებს სათავეს, მაგრამ საერთო ბოლო წერტილი აქვთ.

როგორც ადრე, პრინციპი ცხადი, მაგრამ განუხორციელებადია: ჩვენ გვინდა ძალაუფლება იყოს იმ პოლიტიკის გამტარებლის ხელში, რომელსაც სწორი პროგნოზი აქვს. ალტერნატიულად, თუ არც ერთ პოლიტიკის გამტარებელს არ აქვს მონოპოლია ინფორმაციაზე, ჩვენ გვინდა მივიღოთ შენონილი საშუალო პროგნოზი შესაბამისი წონებით. მაგრამ ვინ გადაწყვეტს რა წონა მიანიჭოს თითოეულ პროგნოზს, დაითანხმებს ორივე მხარეს, რომ მიყვეს ამ შენონვას და უზრუნველყოფს, რომ არც ერთი მხარე არ მოიტყუება, რომ შენონვა მისი პროგნოზის სასარგებლოდ გადახაროს?

ზემოთ განეული ანალიზიდან ჩანს, რომ არაკოორდინირებული პოლიტიკის პირობებში ვდგებით არჩევანის წინაშე, რომელი პოლიტიკის გამტარებელია სწორი? თუ ამ კითხვაზე პასუხი გვაქვს, სწორედ მან უნდა წარამართოს დომინანტურად პოლიტიკა, ხოლო მეორე პარტია კი მის გეგმას მიყვეს. მაგრამ თუკი არ ვიცით, რომელი მხარეა მართალი, შეუძლებელია იმაზე მსჯელობაც კი საერთოდ ღირს თუ არა კოორდინირება და ხომ არ ჯობია დამოუკიდებლად წარმართოს ორივე ფისკალურიც და მონეტარული პოლიტიკაც.

ერთის მხრივ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მთავრობას აქვს გარკვეული უფლება განსაზღვროს ეკონომიკური კურსი, რადგან ხალხის ნდობა მოპოვებული აქვს, მაგრამ მეორეს მხრივ, როგორც ეკონომისტებს, უნდა გვესმოდეს, რომ მოკლევადიანი დაპირებები და ხედვა, რომლებითც მთავრობები გამოირჩევიან კონტრბალანსს საჭიროებს და ეროვნული ბანკი როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი სწორედ საჭირო მოთამაშეა, რადგან ყველა ახალ არჩეულ მთავრობას ახალი კურსი და წარმოდგენა აქვს სოციალურ კეთილდღეობაზე, მაგრამ გრძელვადიანი ხედვა, რომელიც ცენტრალურ ბანკს გააჩნია, ასევე მნიშვნელოვანია და ამ მომენტმა საქართველოს ახლო წარსულშიც იჩინა თავი, როდესაც მთავრობა, ცენტრალურ ბანკს აკრიტიკებდა, თუმცა ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.


მეორეს მხრივ, თუნდაც ადმინისტრაცია ადექტვატურად ასახავდეს ხალხის მოთხოვნებს სოციალურ კეთილდღეობაზე, ვინც იცის მას უკეთესი ეკონომიკური მოდელი აქვს თუ არა ცენტრალურ ბანკთან შედარებით. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ასეთ სხვაობებზე, მაგრამ რა შეიძლება გავაკეთოთ? ინფორმაციის გასაჯაროება და სებ-ის პროგნოზების მთავრობაში განხილვა თითქოსდა მისაღები და შე-

სანიშნავი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ძნელი დასაჯერებელია, რომ ფინანსთა სამინისტროს ექსპერტები თავიანთ პროგნოზებს უარყოფენ და ცენტრალური ბანკისას მიიღებენ.

საინტერესო შემთხვევა, რომელიც ერთი შეხედვით არ შეიძლება საუკეთესო გადაწყვეტა იყოს, მაგრამ მაინც შეიძლება ჩაითვალოს კოორდინაციის ტიპად, არის ორი დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი, რომლებიც არ ახდენენ ურთიერთმორის კოორდინირებას. ასეთი კოორდინაციის კონცეპტუალიზაცია შესაძლოა თამაშთა თეორიის მეთოდით, კერძოდ კი საქმე გვექნება ნეშის წონასწორობასთან. ნეშის წონასწორობა წარმოადგენს სიტუაციას თამაშთა, თეორიაში, სადაც იგი გვევლინება გადაწყვეტად, არაკოორდინირებული თამაშისა, რომელშიც ორი ან მეტი მონაწილეა, რომლებმაც იციან მოწინააღმდეგის ოპტიმალური სტრატეგიები და მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლით, არაფრის მოგება არ შეუძლიათ. საქმე იმაშია, რომ ცენტრალური ბანკიც და ადმინისტრაციული მთავრობაც აცნობიერებენ, რომ ვაკუუმში არ უნევთ მუშაობა და არსებობს მეორე მოთამაშეც (თუ ჩავთვლით, რომ პრეზიდენტი ემხრობა მთავრობას ან არ აქვს უფლებები კონკრეტულ სფეროში ჩარევისთვის). ორივე მოთამაშე აცნობიერებს, რომ მის, წინაშე არის ფრაქცია, რომელსაც იგივე რაოდენობრივი სახის პრობლემა აქვს გადასაჭრელი, გარდა ამისა რეალობაში ეს განმეორებითი თამაშია. პატიმრების დილემისგან განსხვავებით, ორივე მოთამაშეს უკვე აქვს ნათამაშები წარსულში და იცის, რომ მოუწევს მომავალშიც ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში, ორივემ იცის რომ მეორე მხარე თავის ოპტიმალურ სტრატეგიას აირჩევს, რაც ნეშის სტრატეგიას წარმოადგენს.

ვნახოთ, თუ როგორი იქნება არც თუ შიშოთეტური დაშვების შემთხვევაში ეს თამაში ცენტრალური ბანკისა და ადმინისტრაციისათვის. სიმარტივისთვის დაფუძვით, რომ თითოეულ მხარეს აქვს ორი არჩევანი, შემაკავებელი ან ექსპანსიური პოლიტიკის გატარება. სურათზე 4. ჩანს სტრატეგიები ორივე მოთამაშისათვის. დაშვება მოვახდინოთ იმ კუთხითაც, რომ ისინი სხვადასხვა სტრატეგიებს ანიჭებენ უპირატესობას და იციან ერთმანეთის პრეფერენციების შესახებ.

მონეტარული პოლიტიკა



სურათი 4. ნეშის წონასწორობა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის 2 ინსტრუმენტის პირობებში.



ზოგადად, ადმინისტრაცია ექსპანსიური პოლიტიკის მომხრეა, მისი პრეფერენციები კვადრატის დიაგონალს ქვემოთ არის ნაჩვენები, ადმინისტრაციის თვალთახედვით საუკეთესო სტრატეგიაა ქვედა მარჯვენა კვადრატი (1), სადაც ორივე მხარე ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებს. შესაბამისად ყველაზე ცუდი სტრატეგია არის (4), როცა ორივე მოთამაშე შემაკავებელ პოლიტიკას ატარებს. ცენტრალური ბანკის პრეფერენციები მოცემულია თითოეულ კვადრატში დიაგონალს ზემოთ და ვინაიდან ცენტრალური ბანკის მიზანი ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებაა, ადმინისტრაციის თვალთახედვით ყველაზე ცუდი სტრატეგია მისთვის პირიქით პრიორიტეტულია. რაც შეეხება გადანყვეტილებებს სადაც ერთი შემაკავებელ, ხოლო მეორე კი ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებს, აზრიანია ვივარაუდოთ, რომ ორივე მხარის თვალსაზრისით ჯობია ფისკალური პოლიტიკა შემაკავებელი იყოს, ხოლო ბანკმა კი იაფი ფულის პოლიტიკა გაატაროს. შესაბამისად მარჯვენა ზედა კვადრატი უფრო მისაღებია ვიდრე მარცხენა ქვედა.

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სად არის ნემის წონასწორობა, შევხედოთ საკითხს ცენტრალური ბანკის თვალეზით, თუ იგი ექსპანსიურ პოლიტიკას გაატარებს, მაშინ მთავრობაც იგივეს იზამს, რაც მისთვის პრიორიტეტული სტრატეგიაა, ხოლო ეროვნული ბანკისთვის კი ყველაზე ცუდი. შესაბამისად იგი ჩათვლის, რომ მთავრობა ექსპანსიურ პოლიტიკას გაატარებს, და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად ეროვნული ბანკი შემაკავებელ პოლიტიკას გაატარებს. შესაბამისად ნემის წონასწორობა ქვედა მარცხენა კვადრატია, რომელიც, არცერთი მხარის საუკეთესო პრიორიტეტების მატარებელი არ არის, მაგრამ აზღვევს მათ ყველაზე ცუდი შედეგის მიღებისაგან. ეს არაკოორდინირებული პოლიტიკის პირობებში ყველაზე მისაღები შედეგია და ამასთანავე აზრიანიც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შედეგის მისაღებობა საორჭოფოა საზოგადოების თვალთახედვით რადგან პარეტო ოპტიმალური შედეგი ზედა მარჯვენა კვადრატია, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს შორის კოორდინაციით მისი მიღწევა შეიძლება, თუმცა თუ ისინი ვერ თანხმდებიან, მაშინ ერთადერთი ლოგიკური დასასრული ნემის წონასწორობა იქნება, რომელიც უარესია, ორივე მოთამაშის თვალსაზრისით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ კი არ ვართ, დარწმუნებულები თუ რომელი პოლიტიკის გამტარებელია სწორი, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა გარკვეული კოორდინაციის მოთხოვნა, რათა თავი ავარიდოთ არასახარბიელო ნემის წონასწორობას. თუმცა ფუნდამენტური პრობლემა ამით არ იჭრება, კოორდინირებული ქმედებების მოთხოვნა ადვილია, მაგრამ განხორციელება ძნელი. ორივე პოლიტიკის გამტარებელს აქვს გამოკვეთილი მიზეზები, თუ რატომ არ ეთანხმებიან მეორე მხარეს.

ორ უკიდურესობას შორის როგორცაა პოლიტიკის მხოლოდ ერთი გამტარებლის არჩევა ან აბსოლიტური დისკოორდინაცია არსებობს ალტერნატიული კოორდინაციის მოდელიც რომელიც ლიდერი-მიმყოლის სტილში გადაწყდება. კერძოდ პირველი პოლიტიკის გამტარებელი აკეთებს სვლას და შემდგომ მიმყოლი მისი გადანყვეტილებიდან გამომდინარე, ახდენს რეაგირებას. ქართულ რეალობაში bdd დოკუმენტში უკვე განსაზღვრულია ბიუჯეტი, რომელიც დეფიციტურია შესაბამისად, სეპ-ი გავლილი კონსულტაციების საფუძველზე ახდენს რეაგირებას, თუმცა, ბაზარზე უფრო აქტიური მოთამაშე ყოველთვის ცენტრალური ბანკია, რადგან ფისკალური გადანყვეტილებები იმდენად ხშირად არ მიიღება, რამდენადაც მონეტარული პოლიტიკის ინტერვენცია ხორციელდება ბაზარზე სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით.

ლიდერი-მიმყოლის სტრატეგიის სიტუაციაში, მიმყოლს სჭირდება მეტი ინსტრუმენტები, რადგან მას მიყავს თამაში, ლიდერის წინასწარ მიღებული გადანყვეტილებების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მიმყოლ პოლიტიკის გამტარებელს არ ყოფნის ინსტრუმენტები ლიდერის დასახული კურსის განსახორციელებლად, ის პრობლემები, რასაც სხვისი სტრატეგიის მიყოლა ქმნის, შეიძლე-

ბა მნიშვნელოვან პრობლემებად იქცეს და ხელი შეუშალოს მიმყოლის საუკეთესო ოპტიმალური სტრატეგიის განხორციელება-მიღწევას.

მსგავსი კოორდინაციის ტიპის გატარებისას მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ იმის მიხედვით თუ რომელი პოლიტიკის გამტარებელია ლიდერის როლში. თუ ამ როლში ადმინისტრაციული მთავრობაა მას მეტნაკლებად შეუძლია დასახული მიზნების, როგორც: მშპ-ს ზრდა, ინვესტირების დონე და ფასების დონეა, მიიღწევა ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე დამოკიდებულების გარეშე. ხოლო თუკი ლიდერი ცენტრალური ბანკია, ეს ნიშნავს მთელი კონტროლის ძირითადად ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებზე გადაცემას, სებ-ის განსაზღვრული კურსით. არსებობს გარკვეული ასიმეტრია მოცემულ სიტუაციებს შორის, კერძოდ ცენტრალური ბანკის ხელში არის სამი ძირითადი სახის ოპერაცია: სადისკონტო პოლიტიკა, ოპერაციები ღია ბაზარზე, სარეზერვო მოთხოვნები. ამათგან ფართო მასშტაბიანი სტაბილიზაციისთვის მხოლოდ სადისკონტო პოლიტიკა შეიძლება იქნას გამოყენებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ადმინისტრაციული მთავრობა ლიდერის როლში გამოვა, ეს არ ნიშნავს, რომ სრული კონტროლი საბაზრო ინტერვენციებზე ცენტრალური ბანკის ხელში გადავა.

მაგალითისთვის ვთქვათ, რომ ადმინისტრაციული მთავრობა გამოდის ლიდერის როლში. იგი განერს ტრანსფერებს, საგადასახადო პოლიტიკას და სამტევრობო ხარჯებს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. ზემოგანხილული მატრიცის მიხედვით ადვილი დასასკვნელია, რომ ცენტრალური ბანკი მკაცრ/შემაკავებელ პოლიტიკას გაატარებს და მივიღებთ ნემის ნონასწორობას. ანალოგიური მსჯელობის ხაზით ნემის ნონასწორობა მიიღწევა, როდესაც ცენტრალური ბანკია ლიდერის პოზიციაში და განსაზღვრავს დაბალი ინფლაციის დონეს. თუმცა, რეალობაში პოლიტიკის გამტარებლების ეს თამაში უფრო რთულია და ბადებს მრავალი ნემის ნონასწორობის წარმოქმნის შესაძლებლობას, რადგან ნებისმიერ მხარეს ასევე შეუძლია ჩაურევლობის პოლიტიკა განახორციელოს. ისიც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ორივე მხარისთვის ეს განმეორებადი თამაშია, და ლიდერის გადაწყვეტილებები ყოველთვის თავის თავში მოიცავს, მიმყოლის შესაძლო ქმედებებს, რომლებიც მის კურსს მოყვება. ეს ავტომატურად იწვევს გარკვეულ კოორდინაციას ორივე პოლიტიკის გამტარებლებს შორის, რადგან მათ უნდა გაითვალისწინონ სამოქმედო პერიოდის დასრულებისას, მეორე მხარის გატარებული ქმედებების შედეგები.

კიდევ ერთი მიდგომა, რომელსაც მეცნიერთა დიდი ნაწილი ბონდიზმის სახით მოიხსენიებს შემდეგში მდგომარეობს. როგორც მაკ-კალუმმა (1981) პირველად აღნიშნა, პოტენციურად უკეთესი მონეტარულ-ფისკალური პოლიტიკა ფაქტიურად ფრიდმანმა ჩამოაყალიბა მის ნაშრომში “ეკონომიკური სტაბილობის მონეტარული და ფისკალური სტრუქტურა” (1948). თუმცა დროთა განმავლობაში ეს ნაშრომი მივიწყებულ იქნა. გარი სმითმა (1982) უკეთესი სახელის არ ქონის გამო, ამ მეთოდს „ბონდიზმი“ უწოდა, რადგან ის ობლიგაციებს (Bonds) ისევე აღიქვამს, როგორც მონეტარიზმი – ფულს.

ფრიდმანის ძველი პოლიტიკის მიხედვით ორივე – ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა – განისაზღვრება გარკვეული წესებით, მაგრამ მონეტარული წესები არის რეაქციული. კონკრეტულად, ფრიდმანი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ხარჯები და საგადასახადო განაკვეთები უნდა განისაზღვროს გადანაწილებითი გადაწყვეტილებების მიხედვით, მსგავსად მონეტარისტის წესისა, მაგრამ დეფიციტი მთლიანად ფულის შექმნით უნდა დაფინანსდეს. ორივე, მაკ-კალუმი (1981, 1982) და სმითი (1982) ამჩნევენ, რომ ასეთი პოლიტიკა არის ბლანდერის და სოლოუს (1973) „ფულით დაფინანსების“ სცენარის იდენტური და ამიტომ, სავარაუდოდ, უნდა მიგვიყვანოს სტაბილურ სისტემაში. ამის გამო, მიზანშეწონილია მისი რეკომენდირება „მონეტარიზმთან“ შედარებით.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. უნდა განვიხილოთ რა მოხდებოდა, თუ, მაგალითად, ერთობლივი მოთხოვნის ნაკლებობა რეცესიამდე მიიყვანდა ეკონომიკას. შემოსავლების ვარდნა ბიუჯეტის დეფიციტს გამოიწვევდა და ეს ავტომატურად ნიშნავს ფედერალური რეზერვების მიერ მონეტარული ონკანების მოშვებას. ეკონომიკა მიიღებდა ძლიერ ანტი-რეცესიულ სტიმულებს მონეტარული პოლიტიკის სახით. ეს იქნებოდა ძალიან ძლიერი სტიმული. ემპირიული კუთხით რომ შევხედოთ, ა.შ.შ.-ში 1%-ით უმუშევრობის ზრდა გამოიწვევდა დაახლოებით 25 მილიარდ ბიუჯეტის დეფიციტს. მაგრამ „ფული“, რომელიც დეფიციტის დასაფინანსებლად დაიბეჭდებოდა, იქნებოდა ძლიერი ფული. 25 მილიარდის ბანკის რეზერვებში დამატება ფულის კოლოსალური ინექციაა. ის ბანკის რეზერვებს თითქმის 50%-ით გაზრდიდა!(80-იანი წლების ამერიკაში) ასე რომ, ერთი შეხედვით, ფრიდმანის ძველი წესი ერთობ ძლიერი სტაბილიზაციის საშუალება იქნებოდა.

როგორ მოქმედებს ის გრძელვადიან პერიოდში? ის ფაქტი, რომ რეცესიებმა შეიძლება ავტომატურად წარმოშობს მარტივი ფულის დიდი რაოდენობის მასა „ბონდისტი“ პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, კარგად უდგება კაპიტალის წარმოშობის პროგნოზს. მაგრამ, ასევე კარგად უდგება ის ცნებაც, რომ ციკლური გადახრები სავარაუდოდ დიდწილად ჩაჩუმებული იქნებოდა. ერთი პოტენციური პრობლემური საკითხია ინფლაცია. ამ წესს შეუძლია ფულის უზარმაზარი რაოდენობით გამოშვება დროის მცირე მონაკვეთში, შესაბამისი ინფლაციური შედეგებით. მაგრამ, თუ ფისკალური ნაწილი შეინარჩუნებს მაღალი დასაქმების მაჩვენებლიანი ბიუჯეტის ბალანსს და თუ ეკონომიკა მაღალი დასაქმების მაღვენებლის ფარგლებში ფუნქციონირებს, ეს არ უნდა იყოს დიდი პრობლემა. მონეტარული გაფართოებების შემდეგ მონეტარული შეკუმშვები უნდა მოხდეს<sup>41</sup>. თუ ეს წესი ქეშმარიტია, დიდი რაოდენობით ფულის ეკონომიკამ შეშვებამაც კი არ უნდა გამოიწვიოს სახიფათო ინფლაციის დონე.

ბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ფრიდმანის ძველი წესი სრულიად გამორიცხავს, რომ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მიზნები შეიძლება პერპენდიკულად გადაიკვეთოს. ამ წესის მიხედვით მონეტარული პოლიტიკა გაფართოებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა ფისკალური პოლიტიკაც (განსაზღვრული ავტომატური სტაბილიზატორებით) გაფართოებისკენ არის მიმართული. ასეთი სახის ვარიანტის განხილვა ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგანაც ისედაც მაღალი ინფლაციის დონე და ვალუტის გაუფასურება, ასევე წარმოების და ექსპორტის დაბალი დონე და მშპ-ს ზრდის 3% იანი გერგმა, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკას საკმარისი სამუშაო ადგილებით და აქტივობით, რომ ბონდისტური პოლიტიკა წარმატებით გატარდეს, თუმცა მოცემული მიდგომა სერიოზულ რაოდენობრივ ანალიზს საჭიროებს და ნაწილობრივ შეიძლება სასარგებლოც გამოდგეს, ვინაიდან ქართული ბუჯეტი ისედაც ვალით ფინანსდება, ხოლო ეკონომიკური აქტივობის ზრდის ნაცვლად კი მთელი ხარჯები სოციალურ პროგრამებზეა მიმართული.

<sup>41</sup> ეს დებულება ეყრდნობა დაშვებას, რომ მაღალის დასაქმების დონე დაახლოებით ბუნებრივი დონის ტოლია. ჰამფრი-ჰოუკინსის ტიპის დეფინიციით ფრიდმანის ძველ წესს შეუძლია ინფლაციურ კატასტროფამდე მიგვიყვანოს.



ნოდარ ხარაიშვილი

### ევროპული ცენტრალური ბანკის უნიკალურობა



ევროპული ცენტრალური ბანკის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიაში პირველად თერთმეტმა ქვეყანამ შეინარჩუნეს რა სახელმწიფო სუვერენიტეტი და საბიუჯეტო სისტემის დაყოფა, მიუხედავად ამისა ევროპული ცენტრალური ბანკის კომპეტენციის სფეროში გადასცეს რიგი სახელმწიფოებრივ-სახელისუფლებო უფლებამოსილებები:

- ფულადი ერთეული „ევროპის“ ემისიის განსაკუთრებული უფლებამოსილება;
- ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილებები;

- საერთაშორისო სარეზერვო აქტივების განკარგვის უფლებამოსილებები.

ამრიგად, ერთის მხრივ, ერთიანი ევროპული ცენტრალური ბანკის შექმნა ნიშნავს, რომ ქვეყნები – მონაწილეები მნიშვნელოვანი ხარისხით კარგავენ ეკონომიკურ სუვერენიტეტს, მაგრამ, მეორეს მხრივ, რუქაზე უნიკალური ეკონომიკურ-პოლიტიკური წარმონაქმნის წარმოშობას ითვალისწინებს, რომელზედაც მნიშვნელოვანი ხარისხის ერთიანი ეკონომიკისა და პოლიტიკური თვალსაზრისით თერთმეტი დამოუკიდებელი სუბიექტი იქნება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ყოველივე აღნიშნული, კიდევ ერთხელ მიუთითებს ხელისუფლების ახალი დამოუკიდებელი შტოს სახით „ფულადი ხელისუფლების“ გამოყოფის თეორიულ შესაძლებლობაზე და პრაქტიკულ აუცილებლობაზე. თანამედროვე ევროპული მეცნიერება შესაძლებლად თვლის და საჭიროდ ცნობს სახელმწიფოში ისეთი ორგანოს არსებობას, რომელიც ცენტრალური ბანკის სტატუსის მფლობელი და მისი ცალკეული ფუნქციების შემსრულებელი იქნება და რომელიც ამასთან დამოუკიდებელი იქნება არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ეროვნული ორგანოებისაგან, არამედ მთლიანად ეროვნული სახელმწიფოებისგანაც და იგი საკუთარ საქმიანობაში იხელმძღვანელებს მხოლოდ კანონით, რომლის როლს ევროპული ცენტრალური ბანკის შემთხვევაში მისი წესდება, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები ასრულებს.

2. საბაზრო ურთიერთობების განვითარების შესაბამისად, საბანკო რეგულირების მკაცრი სისტემა სულ უფრო ნაკლებად პასუხობს ეროვნული მეურნეობის მიზნებსა და ამოცანებს. კაპიტალის კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას მიეყვანართ საფინანსო სამრეწველო ჯგუფების (სსჯ) წარმოშობისაკენ, რომელთა საბანკო ქვედანაყოფები დაქვემდებარებულს, დამოკიდებულ ერთეულს წარმოადგენენ, ხოლო მასზე ზედამხედველობა მთლიანობაში ჯგუფში დაგროვებული წინააღმდეგობის კვანძებს არ ასახავს. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებენ ეროვნული სამრეწველო და საბანკო კაპიტალის განმტკიცების პოზიციები, რომლებიც სულ უფრო დაჟინებით იწყებს ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ლობირების მეშვეობით სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე საკუთარი ნებასურვილის კარნახს.

3. საბაზრო ურთიერთობების მოცემული ეტაპის განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ფინანსური ბაზრების ყველა სექტორებზე, საბანკოი მომსახურების ბაზრის ჩათვლით, საზედამხედველო და მარეგულირებელი ფუნქციების სპეციალური ავტონომიური ერთიანი მარეგულირებელი სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს ხელში კონცენტრაცია, რაც თანამედროვე პირობებში განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში მიმდინარეობს. ცენტრალური ბანკის კომპეტენციაში ჩარევის გარეშე, ერთიან საზედამხედველო ორგანოს შექმნება მაგალითად, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის მუშაობის კოორდინაცია, როგორცაა: ფინანსური ოპერაციების განხორციელების ერთიანი სტანდარტების და ფინანსურ სფეროში ერთიანი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრება. სხვა სიტყვებით, რეგულატორი დამოუკიდებელ იმპერიად არ უნდა გარდაიქმნას, მისი ამოცანა უნდა იყოს – ფინანსური ბაზრის ყველა სეგმენტზე ოპერაციების ჩატარებისას ოპტიმალური და შეთანხმებული სახელმწიფო პოლიტიკის მიღწევა.

4. უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმის შესახებ, რომ თავისი წარმოშობის დროის მიხედვით, მონტესკეს თეორია XVIII საუკუნეს მიეკუთვნება და იმის გათვალისწინებით, რომ „ისტორიაში ახალი – კარგად დამკვიდრებული თქმულების საპირისპიროდ, არის არა კარგად დაფიქსირებული ძველი, არამედ გარკვეულ პერიოდამდე შეუმჩნეველის, უჩინარისა და შეუცნობადის მომავალი“, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მონტესკე თავის თეო-

რიაში არ ითვალისწინებდა და ვერც გაითვალისწინებდა, მომავალში ფულის ძირითადი ფუნქციების არსებითად შეცვლის (ოქროს სტანდარტის გაუქმება) პოლიტიკურ-სამართლებრივ შედეგებს, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყოფაცხოვრებაში მათი დანიშნულებისა და ეკონომიკური როლის ძირფესვიანი ცვლილება განაპირობა და თანამედროვე პირობებში ფულის მიმოქცევა შეიძლება მხოლოდ გარკვეული ინფრასტრუქტურის (საბანკო სისტემის გამართული ქსელის – რომელიც ნებსმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს ეკონომიკის გარკვეული სახის „სისხლგამტარ სისტემას“ წარმოშობს, რომელშიც სახელმწიფო ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტის „სისხლის“ როლს ასრულებს ფული) არსებობის შემთხვევაში განხორციელდეს. თანამედროვე ფულადი სისტემა საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო უმნიშვნელოვანესი თვითრეგულირებადი სისტემაა. მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანაა შესაძლებელი, მაგრამ მისი მთლიანად შეცვლა შეუძლებელია. მასში ჩარევას სათანადო ზღვრები გააჩნია, რომლის შემდეგ ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირებაში სერიოზული მოშლა იწყება.<sup>42</sup>

5. საქართველოს ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს „ფულადი ხელისუფლების“ სახით ისეთი სუბიექტების ფულის მართვა უხდება, რომლებიც უშუალოდ მას არ ექვემდებარებიან და კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოებში საკუთარი წადილის თავისუფლად ფორმირების შესაძლებლობა და უმეტეს შემთხვევებში სუბიექტების მიერ მართვად სახსრებზე ზემოქმედების სხვა ფორმები, გარდა ეკონომიკურებისა, ცენტრალურ ბანკს არ გააჩნია. ფულის მეშვეობით მართვა უფრო ეფექტურია, ვიდრე მართლა ბრძანებებით, იგი ხელს უწყობს საზოგადოების საერთო ეროვნულ, ტერიტორიულ და სოციალურ კონსოლიდაციას.

6. სამართლიანად გვესახება მტკიცებულება, რომ საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკი შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ სახელისუფლებო ორგანოს. იგი არ შედის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში და საკუთარ ფუნქციებს მათგან დამოუკიდებლად ახორციელებს, რაც „ფულადი ფუნქციების“ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ფუნქციებისაგან ფორმალურ-სამართლებრივი გამოყოფის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

7. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ფულადი ხელისუფლების“ არსებობა – გვესახება მისაღებად, იგი არა მარტო რეალობაა, არამედ სახელმწიფო მშენებლობის ევროპული თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელი ხასიათის თვისებაცაა. საქართველოში „ფულადი ხელისუფლების“ ახალ დამოუკიდებელ ხელისუფლების შტოდ ჩამოყალიბება, ერთის მხრივ, დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფელი და მეორეს მხრივ, საქართველოს საბანკო კანონმდებლობაში შესაბამისი შეკავებებისა და საპირწონეების ჩამოყალიბებით მთლიანობაში საზოგადოებისა და სახელმწიფოს აღმშენებლობის დაჩქარების საწინდარი გახდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ. ხანთაძე გ., საბანკო საქმე. თბ., 2014.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014.
3. Ананьин О. И. и др. \_ Независимость центрального банка: международный опыт в историческом аспекте. \_ Москва, 2008.
4. Кашкин С.Ю. \_ Центральный банк в системе власти. Очерки конституционной экономики. Статус банка России, под ред. Л.Д.Баренбайма и В.И.Лафитенко.- Москва: Юстицинформ, 2010.
5. Лаврушин О.И. Мамонова И. Д., Валенцова Н. И. \_ Банковское дело: учебник. \_ Москва: КНОРУС, 2009. \_ 768 с.
6. Навой А.В. \_ Роль и место центрального банка в системе государственной власти подлинная независимость или мнимая? //Финансы и кредит, 2009. \_ №15.
7. Mehnert-Meland R.- Cent ral Bank of the European Union.-London \_ The Hague; Boston: Kluwer Law International//World Bank Economic Review, 1993.
8. Louis J.V.-The Projekt of European Economic Community: Legal, Institutional and Economic Aspects.- Deventer, Boston, Kluwer, 2009.
9. [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

<sup>42</sup> Пискотин М.И. \_ Социализм и государственный управление.-Москва, 1988. с. 250

ვანო შუშტაკაშვილი



**სტრატეგიები ხელისუფლებასა და ცენტრალურ ბანკს შორის  
ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციების  
გამიჯვნის აქტუალური საკითხები**

თანამედროვე ფინანსური ბაზრის მოცულობის მრავალჯერადად გადიდება და მათი ინსტრუმენტების თავისებურებების გართულებამ ფულადი მიმოქცევის მახასიათებლებისადმი და მისი რეგულირებისადმი მიდგომები მნიშვნელოვნად შეცვალა. თანამედროვე ფულის ბუნების მოდიფიკაციამ, ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული ფულადი ერთეულების მსოფლიო ფულის როლზე დამკვიდრების ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და საფუძვლიანობის პრობლემებზე ყურადღების მოდუნებამ, სპეციფიკური და ძნელად ახსნადი ფენომენის

– „გლობალური ინფლაციის“ წარმოშობა განაპირობა, რომლის ქმედება XXI საუკუნის დასაწყისიდან შესამჩნევად არის გააქტიურებული.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა 2008 წლის კრიზისმა დაგვანახა, რომ გამოყენებად თეორიულ მოდელებში ფულადი სფეროს მექანიზმების მრავალჯერადად გართულება, აგრეთვე ფულად-საკრედიტო რეგულირების ტრადიციულ მიდგომებში ზუსტ და სრულ აღწერას ყოველთვის ვერ პოულობს. მასშტაბური კრიზისული მოვლენების მიზეზების საერთო მიღებული მიდგომების საფუძველზე აუხსნადობამ და ლიბერალური სკოლის მხრიდან კრიზისიდან გამოსვლასთან დაკავშირებით ადექვატური რეკომენდაციების მიღების შეუძლებლობამ არა მარტო პოლიტიკური და ბიზნეს-ელიტა, არამედ მეცნიერული საზოგადოებაც ცენტრალური ბანკების საქმიანობის პრინციპებზე შეხედულებების გადახედვისაკენ აიძულა.<sup>43</sup>

თანამედროვე ცენტრალური ბანკი – არის სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ფართო ადმინისტრაციული უფლებების მქონე ინსტიტუტი, რომელიც ოპერაციების ფართო სპექტრს ახორციელებს როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზეც. ამასთან, ემისიური ცენტრების ავტონომიურობის გაძლიერების უკან როგორც ეკონომიკური (მოგების განაწილების მექანიზმი), ასევე პოლიტიკური (ემიტენტების ხელმძღვანელი ორგანოების დანიშვნა და ჩამოქვეითება) მიმართულებებით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისადმი ფარული ფორმით მათი დაქვემდებარებაც შეიმჩნევა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ბანკების სრულად დამოუკიდებლობის შესახებ საუბარი ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რასთან დაკავშირებითაც სამართლიანად წარმოიშობა კითხვა იმის შესახებ, თუ საემისიო ბანკი ვის ინტერესებში ფუნქციონირებს და როგორია მისი რეალური ამოცანები.

ცენტრალური ბანკების თეორიის კიდევ ერთ საკვანძო პრობლემას მათი ფუნქციების საკმაოდ ფართე ჩამონათვალი წარმოადგენს. საემისიო დაწესებულებების ფუნქციები დღევანდელი მდგომარეობით მკვეთრი ნაირსახეობით განსხვავდებიან. მათი ჭარბი ნაწილი უფრო აღმასრულებელ ორგანოებს მიეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილი კი მარეგულირებელი ორგანოს ქმედების ფარგლებს გარეთაა.

თანამედროვე სამყაროში ცენტრალური ბანკების საქმიანობა არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. ისინი მსოფლიო საზოგადოების თვალში ბაზრის მთავარ მოქმედ პირებად გადაიქცნენ, რომელთა გადაწყვეტილებების მიხედვით სამრეწველო სანარმოები, ინვესტორები, კერძო მეურნეობები საკუთარ საქმიანობის ქმედებას აჯერებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, გლობალიზაციის პირობებში ცენტრალური ბანკების როლისა და ადგილის ხელახლა გააზრება მეტად მნიშვნელოვან საკითხად გვესახება.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკი ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემაში საკვანძო და მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მის საქმიანობაზე დამოკიდებული როგორც ეროვნული ეკონომი-

<sup>43</sup>Навой А.В. \_ Центральный банк в глобальном хозяйстве \_ Москва: ГОУ ВПО «РЭУ им. Г.В. Плеханова», 2010 \_ 528 с. (с. 5-8).

კის, ასევე ქვეყნის საბანკო სექტორის განვითარების მდგომარეობა. ცენტრალური ბანკი ფულადი მასის ნაღდ და უნაღდო ფორმებში რეგულირებით, შრომის პროდუქტების გაცვლის, საქონლი და მომსახურების მწარმოებლებისაგან საზოგადოებრივი კეთილდღეობების მომხმარებლებისაკენ მიმართვის საკითხებში გადამწყვეტ ეკონომიკურ წინაპირობებს ქმნის.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საქმიანობის თავისებურებები იმაში გამოიხატება, რომ იგი, როგორც ნებისმიერი ბანკი:

- გაცვლის სფეროში ფუნქციონირებს;
- ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს;
- გამოდის როგორც არაკომერციული ორგანიზაცია;
- არის საზოგადოებრივი ინსტიტუტი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეროვნული (ცენტრალური) ბანკი – არის ისეთი საზოგადოებრივი, არაკომერციული ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც გაცვლის სფეროში ფუნქციონირებით ნაღდი უნაღდო ფორმირებაში საგადასახადო ბრუნვას არეგულირებს.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკის სამართლებრივი სტატუსი, როგორც საზოგადოებრივი ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი, მის არსთან არის დაკავშირებული. იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოდის როგორც იურიდიული პირი, მისი საქმიანობის მიზნები, ფუნქციები და უფლებამოსილებები ქვეყნის კონსტიტუციით, ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შესახებ ორგანული კანონით და ქვეყნის სხვა კანონებით განისაზღვრება.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკი, კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ცენტრალური ორგანოს სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, მისი სახელმწიფო-სახელისუფლებო უფლებამოსილებები მხოლოდ ფულად-საკრედიტო სფეროზე და ქვეყნის საბანკო სისტემაში შემავალი ბანკების საქმიანობის რეგულირებაზე ვრცელდება. მისი სტატუსის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ფლობს რა სახელმწიფო-სახელისუფლებლო უფლებამოსილებებს, ამავე დროს მას სხვა ბანკებთან მიმართებაში ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებები არ გააჩნია. ასეთი მართვა ბანკის განკარგულებაში (მომსახურებაში) არსებული სამართავი სუბიექტების ქონებაზე საკუთების უფლებამოსილებას არ ითვალისწინებს, ამიტომ ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ „ასეთი მართვა არაუშუალო ხასიათს ატარებს“.<sup>44</sup> ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფოებრივი მართვა უშუალოდ ფულად-საკრედიტო რეგულირების ფორმით, მისთვის არადაქვემდებარებული ბანკების საქმიანობის გარკვეული ნორმებისა და წესების დადგენის, აგრეთვე მათ საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის მეშვეობით ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული (ცენტრალური) ბანკი ეკონომიკური სუბიექტების ყოველდღიურ საქმიანობაში არ ერევა.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკის დამოუკიდებლობა – მისი საქმიანობის ფუნდამენტალურ ნიშანთვისებას წარმოადგენს. იგი საკუთარ ფუნქციებს და უფლებამოსილებებს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებისაგან და სხვა ცენტრალური სუბიექტებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს, რაც ნიშნავს:

- საოპერაციო საქმიანობის დამოუკიდებლობას;
- სამეწარმეო დამოუკიდებლობას;
- ფინანსურ (გარკვეული სახით) დამოუკიდებლობას;
- პოლიტიკურ (მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მხარდამჭერ) დამოუკიდებლობას.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკი წარმოადგენს რა დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო ინსტიტუტს, იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, რომელიც ნიშნავს ხელმძღვანელებს, განიხილავს წლიურ ანგარიშებს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და სხვა.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკის, როგორც ეკონომიკური ფულად-საკრედიტო ინსტიტუტის სპეციფიკა, მისი იურიდიული სტატუსი მისი საქმიანობის მიზნების განმსაზღვრელიცაა, როგორცაა:

<sup>44</sup> Гейвандов Я. А. \_ Центральный банк Российской Федерации. \_ Москва, Из-во Московского независимого института международного права, 2007. \_ с. 24.

- ეროვნული ფულადი ერთეულის (ლარის) უზრუნველყოფა და დაცვა;
- ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარება და განმტკიცება;
- საგადასახადო სისტემის ეფექტიანი და უწყვეტად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ამასთან ერთად საბანკო სისტემა და მისი ცალკეული ელემენტები ეკონომიკური სისტემის ნაწილს წარმოადგენენ, რასთან დაკავშირებით მისი მიზნობრივი ორიენტაცია ყოველთვის რამდენადმე უფრო ფართეა, ვიდრე იგი ორგანულ კანონშია წარმოდგენილი. მთავარ მიმართულებაში იგი ბევრად თანმხვედრია ქვეყნის ეკონომიკის მიზნებთან, მის მდგრად განვითარებასთან და უინფლაციო განვითარების უზრუნველყოფით არ იზღუდება. უფრო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეროვნული ფულადი ერთეულის მდგრადობის დაცვა და უზრუნველყოფა, ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარება და განმტკიცება, ეფექტური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ქვეყნის მთავარი ბანკის ამოცანებს წარმოადგენენ, რომლებიც ეკონომიკაში მისი როლის გაძლიერებაზე და მიზნობრივი ორიენტაციის რეალიზაციაზეა მიმართული.

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის საბანკო კანონმდებლობაში შემთხვევით არაა ეროვნული ფულადი ერთეულის განმტკიცების მთავარ ამოცანასთან ერთად, ასევე სპეციალური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის – წარმოების ზრდის სტიმულირების მეშვეობით უმუშევრობის დონის შემცირების პასუხისმგებლობა დაფიქსირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე საემისიო ბანკის საქმიანობა გაცვლის სფეროთი არ იზღუდება და ბაზრის სასაქონლო შევსებაზე, წარმოების ზრდაზეა მიმართული.

ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკებს საკუთარი ამოცანების შესასრულებლად „ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში მინიჭებული აქვთ ხუთ ჯგუფად დაყოფილი და კლასიფიცირებული ფუნქციები (ანუ მიზნები და ამოცანები):<sup>45</sup>

I. ფულად-საკრედიტო რეგულირების ფუნქციის (მარეგულირებელი ფუნქცია) ჯგუფის ჩარჩოებში:

1. ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავრობასთან ურთიერთქმედებით დამუშავება და განხორციელება;

2. ფულადი მასის ემისიის მონოპოლიურად განხორციელება და ნაღდი ფულის მიმოქცევის ორგანიზაცია და მართვა;

3. კომერციული ბანკებისათვის კრედიტორის ბოლო ინსტანციის როლში გამოსვლა და მათი რეფინანსირების სისტემის ორგანიზება;

4. საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციების, დებულებების, მეთოდისების და ბრძანებების გამოცემის უფლება.

II. ნორმატიული დარეგულირების ფუნქციის (ნორმატიულ-შემოქმედებითი ფუნქცია) კვლევის ჩარჩოებში:

5. საბანკო ოპერაციების განხორციელების წესების დამუშავება;

6. საბანკო სისტემისათვის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესრიგისა და წესების განსაზღვრა;

7. ქვეყანაში ანგარიშსწორების განხორციელების წესების განსაზღვრა;

8. საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფოსთან, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორების წესების შემუშავება.

III. საოპერაციო ფუნქციის ჯგუფის ჩარჩოებში:

9. საბანკო ყველა სახის ოპერაციებისა და სხვა გარიგებების დამოუკიდებლად ან მთავრობის დავალებით განხორციელება;

10. საკუთარი ოქროსავალუტო რეზერვების მართვა;

11. აღმასრულებელი ორგანოებისა და სახელმწიფოთა ბიუჯეტგარეშე ფონდების, წარმომადგენლობითი ორგანოების დავალებების შესაბამისად, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტების ანგარიშსწორების განხორციელების მეშვეობით ანგარიშების მომსახურება.

IV. საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფის ჩარჩოებში:

<sup>45</sup> Лаврушин О.И. Мамонова И. Д., Валенцова Н. И. \_ Банковское дело: учебник. \_ Москва: Кнорус, 2009. \_ 768 с. (с. 40-44) .



12. ეკონომიკის მთლიანობაში და რეგიონების მიხედვით მდგომარეობის ანალიზისა და პროგნოზირების ჩატარება უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო და სავალუტო-ფინანსური ურთიერთობების, ფასნარმოქმნის სფეროებში, შესაბამისი მასალებისა და სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაცია;

13. ქვეყნის საგადასახადო ბალანსის პროგნოზის შემუშავებაში მონაწილეობა, მისი შედეგების ორგანიზება;

14. ეროვნულ ფულთან მიმართებაში ოფიციალური უცხოური ვალუტების კურსის დადგენა და პუბლიკაცია.

V. საზედამხედველო და საკონტროლო ფუნქციის ჯგუფის ჩარჩოებში:

15. ბანკებისა და საბანკო ჯგუფების საქმიანობაზე ზედამხედველობა;

16. ბანკების სახელმწიფო რეგისტრაცია, საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე მათთვის ლიცენზიების გაცემა, მათი საქმიანობის შეჩერება და ლიცენზიების გამოთხოვა;

17. ბანკის ფასიანი ქაღალდების ემისიის რეგისტრაცია;

18. სავალუტო რეგულირება და სავალუტო კონტროლი.

ცენტრალური ბანკისა და ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ რეალიზებადი ზემოთჩამოთვლილი ფუნქციების ურთიერთშელეწევადობა და ურთიერთდამოკიდებულება წარმოშობს კითხვას უფლებამოსილებების ოპტიმალურად განაწილების შესახებ და მათ შორის ფორმალური დამოუკიდებლობის არსებობის მიუხედავად, დე-იურე, რომელიც ქვეყნების უმეტესობის კანონმდებლობაშია დამკვიდრებული, დე-ფაქტო, გარკვეულ იერარქიულ დამოკიდებულებაზეა აგებული, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებების ყველა შტოებისათვის დამახასიათებელი რეგულირების ადმინისტრაციული მეთოდების უცვლელ თანამგზავრს წარმოადგენს. აღნიშნული თვალსაზრისით, ადმინისტრაციული უფლებამოსილებების მქონე ემისიურ ინსტიტუტს სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების საფეხურებზე უეჭველად გარკვეული ადგილი უნდა ჰქონდეს მიკუთვნებული.

ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებთან ცენტრალური ბანკის ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზაციის საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება. ცნობილი ეკონომისტების აღიარების შესაბამისად, ხელისუფლების სხვა შტოებისაგან ევროპის განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები ყველაზე უფრო დამოუკიდებელი იყვნენ, რაც შემდგომში ევროპული ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხში იქნა ტრანსფორმირებული. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისაგან უფრო მჭიდრო დამოკიდებულება განვითარებადი ქვეყნებისათვის და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი.<sup>46</sup>

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურაში ცენტრალური ბანკის ადგილის შესახებ საკითხთან დაკავშირებით დღეისათვის ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. მრავალი მეცნიერი საემისიო ინსტიტუტის ბუნების გასამმაგებაზე ამახვილებს ყურადღებას. ასე მაგალითად, კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „... უმეტეს ქვეყნებში ბანკნოტების გამომშვები მთავარი ბანკები, თავისთავად სახელმწიფო და კერძო ბანკის საოცარ შეხამებას წარმოადგენენ; სინამდვილეში ოპერაციების საფუძველს სახელმწიფო კრედიტი შეადგენს, ხოლო მათი ბანკნოტები დაკანონებულ საკანონმდებლო საშუალებებს წარმოადგენენ...“<sup>47</sup> აღნიშნულ თვალსაზრისს ემხრობა რუსი მეცნიერი ვ.ვ. ზალესკი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ცენტრალური ბანკი თავის თავში ჩვეულებრივი (კომერციული) საბანკო დანესებულებისა და სახელმწიფო უწყების თვისებებს ახამებს და იგი ფულად-საკრედიტო მიმოქცევის ორგანიზაციის სფეროში გარკვეული სახელისუფლებო ფუნქციების გამტარებელიცაა“.<sup>48</sup>

უკრაინელი მეცნიერი ა.გ. ბრატკო ცენტრალური ბანკის არსის გაორმაგებაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ „... ერთის მხრივ, იგი ბანკების სფეროში ფულადი ბაზრის ფესვებიდან აღმოცენებული სტრუქტურაა, საბანკო სისტემის წარმომადგენელთა და, აქედან გამომდინარე, მან მისი ინტერესები უნდა გამოავლინოს, მეორეს მხრივ კი – იგი ხაზინის შევსების ინტერესებიდან გამომდინარე, ეხმარება სახელმწიფოს საზოგადოების ფინანსური დანაზოგების გადანაწილება-“

<sup>46</sup> Ананьин О. И. и др. \_ Независимость центрального банка: международный опыт в историческом аспекте. \_ Москва, 2000.- с. 52.

<sup>47</sup> Маркс К. \_ Капитал: Критика политической экономии. \_ Т.3, ч. 1. \_ с. 444.

<sup>48</sup> Залесский В. В. \_ Основы законодательства капиталистических стран о банковской системе. \_ Москва, 2000. – с. 52.

ში...“.<sup>49</sup> საემისიო ბანკი თავის თავში რეგულირების როგორც საბაზრო, ასევე არასაბაზრო ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახამებს, მაგრამ იგი ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

აღნიშნული იდეა აქვს განვითარებული რუს მეცნიერს გ.ა. ტოსუნინს, რომელიც მივიდა დასკვნამდე იმის შესახებ, რომ ცენტრალური ბანკი, ახორციელებს რა ფულის დახმარებით სახელმწიფო მმართველობას, ფაქტიურად იგი თავისთავად აღმასრულებელი ხელისუფლების „ფულადი მართვის ორგანოს“ წარმოადგენს. მოცემულ მოსაზრებას ზოგიერთი უცხოელი მკვლევარებიც ადასტურებენ და ისინი ცენტრალური ბანკის მეთაურობით სახელმწიფო ხელისუფლებისაგან გამოცალკევებული შტოს სახით „ფულადი ხელისუფლების ჩამოყალიბებას შესაძლებლად მიიჩნევენ.

საპირისპირო მოსაზრება გააჩნიათ ი.ა. რახტენბერგს და იუ. ს. კრუპნოვს, რომლებიც ცენტრალური ბანკისათვის უპირველესად სამეურნეო და კომერციული ფუნქციები აქვთ მიკუთვნებული და მიაჩნიათ, რომ „...ბანკი, როგორც არ უნდა იყოს იგი, უპირველეს ყოვლისა, კომერციულ სანარმოს წარმოადგენს, მისმა საქმიანობამ შეიძლება რამდენადმე სახეცვლილება განიცადოს, იგი სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურაა, მაგრამ ორივე შემთხვევაში იგი სამეურნეო ორგანიზაციას მიეკუთვნება, რომლის საქმიანობა მოკლედ შეიძლება „ფულით მოვაჭრე სუბიექტად“ იქნას დახასიათებული.

მიგვაჩნია, რომ თავისი არსით საემისიო ბანკი ყოველთვის იქნება ადმინისტრაციულად მართვად დაწესებულებას მიკუთვნებული, რადგანაც სწორედ სახელმწიფო ავალდებულებს მას ემისიის უფლებამოსილებას და, აქედან გამომდინარე, ყოველთვის შეეძლება აღნიშნული უფლებამოსილების ცენტრალურ ბანკს სუფთა საბაზრო ატრიბუტები გააჩნდეს, ისეთები, როგორცაა: დამოუკიდებელი ბუღალტრული ბალანსი, საკუთარი კაპიტალი, მოგება და საკუთარი საქმიანობის ორგანიზაციისათვის საბაზრო ხერხების გამოყენების შესაძლებლობა, სხვა კონტრაგენტებთან თანატოლობის პირობებით გარიგებების თავისუფლად განხორციელებისა და სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა და ა.შ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ ცენტრალური ბანკის კაპიტალში მონაწილეობის შესაძლებლობებს, ამ თვალსაზრისით, საემისიო ინსტიტუტის ორგანიზაციის ყველაზე ხშირად შემხვედრ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალის დაფუძნებაში 100%-იანი მონაწილეობა (არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ინდოეთი, ირლანდია, ესპანეთი, კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, რუსეთი, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი). კვაზისახელმწიფოებრივებს შორის ისეთი საემისიო დაწესებულებები შეიძლება გამოიყოს, რომლებიც თავიდანვე კერძოდ აქციონერული კომპანიების ფორმით იყვნენ შექმნილები და ასეთი სახით დღესაც ფუნქციონირებენ (იტალიის ბანკი, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა) და შერეული საემისიო ბანკები, რომელთა თანადაფუძნებლებად და თანამფლობელებად აქციონერულ საფუძველზე გამოდიან სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ასეთი სახის საემისიო ინსტიტუტებს მიეკუთვნებიან: შეიცარიის ეროვნული ბანკი – 58,4% აქცია ეკუთვნის კანტონებს და სხვა საჯარო წარმონაქმნებს, ხოლო 41,4% – ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ავსტრიის ბანკი – 50% აქცია სახელმწიფო კუთვნილებაა; იაპონიის ბანკი – 55% აქცია სახელმწიფო კუთვნილებაშია; მექსიკის ბანკი – 51%, ბელგიაში და ჩილეში – 50%, თურქეთში – 25%, საბერძნეთში – 10% აქციების მფლობელები სახელმწიფოებია.<sup>50</sup>

ცენტრალური ბანკის შექმნის და საქმიანობის ორგანიზაციის ნებისმიერი ვარიანტისას მისი კაპიტალის კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად ყოველთვის წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, გააჩნია საკუთარი საბანკო ანგარიში და ბუღალტრული ბალანსი, ფლობს ფულად და მატერიალურ ქონებას, ფორმირებას ახდენს და განკარგავს სანესდებო და სარეზერვო კაპიტალს, აგრეთვე სხვა ფონდებსაც, ქირაობს საკუთარ პერსონალს. ამასთან, მისი მატერიალური ქონება და ფულადი ფონდები სახელმწიფოს ქონებისაგან და ფონდებისაგან გამოყოფილია.

საემისიო ინსტიტუტების საკუთარი კაპიტალი დამოუკიდებლობის აქტიურ-პასიური ოპერაციების განხორციელებაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. საკუთარი კაპიტალის წილზე საშუ-

<sup>49</sup> Братко А. Г. \_ Центральный банк в банковской системе России.- М: Спарк, 2001.-с. 35.

<sup>50</sup> Основы законодательства капиталистических стран о банковской системе/ Под ред. В.В. Залесского.

ალოდ ცენტრალური ბანკების პასივების მიახლოებით 4% მოდის (2% – აშშ-ს ფსს-ში და 8% – იაპონიაში). საემისიო ბანკებისათვის საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს რესურსს, რომელიც სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. პირველ რიგში, იგი რესურსია, რომელიც ფაქტიურად განუსაზღვრელი ვადითაა მოზიდული. მეორეს მხრივ, იგი უფასოა. მესამე, იგი რესურსია, რომელიც შეიძლება გრძელვადიან საინვესტიციო აქციებში იქნას გამოყენებული. მეოთხე, იგი სახსრების წყაროა, თვით საემისიო დაწესებულების ინფრასტრუქტურის (შენობა, ნაგებობები, მოწყობილობები) განვითარებისათვის.

ზოგიერთი მკვლევარების მოსაზრებით, ცენტრალურ ბანკს შეიძლება საერთოდ არ გააჩნდეს სანესდებო კაპიტალი, ვინაიდან მას თვითონ შეუძლია ფულის ნებისმიერი მოცულობა შექმნას და მათი მეშვეობით საკუთარი ვალდებულებები გაისტუმროს. ასეთ სიტუაციაში წარმოიშობა სამართლიანი სურვილი იმასთან დაკავშირებით, რომ ფულადი რესურსები არ შეიბოჭოს კაპიტალში და ისინი შემოსავლიანი ინვესტიციებისათვის იქნას გამოყენებული.

მეცნიერების მეორე ჯგუფს მიაჩნიათ, რომ თუმცა ცენტრალურ ბანკს აბსოლუტური გადახდისუნარიანობა და კრედიტუნარიანობაც გააჩნიათ, მაგრამ საემისიო ბერკეტის პოტენციალურად შეუზღუდავად გამოყენება უეჭველად მისი მთავარი მიზნის – ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი შესაძლებლობის დაცვის რეალიზაციასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოვა. სანესდებო კაპიტალი კი დამატებითი ემისიის გარეშე ცენტრალური ბანკის ვალდებულებების დაფარვის რეალურ ხერხს წარმოადგენს.

მიგვაჩნია, რომ ცენტრალური ბანკის კაპიტალსა და კერძო საკრედიტო ორგანიზაციის კაპიტალს შორის ანალოგიის გავლება უსაფუძვლოა. იგი ოქრომონეტური სტანდარტის პერიოდში იყო შესაძლებელი, როდესაც საემისიო ბანკი ბანკნოტების ოქროზე თავისუფალ გაცვლას ახორციელებდა და ამ უკანასკნელის (ოქროსი) საჭირო რაოდენობით არ ქონის შემთხვევაში საკუთარ კაპიტალს იყენებდა. თანამედროვე ცენტრალური ბანკი, რომელიც გადაუცვლადი ფულის მიმოქცევის პირობებში მოქმედებს, რესურსებში უკმარისობას არასოდეს განიცდის, რადგანაც იგი მათ საჭირო რაოდენობას თვითონ ქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკაში, რომელთაც თავისი არსით ცენტრალური ბანკებიც მიეკუთვნებიან, ცნება „კაპიტალი“ საერთოდ არ გამოიყენება. მის მაგიერ შემოტანილია ტერმინი „საკუთარი სახსრები“. პოლიტეკონომიკური თვალსაზრისით, მოცემული განსხვავება ხაზს უსვამს, რომ კომერციული ორგანიზაციების კაპიტალისაგან განსხვავებით, რომელიც დამატებული ღირებულების შექმნაზეა დამოკიდებული, არაკომერციული ორგანიზაციების საკუთარი სახსრები მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობების შესაქმნელად მატერიალურ ბაზას წარმოადგენენ და, აქედან გამომდინარე, იგი თავიდანვე ავანსირებული ღირებულების ნაზარდზე დამოკიდებულების თვალსაზრისით, არ შეიძლება როგორც კაპიტალი იქნას განხილული. არაკომერციული ორგანიზაციის მიერ შესაქმნელ პროდუქტს საერთოდ შეიძლება ზუსტი სამომხმარებლო ღირებულება არ გააჩნდეს, ხოლო მისი რეალიზაცია ხშირად შესაბამისი გადახდის ამოღებას არ ითვალისწინებს. ცენტრალური ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების ზუსტად გამოყენების გარანტიას წარმოადგენს არა კაპიტალი, არამედ ემიტენტის მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებაში ბოროტმოქმედების აღმოფხვრის უზრუნველმყოფელი მისი (ბანკის) არაკომერციული სტატუსი.<sup>51</sup>

ხელისუფლების დაყოფის სისტემაში საემისიო ინსტიტუტის როლი და ადგილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ხელისუფლების დაყოფის თეორია მუშავდებოდა ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ, რომელიც სახელმწიფოს მოწყობის სამ ელემენტს გამოყოფდა: სახელმწიფოებრივი საკითხების განმხილველი ხელისუფლება, სამთავრობო ხელისუფლება და სასამართლო ხელისუფლება. შემდგომში იგი ჯ. ლოკის კვლევებშიც განვითარდა, რომელიც გამოყოფდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ფედერალურ ე.წ. პრეროგატიული ხელისუფლების – განსაკუთრებულ შტოს, რომელიც ვალდებული იყო გამოეყენებინა კანონი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – კანონის საწინააღმდეგოდ ემოქმედა. შემდგომში ხელისუფლების დაყოფის თეორიის იდეებმა საბოლოო გაფორმება მიიღეს ფ.ჟ. რუსოს ნაშრომებში, რომელიც ნაშრომში „საზოგადოებ-

<sup>51</sup> Навой А.В. \_ Роль и место центрального банка в системе государственной власти подлинная независимость или мнимая? // Финансы и кредит, 2009. \_ №15.

რივი ხელშეკრულების შესახებ, ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“ ასაბუთებს<sup>52</sup> ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ხელისუფლების საკანონმდებლო შტოსაგან გამოყოფის აუცილებლობას. ხელისუფლების დაყოფის თეორია ყველაზე უფრო თანმიმდევრულად შ.მონტესკიეს ნაშრომებში არის ჩამოყალიბებული. თავის ნაშრომში „კანონების სულისკვეთების შესახებ“ პიროვნული თავისუფლების იდეიდან გამომდინარე, მონტესკე ხელისუფლების საკუთარი უფლებამოსილებების ბოროტმოქმედებისაკენ მიდრეკილების საწინააღმდეგოდ ახორციელებს ხელისუფლების კონსტრუირებას, როგორც პიროვნების გაუსაფრთხოების შესაძლებლობის საშუალებას. თვითნებობის აღმოფხვრისათვის მონტესკე სთავაზობს ერთმანეთის შემაკავებელი ხელისუფლების შტოების შექმნას: საერთაშორისო სამართლით რეგულირებად ურთიერთობებში – საკანონმდებლო და აღმასრულებელი; სამოქალაქო სამართლით რეგულირებად ურთიერთობებში – აღმასრულებელი, რომელშიც მას ხელისუფლების სასამართლო შტოც აქვს ჩართული.

საკვანძო პრობლემის – ხელისუფლების ცალკეულ შტოებს შორის კონფლიქტების გადასაწყვეტად მონტესკე სთავაზობს არა დამატებითი, გამანონასწორებელი ხელისუფლების შტოს ჩარჩოებში, არამედ კომპრომისების – ხელისუფლების ურთიერთ შემაკავებელი წყაროს მეშვეობით.

რუსეთის მეცნიერებაში გ. ა. ტოსუნიანი და ა. იუ. ვაკულინი სთავაზობენ ხელისუფლების სისტემის სამწევრიანი კოსტრუქციუა შეივსოს მეოთხე ხელისუფლებით – „ფულადი ხელისუფლებით“. თავიანთ მოსაზრებას მეცნიერები ასაბუთებენ თანამედროვე ფულის ბუნებისა და ძირითადი ფუნქციების ფაქტორის (ხუთი ფუნქცია ოქროს სტანდარტის პირობებში, ოქროს სტანდარტის გაუქმების, ფულის ფუნქციების შეცვლის, უნაღდო და ელექტრონული ფულის წარმოშობის, ფულის ფუნქციების, როლისა და მნიშვნელობის შეცვლის); ფაქტორი „ბანკის“ (საბანკო ორგანიზაციების ქსელი, საბანკო სისტემა, საბანკო, სამრეწველო და სახელმწიფო კაპიტალის ტრიუმვირატი, ბანკები როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულატორი); ფაქტორი „ეკონომიკის გლობალიზაციის“ (ცვლილებები სანედლეულო და მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, განვითარებული ქვეყნების მეცნიერებატევად წარმოებაზე გადასვლა, კაპიტალის მსოფლიო გადაადგილების მნიშვნელობის გაზრდა, მსოფლიო ფინანსური ქსელის წარმოშობა); ფაქტორი „დემოკრატია“ (თეორიები: არისტოტელეს, ლოკის, მონტესკეს, გამანონასწორებელი ხელისუფლების თეორია) საფუძვლებზე,<sup>53</sup> რამაც საბოლოო ჯამში „ფულადი ხელისუფლების“ გამოყოფისა და ხელისუფლებების დაყოფის ოთხწევრიანი თეორიის დამკვიდრების შესაძლებლობას იძლევა. მოცემულ პირობებში საემისიო ცენტრის ავტორიტეტი ძლიერდება, რადგანაც ადრე მოქმედი სისტემებისაგან განსხვავებით, სწორედ იგი განსაზღვრავს გამოშვებული (ემიტირებული) ფულის ღირებულებას და საიმედოობას.

ავტორების მიერ შემოთავაზებულია აღმასრულებელ და აღმასრულებელ ფულად ხელისუფლებას შორის კომპეტენციების განაწილება: თუ აღმასრულებელი ხელისუფლება გამოდის ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდების მეშვეობით ურთიერთობებთან დაკავშირებით, „ფულადი ხელისუფლება“ კი – რომელიც შეიძლება საემისიო ბანკით იყოს წარმოდგენილი, მეურნე სუბიექტების განკარგულებაში არსებული ფულადი მასის მისაწვდომობისა და ღირებულების მართვის უპირატესად მართვის ეკონომიკური დისპოზიციური მეთოდების საფუძველზე ახორციელებს. ამასთან, ერთის მხრივ, ფულადი ხელისუფლების ღონისძიებები, რომლებიც ობიექტური, ეკონომიკური კანონების საწინააღმდეგო იქნება, უეჭველად მთლიანი ეროვნული ეკონომიკური სისტემის მოშლის საბაბი გახდება და იგი როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე მეურნე სუბიექტებისათვისაც იქნება მიუღებელი, მეორეს მხრივ, ფულადი მართვა, მისი ყოვლისმომცველობისა და ობიექტური ხასიათის ძალისხმევით, წარმოადგენს უფრო მკაცრს და ყველა სუბიექტებისათვის სავალდებულოს, ვიდრე ადმინისტრაციული მართვა. ფულადი მართვის საგნისა და მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული კონცენფციის ავტორები ფულის, როგორც განსაკუთრებული საქონლის მართვის საკითხების განსაკუთრებულ ორგანოზე (ორგანოების სისტემაზე) გადაცემის აუცილებლობის შესახებ აკეთებენ დასკვნას. ასეთ ორგანოს ქვეყანაში, მეცნიერების მოსაზრებით, ეროვნული (ცენტრალური) ბანკი წარმოადგენს. კონსტიტუციის ნორმების ანალიზის

<sup>52</sup> Руссо Ж.Ж. - Об общественном договоре или принципы политического права. Трактаты. \_ Москва, 1969.

<sup>53</sup> ცაავა გ., ბინაძე ბ., ლიპარტია ზ., – ფინანსური მენეჯმენტი (სახელმძღვანელო), – თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნ. აკადემია, 2006. – 992 გვ. (გვ. 155-218).

საფუძველზე, ისინი მიდიან დასკვნამდე, რომ ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკი მიეკუთვნება: ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს, მაგრამ არ შედის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების სისტემაში, იგი საკუთარ ფუნქციებს მათგან დამოუკიდებლად ახორციელებს. ფულადი ხელისუფლების შტოს გამოცალკეება აღმასრულებელი შტოსაგან კანონმდებლობაში ქონებრივი პრინციპითაც არის განხორციელებული: მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ქონება წარმოადგენს ფედერალურ საკუთრებას, მის ფლობას, გამოყენებასა და განკარგვას, იგი, გამომდინარე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებიდან, ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს.

ხელისუფლების მეოთხე შტოსათვის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის დამკვიდრება საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკითაც არის დადასტურებული. ი. ელსტერი ამტკიცებს, რომ ცენტრალური ბანკი მისი საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით უტოლდება საკონსტიტუციო სასამართლოს. მოცემული თვალსაზრისი ევროპულ თეორიაში და პრაქტიკაშიც არის მიღებული, სადაც გაცხადებულია ევროპული ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა როგორც ევროპული კავშირის სხვა ორგანოებისაგან, ასევე ქვეყნების – ევროკავშირის წევრი სახელისუფლებო ორგანოებისგანაც.

ფულადი ხელისუფლების ცალკე შტოდ გამოყოფის აუცილებლობის თეორიული დასაბუთება მეხნერტი-მელანდის ნაშრომშიც „ევროპული კავშირის ცენტრალური ბანკი“<sup>54</sup> არის მოყვანილი.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის იდეა ცენტრალური ბანკების თეორიისათვის ახალი არ არის. მისი საფუძვლები ჯერ კიდევ ამერიკელი თეორეტიკოსების (კერძოდ, ღორნბუშისა და ფიშერის<sup>55</sup>) მიერ იყო ჩადებული, რამდენადაც სწორედ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა გახდა ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი საემისიო ცენტრი. ამერიკელი მეცნერები თავიანთი მოსაზრებებით ასევე ხელისუფლებების დაყოფის თეორიას ეფუძნებოდნენ. ნებისმიერი მთავრობის მიერ პოლიტიკური და სხვა მყისიერი მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლო ფინანსური სიძნელების გადასაწყვეტად საკუთარი საემისიო უფლებამოსილებების ეკონომიკის განვითარების თუნდაც საზიანოდ გამოყენების სცენარების თავიდან აცილების მიზნით, მთავრობისათვის საემისიო ფუნქციების ჩამორთმევა და მათ სპეციალურ დამოუკიდებელ ორგანოზე გადაცემა ჩათვალეს მიზანშეწონილად.

მიუხედავად განსხვავებული მიდგომებისა, მეცნიერთა უდიდესი ნაწილი ისეთ მოსაზრებას ემხრობიან, რომ რამდენად უფრო დამოუკიდებელია ცენტრალური ბანკი, იმდენად უფრო მეტია ინფლაციის დაბალი ტემპებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის წინაპირობების შექმნის ალბათობის შესაძლებლობები. როგორც ეროვნული, ისე უცხოეთის ავტორების ნაშრომები, გაჯერებულია მაგალითებით, რომლებიც ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობისა და ფასების სტაბილურ დონეს შორის მჭიდრო სტატისტიკურ კავშირს ადასტურებენ.<sup>56</sup> მოცემული კვლევების ძირითად დასკვნას წარმოადგენს ის, რომ ცენტრალურ ბანკებზე სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მხრიდან პოლიტიკურ კონტროლს მაღალ ინფლაციამდე მივყავართ და იგი რეალური სექტორის დაკრედიტების, უმუშევრობის შემცირებაში, საერთო ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საქმეში არანაირ დადებით შედეგებს არ იძლევა.

ტერმინი „ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის“ გავრცობადობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია უფრო დეტალურად მის პოლიტიკონომიკურ არსზე შევჩერდეთ. კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ცენტრალური ბანკის სტატუსს განსაზღვრავენ, უმეტეს შემთხვევებში დამოუკიდებლობის“ ცნების ფორმირებას ახდენენ. მეცნიერები აღნიშნულ ტერმინს რამდენიმე კრიტერიუმების ქრილში განმარტავენ. ასე, მაგალითად, გრომელი და ხაანი დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების სახით გამოყოფენ: ფულადი პოლიტიკის არსებობას; ინფლაციური მაჩვენებლების განსაზღვრის წესს, რომლისკენაც მიისწრაფვის ცენტრალური ბანკი; ნორმების იურიდიულ წყაროს, რომლის საფუძველზე ფუნქციონირებს საე-

<sup>54</sup> Mehnert-Meland R.- Central Bank of the European Union.-London \_ The Hague; Boston: Kluwer Law International//World Bank Economic Review, 1993.

<sup>55</sup> Dornbush R., Fisher S. \_ Moderate Inflation // World Bank Economic Review, 1993.

<sup>56</sup> Cukierman A. Webs S., Neyapti B. Mearuring.- Central Bank Independence and its Effects on policy outomes.- San Francisco, 1994.

მისიო ბანკი; ცენტრალურ ბანკის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებში მთავრობისა და სხვა ორგანოების ჩარევის ხარისხს; ცენტრალურ ბანკში თანამდებობის პირების დანიშვნის წესს. ვ.პ. პოლიაკოვმა და ლ.ა. მოსკვინამ ჩამოაყალიბეს დამოუკიდებლობის შემდეგი კრიტერიუმები: ცენტრალური ბანკის განკარგვაში გამოცალკევებული ქონების არსებობა; სამთავრობო ორგანოებისაგან დამოუკიდებლობა; ცენტრალური ბანკის მართვის ორგანოების წევრების პირადული დამოუკიდებლობა; ბანკის იურიდიული სტატუსი, რის ქვეშ ავტორებს მიაჩნიათ როგორც უშუალოდ ბანკის სტატუსი, ასევე „ცენტრალური ბანკის წესდებაში“ (ცვლილებების შეტანის შესაძლებლობებიც“.

პროფესორი ი. ლუის თვალსაზრისით, ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელია, თუ კი პირადი ავტონომიურობა (ცენტრალური ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს პირადული დამოუკიდებლობა) არსებობს; ინსტიტუციონალური ავტონომიურობა (ცენტრალური ბანკისათვის იურიდიული პირის მახასიათებლების არსებობა); ფუნქციონალური ავტონომიურობა (დასმული ამოცანების სხვა ორგანოების ჩარევის გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობა); ფინანსური ავტონომია (საკუთარი კაპიტალისა და სახსრების განკარგვის შესაძლებლობა).

ი. იუ. კაშკინი ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას მიიჩნევს შემდეგი კომპონენტების საფუძველზე: მიზნობრივი ავტონომიის, რომლის ქვეშ გაიგება ცენტრალური ბანკისათვის კანონმდებლობით მიკუთვნებული მიზნების არსებობა; ფუნქციონალური ავტონომია, ანუ ცენტრალური ბანკისათვის საკუთარი მიზნების სხვა ორგანოების ჩარევის გარეშე განხორციელების შესაძლებლობა; ინსტიტუციონალურ-ფინანსური ავტონომია, რომლის ქვეშ გაიგება საემისიო ინსტიტუტის იურიდიული პირის მახასიათებლების, აგრეთვე გამოცალკევებული ქონების, კაპიტალისა და სახსრების არსებობა; პირადული ავტონომია, რომელიც მოიცავს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი ორგანოების წევრების დამოუკიდებლობას, აგრეთვე მათი დანიშვნისა და ჩამოქვეითების გართულებული წესი, უფლებამოსილობის გახანგრძლივებული ვადები; იურიდიული ავტონომია – სტატუსის მიკუთვნებისა და ცენტრალური ბანკის უფლებამოსილებების განსაკუთრებული ხერხი, აგრეთვე მათი სამართლებრივი რეგულირების სტაბილურობა.

მიგვაჩნია, რომ მეოთხე „ფულადი ხელისუფლების“ თეორია, აგრეთვე მისგან გამომდინარე მისი გამოყოფის აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება და მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბებადი ტენდენციებითაც დასტურდება. ამასთან, ცენტრალური ბანკისათვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭების ტენდენცია, მაინც, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური ეკონომიკური კანონების ქმედებით და არა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნებასურვილით არის განპირობებული. ნამდვილად, თანამედროვე ფულის მიერ ღირებულებითი საფუძვლის დაკარგვის პირობებში ფაქტიურად ეროვნული ვალუტის ნდობის აქცენტი ფულის უზრუნველყოფიდან ემიტენტის – ფულადი ხელისუფლების ავტორიტეტისაკენ არის გადატანილი. სხვა სიტყვებით, თანამედროვე ფულად ერთეულებზე დაკისრებული ნომინალური ღირებულება, ოქროზე გადაცვლადობის პირობების არ არსებობისას, მთლიანად მათი ემიტირებადი ინსტიტუტის ავტორიტეტზე გადაიტანება. მოცემულ შემთხვევაში ემიტენტის ფორმალური იურიდიული დამოუკიდებლობა მათ მიერ გამოსაშვები ფულის ხარისხის თავისებურ გარანტიად გამოდის და, აქედან გამომდინარე, მათზე მოთხოვნის სტიმულირებას ახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაშვები საგადასახადო საშუალებების ხარისხი არ არის დადასტურებული, საემისიო შემოსავლის (სენიორაჟის) მოცულობის შემცირებით, ბუნებრივი სახით მოთხოვნა მათზე შემცირდება. ამიტომ სენიორაჟის მაქსიმიზაციის მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები გამოსაშვები ვალუტის ძლიერების ამალგების მიზნით იძულებული არიან დე-იურე ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა აღიარონ.

ნებისმიერი მეურნე სუბიექტის, დამოუკიდებლობის რეალური სურათი კი, ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე რელიეფურად მისაღები მოგების განკარგვის შესაძლებლობებში ვლინდება. საბაზრო ეკონომიკაში მოგება შრომის საზოგადოებრივი დაყოფის სისტემაში სანარმოს ადგილის მახასიათებელი ყველაზე ტევადი და ზუსტი ფინანსური ინდიკატორია. მოგება თავისთავად ბიზნესის ორგანიზაციის სანყის ნერტილს წარმოადგენს და მისი საბოლოო შედეგია ღირებულების შექმნაში სუბიექტის მონაწილეობა. იგი დაბანდების პერსპექტიულობის კრიტერიუმია, კაპიტალის მიმართვის კომპასია. ამიტომ მოგების განაწილების ხერხი სამეურნეო და იურიდიული დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს. დამოუკიდებლობის ყველაზე მა-

ღალი ხარისხი იმ სანარმოებსა და ორგანიზაციებს გააჩნიათ, რომლებიც კომერციული გაანგარიშების – მათ განკარგულებაში არსებული მოგების სრულად მართვის პრინციპებზე ფუნქციონირებენ. სამეურნეო გადაწყვეტილებების არჩევანში თავისუფლების ნაკლები წილი გააჩნიათ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან მიღებული მოგება მხოლოდ სანესდებო მიზნების მიღწევაზე მიმართონ, მათი საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირდება სადამფუძნო საბუთებით. კიდევ უფრო მეტი სიმკაცრის კონსტრუქცია გამოიყენება სახელმწიფო დაწესებულებებში და სახაზინო სანარმოებში, რომელთა საქმიანობა ერთადერთი სრულუფლებიანი მესაკუთრის – სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირდება.

უმეტესი ქვეყნების ცენტრალური ბანკების სამართლებრივი კონსტრუქცია ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სახელმწიფო დაწესებულებას ან სახაზინო სანარმოს შეესაბამება, ანუ ორგანიზაციას, რომელიც საბაზრო მეურნეობრიობის თვალსაზრისით, გადაწყვეტილებების მიღებაში ყველაზე ნაკლებ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ფლობენ. ცენტრალური ბანკის მოგების განაწილების შესახებ საკითხი ჩვენ საკვანძო განმსაზღვრელად გვესახება როგორც თვით საემისიო ინსტიტუტის განსაზღვრის თვალსაზრისით, ასევე ხელისუფლების სხვა ორგანოებთან მისი ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისითაც.

განვითარებული ქვეყნების უმეტესი ცენტრალური ბანკების საერთაშორისო პრაქტიკაში საკუთარი მოგების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხება. ასე მაგალითად, ავსტრიის ცენტრალური ბანკი სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის სახით იხდის მიღებული მთლიანი შემოსავლიდან 30% და კიდევ მთლიანი მოგების 42%-ს. ინგლისის ბანკში საემისიო დეპარტამენტის სუფთა მოგების მთლიანი მოცულობა ხაზინაში გადაირიცხება, ხოლო საბანკო დეპარტამენტის მოგება კი ფონდებში და კორპორაციულ მოგებაზე გადასახადის გადახდის შემდეგ ბიუჯეტში ჩარიცხავს ექვემდებარება. გერმანიის ფედერალური ბანკი სავალდებულო ფონდების შევსების შემდეგ ფედერაციის ბიუჯეტში სრულად გადაირიცხება. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა მოგების 95% ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე გადაირიცხება.

საერთაშორისო პრაქტიკა ცენტრალურ ბანკებს მიაკუთვნებს საჯარო-სამართლებრივი დაწესებულებების ჯგუფს, რომლებსაც კანონის შესაბამისად, ერთდროულად სახელისუფლებო და სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებამოსილებები აქვთ მინიჭებული.<sup>57</sup> ი. ელსტერის მოსაზრებით, ცენტრალური ბანკების საკუთარი დამოუკიდებლობის მიხედვით შეტოლებულია საკონსტიტუციო სასამართლოებთან, რაც საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის საჭირო მათი სამართლებრივი სტატუსის საკმაოდ ზუსტი მახასიათებელია.

მოცემული თვალსაზრისი ჭარბობს ევროპულ სამართლებრივ მეცნიერებაში და პრაქტიკაშიც, რასაც მოწმობენ კოლექტიური ევროპული ვალუტის (european currency unit) შემოტანა და ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის, აგრეთვე ევროპული ცენტრალური ბანკის შექმნა, რომლის წესდებაში ევროპული კავშირის სხვა ორგანოებისაგან, ნევრი-ქვეყნების მთავრობებისაგან და მათი ნებისმიერი დაწესებულებებისაგან აღნიშნული ორგანიზაციის დამოუკიდებლობა არის დაკანონებული.

ევროპული ფულადი სისტემის ძირითადი ინსტიტუტია ევროპული ცენტრალური ბანკი, რომელიც ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას უდგას სათავეში.

მ.ნ. ტოპორინი აღნიშნავს, რომ საკუთარ საქმიანობაში არც ევროპული ცენტრალური ბანკი, არც ეროვნული ცენტრალური ბანკები, მათი ხელმძღვანელი ორგანოებიდან არც ერთი ნევრთაგანი, რომლებიც უფლებამოსილები არიან მიიღონ გადაწყვეტილებები, არ უნდა მოითხოვონ ან მიიღონ მითითებები ნებისმიერი ინსტიტუტისაგან ან თანამეგობრობის სხვა ორგანოსაგან, ისევე როგორც სახელმწიფო ნევრის ნებისმიერი მთავრობიდანაც.

ინსტიტუტებზე და სახელმწიფო-ნევრი მთავრობებზე დაკისრებულია დამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემისა და ევროპული ცენტრალური ბანკისა და ეროვნული ბანკების ხელმძღვანელი ორგანოების ნევრებზე მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების მსვლე-

<sup>57</sup> ასე, მაგალითად, გერმანიის ფედერალური ბანკი საზოგადოებრივი სამართლის უშუალო იურიდიულ პირს წარმოადგენს (§2, Гл.1. Закона о немецком федеральном банке (в ред. от 16 июля 1994 г.) Цит по: Немецкий федеральный банк. денежная политика федерального банка. с.-160.

ლობისას რაიმე სახით ზეწოლაზე უარის თქმის ვალდებულება. ევროპული სისტემის ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის როგორც ფუძემდებლური პრინციპის გამოცხადებას უპირველეს ყოვლისა, „მატერიალური“ წინაპირობები გააჩნია. არც ევროპულ ცენტრალურ ბანკს, არც ეროვნულ ცენტრალურ ბანკებს არ შეიძლება სახელმწიფო წევრების ან თანამეგობრობის ინსტიტუტების საგარეო ვალდების ან საბიუჯეტო „ხვრელების“ გადაფარვა დაავალონ. ამასთან ევროპული სისტემის ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის პრინციპი მათ იზოლაციისაკენ არ უბიძგებს და ხელშეკრულებაში ხაზგასმულია, რომ სისტემისა და თანამეგობრობის ინსტიტუტებს შორის ურთიერთკავშირი უნდა არსებობდეს, თუმცა კავშირები მეტად რბილ ხასიათს ატარებს: ევროპული ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებებს ევროპარლამენტს, საბჭოს, თანამეგობრობი კომისის, აგრეთვე ევროპულ საბჭოს.<sup>58</sup>



### ხათუნა გაბიციანაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გამოცდილების ანალიზი აზიის ეკონომიკური რეგიონის მაგალითზე

როდესაც მეცნიერ ეკონომისტებს სურთ აზიის რეგიონის მცირე ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე იმსჯელონ, უმეტეს შემთხვევაში მაგალითის სახით მოყავთ იაპონია. ასეთი წარმოდგენა გამართლებულია, თუ ყურადღების ქვეშ მივიღებთ იაპონიის როლს მსოფლიო ეკონომიკაში, მაგრამ მისი ფესვები იმყოფება საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებში, რომლებიც შეისწავლიდნენ ე.წ. იაპონურ „ეკონომიკურ სასწაულს“ და მცირე ბიზნესის როლს იაპონიის ეკონომიკის თავბრუდამხვევი ზრდის პერიოდში. აქვე უნდა დავძინოთ, რომ უკვე მრავალი ათწლეულია, რაც იაპონური ეკონომიკა იმყოფება გარკვეული რეცესიის პირობებში, რაც მოქმედებს მცირე ბიზნესში მიმდინარე პროცესებზეც. ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში იაპონიაში სიტუაცია ძირითადად შეიცვალა: მთავრობის დახმარებით შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, მცირე ბიზნესის ახალი როლი დაფიქსირებული იქნა შესაბამისი საკონონმდებლო ბაზით. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ იაპონური მცირე ბიზნესის შეზრდა მეცნიერებასთან არც თუ ისე ინტენსიურად მიმდინარეობს, განსხვავებით აშშ-ის და ევროპის ქვეყნებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში ეტალონის სახით განიხილავენ უკვე არა იაპონიის, არამედ ტაივანის, სამხრეთ კორეის, სინგაპურის და მალაიზიის ეკონომიკებს, რომლებიც სულ უფრო აღმავალი ტემპებით ვითარდება და აღწევს წარმატებებს.

მცირე ბიზნესის ფუნქციონირება ტაივანში მნიშვნელოვნად განპირობებულია საოჯახო ბიზნესის ორგანიზაციის ეროვნული სპეციფიკით. ამ მიმართებით, საინტერესოა ფ. ფუკუიამას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩინურ (და, მაშასადამე, ტაივანურ) ბიზნესში მცირე ფირმების სიჭარბე უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, რომ ოჯახი იკავებს ცენტრალურ ადგილს ჩინურ სოციოკულტურულ ფასეულობათა სისტემაში და, იაპონიისა და სამხრეთ კორეისაგან განსხვავებით, ოჯახური ვალდებულებები აღემატება ყველა სხვა დანარჩენს.

ტაივანში ბიზნესის სიდიდის დადგენისას გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ძირითადი კაპიტალის სიდიდე და დასაქმებულთა რიცხოვნობა. გადამამუშავებელ მრეწველობაში მოქმედი ფირმა ითვლება მცირედ, თუ მასში დასაქმებულია 100-მდე კაცი და მისი ძირითადი კაპიტალი არ აღემატება 40 მლნ ტაივანურ დოლარს (დაახლოებით 1,3 მლნ აშშ დოლარს), საშუალოდ

<sup>58</sup> Топорин В.Н.- Европейское право: Учебник.-Москва,2010.- с.442.



ითვლება საწარმო, თუ მასში დასაქმებულია 100-დან 500 კაცამდე და მისი ძირითადი კაპიტალი 7,5 მლნ აშშ დოლარამდეა.

ტაივანში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა 1950-1970 წლებში ეფექტურად გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, როდესაც აშშ-ის ფინანსური და ორგანიზაციული დახმარებით შექმნილი იქნა გლეხური ასოციაციები, რომლებიც შემდგომ გახდა კოოპერაციული მოძრაობის საფუძველი და მოიცვა არა მარტო საკუთრივ სოფლის მეურნეობა, არამედ მასთან დაკავშირებული ისეთი სამეურნეო სფეროები, როგორცაა: საირიგაციო ნაგებობები და სისტემები; საცხოვრებელი სახლების, გზებისა და სოფლის ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მშენებლობა; მზა პროდუქციის შენახვა, გადამამუშავება და რეალიზაცია; სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოება და რემონტი.

თანდათანობით, კოოპერატივების და მათთან დაკავშირებულ მცირე და საშუალო ფირმების საქმიანობის სფეროში შემოვიდა პირუტყვის დაზღვევა, კრედიტების გაცემა, ინფორმაციის მიწოდება ახალ კულტურათა სათეს მასალასა და სასუქების სახეებზე, მინათმოქმედების გაძღოლის მეტოდებზე და ა.შ. ეტაპობრივად, ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის განვითარების კვალობაზე, კოოპერატივების და მათთან დაკავშირებული მცირე და საშუალო ფირმების საქმიანობამ ფართო გავრცელება ჰპოვა ქალაქადაც.

მცირე ბიზნესის განვითარებაში პოზიტიური როლი ითამაშა აგრეთვე მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეყნის მიერ ფართო კონტაქტების დამყარებამ საზღვარგარეთულ სავაჭრო ფირმებთან და 80-იან წლებიდან ეროვნულ ეკონომიკაში უცხოურ კერძო საინვესტიციო კაპიტალზე ხელმისაწვდომობამ. ამასთან, ტაივანური მცირე ბიზნესი სისტემატურად აფართოებდა საკუთარი საქმიანობის სფეროს, გადიოდა ახალ პარტნიორებზე, ახორციელებდა ახალი ინვესტიციების და ტექნოლოგიების მოზიდვას, ახალი გასაღების ბაზრების ათვისებას. ამის შედეგად მცირე და საშუალო საწარმოები ლებულობდნენ პარტნიორთა ამორჩევის საშუალებას როგორც ეროვნული, ისე უცხოური ბიზნესიდან. ასეთ პირობებში მცირე და საშუალო საწარმოებში ფართო გაქანება ჰპოვა ერთგვარი საქონლის ერთდროულმა წარმოებამ რამოდენიმე ქვეყნის მომხმარებლებისათვის, რაც უზრუნველყოფდა პროდუქციის გამოშვების გადიდებას, გაიაფებას და ხარისხის ამაღლებას.

მცირე ბიზნესის სტრუქტურაში ყურადღებას იპყრობს შედარებით უწვრილესი ფირმების როლის შემცირება, სადაც დასაქმებული იყო 10 კაცზე ნაკლები. ასე, მაგალითად, მათი წილი გადამამუშავებელ მრეწველობაში გასული საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან 90-იანი წლების შუახანებამდე 14%-დან 7%-მდე შემცირდა.

90-იანი წლების შუახანებიდან სიტუაცია სოფლის მეურნეობაში და მის მონათესავე აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში გართულდა. ტაივანის ლტოლვამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განვერიანებისაკენ და კურსის აღებამ იმპორტის ლიბერალიზაციაზე კიდევ უფრო გააუარესა მცირე ფირმების მდგომარეობა, რომლებიც ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ სოფლის ნეობის პროდუქციის გადამამუშავებით, შენახვითა და ტრანსპორტირებით, ასევე წვრილი სამშენებლო, სარემონტო და სხვა კომპანიათა მდგომარეობა, რომლებიც ემსახურებოდნენ სოფლის ინფრასტრუქტურას. გარდა ამისა, მრავალი უწვრილესი კომპანია უძღური აღმოჩნდა საკუთარი ძალებით განეხორციელებინა წარმოების მოდერნიზაცია ან შეეცვალა პროფილი.

მაგრამ, და ეს ძალზე მნიშვნელოვანია შემდგომი ანალიზისათვის, ტაივანის მცირე ბიზნესი არსებობს ეკონომიკის არა მარტო ტრადიციულ დარგებში, არამედ ასევე მონინავე სექტორებშიც (ელექტრონიკაში, ელექტროტექნიკაში, მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში), რომლებშიც მისი წარმომადგენლობა არა თუ არ შემცირდა, არამედ, პირიქით, გამყარდა კიდევ. გარკვეულწილად, აღნიშნულ ვითარებას ხელი შეუწყო მცირე სამწარმო სტრუქტურების მიერ მჭიდრო სუბმოიჯარული ურთიერთობების დამყარებამ მსხვილ ადგილობრივ ბიზნესთან, სახელმწიფო სექტორთან და უცხოურ კომპანიებთან.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ტაივანის მცირე ბიზნესმა სახელმწიფოს აქტიური ფინანსური მხარდაჭერით მიიღო სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევებში ჩართვის შესაძლებლობა. ამავე პერიოდში მოხდა იმპორტის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რამაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მცირე და საშუალო საწარმოების მისწრაფებებზე – მოეხდინათ საკუთარი ბიზნესის მოდერნიზაცია და გასულიყვენ უცხოურ ბაზრებზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებმა ფართო გასაქანი ჰპოვა პერსონალური კომპიუტერების და მათი კომპონენტების წარმოებაში. 2000-იანი წლების დასაწყისისათვის წარმოებულ პერსონალურ კომპიუტერთა 95% მიდიოდა ექსპორტზე. ტაივანზე მოდიოდა მაგიდის პერსონალური კომპიუტერების მსოფლიო გაყიდვების 8%, ნოუტბუქების – 22% და მონიტორების – 51%. თავის მხრივ, ტაივანი ახორციელებს პერსონალური კომპიუტერების საბაზისო კომპონენტების იმპორტს, თუმცა, გარკვეული კატეგორიის დეტალების წარმოება ადგილობრივი კომპანიების მიერაც ხორციელდება.

ინფორმაციული ტექნიკა ყოველთვის ხასიათდებოდა მოკლე სამომხმარებლო ციკლით და დიფერენციაციის მაღალი ხარისხით. ასეთი სახის საქონლის წარმოება ტაივანში მეტად ხელსყრე-ლია მცირე და საშუალო კომპანიებისათვის. მოკლე სამომხმარებლო ციკლი კომპანიებს მუდმივად უბიძგებს წარმოების განახლებისაკენ. გარდა ამისა, ინფორმაციული ტექნიკის ბაზარზე მოთხოვნის მუდმივ ცვლილებებთან ადაპტირების საშუალებას იძლევა ტაივანზე გავრცელებული სუბკონტრაქტული სისტემა, როდესაც პერსონალური კომპიუტერების წარმოების ნაწილი გადანაწილებულია სუბმოიჯარეებზე.

ინფორმაციული ტექნიკის დიფერენციაცია მიიღწევა პროცესორების, მონიტორების დიზაინის ხარჯზე. დიზაინის პროფილის მქონე მცირე საწარმოთა დიდი რაოდენობის არსებობა უზრუნველყოფს მრავალფეროვანი ინფორმაციული ტექნიკის წარმოებას. ამრიგად, ინფორმაციული ტექნიკის წარმოების თავისებურებები იდეალურად ჯდება ტაივანური ბიზნესის სტრუქტურაში, რომელიც უმეტესად წარმოდგენილია მცირე და საშუალო საწარმოებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესის წილი სამრეწველო წარმოებაში 55%-დან 62%-დე, რამაც ასევე ხელი შეუწყო ტაივანის ეკონომიკაში პროგრესულ სტრუქტურულ ძვრებს.

მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტაივანის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში. ტაივანზე ექსპორტის წილი მცირე საწარმოების გაყიდვების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მსხვილი ბიზნესის (მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 55%). მცირე და საშუალო ბიზნესის საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში მონაწილეობის მაღალმა ხარისხმა უზრუნველყო მათი დროული აღქმადობა საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებისადმი და საკუთარი საქმიანობის სწრაფად გადაწყობის უნარი.

მცირე საწარმოების მიერ გადასაჭრელ მთავარ პრობლემას წარმოადგენს თანხების მოძიება სამეცნიერო-ტექნიკური კვლევებისა და საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოებისათვის და ძირითადი ფონდების მუდმივი განახლება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო საწარმოები დაადგინეს წარმოების ხარჯების შემცირების გზას და საკუთარი ტრადიციული შრომატევადი წარმოების გადატანას ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. გასული საუკუნის ბოლოსათვის ტაივანის ინვესტიციებმა ვიეტნამში შეადგინა 1,5 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ჩინეთში კი – 24,4 მლრდ აშშ დოლარი (ამასთან, კაპიტალდაბანდებათა ძირითადი ნაწილი მიემართება შრომატევად დარგებში).

წარმოების ორგანიზაცია ტაივანის კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ითვალისწინებს არა მარტო ტექნოლოგიის და საჭირო მონყობილობების მოზიდვას, არამედ ტაივანიდან მაკომპლექტებელი კვანძებისა და ნახევარფაბრიკატების რეგულარულ იმპორტს. ტაივანიდან ჩინეთში იმპორტირებული საქონლის ორი მესამედი მაკომპლექტებელი ნაკეთობებია, რომლის შექმნაში

იც მონაწილეობენ მცირე და საშუალო საწარმოები. ჩინეთის ტერიტორიიდან მზა პროდუქციის დიდი ნაწილი გააქვთ ტაივანის ფირმებს აშშ-ის, იაპონიის და ევრო-კავშირის ტრადიციულ ბაზრებზე.

ეროვნული სამეწარმეო სტრუქტურების პოტენციალის ამაღლების მიზნით, 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში აქტიურად განხორციელდა ეკონომიკური რეფორმები: განხორციელდა სახელმწიფო სექტორის საწარმოების პრივატიზება, უცხოური ინვესტიციების ხელმისაწვდომობის ლიბერალიზება, გაუქმდა ტაივანის ფირმებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მართველი და ტექნოლოგიური პერსონალის ქვეყანაში შემოსვლასა და გასვლაზე დაწესებული შეზღუდვები, ინფორმაციული სისტემის სამართლებრივ ბაზაში შეტანილმა კორექტირებამ გააიოლა ქვეყანაში ინფორმაციის გავრცელება, განსაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა დროული და საიმედო სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებაზე. ამასთან, მიღებულმა კანონებმა გააძლიერა პასუხისმგებლობა ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე და გაამკაცრდა პასუხისმგებლობა კომპიუტერულ ქსელში მომხდარ დანაშაულზე. აღნიშნულმა ღონისძიებებმა გარკვეული იმპულსი მისცა ტაივანში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას.

იმავედროულად, მრეწველობაში მაღალტექნოლოგიური დარგების წილი (ელექტრონიკა, ინფორმატიკა, წარმოების ბიოტექნოლოგია) 1991-2001 წლებში გაიზარდა 31%-დან 39%-მდე, ხოლო მაღალტექნოლოგიური ნაწარმის წილი ექსპორტში – 39%-დან 49%-მდე. ამრიგად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მცირე ბიზნესის სპეციალიზაცია უკვე ორიენტირებულია Hi-Tech-ზე. მართალია, მცირე ბიზნესის დაკრედიტების პრობლემა კვლავ დარჩა, რადგან საკუთარი რესურსების ნაკლებობას პერსპექტიული დარგების განსავითარებლად ტაივანის მცირე საწარმოები ახლო მომავალში მაინც განიცდიან. მაგრამ, რამდენადაც მცირე მეწარმეობა წარმოადგენს საშუალო კლასის საფუძველს და ტაივანის სტაბილურობის გარანტიას, ამდენად მთავრობას მთელი ყურადღება და ძალისხმევა გადატანილი აქვს მცირე ბიზნესისათვის იაფი კრედიტების შენარჩუნებაზე და, იაპონური მაგალითის შესაბამისად, მათ კოოპერირებაზე მსხვილ კორპორაციებთან.

ტაივანის გვერდით, მცირე ბიზნესის განვითარებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სინგაპურის ეკონომიკაში და მას დიდი წვლილი მიუძღვის 21-ე საუკუნეში ამ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში. სინგაპურის ეკონომიკური მოდელი უნიკალურია კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით. საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მინიმუმამდეა დაყვანილი და ქვეყანა მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში ეკონომიკის თავისუფლების ინდექსით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სინგაპურს 1965 წელს მალაიზიისაგან გამოყოფის შემდეგ დარჩა მწირი ბუნებრივი რესურსები და მცირე შიდა ბაზარი. ათწლეულების განმავლობაში აქ იყო განლაგებული ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი და ქვეყანა წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონისათვის. თავისი განვითარების გზაზე სინგაპურს არ გადაუხვევია თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებიდან, ექსპორტის წამახალისებელი სტრატეგიიდან, ღია ეკონომიკის ჩამოყალიბებიდან, რომელიც მიმართული იყო მულტი ეროვნული კომპანიების მოზიდვაზე.

სინგაპურის ეკონომიკაში მცირე და საშუალო საწარმოების წილად მოდის 90%. აქ არ არსებობს სახელმწიფო პროტექციის ქვეშ მყოფი დარგები მრეწველობაში, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას შიდა ბაზრისათვის. ამიტომ სინგაპურში ადგილი არ ჰქონია მტკიცებულ შიდა სტრუქტურულ გადაადგილებებს. როდესაც მეზობელი ინდონეზია და მალაიზია კონკურენტები გახდნენ მის საექსპორტო ბაზრებზე, სინგაპურის ექსპორტი შრომატევადი სამომხმარებლო პროდუქტებიდან გადაერთო საშუალო და მაღალ ტექნოლოგიურ პროდუქტებზე. ქვეყანაში ძირითადად სამუშაო ადგილებს ქმნის მცირე ბიზნესი, რომელიც დღეისათვის თანამედროვე მომსახურების სექტორშია განთავსებული. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კვალობაზე, სინგაპურში ბოლო 20 წლის

მანძილზე უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე (3,6%) 2009 წელს დაფიქსირდა, რომელიც გამონ-  
ვეული იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით.

სინგაპურის ეკონომიკა ორი ნამყვანი დარგითაა წარმოდგენილი. ესენია: მრეწველობა და სა-  
ფინანსო ბაზრები. წარმოების სფეროში ძირითადად წარმოდგენილია ელექტრონიკა, ნახევარგამტა-  
რების და მონყობილობების წარმოება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება. საფი-  
ნანსო ბაზრებზე კი ხორციელდება ფასიანი ქაღალდებით და ვალუტით ვაჭრობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისათვის ქვეყანაში შეიქმნა სააგენტო – Spring, რო-  
მელიც ახდენს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის 100 სხვადასხვა პროგრამის შემუშავებას და მის შემ-  
დგომ რეალიზაციას. სააგენტო მუშაობს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: მცირე ბიზნესის სა-  
წარმოების საწარმოო პოტენციალის განვითარება; საწარმოებისათვის ბუღალტრული და ინფორმა-  
ციული დახმარების განწვევა; საწარმოებისათვის კონკრეტული დახმარების განწვევა, რომელიც მათი  
საქმიანობის სპეციფიკას ეხება; საქონლის სტანდარტიზაციის და ხარისხის პრობლემების გადაწყვე-  
ტა; მცირე ბიზნესის საწარმოების სტრუქტურის სრულყოფა; მცირე ბიზნესის მართვისათვის კად-  
რების მომზადება.

მცირე ბიზნესის საქმიანობად სინგაპურში გვევლინება საზოგადოებრივი მომსახურების სხვა-  
დასხვა სახეები: ვაჭრობა, ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ფინანსური ტურიზმი და სხვა. ეს სფეროები  
ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობის 80%-ს შეადგენს. სინგაპურელთა უმრავლესობა დაკავე-  
ბულია ინდივიდუალური სამენარმოო საქმიანობით – აბანდებენ ფულად რესურსებს სხვადასხვა  
კომპანიების აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში. ამიტომ სინგაპურში მოსახლეობის საშუალო  
ფენა შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 80%-ზე მეტს. განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლო-  
ბენ დამწყები მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ერთიანდებიან ერთ ჯგუფში, სადაც და-  
საქმებული მომუშავეების რაოდენობა არ აღემატება 200 კაცს. სინგაპურში დღეისათვის ფუნქციო-  
ნირებს 140 ათასზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტი.

სინგაპურის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ცდილობს გადაიქცეს გლობალურ  
საგანმანათლებლო ცენტრად, რისთვისაც მილიონობით დოლარი იხარჯება. სინგაპურის მთავრო-  
ბის მონაცემებით, ქვეყანაში 2013 წლისათვის 20000 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. სინგაპურის  
განათლების სისტემის მიზანია განავითაროს ადამიანის შესაძლებლობები ისე, რომ თვითეულ მათ-  
განს შეეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა ეკონომიკაში. სინგაპურში პოპულარულია სპეციალური  
კერძო სკოლები, სადაც ბავშვები ძირითადად პროფესიებს ეუფლებიან და ამ გზით ქვეყანაში მა-  
ღალკვალიფიციური კადრი მზადდება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა მორგებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარე-  
ბის ხელშეწყობაზე. სწორედ დაბალი საგადასახადო განაკვეთები და ძალიან მარტივი საგადასახადო  
სისტემა მიჩნეულია სინგაპურის მყარი ეკონომიკური ზრდის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად.  
სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი მშპ-ის მიმართ შეადგენს 14,3 პროცენტს (2008 წ.),  
რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ამავე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის  
ხარჯებმა მშპ-ის მიმართ შეადგინა 12,5%.

ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით (მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწი-  
ნებით) სინგაპურს მე-4 ადგილი უჭირავს მსოფლიოში, რაც მიღწეული იქნა კორუფციისაგან თავი-  
სუფალი გარემოს შექმნით, განათლებული და მოტივირებული სამუშაო ძალით, კარგად ჩამოყალი-  
ბებული იურიდიული და ბიზნეს გარემოთი, ლიბერალური ღია ეკონომიკით და საზოგადოების მშვი-  
დობინი თანაცხოვრებით, რაც საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ეფექტურად ინტეგრირების  
მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სახელმწიფო ინტერვენციების ნათელ მაგალითს წარმოადგენს სამხრეთ კორეა. კორეამ საკუ-  
თარი ინდუსტრიული პოლიტიკის დაფინანსებისთვის აირჩია არა მხოლოდ შიდა დანაზოგების

ზრდის პოლიტიკა, არამედ ასევე აქტიურად მოიზიდა უცხოური ინვესტიციები. სახელმწიფო ხელს უწყობდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას და თითოეულ სექტორში მცირე ბიზნესის დაჩქარებულ ზრდას. სახელმწიფო აქტიურად ეყრდნობოდა ისეთი მექანიზმების გამოყენებას, როგორცაა: შეღავათიანი სესხები მცირე საწარმოებისათვის, სტრატეგიული დარგების პროტექცია, ბაზარზე შესვლის რეგულირება, მცირე და საშუალო მენარმეთათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება და სხვა.

კორეაში 1962 წლიდან დაიწყო ეკონომიკური რეფორმა, ყურადღება ძირითადად მსუბუქ მრეწველობასა და მის მომიჯნავე დარგებში საექსპორტო პოტენციალზე იქნა გადატანილი, ხოლო შემდგომ პერიოდში აქცენტი გაკეთებული იქნა მძიმე მრეწველობაზე (მანქანათმშენებლობა, მეტალურგია). ფოლადის წარმოებით ქვეყანა მეორე ადგილზე გავიდა იაპონიის შემდეგ. გასული საუკუნის 80-იან წლებში კორეამ გეზი კვლავ შეინარჩუნა მძიმე მრეწველობის განვითარებაზე და ატომური ენერგეტიკის განვითარების წყალობით გაამაგრა ქვეყნის ენერგეტიკული ბაზა. იმავდროულად, ვითარდებოდა სამრეწველო „კორიდორი“ სეული-ჰუსანი, რომელმაც გაიარა გზა მსუბუქი და კვების მრეწველობიდან თანამედროვე მეცნიერებატევად მანქანათმშენებლობამდე.

21-ე საუკუნის მეორე ათწლეულიდან კორეაში სულ უფრო დინამიურად ვითარდება ისეთი მაკროეკონომიკური დარგები, როგორცაა: ელექტრონიკა, კომპიუტერების წარმოება, მიკროსქემების და სხვა თანამედროვე მოწყობილობების გამოშვება. აღნიშნული დარგების განვითარების კვალობაზე კორეაში სამრეწველო გიგანტების გვერდით დაჩქარებული ტემპით ხდება ახალი მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების ჩამოყალიბება. დღეისათვის კორეის მრეწველობაში მოქმედ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ხვედრით წილად მოდის 70%. ხოლო საექსპორტო პროდუქციის მთლიან მოცულობაში მცირე საწარმოთა წილად მოდის 65%. უკანასკნელ ათწლეულში სამხრეთ კორეის ხელისუფლება და სამთავრობო სტრუქტურები ახორციელებენ საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო პოლიტიკის დახვეწას, აღნიშნულის საფუძველზე მცირე ბიზნესის მიმართ თანდათან გაიზარდა საგადასახადო შეღავათები. სახელმწიფო, ეკონომიკის ლიბერალიზაციასთან ერთად, მცირე ფორმებს დიდ დახმარებს უწევს საგარეო ბაზრებზე გასასვლელად და საკუთარი ნაწარმის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ასევე ძალზე საინტერესოა „მეორე ტალღის“ ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, მათ შორის მალაიზიაში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხის შესწავლა. მალაიზია თანამედროვე მსოფლიოში ბევრი რამით არის გამორჩეული: იგი წარმოადგენს ასეანის გულს; მას შეუძლია აკონტროლოს ყველზე უმოკლესი გზა, რაც აკავშირებს ჩინეთს, იაპონიას და სამხრეთ კორეას აფრიკასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპასთან; მალაიზიამ ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა 1957 წელს მოიპოვა; დღეისათვის მალაიზია ინდუსტრიული სახელმწიფოა, რომელიც სწრაფად გადადის პოსტინდუსტრიულ ეტაპზე.

ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობის გათვლით, 2011 წლიდან 2015 წლის ჩათვლით ქვეყანა მაკროეკონომიკური მდგრადი ზრდის რიგში გადავა. ქვეყნის ინდუსტრიაში ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ელექტრონიკა, რომლის დიდი წილი მოდის ისეთ ბრენდებზე, როგორცაა: ინტელი, ტოშიბა, ალკატელი, მოტოროლა, ერიკსონი. აღნიშნული ბრენდების გვერდით, მალაიზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი მცირე და საშუალო ბიზნესი კაუჩუკის, მერქნის, კაკაოს, პილპილის და სანელებლების წარმოების სფეროში. მალაიზიის ეკონომიკაში 2012 წლისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოდგენილია 75%-ით. მალაიზია ამჟამად ფლობს მსოფლიო ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან მარაგებს. ამ რესურსებს სახელმწიფო კომპანია – პეტროსანი აკონტროლებს.

მალაიზიის ეკონომიკა 1997-1998 წლების კრიზისის შემდეგ მუდმივ ზრდას აფიქსირებს. მან ასევე ადვილად გადაიტანა 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი. ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისათვის და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის მთავრობა ახორციელებს მთელ რიგ ეკო-

ნომიკურ პროექტებს, რომელიც გულისხმობს ასევე ჩამორჩენილი რეგიონებისათვის მაპროფილებელი დარგების გამოვლენას და ამ დარგებში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას სუბსიდიების გამოყოფით, შეღავათიანი კრედიტების მიცემით, რათა დეპრესიულ რეგიონებში მცირე მენარმეებმა შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული სოციალური დაძაბულობა.

მალაიზიის მთავრობის ერთ-ერთი სტრატეგიაა უცხოური კაპიტალის მაქსიმალური მოზიდვა. ამ მიზნით ფუნქციონირებს საექსპორტო სანარმოო ზონები, სადაც უცხოელი მენარმეები სარგებლობენ ადმინისტრაციული და ფინანსური ხასიათის უპირატესობით და მათთვის ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული ტარიფებია. უმეტესად, ასეთი ზონები განლაგებულია აეროპორტებთან და ნავსადგურებთან. აღნიშვნის ღირსია გარემოება, რომ მალაიზიას უკვე უწოდებენ „აზიის მეხუთე ვეფხვს“. ქვეყნის ეკონომიკაში სექტორების მიხედვით 2014 წლისათვის სოფლის მეურნეობაზე მოდის -12%, მრეწველობაზე – 42%, მომსახურების სფეროზე -48%. დასაქმების კუთხით სოფლის მეურნეობაზე მოდის -13%, მრეწველობაზე -36%, მომსახურების სფეროზე -51%. მალაიზიის ექსპორტმა 2014 წლისათვის შეადგინა 258.7 მლრდ დოლარი, საექსპორტო პარტნიორები არიან: სინგაპური -13,4%, ჩინეთი -12,6%, იაპონია -10,6%, აშშ -10,5%, ტაილანდი -7,3%, ჰონკონგი -5,1%. უცხოურმა ინვესტიციებმა ქვეყნის შიგნით კი შეადგინა 84.6 მლრდ დოლარი.


შეიძლება დავასკვნათ, რომ აზიის რეგიონის ქვეყნების მცირე ბიზნესში მიმდინარე მოვლენები, განსხვავებული ფესვების მიუხედავად, ავლენს მსგავს ტენდენციებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აზიის რეგიონის ქვეყნებში მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოსთვის სამაგალითოდ და სისტემურად გასათვალისწინებელი და ღრმად შესასწავლია. ეგრეთწოდებულმა აზიურმა ფენომენმა ერთ დროს უღარბესი ქვეყნები უცხოური ინვესტიციების და ადგილობრივი ორიგინალური ნიჭიერების შეხამებით, სულ რაღაც ათიოდე წელიწადში, მოწინავეთა რიგებში დააყენა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. *Диярханов В.М.* Роль малого бизнеса в экономике Тайваня // МЭиМО. – 2000. – № 9. – С. 101-107.
2. Courtney P, APEC Forum Outlines Plan to Strengthen Role of SMEs // Tree Fue China Journal. 25.06.1999.
3. Fukuyama F. Social Capital and the Global Economy // Foreign Affaires.1995. Vol. 74, № 5.
4. Лебедева И. Особенности управления трудом на мелких и средних предприятиях Японии //Проблемы теории и практики управления.-2000. – № 6. С. 98-104.
5. *Yager J.A.* Transforming Agriculture in Taiwan: The Experience of the Joint Commission on Rural Reconstruction. L., 1988.
6. *Шiaoвцев СИ.* Рыночная модернизация в Восточной Азии: опыт Тайваня // Современный Тайвань. М: ИВ РАН, 1994.



# სოფლის მეურნეობა



ონერ ძაძუა



## ტყის ზოლების გავლენა ჰავასა და ნიადაგზე

ტყისა და ქარის ურთიერთგავლენა მეცნიერულად შესწავლილია და დამტკიცებულია, რომ ტყე ანელებს ქარის სიჩქარეს.

ტყის ქარშეკავებითი უნარი საფუძვლად დაედო მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების საქმეს.

ტყის ზოლების ქარშეკავებით ფუნქცია თავისთავად განაპირობებს დანარჩენ დაცვით ფუნქციებსაც, კერძოდ, მტვრიანი ქარების აღკვეთას, თოვლის საფარის დაკავებასა საავტომობილო გზებზე და ავტომაგისტრალზე მის თანაბარ განაწილებას სასოფლო დანიშნულების ფართობზე, ტენის შენარჩუნებას ნიადაგსა და ჰაერში, ტემპერატურის გაზომიერებას, ტრანსპირაციის შემცირებას და სხვა.

მიკროკლიმატზე ტყის ზოლების გავლენის შესწავლისას პირველ რიგში ყოველთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ როგორი უნდა იყოს საცავი ზოლი, რომ მისი გავლენა რაც შეიძლება სასარგებლო იყოს სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის.

კერძოდ, საჭიროა შემდეგი ძირითადი მომენტების დადგენა:

1. ზოლის განლაგება ქარის მიმართ;
2. მანძილი ზოლებს შორის;
3. ზოლის სიგანე;
4. ზოლის კონსტრუქცია.

ტყის ზოლი უკეთ იცავს ფართობს ქარისაგან იმ შემთხვევაში, როცა იგი გაბატონებული ქარის პერპენდიკულარულადაა განლაგებული.

დადგენილია აგრეთვე: რომ ზოლის გავლენა ქარზე მით უფრო შორ მანძილზე ვრცელდება, რაც მეტია ზოლის სიმაღლე.

არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, რაც ჩატარებულ მეცნიერულ გამოკვლევებს ემყარება, ეს მანძილი ზოლის სიმაღლის პირდაპირპროპორციულია. ზოლის მაქსიმალური გავლენა ქარზე ვრცელდება სიმაღლის ათმაგ მანძილზე, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ზოლი ქარზე თავისი სიმაღლის ოცმაგ მანძილზე, მაგალითად, თუ ზოლის სიმაღლე 10 მეტრია, იგი მაქსიმალურ ზეგავლენას მოახდენს ქარზე ამ სიმაღლის ათმაგ მანძილზე, ანუ  $10 \times 10 = 100$  მეტრი.

ტყის ზოლის სიგანე დამოკიდებულია ზოლში ხეების დარგვის სიხშირეზე, რაც მეტი რაოდენობითაა ზოლის გრძივ პროფილში გამჭვირვალე ადგილები, მით მეტი უნდა იყოს მისი სიგანე ქარზე ზემოქმედების გადიდებისათვის ზოლის სიგანის გაზრდას აზრი აქვს გარკვეულ ზღვარზე, უფრო ფართო ზოლის გაშენებით ქარს უფრო მეტ წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ, ამავე დროს იზრდება ზოლების გაშენების ხარჯები და აგრეთვე, სოფლის მეურნეობის კულტურისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი სიდიდის ფართობის დანაკარგებიც.

ტყის ზოლის კონსტრუქციაში იგულისხმება მისი ფორმა (სართულიანობა) და შინაგანი აღნაგობა, ზოლის ქარდაკავებითი უნარი დამოკიდებულია კონსტრუქციაზე. გამოკვლევების თანახმად, კლიმატზე მთავარ გავლენას ახდენს არა ქარის სიჩქარის შემცირება, არამედ ჰაერის არე-დარევის შემცირება; უფრო სწორად, ჰაერის ჰორიზონტალური მიმართულებით მოძრაობის სიჩქარის შემცირება უფრო ნაკლებად ზემოქმედებს მეტეოროლოგიურ პროცესებზე, ვიდრე ჰაერის უწესრიგო, გრიგალისებრი, ვერტიკალური მოძრაობის (ტურბულენტური მოძრაობის) შესუსტება.

ჰაერის ნაკადის გზაზე ტყის ზოლის ცხავისებრგამტარი კედლის დაყენებით გრიგალისებრი ნაკადი იშლება სუსტ ნაკადებად; გრიგალისებრი ნაკადის ასეთი დაშლა კი იწვევს ნადაგიდან აორთქლების შემცირებას, მცენარის ტრანსპირაციის პროცესის შენელებას, ნკლებად აიხვეტება თოვლი ფართობიდან, სუსტდება მტვრიანი ქარების გავლენა. (საავტომობილო გზები, ავტომავისტრალეები).

მსხვილი გრიგალისებრი ნაკადის დაქუცმაცებისათვის, მან უნდა გაიაროს ტყის ზოლში, ისე როგორც ცხავში, ამიტომ ტყის ზოლი აუცილებლად ქარგამტარი უნდა იყოს მთელ სიმაღლეზე, ნიადაგის პირიდან ხეების წვეროებამდე.

ტყის ზოლთან შეხვედრისას ქარის ნაკადის სიჩქარე მცირდება, იგი იცვლის მიმართულებას ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურისკენ, ნაკადის მეტი ნაწილი ზევიდან გადაეცლება ზოლს, კალთაზე გადაივლის, ზოლის შიგნით კი მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნაწილი გაივლის.

თუ ამ შემთხვევაში ზოლი ნაკლებქარგამტარია მასში გამავალი ნაკადის სიჩქარე მკვეთრად ეცემა, ჰაერის მეტი ნაწილი კალთის თავეზე გადაივლის და ზოლის მონინაალმდევე ნაპირთან ახლო დაეცემა. ამ შემთხვევაში სიმყუდროვის ზონაც მცირე მანძილზე ვრცელდება. ჰაერის ნაკადის ზოლის მეორე ნაპირიდან ახლო მანძილზე დაცემა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: საქარე მხრიდან ზოლზე დაწოლის გამო ჰაერის შეკუმშული მასა წარმოიქმნება, მონინაალმდევე მხარეზე კი ვინაიდან ნაკადი ზოლის შიგნით მცირედ გადის, პირიქით ჰაერის გაიშვიათება წარმოიქმნება.

კალთაზე გადავლილი გრიგალისებრი ნაკადიც სწორედ ამ გაიშვიათებულ არეში ეცემა ნიადაგისაკენ.

თუ ზოლი თხელია და ვინრო, ცხადია, მასში ჰაერის ნაკადის მეტი ნაწილი გაივლის, ამიტომ ქარის სიჩქარე და მიმართულება ნაკლებად შეიცვლება და ცხადია ასეთი ზოლი ეფექტს ვერ მოგვცემს. ქარის გატარების ხარისხის მიხედვით შეიძლება გვექონდეს სამი სახის (კონსტრუქციის) საცავი ტყის ზოლი: 1. ქარგამტარი, 2. ქარგაუმტარი ანუ ქარტეხადი და 3. აჭურული (ნახევრად ქარგამტარი).

ქარტეხადი კონსტრუქციის ტყის ზოლი წარმოადგენს მერქნიანი ჯიშის ისეთ შეთანწყობას, როცა ზოლში არაა ცარიელი, გამჭვირვალე სივრცეები, რის გამო ჰაერის ნაკადი მასში თითქმის ვერ გადის, საშუალო სიმძლავრის ქარის დროს მყუდროდაა მხოლოდ ზოლის შიგნით და ქარის მიმართულების მონინაალმდევე ნაპირთან. სრული შეფოთვლის შემდეგ ქარგაუმტარი ზოლი ნიადაგიდან ხის წვეროებამდე მთლიან მწვანე კედელს წარმოქმნის.

ქარგამტარი კონსტრუქციის ტყის ზოლი ხასიათდება მსხვილი გამჭვირვალე სივრცეებით. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ზოლში მარტო ერთი სუმაღლის ხეებია და ვარჯების ქვეშ არაა ბუჩქები ან მოზარდი. ამგვარი ზოლის კალთის ქვეშ ქარს მხოლოდ ხის ღეროები უწევს წინააღმდეგობას.

აჭურული კონსტრუქციის ტყის ზოლი ხასიათდება გრძივ პროფილზე თანაბრად განაწილებული გამჭვირვალე სივრცეებით, ასეთი ზოლი ჰაერის ნაკადის 50-6 %-ს ატარებს.

ამგვარად, ტყის ზოლის კონსტრუქცია გამოსახავს ქარის გატარების ხარისხს, კონსტრუქცია დამოკიდებულია ზოლის სიხშირეზე, სიგანეზე, სიმაღლეზე, ჯიშთა შემადგენლობაზე, სართულიანობაზე და სხვა.

ჩამოთვლილი სამი კონსტრუქციის ტყის ზოლის გავლენა ქარის სიჩქარეზე სხვადასხვა, ქარტეხადი ზოლის პირზე სრული მყუდროებაა, მაგრამ შემდეგ ქარის სიჩქარე მკვეთრად მატულობს.

აჭურული კონსტრუქციის ზოლის შემთხვევაში ნაპირთან მყუდროება ნაკლებადაა გამოსახული; დაახლოებით ზოლის სიმაღლის 3-ჯერად მანძილზე ქარის სიჩქარე ეცემ, შემდეგ ასეთივე ტემპით მატულობს დაახლოებით ზოლის სიმაღლის 6 ჯერად მანძილზე, საიდანაც სიჩქარის მატება შენელებულსა და თანაბარ ხასიათს ღებულობს.

ქარგამტარი ზოლის პირთან ქარის სიჩქარე უმნიშვნელოდაა შემცირებული, სიჩქარის ეს უმნიშვნელო შემცირება წარმოებს ზოლის სიმაღლის 6-7 ჯერად მანძილზე, რის შემდეგ სიჩქარე მატულობს.



ქარის სიჩქარეზე აჭურული ზოლის განხილული გავლენა ძალაში რჩება მაშინ, როცა ზოლი ქარის მიმართ 90° კუთხითაა განლაგებული, მაგრამ თუ აჭურული ზოლი გაბატონებული ქარის მიმართ გარკვეული კუთხითაა დახრილი, ცხადია ქარს ამ შემთხვევაში ზოლში მანძილის გავლა უხდება, რის გამო გამჭვირვალე სივრცეები მცირდება.

ასე განლაგებული აჭურული ზოლი დაახლოებით ქარგაუმტარი ზოლის თვისებას ამჟღავნებს.

აჭურული ზოლის შემთხვევაში ქარის სიჩქარის შენელების მინიმუმი მართალია ისე მკვეთრად არაა გამოსახული, როგორც ქარგაუმტარ ზოლში, სამაგიეროდ ვინაიდან ჰაერგაიშვიათებასთან არა გვაქვს საქმე მყუდრო ზონა შორ მანძილზე ვრცელდება და ცხადია ასეთი ზოლი გაცილებით უფრო სასარგებლოა.

რაც შეეხება ქარგამტარ ზოლს, იგი როგორც აღინიშნა ჰაერის ნაკადის უმნიშვნელო ნაწილს აკავებს და ამიტომ სარგებლობით აჭურულ ზოლს ვერ შეედრება, თუმცა გრიგალისებრ ნაკადს არ წარმოქმნის, მსგავსად ქარგაუმტარი ზოლისა და ამიტომ ამ უკანასკნელთან შედარებით შეიძლება უპირატესობა მას მიეცეს.

ვ. ბოდროვის მიხედვით მაქსიმალური სიმყუდროვის ზონას იძლევა ისეთი ზოლი, რომელიც ჰაერის ნაკადის ერთ მესამედს ატარებს.

ტყის ზოლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ აორთქლებაზეც, ზოლებს შორის არსებულ მინდვრებზე, სადაც ქარის სიჩქარე შემცირებულია და ჰაერის გრიგალისებრი მოძრაობა უფრო სუსტია, ნიადაგიდან უშუალო აორთქლებაც შემცირებულია, აქ ნიადაგში ტენი უკეთ ინახება, მისი არაპროდუქციული ხარჯვა 1/3-მდე მცირდება. დაუცველ ფართობზე კი ნიადაგის ტენის მეტი ნაწილი არაპროდუქციულად იხარჯება, ანუ იგი უშუალოდ ნიადაგიდან აორთქლდება.

დადგენილია, რომ ცენტრალური შავმიწის ნიადაგის ოლქების დაუცველ ღია მინდვრებზე ნიადაგის ტენის ორი მესამედი არაპროდუქციულად იხარჯება და მხოლოდ მისი ერთი მესამედი გამოიყენება სოფლის მეურნეობის კულტურის მიერ (პროდუქციული ხარჯვა).

გ. ბასოვის გამოკვლევების თანახმად, ზოლებს შორის ფართობებზე ნიადაგიდან აორთქლება 34 წლის მანძილზე თანდათან კლებულობს და ზოლის ზრდასთან ერთად და საბოლოოდ 50%-ით შემცირდა, რაც ნათლად ჩანს ცხრილიდან.

**ტყის ზოლების გავლენა აორთქლებაზე (ბასოვის მონაცემებით)**

დაკვირვების წლები	საშუალო აორთქლება ვილდით (%-ობით)	
	მაის-სექტემბრის განმავლობაში	წლის განმავლობაში
1894-1899 წ.წ.	726	872
1902-1903 წ.წ.	574	738
1918-1928 წ.წ.	390	497

ტყის ზოლები ამასთან ერთად ანელებენ ტრანსპირაციას, აზომიერებენ ტემპერატურის რეჟიმს, საგრძნობლად ამცირებენ ზაფხულის სიცხისა და შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის ყინვების მავნე გავლენას.

ქარის სიჩქარის შემცირების შედეგად ტყის ზოლები ზოლთაშორისებში აკავებენ წყლის ორთქლს, რომელიც მცენარეების ტრანსპირაციისა და ნიადაგიდან აორთქლებით წარმოიქმნება. ამის შედეგად ზოლთაშორის ფართობებზე ჰაერის აბსოლუტური ტენიანობა 1 მმ-ია, ხოლო ზოლის ახლოს კი 5 მმ-ით მეტია, ვიდრე დაუცველ ფართობზე. ფარდობითი ტენიანობა კი ზოლთაშორის ფართობზე 3%-5%-ით, ხოლო ზოლის ახლოს 10-12% მეტია, ვიდრე ღია დაუცველ ფართობზე. ვ. ბოდროვის მონაცემებით სალამოს საათებში ჰაერის ფარდობითი ტენიანობის სხვაობა ზოგჯერ 30%-მდეა.

ტყის ზოლების ზემოქმედებით ქარის სიჩქარისა და ჰაერის გრიგალისებრი ნაკადების შეზღუდვა დადებითად ვლინდება იმ მხრივაც, რომ ზოლებს შორის ფართობზე თოვლის ახვეტა არ წარმოებს, თოვლის საფარი გაზაფხულამდე ადგილზე რჩება და ნადნობი წყალი ნიადაგში ჩაიჭონება.

ვინაიდან ცალკეული კონსტრუქციის ზოლი ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე თავისებურ გავლენას ახდენს, ამასთან დაკავშირებით მათი გავლენა თოვლის საფარის განაწილებაზეც თავისებურია.

ქარგაუმტარ ზოლთან წარმოქმნილი გრიგალისებრი აღმავალი ნაკადი თოვლის მაღალ ფენას (ნამქერს) წარმოქმნის ზოლის წინ და თვით ზოლში. ზოლის მეორე მხარეზე თოვლის საფარი თქველ ფენად ძევს. (ამ კონსტრუქციის საცავი ზოლების გაშენება აუცილებელია მაგისტრალური გზების გასწვრივ ქარების მიმართულების პერპენდიკულარულად).

შედარებით თანაბრად ლაგდება თოვლი ქარგამტარი ზოლის შემთხვევაში, მაგრამ გაცილებით უფრო თანაბრად – აყურულ ზოლთან.

რაც უფრო მცირეა ზოლთაშორისი ფართობი, მით მეტი გროვდება მასზე თოვლი, კერძოდ, 100-ჰექტარიან მინდორზე თოვლი 14%-ით მეტია, ვიდრე ზოლებით დაუცველ ღია ველზე, 20-ჰექტარიან მინდორზე კი 32%-ით მეტი, ვიდრე ღია ველზე.

თოვლის განაწილება ფართობზე გარდა ზოლის კონსტრუქციისა სიგანის, სიმაღლისა და ზოლებს შორის მანძილისა, დამოკიდებულია აგრეთვე ქარის ძალაზე, ქარბუქის სიხშირეზე, თოვლის თავისებურებასა (მშრალი, სველი) და რაოდენობაზე.

იქ, სადაც დიდი რაოდენობით მოდის თოვლი, რომელიც ამავე დროს მშრალია და ფხვიერი, ზოლის გავლენა მის განაწილებაზე უფრო თვალსაჩინოა.

ღრმა და ფხვიერი თოვლის საფარი, მინდვრებზე ზოლებს შორის ნიადაგს იცავს გაცივებისაგან და მასში წყალი არ იყინება იმდენად ღრმად, როგორც დაუცველ ფართობზე, ველზე არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ტყეების ზონაში იანვარ-თებერვალში თოვლით დაფარული ნიადაგი 6<sup>0</sup>-ით უფრო თბილია, ვიდრე თოვლისაგან გაშიშვლებული ნიადაგი. ტყის ზოლები ახანგრძლივებენ თოვლის დნობას, რაც ხელს უწყობს ნიადაგში ტენის დაგროვებას.

ზოლებს შორის ქარის სიძლიერის შენელება და აგრეთვე იმის გამო, რომ ზოლებს შორის ნიადაგი უფრო ტენიანია, მცვრიანი ქარიშხლების წარმოქმნის შემთხვევები საგრძნობლად მცირდება.

საცავი ტყის ზოლები დადებით გავლენას ახდენენ გრუნტის წყლების რეჟიმზეც. გ. ბასოვის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ გაზაფხულის პერიოდში „კამენაია სტეპში“ ტყის ზოლების ქვეშ გრუნტის წყლების დონე მაღალი იყო, ვიდრე მინდორში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ტყის ზოლების გავლენა ნიადაგთწარმოქმნის პროცესებზე. ა. ბოიკოს გამოკვლევებით ტყის ზოლებს შორის ფართობებზე მატულობს ნეშომპალაში აზოტისა და მისი მოძრავი ფორმების რაოდენობა.

## საცავი ტყის ზოლების როლი მოსავლის გაცივების საქმეში

სოფლის მეურნეობის – სრულყოფილად მეცნიერული დაგეგმვა მაშინაა შესაძლებელი, როცა დაწვრილებით შესწავლილია ყოველი რაიონის თავისებურებანი, მისი ეკონომიკა, კლიმატი, ნიადაგები და სხვა ბუნებრივ-ისტორიული პირობები.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობებზე სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდის სერიოზულ ხელშემშლელ მოვლენად ითვლება გვალვები, ძლიერი ცხელი ქარები, უკიდურესი მაღალი და დაბალი ტემპერატურები, შემოდგომის ნაადრევი და გაზაფხულის წაყინვები.

ბუნების ეს მავნე მოვლენები საოჯახო მეურნეობები, ფერმერულ მეურნეობებსა კოოპერატივებშიც ამცირებს მოსავლიანობას. ამიტომ, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებებში, მაღალი მოსავლის მიღებისათვის მუშაობის პირობებში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ მოვლენებთან ბრძოლა.

გვალვა ატმოსფერული მოვლენაა. მცხუნვარე მზე და ხანგრძლივი უავდრობა – აი რა არის გვალვა, როცა ტენის უკმარისობის შედეგად მცენარე იღუპება.

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „ატმოსფერულს“ და „ნიადაგის“ გვალვას. „ატმოსფერული“ გვალვა ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ძლიერი შემცირების შედეგია, ამ დროს მკვეთრად დიდდება ტრანსპირაციის პროცესი. თუ ნიადაგში საკმარის რაოდენობითაა ტენი, მცენარე ჰაერის სიმშრალეს იტანს, მაგრამ ხანგრძლივი „ატმოსფერული“ გვალვა საბოლოოდ ნიადაგს აშრობს და რიგ შემთხვევაში მცენარის დაღუპვასაც.

გვალვების ზემოქმედება მცენარეზე განსაკუთრებით საზიანოა ყვავილობიდან ნაყოფის გამონასკვამდე, როცა მოსავალი მკვეთრად ეცემა და ამვე დროს მნიშვნელოვნად უარესდება მისი ხარისხი.

გვალვები დამახასიათებელია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მთელი ტერიტორიისათვის, უკიდურესი ჩრდილოეთის გარდა.

იშვიათად გვალვას ისეთი მხარეების ტერიტორიაც მოუცავს, როგორცაა კარელია-ფინეთის, ფსკოვის, ლენინგრადის, ნოვგოროდისა და მოსკოვის ოლქები.

გვალვიანი წლების რიცხვი კანონზომიერად იზრდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. შუა აზიის რესპუბლიკების ვაკეზე თითქმის ყოველწლიურად გვალვები იხილება.

გვალვიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მშრალი, ცხელი ქარები; თუმცა ასეთი ქარები გამორიცხული არ არის ზოგიერთი არაგვალვიანი რაიონებისათვისაც. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისისა და ზემო იმერეთის რაიონების ტერიტორიაზე ხშირად მეორდება ცხელი ქარები, ზამთარში და ადრე გაზაფხულზე აქ ფიონი, ანუ ადგილობრივი სახელწოდებით ზენა ქარი, სწრაფად აღნობს თოვს და აშრობს ნიადაგს იმდენად, რომ ზენა-თესვის წარმოება ძნელდება.

ზაფხულში ქუთაისის რაიონში ზენა ქარის დროს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ხშირად ეცემა 10%-ზე ქვემოთაც კი და თუ ქარი არ შეწყდა, ერთი კვირის განმავლობაში, იმერეთის ტერიტორიაზე არსებულ მცენარეულობას საგრძნობ ზიანს აყენებს, აშრობს, შუშავს და უდროოდ აცვენს ძვირფასი კულტურების ფოთოლსა და ყვავილს, ნასკვსა და ნაყოფს, იწვევს ნაყოფიერების მექანიკურ დაზიანებას, რითაც მოსავლის ხარისხი ეცემა, ქუთაისის შემოგარენში ცხელი ქარიანი დღეების რიცხვი საშუალოდ 100 დღემდე აღწევს წელიწადში.

მზესუმზირას ან სიმინდის ერთი ძირი ზაფხულის განმავლობაში აორთქლებს 200-250 კილოგრამ წყალს, ზოგჯერ 500-მდე კილოგრამსაც.

ფოტოსინთეზის პროცესისათვის ორგანული ნივთიერების ყოველი 1 გრამის (მშრალი) შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ 0,5 გრამი წყალი ანუ 600-ჯერ ნაკლები, ვიდრე ის ნამდვილად აორთქლებს.

ტენი მცენარისათვის აუცილებელია მისი ქსოვილების დრეკადობისათვის (ტურგორი), რაც მას ქარისადმი გამძლეობის უნარს მატებს და წყალი აგრეთვე აუცილებელია საკვები ნივთიერებების გადასამოძრავებლად მცენარის ორგანიზმში.

მცენარის სასიცოცხლო პროცესისათვის საჭიროა წყალი მის მიერ ნიადაგიდან მიღებული წყლის საერთო რაოდენობის მხოლოდ 1-0,2%-მდე შეადგენს.

მცენარის მიერ წყლის ასეთი არარაციონალური ხარჯვა აიხსნება არა ფიზიოლოგიური საჭიროებით, რამედ გარემოს გარემოს ფიზიკური თავისებურებებით.

მშრალ და ცხელ ამინდში მცენარეში ძლიერდება აორთქლების პროცესი, რაც მცენარეს გადახურებისა და დაღუპვისაგან იცავს.

ატმოსფეროს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა თითქმის არასოდეს არ აღწევს 100%-მდე (წყლის ორთქლით სრული გაჯერება) და ამიტომ ჰაერი მცენარეს ენერგიულად ართმევს ტენს, ამავდროულად დროს ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი წყლის ორთქლია საჭირო

ჰაერის გასაფლენთად, ანუ ტემპერატურის მომატება ამცირებს ფარდობით ტენიანობას, ამის შედეგად ჰაერი მცენარეს კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ართმევს ტენს.

თუ წყლის ასეთი დაკარგვის კომპენსაცია, ნიადაგში წყლის სიმცირის შედეგად ძნელდება, მცენარეს გაძლიერებული ტრანსპირაციის გამო დიდი სიძნელის გადალახვა უხდება, როცა გვალვა ხანმოკლეა მცენარე არ ილუპება, მაგრამ იგი სუსტდება, ნელა იზრდება და წვიმის მოსვლის შემდეგ კი ძნელად უბრუნდება ნორმალურ ზრდას, მაგრამ როცა გვალვა ხანმოკლეა, მცენარე დაბეჩავებიდან თანდათან ჭკნობაში გადადის და ბოლოს ილუპება.

წლის დროის მიხედვით არჩევენ, გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის გვალვებს.

გაზაფხულის (აპრილი, მაისი) გვალვები ემთხვევა პურეული კულტურების დათვალიერების სანყისს. ამ დროს გვალვა მცენარის ზრდა-განვითარებას აჩერებს, მაგრამ წვიმების მოსვლის შემთხვევაში (მაისის ბოლოს) მას კიდევ შეუძლია გამოსწორება.

ზაფხულის გვალვები მნიშვნელოვნად ამცირებენ ნაადრევი კულტურების მოსავალს და აჩერებენ გვიანი კულტურების ზრდა-განვითარებას.

შემოდგომის გვალვების შედეგად შეიძლება დაზიანდეს ამ დროს ნათესი კულტურები.

ზოგჯერ ასეც ხდება: ამწვანებულია ნათესები, პურეული კულტურები დათავთავიანებულეზბია, მაგრამ ცხელი და მშრალი ქარის შედეგად ხმება ფოთლები, თავს ხრიან თავთავები, რაც ნიშნავს, რომ მარცვალი ფშუტე იქნება.

ტყის ზოლების დაცულ ფართობებზე მიკროკლიმატისა და ნიადაგობრივი პირობების გაუმჯობესება, თოვლის საფარის შენარჩუნება და ფართობზე თანაბარი განაწილება განაპირობებს სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდას, რაც უამრავი ფაქტიური მონაცემებით დასტურდება.

ს. მაგალობლიშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით 1934 წელს მაისის პირველ დეკადაში წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ქარის სიჩქარე ზოგჯერ აღწევდა 25 მეტრს წამში, რასაც დაუცველ ფართობებზე ჩაის ნორჩი დუყები და ფოთლები საგრძნობლად დაუზიანებია.

ჩაის ფოთლის პირველი კრეფის პერიოდში მოსავლის 75% დაილუპა, ხოლო რაც მოიკრიფა, მხოლოდ და მხოლოდ, მესამე ხარისხისა იყო.

მშრალი და ცხელი ქარები სწრაფად აუხეშებენ ჩაის ახალგაზრდა დუყებს.

ს. ამგალობლიშვილის მონაცემებით საცავი ტყის ზოლები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ჩაის ბუჩქზე ახალგაზრდა ყლორტების განვითარებისათვის და ასკვნის, დაუცველი ბუჩქების მოსავალთან შედარებით ტყის ზოლებით დაცული ბუჩქების მოსავალი საგრძნობლად იზრდება.

საცავი ტყის ზოლების მოსავალზე დადებითი გავლენის ძვირფასი მონაცემები აქვს მიღებული ვ. მირზაშვილს. მის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ზოლით დაცულ ფართობზე დაუცველთან შედარებით სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის შექმნილია გაცილებით ხელსაყრელი პირობები, რის გამო მკვეთრად იზრდება მოსავლიანობა, კერძოდ, ჩაის ბუჩქის ყლორტის საშუალო სიგრძე მეტია 36%-ით; ერთიორად და მეტადაა აცილებული კვირტების გაყრუება, ფოთლის წვა და ფოთოლცვენა; ჩაის ფოთლის მოსავლის ზრდა 25%(ოჩხამური) – 45% (წულუკიძე) აღწევს, 8-15% იზრდება ფოთლის ხარისხი.

საინტერესოა ვ. მირზაშვილის მონაცემები ქართლის რაიონების საცავი ზოლების შესახებ. ამ მონაცემებით ზოლიდან ამ უკანასკნელის 10-12 ჯერად მანძილზე მოსავლის მაჩვენებლები მაღალია, შემდეგ კი მოსავლის მაჩვენებლები თანდათან მცირდება და ზოლის სიმაღლის 15-20 ჯერად მანძილზე საშუალო მაჩვენებლებს უახლოვდება ზოლიდან ამაზე უფრო შორ მანძილზე მოსავლის მაჩვენებლები დაბალი მოსავლიანობის დონემდე ჩამოდის (ხეხილის ბაღებში).

ასეთი სხვაობა დაცული და დაუცველი კულტურების მოსავლიანობებს შორის მიღებულია სარწყავ ფართობებზე, კიდევ უფრო მკვეთრია სხვაობა მოსალოდნელი ურწყავ ფართობებზე.

პ. ვადაჭკორიას მონაცემებით ზოლებით დაუცველ ფართობზე ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი ქარის გავლენით მანდარიინის ხეს ქარის მხრიდან დაუკარგავს ფოთლების 90% და ზლიერ და-

ზიანებია ტოტები და ყლორტები, ამავე მხარეზე ხეზე შერჩენილა ნაყოფის მხოლოდ 36%, ქარის სა-  
ნინაალმდეგო მხარეზე კი 64%.



ამავე გამოკვლევებით ზოლებით დაცულ მანდარინის ხეებზე მოუკრეფიათ საშუალოდ 613 ნა-  
ყოფი, ხოლო დაუცველ ხეებზე – 383 ნაყოფი.

კ. თარგამაძისა და ლ. ფარჯნაძის ცნობით 1950 წელს ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში ტყის  
ზოლების ზეგავლენით ზამთრის დიდ ყინვებს გადაურჩა მანდარინის ნარგავების მნიშვნელოვანი ნა-  
წილი, ამავე დროს ზოლების დადებითი ზეგავლენით საგრძნობლად გაიზარდა მოსავალი დაუცველ  
ფართობზე გახმობისაგან გადარჩენილს ნაყოფი სრულიად არ ესხა. დაცულ ფართობზე კი ერთ ძირ  
მანდარინზე საშუალოდ შენარჩუნებული იყო 400-500 ცალი ნაყოფი.

ტყის ზოლების გავლენა დიდია სათიბებზეც.

ვოლგოგრადის ოლქის ნაევარუდაბნოს ზონაში დაცვითი ტყის ზოლების გავლენით მრავალ-  
წლიანი ბალახების მოსავლიანობის ზრდა, იმის მიხედვით თუ რა ხნოვანებისაა ზოლი, 58-130%-ია  
(ეუიტიგენი).

ტყის ზოლების დადებით შედეგებზე მიგვითითებს საზღვრგარეთ ჩატარებული გამოკვლევე-  
ბით მიღებული ცნობებიც.

ამერიკის შეერთებული შტატების მინათმოქმედების დეპარტამენტის 1949 წლის ანგარიშის მი-  
ხედვით ერთმწკრივიანი ზოლით დაცული მინდორი იძლევა მოსავლის იმდენ სუფთა ნამატს, რამდე-  
ნიც მოდის ისეთ ფართობზე, რომლის სიგრძე ზოლის სიგრძის ტოლია, სიგანე კი ზოლის სიმაღლისა  
(ხორბალი).

ოკლახომსა და ტეხასში (ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატები) 8 უბანზე ჩატარებული გამოკ-  
ვლევების მიხედვით ბამბის მოსავალი ზოლის 5 ჯერადი სიმაღლის მანძილზე (ზოლიდან) გაზრდილა  
17,4%-ით, ხოლო სიმაღლის 5-დან 10 ჯერად მანძილზე კი 7,9%-ით, საკონტროლო (დაუცველი)  
ფართობის მოსავალთან შედარებით.

დაცვითი ტყის ზოლების დადებითი გავლენა მოსავლიანობის ზრდაზე უფრო ეფექტურად  
ვლინდება მაღალი მონინავე აგროტექნიკის გამოყენების პირობებში.



# ნორჩი ათინათელები



## წინასიტყვაობა

შუა საუკუნეების დიდი ქართველი ჰუმანისტი პოეტის, შოთა რუსთაველის, საიუბილეო – 850-ე წელია... მისი „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის უკვდავი საგალობელია...

რუსთაველის ეპოქას საუკუნეებითა დაშორებული, ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, მისი ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა“, უდიადეს გრძნობას უმღერის...

ჩვენი ხმამალალი ფიქრები მცდელობაა ამ ორი პოეტის შემოქმედების გათავისებისა და მასთან მოკრძალებული მიახლოებისა...

ირაკლი ჯიგანია, ლუკა შედანია

### ირაკლი ჯიგანია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის

მე-11 კლასი



### „სიყვარულო ძელსა შენსა“

სიყვარული იმაზე მეტია, ვიდრე ფიქრობ, ვიდრე სუნთქავ... როცა გიყვარს, დილით, გამოღვიძებულს, ამინდიც სხვაგვარი გგონია... მასზე ოცნებობ, მის სულიერ სიახლოვეს გრძნობ, მერე წარმოსახვას უთმობ ადგილს... თითქოს, მისი გულის ფეთქვას გრძნობ, მისი ნაბიჯების ხმა გესმის... რეალობას უბრუნდები და ხვდები, რომ გიყვარს და ჩვენ, ადამიანებს, მეოცნებებს, რამდენიმე განზომილებაში გვინევს ყოფნა...

უცნაურია, გიყვარდეს და ვერ გამოხატო, ვერ გაბედო იმის თქმა, რომ ღმერთი სიყვარულია და ის თანაბრად გვინანილებს თავის ჯადოსნურ სხივებს... ეს დამაბნეველია, ვერ აგიხსნია, როგორ სცემ თაყვანს სა-

თუთ არსებას, ამიტომ შენი მაღალი გრძნობებისა არავის სჯერა და ისლა დაგრჩენია, ყოველივე ბედს მიანდო...

მე დღეს ვწერ სიყვარულზე, ხვალაც გავიხსენებ და შემდეგაც, რადგანაც ის მარადიულია... მჯერა ამ გრძნობის უკვდავებისა და იმისა, რომ ჩვენ ვუყვარვართ უფალს და ტრფობის ძალას ჩვენშიც განასხეულებს და მის მარადიულობას შეგვაგრძნობინებს...

### ლუკა შედანია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის

მე-11 კლასი



### „სიყვარული აღგვამალებს“

სიყვარული ცხოვრების გვირგვინია, სწრაფვაა სრულყოფილებისა და სიმშვიდისაკენ... ის მრავალგვარია, უფლის, სამშობლოს, დედაშვილური, ქალ-ვაჟისა და სამყაროში არსებული ყოველი კეთილი საქმისა...ოდითგანვე წერდნენ ამ დიად გრძნობაზე, თაყვანს სცემდნენ მას...

გენიალური შოთა რუსთაველი თავის უკვდავ შედევრში, პოემა „ვეფხისტყაოსანში“, მიჯნურობას ღვთისგან ბოძებულს უწოდებს, გვმოდვრავს, რომ მას უნდა მოვუფროთხილდეთ, დავაფასოთ და გულის სიღრმეში შევინახოთ...ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმით, ამ გრძნობას შეუძლია მე-

ფე ყმად აქციოს, დაიმორჩილოს ყველა: ერი, ბერი, მეფე, ყმა... დიდებული გალაკტიონისთვის: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“...

სიყვარულისთვის არაფერია შეუძლებელი, მისი ძალმოსილება უსაზღვროა და მის სამფლობელოში სინმინდე სუფევს...

**მარიამ გვარამიანი,**

ქ. რუსთავის №24 გიმნაზია,  
მეთხუთსე კლასის მოსწავლე.



### ცისარცყელა

წვიმა შეწყდა!  
წკაპა... წკუპა!  
დაგვიტოვა ტბორები!  
ცისარცყელა შრავალ ფერი  
ცისარცყელა  
გადმოგვემხო  
თავზე...

### ნედინჯლის დროები



გაზაფხული პირველია,  
ზაფხული კი მეორე,  
შემოდგომა მესამეა,  
ზამთარი კი მეოთხე.  
მიყვარს ზამთრის ცივი სუსხი  
თოვლის ფთილა ნამქერი  
ციდან ცვივა ფიფქები  
ვითომ იყვნენ ელფები.

გაზაფხულმა ხე შემოსა  
მწვანე, მწვანე კაბებით  
აქეთ-იქით ჩაუბნია  
ჭრელა-ჭრულა ბანტები  
ზაფხულში კი გაიზარდა  
კვირტები და ნაყოფი  
ზაფხულსა და შემოდგომით  
გვიმწიფდება ნაყოფი.

### ლელიკო

დედი მალე წვიმა მოვა  
 შევიბრალოთ ჩქარა-ჩქარა  
 მთელი: ჩიტო, მწერები  
 თორემ  
 ქარბუქს მიეცემა  
 მთელი: ჩიტო, მწერები  
 დედამ მიიხრა: ჩქარა-ჩქარა  
 გავემართეთ ეზოში.

### დედი

დე, შენ ხარ ჩემი  
 მუზა.  
 ჩემი დედა  
 დედა ენა  
 დე, უშენოდ  
 ჩემი გული  
 არ იქნება  
 მთელი გული!



ყველა ერთად შევიბრალოთ  
 მთელ: ჩიტო, მწერები.  
 შევიყვანეთ სახლში  
 მერე ჩქარა წვიმა შეწყდა  
 გამოგუშვიტ გარეთ მთელი  
 ჩიტო, მწერები  
 და ყველა ერთად.

### წვიმა...

წვიმა...  
 წვიმა...  
 წკაპ-წკუპ... წკაპ-წკუპ...  
 ისე ძლიერ წვიმს!  
 ისე ძლიერ ქრის!  
 მე და ტასოს გვიხარია...  
 გვიხარია...  
 ისე ძლიერ გვიხარია...  
 წკაპ-წკუპ... წკაპ-წკუპ...

### დედი

დედი ჩემო ტკბილო  
 მეგობარო  
 დე უშენოდ ჩემი  
 გული  
 არ იქნება მთელი გული.





## მიღობვა

სერგი ლომაძე



გიორგი ბეჟიტაშვილი – 50

ორმოცდაათი წელი შეუსრულდა გიორგი ბეჟიტაშვილს-ჩვენი აკადემიის ერთ-ერთ გამორჩეულ ადამიანს, და აბა ქალბატონი გულნაზი აღუნიშნავად როგორ გაუშვებდა ხელიდან ასეთ მრგვალსა და ლამაზ თარიღს! ამიტომაც სასწრაფოდ შევიკრიბეთ აკადემიური სამეული, რომელთაგან პირველი ყოველთვის გულნაზ ხარაიშვილია (პრეზიდენტი), შემდეგ კი ხან მე მასახელებენ, ხანაც კახას...

დაძაბული, ტალღოვანი წელიწადი იყო ეს-ორიათასთექვსმეტი: იქით არჩევნები, აქეთ საღამოები, ორი კონცერტი და წიგნი („ოცდაცამეტი“ რომ ეწოდება), და აკადემიის სამეულისა არ იყოს, „ზღვარის“ სამეულიც (კახა, ზუხბა, მე) ბევრს ვმუშაობდით. ყველაფერი კარგად, მაგრამ ბრძოლით გაკეთდა. ეს იუბილე კი, აკადემიური, უფრო განტვირთვასავით იყო-მსუბუქად, ლაღად,

ლამაზად ჩატარდა საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დარბაზში ( მე მას ლურჯ დარბაზს ვუწოდებ ხოლმე). პრეზიდენტი, ბატონ გიორგისთან ერთად, მე, კახა და გულნაზი ვისხედით, ქალბატონ გულნაზს კი მიჰყავდა კიდეც მთელი საღამო, წამყვანიც და მთავარი დირიჟორიც ის იყო. დარბაზში დიდებული საზოგადოება შეიკრიბა (თუნდაც მარტო ნუგზარ ნადარაიასა და ლუარა სორდიას დასახელება რად ღირს!), ხოლო საღამო, მუსიკალურად, მართლაც შესანიშნავად გააფორმა შალვა ილურიძის ფოლჯგუფმა.



ბატონი გიორგი მრავალმხრივი პროცენტაა, ათუმცა აღიარება, მას, მაინც სამხედრო ისტორიკოსობამ და ამ დარგში შექმნილმა ნაშრომებმა მოუტანა.

საერთოდ, ქართული სამხედრო ისტორია მრავალ სახელგანთქმულ მთავარსარდალს ითვლიდა და ითვლის, თუმცა მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეში, წაგებული ომების გამო, ამ დარგის ზოგმა აღმაცერად დაუნყო ყურება. მათ დაავინყდათ, რომ საქართველო, ომებს, ძირითადად, მსოფლიოიმპერიებთან აგებდა და აგებს, იმ იმპერიებთან, რომელთაც ომს ვერც კი უბერავდა სხვები, ჩვენმა პანია ქვეყანამ კი წარსულში არაერთი მძიმე მარცხიც მიაყენა მათ, ხოლო ახალ დროში... ახალი ხანა ტექნიკის დროა, ტექნიკის წარმოებას ან შექმნას დიდი სახსრები სჭირდება, ეს პატარა, ღარიბ ერს არ გააჩნია. აი, ძირითადად, სწორედ ამიტომ ვაგებთ, თორემ გმირები როგორც ადრე გვყავდა, ისე გვყავს მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეებშიც. ვიმეორებ-ჩვენ მსოფლიო იმპერიებმა გაგვტყუა, დაგვასუსტა აგრერიგად, რომ დღეს ზოგი სხვაც გაგვეამაყება ხანდახან, თორემ თანაბარ ომში ქართველი ძლიერია, უთანასწორო ომშიც კი, სადაც ის უმცირესობაშია, მაინც ამბობს ხოლმე თავის სათქმელს.

და აი, არაერთ ნაშრომში წამოსწიეს წინა პლანზე ბატონმა გიორგიმ და მისმა თანამოაზრეებმა ბოლო დროების წარმატებული სამხედრონი. ძირითადი აქცენტი, მაინც, მეოცე საუკუნეზე გაკეთდა. ამით გიორგი ბეჭიტაშვილმა ყველას დაანახა უძლეველობა ქართული სულისა, მარადპოეტურობა, უკვდავება მისი. მოკლედ, ჩვენმა გიორგიმ, ამ დიდმა კაცმა (რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, აკადემიის სწავლული მდივანიც არის), ფასდაუდებელი, ისტორიული საქმე გააკეთა. ხოლო რადგანაც ჩვენი აკადემია, დღესდღეობით, ყველაზე უფრო აქტიური ორგანიზაციაა ქართულ კულტურაში, შეუძლებლად მივიჩნიეთ რომ აღუნიშნავად დაგვეტოვებინა ასეთი კაცის საიუბილეო თარიღი.



ნოემბრის მიწურულს იმ დღეს ბევრი გამოვიდა სცენაზე, მათ შორის იყო ქალბატონი ნელი ქველაძე. ეგ გახლდათ მისი საუკეთესო გამოსვლა . მან საკმაოდ მოკლედ, თან კი მთელი სისრულით განიხილა ბატონი გიორგის სამხედრო წიგნი-ნაშრომი, დიდი ცნობარი, რომელსაც, თან, შესანიშნავი სურათები ერთვის. დამამახსოვრდა, ასევე, ჩვენი კახას, ქალბატონი გულნაზის, ბატონი ნუგზარის, ქალბატონი ლუარას და სხვათა გამოსვლები. მეც გამოვედი სიტყვით. მუსიკალურად კი შალვას ანსამბლი ბრწყინავდა, თუმცა აქვე აუცილებლად უნდა დავასახელოთ ბავშვთა საოცარი ჯგუფი, რომელსაც ერთი ახალგაზრდა უძღვებოდა. სამწუხაროდ, სხვა ინფორმაცია, მათზე, არა მაქვს. არც იმ სვან ჭაბუკს ვიცნობ, ფანდურის თანხლებით ორი

სიმღერა რომ შეასრულა და დიდად მოხიბლა დარბაზი. იგი დუეტში მღეროდა ერთ კაცთან ერთად, რომელსაც ასევე შესანიშნავი ხმა ჰქონდა. იმედია, ამ ადამიანების შესახებ ქალბატონი გულნაზი მოაგროვებს ინფორმაციას და ან დანართის სახით დაუმატებს ჩემს სტატიას, ან სხვაგან სადმე დანერს....

მოკლედ, მთლიანობაში უაღრესად წარმატებული საღამო გამოვიდა. სხვათა შორის, ბატონი გიორგი იმითაც ბედნიერი უნდა იყოს, რომ მისი იუბილე დაემთხვა იუბილეს უპირველესი ქართველის-შოთა რუსთაველისა. ხომარსებობენ მეფენი, უკვდავი მეფენი, მაგრამ ამ უპირველესთა შორისაც კი ნამდვილი მეფე-ღმერთი სწორედ რომ იესოა და რუსთველი-ქართველი ქრისტე, იუნესკომ რომ ეს წელი მის წლად გამოაცხადა (თუმცა თითქმის ოცდახუთ წელს გაჭირვებაში მცხოვრებმა ერმა და მისმა ხელისუფლებამ ვერ გააცნობიერა მნიშვნელობა ამ ამბისა, ამიტომ საპარლამენტო არჩევნების ნიშნით უფრო ნავიდა წელიწადი, ვიდრე რუსთველური ნიშნით. აქედანაც არის, მგონი, ღარიბული, შეჭირვებული მდგომარეობა ხელოვანთა). დიახ, რუსთველურია, სინამდვილეში, წელი ორიათასთექვსმეტი, და ეს რა ბედი დაჰყოლია ბატონ გიორგის, რომ სწორედ ამ წელს, პოეტური სინათლის, სიდიადის ამ წელს შეუსრულდა ასეთი ლამაზი თარიღი-ორმოცდაათი წელი ცხოვრებისა! რვაასორმოცდაათი თუ ცხრაასი წლის რუსთველი ალბათ ღიმილით დაჰყურებს, უკვდავებიდან, ორმოცდაათი წლის ქართველს, მისი სულის თანამგზავრს-შოთაც ხომ დიდად აღეტაცებინა სამხედრო ხელოვნებას, და ეს მის „ვეფხისტყაოსანში“ შესანიშნავად ჩანს....

ბატონო გიორგი, კიდევ ერთხელ, მთელი სულით და გულით მოგილოცავ, სრული აკადემიის სახელით, იუბილეს, და გისურვებ უსასრულო წარმატებებს ცხოვრების გზებზე!...

თბილისი. 2016 წელი. ნოემბერი.

წ. კონი სიმონი პოეტისად!

ღირსი ქრისტეწიერი და დიდად მოხიბლული დარბაზი, 2016 წლის ნოემბრის ავიან. თქვენი შექმნილი ამ წყევლის ამბობის 50 წელი, მხნე დაუცხადი სიჭაბუქის დახმარებით და დახმარებით მუშაობის შემთხვევითი დახმარებით ყველაფერში.

ქალბატონი ბატონი ნათელა სიმონი:  
დავამჯობო ნათელას და დანართის დაუცხადი  
სიმონი და დანართის დახმარებით

დახმარებით დახმარებით  
დახმარებით დახმარებით დახმარებით, ნათელა-  
სიმონი, დახმარებით.

წ. კონი, სიმონი დახმარებით  
დახმარებით.

2016 წელი 28 ნოემბერი

Ենթադրելով, որ հարցը վերաբերում է Երևանի մարզպետարանի կողմից 2016 թվականի մայիսի 25-ին կատարված ընտրության արդյունքների հետևանքով ընտրված և օրինակաբար ընտրված անհատների հարցերի, ապա հարցը պարզապես անհասկանալի է և անհնար է պատասխանել:

Միևնույն ժամանակահատվածում Երևանի մարզպետարանի կողմից 2016 թվականի մայիսի 25-ին կատարված ընտրության արդյունքների հետևանքով ընտրված և օրինակաբար ընտրված անհատների հարցերի, ապա հարցը պարզապես անհասկանալի է և անհնար է պատասխանել:

Ներկայումս Երևանի մարզպետարանի կողմից 2016 թվականի մայիսի 25-ին կատարված ընտրության արդյունքների հետևանքով ընտրված և օրինակաբար ընտրված անհատների հարցերի, ապա հարցը պարզապես անհասկանալի է և անհնար է պատասխանել:

Երևանի մարզպետարանի կողմից 2016 թվականի մայիսի 25-ին կատարված ընտրության արդյունքների հետևանքով ընտրված և օրինակաբար ընտրված անհատների հարցերի, ապա հարցը պարզապես անհասկանալի է և անհնար է պատասխանել:

Երևանի մարզպետարանի կողմից 2016 թվականի մայիսի 25-ին կատարված ընտրության արդյունքների հետևանքով ընտրված և օրինակաբար ընտրված անհատների հարցերի, ապա հարցը պարզապես անհասկանալի է և անհնար է պատասխանել:

Հարցը վերաբերում է Երևանի մարզպետարանի կողմից 2016 թվականի մայիսի 25-ին կատարված ընտրության արդյունքների հետևանքով ընտրված և օրինակաբար ընտրված անհատների հարցերի, ապա հարցը պարզապես անհասկանալի է և անհնար է պատասխանել:

2016 թվական, 25 մայիսի 25-ին.  
Երևան:

ნელი ქველაძე

### წიგნი მარადიული ხსონისა და სიყოცხისა

უხსოვარი დროიდან გამოვიდა ქართველი ხალხი ისტორიის ასპარეზზე და დღემდე მან კულტურული ცხოვრების დიდი გზა განვლო და შექმნა მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია, ისტორია ქართველი ხალხისა და არსებობისათვის გმირული ბრძოლებით აღსავსე. საბედნიეროდ ქართული ფენომენი ნიადაგ თავისუფლებისაკენ მიისწრაფვოდა და დღემდე ვერც ერთმა მტერმა ვერ შეძლო ჩვენი ხალხის გატეხვა, დაჩოქება... ყოველი ძნელბედობისა და უამიანობის დროს უფალი არ გვტოვებდა და მოგვივლენდა ხოლმე სამშობლო მიწის მამაც მებრძოლებს, რომლებსაც საკუთარი სიცოცხლე უშურველად მიჰქონდათ მამულის სამსხვერპლოზე.

საქართველოს ისტორია აღსავსეა იმ გმირთა საამაყო და საფიცარი სახელებით, რომლებიც ხმლითა, თუ კალმით სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდნენ ჩვენს სამშობლოს.

ყოველ ეპოქაში გვყავდა მემატიაწი-ისტორიკოსები, რომლებიც გულმოდგინედ აღწერდნენ ხოლმე ქვეყნის მდგომარეობას და მის დამცველ მხედართა საბრძოლო ეპიზოდებს, რათა მომავალი თაობებისათვის დაეტოვებინათ ცხოვრებაში სამაგალითოდ გამოსაყენებლად და მათი სახელების უკვდავსაყოფად.



ასეთი პატრიოტები ყოველთვის გვყავდა და საბედნიეროდ ახლაც გვყავს.

ამის ბრწყინვალე მაგალითია ეს დიდებული წიგნიც, გამოჩენილი სამხედრო ისტორიკოსების ბატონი მამუკა გოგიტიძისა და ბატონი გიორგი ბეჭიტაშვილისა “სამხედრო ფიცის ერთგულნი”, რომელიც სიმბოლურად კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველაზე წმინდათა-წმინდა სამშობლოსა და მის გმირ დამცველთა საბრძოლო ისტორია განუყოფელია.

წიგნის ყოველმა წამკითხველმა შეუძლებელია არ იგრძნოს უდიდესი აღფრთოვანება და მხურვალე სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით არ განიმსჭვალოს წიგნში შესანიშნავად აღწერილი 104 პერსონალის, უმაღლესი რანგის ჯარისკაცთა, ქართველ გენერალთა მამაკაცობითა და სამხედრო ხელოვნებით და რასაკვირველია მათ აღმწერელთა სამხედრო ისტორიკოსთა მაღალი პროფესიონალიზმით. ასეთივე გრძნობები აღმედრა მეც, როგორც რიგით მკითხველს.

ბატონი გიორგი, გაგზედავ მე და თქვენ თავისუფლად შეგადარებთ ჩვენი დიდი საგანძურის “ქართლის ცხოვრების” მემატიაწი – ისტორიკოსებს: ლეონტი მროველს, იოანე საბანისძეს, გრი-

გოლ ხანძთელს, ჯუანშერს – ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერელს, ჩვენი უპირველესი და უდიდესი ხელმწიფისა მხედართმთავრის – დავით აღმაშენებლის ისტორიკოსებს, ჟამთა აღმწერელს – გიორგი ბრწყინვალის ზეობის აღმწერელს, დიდი ქართველი მხედართმთავრისა და მამულიშვილის გიორგი სააკაძის ისტორიკოსებს და სხვა.

თქვენი დიდი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე ჩვენ საქმე გვაქვს უდიდეს პათოსთან და მგზნებარე პატრიოტიზმთან. განსხვავება მხოლოდ ეპოქაშია თანამედროვეობის უბადლო სამხედრო მემკვიდრე-ისტორიკოსები ბრძანდებით. ნამდვილად განსაცვიფრებელია თქვენი დაუოკებელი სწრაფვა ახალ-ახალი მასალების ძიებისაკენ, რაშიც ახლაც დიდ შემოქმედებით უნარს ამჟღავნებთ.

წიგნში წარმოდგენილი მასალა საკმაოდ ვრცელია და მეტად საინტერესო, გულგრილს არავის არ ტოვებს.

რა თქმა უნდა იოლი არ იქნებოდა ამდენი დოკუმენტური, ხშირ შემთხვევაში უცნობი მასალის მოძიება, არქივებში ხანგრძლივი მუშაობა, შეხვედრები გმირთა შთამომავლობასთან, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესწავლა და მთელი მასალის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 1918-1921 წლების ქართული არმიის გენერლების (25 პერსონალი), ამავე პერიოდში ქართულ ჯარში მომსახურე რუსეთის დროებითი მთავრობის და კავკასიის ფრონტის ქართველი გენერლების 132 პერსონალია. ქართულ ჯარში მომსახურე ყოფილი საბჭოთა არმიის ქართველი გენერლების (11 პერსონალია). 1992 წელს ქართული ჯარის პირველი ქართველი გენერლების (13 პერსონალია) და მსოფლიოს ქვეყნების არმიებში მომსახურე ქართველი ეროვნების გენერლების ბიოგრაფიები (123 პერსონალია) სულ 104 პერსონალი.

განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს წიგნში წარმოდგენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა, ფოტოსურათების სახით, საიდანაც გადმოგვცქერიათ გენერლის მშვენიერ სამოსით შემოსილი, კოტე აფხაზის, ასლან აბაშიძის, შტეფან ახმეტელის, ლავრენტი ბალუაშვილის, ზაქარია ბაქრაძის, იოსებ გედევანიშვილის, კონსტანტინე გელოვანის, გიორგი ერისთავის, გიორგი კვინიტაძის, გიორგი მაზნიაშვილის, აბელ მაყაშვილის და ბევრ სხვათა ულამაზესი იერ-სახის გენერლების. ყველას ვერ ჩამოვთვლი ამ ჩვენს სახლოვან მამულიშვილებს მკითხველი წიგნში უნდა გაეცნოს და მათით უნდა იამაყოს.

რაც შეეხება ამ დიდებული წიგნის ჟანრს, მე მას ისტორიულ-დოკუმენტურ პროზას მივაკუთვნებდი სწორედ ამ ჟანრში მოვსინჯე მეც პირველად კალამი და დავწერე წიგნი “მთა-ყინულეთის არწივები”, რომლის მთავარი რედაქტორიც თქვენი კოლეგა, სამხედრო ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელვერი კუპატაძე ბრძანდებოდა, რესპუბლიკის ვეტერანთა საბჭოს თავჯდომარე, რამდენადაც ვიცი იგი გენერალური შტაბის ნევრი იყო და გენერლის ნოდებაც ჰქონდა. სწორედ მას უნდა ვუმაღლოდე რომ აღნიშნული წიგნი, ჩემს ერთ-ერთ ლექსზე დაწერილი სიმღერა “სვანეთო ჩემო სვანეთო” რომელსაც ჩვენი სასიქადულო მომღერალი თემურ ნიკლაური ასრულებს სვანეთის ჰიმნად იქცა და მაღლიერმა ცნობილმა მთავრულევმა ბატონ ჯუმბერ კახიანის ხელმძღვანელობით ერთ-ერთ უცნობ მწვერვალს ჩემი სახელი უწოდეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც წიგნში ვიხილე ფოტო-სურათი, წარწერით: სამხედრო ისტორიკოსები – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და ისტორიის აკადემ-ვეტერანთა საბჭოს თავჯდომარე, პროფესორი ელვერ კუპატაძე.

როგორც ამ წიგნის მთავარი რედაქტორი, პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო ატაშე თურქეთის რესპუბლიკაში ბატონი მამუკა სამხარაძე აღნიშნავს: “წიგნის ავტორები განაგრძობენ მუშაობას მე-2 რესპუბლიკის გენერალიტეტის -1992 წლიდან დღემდე – (193 პერსონალია) საბრძოლო საქმეთა გამომზებულებისათვის. და ბატონი მამუკა სამართლიანი სიამაყით აცხადებს: “მაღლობა ღმერთს! საქართველოს და ქართველ ხალხს გმირები და მხედართმთავრები სხვაგან საძებნი არა აქვს. მთავარია ჩვენ ვიყოთ მათი ღირსეული მემკვიდრეები და დამფასებლები! სწორედ რომ ბატონების გიორგი ბეჟიტაშვილის და მამუკა გოგიტიძის სახით ქართველ გმირებს მართლაც რომ ღირსეული დამფასებლები ჰყავთ. მათ ხომ ახალი სიცოცხლე მიანიჭეს თავიანთი უბადლო წიგნის გმირებს, წიგნისა რომლის, აბზაცში, სიტყვაში იგრძნობა ავტორთა აღფრთოვანება, მოწონება, სიყვარული, ანუ მართალი დამოკიდებულება წიგნის სახელოვან და საამაყო გმირთა მიმართ.

ბატონო გიორგი ეს წიგნი თქვენ გააცოცხლეთ თქვენი ძვირფასი ძმის ნოდარ ბეჟიტაშვი-

ლის უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლეც, რომელმაც თავი დასდო საქართველოს ერთიანობისათვის და გმირად დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს ლაბრასთან, მარადიულია მისი ხსოვნა, მარადიული ყველა ამ წიგნში წარმოდგენილი გმირების სიცოცხლე და ხსოვნა.

ყველამ უნდა ნაიკითხოს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი წამკითხველი დიდ სიამოვნებას მიიღებს და აუცილებლად აღეძვრება სურვილი, რათა გაეცნონ ამ წიგნის ავტორთა ამ შესანიშნავ ადამიანთა სხვა შემოქმედებით ნიმუშებსაც.

გულითადად ვულოცავ მათ ამ უზარმაზარ წარმატებას და ვუსურვებთ ხანგრძლივ შემოქმედებით წვას. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი კვლავ ახალ-ახალი შედეგებით გაგვაზარებენ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ პროფესორ გიორგი ბეჟიტაშვილს 50 წლის იუბილეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, რათა კიდევ ბევრი საინტერესო, მეცნიერული ნაშრომი ვიხილოთ მის შემოქმედებაში.

### გაყვანები და .....

(გიორგი ბეჟიტაშვილს)



გ-აჟა წლები და... წარსულს გახედავ,  
ი-ტყვი, რომ უქმად არ გაგივლია....  
ო-მგადახდილებს უნდა მიხედვა,  
რ-აც კი შემოგვრჩა მათი წვლილია!  
გ-არდასულ დროის შენც არ შეგვრცხვება,  
ი-არე კვლავ წინ კაცურ ნაბიჯით...

ბევრი სიმწარე შენს თვალწინ ცხვება,  
ე-ბრძვი ქარიშხლებს ჩვეულ სიღინჯით.  
ე-ამთა საწუთროს ძლიერ განიცდი,  
ი-ცი რა არის ღვიძლ ძმის სიმწარე.  
ც-ირიფიფითაც ბევრჯერ ჩანისლდი,  
ს-მ დროს სიკეთე მაინც იწამე.  
შ-ენი ნოდარი ხომ გყავს იმედად,  
ვ-არვარებს მისთვის გულის ღუმელი  
ი-სე კარგია, ისე იმდენად,  
ღ-ურჯ ნაზ ყვავილებს ასდით სურნელი.  
საქართველოსთვის სიცოცხლეს დათმობ,  
წინ დაუდგები, მტერს ასე გიცან!  
შენი სიკეთით მეგობრებს ათბობ,  
შენ არ მოკვდები, ძმის სული გიცავს!

#### გულნაზი ხარაიშვილი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფილიანი სარეთაშორისო  
აკადემიის პრეზიდენტი

## უშანგი მოსიაშვილი – 80 წლისაა



უშანგი მოსიაშვილი

ატონო უშანგი, ალბათ თქვენ პირველს გაგეხარდებათ თქვენ-ნაირი პატრიოტები თუ ვინმე იქნება საქართველოში, მაგრამ იქნება კი?... მჯერა სული ნეტარებით აგვესებათ, ღამის კომმარული სიზმრებიც აღარ შეგანუხებთ. დამშვიდდებით, იქნებ აღარც კი მიუტრიალდეთ იმ ისტორიული თემატიკის შექმნას, რასაც თქვენ აკეთებთ, ხარჯავთ დროს და ფინანსებს. ამ უქონელ დროში დაიქირავო მხატვარი, გადაუხადო თანხა და შექმნა ტილოები წარსულისა, დღევანდელობისა, შექმნა უამრავი და უთვალავი, წარმოუდგენელია.

სიზმარია?... არა, რეალობაა. დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა... თქვენ ალბათ ცდილობთ, საკუთარი იდეების განვითარებით შექმნათ მატერიალური სიმდიდრე სულიერებასთან ერთად. თქვენ ძალიან ახლოს ხართ ღმერთთან, აკი ამბობთ თქვენივე ლექსში „მოდით კაცებად დავრჩეთ,” ეს ბრძნული ნამდვილი ქართველური სიტყვები ბევრს არ ესმის, ნაჭუჭში ყოფნა ურჩევნიათ ჭუჭყიან ნაჭუჭში. ბოლოს ეს ნაჭუჭიც ჩაილენება და დარჩებიან არარაობები. „ბოროტება განათლებული ადამიანიდან მოდისო” თქვა წმინდა კოზმა ეთოლიკიელმა. ღმერთმა ადამიანს ნება მისცა, ყველაფერი თავისი გონებით გაეკეთებინა და როცა უღმერთო საქმეებს სჩადის თვითონ ღუპავს საკუთარ თავს, ანადგურებს იმას რასაც თვითონვე ქმნის.

თქვენ კი პირიქით, სულის ტაძარი ააშენეთ, სადაც ყველა ღვთის მოყვარულ ადამიანს შეუძლია შევიდეს და ილოცოს ოჯახისთვის, ილოცოს სამშობლოსთვის. აი, თქვენთვის ბატონო უშანგი, პირველი ღმერთია, მერე კი თქვენს მიერ შექმნილი საქმე; ამიტომაც იყო, რომ როდესაც ზაფხულში ერთანმინდის ეკლესიაში ღონისძიება ჩავატარე დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა და პაატასადმი მიძღვნილი, თქვენ ამ ისტორიული დღის დასრულების შემდეგ იმ საზოგადოებას, ვინც კი იყო იქ, პოეტებს, მხატვრებს, სულიერ მამებსა და დებს აჩვენეთ თქვენს მიერ აშენებული ღვთის ტაძარი, მერე კი მოკრძალებულად შეგვახედეთ სულის სამრეკლოში, მე არ ვიცი რა გინოდოთ, პოეტი?... მხატვარი? თუ უბრალოდ დიდი ადამიანი. იმ დღეს თქვენ ხელშეხვეული-თაბაშირ დადებული იყავით, თქვენი შვილი კი მეორე, თუ მესამე სართულიდან ჩამოვარდნილა, იწვა თავის საძინებელ ოთახში, თავს დასტრიალებდა ლამაზი ცქრიალა მეუღლე, მასაც თაბაშირი ჰქონდა ფეხზე, წელის არე კი სერიოზულად დაჟეჟილ-დაზიანებული. ბრგე ვაჟკაცი გაუსაძლის ტკივილებს ითმენდა, თქვენი ოჯახი ისე შეგვხვდა, ვითომდა არაფერი იყო მომხდარი. მათ ვერ შეატყობდით სახეზე შემოფოთებას, მჯერა, თითოეულ ოჯახის წევრში უფალია და ამიტომ ბრძანდებით ასეთები.

დიდი ადამიანები ყოველთვის თავმდაბლები არიან. ღმერთმა ანგელოზები შექმნა მათი ნაწილი ამპარტავნებისაგან დაეცა და ეშმაკად გადაიქცა. ღმერთმა ამ ანგელოზების შემდეგ შექმნა სრულყოფილი ადამიანი და ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებით ბატონო უშანგი.



## საქმემან შენმა გამოგაჩინოს...



უშანგი მოსიაშვილი



### ფუნჯით და კალმით (უშანგი მოსიაშვილს)

ქართველ პატრიოტს, რით მოგეფერო,  
სულს რომ უბერავ, წარსულს და აწმყოს,  
საქმენი შენი სჩანს, ნაირფერობს,  
ვაზის ტოტს მწარე ტოტებზე ამყნობ.  
ფუნჯით და კალმით, რაც არვის ოდეს,  
შენში ჩაქარგე, სულის სამრეკლოდ...  
შენ არ მოკვდები, რაც უნდა მოხდეს,  
მე მინდა ქების ზარი დავრეკო.  
რაც შეგიქმნია, იმით ვამაყო,  
შენ დიდ მთებზედაც უფრო დიდხარ...  
დაბადებულხარ ერის სამოყვროდ  
და საქართველოს გზა და ხიდი ხარ.

გულნაზ ხარაიშვილი



ნაირა ნიყარაძე

### უშანგი მოსიაშვილს

მეგობარო, სიხარულო სულისა,  
მეგობარო, სიყვარულო გულისა.  
მეგობარო, იმედი ხარ ხვალისა,  
მეგობარო, ციმციმი ხარ თვალისა.  
მეგობრის ხმას თუკი სადმე გაიგებ,  
ფიანდაზად სულის გზებზე გაიფენ.  
მომშველბელო ჭირსა და ლხინში,  
შენ გამხნევება ნამდვილად იცი.  
უფსკრულის პირას თუ შეფერხდები,  
– შესდექ, – შეგვცახებ და შეჩერდები.  
თუ სიხარულის მოვა ნიავი,  
– გამოდი გარეთ, – გვეტყვი სიამით.  
დაჭრილს შეგვიხვევ გულის იარებს,  
შენ ჩვენთვის მთები გადაიარე.  
თუ დავეცემით საბრძოლო მხარეს,  
მოხვალ და დროშას გადაგვაფარებ.  
თუ დავიდარდებთ გვეტყვი: – ნუ სწუხარ,  
და მოწყენილი, მჭვუნვარე ნუ ხარ.  
მეგობარი ხარ, კაცურო კაცო,  
მომშორებელო ნართა, ეკალთა.  
გსურს შეგვიჩერო ცრემლთა დინება,  
კეთილმა გულმა რადგან ინება.  
ღმერთმა ნათელი შემოგაშუქოს,  
და თქვენი მსგავსი ბევრი გვაჩუქოს!

### იცნობლეთ ასეთ ღმერთკაცს უშანგი მოსიაშვილს



მანანა ზაზიკაშვილი

უნიჭიერესი,  
უდიდებულესი,  
კარგი მხატვარი და  
პოეტი – უკეთესი.  
ხალხის მოყვარული,  
წყალობის გამცემი,  
ჩვენთვის ბრწყინვალე და  
მტრისთვის – ზარდამცემი...  
დამშეულ პოეტებს  
დაგვიდგა გვერდში,  
გამორჩეულია  
საკუთარ ერში.  
არიგებს, თუკი რამ  
იშოვა ოდეს,  
ასეთი ღმერთკაცი,  
ბევრს უხაროდეს!!!

03.08.2016წ.



ნელი ქველაძე

**სამშობლოზე ფიქრებით...**

ედღვნება პოეტს, მხატვარს  
ქველმოქმედს, პატრიოტს  
ბატონ უშანგი მოსიაშვილს

ნეტავ ვინ არის, ვის ბადიშია,  
შუაგულ ქართლის გმირი გუშაგი?  
ჩვენი მოდგმაა, ჩვენი ჯიშია,  
დგას მეციხოვნედ დიდი უშანგი!

დღევანდელ ყოფით არს დაზაფრული,  
სააკადური წვავენ ფიქრები,  
მისი გულის და მიწის ზიარი,  
სამშობლოს ბედზე დაფიქრებული...  
სიკეთეს თესავს მისი კალამი,  
ყოველი სიტყვა არის მართალი;  
ჯადოსნურია მისი ყალამი,  
ქართლში არ არის მისი ბადალი!  
დრო არ იცდისო, მიდის ტრიალით...  
და გაგვიცოცხლა გმირი წარსული:  
მოსჩანს კომპეზზე ცეცხლის ბრიალი,  
ისმის ყიჟინა, ხმლების წკრიალი;  
ყალყზე შემდგარან გმირი მხედრები,  
„ჰკა მაგასაო“! – მხნე შეძახილი,  
აჰა, მერანიც ბუმბერაზ მხედრის  
ელავს გიორგის დიდი მახვილი!  
სულ სიკეთის და მადლის მქმნელია  
საოცარ ქვეყნის არისო შვილი,  
კაცურ კაცობის მატარებელი,  
კაცურად იბრძვის მოსიაშვილი!  
ვით მოასვენებს მამულზე ფიქრი,  
მხურვალედ უყვარს სამშობლო თვისი,  
რომ არ მოედოს ქვეყანას ფითრი,  
არ გაჩერდება მარჯვენა მისი!  
ველარ ძლება მშობლიური,  
მთა და ველთა ფერებით,  
ხატავს, ამკობს ჩვენს სამშობლოს,  
„ფიროსმანის ფერებით.“  
ივლისი, 2016. ერთანმინდა.

**უშანგ მოსიაშვილს**

დიდებულია, ვფიცავარ გამჩენს,  
თქვენი ტალანტი, თქვენი უნარი,  
ჩვენს ერს ერთობა თუ გადაარჩენს  
და ნიჭი, მარად გაუხუნარი.

ისევე როგორც ჩვენს მთას და მდელოს  
ღმერთმა უმრავლა ზვრები, ყანები,  
ასე უმრავლოს ჩემს საქართველოს  
ერისკაცები, თქვენისთანები!

15.09.16



გურამ ჭავჭავანიძე

### მხატვრის სახლია? (უშანგი მოსიაშვილს)



ლეილა გაფრინდაშვილი

გადაიშალა წიგნის ფურცელი  
თვალწინ გაცოცხლდნენ „არაგველები“,  
„მეფე ფარნავაზ“, „მღვდელი თევდორე“  
გულგანგმირული მარაბდელები.  
„მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო  
მე ვარსკვლავების მთელი ამალა,  
გავაცისკროვნო მთლად საქართველო“  
– კაცმა ოცნება ველარ დამალა.  
მერე მამულში მომიპატიჟა  
ფართოდ გაალო დარბაზის კარი,  
მხატვრის სახლია? გალერეა?  
ნახატთა მზერას ვერ მონყდა თვალი.  
რა უხმაუროდ მოფერებხარ  
კაცური გულით მამულს დარდიანს,  
მჯერა, სამშობლოს სათაყვანებლად  
ლოცვა-ვედრებით ხვდები განთიადს.  
გულცეცხლანთებულ გულად ქართველთა  
იმ დღეს შეგროვდა მთელი ამალა,  
წვიმაც წვეთ-წვეთად შემოგვიერთდა  
გვიცქირა... გრძნობა ველარ დამალა.

28.07.2016.



თამარ (იამშვილ) ქელიძე

ცხოვრება კვლავ დამამშვენნი.  
შენში ბობოქრობს ვაჯკაცი სახე,  
და სხვანაირად თვალს ვერ გაახელ...  
ლექსი მოგყვება ყველგან ხალისით  
მასში გულწრფელი შენი ხმა ისმის.  
შეყვარებულის სამშობლოს ბედზე,  
საუკეთესოს ეძებ და ეძებ...  
ღმერთი შენთან არს, ისევ და ისევ  
და ნუ მოაკლებ, სულს სიხალისეს  
ხარ ანთებული კეთილი სულით  
ძლიერი ძარღვი მოსდევს  
შენს სურვილს  
დიდ ვაჟკაცური მიგნების სავსე  
სიცარიელეს შენ ყველგან ავსებ.  
მზიან სურვილებს ქადაგებ დროში  
დე, დაილოცოს ნაბიჯი მოსვლის,  
შენი ამ დროში რომ სიძლიერემ  
მარად ხალისი დანერგოს ყველგან.  
გულო მოედოს ყველგან იარებს,  
ურყევი სახე სიმშვიდით შექმნის  
რომ შენს ლამაზ სულს ღირსებამ ისევ  
უთხრას მომნონხარ, მზერა გაქვს ღვთისკენ  
დაე იარე კეთილო ასე,  
ხატება ხატე კვლავ სილამაზე  
დე, პოეზიის შუქმა გაგნათლოს  
დიდმა სიკეთემ მარად გაგათბოს.

\* \* \*

გული შეგტკივა, რადგან დრო ძუნწობს  
ფერი წაერთვა ხალისს და არეს...  
ხანა გამოჩნდა, უჟმური, გულღრძო  
შენ კი კეთილი, ჟამს მგლოვიარეს  
ვერ ურიგდები, სათუთი სულით.  
გინდა გაუხსნა, გზა მაღალ სურვილს  
და გაახარო ადამის ძენი, იგრძნო

## უშანგი მოსიაშვილს



ლამზირა შევილძე

ეს ლურჯი მთები, მთამწვერვალეები  
შენი, მზე გულის სანათელა.  
შენი სიცოცხლის მარგალიტები  
ფიქრდარდიანი საქართველოა.  
მამულის დარდში ათენ-ალამებ,  
გარიჟრაჟს ხედები მაინც ნათელი  
შენც ღმერთებივით გიყვარს სიმართლე  
ხარ ულალატო ნაღდი ქართველი.  
ღრმა აზროვნებით ჭვრეტ წარსულს, ანმყოს,  
მომავლის საქმეს ჩაეძიები.  
შენ პოზიციას არასდროს არ თმობ  
შენ სულში სახლობს მნათი მზეები.  
მჭერმეტყველია შენი აზრები,  
უხვ-კეთილ საქმის ფუძემდებელი  
ტილოებს ანდე შენი განცდები  
ხარ არაგვივით დაუცხრომელი.  
გონების თვალთ სწვდები სიღრმეებს,  
და იდეებში არ გყავს ტოლია  
ჩვენ ერმიტაჟს რომ სხვაგან ვისიზმრებთ,  
თურმე აქ ახლოს კასპში გვყოლია.  
შენ უამრავი საქმის ქმნელი ხარ  
ჯერ კიდევა გაქვს ბევრი სათქმელი  
სამშობლოს გულში ლეგენდად დადის  
მზედ კურთხეული შენი სახელი.



## ნიკო ხერკელაძე

მხატვართა კავშირის წევრი, მწერალთა კავშირის  
წევრი, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურიატი  
2016 წ. 2 იანვარი. თბილისი.

### შენი საქმე და ღვანდია საყურადღებო სათქმელი

ბატონი უშანგი მოსიაშვილის შესახებ როცა საუბარს ვინწყებთ, როგორც მოქალაქის, როგორც ქართველის, როგორც პიროვნების შესახებ, აუცილებელია შევეხოთ კასპის ისტორიულ წარსულს, როგორც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თუნდაც ჩვენი წელთაღრიცხვით, ყველა ეპოქა კასპმა, როგორც ქალაქმა გამოიარა, ძალზედ შინაარსიანი, და ღრმა კვალიც დააჩნია ჩვენს ცრემლიან ისტორიას.

როცა მე ქალაქ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, ვახტანგ ბერიძე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში, ბატონი ვახტანგი ამბობდა, საქართველოში ისტორიული ძეგლების სიმრავლითა და მათი ხუროთმოძღვრული მნიშვნელობით, კასპის რაიონი განსაკუთრებით გამოირჩევაო, ეს მოვლენაც ერთგვარ ფონსა და საფუძველს უქმნიდა ბატონ უშანგის, როგორც მისი მსოფლმხედველობის, მოქალაქის, პოეტის, მხატვრის და საერთოდ პიროვნების ჩამოყალიბებაში. ის განსაკუთრებული სიყვარულით ბერი თევდორესა და გიორგი სააკაძის სახეებს ხატავს:

თევდორე, შე სიღნათელო  
ჩვენთვის აიდგი ფეხიო,  
შენ რომ არ გამოგვჩენოდი  
დაგვეცემოდა მეხიო.

იცის უშანგიმ როგორი ღირსეული გმირია ბერი თევდორე, და ვისი მეშვეობით გადარჩა ლუარსაბ II.

ე. ი. ბერმა თევდორემ თავი ვერ გადაირჩინა, მაგრამ ქართლის სამეფოს მეფე გადაურჩინა. თევდორე არ დაკარგულხარ არა ხარ ჩვენთვის მკვდარიო! ჩვენი ხალხისთვის მრავალჟამს იქნები ღმერთის დარიო!

უშანგი თავის განცდებს შეგვახსენებს და გვეუბნება, რომ „ჩვენს მინა-წყალს, სააკაძის ახსოვს გმირობა“

აქ პირდაპირ გამოხატა პოეტმა, თავისი განცდა დიდი უმადურობის შესახებ, ქართველი ხალხის ჯგუფმა თითქოს დაივიწყა სააკაძის ამაგი, მაგრამ ჩვენი მინა-წყალი და სიმართლის მთქმელი მოსახლეობა არასოდეს არ დაივიწყებს სააკაძის ღვანლს.

პოეტი ქართველ ხალხს შეახსენებს:

„სიკვდილის მერეც ვერ ვუპატრონეთ, ვატკინეთ გული“

აქ ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები მახსენდება „დიდკაცთა (მეფეთა) ხვედრის კარგი საქმისთვის ავი ისმინოს,“ ერთმანეთში გულისტკენა ჩვენი ხალხისთვის უცხო არ არის.... უშანგი, მთელი არსებით განიცდის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, განსაკუთრებით გიორგი სააკაძის ბედს, გაზულუქებულმა რამდენიმე დიდებულმა შურით აღვსილმა შეთქმულება რომ მოუწყვეს (რა თქმა უნდა შაჰ-აბასის ნაქეზებით) და სამშობლოდან გააძევეს, ეს თავის თანამოძმეთაგან გაძევებული, კაცი, ირანში ვერ ჩერდება, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწევდა და ირანულ სიამტკბილობაში იქნებოდა. როგორც სხვა ქართველები, რომელნიც სააკაძემდე იყვნენ ირანში ჩასულნი. აქაა გ. სააკაძის უდიდესი კაცობა, რომ თავისი პირადი კეთილდღეობა მისთვის შორსაა და თავისი ოჯახის წევრებიც რამხელა ვეებერთელა სარისკო გზაზე ჰყავს დაყენებული, რომ უმთავრესი საქმე გააკეთოს თავისი და ჩვენი სამშობლო გადაერჩინა შაჰ-აბასის ავი გეგმებისაგან. უშანგი ყოველივე ამის თავის მგრძნობიარე გულით გრძნობს და თავის ლექსებში განმარტავს.

მამის საქმისათვის შეწირული შვილი რომ კვდება აქაა უმთავრესი განცდა ქართულად მოაზროვნისა, რომ დიდი კაცის ამაგის დანახვა, მას მონოდებად აქვს, ის განცდა, სხვამაც დაინახოს და მისებურად განიცადოს.

სამშობლოს სიყვარულს გამორჩეული ადგილი უკავია მის პოეზიაში:

„სანთლად აენტე შენს დიდ სამშოლოს  
და ხატად გყავდეს სვეტიცხოველი“

უშანგის ეთვისება და უხდება თავისი მინა-წყლის ქება, ეს მისი მონოდებაა, მის ლექსებს, შემდგომში თაობები მოეფერებიან, მაგალითად გაიხდიან და თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისთვის დიდი სიყვარულით განიმსჭვალებიან. რამდენი ეპითეტი აქვს პოეტური სულის კაცს ქვეყნისადმი სიყვარულის გამოსახატავად, მთელი გული და სული აქვს ჩანურული. განა შეიძლება ასეთი განცდებით, მონოდება მომალე თაობებისთვის, ნათელი და სანინდარი არ იყოს მათი თვალთახედვის სუფთა სრულყოფილებისათვის. ეს ხომ დიდი მოვალეობის წინაშე დიდ პასუხისმგებლობასაც ნიშნავს... როგორი კაცთმოყვარე და ქრისტიანული სარწმუნოების უმაღლესი სიყვარული აქვს უშანგის, როცა იგი, კასპის მოსახლეობისთვის დიდი მონდომებით სალოცავი ღვთის სახლი, ტაძარი ააშენა და სრულყოფილებაში მოიყვანა. მე ბევრჯერ ვყოფილვარ უშანგისთან კასპში სტუმრად, თვითონ თავის ქება არ უყვარს. ეს მისი ადამიანური თვისებაა, მე მის მეგობრებისგან ხშირად მომისმენია, როგორ ეხმარებოდა ხელმოკლე თავის თანამემამულეებს, რამდენისთვის ქორწილი გადაუხდია, მრავალს კი გასაჭირში დახმარებია, დღეს კასპის მოსახლეობა წყლით უზრუნველყოფილი რომაა ეს სწორედ უშანგის დამსახურებაა. კარგი კაცობა დიდი და მძიმე მოვალეობაცაა, თანაც ყველასთან ზომიერად და განონასწორებული ურთიერთობით. მისი მეგობრებისაგან მისადმი დამოკიდებულება უშუალოა და სითბოთია გამსჭვალული, ისინი არ იშურებენ საქებას სიტყვებს. აი მათი სიტყვები: ვისაც კი კაცის თვისებები აკლია უშანგისთან უნდა იმეგობროს, ეგ ისეთი პიროვნებაა ადამიანებთან ურთიერთობაში შეცდომას არ დაუშვებსო და არც თავის გვერდით მყოფს მისცემს, შეცდომის დაშვების უფლებასო. კარგი კაცობის თამაში ხომ შეუძლებელია, არაფრით არ გამოვა, იმიტომ რომ ყოველი ნაძალადევი თამაში დამღლეულია, კარგი ადამიანობა მხოლოდ გულშია. დიას, არიან ადამიანები მაღალი ღირსებებით შემკულნი, სწორედ ასეთია უშანგი მოსიაშვილი. მას გაუნელებელ დარდად ასდევნებია თავისი მინა-წყლის სიყვარული. ასეთი კაცის თანამსგავსი პიროვნებები იყვნენ ის ადამიანები რომელთაც თავიანთი სამშობლოს გადარჩენის გზები, მუდმივად ფხიზლობდნენ, სადარაჯოზე იდგნენ და ფიქრიანი თვლებით გასცქეროდნენ საქართველოს სივრცეს. პოლიტიკოსები და ქვეყნის მმართველები როცა ხელოვნების თაყვანისმცემლებიც არიან, მაშინ ასეთი ქვეყანა გახარებულია.

მოთმინების გრდემლზეა ნაწრთობი უშანგის ხასიათი, დინჯი, დარბაისელი, უფრო სიტყვა-ძუნწი, სიმართლის მთქმელი, ოდნავ საეჭვო მოვლენასაც კი პირდაპირ გეტყვის მოურიდებლად, ამით თვითონაც მშვიდდება და სხვასაც ამშვიდებს, სანერვიულო ატმოსფეროს არ ქმნის. იგიპატივს მიაგებს საკუთარს, კუთვნილს. პატივით ეპყრობა სხვათა ნაშრომ-ნაღვანსაც, ასეთ ადამიანებს, სულაც არ არის გასაკვირვი, მტრებიც ეყოლებოდა, ან რა გასაკვირია, როგორ დიდებულად ამბობს დიდი ვაჟა-ფშაველა „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი.“ ქვეგამხედვარენი მუდამ იყვნენ, იქნებიან მომავალშიც. გიორგი სააკაძემ 1609 წელს, ოსმალ-თათართა ჯარი გაანადგურა და დიდი გამარჯვება მოიპოვა და მტეზე გამარჯვებულ სააკაძეს, ქართული ჯიშის რალაც ნაწილმა სასიკვდილო შეთქმულება მოუწყო და სამშობლოდან ირანში გადახვეწა მოუწია. სვეტიცხოვლის ამშენებელი არსუკიდის მკლავის მომჭრელი, უგვარსახელოო არსებანი ისევ დააბიჯებენ დედამინაზე, ხშირად უჩინარნი არიან და სატანისაგან დახმარებას ელიან და მისი მითითებით მოქმედებენ. ადამიანებში არსებობენ მიზიდულობის მქონე სულიერი მაგნატები, ღვთის ნიშნით კოდირებულნი და არსებობენ სატანის ნიშნით კოდირებული განზიდულობის ადამიანები.....

გააჩნია ვინ ვისში რას ხედავს, ან რას ეძებს, უშანგი ზნეორივი მაგნიტებითაა დამუხტული. იგი მრავალმხრივი პიროვნებაა, უპირველესად კი კაცთმოყვარე ხალხისათვის მზრუნველი, ასეთი ადამიანები ხომ მუდმივად ჭირდება ჩვენს მინა-წყალს. უშანგიმ შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა, ცვენი მომავალი თაობების, ზნეობრივ-კულტურული ცხოვრების შეცნობისა და იმ თვალთახედვის ჩამოყალიბებისათვის, რაც ჩვენს ქვეყანას ისტორიულად გამოუვლია, მან დიდებულად იცის ერის სიდიადე რომ ხალხის მიერ შექმნილ კუკტურის საგანძურშია და აკი, გადანყვიტა კიდევაც აღესრულებინა ეს დიდებული საქმე. როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს. თავისი ქვეყანა, მისი თითული მოქალაქე, მოსახლე, ნებისმიერი ერივნების, რომელნიც ქართულ მინა-წყალზე ცხოვრობენ, და ქართველ ხალხთან ერთად ხშირად მონაწილეობა მიუღიათ, სხვადასხვა ომებში, მტრე-

ბისგან თავის დასაცავად..... როგორია ამ მოვლენებზე დაფიქრდეს კაცი, არ დაიშუროს, არც დრო, არც ფინანსური სახსრები და გადანყვიტოს ისე ეს დიდებული საქმე, რომ ერთი წუთით წარბი არ შეიხაროს, ბევრი საქმეც გვერდზე გადადოს და მოინვიოს ხელოვანი მხატვარი თავის იდეა-მოსაზრებანი გაუზიაროს ისიც დააფიქროს და ამ დიდებული საქმისათვის შეამზადოს, ამ დიდებული საქმის თანამონაწილე კაცი გახდა მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი და ანაზღაურების საფუძველზე შეასრულა 25 ცალი მრავალფიგურიანი ტილო. ჩვენ მხატვართა საზოგადოება დიდ მადლობას ვუხდით უშანგი მოსიაშვილს როგორც დამკვეთსა და ამ დიდებული საქმის იდეოლოგს, შემდეგ ბატონ საშა ციხელაშვილს, რომელმაც ეს საქმე ფიზიკურად შეასრულა. მე მას ვაქებ არა როგორც მხატვრული ნამუშევრების შექმნისთვის, არამედ როგორც ისტორიული ბატალური კომბინაციების მოძიებისა, დახვეწისა, ფიგურათა სწორი განლაგებისა და სურათების ბოლომდე სრულყოფისათვის. ყველა ეს ნამუშევარი ერთ დიდ დარბაზშია გამოფენილი, მარტო გიორგი სააკაძის ეპოქზე 7 დიდი ტილოა წარმოდგენილი. უშანგიმ, კასპელ მოსახლეობას, ერთი დიდი მნიშვნელოვანი კულტურული კერა აჩუქა, როგორც სანახაობა, ისტორიული თვალთახვედრის სრულყოფისათვის თვით ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ჩამოსული სტუმრებისთვის და ტურისტებისთვის. დარბაზში წარმოდგენილი ნამუშევრები ყველა უშანგის მიერ მოფიქრებული და მითითებულია მხატვრისთვის, თუ როგორი ჩანაფიქრით უნდა ემუშავა ხელოვანს. მე ვფიქრობ და ხმამაღლაც ვამბობ, მთელ საქართველოში ეს მოვლენა ერთადერთი შემთხვევაა, რაც უშანგიმ ჩაიფიქრა და შეასრულა კიდევ. თუ მიმბაძველებიც გამოჩნდებიან ეს ძალიან კარგიც იქნება.

შეგიძლევს უშანგი თავის გალერეაში ამაყი, მხრებგაშლილი, ანთებული თვალებით და გულთ გიყვება თითოეული ტილოს შექმნის პროცესს. ისტორიულ პერსონაჟებს, თუ რომელი ფიგურა ტილოზე რა როლს ასრულებს, ამ ტილოზე წარმოდგენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველი ხალხის ისტორია და ჩვენი ერის ისტორია. სიმართლე ხომ დიდი სინათლეა. უშანგის შესახებ საუბარი, დახასიათება, ძალზედ სახალისო და ერთგვარად სასიამოვნოცაა, ეს იმიტომ, რომ თვითონ მისი პიროვნება იძლევა ამის საშუალებას, ჩვენი სამშობლოს ისტორია მან მშვენივრად იცის. ყველა ეპოქაზე შეუძლია მას შინაარსიანი საუბარი. როცა მნახველი ამ ტილოებს ნახავს, აუცილებლად დაფიქრდება და მიხვდება თუ რამხელა ვეებერთელა სიყვარული გაცხადდა და გამომჟღავნდა, როცა მისი დაკვეთით ეს ტილოები იხატებოდა მხატვრისაგან.

უშანგი მოსიაშვილი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ზომიერი და განონასწორებელია, ერთი იოტისოდენა, მცირედი უარყოფითი სიტყვაც კი არ გამოითქმის მისგან ვინმეს შესახებ. განა ოტა წყენა შეხვედრია მას, უსამართლო და არაადამიანური, ერთი სიტყვაც კი არ დასცდება, არ უნდა გაგიკვირდესო ასეთია ცხოვრებაო. ამასიტყვის და მორჩა, მისი ბაგედან არავის შესახებ ცუდი არ ითქმება, აი ამას ჰქვია დიდი კაცობა. დიდი კაცია იგი დიდი და ძალზედ გულიანი კაცთმოყვარე. სამაგიეროდ დაუღალავად შეუძლია მას საუბარი მწერლობაზე, პოეზიაზე. იგი ძალიან დიდ პატივს სცემს ხელოვან ხალხს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს.

არის ცნობილი მოქანდაკე გიორგი ლალიაშვილი. იგი ჩვენი საერთო მეგობარია, იშვიათი და ძალზედ ზედმინევენით ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება. მისი მოსაზრება იყო და ხშირადაც უთქვამს, ასეთი კაცი როგორც უშანგია, როგორ შეიძლება ის ქანდაკებაში არ იყოს ასახული და კიდევაც შეასრულა ეს პირობა და მშვენიერი პორტრეტი შექმნა უშანგისა და საუკეთესო მასალაში ბრინჯაოც ჩამოსახა, ცნობილი ბრინჯაოს ოსტატის, მონუმენტალისტის და კარგი მოქანდაკის სოსო ზურაბიშვილთან ერთად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე უშანგი მრავალმხრივი პიროვნებაა. იგი დაჯილდოვებულია მხატვრის ნიჭითაც, მას ჩვენი ქართველ დიდებულ მეფეთა მთელი პორტრეტები აქვს შექმნილი. ესაა დადასტურება იმისა, თუ მას როგორ ესმის ჩვენი დიდებული მეფეთა მიერ ქვეყნისათვის უანგარო სამსახური, თუ რა პასუხისმგებლობით გამოირჩეოდნენ ისინი, რა სირთულეებს გაართვეს თავი, სამტროდ მაცქერალი, მეზობლად, მოსაზღვრე მაგრამ, ხშირად ასეთი ქვეყნის ავისმოსურნენი გეგმებისაგან, სწორედ ბაგრატიონმა დიდებულმა მეფეებმა იზრუნეს, თავი არ დაზოგეს, და ჩვენს ქვეყანას თვითმყოფადობა შეუნარჩუნეს.

თანამემამულეებს ერთმანეთში რატომ ჭირდებათ მტრობა ქიშპი, საკითხავია ვინ ვისა მტრობს.... საქართველოში მძიმე დროა, ვერა და ვერ გამოიდარა პოლიტიკურმა ამინდმა. არც აცლიან გამოდარებას, ერთმანეთში პირველობენ ვინ ვისზე მაგრად იტყვის: „ჩემი სჯობსო.“ ქვე-



ყანა შველას ელის, დიდხანს კი მოუწია ლოდინი, სამშობლო, მშობელივით ბევრის მპატიებელია, როდემდე, იქამდე სიკვდილის წინ გედი რომ მღერის?

„სამშობლო“..... პაატა სააკაძის თავმოკვეთამდე ნამღერია:

„ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე“...

მამისაგან შეწირული და განწირული მზეჭაბუკი მხოლოდ სამშობლოს გადარჩენისთვის რომ იბრძოდა.... სიმართლეს ვერ დავადუმებთ, მაინც გამოხეთქავს. სიკეთე მამა ღმერთისგან დაიწყო და მასავით დაუსრულებელია, როგორ დიდებულად ბრძანებს ჩვენი პატრიარქი ილია II „აკეთე სიკეთე და სიხარული მუდამ იქნება თქვენთან.“ სწორედაც ღვთის ნება იყო ის, რომ უშანგი მოსიაშვილმა 35 დიდი ზომის ტილო შეუკვეთა მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილს... ეს ფერწერული სურათები კი თაობების განცვიფრების საგანი იქნება მუდამ.

მოქანდაკე-გიორგი (გელა) ლარიაშვილი  
ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურიატი  
2016 წ., 7 აპრილი, ხარება.

### კვადი ნათელი

ძალიან ძნელია, მოკლედ, ობიექტურად და სრულყოფილად შეაფასო ისეთი პიროვნება, როგორც ბატონი უშანგი მოსიაშვილია.

დარწმუნებული ვარ, ვინც ახლოს იცნობს უშანგის, იგი მის საქმიანობაზე და დადებით ღირსებებზე გაუთავებლად ილაპარაკებს. იგი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი და საერთაშორისო დონის სპეციალისტია, უფლისაგან დაჯილდოვებული მრავალმხრივი ნიჭით. იგი ნიჭიერი, საქმიანი პრინციპული სიტყვის კაცია, ფიცხი, მომთხოვნი და სამართლიანი. რაც სრულად განაპირობებს მის წარმატებებს.

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი, ეკლესიათა მშენებელი, ქველმოქმედი, მრავალი ინოვაციის და გამოგონების ავტორი, მშენებელი, მეცნიერი, მრავალი აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი სახელმწიფო მედლის, ჯილდოსა და პრემიის ლაურიატი, მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, მხატვარი, ორგანიზატორი, რაციონალიზატორი, მენეჯერი, უტყუარი ალღოს, იდეის და თვალის პატრონი, შესანიშნავი იუმორის და კიდეც მრავალი ღირსების მატარებელი.

გულისხმიერი მასპინძელი, დიდი ბრწყინვალე ოჯახის მამა, შესანიშნავი დარბაისელი მეულლე-ქალბატონი ნანი, თითოთ საჩვენებელი შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი (ჩემი პირადი შეთავაზებით) შემექმნა ბატონი უშანგის სკულპტურული პორტრეტი. ასევე დიდი სიხარული იყო ჩემთვის ამ დიდ ლამაზ ოჯახში ჩემი „მეხუთე“ შვილად მიღების პატივი.

ყველა დიდ გამოჩენილ პიროვნებას აქვს, რალაც თავისი განუმეორებელი შეხედულება, ზოგადსაკაცობრიო იდეა ან ფრაზა. რაც შეეხება ბატონ უშანგის, მას განსაკუთრებული ფორმულა აქვს ადამიანის, მამაკაცის ამ ქვეყანაზე მოსვლის მისიაზე: „მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე!“ ამ მოკლე წინადადებაში ყველაფერია ნათქვამი. იგი ნამდვილად იმსახურებს ძეგლის პატივს.

ამიტომაც ბატონო უშანგი, უამრავი ადამიანი, რომ გილოცავს იუბილეს, ბატონი კარლო ნადირაძე, რომლის სიტყვა ფასეულია, ასეთი სიტყვებით გამოხატავს შენი იუბილის ამ დღეს:

კასპელების სიამაყევ,  
შიდა ქართლში გაზრდილო,  
დაბადების დღეს გილოცავ  
უკვე ოთხმოცს გავლილო.  
მალლით ღმერთი გმფარველობდეს,  
შეგენიოს გამჩენი,  
დიდო კაცო, შენ იცოცხლე  
კიდევ ორი ამდენი.

ხოლო საყვარელი ქალიშვილი **იზა მოსიაშვილი**, თავანუელი დადის რადგან შენი შვილია ბატონო უშანგი, რომელმაც მოგიძღვნა მამაშვილური სიტბოთი გულგამთბარი ლექსი.

შენზე ძლიერი, შენზე მამაცი  
და შენზე ნაღდი ქართველი კაცი,  
ასე მგონია საქართველოში  
მაინც და მაინც ბევრი არ დადის,  
ბავშობის რწმენა დღესაც შემომრჩა  
და სიამაყე იმდროინდელი,  
იმხანად ჩემთვის არ იყო არვინ,  
შენზე ჭკვიანი და უძლეველი,

ასეა დღესაც, ასე იქნება  
ხვალ, ზეგ, მაზეგ, მთელი ცხოვრება,  
რადგან შენახარ ჩვენი იმედი,  
ჩვენი ცხოვრების გასხივოსნება.  
თავანუელი დავდივარ მარად,  
რადგანაც ჩემში შენი სისხლია,  
სანამ შენ მყავხარ იცოდე მამი  
„თვით სიკვდილისაც არ მეშინია“.

ნაირა ნიჟარაძემ შენი ისტორიული მუზეუმიდან გამომდინარე მეორე ლექსი მოგიძღვნა:

\* \* \*

ერთ პატარა ქალაქში  
საოცრება აშენდა,  
იქ, ვაზების ჩრდილებში  
თბილი მიწა დამშვენდა.  
თითქოს ციდან დაეშვა  
მაგნიტური ტალღები  
და შენობა აიგო,  
ღია, ფერად თაღებით.  
მართლის ფართო მინდორზე  
რა სიმდიდრე აღმოჩნდა.  
შიგ, ამ ტაძრის კედლებზე  
ისტორია გამოჩნდა.  
ჩვენი საქართველოსი,  
ფერად-ფერად ფერებში,  
ეს რა ძალა ჰქონია  
მახტვარს ოქროს ხელებში.  
კასპის შემოგარენში  
ეს რა ცეცხლი ანთია,  
უზარმაზარ კედლებზე  
წინაპრები ხატია.  
ტილოები ხასხასა  
არ მოსულა თავისით,

კედლებიდან გვიმზერენ  
თამარი და დავითი.  
სად ლუვრი და ვერსალი,  
ამას ვერ შეედრება,  
დაამშვენეს ნახატი,  
დათოვლილმა ქედებმა,  
გაოცებით შევცქერით,  
ეს ნამდვილი განძია.  
საქართველოს ცხოვრება  
ამ კედლებზე ხატია.  
შეჩერდით და დაფიქრდით,  
დრომ რა ჩქარა იარა.  
ბევრმა ჭეჭა-ქუხილმა  
თავზე გადაგვიარა.  
ან რა ფუნჯით შეიქმნა  
ეს მაღალი მხატვრობა,  
სწორად დაიმსახურა  
ხალხისაგან მაღლობა.  
თავდაცვის და გმირობის  
ისტორია გვაჩვენა.  
ეს რა ხელმა აშენა,  
დაელოცოს მარჯვენა!

ასე ათვალე ასზე მეტი წელიწადი, სიცოცხლეშივე უკვდავო, ბატონო უშანგი....





\*\*\*


(ვენერა ქაჯანაია)



ვენერა ქაჯანაია

სულ მნთანაჲამ ვიჭრებით.  
მუნ აჲაბეს გულით ვანჯისდი...  
მინიოსა თუ ზესიოსს.  
ვის მუეღაღო აბჯისი.  
ყოველ ვანჯილთ ჲამს. როცა ვიგონებ.  
ნანილი მაინც გამოჲთჲა რნით.  
ჩემო ძვირფასო. გამშბღღლო ღაო.  
გვაბაჲღეს მუღამ მაღალი ღმრთი.

ეთერ ფირცხალავა



## სარჩვი

უფლის საგალობელი.....	2
ანზორ ჯაფარიძე	
<b>მოძღვარი</b> მამა ამირან ამირანაშვილს.....	11
გულნაზ ხარაიშვილი	
ახალი წელი დაგვებედოს ღვთით ხვავრიელი...	13

## პოეზია

<b>მეუფე თადეოზი</b> (მირიან იორამაშვილი)	
წმიდა იოანე ნათლისმცემლისადმი.....	14
მალლით ნაკურთხო მოძღვარო .....	14
რად უყვარდათ საქართველო?! .....	14
შემოდგომა .....	14
ჭრიჭინა .....	15
სიზმარში დაწერილი.....	15
ბავშვი .....	15
* * * იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე .....	15
იები .....	15
<b>რუსუდან ფაილოძე</b>	
ჩემს მამაო ზურაბს! .....	16
სულიერმა ძმამ ავთომ ეს მითხრა:.....	17
მიმბაძველს!.....	17
ნეტავ რად ხდება? .....	17
მძიმე ჟამი .....	17
<b>მაყვალა გონაშვილი</b>	
იქნებ გაგვახსენდეს .....	18
ღვთისმშობლის მონოლოგი .....	18
შენს საუფლოში .....	19
გამოცდა.....	19
<b>ერეკლე სალიანი</b>	
წმინდანინო.....	20
* * * დამზრალ ხეებს არხევს ზენა ქარი... ..	20
ჩემო სისხლო და ხორცო.....	21

## ჯგუფი ზღვაო

<b>გიორგი ზუხბაია</b>	
ინსტრუქცია №2.....	22
<b>კახა ბაციკაძე</b>	
გულიდან .....	24
ფიქრების წიგნი.....	24
<b>სერგი ლომაძე</b>	
მზე-პოეზია.....	25
უმანძილობა .....	26
<b>ნანა ნოზაძე</b>	
არ დაიმცირებს .....	27
არ დავბერდები .....	27
ბავშვი აღსაზრდეთ .....	27
გულისთქმა.....	28
ნიავი.....	28
ჩემი სამშობლო .....	28
ბავშვობის წლები.....	29
მამულო .....	29
ნეტავ ერთი დამანახა.....	29
სკინდორი .....	29
ჩემი ტოტები .....	30

მოთბინება .....	30
ციცო .....	31
ყველა ერთად .....	32
მუზა .....	32
გაზაფხული .....	32
<b>ლეილა ვადაჭკორია</b>	
*** ჩვენ ერთი სახლის ვართ ბინადარი .....	33
*** ბევრი რამ კარგიც ყოფილა .....	33
*** ლხინი სულ გადამავინცდა .....	33
*** ხანდახან გიტარაც ტირის .....	33
*** მოსალამოვდა სველი ტერფები .....	33
<b>ნიკო ბალაშვილი</b>	
თეთრი ქარავანი .....	34
სულ თქვენზე ვფიქრობ .....	34
<b>მანანა ზაზიკაშვილი</b>	
დრო მიდის .....	35
გილოცავ დაბადების დღეს!!! .....	35
ნუთუ .....	35
მიყვარხარ ჩემო ქვეყანა .....	35
<b>გურამ ჭავჭავანიძე / Guram Chavchavadze</b>	
ქართულ გენს .....	36
ამოძახილი .....	36
დიდი მგოსნის გახსენება .....	36
ქართველ ჯალათებს .....	36
*** ნუთუ ძნელია იმის დანახვა .....	37
*** ბედოვლათობა თუ გავაგრძელებ .....	37
*** ჩვენით გვჭირს, რაც გვჭირს, ხალხო ქართველო .....	37
თავისუფლება .....	37
არდაჩოქილ საქართველოს! .....	37
<b>უშანგი მოსიაშვილი</b>	
არაგველებს .....	38
რატომ აჩქარდა ნუთისოფელი .....	39
საქართველოს გასაჭირიყუ .....	39
სიზმრად ვნახე საქართველო .....	39
ტაშისკარი .....	40
<b>მზეგული ტყეშელაშვილი</b>	
განუცდელი ამბლუა .....	41
როცა გნახავ! .....	41
ჩემი რაში .....	41
იმ სახლის .....	41
<b>შალვა ილურიძე</b>	
ქსანზე დარჩენილი ჩემი ოჯახი .....	42
ერის ორი ზნე „კარგი“ .....	43
“ცუდი” .....	43
სადღეგრძელო დიდ გმირებს .....	43
ირაკლი მათიკაშვილს .....	44
ვედრება .....	45
<b>ლამზირა შეყილაძე</b>	
*** მე, ვერ მაშინებს თოვლის მოსვლა .....	46
ღმერთს სჭირდებოდი ადამიანი .....	46
ძვირფასო დედა .....	46
ზამთრით დაღლილი .....	47
დილით მზის მკლავზე ჩამოეძინა .....	47
ჩემი სტუმარი .....	47
<b>გურამ გედევანაშვილი (გურა ანგურა)</b>	
სამყარო სოველი, ვნებიან ტუჩებით .....	48

რაზედ სტირიხარ, ჩემო.....	48
ქალაქი, ნისლში შენაციები.....	48
სევდიანი ნვიმები დაინყო.....	48
ძალი ყეფს .....	49
დადიოდნენ ლამაზი გოგონები თბილისში .....	49
ჩვენი სურვილი სივრცეს ატყვია .....	49
<b>ნაირა ნიჟარაძე</b>	
ვენახი.....	50
საუბარი მეცხვარესთან.....	50
მამიკო .....	50
სანნახელში .....	50
ლუკა .....	50
რთველში .....	50
შემოდგომა .....	50
სიმღერა.....	51
ვაზი.....	51
კუმპალი .....	51
დავიცავ .....	51
ჩურჩხელები .....	51
ბუდეშური .....	51
<b>ნანა მესხი / Нана Месхи</b>	
Так и есть .....	52
Пожелай.....	52
Если вдруг .....	52
Весна.....	52
Колыбельная .....	52
<b>ზვიად ფეიქრიშვილი</b>	
დედას.....	53
მეგობარი.....	53
ძიება .....	53
არსება .....	53
ხილვა .....	53
<b>ზეინაბ ასისტიშვილი</b>	
პოეტობა.....	54
ბედი .....	54
იცოცხლე დიდხანს .....	55
მიხარია მე სიცოცხლე.....	55
მე ვარ მდიდარი .....	55
<b>ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი</b>	
* * * ცაცხვების ჩრდილში ჩამეძინა შენზედ ლოცვაში .....	56
ჩემს შვილიშვილებს.....	56
ქართველ დედებს .....	56
* * * სარკეში ჩავიხედე, და ახლა შევამჩნიე... ..	56
ის შენ გეძებდა.....	57
ლამაზია საქართველო.....	57
ნუ გაიკვირვებთ! .....	57
* * * ელავს ცა და, მეშინია ქუხილისა... ..	57
* * * (ჩემს შვილიშვილებს).....	57
* * * (ჩემს შვილიშვილებს) .....	57
<b>ანზორ ჯაფარიძე</b>	
ბომბორა და ფისო.....	58
კახეთს.....	58
ეტლით გასეირნება .....	58
ვაი უმადურებს ერის!.....	59
<b>გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)</b>	
ზარი.....	60

სამშობლოს.....	60
გაზაფხული მოსულა .....	60
მამულს.....	61
ლამაზი ქალი.....	61
*** ქალის ხიბლში ერთის ნაცვლად სამი მზეა... ..	61
<b>ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილისა</b>	
ვილოცოთ ღმერთი.....	62
ვერხვის ფოთლები .....	62
* * * შენ ხომ თასი ხარ შარბათით სავსე... ..	62
ქართლის დედას.....	63
ანდერძი.....	63
* * * ხან ღრუბელი ხარ მრისხანე... ..	63
<b>მანანა ბრაჭული</b>	
ქარის ვიოლინოები.....	64
„ვაჰ, სოფელო!“ .....	64
არ მინდა .....	64
ვედრება .....	64
ხელები .....	65
ქარი .....	65
მამიდები.....	65
.....	65
შემოღამება .....	65
თოვდა თოვლი-დარდი სივრცეს.....	65
ერთ დღეს .....	65
<b>მანანა მიქაძე</b>	
* * * ისევ მოვედი... ..	66
ძაძებით მოსილ დედებს .....	66
ჯიხვთა ტირილი.....	67
<b>სალომე ქარაია</b>	
* * * გარდაიცვალა, ფერი იცვალა... ..	68
<b>გულნაზ ხარაიშვილი</b>	
ღმერთო .....	69
ვერ გაუძელი.....	69
არავის ჰგავდით .....	69
ნმინდა შარფი .....	69
გაგაუკვდავებ .....	69
მთელი ცხოვრება .....	69
დარდის ბილიკი.....	69
გულის ხმაური .....	70
ქარი .....	70
მზედ მხედავდი .....	70
გაგებუტე .....	70
ტყის ყვავილი.....	70
* * * გაზაფხულის თვეში დავიბადე, ხუთ მაისს... ..	70
მე .....	71
ჩემო სიცოცხლე .....	71
ადამის მოდგმა .....	71
აბდაუბდა .....	71
ვდარდობ .....	71
ხან ნისლია და.....	71
იამაყებს შენით საქართველო .....	71
ჰანანინა დედოფალი გქვია.....	71
ნამუსის დღიური .....	71
დარდის ლელე .....	71
რად იწუნებენ.....	71
მითხარი.....	71

სჯობია .....	71
ცბიერი .....	71
ფერნასულია.....	73
დედის გული.....	73
გელა.....	73
შვილო .....	73
დაგეძებ შვილო .....	73
პატარა იოანე ლობჯანიძეს .....	74
დღეს .....	74

**თარგმანები**

<b>მაყვალა გონაშვილი</b>	
პოემა. მარ ბაჯიევი.....	75
<b>Ratiani Lali</b>	
Weg des Ruhmes (Fortsetzung).....	79

<b>გურამ ჭავჭავანიძე/ Гурам Чавчанидзе</b>	
Александр Пушкин. * * * За старые грехи наказанный судьбой.....	83
ალექსანდრე პუშკინი. * * * ძველი ცოდვების გამო ლამის ამტკივდეს კუჭი.....	83
Александр Блок. * * * Ночь, улица, Фонарь, аптека.....	83
ალექსანდრე ბლოკი. * * * ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი... ..	83
Фёдор Тютчев. * * * Я встретил вас – и все былое... ..	83
თედორე ტიუტჩევი. * * * შეგხვდით და უმალ ოქრო წარსული.....	83

**საბავშვო განყოფილება**

<b>„მეზღაპრე“ ლალი კახიძე</b>	
სოფლის ნობათი.....	84
ახალი წელი.....	85
ბრონეული.....	86

**თეოსოფია, თსიქოლოგია, როგოკა**

<b>დათო ყანდაშვილი</b>	
სულიერ ფასეულობათა ანბანი .....	88

**პ რ ო გ ბ**

<b>რევაზ მიშველაძე</b>	
ომეპრაზოლი .....	91
ჩვენი პოვნა ძნელი არ არის .....	94
ეძებეთ მანწკავა .....	96
<b>რეზო ემელიანე ადამია</b>	
მ ზ ე. პატარა წიგნი დიდ მოვლენებზე .....	99
<b>სერგი ლომაძე</b>	
პოეტი და უკვდავება ორი დეკემბერი ჩემი დაბადების დღეა .....	104
<b>ლამარა გერგედავა</b>	
პრეზენტაცია ლუარა სორდიას წიგნისა: „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“ .....	108
<b>ნაილი ხარაიშვილი</b>	
სიცოცხლე გაცრეცილი სიზმრის ფერებად ეძღვნება ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნას.....	110
<b>მირანდა ხვედელიძე</b>	
ჩემი სიცოცხლის და ცხოვრების ელექსირი .....	111
<b>ბახვა სამხარაძე</b>	
ჩვენი გოგია (ვუძღვნი გოგია გველესიანის ხსოვნას) .....	113
არშემდგარი ბრძოლა .....	114
<b>გვანცა ხარაიშვილი</b>	
შემოდგომის დღიური .....	116



**ტას საუბრბზნ ქუტნალ „ათინათზ“**

**სერგი ლომადე**  
 ჟურნალი „ათინათი“ უკვე ხუთი წლისა!..... 118

**ც ბ რ ი ლ ე ბ ი**

**ტიტე მოსია**  
 რევაზ სირადე რუსთაველის ესთეტიკაზე..... 127

**ლუარა სორდია**  
 დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე..... 134

**Ratiani Lali**  
 Satzgefüge mit dem Modalsatz (Adverbialsatz der Art und Weise)..... 140

**ქეთევან ცაბაძე**  
 პროფესიული განათლების ფინანსების ორგანიზების სპეციფიკა თანამედროვე  
 ეტაპზე ..... 148

**ისცორია**

**ნიკო ხერკელაძე**  
 ვარდობისთვე წაგვისში ..... 152

ბაკა ხერხეულიძე..... 153

**ნუგზარ ნადარაია**  
 უკუსვლით დაშლისკენ თუ წინ - გაერთიანება-აღმაშენებლობისკენ?  
 "მეც ქართველი ვარ და ეს მანვალეზს"..... 156

**ეკონომიკა**

**არჩილ ჭელიძე, ვალერი მოსიაშვილი**  
 ბაზელის კომიტეტის – კაპიტალის საკმარისობის შეფასების ახალი სისტემის  
 ანალიზი ..... 159

**ჯუმბერ ხარაიშვილი**  
 საკრედიტო და საბანკო რისკების კლასიფიკაციის და დეფინიციის ძირითადი  
 ასპექტები..... 167

**ონერ ძაძუა**  
 მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის „ჰარმონიული“ შეთანწყობის თეორიული  
 საკითხები..... 172

**ნოდარ ხარაიშვილი**  
 ევროპული ცენტრალური ბანკის უნიკალურობა..... 180

**ვანო შუშტაკაშვილი**  
 აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ცენტრალურ ბანკს შორის ეკონომიკის  
 სახელმწიფო რეგულირების ფუნქციების გამიჯვნის აქტუალური საკითხები..... 182

**ხათუნა გაბიციანაშვილი**  
 მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გამოცდილების ანალიზი  
 აზიის ეკონომიკური რეგიონის მაგალითზე..... 192

**სოფლის მეურნეობა**

**ონერ ძაძუა**  
 ტყის ზოლების გავლენა ჰავასა და ნიადაგზე ..... 199

საცავი ტყის ზოლების როლი მოსავლის გადიდების საქმეში ..... 202

**წ მ ბ რ ი ა თ ი ნ ა თ ე ლ ე ბ ი**

**ირაკლი ჯიგანია, ლუკა შედანია**  
 წინასიტყვაობა ..... 206

**ირაკლი ჯიგანია**  
 „სიყვარულო ძალსა შენსა“ ..... 206

**ლუკა შედანია**  
 „სიყვარული აღგვამალლებს“ ..... 206

**მარიამ გვარამიანი,**

ცისარტყელა.....	207
ნელინადის დროები.....	207
დედიკო .....	208
დედი.....	208
ნვიმა... ..	208
დედი.....	208

**ბილთსება**

<b>სერგი ლომაძე</b>	
გიორგი ბეჟიტაშვილი – 50	209
<b>ნელი ქველაძე</b>	
ნიგნი მარადიული ხსონისა და სიცოცხლისა.....	213
<b>უშანგი მოსიაშვილი – 80</b> წლისაა .....	216
საქმემან შენმა გამოგაჩინოს... ..	217
<b>ნიკო ხერკელაძე</b>	
შენი საქმე და ღვანლია საყურადღებო სათქმელი .....	222
<b>გელა ლარიაშვილი</b>	
კვალი ნათელი.....	225
<b>ნაირა ნიჟარაძე</b>	
*** ერთ პატარა ქალაქში.....	227
<b>ეთერ ფირცხალავა</b>	
*** (ვენერა ქაჯანაიას).....	227



## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით [gulnazi5@bk.ru](mailto:gulnazi5@bk.ru)

შემონირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;

0341227287.

790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის მეორე გვერდზე ვანიკო კაზუასა და ანა ბოჭორიშვილის ჯვრისწერა. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას „ვეფხვისტყაოსნის“ ილუსტრაცია.



**ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:  
გულნაზ ხარაიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:  
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:  
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ნელი ქველაძე – პროფესორი  
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:

ლევან ბაბუხაძია – ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი

ანა ბოდბელი – მეცნიერი

სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორები:

ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი

ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური

იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე  
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,

პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21;

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით [gulnazi5@bk.ru](mailto:gulnazi5@bk.ru)



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)